



ბორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოსო სიბუა

მოდერნიზმია

თბილისი 2014

„მოდერნიზმი“ – ამ სახელწოდებით გაეცნობა მკითხველი ორ, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წიგნს –

1. ქართული მოდერნიზმი;
2. ალექსანდრ ბლოკი, რჩეული (წინასიტყვა, თარგმანი, კომენტარები). მათ აერთიანებთ ეპოქა – XX საუკუნის დასაწყისი და ესოტეკური მრწამსი, წმინდა ხელოვნების დამკვიდრების პათოსი.

რედაქტორი პროფ. გიორგი სოსიაშვილი
რეცენზენტი პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილი

ISBN 978-9941-06860-7

ՄԱՐԿՆԵՐԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ

მოდერნიზმი, როგორც განახლება

მოდერნიზმი საქართველოში მაშინ შემოვიდა, როცა რუსეთში უკვე ირღვეოდა, მაგრამ ერთბაშად დაუფელა ახალთაობის სულს და სწრაფად გაიმარჯვა, თუმცა მკითხველს გაუჭირდა მისი აღქმა და გათავისება.

მოდერნიზმი წარმოედგინათ როგორც განახლება და არა მხოლოდ რომელიმე სტილის ან მიმართულების პედანტური ათვისება და გაგრძელება. ამიტომ უურადღე-
მა ექცეოდა როგორც კლასიკას, ისე ახალ სახელებს, უცხოეთიდან მოვლენილთ.

მაგრამ მასა კონსერვატიული ძალაა და ვერ ჰგუობს სწრაფ ფერისცვალებას.

საზოგადოებაში გაერყვლა და დამკვიდრდა აზრი, რომ ქართული მწერლობა დაეცა და დაღუპვის კართანაა.

შეიძლება ეს იყო უცხორობის გრძობის გამოვლენაც. როცა თვალს ავლბდნენ უცხოეთს. ს. ლიტერატურას, მაგრამ შეუმჩვეელი რჩებოდათ ერის აზვირთების პრო-
ცესი.

იწყებოდა პრესისა და წიგნის ბუმი.

„X საუკუნის ქართული ლიტერატურაც გამოვიდა მოდერნიზმიდან ან მასთან შეურიგებელ ბრძოლაში ჩამოყალიბდა.

მას უარყოფდნენ რეალისტები, ებრძოდნენ აენგარდისტები, და სპობდნენ ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მწერლები.

მაგრამ ჯამი რომ იცვალა და საბჭოეთმა დაგმო სტალინის კულტი, ისევ განათდა დასავლეთის ფანჯარა.

ლიტერატურა მიუბრუნდა გადავიწყებულ მოდერნისტულ და აენგარდისტულ ტრადიციებს, რომელთა შემოჭრით დაიწყო სოციალისტური რეალიზმის რღვევისა და გადაგვარების პროცესი.

მოდერნიზმი და აენგარდისტი თანამედროვე მწერლობის საფუძველია.

იორივე მიმდინარეობა იშვა, განვითარდა და დასრულდა ომების, ნგრევის, სისხლის-
ღვრის ატმოსფეროში, რუტინასთან ბრძოლაში, ბოლშევიკური ტერორის წლებში, რაც
ჰგავდა სცილასა და ქარიბდას შორის გზის გაკვლევას.

მოდერნიზმმა საქართველოში მხოლოდ თხუთმეტობოდე წელი იარსება (1912-
1927), მაგრამ შექმნა მოთხრობის, რომანის, დრამის, ესესე შედეგები, ხოლო ლირი-
კაში უდიდეს ტრიუმფს მიაღწია (გალაკტიონ ტაბიძე).

შემდეგ ისევ იწყება „ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“.

ბოლშევიკური ბუკის ხმაზე გამოჩნდება აპოკალიპსის ოთხი ცხენი და მათ ფლოქ-

ვებზე ივრანება დედამიწის მეექვსედი და მოაქეთ ჯოჯოხეთი, სოციალიზმად წოდებული.

როგორც მოდერნიზმი, ისე აენგარდისში აღკვეთეს სატანის მოციქულებმა, რომელთაც ტყეითა და თაფლის კერით პარტიულ დიქტატს დაუმორჩილეს მწერლობა, როგორც მოითხოვდა თივის ზვინიდან გამოსული ბელადი.

ჯერ კი მხოლოდ ახალი საუკუნის გარიჟრაჟი იდგა და მომავალი ქურუმები მოსწავლის მერხებს უსხდნენ, არც სიმბოლოში სძენოდათ, არც მოდერნიზმი, რომელსაც მთელი ევროპა მოეცვა.

ფრანგული სიტყვა „moderne“ ნიშნავს უახლესს, თანამედროვეს. ამ ნიშნით სახელდებული ხელოვნება გულისხმობდა როგორც ახლისა და უწყველოს შექმნას, ისე წარსულის სახეცვლას, დღევანდელი იერის მინიჭებას.

ამ თვალსაზრისით გაერცვლდა იგი ხელოვნებასა და ქრისტიანულ რელიგიაში. მაგრამ ვაძლიერდა ელინიზმი, წარმართობის აპოლოგია, შესუსტდა ქრისტიანული მრწამსი. ამიტომ წამოიწია ესთეტიზმი, სიტყვისა და მუსიკის კულტი, დეკადანსი, „სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა“.

რეალისტებისათვის ლიტერატურა იყო პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, ისტორიის თუ სინამდვილის ასახვა.

მოდერნისტებმა ლიტერატურას დაუმორჩილეს ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი.

მათ შექმნეს ლიტერატურის იმპერია, რომელშიც გაერთიანდა მიწა და ზეცა — წინაპარ სულთა ქვეყანა.

ქართული მოდერნიზმი — „ქართული სულის რენესანსის“ გამოვლენაა.

მოდერნისტები რომანტიკოსთა შვილიშვილები არიან.

მათ უარყვეს რაციონალისტი და ფხიზელი მამები — რეალისტები.

მიუბრუნდნენ ოცნებისა და ზმანების, მითებისა და სულთა ზეციურ საუფლოს (რაც ადამიანს წაართვა ნიპილისტურმა და პრაგმატულმა დრომ), რათა ხელოვნება ყოფილიყო ცხოვრებაზე მშვენიერი და აღმატებული.

რომანტიკოსი გარდასულზე გოდებით გულს იკლავდა, ძველი დღეების გაულებს ენატრებოდა, იმ იდეალს უფრთხილდებოდა, რასაც წინ მიჰყავს ცხოვრება. მაგრამ მასას ასეთი იდეალი, მუდმივი ორიენტირი ნაკლებად სჭირდება. იგი ცოცხლობს დღევანდელი სიამოვნებით, პრაქტიკული აღდგომით, საარსებო ინსტინქტებით.

რომანტიკოსი სინამდვილის მოპირისპირე ძალაა ან მისგან განდგომილი, თავისი სულის სენაკში დაყუდებული.

მოდერნისტიც ასეთია, ოღონდ ახალი დროის შვილი, რომელმაც მელანქოლია და დეპრესია, შეღამების ჩრდილები აზროვნების წყაროდ აქცია და ესთეტიზმი გააფუტიშა.

ძველი „მსოფლიო სევდა“ სიმანხიჯის კულტად და სიკვდილის ესთეტიკად გაიშა-

ლა. სამყარო ჭერეტის საგნად გამოცხადდა, რომელიც სიმბოლოთა, მინიმუმბათა, ნახევარტონთა ენით უნდა ამეტყველებულიყო.

ხილული ქვეყანა აჩრდილების თეატრს ჰგავდა. ნამდვილი ყოფიერება კი მიღმა ბოზოქრობდა, რომლის წედომა ანუ თარგმნა სიტყვის ფერადებით, მუსიკალური ხმეირებით, საგანთა დრამატიზებით იყო შესაძლებელი.

ასე შეიქმნა მეცნიერული აზრისა და პრაქტიკული გონის მიერ განჭვრეტლი და განზომილი ქვეყნის სურათი.

მაგრამ ამ მოძრაობის არსი იყო სილამაზის ზეიმი, ფორმისა და აზრის დამორჩილება, წმინდა და თაქიზ გრძნობათა სიმწუხარე, ამღვრეული ცხოვრების ნისლში ლურჯი ფრინველის პოენა, ან — მშვენიერების სამოსელით შებურება, ბოქება და თრობა, თრობა ღვინით, ქალით, სიტყვით, მისტიური წარმოსახვით.

ეს ყველაზე უკეთ შეძლეს სიმბოლისტებმა, რომელთაც სიტყვა იღუმალი განცდით აღაჴსეს, გააფეთქიშეს იგი და სიტყვათა ცისარტყელით თავიანთი სულის ფორიაქი გადმოსცეს, გამოხატეს პიროვნება: მოზეიძე თუ დაცემული.

საამისოდ მიმართეს ლირიკას, სალექსო ფორმას, მასში მოაქციეს წმინდა გრძნობა, სეტაკი განცდა, სათუთი და მაღალი აზრი, მთვრალი და დაუდგარი სული, „სული“ შეშლილი და ბედნიერი“, რომელიც გადაიტანეს პროზაში, დრამაში, ქესეში.

მეცნიერული აზროვნების მოძალებამ გააღვივა მისტიკისადმი ინტერესი, რაც ზოგჯერ თურგიაძდე მიღოდა.

ფსიქიკის უფსკრულიდან ამოიჭრა „ფრთიან ქიძერათ ჯარი“ და ხელოვანი ისევე გახდა სამყაროს ცენტრი და არა მხატვარი.

იგი მიენდო მასში გაღვიძებულ, მისგან წაშოსულ განგების იღუმალებას, რომელიც ზეცის ფერებით ანათებდა.

იმპრესიონისტი წამიერ განწყობილებებს ხატავდა, დეტალით მთელს აღადგენდა, სიზუსტეს იცავდა, წესრიგს ეძებდა. ხოლო სიმბოლისტი დიონისურ სიმშაგეს განახორციელებს, რომელიც არღვევს დაკანონებულ ეტიკეტებს და თითქოს უკანასკნელ მონოლოგს ამბობს. ცხოვრება კი წარმოუდგენია როგორც ანტიკური ტრაგედია, რომლის მოქმედებას განსაზღვრავს ბედისწერა და ქეროიზმი.

სიკვდილი, ღამე, მთვარე, თოვლი, ქარი, დასი, ნისლი, სული, შორეთი, გელი, სედა და ნაღველი, ზეცა და ცისფერი მისი ლექსიკური მოზაიკაა.

ხოლო ეს სიტყვები, მათი მრავალკეცი ვარიაცია, იწვევს პათეტიკას, არამიწიერ, მიღმურ სინათლეს, ხან სიწყნარეს, ხანაც — სიმშაგეს.

სიმბოლისტი ზემოქმედებს სასოწარმევეთი, გულისმომკვლელი ლირიზმით, რომელიც იღუმალ მელოდიად სახლდება ჩვენს სულში.

მოდერნიზმის გული და გონი სიმბოლიზმია.

სიმბოლისტები, ეს მწუსრისა და დაღუპვის მგოსნები, იყენენ საუკეთესო ლირიკოსები საფრანგეთში, გერმანიაში, აესტრიაში, ინგლისში, რუსეთში, საქართველოში,

ესაანურნოვან ქვეყნებში და დაცემის ჟამსაც სიტყვის არისტოკრატიზმად რჩებოდნენ.

ხოლო ექსპრესიონისტმა უარყო სევდა და დეპრესია, გმირული სული ჩაიდგა. იგი არა დაბინდული მზერით, არამედ ჩირაღდნებით გამოვიდა ზმანებათა ნისლეულიდან, მოწინააღმდეგე მზერა და რკინის ნერვები. მაგრამ მეომარი, მშფოთვარე გული ვერ ჩასტია ლექსის პეროვან სტრუქტურაში და ისიც ანტიკური ტრაგედიის პერო-იკით ამეტყველდა.

სიმბოლისტი ოცნების სასახლეს აგებდა, რომელსაც ცხოვრების მტვერი ვერ უნდა მოსდებოდა, მაშინაც, როცა ცხოვრებისგან გათელილი იყო.

ექსპრესიონისტს ცეცხლისთვალეზა ქალაქი შთააგონებდა და თანაც აშფოთებდა. ამიტომ იხვედა უკან — ბუნებისაკენ.

ბუნება რომანტიკოსის აწეწილ ნერვებსაც აწეწარებდა. მაგრამ მასთან მიდიოდა კაცთაგან უარყოფილი, ხოლო ექსპრესიონისტი — დიდი ქალაქის სიყვარულით და ხმაურით მოქანცული.

ვეროპა ისევ ვულკანს ჰგავდა და მისი ქუხილი და ცეცხლის ნაპერწკლები აღწევდა კოლხ-იბერთა მიწამდე და აქაც ახალ ხანძარს ანთებდა.

წიგნი პიჰველი

სყიღოასა და
ქარბდას შორის



1. XX საუკუნის დასაწყისი

თავისუფლების იდეალი

ასი წლის წინათაც ბერს დაობდნენ, თუ როდის დადგებოდა ახალი საუკუნე.

ზოგი მას ქვეყნის დასასრულად მიიხედავდა და აპოკალიპსურ წარდენას მოელოდა.

საქართველო ისევე მოწყენილი ხედებოდა უამთა ცვლას.

ასი წელი სრულდებოდა მას შემდეგ, რაც საქართველოს რუსის ჩეკმა და ხიშტი ადგა ყელზე. მაგრამ ახალმა მოძალადემ ზოგი სიკეთეც მოიტანა: თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლდა ახალციხე და ახალქალაქი, ბათუმი და ართვინი.

თეთრი დათვი არც ამას სჯერდებოდა და ანატოლიის სიღრმისაკენ მიიწეოდა, პეტერბურგის ქარბუქით გულგაყინულს სამხრეთის სილაქვარდუ ენატრებოდა.

ახლა იუბილეს იხდიდნენ, საქართველოს დაპყრობის ას წელს ზეიმობდნენ რუსები, სომხები და რუსოფილი ქართველები.

ხალხიც, რომელიც ოდესღაც ნაჯახითა და კომბლებით ებრძოდა მეფის ჯარისკაცებს, ნელ-ნელა შესწევოდა თეთრ ხელმწიფეს და გარუსების პროცესი დაბალ ფენებსაც მოსდებოდა.

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ – საშველს ეძებდა ილია ჭაბუკაძე. მაგრამ მაინც თვლიდა, რომ XIX საუკუნემ ახალ ასწლეულს შეუქმნა ფუნდამენტი, ანდერძად გადასცა „მეტეორება, აღამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება“.

„ჩვენ უნდა ესდით ახლა სხვა ვარსკვლავს“, – ასე მოუწოდა ჭაბუკმა ილიამ მწუხარე საქართველოს.

„თერგდალეულებმა“ მახვილს კალამი არჩიეს, სამხედრო გზას – ინტელიგენტის კარიერა, რადგან მახვილი პეტერბურგს ემსახურებოდა მაშინაც, როცა იპყრობდა ბაიაზეთს თუ არზრუმს.

ცხადია, არც ილიას, არც აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს თუ ნიკო ნიკოლაძეს არ შეეძლოთ გრიგოლ ორბელიანის მსგავსად ცხენით ჯირითი, ომის ცეცხლში შეჭრა, „ხელთ ბაირალით“ ყარსის თუ დაღესტნის აღება.

მათ ხელებს სისხლი არ ეცხო. ისინი ახალი დროის მოაზროვნე შვილები იყვნენ, რომელთაც ასპარეზად კაბინეტი და დარბაზი აირჩიეს.

გპირი შეცვალა ბრძენმა, მკლავი – ჭკუამ, მახვილი – წიგნმა. ბრძოლის უელი – დარბაზმა, არისტოკრატი – ინტელიგენტმა...

„იყოლება საქართველო“, „საფლავს ჩველივარ სიმწარით“ – გოცებდა დაღესტნის გამირი და საშუკელს ვერ ხედავდა. მაგრამ ილიას ესმოდა, რომ „შრომის ახსნა“ იყო ამ საუკუნის ვალი. ხოლო განთავისუფლებული და შერიგებული კლასები თავად დაადგენდნენ ახალ წესრიგს, დემოკრატიულ წეს-წყობილებას.

ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, პრესის თუ თეატრის სახით შექმნა დამოუკიდებელი ქვეყნის წინასახი, წამოაყალიბა ეროვნული პროგრამა, რომელსაც განმანათლებლური ხასიათი ჰქონდა, არა პოლიტიკური.

ილია ჭავჭავაძე პოლიტიკოსი არ ყოფილა, არც წმინდა ხელოვნების მსახური ან მეცნიერი. მაგრამ სამოციანელთა აზროვნებამ და საზოგადოებრივმა გარჯამ შექმნა ბაზისი, რათა მომხდარიყო ინტელექტუალურ სფეროთა დიფერენცირება.

მართლაც – საუკუნის მიწურულიდან ჩნდებიან პოლიტიკური პარტიები, პროფესიონალი მეცნიერები. ხოლო მოგვიანებით ხელოვანიც იცლის ხელოვნებისათვის.

თბილისის სემინარიაში აღზრდილი ახალგაზრდები, რომელთაც დღენიდაც სახარება და ლოცვანი ეჭირათ ხელში, ღმერთის მკვლელები აღმოჩნდნენ. აქ გაჩნდა პირველი რევოლუციური ნაპერწკლები. პროტესტის მრისხანე გრძნობა, რაც მალე ხანძრად აბრიალდა და მთელ ქვეყანას მოედო.

ბრძოლის ემბლემა იყო ის ხანჯალი, რომლითაც იოსებ ლადიაშვილმა მოკლა რუსი რექტორი ჩუდევცი.

ხალხის მესხიერებაში სამქრალიყო რუსთ იმპერიასთან შეურიგებული აღექსანდრე ბატონიშვილის სახელი. აღარ კრთოდა ის ცეცხლი, რაც ერთი ხევსურეთში, კახეთში, გურიაში, სამეგრელოში.

ხოლო 1832 წლის „ფერმკრთალი შეთქმულება“ თავად-აზნაურობამ სისხლით გამოისყიდა იმპერატორის წინაშე.

არც რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონებს, არც საქართველოს თავად-აზნაურობას ერის ლიდერობის სურვილი არ ჰქონდათ.

მხოლოდ „თურგდაღეულებმა“ შეძლეს მხედრული, იმპერატორის მორჩილი სული შეეცვალათ განათლებით, გავერცყლებინათ წიგნი და გასეთი, ბნელ მასებში ცოდნის სინათლე შეეტანათ.

არისტოკრატის ადგილი დაიკავა ინტელიგენციამ, რომელმაც დაიწყო ახალ სუფიერ წყაროთა ძიება.

მაგრამ რუსიფიკაცია გრძელდებოდა და ქართულს რუსული ენაცვლებოდა. დამპყრობელთა ენა, რომელიც განათლების სინონიმად ქცეულიყო.

ცნობილია, რომ ბავშვობაში ქართული თითქმის დაავიწყდათ და

ეთი კლდიაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, კოტე მაყაშვილს, მიხეილ ჯაფახიშვილს, ხოლო თავიანთ პირველ ლექსებს რუსულად წერდნენ აღექსანდრე აბაშელი, ვალერიან გაფრინდაშვილი და პაოლი იაშვილი; პირველ ლექციებს რუსულად კითხულობდა გრიგოლ რობაქიძე; პირველ სტრიქონებს რუსულად წერდა ნიკო ლორთქიფანიძე... ერთხანს ჭაბუკი გალაკტიონიც გაიტაცა რუსულად ლექსების თხზვამ.

მაგრამ მოვიდნენ რუსოფილი სოციალ-დემოკრატები და ინტელიგენციაც აითვალწუნეს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარალელურად ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (1901 წელი).

მთელი ევროპა სოციალიზმის მაცთურ იდეას შეუპყრო და საქართველო რა გამოსაკლისი იქნებოდა. ამიტომ ქადაგებდა ორივე მათგანი სოციალისმსა და რევოლუციას. მაგრამ თუ პირველი რუსეთის ნაწილად თვლიდა თავს, მეორე ავტონომიის იდეას აყენებდა, რაც მაშინ რადიკალურ, ნაციონალისტურ და ამდენად უტოპიურ მოთხოვნად ჩანდა.

რუსეთის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველო მძლავრმა აღმავლობამ მსოცვა. რაც გამოვლინდა ეკონომიკაში, კულტურაში, რევოლუციურ-პოლიტიკურ აზროვნებაში. იწყებოდა *„ქართული სულის რენესანსი“*.

ქვეყანას ფერი ელვის სისწრაფით ეცვლებოდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ჰყავდა ორი პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატია და სოციალ-ფედერალისტები, თუმცა საპროტესტო და რევოლუციურ მოძრაობაში სხვაც მრავალი მონაწილეობდა.

ერთი სოციალურ თანასწორობას ქადაგებდა, მეორე – ეროვნულ თავისუფლებას.

პირველის ლიდერი ნოე უორდანია იყო, მეორისა – არჩილ ჯორჯაძე.

ერთი აზნაური იყო, მეორე – თავადი, ორივე კი – სოციალისტი. ორივე პარტია ქვეყნის განახლებას ცდილობდა და ქართველი ერის პოტენციას ავლენდა, ცხადყოფდა, რომ *„უკვე აღა ქარიშხალი განთიადის მოციქული“* (იროდიონ ევლოშვილი).

ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა. 1918 წელს, უერთმანეთოდ წარმატებას ეურ კპოვებდნენ და ეერც ქვეყანას უშეედიდნენ.

მაგრამ მათი გარჯა და დეაწლი წაღეკა ბოლშეეიზმმა, რომელმაც სოციალიზმის ტკბილი სიზმარი საზარელ სინამდვილეად აქცია. *ევროპეიზმი პოლიტიკაში დამარცხდა.*

ინტელექტუალური პოტენციალი

სამოციან წლებში თუ თითო-ორილა გამოცემა არსებობდა და მათი მკითხველიც თითქმის არაყინ იყო (ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ ტირაჟი 700-ს არ სცილდებოდა), ახლა ცალკეული პარტიები, ჯგუფები თუ პირები აარსებდნენ გაზეთებს, რაც ხელს უწყობდა აზრის გააქტივებას, მეცნიერებისა და ხელოვნების გავრცელებას.

ეს მაინც დროის მიერ მოტანილი ნობათი იყო. ხოლო ერის ინტელექტუალური პოტენციალი უფრო მეცნიერებაში ვლინდებოდა.

ნიკო მარის დიდი ფილოლოგიური მოღვაწეობის მეოხებით წარმოსდგა ქართველთა და არაქართველთა წინაშე ჩვენი ძველი კულტურის სიდიადე (მაგ., გამოკვლევები რუსთაველზე, პეტრიწზე, ჩახრუხაძესა და შავთელზე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ აღმოჩენა და გამოცემა).

ერის ღირსების აღსადგენად და თვითშემეცნებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევებს, მიხაკო წერეთლის წიგნს – „ერი და კაცობრიობა“ (1910). ეს მაშინ, როცა მარქსისტები ეროვნულ ნიჰილიზმს ქადაგებდნენ.

პრესაში გამოჩნდა იბსენისა და მეტერლინკის, ბოდლერისა და ეერლენის, უაილდისა და პაუპტმანის, სენტ-ბევის და რემი დე გერმონის სახელები.

გამოიღებდა ქართულმა ეკლესიამ.

განახლდა ოცნება ავტოკეფალიის აღდგენაზე.

ვერც პოლიტიკური სისტემა, ვერც რელიგია, ვერც მეცნიერება ვერ მშველის ხელოვნების პროგრესს. მაგრამ დაპყრობილ, უფლებათაყრთა ქვეყანას რწმენასა და იმედს აძლევს, სტიმულს მძაბებს, აღვივებს ფანტაზიას, რაც შემდეგ პოლიტიკურ ღოზუნებში გადაიზრდება...

ახალთაობის პოლიტიკოსებმა, მწერლებმა და მეცნიერებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. თუმცა, ჩვენდა სავალალოდ, მათი ნიჭი და ენერჯია მოხმარდა როგორც საქართველოს განთავისუფლებას, ისე დამხობას...

პირველი რევოლუციის კრახი

როგორც რუსეთის იმპერიის ცენტრში, ისე პერიფერიებში პოლიტიკური პარტიები ქვეყნის ხსნას რევოლუციაში ხედავდნენ.

რევოლუციის მომავალი ყველას თავისებურად წარმოედგინა.

რევოლუციისათვის ქართველი ხალხი მზად არ ყოფილა. მაგრამ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები რუსთ იმპერიის ნაწილი იყო და პეტერბურგში რომ სისხლი დაიღვარა, მან წვენი მთებიც გააწითლა.

იმპერიას გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღამ გადაუარა. თითქოს ირღვეოდა რომანოვების რუსეთი.

იაპონიასთან ომში დამარცხებულ იმპერიაში რევოლუციას სოციალური მიზანი ჰქონდა.

ქართველ ხალხს ორმაგი უღელი ედგა კისერზე. ამიტომ მოჰქიდა იარაღს ხელი და სისხლიც საკმაოდ დაღვარა. მარტო თბილისში, 1905 წლის 29 აგვისტოს, კაზაკებმა და პოლიციელებმა საქალაქო გამგეობის შენობასთან და ქუჩებში დახოცეს 100-მდე და დაჭრეს 300-მდე მეამბოხე.

აზვირობებულ მასებს მიემხრნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა.

აკაკი რევოლუციისაგან სამშობლოს ხსნას მოელოდა, ეკებ ჩრდილოელის ყულფისაგან ქვეყანას თავი დაედწია.

მოხუცი მგოსანი იაპონელ სარდალ ოიამას ლექსს უძღვნიდა, „ინტერნაციონალს“ თარგმნიდა და აღზნებულ ახალგაზრდებს შუკუიჭინებდა:

„გამოდით, თქვენი ჭირიმე“–

ირსლიონ ვედოშეილი სოციალ-დემოკრატი იყო და ბარიკადებზე ასაღლ მარსელიოზად ჟღერდა მისი მოწოდება:

„მგობრებო, წინ, წინ გასწით,

ნუ შედრკება თქვენი გული“–

მაგრამ იღია არ მიესალმა რევოლუციას. ოდესღაც იგი გარიბალდის მეხობტბე იყო, ახარებდა „ხალხთ ბორკილის ხმა მტკვრეთისა“, ფრანგ კომუნარებს ისტორიის „განახლების ძაღუბად“ მიიწინედა. მაგრამ დრომ, ასაკმა, გამოცდილებამ რევოლუციურ ოცნებაზე ხელი ააღებინა, რადგან იგი ბრელ ძალთა თავაწყეეტასა და თარეშსაც მოიცავს.

იღია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა ევოლუციას, კლასთა შერიგებას, სოციალურ გარდაქმნებს, ეკონომიკის პროგრესს, განათლების გაფრცელებას.

1905-1907 წლების ამბოხი დამარცხდა.

ვაი დამარცხებულთ, უთქვამთ რომაელებს.

ხელისუფლებამ პოზიცია განიმტკიცა და შერი ოღია.

დაიწყო სტოლიპინის რეაქცია.

დააპატიმრეს ოპოზიციონერი დეპუტატები. გააციმბირეს მებრძო-

ლი რევოლუციონერები. ბევრი შეტაკებებში დაიდუკა. ნაწილმა ემიგრაციას შეაფარა თავი.

იმპერიამ დათრგუნა ურჩი შვილები.

უეცარ აღმაფრენას მოაყვია დეპრესია და პესიმიზმი. უიმედობა და სასოწარკვეთა.

თითქოს საბოლოოდ განმტკიცდა იმპერია და რომანიოების ტახტი.

პატრიარქალური მამის მკვლელობა



ილიას კონსერვატიზმი მოტორტმანე ქვეყნის ფონზე გაუგებარი ჩანდა.

იგი მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიის იდეას, ქართველ კადეტთა პარტიის შექმნაც სცადა. მაგრამ რევოლუციური სისხლისღვრა გაუმართლებლად მიიჩნდა. ამიტომ თვლიდა, რომ რეფორმები ზემოდან უნდა დაეწყო.

ილია იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ეს უფრო ზრდიდა უფსკრულს ილიასა და ასვირთებულ მასებს შორის.

დამარცხებული სოციალ-დემოკრატები ტერორის გზით ანგარიშს უსწორებდნენ მოწინააღმდეგეებს. პოლიტიკური იდეალები შირმად იქცა. რევოლუციონერები თავიანთ ბრძოლაში ტერორისტებსა და ბანდიტებს ეყრდნობოდნენ, რომელთაც არც მარქსი წაეკითხათ და არც ლენინი.

ილიას ცხარე პოლემიკა კქონდა ნოე ყორდანიასთან (ერთ დროს ილიას უნდოდა, ნოე ყოფილიყო „ივერიის“ რედაქტორი).

ეს კარგად ახსოვდათ სოციალ-დემოკრატთა ლიდერებს და მათ სხვა თავადებთან ერთად ილიასაც დაუნიშნეს ტერორი.

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურთან მხეცურად მოკლეს პატრიარქალური მამა – ილია ჭავჭავაძე, ვინც შექმნა ახალი საქართველოს კულტურისა და პოლიტიკის ფუნდამენტი.

*„წინამურში რომ მოკლეს ილია,
მა შინ ეპოქა გათავდა დიდი,
ძველი სიმღერა და იდილია,
ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“.*

დაწერს გალაკტიონ ტაბიძე 1920 წელს.

ამ თარიღს ქართული მწერლობის უდელტეხილად თყლიდნენ გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, რომლის შემდეგ იწყება სხვა ეპოქა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აღასრულეს ველურთა წესი – მოკლეს ერის ბელადი, ერის მამა, რათა მისი ადგილი თავად დაეკავებინათ.

ათიოდე წლის შემდეგ მათმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღასრულა ის, რაზეც ოცნებობდა „მგზავრის წერილების“ ავტორი.

თითქოს ეს არის პარადოქსი, ნამდვილად კი გახლავთ სასტიკი, უღმობელი ცხოვრების დიალექტიკა, რაც ზნეობას არ ემორჩილება. მაგრამ ხალხისათვის ილიას მეკლემობა იყო საზარელი ფაქტი და ამიტომაც შეძრა მასების გული.

ერის მამის „გახეთქილი შუბლი“ (გიორგი ლეონიძე) ჩაიბუჭდა ახალი თაობის მეხსიერებაში, როგორც ხატი და ემბლემა.

ამ ფაქტზე მიუთითებდა კიტა აბაშიძე.

რევოლუციური მარცხისა და ილიას მეკლემობის განცდა სულ მალე განახლების ძლიერ იმპულსად იქცა, რამაც შეცვალა ახალთაობის ხედვისა და მოქმედების მიმართულება.

უარყოფილ იქნა პოლიტიკური ექსტრემიზმი და განმანათლებლური პათოსი. ახალგაზრდული ენერჯია ასპარეზს ეძებდა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში. მაგრამ უცვლელი დარჩა განახლების სულისკვეთება.

ეროვნული დეპრესია და პესიმიზმი წმინდა ხელოვნების იდეით უნდა დაძლეულიყო.

ეკებ ოცნებას მაინც შესძლებოდა ის, რაც რეალობაში ვერ მოხდა.

რეალიზმის აღსასრული

რეალისტური ლიტერატურა ევროპისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ქართველ რეალისტთა შთაგონება რუსული აზროვნება იყო და ევროპას რუსეთის მეშვეობით ღებულობდნენ.

რეალიზმი XIX საუკუნის მსოფლიოს დიდი მონაპოვარი იყო. მაგრამ ყველაფერს აქვს როგორც დასაბამი, ისე დასასრული. ევროპასა და რუსეთში იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი დამკვიდრდა, აღდგა რომანტიკული თეატრალიზმი. მაგრამ ეს საქართველოს არ უგვრძნია. სკი 60-იანი წლების კურსის ერთგული დარჩა. რომელიც სათავეს რუსეთში იღებდა.

სოფი გრძნობდა, რომ საჭირო იყო ახალი იმპულსები. ამიტომ

თარგმნიდა იყანე მანაბელი შექსპირს. მაგრამ შექსპირი წარსული იყო. იგი კეკეაღდა თეატრს. მაგრამ ლიტერატურის განახლებისთვის სტიმულს ეერ იძლეოდა. ახალი სახელები, ახალი სტილი და მგრძობი-ბელობა სჭირდებოდა აზროვნების პროგრესს. ცხადია, ვერც „დაწვეუ-ლილი პოეტები“, ვერც სიმბოლიზმის სხვა კორიფეები შექსპირს ვერ შეუდრებოდნენ, მაგრამ ისინი სიახლეს ქადაგებდნენ და ამიტომ იმორ-ჩილებდნენ ჭაბუკ მეოცნებებს.

ვაჟა-ფშაველა გრძნობდა, რომ არ ემაროდა სოციალური პათოსი. მან მიმართა გმირულ ეპოქას, მითების თანაზიარ სამყაროს, ფშაე-ხევისურულ თქმულებებსა და ლეგენდებს. მაგრამ მხატვრული აზროე-ნების შეცვლა არ უცდია. მან აკაკი წერეთლის ხალხური ლექსის ყორმა გადაიტანა ფშაე-ხევისურულ არეალში და ახალი იდეებით, განცდებით და ლელვით ადაესო. ამიტომ შემდეგ თავად მოახდინა გაელენა აკაკი წერეთელზე (იგულისხმება პოემა „გამზრდელი“). ხო-ლო ალექსანდრე ყაზბეგმა ნაციონალური რომანტიკა აალორძინა.

ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი აგ-რძელეებდნენ სამოციანელთა ტრადიციებს (მიწა, გლეხი, სოფელი, შიმშილი, წუხილი, ნათელი ხატვა), რაც ყველაზე კარგად ილია ჭავ-ჭავაძის პროზაში გამოელინდა.

მათ ეპიგონთა მთელი კოპორტა მოჰყეებოდა (ერისთაეი-ხოშტარია, დეკანოზიშვილი, ზურაბიშვილი, მელანია, ლალიონი, დუტუ მეგრე-ლი...).

ილია ჭავჭავაძეს მხატვრული შემოქმედება წარმოედგინა და ესმო-და არა როგორც თავისთავადი ფენომენი, არამედ – როგორც ეროე-ნული მოდელაწეობის ნაწილი. ამიტომ დიდად დაზარალდა როგორც შემოქმედი. შეიძლება ითქვას, იგი პრეზიდენტად იყო დაბადებული და არა მწერლად ან პუბლიცისტად. მაგრამ ძალიან ადრე მოყელინა ამ ქვეყანას.

ილია ჭავჭავაძემ თარგმნა ბუვიესა და გეორგ ებერსის რომანები და არა სტენდალი, ბალზაკი, ტოლსტოი ან დოსტოევესკი, აკაკი წერე-თელმა – ივან კრილოვი და არა პუშკინი ან ლერმონტოვი.

ასე რომ, ქართული სიტყვა თანდათან პერმეტულ რკალში ექცეო-და. იგი გაიყინა 60-იანი წლების კონტექსტში. ახალი თაობაც, ეურნე-ბოდა თუ არა პირველდასელებს, ლიტერატურულად მაინც მათ გზას აგრძელეებდა (მაგ., ეგნატე ნინოშვილი და იროდისონ ეედოშვილი).

პოესიაში ახალი სახელები აკაკის მრდილქეეშ იდგნენ (პარმენ ცახელი, გრიგოლ აბაშიძე, განდევილი, გიორგი გეაზავა, ვარლამ რუხაძე...).

ლიტერატურას ეპიგონობის ამრდილი გადაეყარა.

გარდა ამისა, 900-იანი წლებისათვის ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით

კლდიაშვილს, შიო არაგვისპირელს უკვე აქონდათ ნათქვამი თავიანთი სიტყვა.

ახალი თაობა უფროს თანამოკალმეებს ნიმუშად სახავედა და მათ ტყვეობაში იყო მოქცეული.

მიხეზი მხოლოდ ნიჭის სიმცირე როდი იყო, არამედ ისიც, რომ რეალიზმმა ამოსწურა თავისი თავი.

განმაახლებელ ძალთა და წყაროთა ძიების გარეშე რეგრესი ვერ შეწერდებოდა, თუმცა ლიტერატურაში ათეულ წლობითაც უკუსვლა არაფერს ნიშნავს.

ჯერჯერობით ახალთაობას საამისო სურვილი არ გააჩნდა. მათ გულისყურს რევოლუციური პაროლები იპყრობდა. რაც დრო გადიოდა, ქართული ლიტერატურა უფრო მეტად სცილდებოდა ევროპას და ანაქრონული სტილითა და იდეებით ისაზღვრებოდა.

იგი შორეული ძირებისგანაც მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ლიტერატურის დაღმასვლა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მშფოთთჳარე ეპოქა ამსხვერვედა სტერეოტიპებს და ახალ გზებს კეთდა.

რეალისტურ სივრცეში ძნელდებოდა მოძრაობა.

ლიტერატურაში სეადმტაცი ძალით იჭრებოდა ახალი დროის ფილოსოფია და ფსიქოლოგია.

რუსეთშიც პარნასს მოდერნისტები დაეუფლნენ.

მათ წმინდა ხელოვნების კულტი დანერგეს.

ანდრეი ბელი იგონებს, რომ 900-იან წლებამდე მოსკოვში არაეინ კითხულობდა იბსენს, სტრინდბერგს, უიტმენს, ჰამსუნსა და მეტერლინკს. არც ვერპარნი იცოდა ვინმემ. ათიანი წლებისათვის კი წიგნის თაროებზე გამოჩნდნენ უამლდი, დანუნციო, იბსენი, სტრინდბერგი, პშიბიშევესკი, პოფმანსტალი. უკვე კითხულობდნენ ვერპარნს, ბოდლერს, ვერლენს, ბრემსოვს, ბლოკს, ბალმონტს, სოლოგუბს.

გაისმა კორბიერის, არკოსის, გურმონის, რენიეს, სტეფან გეორგეს, დუამელის, ლილიენერონის სახელები.

ასე ხდებოდა საქართველოშიც, ოღონდ 10-15 წლის დაგვიანებით. ცხოვრების აღწერას ცვლიდა სიცოცხლის შეცნობა. მაგრამ რეალისტებსა და მოდერნისტებს საერთოც ბევრი რამ აქონდათ, მათ შორის – სიცოცხლის ტრაგიკული აღქმა.

ე. წ. კრიტიკული რეალიზმი საქართველოშიც არსებობას ამთავრებდა.

იგი XIX საუკუნესთან ერთად კედებოდა.

მოდერნიზმის შექუერები შორიდან ანათებდნენ და მათ ჯერაც ვერ ამხსნედა მიწისკენ დახრილი მხერა.

კომმარული ჟამი და „წმინდა ხელოვნება“

მოდერნისტები კაემნიან და კომმარულ სურათებს ოცნებით თხზავდნენ. მაგრამ დრო არის ყველაზე სასტიკი და უღმობელი ფანტაზიორი:

1914 წლის ზაფხულში დაიწყო მსოფლიო ომი, გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია და ოთხი წლის მანძილზე ასეულ ათასობით ქართველი იარაღით ხელში დადგა იმპერიის დასაცავად. რუსეთის ჯარები პრუსიაში შეიჭრნენ.

პროცენტული შეფარდებით ამდენი ქართველი არ მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში!

მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ ახლდა პატრიოტული ალტი-ნებაც: სამხრეთის ფრონტზე რუსეთი ებრძოდა თურქეთს და ქართველი ხალხი იბრუნებდა წართმეულ ტერიტორიას. ოღონდ ეს სულაც არ ყოფილა ტრიუმფალური სელა ანატოლიაში.

გავიხსენოთ: კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალი და პროფესორი ალექსანდრ მიშლავესკი დაფრთხა, სარიყამიშიდან გამოიქცა და მთელი ქვეყანა პანიკაში ჩააგდო თავისი საზარელი ბრძანებით:

უნდა დავანგრიოთ სახლები და ხიდები, გადავწვათ ბალ-ვენახები და ყანები, ავაფეთქოთ ქალაქები, რათა კავკასიაში თურქს ხელში არაფერი ჩაუვარდესო. ხოლო მოსახლეობა გაქცეულ რუსის ჯარს უკან გაჰყოლოდა!

გამოვიდა ცნობილი მხატვარი დავით გურამიშვილი და განაცხადა:

ბრძანება უნდა შესრულდეს, „ბებერი თბილისი“ უნდა ავაფეთქოთ, დავანგრიოთ და დავწვათ ყველაფერი, უკან გავყვეთ რუსის ჯარსო. დაე განყდეს ყველა ქართველი, სახელი ხომ დარჩება, რა ერთგული ხალხი ჰყოლია რუსის იმპერატორსო!..

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და სარიყამიშთან ენვერ ფაშას არმიები გაანადგურეს.

გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო გენერალმა ალექსანდრე გაბაშვილმა. შემდეგ კი - 1916 წლის 2 აპრილს რუსის ჯარმა ტრაპიზონი აიღო.

ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა, მიწას ველარ ამუშავებდნენ, აღარც ხორბალი შემოჰქონდათ. ზოგან ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ტიტველ ხალხს რალაც ჭინჭები ერტყა წელზე...

ასეთი მშფოთვარე ეპოქის ქარში საზოგადოებისათვის კიდევ უფრო გაუგებარი ჩანდა „წმინდა ხელოვნების“ ქადაგება, რომელიც არც რეალობას, არც პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევდა.

იქნებ არაცნობიერად ვლინდებოდა მათ მოქმედებაში ნიცშეს ნათ-

ქეამი – ხელმოკლება იმიტომ არსებობს, რომ ჭეშმარიტებამ არ დაგ-
ვლუქოსო!..

ახლადშობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც მუდმიე
ომში აღმონდა ჩათრეული შინაურ და გარეშე მტრებთან.

ზმანებებისა და ქიმერებისათვის ქეყანას არც ეხლა ეცალა.

შემდეგ ბოლშევიკური ტერორი გამეფდა და ოცნების ნისლი გაი-
ფანტა.

აღმაფრენა დეპრესიამ შეცვალა, სულის ზეობა – კრიზისმა.

ხელისუფლებამ ესთეტიზმი აკრძალა და ჩაქუჩისა და ნამგლის
ქება ბრძანა: „საქართველო გაიფლინა მაჟაშვილთა გოდებით“.

ასეთ პირობებში იქმნებოდა მოდერნისტული ლიტერატურა.

2. ბანახლების წინამორბედები

ქართული მოდერნიზმის თეორიული საწყისები მოცემულია არ-
ჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის ნააზრევში.

ისინი მოდერნისტები არ ყოფილან, არც მოდერნიზმის იდეოლო-
გები.

მათ შემოიტანეს ახალი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ინფორმაცია,
ევროპული თეატრალური გააშუქეს პოლიტიკური, ლიტერატურუ-
ლი და ცხოვრებისეული პრობლემები, დასცილდნენ ხელოვნების
უტილიტარულ, გამოყენებით გაგებას, რაც დაამკვიდრეს „თერგდა-
ლეულებმა“.

ეს ახსოვდათ ახალგაზრდა მოდერნისტებს.

„პირველ სიმბოლისტ პოეტებს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და
კიტა აბაშიძემ“; წერდა 1915 წელს ტიცინან ტაბიძე, „ცისფერყანწელთა“
ერთ-ერთი ლიდერი. ხოლო პაოლო იაშვილი არჩილის გარდაცვალე-
ბას გამოეხმაურა ლირიკული ეტიუდით – „ცრემლი“.

ტალანტს თეორიული აზროვნება ვერ წარმოშობს. მაგრამ ამ-
კვიდრებს ინტელექტუალურ ატმოსფეროს და სპეციფიკური ნიშნე-
ბით აღბეჭდავს შემოქმედებით პროცესს.

განსაკუთრებით ეს ითქმის ახალ მოტივებსა და ფორმებსზე.

სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ – არჩილ ჯორჯაძე, კიტა
აბაშიძე და გერონტი ქიქოძე (მოგვიანებით – ეროვნულ-დემოკრატი).

მათ, პირველ ყოვლისა, „საერთო ნიადაგზე“ მდგარი ერის ბედი
და კულტურა აღელვებდათ.

ხოლო კლასობრივი ბრძოლის ჟინით ანთებული მარქსისტული კრიტიკოსები. ნებისთ თუ უნებლიეთ, ლიტერატურას უკან ექანებოდნენ (ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ირ. წერეთელი, ხომლედი (რომანოზ ფანცხავა)).

მათგან ლიტერატურის სპეციფიკის გაგებითა და წერის მანერით გამიორჩეოდა ივანე გომართელი, ცნობილი ექიმი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ვისი წერილებიც ახლდა გალაკტიონ ტაბიძისა და ალექსანდრე აბაშელის პირველ წიგნებს.

საუკუნის დასაწყისის პრესაში ქართული მწერლობის ორიენტაციის პრობლემებზე სხვაც მრავალი მსჯელობდა. სიმბოლიზმსაც ახსენებდნენ, მოდერნიზმსაც. მაგრამ მათ ნაფიქრალს რეზონანსი არ ჰქონია (აკაკი პაპავა, გიორგი ჭუმბურიძე, მიხეილ წულუკიძე, ვასილ წერეთელი, დავით კასრაძე...).

თაყისუფლების პროგრამა



არჩილ ჯორჯაძე 28 წლისა იყო, კლამს რომ მოჰკიდა ხელი, ხოლო 41-ისა გარდაიცვალა. ასე რომ, ამ აყადმყოფმა და მარტოხელა კაცმა ყველაფერი ცამეტ წელიწადში მოასწრო.

900-იან წლებში იგი იყო უაღრესად პოპულარული და დაფასებული პიროვნება. ილია ჭავჭავაძე მასაც შეეჯახა. მაგრამ არჩილი მაინც ილიას ხაზის ერთგული დარჩა.

არჩილ ჯორჯაძე, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან წამოაყენა საქართველოს თაყისუფლების პროგრამა, რაც გულისხმობდა რევოლუციით განახ-

ლებულ რუსეთის იმპერიაში საქართველოს ავტონომიას, პარლამენტურ მმართველობას.

დამოუკიდებლობაზე ფიქრს ვინ გაბედავდა.

ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნაც რადიკალიზმად მიიჩნდათ.

არჩილ ჯორჯაძე დაუცხრომელ მიღეაწეობას ეწეოდა როგორც პუბლიცისტი, ქართული აზროვნების ისტორიკოსი, ესთეტიკოსი. სწავლობდა კვაკერებისა და დუხობორების ცხოვრებას, ბუდიზმსა და რელიგიის ფილოსოფიურ არსს. ეხებოდა თეატრს, მუსიკას, ლიტერა-

ტურას, მხატვრობას, განათლებას. წერდა სადა, ნათელი სტილით, მაგრამ არა ესეისტიური არტიზმით.

იგი არ იყო სტილის ოსტატი.

არჩილ ჯორჯაძის ნაადრევი გარდაცვალება (1913 წლის 21 მარტი) ტრაგედია იყო ქართული პოლიტიკური ანროვნებისთვის. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ, რომლის იდეოლოგიაც მან შექმნა, ბელადის კულტი ბოლომდე შეინარჩუნა – 1923 წლამდე აღნიშნავდნენ მისი გარდაცვალების დღეს.

არჩილს ლექსებს უძღვნიდნენ ვაჟა-ფშაველა, იოსებ გრიშაშვილი, იროდიონ ედოშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე, ნოე ჩხიკვაძე...

არჩილის ხსოვნას ღრმა სიყვარულით აღსაესე წერილებით გამოცხადებულენ – გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იაკობ ნიკოლაძე, დიმიტრი უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ქვარიაძე, კიტა აბაშიძე, მიხაკო წერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი, აკაკი პაპაევა, სამსონ ფირცხალავე, ილო მოსაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სურაბ ავალიშვილი...

ამ სამთო ინჟინრის შვილს, კახელ თავადიშვილს, ბავშობაში ღამის ქართულიც დააეწედა და საკმაოდ გვიან დაიწყო მშობლიურ ენაზე წერა!

მაგრამ აღმოაჩნდა საოცარი რწმენა. ფანატიზმი, შრომის უნარი, დიდი ერუდიცია, რითაც მოხიბლა ამბიციური ქართველი საზოგადოება.

ინტელიგენცია მასზე დიდ იმედს ამყარებდა და გადაჭარბებულ პატივსაც მიაგებდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ დაუცხრომელ მოღვაწეს ტრაგიკული ცხოვრება არგუნა განგებამ:

ბავშვობაში ორი და წყალწითელაში დაეხრჩო, თავად თოფი გაუვარდა და მარცხენა ხელის მტევანი წაგლიჯა, მოუკლეს ძმა, სჭირდა ჭლექი, არ ჰქონდა ფული, არ ჰყავდა ცოლ-შვილი. თითქოს ცხოვრება მხოლოდ ტრაგედიას უმზადებდა.

იგი ავტორიტეტი იყო ახალი თაობისათვის, როგორც სპეტაკი სულის პიროვნება, პოლიტიკური ლიდერი და მრავალი ენის მცოდნე.

ამიტომ ახდენდა ზეგავლენას მათ ინტერესთა სფეროზე, მხატვრულ ფორმირებაზე, გემოვნებაზე, როგორც მოქალაქე და მოაზროვნე.

რწმენაშერყეულ ქართველობას იმედს უსახავდა, რომ ყველაფერი არ დაკარგულა. ხაზს უსვამდა ქართველი ერის უძველეს წარმომადელობას, მისი კულტურის სიდიადეს და თავისი დაუმცხრალი მოღვაწეობით სხვებსაც ნიმუშს აძლევდა.

ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმის დროშით – ეს იყო არ-
ნილ ჯორჯაძის დევიზი.

არჩილ ჯორჯაძე კარგად იცნობდა ფილოსოფიურ სისტემებს, მო-
დურ სახელებს. მაგრამ მსოფლმხედველობით ნეოკანტიანელი იყო. ამ
თვალსაზრისით ეხებოდა ლიტერატურასაც.

‘უარყოფდა „ჩენი ლიტერატურის სიკვდილს“ და იმედი ჰქონდა ლი-
ტერატურისა და ცხოვრების აყვავებისა. თუმცა აღიარებდა, რომ მწერ-
ლობა დაქვეითდა.

ასე წერდა 1908 წელს.

მისი დაკვირვების საგანი იყო ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარა-
თაშვილი, ბელი, უამლდი, არციბაშევი, ჰამსუნნი, იბსენი, ტოლსტოი
და დოსტოევსკი, ნიცშე და სოლოვიოვი, ბერდიაევი და ვაინინგერი.
უარყოფდა მოძალეებულ ეტიუდებსა და ესკიზებს, აღიარებდა ქართუ-
ლი პროზის სისუსტეს, რომელმაც ვერ მოგვცა ინტელიგენტთა ანუ
მოაზროვნეთა სახეები.

ჯერ კიდევ 1920 წელს შენიშნავდა მიხეილ აბრამიშვილი, რომ
არჩილ ჯორჯაძე სიმბოლიზმისკენ იხრებოდა.

მართლაც – იგი იმოწმებდა ენათმეცნიერ პოტებნიას, რომ ენა
ჩასახულია ინდივიდუალობის ირაციონალურ სიღრმეში.

ირაციონალობა რეალისტისა და მატერიალისტისათვის უცხო ცნე-
ბაა.

არჩილ ჯორჯაძე წერდა, რომ „*მთოლოგიური შემოქმედება ყოველთვის
სიმბოლოურია. ეს სიმბოლო აერთებს სიტყვას აღნიშნულ ირაციონალობასთან.*“

სიტყვა სიმბოლოდ მიაჩნდა, მაგრამ არა ლინგვისტური მნიშ-
ვნელობით. ხელოვნებას არ თვლიდა სინამდვილის ასახვად. ხელო-
ნება წარმოედგინა სინამდვილის აღმატებად და შეესებად. ამიტომ
გამორიცხავდა ხელოვნების უტილიტარულ გაგებას, რომ თითქოს
იგი უნდა ემსახუროს მოქალაქეობრივ და სოციალურ-პოლიტიკურ
იდეალებს:

„*ღაამწველით ხელოვნება „საგანთა სამეფოში“; აუკრძალეთ მას საიდუმლოების
ჭერება და ხილვა, იგი მეკლარი გახდება და თავის სიკვდილთან ერთად მოკლავს
პოეზიას და ოცნებას. ოცნება სინამდვილე არ არის და თუ გინდათ, რომ ხელოვნება
უსათუოდ სინამდვილე იყოს, ოცნების ფრთებიც უნდა მოაჭრათ ხელოვნებას.*“

ამიტომ გამართლებულად მიიჩნედა „*მშვენიერ მატყუერობას*“, „*მშვენიერ
სიცრუებს*“, იცავდა ირაციონალიზმს ხელოვნებაში. მაგრამ არასწორად
ქმედებოდა მშვენიერების რელიგიად დასახევა, რომელმაც შეიძლება
უარყოს მიწა და ხორცი. ხოლო სულიერი შემოქმედება ხორციულო-
ბასთანაა გადახდართული.

მის ნაწერებში გაერთა ა'სრი, რომ „სიკვდილია მთავარი პრობლემა ადამიანის სიცოცხლისა“; რაც სიმბოლიზმის ერთ-ერთი თქნა იყო.

არჩილ ჯორჯაძის ა'სრით. მატერიალიზმი არ ძეოფნის პოეზიას და მატერიალური გარემო არაა პოეზიის მთავარი ღერძი, რადგან სიცოცხლე უნდა გაეიგოს როგორც „ტანჯვა და მწუხარება“. ამიტომ განიხილავს ადამიანური ცხოვრების ტრაგიზმსა და პესიმიზმს, რაც დაუშრეტელი წყაროა ფილოსოფიისა და ხელოვნებისთვის.

განსხევებით მარქსისტებისაგან, ხელოვნებას იგი პარტიული ბრძოლის ნაწილად არ თვლიდა. ეს კი ნიშნავდა სიტყვის თავისუფლებას.

მისი ა'სრით, გენიოსი ლოგიკას არ ექვემდებარება. იგი წერს არა გარემოს კარნახით, არამედ – კანონს უწერს გარემოს.

არჩილ ჯორჯაძე ნათლად ხედავდა, რომ დამოუკიდებლობაწართმეული საქართველო მხოლოდ პოლიტიკურად როდი იყო იზოლირებული: „ჩვენ ნელ-ნელა სრულად მოეწყდით მსოფლიო აზროვნების ცხოვრებას და ეხლა, ხელმოკრვდ შობილთ, ვერ გეუბდება ისევ იმ ფართო ცხოვრების ფარგალში თების შედგმა“.

მაგრამ უყრო ტრაგიკული ის იყო, რომ ქართული კულტურა მოწყდა მ'შობლიურ ძირებსაც. ამის მაგალითად მიიჩნევს იოანე პეტრიწს, რომლის სახელიც დაქარგა საქართველომ და მხოლოდ ახლა აღადგინა ნიკო მარმა.

ეს უკვე ნიშნავდა ქართული სიტყვის განახლებისა და უნივერსალისების აუცილებლობას, მიბრუნებას შორეულ სათავეებთან.

როგორც ითქვა, არჩილ ჯორჯაძე არ ყოფილა ნიცშეს მიმდევარი, მაგრამ სიცოცხლის პრობლემაც გაიაზრა, რომელსაც ტრაგიკული უწოდა. გაიხსენა ნიცშეს მიერ წამოწეული და ვიანესლავ ივანოვის მიერ დეტალურად ახსნილი დიონისეს წარმართული რელიგია.

არჩილ ჯორჯაძე არც სიმბოლიზმის იდეოლოგი ყოფილა, მაგრამ ახალ ლიტერატურასე დაკვირვების მახეილმა ალლომ სიმბოლიზმადე მიიყვანა.

ლიტერატურის ემოლუციის პრინციპი

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ კიტა აბაშიძემ მხოლოდ ოთხი წელი იცოცხლა, მაგრამ მოესწრო როგორც რეალისტების სიცოცხლის დასასრულს (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლომოური, იროდიონ ევლოშვილი), ისე სიმბოლიზმის სკოლად გაფორმებას („ცისფერი ყანწები“). რაც მის თვალსაზრისს ადახტურებდა.

კიტა აბაშიძე გერმანულ აზროვნებას ეტკით უყურებდა. „კანტის



ბნელეთს" კრიტიკებოდა. სიბღაუვლა ფრანგული სულის არტისტიკაში, სინათლე და სიკვხადე. იგი ერთი წელი სწავლობდა პარიზში, მაგრამ ეს საკმაოდ აღმოჩნდა, რათა კრიტიკული ანალიზის ახალი მეთოდი აეთვისებინა.

ეს იყო ფერდინანდ ბრუნეტიერის ევოლუციის პრინციპი. რომელსაც ქართული ლიტერატურა მაშინვე გამოეხმაურა – 1894 წელს. ბრუნეტიერმა დარვინის „სახეობათა წარმოშობის“ მიხედვით სკვადა ლიტერატურის განვითარებაშიც ანალოგიური სურათი აღმოეჩინა.

კიტა აბაშიძეც თვლიდა, რომ ყოველი ლიტერატურული ჟანრი, გვარი, ფორმა იზადება, იზრდება და კვდება, რომ აქაც მოქმედებს ბუნებრივი გადარჩევის პრინციპი, რაც ნიშნავს ბრძოლას, ჭიდილს, მეტოქეობას.

კრიტიკოსმა ფრანგული მოდელი XIX საუკუნის ქართულ სინამდვილეს, ქართულ მწერლობას მორაგო.

ერთი საუკუნე კი ყოველთვის არ იძლევა მსგავსი მტკიცებებისათვის საჭირო მასალას.

კიტა აბაშიძის აზრით, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა გაივლის ევოლუციის ასეთ საფეხურებს: რომანტიკაში – რეალიზმი – ნატურალიზმი – ნეორეალიზმი – სიმბოლიზმი. მასზე ზემოქმედებს – რასა, გარემოება და დრო.

იგი ნეორეალიზმისად მიიჩნეოდა ალექსანდრე ყაზბეგს, სიმბოლისტად – ვაჟა-ფშაველასა და შიო არაგვისპირელს. ვაჟა სიმბოლისტად მოიხსენია ჯერ კიდევ 1897 წელს.

ცხადია, ვაჟა-ფშაველას და შიო არაგვისპირელის სიმბოლისტობა სწორი არ იყო. მაგრამ ევოლუციის თეორიის მიხედვით, ფრანგული ლიტერატურიდან გამომდინარე, საქართველოშიც უნდა არსებებოდა სიმბოლიზმი. არადა – როცა კიტა აბაშიძის „ეტიუდები“ იწერებოდა. საქართველოში ჯერ არავის სმენოდა „დაწყველილი პოეტების“ სახელი.

კრიტიკოსის თეორიული აზროვნება დროს უსწრებდა. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავდა, რომ სიმბოლიზმი საქართველოშიც უნდა განვითარებულიყო. მას სწორი წარმოდგენა არც ჰქონდა ამ ახალ მიმდინარეობაზე. მაგრამ სიმბოლიზმის აუცილებლობის მტკიცება განვითარების სტიმულს იძლეოდა. ცხადია, სიმბოლო და ალუგორია ეველა დროის

მწერლობაში არსებობდა და მხოლოდ ისინი არ ქმნიან სიმბოლისტურ ლიტერატურას.

კიტა აბაშიძე იცნობდა ყრანგ სიმბოლისტებს და ძნელი იყო მის შემოქმედებით პრაქტიკასთან ვაჟა-ფშაველას სახელის დაკავშირება. მაგრამ ეს სჭირდებოდა ევოლუციის თეორიის გასამართლებლად, რომ საქართველოშიც ევროპის პარალელური პროცესი მიმდინარეობდა.

ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობა თითქმის არაფერს გაიზიარა. მაგრამ სიმბოლისზმის პროპაგანდა, ვაჟას სახელის განდიდება შემოქმედებდა ახალთაობაზე, რომელსაც კრიტიკოსი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა, აქებდა და ათამამებდა.

სწორედ ევოლუციის პრინციპიდან გამომდინარე აუცილებელი იყო რეალიზმის დეკადანსის შემდეგ სიმბოლისზმის განვითარება.

ქართულ ლიტერატურაში ასეც მოხდა.

კიტა აბაშიძემ ახალგაზრდობას მიაპყრო შხერა.

ცდილობდა სიმბოლისზმი იქ აღმოეჩინა, სადაც არ ისმოდა გედის ფრთების შრიალი, რის გამოც შენიშენას აძლევდა უფროს კოლეგას გრიგოლ რობაქიძე.

წერილებს ბეჭდავდა არციბაშევეზე, ანდრევეზე, კუპრინზე; დიდებულ მწერლებად მიიჩნევდა სოლოგუბსა და ბრძუსოვს, ესალმებოდა „მზის მგოსანს“ – ბალმონტს.

იგი ხედავდა, რომ „საშინელი სისწრაფით“ წინ მიიწევდა რუსული ლიტერატურა.

მაგრამ ახალ ლიტერატურულ მიმართულებებზე ყურადღებას არ ამახვილებდა.

ადურთოვანებული იყო სანდრო შანშიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის პოეზიით. აფასებდა გრიგოლ რობაქიძეს, ნიკო ლორთქიფანიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, არისტო ჭუმბაძეს, ხელს უწყობდა კონსტანტინე გამსახურდიას...

კრიტიკოსი „ცისფერყანწელთა“ გვერდით დადგა, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი მათ ლანძღვა-გინებით იკლებდა. ამის გამო სოციალ-დემოკრატებმა ქუთაისის თეატრში სკანდალიც აუტყვეს.

„ცისფერყანწელბს“ მიწინააღმდეგენი დაცინვით ფუტურისტებს ეძახდნენ და არა სიმბოლისტებს.

კიტა აბაშიძე თავისი ესთეტიკით XIX საუკუნეს ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც ევოლუციის პრინციპის ერთგული, მხარს უჭერდა განახლებას, ახალ სახელებს და სიმბოლისზმს მიიჩნევდა ლიტერატურის ბოლო სიტყვად.

იგი 1917 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა, ხერხემლის ტუბერკულოზით, 47 წლისა, ისე, რომ ვერ იხილა თავისუფალი საქართველოს სამფეროვანი დროშა.

იმპრესიონისტის თვალით



არსილ ჯორჯაძე პარტიის იდეოლოგი იყო, კიტა აბაშიძე – კომერსანტი. ეს ფაქტი მათ ნააზრევს მეტ წონას აძლევდა. ხოლო გერონტი ქიქოძე ლიტერატორი გახლდათ, თანაც – არა კონცეფციების შემქმნელი. ამიტომ შემოქმედებით პროცესსე შესამჩნევი ზეგავლენა არ მოუხდენია. მაგრამ იყო დიდი ესთეტიკური კულტურის, პოლიტიკურ ორთბტრიალში ჩარეული ლიტერატორი და პუბლიცისტი.

„ეროვნული ენერჯის“ ავტორი არც საბჭოთა ეპოქაში გამოირჩეოდა თეორიების თხსვიტა და პროპაგანდით, სასოგადოებრივი ან მწერლური აქტივობით.

„იმპრესიონიზმი უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მხატვრობასა და ლიტერატურაში“, წერდა 1914 წელს „სახალხო გაზეთში“. როცა სიმბოლიზმი რუსეთშიც კი ზენიტს გადასცდა.

იგი ბოლომდე იმპრესიონისტად და ესსეისტად დარჩა, ვისთვისაც ერთი მეტაფორა ან სხარტი ფრაზა მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი თუორია.

გერონტი ქიქოძე ესთეტიკური კრიტიკის მიმდევარი იყო, რომლის ოთხ სახეს თავად გამოჰყოფდა – სოციოლოგიურს, ევოლუციურს, ფსიქოლოგიურსა და იმპრესიონისტულს.

შესაბამისად მათ ლიდერებად იხსენიებდა იპოლიტ ტენს, ფერდინანდ ბრუნეტერს, გეორგ ბრანდესსა და ჟიულ ლემეტრს.

ჟიულ ლემეტრის სტილი და აზროვნება იდეალად მიაჩნდა.

ხოლო ილია ჭავჭავაძისა და მთელი XIX საუკუნის ქართული კრიტიკა პუბლიცისტური იყო, ლიტერატურას სოციალ-პოლიტიკური კრიტიერიუმით აფასებდა, რაც რუსული მოკლენაა და ახალმა დრომ უარყო.

ასეთი კრიტიკის ნიმუშად ბესარიონ ბელინსკი ითვლება, რომელსაც მარქსისტები დიდ პატივს მიაგებდნენ.

გერონტი ქიქოძე, კიტა აბაშიძის დარად, ფრანგული კულტურის აპოლოგეტი იყო. წერდა ნატიფი მწერლური სტილით, იმპრესიონისტული თეალაახედვითა და სიმსუბუქით – გვიჩვენებდა, არ გვიმტკიცებდა, გვესაუბრებოდა – არ გეაძალებდა, ჭკერტდა და არ იკეღეღდა.

საერთოდ ესეუ ქართულ ლიტერატურაში მოდერნიზმს დაუკავშირდა. ესნებებს წერდნენ ეეროპაზე ორიენტირებული მწერლები და ლიტერატორები. პირველი ქართული ესსეები დაწერეს გერონტი ქიქოძემ და გრიგოლ რობაქიძემ.

ენა, ეროვნება, ესთეტიკური კულტურა – ეს ტრიადა იყო გერონტი ქიქოძის ადრეული ესსეების საგანი. იგი ხელოვნებაზე წერდა, მსჯელობისას უფრო მხატვრობისა და მუსიკის მაგალითებს იშველიებდა. იყენებდა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ცოდნას. მიუთითებდა თანამედროვე ადამიანის „სულიერ ობლობაზე“. მკითხველს სთავაზობდა კულტურის აღქმით მიღებულ შთაბეჭდილებებს, წამიერ განწყობილებებს, როგორც სიმბოლურ ხატებს:

„ამოცალეთ ნაპოლეონს დიდების სიჯარული, ჩეზარე ბოჯიას – შეუბრალელობა და მუხანათობა, ბაირონსა და ბართაშედის – მსოფლიო გოდება, შოპენაუერს – პესიმისტური მსოფლიო წყობა, კოროლიანუსს – სიამავე, ოტელოს – ბავშვური გულუბრყვილობა შვერთებული იტვიანობასთან და ველურ ენებათა დღევასთან, როჩარდ მესამეს – ავაზაკური გაიძფრობა, რომეოსა და ჯულიეტას – სოფარულის სინაზე განდევილს – სარწმუნოებრივი გრძობა, დიმიტრი თავდადებულს – სამშობლოს უზომო სიყვარული – და ხელთ შვერჩებათ სიწვილმანე იქ სადაც სიღიადე იყო, უფერულობა იქ სადაც მრავალფეროვნება ბატონობდა, უსახელო ადამიანი იქ, სადაც სახელაიანი და მრწყინვალე პიროვნება იყო. პიროვნება კუნძულია, კუნძული ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში და მისი საზღვრები იწყება იქ სადაც მისი გრძნობები იწყება“.

გერონტი ქიქოძის ადრეულ ესსეებში ხშირად იხსენიებიან – ეუნდტი, ჯემსი, ლიპსი, ლანგი, შოპენაუერი, ჰერდერი, ჰუმბოლდტი. მათი მუშევრებით არკვევს მშვენიერების იდეალს, ხელოვნებაში სილამაზისა და ტანჯვის ცნებებს, ტრაგიზმის გრძნობას.

მან დაუკავშირა ენა და ლიტერატურა ეროვნული ენერგიის ცნებას, რამაც პოპულარობა მოიპოვა; ლიტერატურაში ხედავდა ეროვნული შემოქმედების ძალას, რაც ხელს შეუწყობდა „ეროვნული ენერგიის გაღვივებას“. ისიც რწმენით უყურებდა ჩვენი მწერლობის მომავალს, მოელოდა მის აღორძინებას და ამისათვის უხმობდა რევოლუციური ტემპერამენტის ხელოვანს; მაგრამ გრძნობდა თანამედროვე ლიტერატურის იდეურ და ტექნიკურ სიღარიბეს, რეფორმის აუცილებლობას.

ამიტომ მოელოდა ხელოვნების ფანატიკოსებს, მოითხოვდა ტრადიციის დაძლეუას. არ აკმაყოფილებდა ლირიკით გატაცება. დეკადენტობას უარყოფდა. მშვენიერების იდეალად თვლიდა სინამდვილის ესთეტიკურ გარდაქმნას. ორიენტირად ესახებოდა ეეროპული კულტურა, XIX საუკუნის ხელოვნება.

გერონტი ქიქოძე არ ახსენებს რუს მწერლებს, არც რეალისტებს, არც სიმბოლისტებს:

„ფლობერმა, ზოლამ და მოასანამ ახალი რომანი შექმნეს, იბსენმა და მეტერლინკმა – ახალი დრამა, ბოდლერმა და გერლენმა საძირკველი ჩაუყარეს თანამედროვე ლირიკას, მანემ, სეზანმა და ვან გოგმა – მხატვრობას, როდენმა – ქანდაკებას, ვაგნერმა – მუსიკას. სხვებთან ერთად ამ ხელოვნებმა გარდაქმნეს სტილი, ფორმა, გადააბრუნეს ძველი ხელოვნების ნიადაგი და მასზე უხეად ნაყოფიერი იდეები განაბნიეს ჩვენთვის კი ეს სახელები და მოვლენები ან სრულიად არ არსებობენ ან თუ არსებობენ, ისე მკრთალად და ბუნდოვნად, თითქოს შორეული სიზმრის მოჩვენებანი იყვნენ“.

მას ამ „სიზმრის“ რეალობად ქცევა ეწადა.

1919 წელს გამოსცა ესეების კრებული „ეროვნული ენერგია“.

მაშინ უკვე კარგა ხნის დაბეჭდილი იყო ფრანგი ნაციონალისტის მორის ბარესის ტრილოგია „ეროვნული ენერგიის რომანი“.

გერონტი ქიქოძისათვის ლიტერატურის ევოლუცია იმპრესიონიზმით დამთავრდა. შემდეგ აღმოცენებული მიმდინარეობანი, გამოსწონილი სახელები მისთვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა.

პარადოქსული ფაქტი: გერონტი ქიქოძემ ვერ აღიქვა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია და კონსტანტინე გამსახურდიას პროზა!

XX საუკუნის დასაწყისში კი იგი იყო ქართული სიტყვის განახლების ერთ-ერთი მოციქული, სინათლისა და სიჯანსაღის მაძიებელი, რაციონალისტი ესთეტი და ესსეისტი. მაგრამ ახალი იდეების ქადაგება და დამკვიდრება არ უცდია. უფრო პოლიტიკური პრობლემები იტაცებდა, როგორც რედაქტორსა და დეკუტატს, ეროვნულ-დემოკრატიების ერთ-ერთ ლიდერს.

ალბათ ამიტომ იყო, რომ როგორც კი ჭაბუკი სიმბოლისტები გამოჩნდნენ, იგი წარსულს შეეფარა და თარგმანს მიჰყო ხელი. შემდეგ ბოლშევიკებმა პოლიტიკურ მსჯელობაზეც ააღებინეს ხელი.

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძის ეროვნული თავისუფლების პროგრამა, კიტა აბაშიძის ლიტერატურის ევოლუციის პრინციპი, გერონტი ქიქოძის იმპრესიონისტული სტილი და თვალთახედვა ერთმანეთს ავსებდა და თეორიულად ასაბუთებდა განახლების, მოდერნიზების აუცილებლობას

ეთნო-ნატურალიზმი

სამოციანელთა რეალიზმი ნელ-ნელა ნატურალიზმში გადავიდა, რომელსაც ეთნოგრაფიული ელფერი მიეცა. ეს პროცესი მეტყველებათა შიგ აისახა და ერთიანი ენა ლამის დაიშალა.

ხალხოსანი მწერლები სოფელს მიმართავენ, გლეხის ჭირ-ვარამს იზიარებდნენ (სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ყურ(ველაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური).

ეს თანაღმობა მათ ილია ჭავჭავაძისაგან გადმოეცათ, მაგრამ აკლდათ მხატვრული გაასრების მასშტაბი.

გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი ისევე თავიანთ კუთხეში ტრიალებდნენ.

დავით კლდიაშვილმა ალექსანდრ ოსტროვსკის კომედიების გავლენით შემოიტანა ქორწინების თემა, როგორც სტილური ხერხი, რათა აესახა თავადა-ინაურთა კლასის დეკადანსი, „შემოდგომის აზნაურთა“ აგონია.

ქალაქი და ინტელიგენტი წამიერად ჩნდებოდა ქართულ პროზაში. მაშინაც ხელოვანის ფიქრი სოციალურ საკითხს ვერ სცილდებოდა.

ნატურალიზმი იჭრებოდა დრამატურგიაშიც.

ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მთის რომანტიკამ და გმირულმა სულმა გაგრძელება ვერ ჰპოვა, რადგან მოდიოდა ურბანული დრო და მოსქონდა სხვა პრობლემები.

რეალიზმის ინერცია სუსტდებოდა (ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას, ლალიონი, ია ეკალაძე, იოსებ იმედაშვილი...). მას საქართველოში ვერც ახალგაზრდა მაქსიმ გორკის სახელი და პოპულარობა შეუღლოდა, რომლის გავლენა დაეტყო მიხეილ ჯავახიშვილის პირველ ნოველებს.

ყველა გრძნობდა, რომ ლიტერატურა ჩიხში მოექცა, თუმცა რამდენიმე ათწლეული ისტორიისათვის არაფერს ნიშნავს. თანამედროვე მოქალაქე მაინც ტრაგიკულად განიცდის მცირეოდენ რეგრესსაც. მას მუდმივი აღმასვლა სწყურია. ამიტომ გაჩნდა რეაქცია ეთნო-ნატურალიზმის წინააღმდეგ.

კრიტიკოსები გულმოდგინედ ცდილობდნენ ევროპული ლიტერატურის ანალოგია ჩვენშიც ეპოვათ. ასე, მაგალითად, გიორგი ჭუმბურიძე ბეჭდავდა წერილების სერიას – „*უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში*“ („სახალხო გაზეთი“, 1911, №№ 273, 274, 293, 295, 296) და „*ძველი პანგები და ახალი ფორმა ჩვენს მწერლობაში. დეკადენტობა-სიმბოლიზმი: დახასიათება და მოკლე ისტორია*“ („სახალხო გაზეთი“, 1912, №№ 586, 588, 590, 591).

იგი სიმბოლისტური დრამების ავტორებად მიიჩნევადა ს. გლახაშვილს, ნ. შიუკაშვილს, ალ. შანშიაშვილს, სიმბოლისტ პოეტებად – ს. შანშიაშვილს, ი. გრიშაშვილს, ალ. აბაშელს, გ. ტაბიძეს, იმპრესიონისტებად – შ. დადიანს, ნ. ლორთქიფანიძეს, ტ. ტაბიძეს, ს. გლახაშვილს...

ცხადია, მაშინ საქართველოში სიმბოლიზმი არ არსებობდა, ხოლო იმპრესიონიზმი მხოლოდ ფეხს იკიდებდა. მაგრამ კრიტიკოსი ვრძნობდა, რომ ირღვეოდა ძველი ხაზები და ჩნდებოდა ახალი კონტურები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შიო არაგვისპირელის ნოველები, ვასილ ბარნოვის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ჭოლა ლომთათიძის პოეტური პროზა, იოსებ გრიშაშვილის ლირიკა, უფრო ზუსტად – მათი შემოქმედების ის ნაქაღი, რომელიც დასცილდა რეალიზმის ტრადიციებს და ახალი დროის შესატყვისი აღმოჩნდა.

პირველი გენიალი



აკაკი წერეთლის სექტიკურ ღიმილს არ გაუკენწლავს მისი „ფსიქოლოგიური ეტიუდები“, რომელთაც ჩვენ ნოველებს ვეძახით.

ეს ბარდებისა და რაფსოდების შთამომავალი ისე აღტაცებით მიეგება მის გამოჩენას, როგორც წარსულის მოთაყვანე გრიგოლ ორბელიანი – აღექსანდრე ყაზბეგს.

შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) ნოველა მოასწავებდა ქართული პროზის ევროპულ ცვალებადობას, თუმცა თავად ავტორი „თერგდალეულთა“ და ხალხოსანთა მიწასე იღვას.

მწერალმა ვარშაიდან ბეთლის ბი-

ლეთთან ერთად ჩამოიტანა ეს უახლესი ჟანრი, რომელიც პოეზიაში სონეტს შეესაბამება.

კრიტიკის მიერ აღიარებული ბელეტრისტი ცხოვრებაში სეპედნიერი ვერ აღმოჩნდა: ხელი მოეცარა სიყვარულში და მთელი სიცოცხლე ვებტეკიმის არაპოეტურ პროფესიას ემსახურა. ხოლო მწერლობას მხოლოდ მოცლილობის ჟამს კიდებდა ხელს. მაშინაც პირქუში ბეთალის თვალით უყურებდა აღამიანთა ცხოვრებას.

მან ლოთობასა და სიყვარულის გმობაში კპოვა შეება. მთელი სიცოცხლე ემსახურა ამ ორ ბომონს და უიმედობამ ძალა ნადრეკვად გამოუღია.

ამიტომაც დუმდა დიდი ხნის მანძილზე.

მან თავისი თავი 90-იან წლებშივე ამოწურა და დარჩა XIX საუკუნე

ნის მწერლად: 32 წლის ახალგაზრდა ფაქტიურად ჩამოსცილდა ლიტერატურას.

შიოსაც გადმოეცა ილიას თაობისა და ხალხოსნების მიერ ნატარები სევდა და ნაღველით აუესო სული.

არც მას დაჰკლებია ციხის კედლების ხეხვა:

ბუნტარი სტუდენტი ცხრა თვე იჯდა ვარშაიისა და ქუთაისის საპყრობილეებში, ვიდრე გახდებოდა „ახალი სკოლის მეთაური“.

შიოს ნოველების მიღმა დგას კაცი, რომელიც დასცინის, ამცირებს, აუფასურებს ტრფიალების გრძნობას, როგორც ყალბსა და ნატყუარს.

ხან მსუბუქი მეღანქოლით იფარება მისი ნიჰილისტური პერსონა, ხანაც ბოროტი სიცილი მოგვესმის სტრიქონებიდან.

ქართულ მწერლობაში არაეის უწერია ამდენი და ესოდენი გზნებით სიყვარულის უარსაყოფად. თითქოს აღდგა თეოლოგიური შეგონება ქალის მაცთუნებელ ბუნებაზე ამ ღეთის მსახურის შეილის არსებაში, რომელსაც სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული.

მთიელი ბერა, ჭლექით სნეული, ციმბირში გადასახლების წინ, ერთი პეში ქართული მიწის გამო როზტკეეშ წამებით ევლება („მიწა...“). ეს მაშინ, როცა პოლონელ პშივალსკიზე შეყვარებული მარო ასე მსჯელობს:

„სადაც მე ვიქმნები, სამშობლოც იქ იქმნება“ („ჩემი სამშობლო ჩემი გულისა“).

მაროს გვერდს უმშვენებს ემმა ბოვარის მსგავსი ბათო მაყარაძე, რომლის დალატი მწუხარე ქმარმა მაშინ გაიგო, როცა ცოლის ცხედარს დასტიროდა („ქარი კი ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინაედა“).

მაგრამ არც კაცები იქცევიან უკეთესად (მაგ., ნოველა „ყველაი დავკარგე“).

შიომ სიყვარული სქესობრივ ლტოლვაამდე ჩამოიყვანა და მოაცილა საუკუნეთა მიერ გარსმოხვეული შარაენადელი.

რომანტიკულ სიყვარულს სცვლის რეალური გარყვნილება – ასეთი ცხოვრების ნატურალისტური პანორამა.

მწერალმა შემზარავი სურათები გვიჩვენა, რათა თანამედროვეთა ანგარება და ბიწიერება მოეტანა ჩვენამდე, რამაც მის ნაღველიან განწყობილებას შესძინა ნიჰილისტური ხედვა.

ამიტომ გადადის ისტორიაში. რელიგიაში ცდილობს კპოვოს შეება, სიკეთე და სიმართლე. მაგრამ იქაც დალატი და ვერაგობა სუფევს. იქაც ეჭვითა და გესლით ყოფილა ადამიანი მოწამლული.

თუ ქრისტე მისმა მოწაფემ გაჟიდა, თუ პეტრე მოციქულის გულში

უკმა დაიბუდა მაცხოვრის მიმართ, რა უნდა მოეთხოვოთ ჩვეულებრივ, მიწიერი ინტერესებით მოფუსფუსე ადამიანებს („იუდა“, „ჯეშმორიტად“)?

ისეთი სიყვარული, როგორც პოეტებს ეზმანებათ, მხოლოდ ზღაპარში შეიძლება არსებობდეს, – გვასწავლის „გაბზარული გულის“ ავტორი. ამიტომ დგას ქალ-გაჟს შორის ვიღაც მესამე, რომელიც შლის მათ ურთიერთობას.

უთერისა და მახარეს ტრფიალება ამაღლებული, ჰაეროვანი გრძნობაა, მაგრამ ეს ხომ ზღაპარში არსებული სიყვარულია. მას ხომ საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან, რომელმაც საწუთრო მოუშხამა მწერალს.

„გაბზარული გული“ დაიწერა თითქმის ოცწლიანი დუმილის შემდეგ.

ადამიანებს შორის სიყვარული გამქრალა, გრძნობა მხოლოდ ვაჭრობის საგანია, მაგრამ სათნოება და ურთიერთპატივისცემაც დაკარგულა.

ტექნიკურმა და პრაგმატიულმა დრომ მოიტანა მარტოობის თემა. მარტოობით განაწამები პიროვნების აპოლოგიაა „დიდუდა მარიამი და მისი ხატაურა“.

ნოველაში იგრძნობა მოახლოებული მოდერნიზმის სუნთქვა და თხრობაში შემოდის მისტიკური ხილვა, ჯერჯერობით რეალისტურ ხატვას რომ არ გასცილებია.

რომანტიკოსმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა იწამა საიდუმლო ენის არსებობა „უასაკოთა და უსულთ“ შორის.

ვაჟა-ფშაველას მინდიამ იცის ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა ენა და ეს ჯადოსნური ცოდნა სტანჯავს, ვინაიდან შეუძლებელი ყოფილა დარღვეული პარმონიის აღდგენა.

მაგრამ რაღა დროს სამყაროზე ფიქრია, როცა ადამიანი ადამიანისათვის გაუცხოებულია, სიყვარული გამქრალა და გული ნიჰილიზმის შხამს დაუგესლავს.

ცხადია, თუ „ღმერთი მოკლა“, როგორც იტყოდა ნიცშე, აღარც სიყვარული იარსებებს, რადგან, როგორც ამბობს სახარება, „ღმერთი სიყვარული არს“.

ადამიანი მაინც ეძებს სითბოს, ოღონდ არა მთქმეთა, არამედ – უენოთა შორის:

დიდუდა მარიამს სიმშვიდე დაერღვა, როცა ხატაურა მოიცილა. ნატრობდა. შუალაძეში თაგეებს მაინც ეხმაურათ, მაგრამ ხატაურას დიდი ხანია დაეფრთხო თაგეები. იგი თითქოს სტეფან მალარმეს მისტიკური ქაბაა – გასაგნებული ფიქრი, მარტოობით შობილი.

ქატაღა დარჩენია მარიამს, ღეთისმშობლის მოსახელეს, უკანასკნელ ნუგეშად ამ უღეთო სოფელში და ეს მცირე სიხარულიც შურთ ცრურწმენით დაბანგულ თანამომძიეებს და მას კუდიანობა დასწამეს.

ქატაც უფრო ერთგულია და მოსიყვარულე. ყიდრე ადამის ნაშიყრი, გკასწავლის შიო – კოშმარული ამბების მყისტორიე.

საღახ ალექსას მრავალი საქონელი დაუხსოვავს, ისე რომ ხელი არ ათრთოლებია. მაგრამ ერთ ღამეს ესისმრა, რომ ვითომ შვილი ხბოდ ქცეულა, თვითონ კი – ძროხად და ორიეე ერთად სასაკლავოზე დაკლეს.

მეორე ღღეს ხბო რომ დაკლა, ეს სიზმარი გაახსენდა, თითქოს საკუსთარ შვილს გამოჭრა ყელი („ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“).

კოშმარი და ნადველი ახალი ხელოვნების უღვეეი წყაროა. მაგრამ შიო არაგვისპირელს არ ქქონდა სიმბოლისტური ხედვა, სიმბოლისტური სტილი და ხერხების არსენალი, მაშინაც, როცა ცხოვრებას სცილდებოდა.

პარადოქსი: იმ დროს, როცა თავისუფალი საქართველო სისხლისაგან იცლებოდა, „მიწაას“ ავტორი „გაბზარული გულის“ ზღაპარს წერდა!

ახლა გაეხსენოს „ღვინის ქურდები“ – დავით კლდიაშვილი სეზური ნადვლიანი იუმორით დაწერილი ნოველა, რათა დაგეუფლოს ახრი – ადამიანი სასაცილო, უმწეო და საცოდავი არსებაა:

ელიბოს მარანს შუალამისას რამდენიმე ქურდი ესტუმრა, ღვინოს ჭაშნიკი აუღეს და ისე გაუტკბათ, რომ ღხინი გააჩადეს.

შეურაცხყოფილი, გათოკილი ელიბო შესცქერის ამ უცნაურ წვეულებას და ვერ გაურკვევია – მის მარანში ქეიფობენ ქურდები თუ მართალია მთერალი არიფიონი – ღვინის ქურდი ხარ, როგორ გაბედე და სხვის მარანში შეიპარეო!

ეს პიპერბოლიზება შიოს სტილის განუყრელი თვისებაა: მან ხომ პიროვნების არარაობის უფსკრულში უნდა ჩაგვახედოს.

ადამიანის უმწეობა და ნოველის ჟანრი – ეს არის შიო არაგვისპირელის შემოქმედების განმსაზღვრელი, რომლის შემდეგ იწყება ეტიუდების პერიოდი ქართულ პროზაში.

ქართულ-ბერძნული სამყაროდან წამოსული ტრადიცია მცირე ფორმის მოთხრობებისა (იოანე მოსხი – „ლიმონარი-სამოთხე“, VII საუკუნე) არაბული „ათას ერთი ღამის“ მეშვეობით გადაეცა რენესანსის ეპოქას და ჯიოვანი ბოკაჩიოს შემოქმედებაში „დეკამერონის“ ნოველებად იქცა.

თორმეტი საუკუნის შემდეგ კპოვა „ლიმონარის“ ავტორის მიერ აღებულმა გეზმა საქართველოში გამგრძელებული.

გათიშული გზები შეერთდნენ. გაწყვეტილი ტრადიცია აღდგა და ბიბლიით დაუკლებულმა მწერალმა პაგიოგრაფიასაც ხარკი მიაგო. ნაწარმოების ფორმა კი არა, სათაურიც ახალ და მოულოდნელ ელფერს იძენდა:

„მამას მიწა მიეყალებო“, „და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსაელებით“, „ბაღლი ყოფილხარ“, „ადე, ჩამოვიდა“, „მიწაა...“, „რა სიზლით მიცქერის...“

ხოლო შენიშენა „ფსიქოლოგიური ეტიუდი“ ისევე სადავოა, როგორც ბალზაის „ფილოსოფიური ეტიუდი“, თუმცა შიო არაგვისპირელი აქაც ახალ კარს უღებდა ქართულ პროზას და ამ კარიდან ევროპისაკენ ახედებდა ახალბედა თანამოკალმეებს.

შიოს გავლენით ჩნდებოდა ფსევდონიმები – აბაშისპირელი, ახოსპირელი. თურდოსპირელი, სობისპირელი... მაგრამ ამგეარ ფორმას არ ღებულობდნენ მოდერნისტები.

კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ მაშინ უარყო თავისი პირველი ფსევდონიმი – აბაშისპირელი, როცა მოდერნისტული კულტურა აითვისა.

შიოს შემოქმედება ადრევე იქცა წარსულად და თითქოს ასცდა ლიტერატურის მაგისტრალს, თითქოს შემთხვევით მოხვდა იგი აპოკალიპსურ ეპოქაში, რომელიც მის გულს არაფერს ეუბნებოდა.

ზეციური საპართველოს მსახური

ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) მამაც მღვდელი იყო. თავად დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია და აკადემია. მიუხედავად ამისა, მღვდელმთავრის კარიერას მასწავლებლობა არჩია. სამაგიეროდ რელიგიური განათლება კარგად გამოიყენა მოთხრობებსა და რომანებში.

ამ ფაქტმა განსაზღვრა მისი პროზის არსი.

ვასილ ბარნოვი თერგდალეულთა სამყაროდან მოდიოდა, ოღონდ საზოგადოებრივ პრობლემებზე მეტად სულიერი იდეალები აღელებდა.

ეთნოგრაფიზმი მასაც გადაწედა. მაგრამ თანდათან, თუმცა საკმაროდ გვიან, აუმხედრდა ეთნოგრაფიზმს, ნატურალიზმს, ყოფით და კუთხურ მეტყველებას.

მიუბრუნდა საქართველოს გარდასულ დღეებს, აღადგინა ძველქართული სინტაქსი და ლექსიკა, რომელსაც ბრძოლა გამოუცხადეს თერგდალეულებმა:

„რად მაცთუნე, სატანავ ბილწო? დამისახე დიდება ბრწყინვალე, გაშალე ჩემს

წინ ქვეყანა ჩემი ზღვიდან ზღვაშდის, აღმაღლულ ტახტი ჩემი უმაღლეს მწვერვალთა მათ თოვლიანთა, გაჟინე ჩემს წინ საუნჯე ხმელთა თუ ზღვათა, დამადგი თავსა ზედა გვირგვინი ქვისა პატიოსნისა, სანატრელ მქმენ დედათა შორის; ხოლო ნაცვლად მთხოვე მარგალიტი სიყვარულისა ქმნილი ჩემს გულში ნაჭურთაგან ჩემთა გრძობათა. ხომ მოგეც იგი მარგალიტი ობოლი და საღლა მეცრუვე? რა უყავ იგი აღთქმანი? რად გატეხე პირი, მარად თაღლითო?" („მომქრალი შარავანდელი“).

ეს სტრიქონები რომ ილია ჭავჭავაძეს წაეკითხა. არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს, ახალი თაობის მწერლებსაც შეიძულებდა.

ლიტერატურა აყრგდალეულთა გსით არ მიდიოდა.

1911 წელს ნიკო მარმა გამოსცა თავის მიერ აღმოჩენილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ათასი წელი მონასტრის მტვერი რომ ეფარა და რამდენიმე ბერის გარდა არავის წაეკითხა.


გიორგი მერსულემ მძლავრი ზეგავლენა მოახდინა ეასილ ბარნოეზე, მის მწერლურ სტილსა და ორიენტაციაზე.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ ეპიზოდზე ააგო თავისი საუკეთესო რომანი „ტრფობა წამებული“ (1918 წელი), რომელსაც ბეჭდავდა ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“.

თუ რეალისტები მატერიალიზმს ერთგულობდნენ, ახალი დროის ხელოვნებას მოჰყვა მისტიკური ბინდი და ქრისტეს აპოლოგია, ანტიქრისტიანული პათოსი და დიონისოს ნიცშესეული კულტი, პოეტური ნაკადის შემოჭრა პროზის სიერცეში და ენობრივი ექსპერიმენტები.

ეასილ ბარნოეის ცოდნა და თვალთახედვა უფრო მოდერნიზმისათვის იყო მისაღები. იგი არ მდგარა სოციალურ და ეროვნულ მიმოქცევათა ფარეატერში. ძველი საქართველო, ძველქართული ენა, პოეტური მეტყველება პატივისცემას იწვევდა ახალ თაობაში, მაგრამ მასას არ იზიდავდა. ამიტომ ადარებდნენ მოხუც ბარნოეს ტაძრის კედელზე შემორჩენილ ფრესკას.

მას თითქოს საუკუნეთა ნისლი ეხვია და არაფერი ესმოდა მშფოთვარე დღევანდულობისა. ნამდვილად კი როგორც მსოფლგანცდიით. ისე სტილით ახალი ესთეტიკური მოძრაობის წინამორბედი და თანაზ-



გზავრი იყო. ხოლო სიცოცხლის მიწურულს თავად მოგვექვლინა რუს-გორც მოდერნისტი (რომანი „არმაზის მსხვერვეა“, 1925 წ.).

ძველი საქართველოს დიდება და ტრაგედია რეალისტთა ოცნება-საც აღელვებდა (ილია, აკაკი, ვაჟა, ანტონ ფურცელაძე, სიმონ ქვარია-ანი, უიარაღო).

იგი იყო დაკარგული ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ფანტაზიაში ცოცხლობდა.

ვასილ ბარნოემა გარდასულ სამყაროსთან ჩატეხილი ხიდი აღად-გინა.

იგი ორმოცს გადაცილებული იყო, როცა მწერლობას მოჰკიდა ხელი. შეიძლება ამიტომაც ჭერეტდა სინამდვილეს უფრო განყენებუ-ლად, პრობლემების ჭრილსა და ფერად ნისლეულში, ვიდრე ნატურა-ლისტიკური სიზუსტით ან მკაცრი რეალისტური თვალთახედვით. იგი თავისი ასაკითა და დროითაც იყო შეზღუდული. ამიტომაც არ აღმოჩ-ნდა მოდერნიზმის პიონერი.

ღმერთი და ადამიანი, გული და გონება, კეთილი და ბოროტი, სიყვარულის ძალა და განგებისგან რჩეული პიროვნება, – აი, მისი პროზის საახროვნო იდეები, გადატანილი მეტწილად ისტორიის წი-აღში.

1913 წელს დაიწერა და 1914 წელს დაიბეჭდა „მიმქრალი შარავან-დედი“ – რომანტიკული წიგნი სიყვარულსა და მოვალეობაზე.

მაშინ ავტორი 57 წლისა იყო.

რომანი გეიმტიკებს, რომ ადამიანის ცხოვრებას წარმართავს გუ-ლი – გრძნობა და მისი უარყოფა ტრაგიკულად მთავრდება.

ამ წიგნით იწყება ვასილ ბარნოეის დიდი გზა ქართულ ლიტერა-ტურაში, რომანების სერიალი ისტორიულ თემებზე, უფრო სწორად – ცად აღელენილ სულებზე და არა დამიწებულ ძელებზე.

ბარნოეი თერთმეტი წლით უფროსი იყო არაგვისპირელზე, მაგრამ როცა იგი წერდა პირველ მოთხრობებს, შიო უკვე ამთავრებდა მწერ-ლობას (ბარნოეი არაგვისპირელს ასწავლიდა სასულიერო სასწავლე-ბელში, ისევე როგორც გიორგი ლეონიძეს).

თითქოს მასწავლებელი ბაძავედა თავის მოწაფეს.

ჯერ კიდევ 1912 წელს, როცა დაწერილი არ ჰქონდა უმთავრესი ქმნილებანი, მას ყურადღება მიაქცია გერონტი ქიქოძემ და სიყვარ-ულით აღსავსე წერილი მიუძღვნა („სახალხო გაზეთი“, 1912, №№ 596, 597).

მოხუცი მწერალი ახალი ენერჯით აღანთეს ჭაბუკმა მოდერნის-ტებმა, რომლებმაც თავიანთი პრაქტიკით დაარწმუნეს იგი, რომ „მიმ-ქრალი შარავანდედის“ კურსი სწორი იყო და მეტი სიახლე ახლდა.

ვიდრე რეალისტურ მოთხოვნებს (მაგ., „ისინი ცისკარი“, „თებერას დანიშნული“).

იგი თანდათან სცილდებოდა როგორც სინამდვილეს, ისე რეალიზმს.

რაც ასაკში შედიოდა, მით უფრო მძლავრობდა მასში მეტრული პროზა, პოეზიის ცეცხლი, ძველქართული ენისა და სამყაროს სტიქია, თბილისის აზრდილები.

ძლიერდებოდა გრძნობა და მკრთალდებოდა საგნების ხილვადობა, არადა თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო.

ძველქართული სამყარო მისთვის ირაციონალური, ზეციური ქვეყანა იყო, რომლიდანაც მხოლოდ ლანდები როდი ეშვებოდნენ. სოფჯერ სულიც სტოვებდა გარე სოფელს და ახალ სხეულად იბადებოდა (მაგ., „ტკბილ დუღუქში“).

ბარნოვის ძველი საქართველო – ეს იგივე გალაკტიონ ტაბიძის სამუდამო მხარეა, ფიოდორ სოლოგუბის იილე და ალექსანდრ ბლოკის უცხო ქვეყანა, რომელიც შორეთიდან ანათებს.

ერთი კრიტიკოსი წერდა 1919 წელს, ვასილ ბარნოვის პროზა დიდებულია, მაგრამ მწერალს მოერია ასაკი, შეუწეულდა ენება და გრძნობათა გამოსაწვევად მეტყველებს ხელოვნური სიტყვებით.

ნამდვილად კი ეს იყო მოდერნისტული ესთეტიზმის ზეგავლენა, ახალი ჟამის შესატყვისი. იმასაც შენიშნავდნენ, რომ ვასილ ბარნოვს აკლდა „*დეკადენტური ინტრიგა*“ და გამოჰყავდა „*ფიზიკურად ჯანსაღი, გონებრივად ფხიზელი*“ პერსონაჟები. მაგრამ XIX საუკუნის რეალისტებისაგან განსხვავებით, უფრო პიროვნების მხატვარი იყო, ვიდრე სასოგადოებისა.

უცნაური ფაქტი გახლავთ ის, რომ ბარნოვის მეგობარი იყო დავით კლდიაშვილი. ისინი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ როგორც მწერლობით, ისე გარეგნობით, ტემპერამენტითა და ბიოგრაფიით.

როცა ვასილ ბარნოვს იუბილე გადაუხადეს, სახელმწიფო თეატრის სცენაზე მხცოვანი მწერალი გამოიყვანეს ეკატერინე გაბაშვილმა და დავით კლდიაშვილმა, რომელმაც სიტყვითაც მიმართა მას.

ვასილ ბარნოვს არ განუცდია ბოლშევიკური რეჟიმის სუსხი და კოშმარი, თუმცა მენშევიკები პატივს სცემდნენ და იუბილესაც უხდიდნენ.

იგი მიესალმა მოძალადე ხელისუფლებას.

ამიტომაც აიყვანეს მოაწმინდასე და თბილისის ყველაზე გაწეული ქუნას დაარქვეს მისი სახელი.

პოეტი - ტუსალი



თუ ვასილ ბარნოვი თითქოს შუასაუკუნეებში იშვა და ზეციდან ჩამოვარდა, ჭოლა ლომთათიძემ ბორკილებითა და სისხლის ხველებით განვლო ნუთისოფელი. იგი ჰგავდა სიმბოლისტთა პერსონაჟს, თუმცა სოციალ-დემოკრატი იყო და წმინდა ხელოვნება არ სწამდა.

ჭოლას ცხოვრება ბრძოლისა და ტანჯვის ლეგენდაა: იგი იყო რევოლუციონერი, რსდმპ IV და V ყრილობების დელეგატი, რუსეთის იმპერიის II სახელმწიფო სათათ-

ბიროს წევრი, მაგრამ 1907 წელს სათათბირო გარეეკეს და ყველა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი დააპატიმრეს.

მას შემდეგ თავისუფლება არ ჰქონდა.

ჭოლას მშფოთვარე ცხოვრებაში ფატალური როლი შეასრულა ორმა ქალმა - დედამ, ეროდინე ნიკოლაიშვილმა და ცოლმა - ელისაბედ (ცილია) გიდე-რინსკაიამ.

დედა, რომელიც ძლიერ ჰყვარებია, ადრევე გარდაცვლილა და მწვავედ ჩარჩა მესხიერებაში.

დედისგან გადმოეცა საუკუნის საშინელი სენი - ჭლექი.

მამამ, რომელსაც „გულქვასა და სასტიკს“ უწოდებდა, მეორე ცოლი შეირთო და ჭოლა სახლიდან გადაიკარგა.

ამ ფაქტმა მიიყვანა „მესამე დასელებთან“

რევოლუციის ტალღამ კი გადააგდო ნოვოროსიისკში, სადაც გაიცნო და ცოლად შეირთო 18 წლის ცილია გიდე-რინსკაია. მაგრამ მალე ჭოლა დაატუსაღეს და ციხის კოშმარი ჯოჯოხეთად უქცია ჯერ ეჭვმა და შემდეგ - რეალობამ.

ციხის ბნელში ჩაკეტილს ეჩვენებოდა, რომ ცოლი ჰლაღატობდა. არადა - ეს ყმანვილი ქალი, რომელიც ახალი შერთული ჰყავდა, წლების მანძილზე უკან დასდევდა პატიმრის ეტაპებს და ბინას იმ ქალაქში ქირაობდა, სადაც ჭოლა გადააყავდათ.

ცოლის მეტი არავინ მზრუნველი არ ჰყავდა და ბოლოს მუდმივი ეჭვიანობითა და გამომწვევი ქცევით ისიც დაჰკარგა:

ცილია ცოლად გაჰყვა ადვოკატ რუბენ კატანიანს, რომელიც 30-იან წლებში იყო სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილე.

მიუხედავად ამისა, ეს უკრაინელი ებრაელი ქალი, ვინც ცნობილი მოღვაწე გახდა და მეგობრობდა ნადეჟდა კრუპსკაიასთან, სიკვდი-

ლამდე ატარებდა ლომთათიძის გვარს.

ჭოლას შერჩა დანყვეტილი ნერვები და „დაცხრილული ფილტვები“ ამიტომ სიმბოლისტის მსგავსად ზღვარი ეშლებოდა ცხადსა და ზმანებას შორის, დეპრესიით გაოგნებულს:

„შეიძლება სიზმარში ენახე პირველათ მე ეს სურათი, მაგრამ შეიძლება არც სიზმარი ყოფილა ეს. შეიძლება აღელვებული, ამდგარი ხალხი რომ დავინახე, მე მაშინ მომელანდა ეს სურათი, ან და მაშინ, როცა ერთმა ჩემმა მასწავლებელმა ერთხელ ძაღლის ენა უწოდა ჩემს დედა-ენას“

ცხადია, ეს „მასწავლებელი“ რუსი იქნებოდა!

„ძაღლის ენას“ ეძახდა ქართულს კონსტანტინე გამსახურდიას მასწავლებელი გიმნაზიაში – კუსტინოვიჩი, სტალინის მასწავლებელი ლაეროვი, მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი – რუსი კაპიტანი.

ჭოლა 1915 წლის ნოემბერში გარდაიცვალა სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარში, ჭლექით სნეული და სასონარკვეთილი, დღეში სამჯერ რომ ანთხევდა სისხლს.

მხოლოდ სიკვდილის წინ გაიხსენეს იგი და ტრიუმფით დაკრძალეს, როგორც მეამბოხე. ათი ათასი კაცი მიჰყვებოდა მის ცხედარს კუკიის სასაფლაოსკენ.

ჭოლას გარდაცვალებას მთელი იმპერია გამოეხმაურა.

ამ რევოლუციის რომანტიკოსმა საპყრობილის კედლებში შექმნა თავისუფალი სულის ლირიკული პროზა, წამოსწია პიროვნული „მე“, ფსიქიკური კონფუსიები სიკვდილის წინაშე მდგარი კაცისა, ვინც არ დაემონა ბედისწერას და რომაელივით მამაცურად დაეცა.

ასეთი პეროიკა მსჭვალავს ჭოლა ლომთათიძის მოცახცახე სტრიქონებს, რომელთა საფუძველი იყო რევოლუცია, არა ესთეტიზმი ან მარადი კაემანი.

მისი საუკეთესო ნაწერები აღსავსეა ლირიკული ტირადებით, ასოციაციებით, მძაფრი განცდებით, რომელთაც პატიმარი გადმოგვცემს, ოთხკედელშუა მომწყვდეული, მეოცნებე და გულგაპობილი – „სახრჩობელას წინაშე“ (1907), „საპყრობილეში“ (1909), „უბის წიგნიდან“ (1910), „პირველი მაისი“ (1911), „თეთრი ლამე“ (1911).

ჭოლა ლომთათიძემ თავისი ბიოგრაფია, ნუხილი და ოცნება აქცია პროზად, რომელსაც მისცა აღსარებისა და დღიურის ფორმა.

„სულით ობოლი და უბედური“ ორ სამყაროს ხედავდა – ციხესა და გარე ქვეყანას, რომელსაც სამუდამოდ მოწყდა.

ციხის სინამდვილე სასტიკი იყო, ციხის მიღმა – ლამაზი და მშვენიერი.

საპურობილე - ეს იგივე სიმბოლისტიკის კომმარი, პალუცი-
ნაცია და სიმახინჯე იყო.

საპურობილე იტევდა ედგარ პოს ნოველების საშინელებას და
„ყორანის“ სიკვდილის სიმბოლიკას, რაც მთელმა ევროპულმა
მწერლობამ აიტაცა და რუსეთის იმპერიაშიც შემოატანა. მაგრამ
ახალ დროს კომმართან ერთად მოჰქონდა ლირიზმი, ადამიანური
გულის სიტბო.

ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის კნუტ ჰამსუნის პროზაზე და ჭოლა-
სათვის მოგონებებს, გარესამყაროს მონატრებას უკავშირდებოდა.

ნორვეგიელი პროზაიკოსის პერსონაჟები პოეზიაშიც იჭრებოდნენ
(ტიციან ტაბიძის ილაიალი, კონსტანტინე ჭიჭინაძის დაგნი).

მარქსისტ ჭოლას იტაცებდა ახალი სახელები, მაგრამ არც
თავისი სოციალური წარმომოხა ავინყდებოდა. ამიტომ აიღო
ფსევდონიმად სპირიდონ მცირიშვილი, ეგნატე ნინოშვილის პერსო-
ნაჟის სახელი, რომლის პროტოტიპი თავად ეგნატე იყო.

სპირიდონ მცირიშვილი ჭოლას პერსონაჟიცაა - ტუსალი და
ჭლექით სნეული.

ასე გაერთიანდა მწერლის ფიქრებში რამდენიმე დამარცხებული
პროტესტანტის სახელი.

1907 წელს დაინერა და დაიბეჭდა „სახრჩობელას წინაშე“ - სიკვდილ-
მისჯილი სოციალ-დემოკრატის, განწირული კაცის მონოლოგი.

ეს კაცია ჯეირან ვარდოსანიძე - მწერლის ალტერ ეგო.

ამ მოთხრობით იწყება XX საუკუნის ქართული პროზა.

ასეთი ნერვიული კონველსია და თრთოლვა უცხოა დინჯი,
ეპიკური, რეალისტური პროზისათვის, რომელსაც შესჩვეოდა
ქართველი მკითხველი:

*„რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ვიცოდე - სიკვდილის შემდეგ დედა
დამიტირებს: - შვილო, ჯეირან შვილო, სიმწრით გამოზრდილო შვილო!*

*მაგრამ ჩემს ცხედარს არ გაეკერის დედაჩემის მოყვარული ხელი, მას
არ გაეახსენდები რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც ის ახსოვდა ბები-
აჩემს, არაჲინ დააფრქვევს ჩემს საფლავს მწუხარე ცრემლს, ცრემლს
უნუგემო დედისას ვერ შეიშრობს ჩემი სასაფლაოს შინა“.*

არც ასეთი სევდის მომგვრელი, გულისმომკვლელი სიტყვებით
უნერიათ:

*„დადგა შემოდგომა. მე კი ჩქარა მოეკედები! ეს იმიტომ, რომ არაჲის
უყუყარეარ, არაჲის! ავათ როდი ვარ, როდი ვნუეარ, ისე, ფეხზე ვჭკნები. ეს
იმიტომ, რომ არაჲის უყუყარეარ, არაჲის! და მე ჩქარა მოეკედები, იმიტომ,
რომ არაჲის უყუყარეარ. დილიდან საღამომდე, ძილში თუ ცხადში ყოველ
წუთში მე ვგრძნობ, რომ არაჲის უყუყარეარ, რომ ჩქარა მოეკედები.*

Где твое личико смуглое,

Нынчә смеется кому'.

ახალი დროის ეგზალტირებულ სულს მოერგო ამ ფიცხი, ჭირვეული გურულის ხასიათი.

იგი მოდერნისტი არ ყოფილა. მსოფლმხედველობით მარქსისტად დარჩა, თუმცა სიმპათიით ახსენებს ნიცშეს, „თეთრ ღამეს“ ეპიგრაფად ურთავს ედგარ პოს სტრიქონებს, მაგრამ სწამს, რომ სიტყვები ვერ გამოსთქვამენ გულის ნადებს.

ცხადია, ხელოვნებაში მთავარია არა მსოფლმხედველობა, არამედ – სტილი, მასალის შერჩევა და დამორჩილება, ხედვის ობიექტი – ადამიანი.

„თეთრი ღამის“ ავტორის შთაგონებას ზღუდავდა მარქსისტული თვალსაზრისი, ის წრე, რომელიც რევოლუციით ცოცხლობდა და ხელოვნების იდეალები არ აინტერესებდა.

ჭოლა ლომთათიძის ასოციაციურ პროზაში აისახა რეალისტური, ეპიკური თხრობის რღვევის პროცესი. დაიშალა ეპიკა, გაუქმდა ტიპი, შეიცვალა ხასიათი, ობიექტივიზმს შეენაცვლა სუბიექტივიზმი, გარემოს აღწერას – მონოლოგი და აღსარება, მრავალპლანიან თხრობას – ასოციაციები (ცხადია, საუკეთესო მოთხრობებში).

სევდა, მარტოობა, სიკვდილი და სასაფლაო არ სცილდება მის სტრიქონებს, რომელთა დაძლევას სტოიკური სულით, ბრძოლის პეროიკით, გამარჯვების რწმენით ცდილობდა (როცა თოვს და ნისლს ქარი არხევს, სასაფლაოს ქვები ადამიანებად მეჩვენებიანო, წერდა როგორც კნუტ ჰამსუნი).

იგი იდგა მოდერნიზმის ზღვართან, რომელიც ბევრს უფსკრულად წარმოედგინა. ზოგჯერ სტიქიურად წერდა, როგორც „დანყველილი პოეტების“ თანამგზავრი, მაგრამ აკლდა სიმბოლისტური კულტურა და ტექნიკა.

როცა სოციალ-დემოკრატები პარტიულ ჟარგონს, ხოლო სიმბოლისტები აპოკალიპსურ სტილს ამკვიდრებდნენ, ჭოლა წერდა სადა, ბუნებრივი ენით და ასე აღწევდა ლირიზმს.

ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილიც კი, ენის სტილიზებას მიმართავდნენ, რათა სიტყვის თავისთავადი სილამაზე და ენერგია გვეგრძნო, როგორც მზის აღმური.

ჭოლა არც აზრობრივ და სიუჟეტურ სირთულეს ესწრაფოდა. თეთრი ღამეების სევდა, მარტოობა, ფიქრი სიკვდილსა და სიცოცხლეზე, რევოლუციის რწმენა იყო მისი შემოქმედების მასალა,

სტიმული და შთაგონება. რომელთაც გადმოსცემდა ანთებული, ნერვიული სტილითა და ასოციაციური კომპოსიციით, ტრაგიკული გრძნობით, ზოგჯერ სასოწარმკვეთი ხმითაც:

„თეთრი ღამე!

რამდენი წელია ეიმყოფები თეთრ ღამეში და არა ჩვეულებრივი მზე, არა ჩვეულებრივი მთვარე მინათებს მე სიბნელეს, არამედ ერთი გაუთავებელი, უკიდო და უძრავი თეთრი ღამე.

ჩემი მზე მკედრის მზეა!”

ასე ფიქრობდა ჭლეკით, ეჭვით, უძილობით გაწამებული კატორღელი რევოლუციონერი, რომელსაც არც ციხის ჯურღმულში დაეიწინია თავისი „დანგრეული სამშობლო“, რუსთაყელი, თამარი და ქეთევან დედოფალი.

სიცოცხლისა და ადამიანური ღირსებისათვის იბრძოდა, მაგრამ სიცოცხლის წყურვილს სპობდა სიკედილი, რომელიც მისი ცხოვრების ხილული თანამგზავრი გამხდარიყო:

„გასანთლული ბაწრით დამახრჩობენ მე განთიადისას. საუკუნოთ დამაძინებენ იმ დროს, როცა ეველაფერი იღვიძებს, განთიადზე დამახრჩობენ მე— მოვა მღვდელი, მოვა მღვდელი ჯვართი ხელში, ანაფორით მორთული, თმაგამლილი და მოწყენილი სახით, ჯვართი ხელში მოვა მღვდელი. მე დამახრჩობენ—“

როგორც მწერალს, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრობა დაშენდებოდა. მაგრამ მეოცნებე ნიამორებმა არ აიტაცეს მისი სახელი. ეს მაშინ, როცა ჩატერტონი, ვერლენი, რემბო, მანაბელი თუ გურიელი, წამებულნი თუ ადრე წასულნი, გაამითეს.

აღბათ იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატი იყო, მარქსის იდეების მიმდევარი, რომელსაც უკანასკნელ ნატვრად ჰქონდა — „ცოცხლობდეს პროლეტარიატი“!

ბედის ირონიით, იგი — რევოლუციის რომანტიკოსი და მსხვერპლი, არც ბოლშევიკებმა მიიღეს, რადგან მენშევიკი იყო და კარგად იცნობდა პლეხანოვს; ჟორდანისა, წერეთელს, რამიშვილსა და ჩხენკელს, თუმცა მათთან კონფლიქტიც ჰქონდა.

ჭოლას დენა სიკედილის შემდეგაც გაგრძელდა. 1937 წელს დააპატიმრეს მისი ერთადერთი შვილი — ჭოლიკო. იგი რეაბილიტაციას მხოლოდ 1956 წელს უღირსა. აღბათ ახსოვდათ, რომ მამამისი პარტიის ყრილობებზე სტოკჰოლმსა და ლონდონში არაერთხელ შესჯახებია ლენინს, სტალინსა და ლუნაჩარსკის.

ასევე პირისპირ და დაურიდებლად აკრიტიკებდა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მრისხანე სტალინის, ცნობილ კადეტს ექს-მინ-კარავაევს.

ჭოლა ლომთათიძის სოგი საუკეთესო მოთხრობა (მაგ. „პირველი მაისი“) მწერლის სიცოცხლეში არც დაბეჭდილა. ესეც ხელს უშლიდა მის პოპულარობას, თუმცა ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და დემნა შეჩვავა დიდ პატივს სცემდნენ ამ „დატყვევებულ არწივს“, ხოლო ნოე ჟორდანიძე „ჩვენს გამსუნს“ უწოდებდა.

იგი პოეტს იყო, მაგრამ მოთხრობებს წერდა.

თავისუფლებისთვის იბრძოდა და ჯილდოდ ციხე და ბორკილები ერგო. მაგრამ როგორც მწერალიც ტუსადი იყო – რევოლუციური იდეათა ტუსადი. ამიტომ ჩარჩენილია ასე მწარედ მეხსიერებაში დემონსტრაციის მოკლული ბავშვის დედის სიტყვები:

– „ღმერთო, ნუ გაუმარჯვებ სოციალ-დემოკრატებს!“

ქვეყანას მოწყვეტილი და საწერ-კალმის ამარა დარჩენილი, ჩონჩხადქცეული კაცი გრძნობდა, რომ მწერლობას ახალი გზა უნდა ეპოვა – „ჭაჭაეაძე-წერეთლის ნასუფრალით იკვებებიან ჩვენი მულკსებო“; სწუხდა.

ჭოლას არც გიმნაზია დაუმთავრებია, არც სემინარია. მისი სკოლა და უნივერსიტეტი პარტიული დისკუსიები და ციხის ბნელი საკანი იყო.

ლიტერატურისათვის მხოლოდ აქ მოიცალა.

იგი ყველასათვის ზედმეტი იყო და საყოველთაო სიყვარული, დაფენა და ვარდი მხოლოდ სიკვდილით კპოვა, რომელიც მას შავი, ახმახი ბებრის სახით ელანდებოდა.

რლვევის მხატვარი

*„ხარ მოუღვარე ვით სატვეარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც მწვეარი,
ლეკსი გააუკო ბუნებით ბატონს“.*

ასე მიმართავდა 1918 წელს პაოლო იაშვილი, „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი ლიდერი, ნიკო ლორთქიფანიძეს, ძველი ფეოდალური გვარის შვილს.

თუ ჭოლა ლომთათიძის პროზა ჭარბსიტყვაობით გამოირჩევა, ნიკო ლორთქიფანიძე ზუსტია და ლაკონიური.

ჭოლა ლომთათიძე სტიქიაა, ნიკო ლორთქიფანიძე – ოსტატი.

ნიკო ლორთქიფანიძე მწერლობაში 1908 წელს შემოვიდა, როცა დაბრუნდა ავსტრიიდან, სადაც სამთო აკადემიაში სწავლობდა.

მაშინ უკვე იყო პოპულარული ეტიუდი, ესკიზი, მინიატურა – მარტივი, მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებები, თუმცა აკლდა ექსპრესია და დინამია.



როგორც ჩანს, მასზეც საკმაოდ სუგავლენა იქონია შალვა დადიანმა – მწერლის დეიდაშვილმა, რომელიც „ნამოკრულებს“ წერდა.

ნიკო ჯერ ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ როგორც ყოველი ქართველი, ისიც ბუნტარი აღმოჩნდა. ამიტომ გარიცხეს და ციხეშიც ჩასვეს.

ამის შემდეგ რუსთ იმპერიაზე გული აიყარა და ავსტრიას მიაშურა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თითქმის მთელი სიცოცხლე გერმანული ენის მასწავლებელი და ლექტორი იყო, შორიდან შეკრებებდა მშფოთვარე ეპოქას.

ნიკო ლორთქიფანიძემ მინიატურა იმპრესიონისტული თვალთახედვის ჟანრად აქცია, არტურ შნიცლერისა და პეტერ ალტენბერგის მსგავსად დაუმორჩილა იდეას, სიმბოლოსა და ალეგორიას. თავისთავად მინიატურა თუ ეტიუდი მხოლოდ დეტალია და ეფექტს მოკლებულია, მაგრამ როცა იდეას ატარებს, ეძლევა აზრი და ღირსება.

ავტორის პოზიციას ამჟღავნებს ცალკეული ციკლების სახელწოდებანიც – „სულიერი განწყობილებანი“, „ესკიზები“, „სევდიანი ნახატები“, „საშობაო მინიატურები“...

მინიატურებიდან ყველაზე მეტად ცნობილია „გული“ (1910) და „საქართველო იყიდება“ (1910), რომელთაც ძალას აძლევს პატრიოტული სული.

1878 წელს გრიგოლ ორბელიანი სწერდა ივანე ორბელიანს:

„უხეჭუშიდამ გვეცლება მიწა და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის; ჩვენი საყაფო ლანიშვილო მამული ერთიანად იყოლება; განქარებული მოგედგვენ სოლოღაანნი, ჭავჭავაძიანნი, ანდრონიკაანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერისთავიანნი და სხვანი იყოლება მამუკას შვილის კოტეს მამული, იყოლება დავით ჭავჭავაძის სახლკარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი და ერთის სიტყვით, იყოლება თითქმის მთლიანად საქართველო“.

ცხადია, მოხუცი გენერლის ამ ბარათს ნიკო არ იცნობდა, მაგრამ მწარე სინამდვილემ ასეთივე სიტყვები აოქმევეინა და სუსტი დიაგნოზი დაუსვა ქართველთა ყოფას.

მინიატურის ჟანრი იყო უარყოფა რეალისტური ეპიკისა, დაშლის

პროცესის წარმოდგენა. მას ეერ ექნებოდა მძაფრი სიუჟეტი, დრამატული ხასიათები, რაც კრიტიკამ ჩყისეე „შენიშნა (მაგ., აკაკი პაპაიას წერილი – „ჩენი ახალგაზრდა პოეტები და იმპრესიონული მეთოდო“, „სახალხო გასუთში“ დაბეჭდილი 1911 წელს).

ცადკეული მინიატურები გამართულია ათმარცვლოვანი სახომით („რა მენადლეება, მე რომ მიყვარდე“, „ბაღია“, „ორი გზა“, „შენსე ცუდს მაინც ვერაფერს ეიტყვი“, „შემომქმედი ძალა“, „წინათ და ახლა“...), თუმცა ეს უფრო ლექსის იმიტაციას, რადგან აკლია ემოციურობა და დრამატიზმი.

მეტრულ პროზას ვერც მოგვიანებით ელეოდა (მაგ., ნოველა „ერთი დრამის ეპილოგი“). სოგ მათგანში ფრიდრის ნიცშეს ხმაც მოგვესმის. მაგ., „მოკლეს ღმერთი“ (1911), რომელიც ეხმინება ღმერთის სიკედილის იდეას:

„ღმერთი მოკედა კაცთა გულში. მოკედა ღმერთი და დაღუბა ბუნება“, – ასკენის აეტორი მას შემდეგ, რაც დაამსხვრიეს წარმართული ქანდაკი და სიცოცხლემ აზრი დაქარგა.

ერთ ნაწარმოებს ეპიგრაფად უძღვის ოსკარ უაილდის სტრიქონები, მეორეში ნართულია ამავე აეტორის მინიატურა.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები შინაგანი ღელეით ვერ შეედრება ჭოლა ლომთათიძის პროზის ლირიკულ პასაჟებს. მათში უფრო მშვიდი, წყნარი ხელოვანი ნანს, მჭერეტელი და წუთიერ შთაბეჭდილებათა ფიქსატორი, რომელსაც არ იზიდაეს პრობლემების მრავალფერი გამა.

ახალი სტილის თვალსაზრისით საინტერესოა „უიალქნოდ“ (1910) და მინიატურების ციკლი „პანაშვიდი“, რომელიც ძირითადად 1908-1910 წლებში გამოქვეყნდა.

„უიალქნოდ“ ფაქტიურად მინიატურების გაერთიანებაა, რომელთაც პერავს საერთო სიუჟეტი. მას საბჭოთა ლიტერატორები დეკადენტურს უწოდებდნენ და ერთხმად კილავენდენ.

ლაზარე კვიხაშვილი მართლაც დეკადენტი, რომელმაც ცხოვრების ზღვაში უიალქნოდ იხეტიალა. იგი ერთი შემთხვევის გამო გალოთიდა და მაწანწალად იქცა. მას, რედაქციის შავ მუშას, ეწვია მისებრ დეკადენტი – „წერილი, მაღალი, გამზმარი, ნამდილი ძვალტყავა ადამიანი“ და ხელნაწერი გადასცა. რომელიც არ დაბეჭდა რედაქტორმა და დარსა მიცეალებულის ოთახში.

„მე ცოცხალი ვარ, რადგან მოკედი“, – წერს სეედიანი უცნობი ლანდი, რომლის უპატრონო ნაწერები მინიატურების კრებულია, ალაგალაგ თყართი ლექსით გამართული. გალოთების, დაეჭვებისა და სულიერი დადლილობის დოკუმენტი.

ირღვეოდა ძველი პროზის სტრუქტურა, დინჯ, ეპიკურ თხრობას სცვლიდა ნერვიული, აქარებული ეპოქის ტელეგრაფული სტილი. მაგრამ პიროვნების ქრისტიანულ ცნებას, მის მორალსა და სწავლებასაც ბზარი გასწენოდა, ბზარი გასწენოდა და იშლებოდა:

„იქ, სადაც შორს, ბეთლემში, ცხრაშვიტი საუკუნის წინათ ცამოჭვილ ღამეს დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშერაღთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილისა დაბორცუნველი—

აქ კი დღეს—

აქ კი — ქვეყანა ხელიდან ეცლებოდათ.

თვალს მხოლოდ ძველი ქაშის მოღანდება თუ გაახალისებდა, სადაც რაინდები და ფეოდალები დააბიჯებდნენ.

ფილოსოფიური ხასიათისაა „პანაშეიდის“ ციკლი.

მწერალი სხვადასხვა სურათებით გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება კომუნარია, ცხოვრება ტანჯვაა, მას ხელოვნება ალამაზებს, ანიჭებს სიმშენიერეს. სიცოცხლე საშინელებაა, მაგრამ წარმტაცი, ხელოვნება კი მარადიულია.

ჩვენ ვკედებით, ხელოვნება კი რჩება, როგორც ამბობდნენ რომაელები.

მთელ ციკლს გასდევს სიკვდილის მოტივი, „სიკვდილის დღე დღე და საფლავებისა, დღე მიცვალებულისა, საშინელის საიდუმლოებისა“, როგორ ქრება ხელოვანი და იქცევა მუსიკად, პოეზიად, ქანდაკებად, მხატვრობად, ხუროთმოძღვრებად.

„მრისხანე ბატონის“ ავტორმა ახალი სტიმული მისცა მინიატურის ჟანრს და ათიანი წლების პრესა დაიფარა ეტიუდებითა და ჩანახატებით, თუმცა თავად ეპიკისაკენ გადაინაცვლა.

ნიკო ლორთქიფანიძეს წარსულის გახსენების ქამსაც არ ახლდა პათეტიკა და რომანტიკული თრობა.

იგი სიკვდილამდე ერთგული დარჩა წერის იმპრესიონისტული მანერისა, რომელიც ესკიზებსა და ეტიუდებზე უფრო კარგად მოთხრობებში გამოჩნდა, თუმცა „ცისფერყანწელებთან“ მეგობრობდა და შეიძლება მათი ორდენის საპატიო წევრადაც ჩაითვალოს.

იმპრესიონისტულია მწერლის საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები — „ხელოვანთა ყაუახანა“ (1922), „თავსაფრიანი დედაკაცი“ (1925), „შელოცვა რადიოთი“ (1924-1928).

ნიკო ლორთქიფანიძემ შემოიტანა და დაამკვიდრა თავისი ნაადრევად დაღუპული ასულის სახელი — ნაილი, რომელიც ისევე გაურცულა, როგორც გრიგოლ რობაქიძის ლამარა და კონსტანტინე გამსახურდიას შორენა.

რღვევისა და ტრაგედიის მემატთანეს, ისევე როგორც პირქვეშ შიო არაგვისპირელს, სოფჯერ იუმორიც მოუქალებოდა და მაშინ იგი ხა-

ტავდა კურდღელს გამოდევნებულ, დიონისურად აგ'სნებულ. თბავაქე-
ნილ ეპისკოპოსს („ეპისკოპოსო ნადირობა'სე“), ანდა – ხელმოცარულ
სოფლის ა'შიქს („სოფლის ა'შიქი“).

იუმორი დრამატიზმისაგან განმუხტვის საშუალებაა.

ნიკოს ერთი ძმა – იასონი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო,
ერთ-ერთი სიძე – საშა წულუკიძე – ასევე ცნობილი მარქსისტი. მაგ-
რამ თავად პოლიტიკა არ აინტერესებდა. არც ლიტერატურულ ორობ-
ტრიალში არ ჩარეულა. სიმშვიდით, სიღინჯით, სინამდვილის ჭერებით
ჰგავდა გერონტი ქიქოძეს, რომელიც მისებრ იმპრესიონისტა იყო.

მას არც სიმბოლიზში მიუღია, არც ექსპრესიონიზში. მაგრამ რო-
გორც განახლების ერთ-ერთ პირველ მესიტყვეს, დიდ პატივს მიაგებდა
ახალი თაობა. მასში ხედავდნენ ევროპული კულტურის მწერალს, ინ-
ტელიგენტსა და ერუდიტს.

დაკითვ კლდიაშვილის „*შეზღვეობის აზნაურთა*“ უნუგეშო ყოფას მან
მიუმატა „*დანგრეული ბუდეების*“ სეედა, გადაშენებისა და კედომის კოშმა-
რი. აწმყოსაგან გულგატეხილს საღბუნეი და იმედი მხოლოდ წარსულ-
ში ეგულეობოდა.

ნიკო ღლირთქიფანძე როგორც თემატიკურად, ისე სტილურად რღვე-
ვის მხატვარი იყო და ესეც ზრდიდა ახალთაობის ინტერესს მისდაში.

გეახსოვს ილიას ავხორცი დათიკო, ზაქროს გულქვა მებატონე,
უქნარა, მაგრამ კეთილი ლუარსაბ თათქარიძე.

გავიდა ოცი-ოცდახუთი წელი და მათ შეილთაგან ზოგი იერემია
წარბასაგით ავაზაკად იქცა, ზოგიც სოლომან მორბელაძის დარად
მაჭანკლობით ირჩენს თავს. ქალები ვერ თხოვდებიან, ვაჟები ვერ ქორ-
წინდებიან.

კიდევ გასულა ოცი-ოცდახუთი წელი და ახლა ეხედავთ – მათ და
მათ ჯიუტ შთამომავლებს სახლი თავზე დანგრევიათ და ეზოში ხე-
ბიც დაბერებულან.

ახალგაზრდები თავს იკლავენ და ორიოდვე სიტყვას სტოვებენ თავი-
ანთი საბედისწერო ნაბიჯის გასამართლებლად – „*ისე ვერ ვიცხოვრე
როგორც მე მსურს*“.

იყიდება საქართველო, კვდება საქართველო. მაგრამ ბაგრაჩის ტაძ-
რის ნანგრევები, თეთრი მყინვარი, გიჟმაუი თურგი თუ ღინჯი მტკვარი
დაჟინებით იმყოფებენ –

„*მოუარეთ საქართველოს*“.

ერთხანს ბოლშევიკებს მიაპყრო იმედიანი მსურა, მაგრამ მალე
გაუტყდა გული და ლიტერატურას ნაადრევად ჩამოსცილდა, ლიანდა-
გიდან ბილიქე გადავიდა.

ბოლო 15 წელი ნიკო ღლირთქიფანძეს თითქმის არაფერი დაუწე-
რია.

იმპრესიონისტული მსოფლჭვრეტა

იმპრესიონიზმის სამშობლოა საფრანგეთი. იგი რეალიზმის რღვევის მაუწყებელია.

1874 წლის 15 აპრილს, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე გაიხსნა მხატვართა ერთი ჯგუფის გამოფენა, ხოლო 25 აპრილს პოპულარულ იუმორისტულ ფურცელში „მარივარი“ გამოინდა სტატია – „იმპრესიონისტების გამოფენა“.

მას ხელს აწერდა რეპორტიორი ენმე ლუი ლერუა.

ის ვერც იფიქრებდა, რომ ამით თავის სახელს უკედაევოფდა.

პუბლიკას მოეწონა ტერმინი, რომელიც აღებულია კლოდ მონეს სურათიდან: „შთაბეჭდილება (*impression*). ამოშავალი მზე“.

იმპრესიონიზმს, როგორც კულტურის ახალ ფორმას, საწყისი ფრანგულმა ფერწერამ მისცა (კ. მონე, კ. პისარო, ა. სისლეი, ე. მანე, ე. დეგა, ო. რენუარი...).

მან შექმნა უხეულო რაკურსები, უეცარი კომპოზიციები, შუქისა და ჰაერის უცხო მირაჟი. შუქისა და პლენერის ეფექტმა დანისლა საგნები და მოვლენები. გამომუშავდა ტექნიკა წმინდა ფერებით რთული ტონების გადმოცემისა. ფიგურები გაბუნდოვანდა, კოლორიტს სტილიზებული სახე მიეცა.

აღბათ ამიტომ იყო, რომ იმპრესიონისტების სურათებზე მხოლოდ ლაქებს ხედავდა ნატურალისტი ემილ ზოლა.

ფერწერიდან იმპრესიონიზმი სკულპტურას მოედო, მუსიკაც სპეციფიკური ელფერით აღბეჭდა, თეატრსაც კვალი დაატყო, მაგრამ ყველაზე მეტი სივრცე ლიტერატურაში ჰპოვა.

პოეტები და მხატვრები გაიტაცა პიროვნული, წუთიერი და შემთხვევითი შთაბეჭდილებების ფიქსირებამ, ზედაპირის ასახვამ.

იმპრესიონიზმი ხელოვნებაა და ამდენად მისი ფილოსოფია ეკლექტურია, ემყარება როგორც ნეოკანტიანელებს, ისე მაჩისტებს, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია შემოქმედისათვის.

იმპრესიონისტულ აღწერასა და თხრობაში კავშირდება განწყობილებანი და თავისუფალი აღქმანი. სიზმრები და აზრები ისე გადმოიცემა, როგორც წნდება გმირის ცნობიერებაში. ამიტომ უწოდებდნენ გონკურები თავიანთ თავს „ნერვების პოეტებს“.

იმპრესიონისტი მწერლების ნაწილი ჯერ სიმბოლისტი გახდა, შემდეგ კი – ექსპრესიონისტი, რადგან ასეთი იყო მოდერნიზმის მთავარი ხაზი, ევოლუციის ფაზები.

იმპრესიონიზმი ითვლება მობრუნების პუნქტად ტექნიკის სფეროში (მოკლერი).

იგი ვრცელდება დიდ ქალაქებში (პარიზი, ვენა, ბერლინი, ლონდონი), სადაც შეუმჩნეველია ადამიანი, აღქმა – სედაპირულია, განწყობილება – მსუბუქი.

იმპრესიონიზმის თეორეტიკოსები გეასწავლიან, რომ სოგჯერ სურათის აღწერა იმდენად წარმტაცია, თვით სურათის აზრი არც გვაინტერესებს.

საერთოდ იმპრესიონიზმს ახასიათებს ემოციის პრიმატი, ესთეტიკაში, პარადოქსული, აფორისტული მეტყველება, იმპროვიზაცია, აზრის მრავალსახიანობა.

ამ მხრივ სანიმუშონი არიან ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი. იმპრესიონიზმის ეპოქა აპოლიტიკურია, კულტურის პრობლემებით შემოსასაღერული. იდეალია მარტოხელა ცხოვრება და თავისუფალი სიყვარული, კულტი – პიროვნული სიცოცხლე, მორალი – ინდივიდუალიზმი, ეთიკა – არისტოკრატიზმი, როგორც ეთიკის ესთეტიკური კატეგორია.

საინტერესოა წიგნების სათაურები – „ჭრელი სიცოცხლე“ (პარტი), „ასეთია სიცოცხლე“ (ვედგეინდი), „გაუმარჯოს სიცოცხლეს“ (ზუდერმანი).

„ჩვენ მუდამ ვთამაშობთ“, – ამბობს არტურ შნიცლერის პერსონაჟი.

იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი ხშირად ერთმანეთს ენაცვლება ხელოვანის აზროვნებაში, როგორც ეს ხდება გალაკტიონ ტაბიძესთან და კონსტანტინ ბალმონტთან.

ალკოჰოლი საბედისწეროდ მოქმედებს სოციურთი იმპრესიონისტის ცხოვრებასა (ვერლენი, პარტლებენი, შერბარტი) და პოეზიაზე (ბირბაუმი, ლილიენ-კრონი, დემელი). ზოგიც ოპიუმითა და ქაშიშით იმოკლებს სიცოცხლის დღეებს (პიუსმანსი, უაილდი).

ეროტიკა, ორგიები, სქესობრივი ექსცესები ახლავს მათ ნაწერებს (ბირბაუმი, კონრადი, პშიბიშეესკი).

იმპრესიონისტული ხილვებით მოდიან კნუტ ჰამსუნი, გაბრიელე დანუნციო, ჰუგო ჰოფმანსტალი.

შთაბეჭდილებათა კასკადი გადადის „ცნობიერების ნაკადში“ (მარსელ პრუსტი).

კრიტიკოსებიც განუხომლად ეთაყვანებიან ახალ ტალღას (მუტერი, ბრანდესი, კერი).

იმპრესიონიზმისათვის ნიშნეულია მეხსიერების დასუსტება, მეტნაკლები ალოგიზმი, სედაპირის გაფორმება, ზღაპრული სახეები, სენსაციების აღმოჩენა, წარმოდგენათა თავისუფალი გაფორმება. ჩნდება ინტერესი მოგონებისადმი. მცირდება მოქმედება, იზრდება განსჯა და ლირიკული მონოლოგები.

იმპრესიონისტები მშვენიერი კედლის მომღერლები არიან, ისევე როგორც სიმბოლისტები.

იმპრესიონიზმი გარკვეული პროცესის დამთავრების სიგნალია – აზრი ქვედება და ზემობს ნატიფი ფორმა. ეს ერთგვარი ელინიზმია, რომელმაც დაასრულა ძველი ბერძნული კულტურა.

ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმი გამოვლინდა სიმბოლისტთა და ექსპრესიონისტთა შემოქმედებაშიც (გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია).

იმპრესიონიზმის პიონერად თელიან შალვა დადიანს, რომელმაც 1905 წლიდან „ჩამოკრულების“ სახელით მინიატურების მთელი სერია გამოაქვეყნა. შემდეგ ეს ხაზი გააგრძელა ნიკო ლორთქიფანიძემ.

ამ მიმდინარეობამაც მალე ფერი იცვალა, მაგრამ ხელოვნებას შემორჩა იმპრესიონისტული მსოფლჭკერება და სტილი, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ხერხი.

ოცნების კოცნის პოეზია

„შენ იმთავითვე იჯექი ჩემს გულში და გლოვობდი“; – წერდა ჯოლა ლომთათიძის დაღუპვით გულდაწყვეტილი 26 წლის ჭაბუკი იოსებ გრიშაშვილი, თუმცა „თეთრი ღამის“ ავტორს არ მოსწონდა „ოქროს ფეხისა“ და „ოცნების კოცნის“ პოეზია.

იოსებ გრიშაშვილი ძველი თბილისის აშუღური გარემოდან გამოვიდა. არ მიუღია კლასიკური განათლება, არც რომელიმე სკოლა დაუმთავრებია, არ მოუვლია რუსეთი და ევროპა.

მაგრამ ჰქონდა ბუნებრივი ნიჭი და სიახლის აღღო, რომელთა წყალობით სწრაფად დაძლია აშუღური ჰანგები, კიბრიდული წარმოდგენები, ბანალური რომანტიკა, ჭრელი აზიური ატმოსფერო.

„პარაშკაჯან, არ შეგციფდეს“, „სად შენა და სად ანუშას თვალები“ დაბადდ ფენათა განწყობილების საპასუხოდ იწერებოდა. მაგრამ საყოველთაო ყურადღება სატრფიალო თემატიკის დახვეწით, ახალი რიტმითა და მელოდიკით მიიქცია, როგორც რუსულ პოეზიაში კონსტანტინ ბალმონტმა.

მელოდიურობა იყო რუსთაველის, ბესიკის, აკაკის ლექსის დიდი ღირსება.

მუსიკალური სტრიქონები იოლად აღიქმება და სწრაფად მკვიდრდება მუხსიერებაში.

ეპიგონებს აკლდათ მელოდიის გრძნობაც და მათი ტაქეები უნის გასატეხს დაემსგავსა.

გრიშაშვილმა ყველაზე ადრე გამოაკეთა ის ძიებანი, რაც აკაკის

ძიშბაძეელთა წრეში დაიწყო და გულისხმობდა ქართული ლექსის სახეობრივ, ინტონაციურ და რიტმულ-მელოდიკურ გადახალისებას. ამიტომ აღმოჩნდა ასე სწრაფად აკაკისა და ვაჟას გვერდით.

მას აქებდნენ, ჰკილავენ, ბაძავენ, უარყოფდნენ, მაგრამ ყურადღების ცენტრში იდგა, რომლის ლექსი მიიღო როგორც მასამ, ისე ინტელექტუალურმა ელიტამ.

თომას სტერნს ელიოტი შენიშნავდა, რომ ჭეშმარიტი ნოვატორი სასოგადოებისათვის გაუგებარია, ხოლო ვინც ძველს კარგად გამოსატავს, უცებ პოპულარული ხდება.



ასე აიტაცეს იოსებ გრიშაშვილის პოეზიაც. მან ძველი ჰანგები, თბილისის რომანტიკა, სიყვარულის კდემა და ეროტიკა დინამიური ლექსით გადმოსცა, შექმნა ტრადიციიდან ამოსულ მეტაფორათა და შედარებათა ფერადი სისტემა. აღადგინა თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი, რომლის სიმსუბუქე და ემოცია მკითხველს ხიბლავდა:

*„ნაკადულის ჩრდილებს დავჭრი ამზავალ ცისკრის შუქით,
თოვლის კლით დაგაძინებ, გაგადვილებ შვის პატრუქით“.*

იოსებ გრიშაშვილის პირველი მნიშვნელოვანი წიგნია „ოცნების კოცნა“ (1911), რომელმაც მოიტანა ახალი გასაფხულის სუნთქვა.

1915 წელს ტიცვიან ტაბიძე ასახელებდა ქართული პოეზიის „ძვირფას სამებას“ – სანდრო შანშიაშვილს, გალაკტიონ ტაბიძესა და იოსებ გრიშაშვილს.

სანდრო შანშიაშვილს ზოგი სიმბოლისტად ნათლავდა და გუნდრუკს უკმეყდა, ზოგიც გადაჭარბებით აფასებდა ახალგაზრდა პოეტის რამდენიმე კარგ ლექსსა და მოსაწყენ პოემებს ანტიკურ სიუჟეტებზე (მაგ., კიტა აბაშიძე, ტიცვიან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია), რომელთაც ვერაფერი შეჰმატეს ქართული სიტყვის მოდერნიზების პროცესს.

იოსებ გრიშაშვილის გავლენით წერდნენ პირველ სტრიქონებს გალაკტიონ ტაბიძე და ალექსანდრე აბაშელი, ტიცვიან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და გიორგი ლეონიძე.

იოსებ გრიშაშვილი იყო ქართული ლექსის განახლების პირველი მედროშე, რითმისა და მეტაფორის ოსტატი.

ათიან წლებში იგი იყო ლექსის მეტრი და სიტყვას ჭრიდა ტრადიციის რკალში. ძველი თბილისის წიაღში, აღმოსავლური თემატიკისა და ეროტიკის ინერციით, რუსთველური ლექსით, ბალმონტის შთაგონებით.

ამ ფაქტს აღიარებდნენ გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია. ამიტომ დაიბეჭდა იგი გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად აღმანახ „ცისფერი ყანწების“ ფურცლებზე.

იოსებ გრიშაშვილმა იგრძნო, რომ პოეზია სხვა გზით მიდიოდა, რომ აღმოსავლური პათეტიკა, თემატიკა და ლექსიკა ლიტერატურის აღსასრულს ნიშნავდა. ამიტომ აითვისა სონეტი და ტრიოლეტი, თოთხმეტმარცველიანი ლექსი, დაწმინდა გრძნობა და სალექსო ფორმა, ეუროპას მიაპყრო თბილისის ქუჩაბანდებში მომწვედელი მზერა:

*„ო, მარგარიტა! მარგარიტა! შენს უკვდავ გრძნობას, -
გრძნობას საშინელს, გრძნობას ღამაზს, გრძნობას დაღალულს,
ონ დააფასებს, ონ შეიძლებს მის გამოცნობას?
შევეურებ თვალებს, შენს მუქ თვალებს, ცრემლით დაღარულს,
და მეც ვიგონებ, როს აღურსით დამიგეს მახე.
ო, მარგარიტა, სიშს თითები რისთვის შემახე?“*

ასე მიმართაედა ნუცა ჩხეიძის მარგარიტა გოტიეს პოეტი-სუფლიორი.

სიმბოლიზმის ნისლეულმა და მეღანქოლიამ სასიკეთოდ იმოქმედა და საუკეთესო ლექსები დააწერინა - „შემლილი ოთახი“, „ქუთაისი“, „სონეტი „ყანწელებისადმი“, „მარიჯანს“, „სველი სადამო“, „თათრის ქალი სუფსარქისში“, „მეფე ვახტანგი“, „მარგარიტა გოტიეს“, „კულისებში“, „იღბალი დისონანსებით“, „ძველი ბაღადა“, „ბებუთი მაგიდაზე“, „ქორწილი ჩვენს უბანში“, „საქართველოს მეგობარს“, „ტრიოლეტები შეითანბაზარში“, „ღამაზმანებს“, „აგარაკზე“, „ელექტრონი ფოთლებში“, „შენი ყელი“, „ციცინათელები თმებში“, „აშპაშხანისკენ“, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „ჩემი აღმართი“.

სიმბოლისტური პერიოდი გრიშაშვილის პოეზიაში 1915 წელს იწყება და გრძელდება 1928 წლამდე.

ახლა „ცისფერიყანწელები“ ახმაურდნენ, გრიშაშვილი წარსულს ეკუთვნის, იგი ჩვენი გავლენით წერსო, რასაც ცხარე კამათი და მრავალწლიანი კონფლიქტი მოჰყვა, თუმცა ადრე ლექსებს უძღვნიდა ქუთაისს, გრიგოლ რობაქიძეს, კოლაუ ნადირაძეს, აქებდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის პრესაში თანამშრომლობდნენ (მაგ. გრიშაშვი-

ლი - „ცისფერ ყანწებსა“ და „ლიგეიაში“, პაოლო იაშვილი და გრიგოლ რობაქიძე - „ღვინდაში“).

მხოლოდ სიმბოლისტური სიკვდილის ესთეტიკას ნაზიარებ პოეტს თუ შეეძლო ეთქვა საყვარელი ქალისათვის:

*„მე როცა მესმის შენი ნაზი ამონახველი,
ვეგრძნობ, რომ ესწრაფვი სასაფლაოს ურაზო კარებს,
მაგრამ ჩემსავით თვით სიკვდილიც ვერ შეგოფერებს,
სიკვდილი - ტრფობის ერთადერთი გამომსახველი“.*

გრიშაშვილის ლირიკაში მონაცვლეობს სხვადასხვა სახელისა და გარეგნობის ქალთა მთელი დასი. რეალურად კი მისი ხოტბისა თუ შერისხვის საგანი იყო ჯერ ოლია (ოლოლ) ლეჟავა, შემდეგ - მაროჯანი, ქმარშვილიანი ქალი, ვინც უყვარდა სიჭაბუკიდან სიბერემდე.

სიყვარულის თემა და სექსის მისტიკა XIX საუკუნის მიწურულიდან არა მხოლოდ ლიტერატურას, მეცნიერებასაც მოყვო, რომლის აპოგეაა გენიალური ზიგმუნდ ფროიდი - ფსიქიკის არქეოლოგი.

იოსებ გრიშაშვილს არ უცდია სიყვარულის მისტიკური (მაგ., ალექსანდრ ბლოკისებური) ან სექსის ფროიდისტული გაახრება. იგი საესეზო ბით მიწიერად, ხორციელად აღიქვამდა მას, მარტივ თემებს მრავალკუცი ვარიაციით წარმოაჩენდა, რასაც განცვიფრებით აღნიშნავდა კონსტანტინე გამსახურდია, რადგან „თანამედროვეობა საესეზოთ აეროტიულიაო“. მაგრამ სიმბოლიზმის გაეღენით შეძლო ხოტბისა და ეროტიკის შენელება. სიტყვის რომანტიკული შებურვა და ესთეტიზება:

*„სველი საღაშო შენს ნესტიან თვალებს მაგონებს,
დაეწევი ჩემად და დაეუცი შის ქალბატონებს.
ნერვის სიჭლექე მომიუწრდა ძარღვებში ოდნავ,
დაეწევი და მეც მომეზრდება ველაფრის ცოდნა“.*

1917 წლიდან პოეტის აზროვნებაში გაჩნდა ახალი თემა - ქართული ნაციონალიზმი, რომელმაც განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია მას შემდეგ, რაც საქართველო რუსმა ბოლშევიკებმა დაიპყრეს.

ეს ოცნების კოცნის პოეტი, რომელსაც „ცისფერყანწელები“ სომხად მოიხსენიებდნენ, აბაშელთან და გამსახურდიასთან ერთად ყუულაზე შეურიგებელი ნაციონალისტი აღმოჩნდა და მტერთაგან გარე მოცული ილიონის კედელთან დადგა, როგორც პექტორი:

*„და წველა იმას, ვინც მღირობის ველურ ყაჩაღებს
გაულო კარი თერგდაღულ დაჩილისა“.*

იგი დიდხანს ვერ შეეგუა „გამარჯებულ რუსულ ჩექმას“.

გრიშაშვილს ერეკლეს თბილისის რომანტიკოსად თვლიდა ივანე გომარათელი. „თალხი კაბის“ ავტორმა კიდეც ერთხელ შეახსენა

საქართველოს ბესიკის „სველის ძალი“ და საათინოვას „დაფანგული პანგები“.

ეს განცდა, ეს სიყვარული არქივარიუსის გულმოდგინებით და პოეზიის (ვეცხლით გადმოსცა ესეისეისტურ წიგნებში – „საიათნოვა“ (1918) და „ქველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1926), ოღონდ ეს იყო არა ბრმა აღტაცება, არამედ – ნაციონალური გრძნობის აღმაფურენა:

„მოვიარს თბილისი ირაკლით მუდამ მშფოთარი

და მსურს აქ მოგვედგ რომ მისი მზე სწავედეს ჩემს კუბოს“.

ამჯერად გრიშაშვილს მეორედ დაესესხნენ ტიცინ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, თუმცა მის სახელს მომეტებული ირონიით ახსენებდნენ.

თუ ადრე ვერ ანსხვავებდა, რა იყო ქველ თბილისში ნაციონალური, რა იყო პიბრიდული და ასე წერდა – „*მე ვებრფი კინტოს ატმით სავსე დატვირთულ თაბახს*“, შემდეგ ერთმანეთისაგან განარჩია კინტო და ყარაჩოხელი, ავლაბარი და ისანი, მეფე ერეკლე და ელაში მიკიტანი, აეხორცი ენება და რომანტიკული სიშორე.

გრიშაშვილი არ ჰგავდა თავის მიერვე ნაქებ ყარაჩოხელებს. არც ღვინო უყვარდა, არც მუშტი-კრივი, არც არღნიანი ქეიფი და არც ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

იგი წიგნისა და თეატრის კაცი იყო, თავგადაკლული ბუკინისტი, რომელსაც ახლებში აღარ დარჩა „ძმა მოყვარული“.

როცა გახუნდა ბავშვობის სურათები, ძველი თბილისი გახდა მისთვის ბაგრატიონებისა და სახელოვანი დიდგვაროვანი პოეტების ქულაქი, რომლის სახეცვლა, ისტორიული ლანდების კედლომა, მათი ქუნაში გამოყრა და ბასრის ნიეთებად ქცევა საქართველოს დაღუპვას დაუკავშირა („*გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ ღუდუქის საარი ქარს აღარ მოაქვს*“, „*გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე*“).

ოციანი წლების დამლევებიდან გრიშაშვილი იძულებული გახდა უარეუო თავისი პოეზიის მაცოცხლებელი წყაროები – ეროტიკა და ძველი თბილისი, სიმბოლისში და ნაციონალიზში. ახალი კი, სტალინის თემის გარდა, ვერაფერი შეიძინა. ამიტომ გაუფერულდა მისი ლექსი და კიდევ უფრო გამარტივდა.

მან. ისევე როგორც ბალმონტმა, ვერ შეინარჩუნა ის შარავანდელი, რაც სიჭაბუკის წლებიდან ჰმოსავდა.

* * *

რიგორც ვხედავთ, ქართული ლიტერატურა სწრაფად, მაგრამ მანაც ევოლუციის გზით გადადიოდა რეალიზმიდან მოდერნიზმში, რაც

პირველ ყოვლისა, მხატვრული აზროვნების განახლებას ნიშნავდა და არა რომელიმე სტილის, მოძღვრების ან მიმართულების დოგმების დაცვასა და ილუსტრირებას.

განმახლებელი ძალა კი ყოველთვის ახალი თაობაა.

3. მოღერნიზმის იდეოლოგები

მოღერნიზმის იდეოლოგიას ახალი თაობის მწერლები ამკვიდრებდნენ. ასე ამსხვრევდნენ და ცვლიდნენ ძველ ესთეტიკას, სტილსა და მსოფლგანცდას.

ისინი უცხოეთისაკენ იყურებოდნენ. ხელს იშვერდნენ ევროპისაკენ, მაგრამ ქართულ მიწაზე იდგნენ, რათა უძველესი ტრადიციები ახლებური თვალთახედვით აღედგინათ.

ნიკოლაი ბერდიაევი წერდა, რომ რუსეთში ჭარბობს ქალური საწყისი. ამიტომ იგი მუდამ სხვას ემორჩილება, სხვისაგან სესხულობს საარსებო ძალასო.

იგივე ითქმის საქართველოს შესახებ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ რუსეთი, როგორც თვლიდა გრიგოლ რობაქიძე, უპიროვნო კოლექტივის ქვეყანაა, საქართველო მკვეთრად გამოხატული ინდივიდების სამყაროა.

ქართულ მწერლობას განახლების სტიმულს ყოველ დროში უცხო ძალა აძლევდა. ქართულ ნიადაგში უნდა მოხვედრილიყო შემოტანილი თესლი, რომელიც აღმოცენდებოდა და ნაყოფს გამოიღებდა.

ასე წარმოიშვა ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, რომელთაც სათავე ბიზანტიკაში პქონდათ.

შემდეგ აღმოსავლური, სპარსული სტილი და მოტივები დაემყნო ქართულ და გაქართულებულ ტრადიციებს, რომლის ნაყოფია „ვეფხისტყაოსანი“ და მთელი აღდგენის ხანის მწერლობა (გარდა დავით გურამიშვილისა, რომელიც კვლავ ბიბლიას მიუბრუნდა).

XIX საუკუნეში ევროპიდან ჯერ რომანტიზმი შემოიჭრა, შემდეგ – კრიტიკული რეალიზმი და ნატურალიზმი.

აჰა, მოაწია XX საუკუნეშამაც და ამჯერად დეკადენტურ-მოღერნიზტული მღელვარე სული დაეუფლა ქართულ ლიტერატურას.

ესა – შთაბეჭდილებათა ფიქსატორი

მოღერნიზმი თეორიულად ესსეს ყოვრებით მკვიდრდებოდა, რაც უპირისპირდებოდა პუბლიცისტიკას, „თერგდალეულთა“ სოციალურ პათოსს და პრობლემატიკას, რაც რუსეთიდან მოდიოდა.

ესსეისტური კრიტიკის არსია იმპრესიონისტული აღქმა. ნახევარ-ტონებით საუბარი, მწუხრის ფერებით ხატვა. მას საგნის ობიექტურ ღირსებაზე მეტად აინტერესებს შთაბეჭდილება, თვალსაზრისი საგანზე. ჩვეულებრივ, ესსეისტი უარყოფს ტერმინოლოგიურ სტილს, მეტყველებს პოეზიით ენით, შედარებებითა და მეტაფორებით, სიმბოლიკებითა და პაროდებით. მისი საწყისია ესთეტიზმი, მელანქოლია ან ექსტაზი. ლოგიკური თვალსაზრისით ესსე ხშირად ზედაპირული გვეჩვენება, ნაკლებად არგუმენტირებული, პირადული განცდებით და წარმოდგენებით აღსავსე. მაგრამ სწორედ ამ თვისებათა გამო იოლად ღებულობს მკითხველი, რომელსაც გადასცემს შთაგონებას, თხზვის იმპულსებს, უღვიძებს მინავლულ თუ დათრგუნვილ შემოქმედებით უნარს. ამდენად – ესსეში მთავარია აეტორის სტრატეგიული აზრი და არა ტაქტიკა – ლამაზად წერა.

ესსეისტი გრძნობების ენით მეტყველებს, ეძებს სიცოცხლის ნიშანს, ემოციებს და სულაც არ ცდილობს ერთადერთი და შეუმცდარი აზრი თქვას, შექმნას ლოგიკური სისტემა, მიაღწიოს წესრიგს. პირიქით, ენებათა ქარიშხალი ამსხვრევს ცივი გონების მიერ დადგენილ ნორმებს – ახალი ქვეყნის სახელით. ხელოვანის ფანტაზიას წარმართავს განწყობილება, განწყობილების ნისლში გაელვებული წარმოდგენები, სახეები, შეხედულებანი. ამიტომ პოეტთა და მწერალთა თეორიული ნააზრევი თითქმის ყოველთვის ესსეისტურია, საინტერესო, პარადოქსული, მძაფრად ემოციური. ისინი ქადაგებენ და ქმნიან, მაგრამ ქადაგება თხზვის გაგრძელება და ნაწილია.

ამიტომ ინარჩუნებს ესსე – შთაბეჭდილებათა წამიერი ფიქსატორი – პირველად მომხიბვლელობას ათეული წლების შემდეგაც, ხოლო ლოგიკური გამოკვლევა სწრაფად ძველდება და დავიწყებას ეძლევა.

მზის ძურუმი

გრიგოლ რობაქიძის ლექციებითა და ესსეებით იწყება ქართული მოდერნიზმის იდეოლოგია. იგი დიდხანს სწავლობდა რუსეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში. 1909 წელს დროებით დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო ევროპული კულტურის პროპაგანდა, საზოგადოებას მოეუბნა როგორც ორატორი და ესთეტი. რომელიც ყურადღებას იქცევდა ელევანტური გარეგნობით, მტკვრმეტყველებით, სიღინჯითა და ღიმილით ერუდიციით.

გრიგოლ რობაქიძე ლიტერატურის სპეციფიკურ საკითხებს ეხებოდა. შემოაქაყდა ახალი სახელები, ახლებურად ხსნიდა ძველ და ნაცნობ პრობლემებს. სოციალური თვალსაზრისი არ აინტერესებდა: თერ-

გდაღუპულთა უტილიტარიზმს ესთეტიზმი დაუპირისპირა, უფრო სუსტად – ესთეტიური განმანათლებლობა.

იგი თვლიდა, რომ ქართულ კულტურას განახლება სჭირდებოდა, ევროპული თვალთახედვა, მისტიკური ტერეტი, ფილოსოფიის, მითოლოგიის გამოყენება, მიბრუნება ძველი საქართველოსაკენ.

თავდაპირველად ლექციებს რუსულად კითხულობდა (როგორც პირველი, ისე მეორე მეუღლე რუსი ჰყავდა, რომელთაც ქართული არ იცოდნენ), შემდეგ აკაკი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის რჩევით, ქართულ ენაზე გადავიდა. ეს გაუძნელდა, მაგრამ თანდათან შეიჭრა ქართული მეტყველების სტიქიაში და ორიგინალური ენობრივი მოღველიც შექმნა – ექსპრესიული, პათეტიკური, მითოსისკენ მიმართული.

გრიგოლ რობაქიძე განახლების პათოსმა მიიყვანა ჯერ სიმბოლიზმთან, 1921 წლიდან – ექსპრესიონიზმთან. მას არ ჰქონია აკვიტებული იდეა, რომ დაეცვა ან გადმოენერგა რომელიმე მოდერნისტული სტილი თუ მიმდინარეობა. უფრო ესწრაფოდა ესთეტიკურ უნივერსალიზმს, საერთო განახლებას ანუ „ახალ რენესანს“.

ცდილობდა, ესეში ყოფილიყო ესსეისტზე მეტი, ლექსში – პოეტზე მეტი, პროზაში – პროზაიკოსზე მეტი, როგორც მოაზროვნე და ქადაგი.

იგი იყო ახალი დროის ზეკაცი, მითოსიდან მოვლენილი პიროვნება, რომელმაც შექმნა მწერლის ავტორიტეტი და ოციან წლებში ვერც ვერავის წარმოედგინა, თუ მასზე უკეთ წერდა რომელიმე თანამოქალაქი!

გრიგოლ რობაქიძე იყო ფრიდრიხ ნიცშეს პროპაგანდისტი, რასაც პოლემიკაც მოჰყვა (დავით კასრაძე, სანდრო შანშიაშვილი).

ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც 900-იანი წლებიდან უდიდეს მოაზროვნედ გამოცხადდა, რომანტიკული, პათეტიკური სტილით ამკვიდრებდა სიცოცხლის ფილოსოფიას, ელიზურ ესთეტიზმს, საპირისპიროდ ქრისტიანული ასკეტიზმისა.

გრიგოლ რობაქიძე პერიოდულად უბრუნდებოდა „სარატუსტრას“



ავტორს, დიონისოს კულტს. მარადიული მობრუნებისა და ზეკაცის იდეებს, მითოსის პრობლემას.

ნიცშეს შთაგონებით დაუკავშირა ეაჟა-ფშაველას სახელი მითოსს, წამოსწია მისი პოეზია და დაუმკვიდრა ის დიდება, რაც დღეს მშოსავს.

ეს შეფასება მიიღო ახალთაობამ და ეაჟა გამოაცხადეს თავიანთ წინამორბედად, თუმცა „გველისმჭამელის“ ავტორი პეტერბურგს არ გასცილებია, მთელი სიცოცხლე პატრიარქალურ ჩარგალში გაატარა და ევროპულ სიახლეთა კურსში არ მდგარა.

ვაჟას პოეზიაში ხედავდნენ მითოსურ ზეკაცებს, წარმართულ და ბარბაროსულ სისხლის აპოლოგიას, ქართული ყოფის უძველეს ფუნას, პირველად წარმოდგენებს, რაც უფრო კარგად გაიასრეს გერონტი ქიქოძემ და სერგი დანელიამ, ვიდრე „ცისფერყანწელებმა“.

გრიგოლ რობაქიძე ევროპული თვალთახედვით აშუქებდა დასაფლურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას, სიმბოლიზმსა და დეკადენტობას, რუსულ მწერლობას, რათა ქართული მხატვრული აზრისათვის ახალი გზა გაეკაფა. ამასთან ერთად აინტერესებდა რუსთაველი და XIX საუკუნის ქართველი მწერლები. თანამედროვეთაგან იოსებ გრიშაშვილზე შეაჩერა ყურადღება, როცა იგი ჯერაც სრულიად ახალგაზრდა იყო.

იგი მხატვრულ სიტყვაში პირველგზის აღორძინებას ეძებდა.

რომანებსა და დრამებშიც უფრო იდეოლოგი და მჭვრეტელი იყო, ვიდრე მხატვარი.

სიმბოლო, მითი და მითისქმნადობა გახდა გრიგოლ რობაქიძის აზროვნების ფუნდამენტი, რომელიც მზის, სისხლისა და ცეცხლის სხივებად გაიშალა და ქართული რასის ცნებაში მოექცა.

1913 წელს განაცხადა, რომ საქართველოს რენესანსი დაიწყო, როცა ჯერ მხოლოდ განახლების სიმპტომები იგრძნობოდა.

გრიგოლ რობაქიძე თავიანთ მასწავლებლად დასახეს ახალგაზრდა „ცისფერყანწელებმა“ და მისი ესთეტიკური უნივერსალიზმი სიმბოლიზმის რკალში მოაქციეს.

მართალია, სიბერეში უარყოფდა „ცისფერი ორდენის“ წევრობას, მაგრამ ფაქტია, რომ თავიანთ „კარდინალად“, მეტრად და ლიდერად აცხადებდნენ ჭაბუკი სიმბოლისტები. „მეოცნებე ნიამორების“ თითქმის ყველა ნომერი იხსნება გრიგოლ რობაქიძის ლექსით. მას უძღვნიდნენ აღტაცებულ სტრიქონებს, ხოლო არაწევრთაგან „ცისფერყანწელები“ ხელს უწვდიდნენ მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს. სისტემატურად კი არც მათ ბეჭდავდნენ.

გრიგოლ რობაქიძე არ მონაწილეობდა ახალგაზრდების ბოქმურ

ცხოვრებაში. იგი სიმბოლისტი იყო არა თავისი ტემპერამენტით, არამედ – ვიანესლავ ივანოვისა და ვალერი ბრეუსოვის მსგავსად – მსოფლმხედველობით და ხელოვნებას აფასებდა აზრის თვალსაზრისით. შეიძლება იმიტომაც, რომ ასაკით საკმაოდ უფროსი იყო ახალგაზრდა ბუნტარებზე.

გარდა ამისა, ძალისა და სიჯანსაღის აპოლოგეტს დაცემის მოტივები, დეკადენტური პესიმიზმი მიუღებლად მიაჩნდა: მთვარის სანაცვლოდ მზეს ეტრფოდა.

ასეთი რწმენითაა დაწერილი „ლამარა“ (1924) და „გველის პერანგი“ (1925) – მწერლის საუკეთესო ქმნილებანი.

გრიგოლ რობაქიძის თეორიული მრწამსი განახორციელებს და ლექსის სტრუქტურაში გადაიტანეს „ცისფერყანწელებმა“, რომელთაც სჭირდებოდათ ავტორიტეტი, გზისგამკვლევნი და იდეოლოგი. შემდეგ მათ თავად მოახდინეს ზეგაველენა უფროს თანამოკალმეზე, ახალი შთაგონებით აღანთეს.

იგი 1918 წელს უკვე აღიარებს ქართული მოდერნიზმის არსებობას და ეს აუწყა რუს მკითხველებს.

გრიგოლ რობაქიძის სტილი და იდეები სათავეს იღებს როგორც უაფლდისა და ნიცშესაგან, ისე რუსული სიმბოლიზმიდან (მაგ., ვიანესლავ ივანოვის სულიერი ძიებანი). მასზე გავლენას ახდენდა ელადიმერ სოლოვიოვის მისტიკაც, მარადქალურის აპოლოგია, პანმონოკოლიზმის არსი, რომელიც შემდეგ გიორგი ლეონიძემ ყივჩაღის სახელად გაიაზრა.

ოციან წლებში გაიტაცა ექსპრესიონიზმმა და ოსვალდ შპენგლერმა, ღრამამ და მისტერიებმა, წარმართულმა პეროიკამ.

როგორც ნიცშეანელი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების ფაქტორს. ამიტომ იყო აღფრთოვანებული ჟორდანიას, ლენინის, მუსოლინის თუ ჰიტლერის რევოლუციური პეროიკით.

როგორც წმინდა ხელოვნების ქურუმი, საბჭოეთის დატოვებამდე პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამიტომ შეძლო ეთანამშრომლა ფედერალისტებთან, მენშევიკებთან, ეროვნულ-დემოკრატებთან, ბოლშევიკებთან, გერმანულ ნაციონალ-სოციალისტებთან.

მწვავედ არ განუცდია 1921 წლის კატასტროფა და პოსტებიც ეკაეა ბოლშევიკურ ხელისუფლებაში. მაგრამ თანდათან ამ მკაცრი ესთეტიკის ბუნებაში აღდგა ქართული ნაციონალისტი.

მითოსისა და წარმართობისაკენ სწრაფვამ, ქვეყნის დაქცევამ, ტურორმა და მსხვერპლმა გაუმახვილა ეროვნული ღირსების გრძნობა.

ისიც ცხადი გახდა, რომ ნიცშე, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, რასსა თუ მითოსი ბოლშევიზმისათვის მიუღებელი იყო.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც მოაზროვნე, მშვიდობიან თანაარსებობას ვერ შეძლებდა პროლეტკულტის იდეოლოგიასთან. ამიტომ გერმანიას შეაფარა თავი, სადაც ძალაუფლებისკენ მიიწევდნენ პიტლერის ყავისფერხალათიანები და „XX საუკუნის მითს“ ქმნიდნენ სისხლითა და მახვილით.

გრიგოლ რობაქიძეს ქართულ მწერლობაში იგივე მისია ხვდა წილად, რაც რუსეთში დიმიტრი მერეჟკოვსკის, რომელმაც 1892 წლის დეკემბერში პეტერბურგს გააცნო ევროპული დეკადენტობა („О причинах упадка и новых течениях современной русской литературы“). მაგრამ არც როზანოვის სიტყვები დაევიწყეთ, მერეჟკოვსკისადმი თქმული – „*ჭრადი ფლობდე მაგის საიდუმლოს და არ იყო მაგი*“–

სისხლისფერი მიხაკი

„*უაილდის პროფილი – ცისფერი თვალები*“; – ასე ხატავდა ჭაბუკი ტიცციან ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიას.

ოსკარ უაილდი მწვანედ შეღებილ ყვავილს ატარებდა, ქართველ ესთეტს კი გულთან მუდამ სისხლისფერი მიხაკი ეკეთა.

სისხლისფერი ბრძოლის ემბლემაა.

ტიციანი, როგორც პოეტი და ესსეისტი, სიმბოლიზმის ქადაგი იყო. ამიტომ განიხილავდა პირველსავე სიტყვაში ამ მიმართულების სმუციფიკას. მაგრამ აწევნებდა სიმბოლიზმის ეროვნულ საწყისებს, ნიღბურ მრავალსახიანობას, რადგან თელიდა, რომ ჩვენი თანამდევია ნიღაბი, ცხოვრების თეატრალური აღქმა.

უკვე განვლილი ჰქონდა იმპრესიონისტული ეტიუდების სკოლა. აღიარებდა, რომ სიმბოლიზმიც უცხოეთიდან შემოვიდა, მაგრამ შენიშნავდა, ასეთი გაულენა ადრეც ხშირად ყოფილა, ნამდვილი ხელოვნება კი შექმნილაო.

ეთანხმებოდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ დაიწყო „საქართველოს რენესანსი“, რომ ქაოსისა და ფორმის ჭიდილში ფორმა გაიმარჯვებდა, თუმცა არცერთ ცისფერყანწელს ჯერ არაფერი დაუწერა.

ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, კარგად იცნობდა და თარგმნიდა რუს მოდერნისტებსა და ავანგარდისტებს. მან არ იცოდა ევროპული ენები და ამიტომ დასაველური პოეზია მიიღო რუსული თარგმანებით.

მთარგმნელები რუსული ლექსის დიდოსტატები იყვნენ და მათი მეშვეობით წარმოიდგენდა შორეულ სამყაროს, რომელიც მას თვალთ არ უხილავს.

თავისთავად ლექსის განცდა და შეგრძნება გემოვნებასთან ერთად გულისხმობს ენის ნიუანსების ფაქიზ აღქმას, იღუმალ წედომას.

მაგრამ სწორად წერდა გრიგოლ რობაქიძე, რომ იდეები ატმოსფერულად ერცეულდებაო. ტიცციანი გუმანით და ალლოთი გრძნობდა ფრანგი სიმბოლისტების სულისკეთებას, განწყობილებას, პოეზიის ნიუანსებს.

მან წარმართა გალაკტიონ ტაბიძის მსურა სიმბოლიზმისაკენ და „ცისფერყანწელთა“ ორდენშიც სიმბოლიზმი გააბატონა.

თეორიული განსჯის უამს ხშირად იხსენიებდა გრიგოლ რობაქიძეს, იმოწმებდა არჩილ ჯორჯაძესა და კიტა აბაშიძეს.

წერდა პოლიტიკურ ესსეებსაც (მაგ., „რესპუბლიკის საბჭო“, „ბოლშევიკების ტერორი“, „ეროვნულ დემოკრატია“, „მენშევიკები და ხელისუფლება“, „კლიბკნესტი“, „რუსი მონარქისტები საქართველოში“, „ირრედენტისათვის“, „ნინო მაყაშვილი“, „გამარჯვებული ტფილისი“).

მათ არ იცნობს თანამედროვე მკითხველი.

როცა დაემხო ცარიზმი და საქართველო მოსწყდა რუსეთს, ტიცციანმა ეროვნული სული პუბლიცისტიკაში გადაიტანა და გახდა საქართველოს თავისუფლების ქადაგი.

სამწუხაროდ, ეს დროებითი გატაცება აღმოჩნდა.

როგორც მოდერნიზმის ერთ-ერთი პიონერი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გალაკტიონ ტაბიძეს და ფიქრობდა, რომ იგი გაზრდიდა სიმბოლიზმის შხამიან ყაეილებს.

ეს ასეც მოხდა.

სიმბოლიზმი ტიცციანმა ქალაქის კულტურად მიიჩნია, ხოლო მის აუცილებელ ნიშნად დასახა ბოქემა, რადგან *„შატერის სახელი გალაკტიონისა მოქმასთან“*. მაგრამ ბოქემის პოეტები ბედით დაწყველილი არიან. ევროპაში – ვერლენი, რემბო, ვილემ დე ლილ ადანი, საქართველოში – აკაკი და მამია გურიელი.

ასე შეცვალა ძველი ლოცვა ახალმა წყველამ.

ტიციანის ესსეები ანიუბული, მღელვარე სულითაა დაწერილი. როგორც მისივე ლექსები.



ავტორი წმინდა პოეზიასე გვესაუბრება, მაგრამ ისე, რომ გადმოგვედოს ლირიკის ცვეცხლი და განათდეს მეხსიერების ბნელი კონკრული:

„ცრემლი გისველებს თვალებს, როცა კითხულობ ამ სტრიქონებს და იცი, რომ შრანელის წიმა დაცხრილავს ამ ჩოხას, მაგრამ სიკვდილმა ყველაზე დიდ ფშავლსაც შიგნო და არ იცი, რომელი იტირო“.

ასე წერს ოცი წლის ჭაბუკი ვაჟას „ფშაველი ჯარისკაცის წერილზე“.

ტიციანის ესეებში ერთმანეთს ენაცვლებიან ბოდლერის, კერლენის, რემბოს, მალარმეს, ბლოკის, ბელის, უაფლდის, ჰიუსმანსის, ლაფორგის, ლოტრემონის, ედგარ პოს, ტიუტჩევის სახელები, როგორც მოდერნული სწრაფვის სიგნალები.

მათი წარმოთქმაც კი ქმნის ინტიმს და სიტყვას აძლევს მიმართულებას.

ტიციანს ლექსის ფორმა და ახალი ორიენტაცია აინტერესებდა. იგი ხედავდა, რომ ქართული სიტყვა დროს წამორჩა:

იმ დროს, როცა იწერებოდა შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვაელები“, „*მაშინ საქართველოში არც იყო დაწყებული დაეა ილია ჭავეჭავაძეს და კნ ბარბარე ჯორჯაძეს შორის*“.

ამიტომ მიიჩნევდა, რომ ქართული ლექსი მსოფლიო რადიუსით უნდა გამართულიყო, დაეძლიათ რუტინა და ბარბაროსობა, რათა ევროპის რადიუსი ახლა მაინც მისწვდენოდა თბილისს.

შემდეგ იმასაც გრძნობდა, რომ სიმბოლიზმმა ამოწურა თავისი თავი და აუცილებელი გახდა ახალ წყაროთა ძიება. მაგრამ არ დავიწყებია, რომ „*ნოვატორობისათვის საქართველოს შხად აქვს ჭავეჭავაძის წინაშე და მაბაბლის მტკვარი თუ საკორე*“, ე. ი. არავინ გაპატიებს რუტინის რღვევას, რადგან ყველაფერს ურჩევნიათ ჭაობის სიწყნარე. ტიციან ტაბიძე საოცარი ალტრუიზმით წამოსწევდა სხეებს, ლაპარაკობდა არა თავისი, არამედ მთელი ორდენის დამსახურებაზე. რომელთა წვერებს ადრიდა აცამეტ ასურელ მამას და ათონელ მოღვაწეებს. შენიშნავდა, რომ ქართული ლექსი „ცისფერყანწელებს“ ხელში ჩაუვარდათ როგორც „გადამწვარი მუგუზალი“.

შემდეგ დადაიხმისაკენ გადაიხარა, მოდერნიზმიდან აკანგარდინებისაკენ გადადგა ნაბიჯი. ამიტომ უწოდებდა თავის თავს ორპირის ოქროპირ მალდარორს, რაც გომბეშოს ნიშნავს.

ადმოსაყლეთის პოეზიას ჰყავდა ბუღბუღი. დასავლეთისას – გედი. ლოტრემონმა კი მას მოუვლინა გომბეშო – მალდორორი.

საკუთარი თავის „მალდარორად“ სახელდება პათეტიკის უარყოფა და დეკეროიზება, ირონიისა და ცინიზმის დამკვიდრება.

სარკაზმი და ირონია ტიციანის ფარიც იყო და მახვილიც. ისევე

თავგანწირვით წერდა ულმობელ პოლემისტურ წერილებს, როგორც დრამატულ ლექსებს (მაგ., „სმერდიაკოვის პირით“, „გასტროლიორი ჭონტოლი“).

სიმბოლიზმი თუ დადაიზმი – ეს დილემა კარგა ხანს ანელებდა.

ტრისტან ცჰარას დადა ახალი ხილი იყო, ერთობ უჩვეულო და უცნაური. მას უნდოდა ეს ორი შეუთავსებელი სტილი და მსოფლგანცდა „ცისფერი ყანების“ რკალში შეეჯვარებინა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად (ესსეები – „ირონია და ცინიზმი“, „დადაიზმი და ცისფერი ყანები“).

ეს შეუძლებელი იყო, და როცა ახსენებს ფუტურისტებს, გული მაინც სიმბოლისტებისაკენ ეძახის.

მისთვის უფრო ძვირფასი იყვნენ ბლოკი, ბელი, მალარმე და ლაფორგი, ვიდრე მაიაკოვსკი, ხლებნიკოვი თუ კრუჩონიხი – „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი“, ვისაც ვალერიან გაფრინდაშვილი „პოეზიის ლენინს“ ეძახდა.

სიმბოლისტური ლექსის საშინელ სევდას ჰფარავდა პეროიკა და სიცოცხლის უნაპირო წყურვილი, რომლის მსგავსი განცდა მხოლოდ გიორგი ლეონიძეს ჰქონდა.

ტიციანმა თავიდანვე ყველაზე ნათლად და მკვეთრად განსაზღვრა ამ ჯგუფის სიმბოლისტური ორიენტაცია. მაგრამ ამჯერად დადას იდეოლოგია ვერ მიაღებინა და მალე თავადაც ჩაიქნია ხელი – დამარცხებულ, დამცირებულ და დაქცეულ საქართველოს მთლად ბოლოს მოუღებდა ირონია, ცინიზმი და ნიჰილიზმი.

საუკეთესო ლექსები სიმბოლისტობის პერიოდში დანერა, ე.ი. 1930 წლამდე. შემდეგაც შეინარჩუნა დიდი მღელვარება და დრამატიზმი, მაგრამ იქცა საბჭოთა ხელისუფლების აპოლოგეტად. მისი სტრიქონები სადა და იოლად გასაგები გახდა. მასას სწორედ ეს ხიბლავდა – იგი უფროთხის სირთულესა და უცხო თემებს, სინამდვილიდან დაცილებას.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ტიციანის პოეტური ვექტორი დაბლა ეშვებოდა და მის სიტყვასაც გალაკტიონის ბედი ელოდა.

ფანტომებით მეოცნაე



ვალერიან გაფრინდაშვილს, როგორც ბედისწერა, მხოლოდ ლექსი, მხოლოდ ლირიკა აინტერესებდა. ეს სეგშიც სიმბოლისტური ლექსის ფორმასა და ესთეტიკას ეხებოდა. მაგრამ, განსხვავებით ბრეუსოვისა და ბელისაგან, ვერსიფიკაციაზე არაფერს წერდა, ლექსის მეცნიერული არსი არ აღელვებდა. მას იზიდავდა ესთეტიკური ძიებანი, სიტყვის ქდერადობა, უცხო თემატიკა, როგორც კოლიბრი და კაკადუ, ვერსალი და ესკურიალი.

ესსეებსაც ლირიკული სიფაქიზით წერდა, როგორც ფრანგი კოლეგები.

ანალოგიებითა და პარალელებით, მეტაფორებითა და შედარებებით ხსნი-

და თხზვის საიდუმლოს, ლექსის ნიუანსებსა და ფორმებს. მსჯელობდა პარადოქსული ფიგურებით, რომელთაც მხოლოდ ტაეკებად დალაგება აკლია, რათა ლექსი მივიღოთ.

ვალერიან გაფრინდაშვილი – პოეტი, იდეოლოგი და რედაქტორი, მოგვაგონებს თავისი სტილით, თვალთახედვითა და ტემპერამენტით ვალერი ბრეუსოვს, თუმცა არ ჰქონდა მისებრი მასშტაბი და უნივერსალიზმი. თითქოს თავის მომავალს ჭერეტდა პოეტი, როცა წერდა ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში: „ანთოლოგია უკვდავების არის თავლები“. მუხუხედავად ამისა, პოეზიის მოყვარულნი კარგად იცნობენ ვალერიან გაფრინდაშვილს.

თავისი სტიქიით, სტილითა და მსოფლგანცდით იგი არ იყო მასის პოეტი.

ოთახის ესთეტიკა, აღისფერი დაისების ქიმერები, ფატა მორგანა პასუხობენ ინტელიგენტის ცნობიერებას, ელიტარულ ხედვას, რაც უნდა ხელოვნური გენეზის ისინი, მაგრამ მასის გულისყურს არაფერს ეუბნებიან.

იმ დროს, როცა პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე და კოლაუ ნადირაძე ეწაფებოდნენ „თხევედ მზეს“, მთვარესა და ღამის იდუმალებას, ვალერიანი ბაღდახინის მსგავს სარკეებიან ოთახში ჩაკეტილ იუკელირს ჰგავდა, რომელსაც ძველი დროის პუდრი და პარიკი გამაჰყოლოდა.

იუველირული სიხუსტით ეძებდა და არჩევდა რითმებს, მეტაფორებს, შედარებებს, ისევე როგორც მისი სათაყვანებელი პოეტები – სტეფან მაღარმე და ვალერი ბრძუსოვი. მის წარმოსახვას აკლდა ცხოვრებისეული უშუალობა და სინედლე, მაგრამ ახლდა სიახლის ეფექტი, ლირიზმი და მუსიკალური განწყობილება. შონტაჟისა და კომბინაციის ხერხით შეკრიბა სხვადასხვა დროის პოეტთა და პერსონაჟთა სახელები, სახეები და თემები, როგორც მოზაიკა, განარიდა ისინი ქუჩის ხმაურსა და მღერიე ცხოვრებას. ხოლო საწყისი იმპულსი იყო ტრაგიკული ბედის ხელოვანი, სინამდვილის დრამად წარმოსახვა.

ასე შექმნა მეორე – მირაჟების სინამდვილე. ეს მისთვის რეალური ქვეყანა იყო, ოცნებათა და ზმანებათა წმინდა საუფლო, რომელშიც აწრდილებს მისტიური მარულა გაემართათ. ის ლექსად ქცეული სულის ქარიშხალიც იყო, რათა ეგრძნო და განეცადა სარკეში ალანდული ბნელი ყოფიერება. არტისტული სიტყვით გაელამაზებინა იგი, როგორც ბოთლში ამოსული ეკლესია.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკა განუყრელია მისივე თეორიული ნააზრვეისაგან. „დაისების“ ავტორი სიმბოლიზმის ისევე საინტერესო თეორეტიკოსია (გავიხსენოთ ესსეები – „სტეფან მაღარმე“, „სონეტის პრობლემა“, „დავით გურამიშვილი“, „შენიშვნები ლირიკაზე“, „რითმა და ასონანსი“, „ბოგემა“, „Terror Antiquus“, „სახელების მაგია“, „პეიზაჟი უკულმა“, „ორი სტიქია“, „ახალი მითოლოგია“, „პოეზია და ბუნება“, „ლირიკის ელიზიუმი“, „არტურ რემბო“, „ვალერი ბრიუსოვი“, „ტრისტან კორბიერ“...), როგორც – პრაქტიკოსი, თეორეტიკოსი და მწიგნობარი და „მოწყენილი ვით ზამთარში ნაზი ბელურა“, ლანდების, დაისებისა და სარკეების პოეტი.

თეორიული პოსტულატები მერყევია და ცვალებადი, მაგრამ განაგრცობენ თვალთახედვის არეს, სიმტკიცესა და სიმაგრეს ანიჭებენ ბუნდოვან და გაურკვეველ ემოციებს, სახეებსა და სურათებს.

ამიტომ სწავლობდა სონეტის პრობლემას, სახელების მაგიას, სიმახინჯის სილამაზედ გარდაქმნის ესთეტიკას, დიონისურ და აპოლონურ სტიქიებს, ეძებდა სულიერ წინაპრებს ქართულ, რუსულ და ეუროპულ არეალში, ქადაგებდა ბოჰემასა და სიკედილის კულტს, ახალი მითოსის მისტერიას. როგორც ოსტატი, ესთეტი და ერუდიტი საგრძობლად განსაზღვრავდა „ცისფერყანწელთა“ ლექსის მოდელს, რომელიც უნდა ყოფილიყო ურბანული და ინტელექტუალური, რთული და იდუმალი.

ახალი მითოსის პრინციპის თანახმად ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში მოგროვდნენ ჰამლეტისა და ოფელიას, მაჩაბლისა და ჩატერტონის, მაღარმესა და ედგარ პოს აწრდილები. პოეტმა ლეგენ-

დის საბურველით შემოსა მეგობართა სახელებიც – ტიცციანი, პაოლო, გრიგოლი, სანდრო. რათა ანტიკური ღმერთების პანთეონი შეეცვალა პოეზიის აკროპოლს.

ეს ყოველივე მოექცა ევროპული სონეტისა და ტრიოლეტის მკაცრ ფორმაში, ქართულ შავ ნაბადსა და ცისფერ ჩაბალახში და მომავლადეი დაისების სუფით განათდა.

ისინი თავიანთი ასოციაციებით, პარალელებით, გავლენებითა და ორიგინალობით ან მთლიანად უნდა მივიღოთ, ანდა – მთლიანად უარყოთ, ისე ძნელია ლექსების გამოცალკეება, იმდენად უკავშირდება ერთი მეორეს. და მაინც – ჩვენთვის უფრო ძვირფასია ვალერიან გაფრინდაშვილის ცალკეული ლექსები, ვიდრე მისი პოეზიის სამყარო და ლექსის მოდელი.

ფანტაზმების შემდეგ ვალერიანს მოჰქონდა ლოზუნგი – „*ლაბრუნება მიწასთან*“. მისი აზრით, დიონისური თრობის შემდეგ ელისეის მინდვრებიდან მობრუნებულ მეოცნებეებს მოელოდათ „ბარის თბილი ნიავი“. იგი ადრევე წერდა დანტონსა და რობესპიერზე, ბაკუნინსა და ფრანგ კომუნარებზე. ეგონა, რომ რევოლუცია ფორმის სფეროში, რომლის მისიონერებად ცისფერყანწელებს თავი მოჰქონდათ, იყო ანალოგი სოციალური რევოლუციისა.

დრომ ეს თვალსაზრისი არ გაამართლა.

აქედანვე იწყება ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის კრიზისი. იგი გამოეთხოვა სარკესა და შავ ყელსახევეს, თეთრ ვერსალსა და საფირონის ქარებს, თუმცა შეინარჩუნა სიმბოლისტური ხედვა და ლექსის კულტურა. მაგრამ როცა იგონებდა თეატრის ფანტომებს, დაღუპულ კალოშებს თუ ტაუტჩევის ქალებს, ისევე უბრუნდებოდა ძველი ხალისი და ინტიმი.

დრომ „*ცისფერი ყაფილის ლოთს*“ პოეზიის არსი წაართვა. იგი უკვე იყო არა შემოქმედი, არამედ – ევრსიფიკატორი. ეს ტკივილი არ გაცნობიერებულა, არ ქცეულა ლექსის მასალად და ისე მიჰყებოდა რკინის ნიაღვარს, თარგმნიდა და წერდა მრისხანე ეპოქის სადიდებელ ლექსებს.

ცეცხლისთვალეზა დრომ დაამსხვრია ოცნების სარკეები და გაფანტა ფანტომები.

ვალერიან გაფრინდაშვილი 52 წლისა გარდაიცვალა, არა მხოლოდ ასთმით:

მის თვალწინ დაიმსხვრა ლირიკის ელიზიუმი, დაინგრა „*ცისფერყანწელთა*“ დასიც. აღი არსენიშვილი ადრევე დაუპირისპირდა მეგობრებს, გრიგოლ რობაქიძე შორს დარჩა, ცოცხალი აღარ იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი.

ტრანსში გადასული თანამოქალაქმენი განადიდებდნენ აპოკალიპსურ წარღვნას, აპოკალიპსურ მხეცსა და მხედრებს.

კოლმბრების, ღურჯ საღამოთა და ნიამორთა პოეზიას აღარ ჰყავდა თაყვანისმცემელი. მაგრამ თაობათა ხსოვნაში დარჩა ეალურიან გაფრინ- დაშვილი – ფანტომებით მეოცნებე, „ნახურად ბრზ და სახელაწყარი“.

ესთეტიზმი და სამომზლოს გედისწერა

1921 წლამდე ქართული მოღერ- ნისმის მთავარი იდეოლოგი იყო გრიგოლ რობაქიძე. ტიციან ტაბი- ძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, აღი არსენიშვილი თუ სანდრო ცი- რეიძე მის მიერ მოხასულ სიერ- ცეში მოძრაობდნენ, მას განადი- დებდნენ და ნიშუშად სახედნენ.

მაგრამ რაც დაემხო დემოკრა- ტიული საქართველო და ქვეყანა- ში ბოლშევიკები გაბატონდნენ, გრიგოლ რობაქიძე, ისევე როგორც მთელი „ცისფერი ორდენი“, დათან- ხმდა რუსულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.



მათ ვერ აღიქვეს მომხდარი ფაქტის საშინელება.

პაოლო იაშვილი თეთრი ცხენითა და ეგზალტირებული ლექსით შეეგება XI არმიის სარდლობას, თუმცა ორიოდვე კვირით აღრე დემონსტრაციას მართავდა საქართველოს „დე იურედ“ ცნობის აღსა- ნიშნავად!

ესთეტიზმმა „ცისფერყანწელები“ მოღალატე და მოძალადე ხალ- ხთან დააკეშირა.

კონსტანტინე გამსახურდიამ რუსეთი საერთოდ ამოაგდო ლიტერა- ტურის იმპერიიდან და კულტურისა და პოლიტიკის ორიენტირად გა- მოაცხადა დასავლეთი – გერმანია და საფრანგეთი; პირველმა გად- მოსცა ახლადმოელენილი ექსპრესიონიზმის არსი, ესთეტიკური იდე- ების რთული სპექტრი.

ექსპრესიონიზმი იმპრესიონიზმის საპირისპირო მიმართულება იყო. იგი დამარცხებულმა გერმანიამ აიტაცა, როგორც სიჯანსაღისა და ძალისაკენ მოწოდება, რათა სიმბოლისტურ მეღანქოლიას და დეკარესიას არ ჩაეკლა ურის საბრძოლო სული.

ამიტომ სჭირდებოდა იგი დამარცხებულ საქართველოსაც. კონსტანტინე გამსახურდიამ ქართულ მოდერნიზმს მისცა ნაციონალურ-პოლიტიკური ორიენტაცია და ესთეტიკური ბრძოლის სულისკვეთებით შეავსო:

„ღინამიტით უნდა ავაფეთქოთ ძველი მიწა და ძველი იდეალები“, – წერდა 1924 წელს, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ.

ოციან წლებში იგი იყო ნიცშეანელი, ნაციონალისტი და მისტიკოსი ექსპრესიონისტი, ყველაზე უკეთესი ესთეტიკური ქართველთა შორის, რომელიც პოეტის მგზნებარებით გადმოსცემდა ახალ და უხე ინფორმაციას, თხზავდა დისტანციის თეორიას, ქადაგებდა აქტივიზმს, მოუხმობდა არარსებულ მავთულისწერვებიან თაობას, მოითხოვდა საქართველოში ქართული კულტურის ჰეგემონიას – გონდაბნეული ერი სხვაგვარად დაიღუპებოდა. კულტურას უნდა გაედევნებინა გადარჩენის ინსტინქტი და ქვეყანა მომავალი ბრძოლებისთვის მოემზადებინა.

მწერალმა პეროიკას მისცა მისტიკური შეფერილობა, რადგან უნუ გეშო და საზარელი სინამდვილე ნაკლებად იძლეოდა მხნეობის მაგალითებს.

ამ თვალსაზრისით განიხილა გოეთე და დანტე, ნიცშე და შპენგლერი, გეორგე, უიტმენი და ჰამსუნი; ქრისტიანობის წილ იზიდავდა ნიცშესეული დიონისოს კულტი. წამოიწყო ლექციების ახალი სერია (რომელთაც შემდეგ პრესაში ბეჭდავდა) და ძველქართულ სამყაროს მიაპყრო მზერა, როგორც აზროვნების ფუნდამენტს.

ამ ჩია, გამხდარ კაცს ჰქონდა ულვეი ენერგია და შექმნის დაუცხრომელი წყურვილი, უდიდესი ერუდიცია და გაუტყეხელი სული.

მისი შემოქმედება – ეს არის ლიტერატურად ქცეული სამშობლოს ბედისწერა.

რუსი მოდერნისტები კარგად ფლობდნენ ევროპულ ენებს, ხშირად მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, გრ. რობაქიძისა და კ. გამსახურდიას გარდა, მათი ქართველი კოლეგები მოსკოვიდან და პეტერბურგიდან გააყურებდნენ დასავლეთს. ამიტომ იყო აუცილებელი უახლესი ინფორმაციის პროპაგანდა და დამკვიდრება, ტრადიციული იდეების თანამედროვე შუქით შემოსვა.

კონსტანტინემ უფრო სრულად და თანმიმდევრულად გაიახრა „ქართული სულის რენესანსის“ პრობლემატიკა, ერთმანეთს შეუხამა მეტროპოლი ნაციონალიზმი და თანამედროვე ევროპული ესთეტიკის, რათა ქვეყნის მოდელი ოცნებაში დაედგინა.

ამ ესსეების ერთი ნაწილი თაემოყრილია წიგნში – „ახალი ევროპა“ (1928).

სიჭაბუკეში, წლების მანძილზე, კონფლიქტი ჰქონდა „ცისფერად-

წლებთან“. როგორც რესკითთან მიმართების, ისე ხელმოწერების გაკეთების გამო.

ამიტომაც უარყოფდა სიმბოლისმს, მას მიიხვეწდა დასაყდეთის გუშინდელ დღედ და უპირისპირებდა ექსპრესიონიზმს. მაგრამ „დიონისოს ღიმილში“ საგრძნობლად გამოხინდა სიმბოლისტური მწერისა და დაღუპვის მოტივები. სოლო ესხეებს წერდა იმპრესიონისტული მანერით, ნათელი და ფერადი სტილით.

გერმანულ კულტურას აღმერთებდა, მაგრამ ესხეებში აელენდა ფრანგულ სინათლესა და სინატიფეს. პროზაშიც თავს იჩენდა იმპრესიონისტული თვალთახედვა. წუთიერად გაელეებულ საგანთა კასკადი, ასოციაციური აღქმა, ესხეიზმი, მოგონებანი.

ამიტომ კონსტანტინე გამსახურდიას მოდერნიზმი უნდა გაეიგოთ როგორც იმპრესიონისტულ, სიმბოლისტურ და ექსპრესიონისტულ სტილთა და მსოფლგანცდის სინთეზი, რომლის საფუძველი იყო ძველი ქართული კულტურა. სამშობლოს ბედისწერა, გოეთეს ჰარმონია, შოპენაუერის პესიმიზმი, ვაგნერის პეროიკა, ნიცშეს ელინიზმი, უაიდლისა და გეორგეს ესთეტიზმი, ელინური, ბუდისტური და ქრისტიანული მისტიციზმი. ხელოვნება წარმოედგინა როგორც ახალი მითისქმნადობა, რასაც სიჭარმაგეშიც დაულალაუად ქადაგებდა.

მწერლობაზე კონსტანტინე გამსახურდიას კონცეფციას დიდი ზეგავლენა არ აქონია, რადგან სწრაფად დაახშეს განახლების წყაროს-თვალის. მაგრამ იგი საფუძველად დაედო „დიონისოს ღიმილს“ (1925). „მთვარის მოტაკებას“ (1933-1935), „ხოვას მინდიას“ (1937). „დიდოსტატის მარჯვენას“ (1938-1939).

კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურის წანამდევარია მისივე თეორიული სისტემა, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ხარატუსტრას“ ავტორი და მისგან წამოსულ იდეათა და განწყობილებათა ტალღა.

ესხეებსა და თეორიულ წერილებს სხეაც მრავალი წერდა, მაგრამ ქართული მოდერნიზმის თეორიული ბაზისი და იდეოლოგია შექმნა ამ ოთხმა მწერალმა – გრიგოლ რობაქიძემ, ტიცვიან ტაბიძემ, ვალერიან გაყრინდაშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ.

ომი და ლიტერატურა

სისხლიანმა ეპოქამ მოდერნიზტები არა მხოლოდ წმინდა ხელოვნებისა და ესთეტიზმის, არამედ – ომის იდეოლოგებადაც აქცია, რაც არაცნობიერში მომწველელი სისხლის წყურვილის აღზევება იყო.

„სული ომებით ბოდავს,

სული სავსეა სისხლით“, წერდა გალაკტიონი.

თუ გერმანული მწერლობა ომის აგრესიას უმღეროდა, ქართველს თავდაცვა და თავის დახსნა, დეკარგულის მოპოვება აინტერესებდა.

ომის პეროიკას ნერგაედნენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე, პოლო იაშვილი და ტიცციან ტაბიძე. არაერთი მოღერნისტი იღებდა იარაღს თურქთა წინააღმდეგ.

კონსტანტინე „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ წევრი იყო. გერმანულად ბეჭდავდა პოლიტიკურ ბროშურებს, ხოლო 1917 წლიდან აქტიურად ჩაერთა პოლიტიკურ ორომტრიალში, როგორც ნაციონალისტი და გერმანიოფილი.

1911 წელს „სახალხო ფურცელში“ ბეჭდავს დიმიტრი უსნაძის „ომის ფილოსოფიას“, 1914 წელს გერონტი ქიქოძე „ომსა და ხელოვნებას“, ხოლო 1915 წელს გრიგოლ რობაქიძე გაზეთ „Кавказ“-ში აქვეყნებს წერილებს ციკლს „ომი და კულტურა“, რომელშიც კულტურის მოღვაწეთა თვალსაზრისითა გადმოცემული ამ აქტუალურ პრობლემებზე.

იმავე წელს გაზეთ „საქართველოში“ იბეჭდება ტიცციან ტაბიძის ესსე „ომის თემა ქართულ მწერლობაში“. იგი პაციფიზმის წინააღმდეგაა მიმართული და ამართლებს ომის აუცილებლობას, ქართველთა მეგობრულ სულს, რომელიც ჰქონდა დიდს თუ პატარას.

„ბერი მემატინე სარდალივით ლაპარაკობს, სენაკშიაც შედის სისხლის ალმური“, წერს ტიცციანი, როცა იხსენებს ქართულ ნაციონალურ პეროიკას.

ქართული მწერლობაც უმღეროდა ომს.

რუსთაველი წერდა „დიდ ფსალმუნს უკედავ გლადიატორზე“.

ახალი დროის პოეტებმა შანშიაშვილმა, აბაშელმა, გალაკტიონ ტაბიძემ ვერ აღიქვეს ომის სიდიადე, გაცივებით შენიშნავეს ტიცციანი. მაგრამ აღფროთოვანებულია ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილით“.

იგი „თითქოს ერეკლეს ბანაკში სწერს თავის ლექსებს“.

ტიციან ტაბიძემ ომის პეროიკა ქართველი ერის ნაციონალურ თვისებად მიიჩნია და თანამოკალმეებს მოუწოდა, ეგრძნოთ ომის სული და არ ეფიქრათ „ომის ბოროტებაზე“

1918 წელს, როცა დაეცა ბათუმი და ასკერები შემოიჭრნენ ოსურგაშშიც, ტიცციანმა თავი მიახება სიმარეულ ქალღვას ქალაქებს და შანღორ პეტეფის თავგანწირვით ამეტყველდა:

„ბათომის მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვაულით სისხლიანი სტირის აპრილი“...

*„საბუღისწერო წუთს ელოდი, წუთო, მოხვედი,
პიერო წუთით წითელ ქედში გაგარიბაღღდა“.*

გერმანული ომის კულტი და ომის აუცილებლობა შეახსენა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისუფვად საქართველოს („ახალი გერმანია და ევროპის მოსაყვადი“), რათა დამარცხების დროსაც ერმა შეინარჩუნოს მხეობა და მისმე ქამს ეველამ თავისი საქმე აკეთოს. როგორც უთქვამს ნაოლესის.

* * *

მოდერნიზმის იდეოლოგია რუსეთიდან და ევროპიდან გადმოვიდა საქართველოში, მაგრამ შეიქცო ნაციონალური იდეებით, სახეებით, მოტივებით, მიხსადაგა ქართულ ენას, ნაციონალურ და ესთეტიკურ პრობლემატიკას.

მოდერნისტულმა თვალთახედავამ ქართულ არეალში აღმოაჩინა „საზვარო ჯერაც მიუკლდეული“, როგორც იტყოდა გალაკტიონ ტაბიძე, და თეორიულ ფერისცვალებას მოჰქვია სიტყვისა და აზრის ზეიმი.

მოდერნიზმი ახალი დროის ევროპეიზმი იყო ქართულ ლიტერატურაში.

4. ქუთაისი – ქართული მოდერნიზმის აკვანი

თბილისი – ჰიბრიდული ქალაქი

თბილისი 400 წელი არაბებს ეკერათ და აქ მათი ამირა იჯდა. ქალაქი დაით აღმაშენებულმა დაიბრუნა, მაგრამ მომდევნო საუკუნეთა კატაკლიზმებმა ქართველთა რიცხვი შეტისმეტად შეამცირა.

როგორც ივანე ჯავახიშვილი გეუბნება, 1700 წელს თბილისში მხოლოდ ათი პროცენტი იყო ქართველი (ოცი ათასიდან ორი ათასი)!

ერეკლე მეორის მეფობის ქამს ბაგრატიონების ქალაქში შესამჩნევად განმტკიცდა ქართველობა და, მიუხედავად აღა-მაჰმად-ხანის ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტისა, 1803 წელს ქართული მოსახლეობა ოცდაათ პროცენტს აღწევდა.

მაგრამ მთელი XIX საუკუნე თბილისს რუსები და სომხები ეძღვებოდნენ. ისინი განაკებდნენ ქალაქს, ავიწროებდნენ ქართველებს და მათი რიცხვი ისე შემცირდა, რომ 1910 წელს აქ ცხოვრობდა მხოლოდ 17,7% ქართველი!

54 ათასი ქართველის ძირისძირ იდგა 125 ათასი სომეხი და 79 ათასი რუსი, რომელთაც არც ქართველი ენა სწამდათ, არც საქართველოს მოძაგადი.

თბილისში ძირითადად ცხოვრობდნენ მაღალი წრის ქართველები, ხოლო მასა, დაბალი ფენები არაქართველი იყო. ამიტომ წარმოიშვა პიბრიდული ქალაქური ფოლკლორი, რომელიც ასე კარგად წარმოაჩინა იოსებ გრიშაშვილმა „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“.

დემოგრაფიული კატასტროფა კულტურაშიც თავს იჩენდა.

ილია ჭავჭავაძისა და სხვა „თერგდალუკულთა“ მოღვაწეობა რომ არა, ქართველები იმ კუნძულსაც დაკარგავდნენ, რომელიც ჯერ კიდევ ეკავათ.

თუ 60-იან წლებამდე პოეტები და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოდან მოდიოდნენ, შემდეგ ლიტერატურას დასაჯელეთის ტალღა მოაწვდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა დასავლეთი საქართველოს მკვიდრია, მდებობრთა შეიღები. თითქოს მათ უნდოდათ შეეხსოთ გაცდენილი საუკუნეები.

თბილისში დაიბადა იოსებ გრიშაშვილი, ქართლში – მიხეილ ჯაკახიშვილი, კახეთში – გიორგი ლეონიძე.

პიბრიდული თბილისი ერის ლიდერი და მედროშე ვერ იქნებოდა, სადაც ბატონობდა ყარაიოხელების დაელური, არღანი და დიპლიმატო, სადაც გამოდიოდა ასეთი წიგნები – „ალავერდი! იახშიოლდი“, „ითამაშე თამარა“, „ქალაქის ახალი ბოინი“, „სირანუშას ხმა საძარიღანი“, „ძმა ძმის მკელელი და სტეკო დათუბოვის ანღერიძი“.

„ტფილისი საქართველოს მოშლილი კუჭია“, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

„აქ ქართულ ტიპში საშინელი შერევა მოხდა. ჯერ სპარსული ხაზი და შემდეგ იგივე ხაზი სომხური კილოთი ამეტყველებული“, – განმარტავდა გრიგოლ რობაქიძე.

გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი მუხამბაზებს ეურს უცდებდნენ, უყვარდათ ლოპიანა და სათარა. მაგრამ შეურიგებელი იყო სხვა რომანტიკოსი – ყახტანგ ორბელიანი:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,

კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“.

„კინტოთ კილოს“ კაკაფონიას ჩაესმო ბაგრატიონების მღელვარეული.

ფეერიული ქუთაისი

ქუთაისი XX საუკუნის დამდეგისათვის იმპერიის ერთი პაჭარა. პროვინციული ქალაქი იყო. იგი რიდენბახის „მკედარ ბრიუგელ“, მუქ-თახორებისა და ოხუნჯუბის ქალაქად მიახნდათ „ვისფერეანწელებს“. ხალაქ ვაჭრეკანები და „ბაქარას“ მოთამაშენი აბუნად იგდებდნეს ლიტერატურას.

მაგრამ სწორედ ეს ფაქტორი იფარავდა ნაციონალურ სუფს, როგორც ბნელი წიადი.

ხალხმა იკის მხოლოდ მშობლიური ენა და ამიტომ სტიქიურად იცავს მას, უკვით და მტრულად ეკიდება სხვათა ენის მოძალეუბას.

კულტურა და განათლება ხელს უწყობს გადაგვირებას, როცა ერს ხახელმწიფო არ გააჩნია.

თბილისისაგან განსხვავებით ქუთაისში ქართული ენა ბატონობდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც ქართული იყო.

აქ 1880 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა სასოგადოებამ დააარსა ქართული გიმნაზია. ქვეყანაში, რომელსაც უნივერსიტეტი არ ჰქონდა, გიმნაზია ასრულებდა უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციას.

გიმნაზია გაცილებით ადრე არსებობდა თბილისში, მაგრამ არა-ქართული გარემო ანელეებდა მის ნაციონალურ მნიშვნელობას.

ქუთაისის გიმნაზიაში მეტწილად სწავლობდნენ იმერლები, მეგრელები, რაჭველები, სვანები, გურულები, რომელსაც ბავშვობაში არც რუსული გაეგონათ, არც სომხური.

როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხთა შვილები უსხდნენ გიმნაზიის მერხებს და წვალებით სწავლობდნენ რუსულს, ლათინურსა და ბერძნულს.

თბილისის სასულიერო სემინარიამ ღეთისძოსაეთა ნაცვლად ღეთის მკვლევლები – მომავალი რევოლუციონერები აღსარდა (ნოე ჟორდანი, ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, აკაკი ჩხენკელი, იოსებ ჯულაშვილი, ლადო კეცხოველი...). ხოლო ქუთაისმა ასპარეზზე გამოიყვანა ახალგაზრდა ხელოვანთა და მოღვაწეთა მოელი პლეადა. რომელმაც შექმნა ახალი „ქართული სულის რენესანსი“.

ქუთაისის კლასიკურ და სათავადაზნაურო გიმნაზიებში სწავლობდნენ – ნიკო მარი, მხაკო წერეთელი, არსად ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, დეო ქაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, ეალურთას კაფრისდაშვილი, კვლაჯ ნადირაძე, რუხი ფერერისტი კვლაძემერ მიაკოვსკი...

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები იყვნენ - გრიგოლ რობაქიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, გალაკტიონ ტაბიძე...

ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა გერონტი ქიქოძე.

ქუთაისში დაიბადა და სწავლობდა ზაქარია ფალიაშვილი.

1905 წელს აქაც მოხდა შეტაკება კაზაკებთან, რამაც გაამძაფრა ნაციონალური გრძნობა, უნდობლობა რუსებისადმი.

ქუთაისში მოქმედებდა პროფესიული თეატრი, სადაც თამაშობდა „ქართული ერის ჰამლეტი“ - ლადო მესხიშვილი; არსებობდა ბანკი, სტამბა; გამოდიოდა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები („ფონი“, „კოლხიდა“, „თემი“, „იმერეთი“, „ოქროს ვერძი“...).

თბილისიდან ჩამოდიოდნენ იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე.

ქუთაისი ოვაციით ხედებოდა ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინ ბალმონტს, იგორ სევერიანინს, ფიოდორ სოლოგუბს - სიკედილისა და ეშმაკის მომღერალს.

აქ გამოდიოდა სიმბოლისტური „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“ (პირველი შვიდი ნომერი), „შვილდოსანი“, „პოეზიის დღე“...

„ცისფერყანწელებს“ ჰქონდათ გამომცემლობა „კირჩხიბი“ და „მეოცნებე ნიამორები“; გამოსცეს სტეფან მაღარმეს „დღექსები და პროზა“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“...

აქ ისევე ღმერთკაცად მიაჩნდათ აკაკი წერეთელი, რომელმაც ახალთაობას შეაყვარა ლექსი და პოეზია, ქართული სიტყვა.

რომ არა აკაკი, რომ არა მისი პოპულარობა, შეიძლება არც ყოფილიყო ესოდენი სწრაფვა პოეზიისა და კულტურისაკენ.

მოდერნისტებმა არ გააგრძელეს მისი გზა. მაგრამ „განთიადის“ ავტორის მიმართ კრძალვა და სიყვარული სიკედილამდე შეინარჩუნეს (გალაკტიონი, აბაშელი, გრიშაშვილი, ლეონიძე).

პატარა ქალაქში აღზრდილი ჭაბუკები სურვილს ოცნებაში იკმაყოფილებდნენ და რიონის ნაპირებზე სტუმრად მოიწვიეს უცხოელ თანამოქალაქეთა აზრდილები, რომელთა სახელები ქუთაისში არავის სმენოდა.

„ოქროს ვერძი“

1913 წლის 19 მაისს ქუთაისში გამოიცა ყოველკვირეული აღმანახ „ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი.

რედაქტორ-გამომცემელი იყო ბესარიონ ჯაიანი. მაგრამ ავტორებს

კრებდა და მათ ნაწერებს სასტამბოდ ამზადებდა პაოლო იაშვილი.

აღმანახმა მხოლოდ თეენახევარი იარსება.

გამოიცა ხუთი ნომერი და არსებობა შეწყვიტა, რადგან პაოლო იაშვილი პარიზს გაემგზავრა.

„ოქროს ვერძი“ შეიძლება წაითვალოს სიმბოლისზმისაკენ მიდრეკილ გამოცემად. იგი ღირატურულად ეკლექტური ხასიათისაა, მაგრამ მსჭვალავს ქართული სიტყვის განახლების პათოსი.

დაიბეჭდნენ – გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო აბაშელი, ტიცციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიანელი, შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, კონსტანტინე გამსახურდია (აბაშისპირელი), დია წიანელი (ჩხეიძე), იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი.

ითარგმნა პაინეს, გოეთეს, ე. დე ლილ-ადანის, ლ. ანდრევეის, ი. სევერიანინის ნაწარმოებები. აღმანახის პროზა იმპრესიონისტულია, ლირიკული მინიატურების გზას მიჰყვება, ხოლო პოეზია განიცდის იოსებ გრიშაშვილის ზეგავლენას (ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი)

„ოქროს ვერძის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა გალაკტიონის „მე და დამე“.

სიმბოლისტურია გრიგოლ რობაქიძის „ფიორდების ასულს“, ლირიკული ეტიუდი. არა მხოლოდ სპეციფიკური ლექსიკით (ლურჯი ნისლი, მთვარე, დამე). არამედ – ელადიმურ სოლოვიოვისებური მარადქალღურის აპოლოგიით:

„მარალი ქალწულო! ასეთი გიხილე ათასი წლის წინათ; ახლაც ასეთი შემხვლი უცნაური და ლამაზი“.

იგი არახორციელი არსებაა, როგორც ალექსანდრ ბლოკის თოვლის ქალწული, შორეული. ცხელი ეგვიპტიდან შემოსული ყინულოვან პეტერბურგში, ოცნებაში აღანდული:

„შენ ყვავილი ხარ, ჩემი ლეგენდის ყვავილი“, – მიმართავს აეტორი ამ რომანტიკოსთა მატყლდას. ქალად ქცეულ ცისფერ, სიზმარულ ყვავილს. მაგრამ თაყად მწერალიც ასტრალურ ძალთა გამონათებაა.

„მე შორეული ვარ: არ ვიცი არც დღე და არც ღამე ზემო მოვლენის“.

გრიგოლ რობაქიძის ეტიუდში ლირიზმი სიყვარულის მისტიკითაა გადმოცემული.

ამავე აღმანახის ფურცლებზე გრიგოლ რობაქიძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს რენესანსი დაიწყო.



ტიციან ტაბიძეს თავის ეტიუდებს პოემები პროზად უწოდა და იგი ეანრობრივად მართლაც მოგვეგონებს შარლ ბოდლერის ლექსებს პროზად ანუ ლირიკულ ეტიუდებს.

თვით აღმანახის სახელწოდება „ოქროს ვერძი“ რუსული „Золотое рыно“-ა. რომელიც სიმბოლისტების ჟურნალი იყო და გამოდიოდა 1906-1909 წლებში. მოსკოვში.

აღმანახში უცხოელთაგან ყველაზე ხშირად იხსენიება რუსი სიმბოლისტი კონსტანტინ ბალმონტი, რომელიც იმჟამად დიდად პოპულარული იყო.

ვილდე დე ლილ-ადანისა და იგორ სევერიანინის თარგმნაც აღმანახის სიმბოლისტურ განხრას ადასტურებს.

სიმბოლიზმი თუ ფუტურიზმი?

ქართული პრესა ბეჭდავდა იმპრესიონისტებისა და სიმბოლისტების თარგმანებს. მსჯელობდა მათზე. კრიტიკოსები ცდილობდნენ ჩვენშიაც აღმოეჩინათ სიმბოლიზმი. მაგრამ ფუტურიზმი ახალი მოვლენა იყო. მისი პირველი მანიფესტი ფილიპო ტომასო მარინეტმა 1909 წლის 20 თებერვალს გამოაქვეყნა ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“. მან მშვენიერების იდეალად „სიჩქარის სილამაზე“ გამოაცხადა.

კაცობრიობა თუ სულ სიმშვიდესა და წესრიგს ეძებდა. მარინეტის აზრით, ომი ყოფილა მსოფლიოს პიგიენა. იგი აღიდებდა ომს და მოითხოვდა მუწეუმებისა და ზნეობის მოსპობას, სიმაძაქვესა და აჯანყებას, იტალიის განთავისუფლებას პროფესორების, არქეოლოგებისა და ანტიკვარებისაგან.

მარინეტს მუწეუმი სასაფლაოს აგონებდა.

მისი იდეალი იყო ბრბო, შრომა, რევოლუციის ქარცეცხლი, რკინიგზა, ლოკომოტივი, ავტომობილი, აეროპლანი.

ლიტერატურაში ადამიანი მანქანას უნდა შეეცვალა, რომელსაც არც სული აქვს და არც ნერვები.

ეს იყო სიმბოლისტური სულობის, მთვარისა და ღამის იდეალების საპირისპირო მრწამსი, ძველი კულტურის უკუგდება.

ვარსკვლავთმოძულე მარინეტმა უფრო დაასუსტა თავისი პოზიცია „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკურ მანიფესტში“. რომელიც 1912 წლის 11 მაისს დაბეჭდა.

ამჯერად ბუნებრივ გრძნობებს შეუერთა და ხიყვარული არარაობად მიიხინია.

ფუტურიზმმა სწრაფად შეაღწია რუსეთში და რამდენიმე გაერთო-

ანება წარმოშვა, რომელთა ლიდერი გახდა ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ალაპარაკდნენ ქართველი კრიტიკოსებიც, ოღონდ უარყოფითად (მიხეილ წულუკიძე, ვ. კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე, ვასილ წერეთელი, დავით ქასრაძე).

მარინეტის გავლენა გადაწვდა „ცისფერ ყანწებსაც“ და ეს აისახა პაოლო იაშვილის წინათქმაში.

ახალგაზრდა მწერლის წინაშე არჩევანი დადგა, რადგან შერწყმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო – მათი ესთეტიკა ერთმანეთს გამოირიცხავდა.

საქართველო სიმბოლიზმს უცხოობდა და ფუტურიზმს როგორ მიიღებდა, რომელიც ყურადღებას იქცევდა ხაზგასმული ანტიესთეტიზმით.

გარდა ამისა, ქართულ ლიტერატურას ჯერ არ დასდგომოდა ნამდვილი სიმბოლიზმის დამეები. ხოლო ფუტურიზმი, პირველ ყოვლისა, სიმბოლიზმის უკუგდებაა. საქართველოს არც იტალიის მსგავსი დიდი წარსული ამძიმებდა, არც მაშინერიის მოძალებას უჩიოდა.

ქართველ პოეტებს ესთეტიზმი და ფორმის კულტი იზიდავდათ.

„ცისფერყანწელებმა“ შეითვისეს ფუტურიზმის ელემენტები, მაგრამ სწრაფად ჩამოყალიბდნენ სიმბოლიზტებად, თუმცა ფუტურისტებისადმი ინტერესი არ დაუკარგავთ (ვასილი კამენსკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ალექსეი კრუჩინინი...).

ამ გაორებას კარგად გეინვენებს ტიციან ტაბიძე:

„1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო. უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შეეცარითიდან ახლად დაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა ბუნდოვანი მისტერიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ვესტ-მიოკის თეატრზე. მახსენდება სკრაბინის სიკვდილი და მისი დაკრძალვა, სკრაბინისავე მუსიკის კულტი, ივორ სევეროანინის პოეზიის უთვლავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრედონამდე“; რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრონტზე, მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების“ სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აქემისტებისა და „ადამისტების“ შეტევა სიმბოლიზტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან, რომელიც მაშინ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, გატაცება ბლოკითა და ინოკენტი ანენსკით, და ბოლოს, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან – ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მალეღეებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა კიდევ ჩემს შემდგომ მუშაობაში“.

ათიანი წლების ახალი თაობა მანც სიმბოლიზმის გზით წაიყდა.

რომელმაც გააგრძელა იმპრესიონიზმით დაწყებული (ველილებების პროცესი).

ლიტერატურის ახალი კურსი განსასულერა ორმა პიროვნებამ – გალაკტიონ ტაბიძემ და ტიცინან ტაბიძემ. მათ დააკონკრეტეს გრიგოლ რობაქიძის განახლების პათოსი და ესთეტიზმი.

გალაკტიონი – სიმბოლიზმის ანი და პოე

გალაკტიონ ტაბიძე 1912 წლიდან უკვე წერდა სიმბოლისტურ ლექსებს („ვეითელი ფოთოლი“, „Ave Maria“, „სარკმელთან“, „სასაფლაოზე“, „შემოდგომის დღე“), რომელთა რიცხვი და ღირსება თანდათან იზრდებოდა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გალაკტიონი იწყებს და ამთავრებს სიმბოლიზმს ქართულ პოეზიაში და თავადაც სიმბოლიზმთან ერთად მთავრდება, როგორც პოეტი.

1912 წელსვე დაუწერია სტატია „სიმბოლიზმი უცხო და ქართულ პოეზიაში“, დაუწერია და უარუყვია სიმბოლიზმი. მაგრამ, როგორც შენიშნავეს ირაკლი კენჭოშვილი, მალე თავად დაადგა ამ გზას.

სწანს, გალაკტიონი დიდხანს ფიქრობდა სიმბოლიზმის პოეტიკასა და ესთეტიკაზე. ამ მხრივ უეტეველად ექნებოდა მნიშვნელობა ტიცინან ტაბიძესთან მეგობრობას, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა და უკვე იყო სიმბოლიზმის პროპაგანდისტი.

როგორც უთითებს ნოდარ ტაბიძე, 1912 წელს გალაკტიონი მუშაობდა ქუთაისის გაზეთ „ცხოვრებაში“ და იქ, 26 თებერვლის ნომერში, დაბეჭდილა ინფორმაცია:

„ახალგაზრდა პოეტმა ტ. ტაბიძემ გადათარგმნა და გამოსაცემათ დაამზადა კრებული „რუსეთის ახალი მწერლობა“. კრებულში მოთავსებული იქნება შემდეგ პოეტთა ნაწერები: კ. ბალმონტის, ბრიუსოვის, ანდრია ბელის, დ. მერეჟკოვსკის, თ. სოლოგუბის, ზინაიდა პიპიუსის, ივანოვისა და სხ.“

ასეთი კრებული არ გამოცემულა. მაგრამ ტიცინანმა აკაკი წერეთლისა და იოსებ გრიშაშვილის სანაცვლოდ გალაკტიონის ინტერესი წარმართა თანამედროვე რუსული მწერლობისაკენ, რომელშიც ბატონობდა სიმბოლიზმი. ხოლო რუსული ენა გალაკტიონმა ჩინებულად იცოდა, ეს მაშინ, როცა ფრანგულში სემინარიის მასწავლებელი ორიანებს უწერდა.

ტიცინანის მიერ აღძრული ინტერესი განუმტკიცა და რწმენად უქცია ქუთაისში გამართულმა ხოლოგუბის, სევერიანინის და ბალმონტის პოეზიის საღამოებმა.

მისი გზა უკვე ელისვის მინდერებზე გადაიოდა.

პირველი წიგნის (1914) გამოცემის შემდეგ კი თანამედროვეთათვის იგი იყო „სეფლის ზღოსანი“ (ივანე გომართელი), „ღამის ზღოსანი“ (მიხეილ აბრაშიშვილი), „მარტოობის ორდენის კავალერი“ (ტიციან ტაბიძე). ხოლო პოეტის უძირო სეფდა შემოდგომის ოქროსფერ „ვეთულ ფოთოლს“ შეადარეს (ალექსანდრე აბაშელი).

გალაკტიონსუ მეტად გრივოლ რობაქიძე პაოლოსა და ტიციანს აუასებდა. კონსტანტინე გამსახურდიას აბაშელი და გრიშაშვილი ხიბლავდა. მაგრამ აბაშელი და გრიშაშვილი სცნობდნენ გალაკტიონის პირველობას.



გალაკტიონის დაღუპვის შემდეგ კონსტანტინე დაწერს, რომ ასეთი ლირიკოსი მსოფლიოს არ ჰყოლია. ხოლო გრიშაშვილი თავისთვის ჩაინიშნავს: ჩემი გალაკტიონი, როგორ უყვარდა პირველობა, მაგრამ იგი ამას უეჭველად იმსახურებდაო.

მაშ ასე – ქართულ სიმბოლიზმს იწყებს გალაკტიონ ტაბიძე, რომლის მიერ დამკვიდრებული ესთეტიკა და ესთეტური სიტყვა იქცა ახალი ლიტერატურის ფუძედ და ლიბოდ, ქართული პოეტური მეტყველების ნორმად („ცისფერყანწელები“, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ტ. გრანელი).

ქართულ მწერლობასაც ჯერ მოდერნისტული ფურისცვალების ვამი უნდა დასდგომოდა, რომელსაც მალე სასტიკი კრიტიკით შეხედებოდნენ სილამაზის, ადამიანური გრძნობის უარყოფელი და მოტორის მომღერალი ავანგარდისტები, რომელთაც ასევე ქუთაისი აგზაჰენიდა თბილისისაკენ.

„ცისფერყანდალთა“ ორდენი

1915 წელს გარდაიცვალნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზი. ჭოღა ლომთათიძე.

ეს იყო დიდი გლოვისა და მწუხარების წელი ქართულ მწერლობაში.

მიდიოდნენ ძველი და ახალი ოსტატები აუხდენელი ნატვრითა და წაგებული ოცნებებით.

თანამედროვეთა თვალში ეს კატასტროფას უდრიდა.

მაგრამ ტრაურის დღეებში იწერებოდა გალაკტიონის გენიალური ლექსები, რომელთა მსგავსი არ იცის ქართულმა ლირიკამ – „მოაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „ატმის ყვავილები“, „შერიგება“, „მამული“, „ალგები თოვლში“, „სანთელი“, „ი. ა“, „ბავშვობის დღეები“, „შიშველი“, „გვიანი ოცნება“, „ფარულ ტკივილებით“, „ყდარებოდა შეშლილს“...

ქართული სიტყვა სიკედილზე გამარჯვებას ზეიმობდა.

გალაკტიონს უკვე პირველ პოეტად მიიხედავდა ალექსანდრე აბაშიძე.

ქართული სიტყვის უკედავებისათვის გალაკტიონის ეს ლექსებიც კმაროდა. მაგრამ ამავე წელს ქუთაისში იქმნებოდა ახალგაზრდა სიმბოლისტების გაერთიანებაც, რომელსაც ეწოდა უცნაური სახელი – „ცისფერი ყანწები“.

ასე რომ, 1915 წელს დასრულდა რეალიზმის ეპოქა საქართველოში.

ცისფერი რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ემბლემაა, რომელიც პირველად ნოვალისის ოცნებაში გამოჩნდა.

რომანტიკოსები ეძებდნენ ცისფერ ყვავილს, რომელიც ისევე მისტიკური იყო, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიან რაინდთა გრაალის თასი.

სიზმარეულმა ცისფერმა ყვავილმა ზმანებაში ქალის სახე მიიღო და მატყლდა დაერქვა.

შემდეგ სიმბოლისტებმა აიტაცეს ცისფერი, როგორც შორეთის, უსაზღვროსა და იდუმალის ანუ მიღმური სამყაროს – სულთა საუფლოს ნიშანი, რაც ყოფით ენაზე სიკედილს ნიშნავს.

„აქ მრავალია ცისფერი ფერი,

ეს ფერი მარად თვალს ყვეარება“;

წერდა ჭაბუკი გალაკტიონი 1916 წელს.

ცისფერ ჩიტს – ბედნიერების სიმბოლოს ეძებენ სიმბოლისტ მორის მეტერლინკის შეშის მჭრელის ბავშვები – და-ძმა ტილტილი და მიტილი.



სხედან პირველ რიგში: ნ. შინიშვილი, თ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, მ. შანშიაშვილი; მეორე რიგში: ე. გაფრინდაშვილი, ე. ლეონიძე, გ. ქიქოძე, პ. იაშვილი, ნ. ტაბიძე, ა. არსენიშვილი; დგანან: რ. გვეტაძე, შ. აფხაიძე, ტ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, გ. ლეონიძე.

ალექსანდრ ბლოკი შენიშნავდა, რომ მეტერლინკის ეს ცნობილი პიესა რუსულად არასწორად ითარგმნა, როგორც „ლურჯი ფრინველი“ მაგრამ პაოლო იაშვილმა იცოდა ფრანგული და ესმოდა ამ სიმბოლოს არსი.

ასე რომ, ევროპულ „ცისფერს“ შეერწყა ქართული „ყანნები“, ქართული ტრადიციის ატრიბუტი, რომელიც ხშიანებდა ახალგაზრდების შემეცნებაში და უკავშირდებოდა თრობას და ბოჰემას.

ამ ორი სიტყვით მიღებული მეტაფორა „ცისფერი ყანნები“ ნიშნავდა მარადისობით გატაცებას, სწრაფეას იდუმალი და შორეული ნაპირისაკენ, აღბეჭდილს ქართული ელფერით ანუ სიკვდილისა და სიცოცხლის მორიგებას, სიკვდილით თრობას (შდრ. - ტიცციანის „შხამის ყანნები“).

ჯგუფის შემკრები, ორგანიზატორი და მისი პირველი ჟურნალის „ცისფერი ყანნების“ რედაქტორი იყო პაოლო იაშვილი, რომელსაც მოეწელო პარიზი, გასცნობოდა მონმარტრსა და ლათინურ კვარტალს, პაბლო პიკასოსა და გიომ აპოლინერს, და ახლა ენადა პროვინციულ ქუთაისში წმინდა ხელოვნების სული დაემკვიდრებინა.

სანდრო ცირეკიძის სიტყვით, „ღირითორი ყველგან - პაოლო იაშვილი არის გაბედული არქიტექტორი ორდენის. ატლანტივით ორივე ხელით უჭირავს ცისფერყანნელების სიმძივე“.

*„წითელი ხარის გამძლეობა მაგარი გიში
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად“*, -

მიმართავედა პაოლოს ტიცვიან ტაბიძე.

პაოლო იაშვილი, როგორც ორგანიზატორი, ჰგავდა ვალერი ბრძულისთვის, თუმცა არ გააჩნდა მისებრი ერუდიცია და ტიტანური შრომის უნარი.

პაოლოს ჰქონდა რემბოს ენერგია და წყალვარდნილის მქუხარება. იგი საზოგადოებას აოცებდა სიურპრიზებით და ექსპრომტებით. გალაკტიონის შემდეგ ის იყო ყველაზე ნიჭიერი ლირიკოსი. მაგრამ დიდ პოეზიას მხოლოდ ტალანტი არ ჰყოფნის და მას არ აღმოაჩნდა ნიჭის დახვეწის, გაძლიერების, შემოქმედებითი თავგანწირვის ძალა.

პაოლოს ბუნებაში *„სულის გმირს“* სძლია *„ცხოვრების კაცმა“*.

ამ მხრივ მისი ანტითეზა იყო ტერენტი გრანიელი.

პაოლოს ეკუთვნოდა *„ცისფერი ყანწების“* „წინათქმა“ - მანიფესტი. მართალია, უურნალში დაბეჭდილი მასალები სიმბოლისტურია, მაგრამ მანიფესტი უფრო ჰგავს მარინეტისა და სხვათა ფუტურისტულ დეკლარაციებს (სახელებიც იტალიური დაირქვეს - პაოლო, ტიცვიანი, ნიკოლო).

მარინეტი სიმბოლისტებს *„მთვარის უკანასკნელ მიჯნურებს“* ეძახდა, უარყოფდა სევდას, ლირიზმს, ღამეს და მთვარეს, განადიდებდა მინქანას, სინქარის სილამიახეს.

მარინეტის მანიფესტის თვალმიდევნებით წერს პაოლო იაშვილი:

„ვისაც სურს მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და საღამოს მუდროებას, დამშვიდებულსა და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებასა და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“.

მარინეტს სძულდა წარსული და მუსეუმები.

პაოლო იაშვილი სოლიდარობას უცხადებდა ფუტურისმის ბელადს: *„ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს, წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში“.*

გავა ექვსი წელი და სიმბოლისტების დარად ქუთაისიდან წამოსული ფუტურისტებიც განაცხადებენ:

„უარყოფთ რაც ჩვენ უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება“.

განაცხადებენ და *„ცისფერყანწილებსაც“* აუტო დაფკეს მოუწყობენ. მარინეტი უარყოფდა დისკურსიულ აზროვნებას, ტრადიციულ სინტაქსს.

ამ იდეას იზიარებდა პაოლო იაშვილი:

„ჩვენ გესურს შევეშნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები“.

ეს ნათქვამი „H₂SO₄“-ელ სიმონ ნიქოვანს უფრო შეშვენილდა. ფუტურისტულ მანიფესტებში სიყვარულს ცელიან სექსით, სინა-სეს - ენერგიით, სიმახინჯეს - სიჯანსაღით.

სიმბოლოში კი სიმახინჯეს სიღამაზის ნაწილად მიიჩნევა, და-ცემას - ამაღლებად.

პაოლო ისევე ფუტურისტულ იდეას იმეორებდა:

„ღაიფიწვეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ღმობიერება და ქალური სინაზე“.

მაგრამ „წინათქმაში“ სანიმუშოდ მიიჩნევა ღოთი ძმები - ბოდლე-რი და ვერლენი, მაღარმე და რემბო - „სიამაფით მთურადი ქაბუკი“, რად-გან საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი!

ერთი სიტყვით, პაოლო იაშვილის მანიფესტი არის სიმბოლიზმისა და ფუტურისტის ღოთუნებების ნაერთი, რომელშიც მთავარია ფუტურისტული იდეები.

1922 წელს, როცა ქართველმა ფუტურისტებმა დაბეჭდეს „საქარ-თველო - ფენიქსი“, თავიანთი იდეები გადმოსცეს სიმბოლისტური პათეტიკით, ნიკშესებური სტილით და არა ეელიმირ ხლებნიკოვის ან აღექსეი კრუნიონიხის ხელოვნური ენით.

როგორც ჩანს, პაოლო იაშვილი ვერ ხედავდა, რომ ეს ორი მიმარ-თულება ერთმანეთს გამორიცხავდა და მათი შეხამება ისევე ვერ მოხერხდებოდა, როგორც ცეცხლისა და წყლისა.

„ცისფერყანწულები“ შეუცვლელ ავტორიტეტად მიიჩნეოდნენ გრი-გოლ რობაქიძეს, რომელსაც სასოგადოება აღიარებდა და მათზე 10-15 წლით ადრე მოევიდნა ქვეყანას.

მას უწოდებდნენ თავიანთი ორდენის „არდინალს“, „უწმინდესს“ და „უნეტარესს“ (პაოლო), „მულგესთ ბაშს“ (ტიციანი), „ღოთას“ და „მხვარ-თმთავარს“ (გიორგი ლეონიძე), „ქართული პოეზიის ტინს“ (ნიკოლო მიწი-ვილი), „პოეზიის მეტრს“ (პაეღე ინგოროყვა). ეს მაშინ, როცა გრიგოლს ჯერ არ დაეწერა „ღამარა“ და „მეღლის პურანგი“. ხოლო გალაკტიონზე ღუმდნენ, თუმცა დაბეჭდილი ჰქონდა უმთავრესი შედეგები!

„ცისფერი ყანწუბის“ პირველ ნომერში ტიციან ტაბიძე წერდა:

„სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ“, „გრ. რობაქიძის ღექსები პირვე-ლი სიმბოლისტური ღექსებია“.

მაგრამ ჟურნალში გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი ღექსი „სირე-ნას სიმღერა“ გრიშაშვილის გაღვენას ამუღავენებდა. ხოლო „სონეტი ღლოცვის“, რომელიც ებღვენებოდა „ახალ მხედართ“ - ვაღერიანს. პაოლოს, ტიციანსა და გალაკტიონს, მართლაც იყო სიმბოლისტური.

ეს ოთხი ავტორი გრიგოლის ოყალში განასახიერებდა აპოკალიპ-სის ოთხ მხედარს, რომელთა გამოსწენას მოჰყევა ძველი სამყაროს ნგრევა.

შეიძლება ითქვას. „ცისფერი ყანწები“ სიმბოლისტურ მიმდინარეობად აქციეს გალაკტიონ ტაბიძემ, ტიცვიან ტაბიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა. მათ თაყიანით რკალში გადაიყვანეს პაოლოც, გრიგოლიც და იოსებ გრიშაშვილიც.

ტიციანი და ვალერიანი თეორიიდან ამოდიოდნენ და ისე თხზავდნენ პირველ სიმბოლისტურ ლექსებს. ხოლო გალაკტიონს უკვე დაწერილი ჰქონდა სიმბოლისტური ლირიკის წარუვალი ნიმუშები.

მათგან განსაკუთრებით პოპულარული იყო „მე და ღამე“, „მერი“ და „ლურჯა ცხენები“.

ამ ლექსებს აღიარებდნენ „ცისფერყანწელები“.

პაოლო იაშვილი სცენიდან კითხულობდა „მერის“.

უკვე არსებობდა გალაკტიონის მიერ შექმნილი ახალი ქართული ლექსი, რომლის ესთეტიკა და პოეტიკა სიმბოლიზმს ეფუძნებოდა. მაგრამ გალაკტიონი არ იყო თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი.

ეს მისია შეასრულეს ტიცვიანმა და ვალერიანმა.

მთელი ქართული მოდერნიზმი ევროპისკენ სწრაფვა იყო. ეს ტენდენცია გადავიდა პოლიტიკაშიც და ასე გამოხატა მთავრობის თაქმჯდომარემ ნოე უორდანიამ: *„მოჩვენა დასავლეთის იმპერიალისტები აგზო-სავლეთის ფანტიკოსებში“*, ე. ი. რუს ბოლშევიკებსო.

„ცისფერყანწელებს“ აკლდათ პოლიტიკური სიფხიზლე, მაგრამ პარიზი იყო მათი ოცნება.

ამ პოეტური დასის წევრები იყვნენ – გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), ივანე ყიფიანი, ლელა ჯაფარიძე – მათ რიცხვს კოლაუ ნადირაძე უმატებდა ნიკო ლორთქიფანიძეს.

ეს ავტორები სიტყვის ოსტატებად იქცნენ „ცისფერყანწელთა“ სკოლაში და შეძლეს ნიჭის მაქსიმალური გამოვლენა.

„ცისფერყანწელები ერთი პოეტა“; სამართლიანად შენიშნავდა შვიდი წლის შქაყვამე პაოლო იაშვილი. ბუნტარი, იმპროვიზატორი და ორატორი.

მათგან განსხვავებით ინდივიდუალურად მოვიდნენ სხვა მოდერნისტები – გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასილ ბარნოვი, ტერენტი გრანკელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე.

„ცისფერყანწელთა“ ორდენს ჰქონდა ორგანიზაციული დისკვიპლინა. საოცარი სიყვარული და თანადგომა ერთმანეთისადმი.

ამ მხრივ მართლაც ძგავდნენ ათცამეტ ასურულ მამას. ქართლში რაიმე ყაბიჯეს ნაშთიელი ქრისტიანობა.

მაგრამ კარნაკეტილი არ ყოფილან. პირადადაც იცნობდნენ რუს მოღვაწეებს და აკანგარდისტებს – იგორ სეკერიაინის, ყიოლორ სოლოგუბს, კონსტანტინ ბაღმონტს, ანდრეი ბელის, სერგეი გოროდეცის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინს, ვასილი კამენსკის, ალექსეი კრუნიონის, კირილ ზდანევიჩს...

მაგრამ ქართველები უფრო იყვნენ დეკადენტობით გატაცებული, ვიდრე რუსი კოლეგები, რადგან იდეალად თქლიდნენ ფრანგ „დაწვეულილ პოეტებს“.

ალი არსენიშვილი წერილს სწერდა ალექსანდრ ბლოკს, „მშვენიერი ქალბატონის“ პალადინს. მოღწეულია დიდი რუსი პოეტის პასუხი, რომელიც თარიღდება 1912 წლის 8 მარტით.

ბლოკი ურნევდა ქართველ ჯაბუკს, თავი შეეკავებინა ელისეის მიზღვრებისა და დეკადენტური ტიპილი შხამისაგან.

მაგრამ ცისფერყანწელებს არ ავიწყებოდათ ქართული კლასიკა: 1913 წელს პაოლო იაშვილმა პარიზში სიმბოლისტ კონსტანტინ ბაღმონტს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა, რასაც მოჰყვა ამ პოემის თარგმნა რუსულ ენაზე.

პაოლოს არ მოსწონდა დანტე, შექსპირი და ბეთჰოვენი. ე. ი. ისევე თავს იხიდა ფუტურისტული ნიმილიზმი: „*პაოლო იაშვილს მოშეწყონა ყვოფელი დანტე*“.

ასეთი მაქსიმალისტი XIX საუკუნის ქართველ მწერლებს სანიშნუ შოდ როგორ ჩათვლიდა. ამიტომ კილაედა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“, ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედას“, აკაკი წერეთლის „აღმართ-აღმართს“, მწარე სტრიქონებს არ იშურებდა მათ გასაქილქებლად.

ყველა „ცისფერყანწელმა“, გიორგი ლეონიძემაც კი, თავისი საუკეთესო ლექსები დაწერა სიმბოლისტობის პერიოდში.

დასი სამაგალითო მთლიანობით გამოირჩეოდა. იშვიათია ლიტერატურული გაერთიანება, რომელშიც არ ყოფილა შინაშუღლი და განხეთქილება.

ეს ჯგუფი კი, რომელიც 17 წელი არსებობდა, არ გათიშულა, უთანხმოება არ წარმოშობილა.

ისინი კოლექტიურად ამკვიდრებდნენ იმ ესთეტიკას, რაც გადმოსცა ერთადერთმა გალაკტიონ ტაბიძემ, და მათზე გაცილებით უკეთ.

მაგრამ ყველა „ყანწელი“ ერთ აზრს როდი იმეორებდა. მათ ჰქონდათ საკუთარი თვალთახედვა, ოღონდ მეტი რამ აერთიანებდათ, ვიდრე სთიშავდათ.

მათ შორის არც ცალკეული პოეტების შეფასების გამო არსებობდა თანხმობა:

ქალკერიან გაფრინდაშვილი „*ერუ ფუტურისტს*“ უწოდებდა კამენსკის.

ხოლო ტიცვიან ტაბისე — „*კიგონს*“, ეს მაშინ, როცა გრიგოლ რობაქიძე მას აღფრთოვანებულ ღუქსს უძღვნიდა.

ვალერიანს კრუნიონისი „პოეზიის ლენინად“ მიაჩნდა, ხოლო ტიცვიანის სიტყვებით. „*კრუნიონისი ჩხაოდა, როგორც მოვლადელი კატა*“. გიორგი ლუნიძე ისტორიიდან მოდიოდა და ქართულ მესიანიზმს ქადაგებდა, პაოლო იაშვილი ალმაცერად უყურებდა ძველ ოსტატებს.

გრიგოლ რობაქიძე ექსპრესიონიზმში გადაიჭრა, ტიცვიანი დადაიზმმა გაიტაცა, პაოლოს იმორჩილებდა რეალისტური ღუქსის სინათლე, დადაიზმს „ვახრწნილობის იდეოლოგიას“ ეძახდა, ვალერიანი მაღარმესა და ბრძუსოვის ერთგულ მიმდევრად რჩებოდა, თუმცა ექსპრესიონიზმიც აინტერესებდა. იგი ცნობილი განხეთქილების შემდეგ მარჯანიშვილს არ ჩამოსცილებია. ხოლო ტიცვიანი და პაოლო ახმეტელს მიემხრნენ. პაოლოს უყვარდა გიუებთან და მათხოვრებთან საუბარი. ვალერიანს ისინი ეჯავრებოდა, თუმცა დეკადენტური „ბოჰემის მონოლოგი“ დაწერა.

„ცისფერმა ყანწებმა“ არსებობა დაიწყო რითმის აკრობატიკით და დაასრულა უარყოფით, დაიწყო ლირიზმით და დაამთავრა ირონიითა და ცინიზმით. სონეტების ავტორი პაოლო იაშვილი მოითხოვდა სონეტების გასვენებას და პანაშვიდზე მღვდლებად იწვევდა მაღარმესა და ერედias.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა თუ ევოლუციისა, ჯგუფში კონფლიქტი არ განიხილა. ეს ყოველივე აღიქმებოდა ინდივიდუალურ სამყაროთა სიუხვედ.

ძიების საფუძველი იყო ახალი ხელოვნების შექმნა, რასაც ყველა ერთპიროვნულად აღწევდა.

„ცისფერი ყანწები“ იყო ერთადერთი წმინდა სალიტერატურო გაერთიანება ქართულ მწერლობაში, რომელმაც გაძლო 1932 წლამდე.

ორდენის გაუქმების დადგენილება დაწერა აღი არსენიშვილმა, რომელსაც დაეიწყნოდა თავისი წარსული, ძველი თანამოკალმენი და სისასტიკეში „რააკელებს“ ეჯიბრებოდა...

თბილისი — „გილიოტინა და ეზაფოტი“

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რამაც ქართველი ხალხი იმედითა და რწმენით აღანთო.

დაიწყო სწრაფვა დედაქალაქისაკენ, რომელიც იცლებოდა სომხებისა და რუსებისაგან.

სახელმწიფოებრიობის აღდგენა, დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება თხოულობდა ეროვნულ კადრებს, მართვის ახალ სისტემას.

1918 წლის 8 თებერვალს, დაეით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელსაც ოცნებობდნენ „თერგდალეულები“.

1918 წლის დეკემბერში სომხებმა საქართველოს წინააღმდეგ ომი გააჩაღეს, მაგრამ დამარცხდნენ და ერეკანი ძლივს გადაურჩა აოხრებას.

*„ქართველი ჯარები ჩაგლენ ერევანში,
მწარე იქნება ჩვენი რევანში“,*

დაწერს მოგვიანებით ტიცვიან ტაბიძე.

სომეხი მოსახლენი ახლა უფრო ინტენსიურად სტოვებდნენ თბილისს, რომელიც, რატომღაც, თავიანთ ქალაქად მიიჩნდათ.

ქუთაისიდან ჩამოდიოდნენ პოეტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები.

ბოლშევიკებით დამფრთხალი რუსი მწერლებიც თბილისში პოულობდნენ თავშესაფარს, აქ აარსებდნენ ეურნალ-გაზეთებსა და აგანგარდისტულ წრეებს.

გრიგოლ რობაქიძე წერდა:

„ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდევ გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ – პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ იმ ხანებში თავს დაეკა ტფილისის, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოქმით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის ტიცვიან ტაბიძე ორპირის ჭაობში და მღაღრაში ლაფორგის მთეარის სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასვით უაყუდა ამ უბადაღებულ მნათობს. მას ისიც ეგონა, რომ ორპირის ყანა ლოტრეამონის „მადლორორივით“ დაიწყებდა დითორამბულ მონოლოგებს. გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა: აპოკალიპსი და დიონისო. ამავე დროს ამზადებდა იგი „ორღობის ეშაფოტს“ და „ატმოსის რიტმებს“. ჭკვანა მართლაც იქცეოდა – და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხედეზოდა“ („ფალესტრა“).

თბილისში ევროპის გავლით მკვიდრდებოდნენ – გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, დაეით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი და გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, შალვა ნუცუბიძე და დიმიტრი უსნაძე, ნოე ჟორდანიას და აკაკი ჩხენკელი...

თბილისი ხდებოდა ეროვნული სახელმწიფოსა და მეცნიერების, არა მხოლოდ პოეზიის ცენტრი. მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვილისა“.

საქართველო ხელმეორედ დაიპყრეს რუსებმა, დაიპყრეს და მისი ტერიტორია გადააჩაწილეს.

ნოე ჟორდანიას ხელისუფლება ემიგრაციაში წავიდა, თან გაიყო-

ლა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი და ქვეყნის ადვოკატის იმედი.

როგორც ორასი წლის წინათ რუსეთის დღალატის წყალობით მოსკოვს გადაიხვეწა ვახტანგ VI 1200 მხლებელთან ერთად, ისე ახლაც, ოღონდ ამჯერად რუსეთის აგრესიის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანა დატოვა. დატოვა სამუდამოდ.

ქალაქს მოაწყდა დამშუულ ლტოლვილთა ნაკადი.

ისევე მობრუნდნენ გაქცეული რუსები და სომხები და საქართველოს დაშლა-დაყოფას შეუდგნენ.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის ახალ-ახალი ტალღა იპყრობდა დედაქალაქის ქუჩებს.

1926 წელს თბილისში ქართული მოსახლეობა 38 პროცენტს აღწევდა.

ეს საგრძნობი პროგრესი იყო, თანაც რუსოფილი ბოლშევიკების ხელში. ხოლო ქართველობამ 50 პროცენტს გადაამეტა მხოლოდ სამოციან წლებში.

რომანტიკოსი პოეტების მსგავსად, ისევე გაამითეს მთაწმინდა და მტკვარი, სიონი და ქაშუეთი (ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცინან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ტერენტი გრანელი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია).

თბილისი კი ფერს იცვლიდა – რკინა და ქარხნის საყვირი ახშობდა დუდუკისა და ზურნის ხმებს.

ქუთაისიდან წამოსულ მეოცნებეებს აქ ელოდათ „გილიოტინა და ეშოტო“; სიკედილი და გამარჯვება.

5. შორეული შუქურები

„ხშირად ვიგონებ ვერლენს“

ქართულ მოდერნიზმს არ კყავდა იმ მასშტაბის იდეოლოგიები და თეორეტიკოსები, როგორც იყვნენ დიმიტრი მერეჟკოვსკი, ვალერი ბრეჟუსოვი, ეიანესლაე ივანოვი და ანდრეი ბელი. მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი: ხელოვანის სულს ბევრს ვერაფერს კმატებს უნაპიროკოდნა ან ღრმა, თუნდაც გენიალური ლოგიკური აღმოჩენება: ლიტერატურა მხატვრული სახეებით და ფორმებით შეტყვევდება.

თავად მერეჟკოვსკი, ბრეჟუსოვი, ივანოვი და ბელი უფრო თეორე-

ტიკოსები გამოდგენენ. ვიდრე მხატვრები (მაგ. თეხისეს ეკუთვნის კლასიკური გამოკვლევა „Дионис и пралидионичесство“).

მათ ბუნებაში შემოქმედს ხელეწილა მკვლევარი სა მთაწროვნე.

ქართული მოდერნიზმის იდეოლოგები ევროპული სტილის მთაწროვნენი იყვნენ და გაცილებით მეტი პოეტური მღვდლარებით წერდნენ, ვიდრე მათი რუსი კოლეგები.

რუსი მოდერნისტები დაუცხრომელი მთარგმნელებიც იყვნენ. მაგ. ბაღმონტმა მოლიანად გადაიღო შელი, ედგარ პო (ხუთ ტომად). „გუფხისტეკოსანი“, ბროუსოვმა – „ენეიდა“, „ფაესტი“ (1 ნაწ.), ვერლენი, სოლოგუბმა – ვერლენი, გუმილიოვმა – გოტიეს „მინანქრები და კამელები“...

ქართველები ასეთ აქტივობას არ იჩენდნენ. მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიამ შეძლო გამოეგლინა ჩვეული მთარგმნელებთან – თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ვერტერი“, ეიტგენის პოეზია.

გრიგოლ რობაქიძემ თარგმნა უაჟდის „სალომეა“, პაოლო იაშვილი – პეშინი. ბაღმონტი, უაჟდის „სალომეა“, ვალერიან გაფრინდაშვილმა – ძრავალი რომანტიკოსი და სიმბოლისტი (ერთობ წარუმატებლად). იოსებ გრიშაშვილმა – ოვანეს თუმანიანი. სანდრო ვირეკიძემ – მალარმეს პროზა.

თარგმანი ავლენდა მოდერნისტების ინტერესთა სფეროს. მსოფლსხედვას, მწერლურ ორიენტირს.

ამდენად – თარგმანი ესთეტიკური მრწამსის ნაწილი იყო, რაც ახალ პერსპექტივას სახადდა.

სწორედ რუსული თარგმანებით შემოვიდნენ ევროპული და ამერიკული ავტორები ქართველი პოეტების წარმოსახვაში.

„ხშირად ვიგონებ ვერლენს,

როგორც დაღუპულ ბაბს“.

წერდა გალაკტიონი, როგორც ოდესღაც მალარმე. მეორეგან ახსენებდა ბოდლერს. შემდეგ გამოჩნდა უაჟდის ლანდი:

„იგავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით

და უაჟდის უკვილოდით დავცი გზაზე“.

„არტისტულ ყვევილებს“ (1919) ეპიგრაფად უძღვის ბოდლერის. გოტიეს, ვერლენისა და რენიეს სტრიქონები და არა რომელიმე რუსი პოეტისა.

გალაკტიონ ტაბიძის შთაგონება იყო ფრანკული კარნახული, სიმბოლისტური და იმპრესიონისტული პოეზია, რომელიც ეფუძნებოდა არტიკასა და შევსაქვენებს. როგორც ნიშქიშა და ერალანს.

გალაკტიონისათვის უაჟრესად მახლობელი აღმოჩნდა ათლ ვერ-

ლენის მოწოდება - „*მუსიკა უპირველეს ყოვლისა*“; სიტყვის მუსიკალური აღქმება, როცა მელოდიის ქარში ქრება მატერიალური ხილვადობა და საგნებს დაისების ბინდი ეცემა.

ასევე ხშირად ახსენებს ბალმონტს, ვაგნერს, ვერსარნს, გოტიეს, მუსეს, ედგარ პოს, ბლოკს, ბრეუსოეს, უძღვნის მათ ლექსებს.

მან ყველაზე უკეთ და ყველაზე მეტად აითვისა ვერდენის თრთოლვის მელოდიკა და ედგარ პოს კოშმარის იდემალება, ეს ამერიკელი პოეტიანი, როგორც უწოდა ბალმონტმა.

მაგრამ არსებობდა ენობრივი და ფსიქიკური ბარიერი.

ახალთაობას რუსული ენა და რუსეთი აკაეშირებდა დასავლეთთან.

მხოლოდ გრიგოლ რობაქიძემ იცოდა გერმანული, კონსტანტინე გამსახურდიამ - გერმანული და ფრანგული, ნაწილობრივ - ინგლისური და იტალიური, პაოლო იაშვილმა - ფრანგული.

ცნობილი რუსი მწერლები თარგმნიდნენ მოდერნისტ კოლეგებს, სცემდნენ სრულ კრებულებს, ცალკეულ წიგნებს. მათ თვალსაწიერს მიღმა არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი ავტორი.

გალაკტიონმა არ იცოდა ფრანგული ენა, მაგრამ რუსული სიტყვის დიდოსტატებს გადაჰყავდათ ევროპული პოეზიის საუფლოში.

არც ვალერიან გაფრინდაშვილი, არც კოლაუ ნადირაძე პარიზში არასოდეს ყოფილან, მაგრამ ოცნებით თავს ევლებოდნენ ვერსალსა და ნოტრდამს.

კოლაუს ფანტაზიას აღელვებდა ლეონარდოს ჯიოკონდა, მას უძღვნიდა საუკეთესო სტრიქონებს, თუმცა ორიგინალი თვალით არ უხილავს.

ჭარბად დაესესხნენ რუს და ფრანგ პოეტებს პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლებმაც ისინი „ახალი მითოსის“ პერსონაჟებად გამოაცხადეს, ლექსებსა და ესსეებში ააუღერეს მათი სახელები.

*„უფხო რუმო მენინავედ ზგონებს გვეირღები,
თორემ ლალი და მარმარილო გადიხვეტება“;*

მიმართავდა პაოლო იაშვილი „მთვრალი ხომალდის“ ავტორს.

გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია განადიდებდნენ გოეთესა და ნიცშეს, ტიციან ტაბიძე - უაილდსა და ლოტრეამონს, ვალერიან გაფრინდაშვილი - მალარმესა და ბრეუსოეს, ალექსანდრე აბაშული - პარნასისტებსა და ბალმონტს, ხშირად ახსენებდნენ ვერსალსა და ესკურიალს, ნოტრდამსა და უნტერ დენ ლინდენს.

ევროპული ცხოვრების სურათებს, საღონურ ყოფას აჩვენებდნენ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ნიკო ლორთქიფანიძე.

იმ დროს, როცა ევროპულ ხელისუფლებას მხერა გარბოდა აფრიკისა და აზიისაკენ, ქართველები დასაველეთს ეშურებოდნენ, თქვებაში გაზაერცობდნენ გეოგრაფიულ სიერცეს. მაგრამ აერთიანებდათ სიღრმისკენ სწრაფვა.

უცხო სტილი, სახელი, იდეა, ყორმა იწვევდა მთაგონებას, პოეტურ აზნებას, რაც დიდად განსხვავებოდა იმ ტრადიციებისაგან, რომელთა წრეში აღიზარდნენ.

ეს გატაცება მარტოოდენ მოდა არ ყოფილა.

ეს იყო ზიარება დიდ კულტურასთან, რომელსაც არ იცნობდა საქართველო. მაგრამ გაცნობაც არ კმაროდა. საჭირო იყო ათვისება და ტრადიციებთან შესრდა, რათა ლიტერატურას წინსვლა შესძლებოდა, რათა აქ, გელათის ტაძარში დამარხულ დაეით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარის, დაეით სოსლანის, ლაშა გიორგის, რუსუდანიის ძელებს ახალი სიცოცხლე ეგრძნოთ.

ქუთაისის ქუჩაბანდები, დუქნები და ლუღხანები პარიზის ლათინურ კვარტალს დაემსგავსა, როგორც წერდა გრიგოლ რობაქიძე.

ისხდნენ „სობოროს“ კიბის საფეხურებზე მეოცნებე ჭაბუკები და პოეზიისათვის დამეებს ტეხდნენ, აწუბდნენ მოფმანის სადამოებს, თამაშობდნენ ბანქოს, ეწაფებოდნენ „თხევედ მხეს“ – ღვინოს. ხუღიგნობდნენ და ხმაურით იკლებდნენ ქალაქს. ზოგი ოპიუმის ძალას სკვდიდა (პაოლო იაშვილი), ზოგიც ჭლექს ებრძოდა (სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი)...

მათ ოცნებაში სხივმოსილი პარიზი და ჭლექიანი პეტერბურგი დამის იდუმალებითა და მთვარის შუქით გაერთიანდა.

სიმბოლიზმის მთვარი

სიმბოლიზმის სამშობლოც საფრანგეთია. იგი იშვა პარიზში, რომელსაც ხელოვნების მექად მიიჩნეოდნენ.

1886 წლის 18 სექტემბერს ჟან მორეასმა გაზეთ „ფიგაროში“ დაბეჭდა „სიმბოლიზმის მანიფესტი“.

მან პირველმა უწოდა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას სიმბოლიზმი (თუმცა თავად მალე განდგა და „ლათინური სკოლა“ დააარსა). მაგრამ პოლ ვერლენიც აცხადებდა, რომ მას ეკუთვნოდა სახელწოდება სიმბოლიზმი, ისევე როგორც „დაწვევლილი პოეტები“.

ჟან მორეასი ბერძენი იყო (პაპადიამონტოპოლოსი) და ლექსების პირველი წიგნიც ბერძნულ ენაზე დაწერა.

იგი მოითხოვდა კლასიციისტური ყორმების აღდგენას. ფრანკულ სინათლეს.

ნიკოლაი გუმბელიძის აზრით, რომანული სული ეტრფის სინათლას სტიქიას. ხოლო სახეებისა და საგნების აღრევა და შერწყება მთლის გერმანიის ნისლიან ტყეოა წყვედიადიდან.

მორეახამდე არსებობდა სიმბოლიზში და მკავედა უდიდესი მესიტრეუენი - შარლ ბოდლეური, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე.

ეს ოთხი სახელი თავს დააბტყდა ლიტერატურას, როგორც აპოკალიპსის ოთხი ანგელოსი.

ფრანგულ ლიტერატურაში ახალი პოეზიის თავყურ(ველად ითყლება შარლ ბოდლეურის „ბოროტების ყვაეილები“ (1857), რომელიც განცდებს კი არ გადმოსცემს - თავად არის განცდა და განწყობილება, რთული სტრუქტურის წიგნი, რომელიც პარნასულ ნაკადს იერთებს.



ბოდლეურმა შემოიყვანა ფრანგულ პოეზიაში ამერიკელი ედგარ ალან პო და გერმანული რიპარდ ვაგნერი, რომელთა სახელები მოდერნისტთა შთაგონებად იქცა ყველა ქვეყანაში. ხოლო სიჯანსაღესა და სიკეთეს შეუხამა პარიზის სკლინი და ბოროტების ყვაეილების სქნოქეა.

მისი ანდერძი იყო: „თრობას მიეძალე, თრობა ყველაფერი“, რათა ადამიანი არ იგრძნოს ამასრსენი დროის ტვირთი, სულერთია რითი დათყრები - ღვინით, პოეზიით თუ სიქყელით.

პოლ ვერლენმა გააფტეიშა მუსიკალიზმის პრინციპი („მუსიკა უპირეელეს ყოელისა“). ლექსს უნდა პქონოდა ლიყლიყა, სტიქიური, გაურკვეველი სახეები, რომელთაც ბგერითი ასოციაციური უღერადობა შეაკაყეშირებდა. ამიტომაც უწოდა თავის ერთ-ერთ მთაყარ კრებულს „უსიტყვო რომანსები“ (1874).

ვერლენის აზრით, ხელოვნება მეტი იყო, ვიდრე სინამდვილე და ამდენად ხელოვანს განსაკუთრებულ პერსონად მიიხნედა.

ვერლენის სახელს შეერწყა დეკადენტური ბოქემა, ხეტიადი, არეული ცხოყრება, ალკოპოლი და ნარკოტიკები, როგორც უმწყო პრატყესტი.

არტურ რემბომ 19 წლისამ დაწერა „ერთოსულ ჯოჯოხეთში“. მას პოეზიის მეშყეობით ვწადა ადამიანის დმერთად ქცევა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შყეოდებელი იყო და ლექსებს თაყი მთანება. გახდა მოგსაყერი და მონათყატარი.





როცა „მთავრალ ხიმაღლს“ წერდა, ზღვა არ ენახა, ისევე როგორც „ნიკორწმინდის“ ავტორს – ნიკორწმინდა.

მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო – „მინდა ზღვაზე მოგვეღე“ –

მის ლექსებში თავს ერთად იყრის ესთეტიკური და არაესთეტიკური, ირონია და პათოსი, მისტიკა და ამბოხი, რიტორიკა და ლირიზმი, მეტაფორები და ასოციაციები, ვერლიბრი და ალექსანდრიული ლექსი.

სტეფან მაღარმეშ დაამკვიდრა პერმეტიზმი პოეზიაში. სამშაბათობით ნევრასთენიული უძი-

ლობით გატანჯულ მაღარმეს ბუხართან ისხდნენ პოეტები და მხატვრები. მეტრი მათ ხელოვნებაზე ესაუბრებოდა, რაც უცხო ხალხს მეტისმეტად მოსაწყენად ეჩვენებოდა.

ეს იყო ერთგვარი პლატონის აკადემია. ასე იქმნებოდა „სპილოს ძელის კოშკის“ პოეზია.

ლექსის სირთულით მაღარმე ჰგავდა ესპანელ გონგორას, ხილი ჭარბი სრულქმნით – ბალსაკის მხატვარ ფრენოფერს, რომელმაც თავისი შედეგები ფერების გაუგებარ გროვად აქცია.



მაგრამ ახალ ესთეტიკასა და პოეტიკას გ'სა პარნასელებმა გაუკაფეს – „წარმართმა“ პოეტებმა. ისინი ნეოკლასიცისტები იყვნენ. მათი შემოქმედების აყრდენი იყო ანტიკა და შუასაუკუნეები, მკაცრი რაციონალიზმი და ფორმის კულტი, სიმშვიდე და წესრიგი, სინამდვილის უარყოფა და ხელოვნება ხელოვნებისათვის.

ბოძღური და ვერღენიც პარნასელებიდან მოდიოდნენ.

პარნასელთათვის საპროგრამო იყო ლეონტ დე ლილის „ანტიკური ლექსები“ (1852), ტეოფილ გოტიეს ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც მან წამოაყენა 1833 წელს თავისი ნოველების კრებულის „ახალგაზრდა საფრანგეთის“ წინასიტყვაში.

ფრანგული პოეზია პარნასული სულით გაიჟღინთა.

პარნასელთაგან სიმბოლისტებისათვის ზნსაკუთრებით მახლობელი იყო ტეოფილ გოტიეს „მინანქრები და კამეები“ (1852) და ხოზე მარია დე პერედიას სონეტების წიგნი – „ტროფეები“ (1893). მათი

მიოხიენით, ლექსი ეინუღივით (ვივი უნდა ყოფილიყო, როგორც ვე-
ნერა მილოსელის მარმარილოს ტანი.

შარლ ბოდლერმა „ბოროტების ყვაეილები“ უძღვნა გოტიეს – თა-
ვის მასწავლებელსა და მეგობარს.

ფრანგული სიმბოლიზმის პირველ მესიტყვეებს „დაწყველილ პოე-
ტებს“ უწოდებდნენ, რომელთა სახელებს, ნაადრევად ჩაფერფლილს,
სიამაყით ახსენებდნენ „ცისფერყანწელები“, უძღვნიდნენ ლექსებსა
და ესსეებს.

მათ დეკადენტებსაც ეძახდნენ. ეს ტერმინი შემოიტანა ჟიულ ლა-
ფორგმა, როგორც ანარქიზმის სინონიმი, მაგრამ შემდეგ დაცემის
მნიშვნელობა შეიძინა. უფრო ადრე კი თავიანთ თავს „პიდროპათებს“
უწოდებდნენ (პიდროთერაპია და ნევროპათია).

სიმბოლისტები ცდილობდნენ ხელოვნებაში სილამაზის დაბრუნე-
ბას, არა სინამდვილის ასახვას. ამიტომ ჩნდება მათ პოეზიაში ამდენი
პრინციპსა და რაინდი, გედი და ფარშევანგი, ელინელთა და შუასაუ-
კუნეთა გმირი.

ახალგაზრდა ფრანგი სიმბოლისტები შუასაუკუნეთა ტრუბადუ-
რებს ჰგავდნენ – ანრი დე რენიე, ფრანსის ვიელე-გრიფენი, ადოლფ
რეტე, ჟან მორეასი, ფრანსის ჟამი, პოლ ფორი, ანდრე ჟიდი...

დეკადენტები ხალხურ კილოსაც იყენებდნენ: კორბიერი – მესაზ-
ღვრეთა ჟარგონს, ლაფორგი – პარიზის ქუჩის სიმღერებსა და ლაპა-
რაკს, ლოტრეამონი – აბნეულ მეტყველებას...

სიმბოლიზმი სწრაფად მოედო მთელს ევროპას – ინგლისს, იტა-
ლიას, ბელგიას, ავსტრიას, გერმანიას, რუსეთს, ნორვეგიას, პოლო-
ნეთს...

ვიანესლავ ივანოვის აზრით, სიმბოლო ამოუწურავე და ბოლომდე
ამოუხსნელი უნდა იყოს. ემილ ვერჰარნისათვის სიმბოლიზმი უმაღ-
ლესი აღგებრაა, რომლის გასაღები დაკარგულია. დიმიტრი მერეჟ-
კოვსკი შენიშნავედა, რომ სიმბოლოები ბუნებრივად უნდა ამოდიოდ-
ნენ სინამდვილის სიღრმიდან. ხოლო როცა ავტორი მათ იგონებს,
ელებულობთ მკედარ აღუგორიებს. ასევე ფიქრობდა გრიგოლ რობა-
ქიძე.

ფრანგი სიმბოლისტების შემდეგ ქართველი მოდერნისტები ყველა-
ზე მეტი ყურადღებით ეკიდებოდნენ სიტყვის არტისტ ოსკარ უაილდს.
ინგლისურ ესთეტიზმს, უფროს რუს თანამოკალმეებს – ვალერი
ბრამსოვს, კონსტანტინ ბალმონტს, ვიანესლავ ივანოვს, ანდრეი ბუ-
ლისს, ალექსანდრ ბლოკს, ფილოსოფოსთაგან – ფრიდრიხ ნიცშესა
და არტურ შოპენჰაუერს.

ილია ერენბურგის სიტყვით, ვალერი ბრამსოვს „ქონდა ასიელი

სკეითის ტემპერამენტი, ხოლო ევროპა იყო ნი-
ლაბი.

იგი გარბოდა სინამდვილიდან და იპყრობდა
ეგვიპტეს, მესოპოტამიას, ელადას, რომის იმპე-
რიას. მისი ჯარისკაცები იყვნენ ასსარგადონი,
ალექსანდრე მაკედონელი, კლეოპატრა, მედეა,
ანტონიუსი, ნაპოლეონი...

როცა ვკითხულობთ ბრძუსოვის ლექსებს,
თითქოს ალექსანდრიის კატაკომბებში ჩაედივართ.

შემდეგ დაუბრუნდა მიწას, გადმოსცა ქუჩა
და ქალაქის სტიქია, დაიმორჩილა რკინისა და
ცეცხლის ნიაღვარი.

იყო მოღერნისტი და რენე პილის კვალდაკვალ ქმნიდა სამეცნიერ-
რო პოეზიას, ადიდებდა ბრბოსა და თავისუფლებას, როგორც კომუ-
ნისტი.

იყო ახალი რუსული ლექსის შემქმნელი, ოსტატი და თეორეტიკო-
სი. იცოდა მრავალი ენა, თარგმნიდა, იბრძოდა, წერდა სტატიებს, იყო
რედაქტორი და როგორც უშიშარ კაპიტანს, წინ მიჰყავდა რუსული
სიმბოლიზმი.

მას პქონდა პლებების ენერგია, რომელიც კულტურას შეემოსა.

იგი იყო შრომის კოლოსი, რომელიც ემსახურა წმინდა ხელოვნე-
ბას. გადაიტანა ომისა და ბლოკადის კოშმარი და როცა თითქოს
დაწყნარდა ქვეყანა, მოულოდნელად საჭესთან დაეცა.

ალექსანდრ ბლოკი მოგვიანებით შემოვიდა ქართულ პოეზიაში.

მისი ნაადრევი და უაზრო სიკვდილი მწვა-
ვედ აღიქვეს ქართველმა კოლეგებმა. მხო-
ლოდ ამის შემდეგ იჭრება მათ ლექსებში
ბლოკის სახელი.

„უცნობი ქალის“ ავტორს განადიდებდნენ
გალაკტიონი და ტიცვიანი, პაოლო და ტე-
რენტი გრანელი.

გალაკტიონმა მას უწოდა „პოეტი-მუზე“ და
ეს სიყვარული გაჰყვა მთელი სიცოცხლე.

ბლოკს, სრულიად ახალგაზრდას, პირ-
ველ პოეტად თვლიდნენ, მაგრამ რჩებოდა
ვიწრო, ესთეტიურ წრეში, ვიდრე არ დაწერა
უკანასკნელი შედეგები – „თორმეტი“ და
„სკეითები“.



„თორმეტნის“ შემდეგ ბლოკი აწვირთებული მასების პოეტიც იყო. იგი მწვერვალზე შეჩერდა და პოესიას თავი მიანება. ასე მოუსწრო სიკვდილმა...


* * *

სიმბოლიზმის მთეარემ მაშინ შემოანათა ქუთაისსა და თბილისში, როცა პეტერბურგსა და მოსკოვში კორიზონტისკენ ეშვებოდა. ხოლო პარნასზე ფუტურისტები და იმაჟინისტები ხმაურობდნენ.

საქართველო რუსეთს ჩამორჩებოდა, რუსეთი – ევროპას.

ახალგაზრდა პოეტები ფრანგულ სიმბოლიზმს რუსი კოლეგების თარგმანებით ეზიარნენ. მათგან მხოლოდ პაოლო იაშვილმა იცოდა ფრანგული, რომელმაც ორი წელი იცხოვრა პარიზში და 1915 წელს ქუთაისში ჩამოიტანა სიმბოლისტური ლექსები და ფუტურისტული მანიფესტები.

მზის მგონანი კონსტანტინ ბალმონტი



„ცისფერყანწელთა“ გამოჩენამდე სიმბოლისტი კონსტანტინ ბალმონტი – „რუსული ლექსის პაგანინი“ – იყო თანამედროვეთა შორის ყველაზე პოპულარული უცხო პოეტი საქართველოში. მას კითხულობდნენ, თარგმნიდნენ, უსმენდნენ. უძღვნიდნენ ლექსებს.

ამ პოლიგლოტსა და მოგზაურს ჭარბი აღტაცებით ხვდებოდნენ.

განსაკუთრებით აღიარებდნენ წიგნს – „Будем как солнце“ (1903).

იგი კარგა ხანს ემიგრაციაში

იცხოვრობდა, რადგან რუსეთში ციხე ელოდა. ესეც სრდიდა პოეტის პოპულარობას. რუსეთი მღეროდა მის ლექსებზე დაწერილ რომანსებს, კითხულობდა მის მიერ თარგმნილ პოეტებს.

ბალმონტის მელოდიური ლირიკის გავლენა დაეტყოთ გალაკტიონის, შანშიაშვილის, გრიშაშვილის, აბაშელის, იაშვილის ადრეულ ლექსებს. მას დიდი პატივისცემით ახსენებდა სტუდენტი კონსტანტინე გამსახურდია.

1915 წლის ოქტომბერში ქუთაისს ეწვია ბალმონტი. ქალაქი ტრიუმ-

ფით შეხედა სახელოვან პოეტს. სხეებთან ერთად რუს კოლეგას ახლდნენ პაილო, გალაკტიონი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე აბაშელი.

1915 წელს ბალმონტმა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რასაც დიდი ინტერესით ელოდა ინტელიგენცია. მაგრამ მოხდა პარადოქსი – სწორედ ამ წლიდან დაეცა მისი პოეზიის ავტორიტეტი ქართველ მწერალთა შორის:

მზის კულტზე უფრო ღამე, მთვარე და მელანქოლია აღელვებდათ ახალგაზრდა მოდერნისტებს.

ერთხანს ბალმონტის ლექსის მიმართ ინტერესს ისევე ამჟღავნებდნენ ალექსანდრე აბაშელი, რომელიც „მზის სიცილის“ სახელწოდებით სცემდა წიგნს, და პაოლო იაშვილი – წითელი ხარისა და მზის ფარშევანგების მომღერალი.

შემდეგ ბალმონტი ბოლშევიკებს გაექცა და თეთრგვარდიელებს მიემხრო. ქართველ კოლეგებს აღარ ესმოდათ მისი ხმა.

მაგრამ საქართველოში უყვარდათ „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი.

ამიტომ წერდა 1927 წელს ტიციანი:

*„გელის თბილისი: „ვეფხისტყაოსანს“
მეორედ ელის დღეს საქართველო.
ცისფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს
მოგაგებებენ შენს სადღეგრძელოს“.*

ბალმონტის მზე კი დაისისკენ იხრებოდა და მალე სიგიჟესთან ბრძოლა მოუწევდა.

ნიცშე საქართველოში

პოეტები კითხულობდნენ რემი დე გურმონის „ნიღბებს“, ანდრეი ბელის „სიმბოლიზმს“, ვალერი ბრეუსოვის წიგნს – „შორეულნი და ახლობელნი“. მაგრამ ფრიდრიხ ნიცშე ცვლიდა არა მხოლოდ მათ სტილსა და განწყობილებას, არამედ – მსოფლხედვასაც.

ნიცშეს პროპაგანდისტები იყვნენ გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, პირველი – ათიანი, მეორე – ოციანი წლებიდან. ისინი კითხულობდნენ ლექციებს და წერდნენ ესსეებს „ზარატუსტრას“ ავტორსე. მსჯელობდნენ მის იდეებზე და გადაქონდათ ლიტერატურაში. მათგან მთავარი იყო ელინიზმი, დიონისოსა და ქრისტეს ანტინომია, მითოსი, მარადიული დაბრუნება, გმირული სული, პათოსი და მისტიკა, ექსტაზი და თრობა, ღმერთის სიკვდილი.

ნიცშეზე სხეებიც წერდნენ (ე. გორგაძე, ა. ჩხენკელი, ალ. შანში-



აშვილი, დ. კასრაძე, ე. ტატიშვილი – „ზარატუსტრას“ მთარგმნელი). სოციალ ნიცშეს გამგრძელებლადაც მოგვეყვლინა (მაგ., კონსტანტინე ცაგარელი)!

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ რობაქიძის „დიონისოს კულტი და საქართველო“, რომელიც 1917 წელს დაბეჭდა გაზეთმა „საქართველომ“, და კონსტანტინე გამსახურდიას „ტრადელიის წარმოშობა მისტის სულიდან“ („ილიონი“, 1922, № 3).

მათ ორივეს აღელვებდათ ორი სახელი – გოეთე და ნიცშე. ეს საერთო გატაცებაც იყო.

შდრ. – ოსეაღდ შქენგლერს კუბოში ჩააყოლეს ორი წიგნი – „ფაუსტი“ და „ზარატუსტრა“.

ნიცშეანელები არიან კონსტანტინე სავარსამიძე, თამაზ ვარდანიძე, არჩიბაღდ მექეში... ტრაგიკული ბიოგრაფიაც ზრდიდა „ზარატუსტრას“ ავტორის სახელს (გენიაღობა და შეშლილობა).

ნიცშეს ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას მისტერია „გარსი მარადი“.

ვალერიან გაფრინდაშვილი ნიცშეს მიხედვით ლირიკაში ორ სტიქიას განასხვავებდა – აპოლონურსა და დიონისურს. ნიკო ლორთქიფანიძე ეხმიანებოდა „ღმერთის სიკედილის“ იდეას.

1921 წლამდე ნიცშესადმი მიმართება წმინდა ესთეტიკური იყო, შემდეგ მას დაერთო ნაციონალური განცდა. ნიცშე წარმოედგინათ როგორც ენერჯის წყარო, რომელიც სჭირდებოდა როგორც შთაგონებას. ისე ეროვნული სულის განმტკიცებას.

ნიცშეს მიერ ახსნილმა ტრაგედიათ, მითოსის კონცეფციამ გრიგოლ რობაქიძის დრამების სახით ქართულ თეატრზეც იქონია ზეგავლენა („ლონდა“ და „ლაშარა“).

რუსეთში არაერთხელ თარგმნეს და გამოსცეს ნიცშეს ტომეულები. საქართველოში ეს არ მომხდარა, ისევე როგორც არ თარგმნილა თავის დროზე შოპენაუერი, შქენგლერი, ფროიდი... ჩვენ ყოველთვის ჩამოერჩებოდით დროს.

ერეკლე ტატიშვილის მიერ თარგმნილი „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ (რომელიც საკმაოდ უფერულია), მხოლოდ საეკუნის მიწერულს დაიბეჭდა, როცა საქართველოს სხვა პრობლემები მოეძალა.

ფრიდრიხ ნიცშე, რომელსაც სიმბოლისტად თვლიდა ანდრეი ბელი, იყო ღირებულებათა გადაფასების მიმდევარი და ახალი, ცხო-

ველამყოფელი აზრების ქადაგი, „*გეარცემლი დიონისო*“, როგორც უწოდებდა კონსტანტინე გამსახურდია.

ნიცშეს სტილი და იდეები იყო შთამბავრებელი ძალა ახალგაზრდა იმპრესიონისტებისა, სიმბოლისტებისა და ექსპრესიონისტებისათვის, როგორც ესთეტიკური, ისე ნაციონალური თვალთახედვით.

ნიცშეს პერსონიზიდან ომის იდეოლოგიამდე ერთი ნაბიჯი იყო.

მალარმე ქუთაისში

1919 წელს ქუთაისში გამოცემული სტეფან მალარმეს წიგნი პირველად წისქვილში გადაფურცლეს „*ყანწელეზმა*“.

იგი სანდრო ცირეკიძეს მეგობრებისაგან ფარულად გამოეცა.

ლექსები ეთარგმნათ შალვა აფხაიძეს, კოლაუ ნადირაძეს და ვალერიან გაფრინდაშვილს, პროზა – სანდრო ცირეკიძეს. მაგრამ ამ წიგნის მიხედვით მალარმე ერთი სუსტი პოეტია!

პაოლო იაშვილი აღშფოთდა.

მართლაც – მალარმეს პოეზიას ყველაზე ნაკლებად შეჰფეროდა წისქვილი. პაოლოს ვერ წარმოედგინა ამ „გაუგებარი“ პოეტის ასე უცაბედი ამეტყველება ქართულ ენაზე, რომელსაც 1916 წელს უძღვნა სონეტი: „*ის იყო თეთრი, თავდახრილი და ოჭროპირი*“.

სტეფან მალარმე ითვლება ფრანგული ლექსის მისტიკოსად.

როგორც ფლობერი სიტყვაზე, ისე დიდხანს და გულდასმით მუშაობდა იგი თითოეულ ლექსზე. ამიტომ დარჩა ესოდენ ცოტა ნაწერი და ვერ დაამთავრა „*პეროდიადე*“, რომელსაც თავის უმთავრეს ნაწარმოებად თვლიდა, თუმცა თითქმის მთელი ორმოცი წელი წერდა!

ხოლო „*ფაენის ნაშუადღევს*“ ათი წელი მონადრომა, არადა იგი რამდენიმე ათეული სტროფისაგან შედგება! შთაგონებას ცვლიდა ტექნიკა, რაციონალური გათვლის პრინციპი.

1919 წელს „*მეოცნებე ნიამორებში*“ დაიბეჭდა ვალერიან გაფრინდაშვილის ესეე „*სტეფან მალარმე*“ და საქართველოს წარუდგა დიდი ფრანგის თეთრი ანრდილი.

ვალერიან გაფრინდაშვილმა გააგრძელა მალარმეს ოთახისა და სარკის ესთეტიკა. მაგრამ ქართველმა პოეტებმა ვერ მიიღეს მალარმეს მათემატიკურად განზომილი სიტყვა.

რაციონალიზმი ქართულმა ტემპერამენტმა ვერ იგუა.

არც დრო იყო ისეთი, რომ მალარმეს მკითხველი ჰყოლოდა (მოგვიანებით წინებულად თარგმნა პერედია მიქელ პატარიძემ, მაგრამ არც ის ყოფილა პოპულარული).

მთელს ქვეყანაზე სარბახუნები ჰქუხდნენ და უმოწყალოდ იქცეოდა კაცთა სისხლი...

ეროვნული ძირები

ლიტერატურა სიტყვიერი ხელოვნებაა, ხოლო სიტყვა ღირსიაში – ეს იგივე საგანია. ამიტომ ყოველი უცხო მოდელი, ასრი თუ ფორმა, რომელიც შეძლებს ქართულ ენაზე აუღერებას, ქართულად ამტყვევლებას – ტრადიციის გაგრძელება და გადააზრება იქნება.

ის, რასაც ქართული სიტყვა ვერ დაიტევს, ან ვერ გამოხატავს – ჩვენი ფსიქიკისათვის უცხო და მიუღებელია. ის ვერ დამკვიდრდება და ვერ იქცევა ახალ, მომავალ ტრადიციად.

მოდერნიზტები უცხოეთისკენ იყურებოდნენ, მაგრამ, როგორც ითქვა, ქართულ მიწაზე იდგნენ.

ეს მიწა იყო ქართული სიტყვა, რომელიც იშუა ტოტემისა და ტაბუს ბნელ ეპოქაში.

მაგრამ მათ არ იკმარეს სიტყვის გაღმერთება და წინაპრებიც მოიძიეს:

„ასფიზის ვარდი მე პრუდომის ჩაედე ვაზაში,

ბესიკის ბაღში ვრგავე ბოდღურის ბოროტ ყვაეილებს“.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საქართველოში სინოეთის ფორმულას იძლეოდა ტიცინან ტაბიძე.

*„არტემურ რემპოსთან ბოროტ ტყუასად ჩახუტებული
მადღამენ გეორგიენს თეიმურაზ და ჭაქვაყაბე“.*

ეთანხმებოდა გიორგი ლეონიძე, რომელსაც ევროპული ყვაეილების გაღმონერგვა გამარჯვების საწინდრად მიაჩნდა.

„ცისფერყანწელებმა“ თავიანთ წინაპრებად გამოაცხადეს შოთა რუსთაველი, ბესიკი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა.

ეს აზრი არც სხვა მოდერნიზტებისათვის ყოფილა სადავო.

გრიგოლ რობაქიძეს და კონსტანტინე გამსახურდიას ბესიკის „სეედის ბაღი“ და აღმოსავლური ხოტბა სანიმუშოდ არ მიაჩნდათ, მაგრამ არც პროტესტი გამოუთქვამთ ამ პოეტის მიმართ, რომლის ფერადი სიტყვა და ფორმის გრძნობა დიახაც ეხმიანებოდა მოდერნიზტულ არტიზტიზმს.

რუსთაველი ყველა დროის ქართველისათვის თანამდევ ლეგენდად იქცა. მან შექმნა და დააკანონა ქართული ლექსის პროსოდია, მეტრიკ, სტროფიკა და გარითმების წესი, სიტყვის ესთეტიკა. იგი მართლაც



იყო „ძირი ლექსის თქმისა“ (არჩილ მეფე), რომელსაც „შენობს“ მოყვლი ქართველი პოეზია. ეს სიყვარული ასე გამოთქვა მოდერნიზტების ნორმა მოწაფემ ნინო თარიშვილმა:

*„და მე ვიქნები სიკვდილოთ გაუხარელი,
რადგან შხითვეში არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.*

მისტიკურად განწყობილ ეპოქას ეხმიანებოდა დავით გურამიშვილი – „სოველი და ნაწიბარი“ (სიმონ ჩიქოვანი), ლოცვად ხელაპყრობილი.

*„ჩვენ პოეზიას პყავს საკუთარი ვერღენი, სველის და რელიგიის ორგანტობით,
სიკვდილის ესთეტიკით, სოველი, ჭერივი, ჭრისტეს და მადონას მოტრფაღვ, სათუთი
და კუთროვანი, ტაბილი და შხამანი, უსახლკარო და უსაშობლო, რუხი და ყრითე
ლი, პრინცი და მათხოვარი, განწირული და უბედური დავით გურამიშვილი“.*

ასე იგონებდა ამ სიკვდილთან მოდაეე პოეტს ვალერიან გაფრინდაშვილი.

მაგრამ თუ მოდერნიზტები თამაშობდნენ მისტიკოსისა და მარტვილის როლს, იგი მართლაც იყო წამებული და ღრმად მორწმუნე, რომლის პოეზია ეყრდნობა ორ წიგნს – ბიბლიასა და „ვეფხისტყაოსანს“.

კონსტანტინე გამსახურდიას დავით გურამიშვილსე წიგნის დაწერაც უნდოდა და მისი საფლავის საძებნელად უკრაინაში მიდიოდა.

მაგრამ „ეისრამიანიც“ უყვარდა. კონსტანტინე სავარსამიძეს უცხოეთშიც თან დაქონდა და ეს წიგნი და მის სიტყვებს იმეორებდა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიამ აირეკლა ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკა, მთაწმინდისა და ცისფერის კულტი, შავი ყორანი და მარადი ქროლვის მოტივი.

თუმცა მოდერნიზტებმა ვერ მიიღეს მისი ჭარბი ინტელექტუალიზმი და დაუდევრობა სალექსო ფორმისადმი.

ვაჟა-ფშაველამ თარგმნა ედგარ პოს „ყორანი“ და ფრიდრიხ შილერის „ორღეანელი ქალწული“.

მოდერნიზტებს ხიბლავდათ ვაჟას სტიქია, მითოსური ხედვის მასშტაბი. ტიცვიან ტაბიძე მას აღარებდა ვულკანის მიერ ამოტყორცნილ იხტიოზაერს, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია – ქრისტეფორე კოლუმბს.

იგი მიანდათ მათ თვალწინ დაღუპულ პომეროსად, რომელიც ვერ იცნეს და ვერ დააფასეს.

პაილო იაშვილი წერდა:





„უკუ-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას მას ქჷონდა ღმერთების ენა და პომფროსის ნოყიერება მაგრამ არწივად წოდებული, საქართველოში დადიოდა როგორც „მხიკი ზაქარა“ – თვალჩამოხეული, ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკალი ღონით, ფრჩხილებში მიწა გამოგლეხილი, ნარჩის საცელებში, დასული სოფლის მეწერილმანის ეჭრობაჟდის, მიუღებელი, უგვირგვინო. ის ჭლუჭით დააკედა სააეადმუოფოს ღოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“.

XIX საუკუნის საქართველომ არ მიიღო ვაჟა-ფშაველა. იგი მოდერნისტებმა განადიდეს და 20

წლის ღოდინის შემდეგ მთაწმინდაზე აიყვანეს.

მოდერნიზმს არაფერი ჰქონდა საერთო აკაკი წერეთლის სამყაროსთან. იგი არ იყო არც წინამორბედი, არც საფუძველი. მაგრამ ახალგაზრდა მეოცნებეთა ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩა მოხუცი მგოსნის ლეგენდარული სახე, ვინც მიიყვანა ისინი პოეზიის ტაძართან.

ამდენად, არაცნობიერად აკაკი წერეთელი იყო მოდერნისტების პირველი მასწავლებელი და გზის გამკედევი, ვინც მათ აუხსნა ლექსის ანაბანა.

მოდერნისტები გუმანით ეძებდნენ მახლობელ სულებს, წინაპართა ლანდებს, რათა მარტოხელად და ეულად არ ეგრძნოთ თავი, რათა გადარეული და შეშლილი სიტყვა გამოიყვანათ შორეული ჟამიდან.

ვეროპისაკენ სწრაფვა ამბაფრებდა ნაციონალურ გრძნობებს და მწერალი ეძებდა მივიწყებულ ძირებს. როგორც ამბობდა ტიცინი –

„ჭველ პოეზიას კადნიერად ეახურათ ჩაღმას, მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უკები“.

მოდერნისტები არც აღმოსავლეთს ივიწყებდნენ. გალაკტიონის, ტიცინის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის პოეზიაში არაერთხელ იელეგებს აღმოსავლეთი, ახლო თუ შორეული. გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მწერას არ სცილდება სპარსეთი და ინდოეთი, რადგან მოდერნიზმი აღქმულია როგორც ესთეტიკური უნივერსალიზმი.

მაგრამ აღმოსავლეთისკენ დასაყლეთის გაყლით მიდიოდნენ.



6. მოღერნისტების პრესა

მოღერნისტებს სა'სოგადოება ეჭვით და მტრულად უყურებდა, მაგრამ მათი ნაწერები შეუსდუდავად იბეჭდებოდა პრესაში.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებს აკლდა პერიოდულობა.

სოკის გამოცემა ორო-სამი ნომრის შემდეგ წყდებოდა.

ტირაჟი მცირე იყო და ამდენად გავლენის არეალიც მეტისმეტად ვიწრო.

ახალ სიტყვას დანატრებული იყო ახალი თაობა. ძველებს ნაცნობი ჰანგები ერჩიათ, გაკვალული გზა მიაჩნდათ სანიშნოდ.

კონფლიქტის შესანელებლად, აუდიტორიის გემოვნების შესაცვლელად მოღერნისტები აარსებდნენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს, თანამშრომლებად იწვევდნენ მათაც, რომელთა სტილი და განწყობილება ენათესავებოდა მოღერნისტულ სულისკვეთებას.

წმინდა ხელოვნება მასისათვის არ იქმნება, იგი რჩეულთა კუთვნილებაა. ამიტომ არც ქართველი მოღერნისტები იყვნენ პოპულარობას დახარბებული.

ტიციან ტაბიძე პოღემიკურად აცხადებდა:

„და ჩემი ჩანგი სირცხვილისგან დაიშხფრეოდა,

თუ მისი ლექსი გიტარაზე მომესმებოდა“.

ტიციან ტაბიძემ „მგოსნის“ სახელწოდება „პოეტის“ სახელით შეცვალა.

მგოსანი იყო აკაკი წერეთელი, რომელიც წერდა სადა, ნათელ ლექსებს და ხალხის გულისყურს იმორჩილებდა. მაგრამ მოვიდნენ მოღერნისტები და მოიტანეს მღვრიე, ნისლიანი სტილი, ბნელი და აპოკალიპსური სიტყვები, სიმახინჯე და სიშმაგე, მწვერვალების სიცივე და ზეცის სიშორე.

ხალხურ, რეალისტურ პოეზიას ცვლიდა არისტოკრატიული, რთული ხელოვნება.

შემდეგ, 20-იან წლებში, ისევ აღდგება მგოსნის ავტორიტეტი. მაგრამ სამოციანი წლებიდან კელაე პოეტი იმარჯვებს. ამიტომ დაწერს 70-იან წლებში ახალგაზრდა ვერლიბრისტი ჯარჯი ფხოველი:

„არ იმღერება ეს სიმღერა“.

მოღერნისტები თითქოს მკითხველზე მაღლა იდგნენ, მათი აზრი არ აინტერესებდათ, მაგრამ ლიტერატურული საღამოები, პოღემიკა და პრესაში თანამშრომლობა მაინც იზიდავდათ.

„ცისფერყანწულებს“ თავის ფურცლებს უთმობდა ეროვნულ-ღემოკრატიების ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“, რომელიც 1916 წლიდან გამოდიოდა. ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების „სახალ-

ხო საქმეში“ იბეჭდებოდნენ კონსტანტინე გამსახურდია და იოსებ გრიშაშვილი.

გალაქტიონ ტაბიძის მიმართ კეთილგანწყობილი იყო მმართველი პარტიის - სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) გაზეთი „ერთობა“ და სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“.

მოდერნისტები აარსებდნენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს, რათა საქართველოს უდაბნოში პოეზიის ოაზისი ეგროძო მკითხველს. მაგრამ ტირაჟი მცირე იყო (მაგ., „ილიონისა“ 1.000, „ლომისისა“ 1.000, „ლაშარისა“ 1.000, „კავკასიონისა“ - 2.000) და ისიც ცუდად სალდებოდა, რაც იწვევდა გამომცემელთა გაკოტრებას და გამოცემის შეწყვეტას.

ასე რომ, ლიტერატურული პრესა ვერ ახდენდა საგროძნობ ზეგაულებნას საზოგადოებაზე. იგი რჩებოდა ლიტერატურის მოყვარულთა წრეში (შდრ.

1916 წელს გ. ქიქოძე წერდა, რომ გერმანიაში ყოველწლიურად 32.000 ლიტერატურული ნაწარმოები იბეჭდებოდა, საფრანგეთში 16.000, აშშ-სა და ინგლისში - 9.000 ათასი).

უკეთესი მდგომარეობა არც მრავალმილიონიან რუსეთში ჰქონდათ. იქ სიმბოლისტების მთავარი ჟურნალები იყო: „Мир искусства“ (1898-1904), „Новый путь“ (1903-1904)“, „Весы“ (1904-1909), „Золотое руно“ (1906-1909), „Аполлон“ (1909-1917).

რუს სიმბოლისტებს გამომცემლობებიც ჰქონდათ „Гриф“ (1903-1913), „Скорпион“ (1900-1916), „Мускарет“ (1910 წლიდან) და სცემდნენ მრავალი დასახელების ლიტერატურას, ტომეულებს, თუმცა მცირე ტირაჟით.

ალექსანდრ ბლოკისა და ანა ახმატოვას პირველი წიგნების ტირაჟი მხოლოდ 300 იყო!

ახლა წარმოვიდგინოთ თუ რა დღეში იქნებოდა ქართველი მწერალი, რომლის პოტენციური მკითხველი 50-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე რუსი თანამოკალმისა!

ამიტომ სცემდნენ მოდერნისტები თუ რეალისტები კანტი-კუნტად თავიანთ ნაწერებს, 5-10 წელიწადში ერთხელ. ზოგიც ისე გასცილდა ამ ქვეყანას, რომ თავისი წიგნი არც უნახავს (მაგ., პაოლო იაშვილი).

ქართველი მწერლების წიგნებს არაეინ თარგმნიდა. ამიტომ რუს და ევროპელ კოლეგებთან კონტაქტი პირად ნაცნობობას ვერ გასცილდა.

1925 წლიდან ბოლშევიკებმა საერთოდ აღკვეთეს მოდერნისტების პრესა. ჟურნალ-გაზეთებს სცემდნენ მხოლოდ ავანგარდისტები, რადგან ისინი ხოტბას ადუგლენდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ინდუსტრიას, სოციალისტურ აღმშენებლობას.

კერძო და თავისუფალი პრესა ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ქართული მოდერნიზმი უცხოელთავე დაარჩა როგორც „ტერრა ინკოგნიტა“.

ბევრი ლექსი, ნოველა თუ რომანი, 10-20-იანი წლების პრესაში

დაბეჭდილი. შემდეგ საგრანობლად შეიკვალა. შეცვლა მაშინაა გამართლებული, როცა ტექსტი უკეთესი ხდება. მაგრამ ბოლშევიკური ტერორის პერიოდში ასეთი რამ თითქმის გამორიცხული იყო. ამიტომ უნდა მიუებრუნდეთ პირველწყაროებს. არადა – ჩვენც გაავარძელებთ ისტორიის ფალსიფიციერებას.

ლირიკაში ამგვარი დამახინჯების ნიმუშია კოლაუ ნადირაძის „ჯოკონდა“, რომელსაც მთლიანად შემოეცალა რელიგიური სამოსელი. პაოლო იაშვილის ლექსიდან „ლენინი“ ჯერ ბესო ლომინაძისა და ლევან დოლობერიძის სახელი გააქრეს, შემდეგ – სტალინისა.

უნდა აღდგეს დემნა შერგელაიას „სანაეარდოს“, „ტყუილისისა“ და „გურამ ბარამანდიას“ პირველი ვარიანტები, „მნათობსა“ (1924, 1927) და „დარიალში“ (1925) დაბეჭდილი ტექსტები.

შეიკვეცა კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ეროტიკული და ნაციონალისტური პასაჟები, ფინალი – ჯოჯოხეთში სლანსკისთან შებრძოლების ეპიზოდი. ყველა მათგანი აღდგენილია ახალ, 1992 წლის გამოცემაში (ოცტომეულის მეორე ტომი).

ტიციან ტაბიძის ლექსში „პეტერბურგი“ (1917) გაჩნდა ლენინის სახელი, თვით პოეტის სიცოცხლეში.

მოდერნისტების პრესა ასახავს ახალი აზროვნების ფორმირების საფეხურებს. ევოლუციის პროცესს.

მათი პირველი და ყველაზე სკანდალური გამოცემა იყო „ცისფერი ყანწები“.

ა) „ცისფერყანწელთა“ გამოცემები

„ცისფერი ყანწები“

1916 წელს გამოიცა 24 გვერდიანი, გემოვნებით შედგენილი და გაფორმებული აღმანახ „ცისფერი ყანწების“ ორი ნომერი.


პირველს აწერია „ქუთაისი. გაზაფხული. ჩშივ“, მეორეს – „ქუთაისი. ზამთარი. ჩშივ“.

ცდილობდნენ მესამე ნომრის დაბეჭდვას. გამოაცხადეს კიდევ. მაგრამ მესამე ნომერი არ გამოცემულა.

მიუხედავად ამისა, აღმანახმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, როგორც მხარდამჭერის, ისე უარყოფის თვალსაზრისით.

ამ გამოცემით იწყებს თვითდამკვიდრებას ქართველ სიმბოლისტთა გაერთიანება.

პირველ ნომერს უძღვის პაოლო იაშვილის მიერ დაწერილი მანი-



ფესტი - „წინათქმა“, რომელსაც ავტორი „შხა-
მურს“ უწოდებს.

დაიბეჭდა გრ. რობაქიძის, ი. გრიშაშვილის,
გ. ტაბიძის, ელენე დარიანის, ივანე ყიფიანის,
ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის,
ნიკოლოზ (კოლაუ) ნადირაძის, გრიგოლ ჯა-
ფარიძის, ლელი ჯაფარიძის, არისტო ჭუმბა-
ძის ლექსები, კონსტანტინ ბალმონტის ორი
ლექსის ფოტოპირი.

მათგან უპირველესია გალაკტიონ ტაბიძის
ორი შედეერი - „მთაწმინდის მთვარე“ და
„ლურჯა ცხენები“.

ცნობილ პოეტთაგან, როგორც საპატიო სტუმრებს, აღმანახის ფურ-
ცლები დაეთმო გალაკტიონ ტაბიძესა და იოსებ გრიშაშვილს.

ეს მათ აღიარებას და დაფასებას ნიშნავდა. პაოლო წერილებით
აცნობდა გრიშაშვილს, თუ როგორი იქნებოდა აღმანახი.

მეორე ნომერში იოსებ გრიშაშვილმა დაბეჭდა სიმბოლისტური ლექსი
- „შეშლილი ოთახი“, რომელშიც გაიელვა მისტიკურმა სარკემ:

*„ნესტიან სარკეს დაუბრუნდა ძველი სინაზე
შიგ მოჩანს კუნე და კუნეზე - შხის ამორძალი“.*

ელენე დარიანის სახელით ექვსი ლექსი გამოქვეყნდა.

ელენე დარიანი რეალური პიროვნება იყო. ეს გახლდათ ელენე
ბაქრაძე (ბერიშვილი, ქართველიშვილი) - პაოლო იაშვილის მეგობარი
ქალი. მას პაოლომ ოსკარ უაილდის პერსონაჟის - მკვლელი და გარ-
ყენილი, დემონური სილამაზის დორიან გრეის სახელი მისცა ფსევდო-
ნიმად. მაგრამ დორიანი კეთილხმოვანებისთვის დარიანად შეცვალა,
რამაც ქართული ელფერიც მიანიჭა ამ სახელს (დარი - ამინდი).

ელენე დარიანი წერდა ლექსებს. ზოგი მისი სახელით გამოქვეყნე-
ბული ლექსის პირველმონახაზი მას ეკუთვნის, რომელიც პოეზიად
აქცია პაოლო იაშვილმა.

მაგრამ მოხდა მისტიფიცირება - თითქოს „ცისფერყანწელეებს“ ჰყავ-
დათ წვერად პოეტი ქალი.

ელენე დარიანი ისევე იყო პაოლო იაშვილი, როგორც კლარა
გასული - პროსპერ მერიმე.

ელენე დარიანის მონოლოგები საზოგადოების აღშფოთებას იწ-
ვევდა, რადგან ქალი გულლიად საუბრობდა თავის ქმარზე. საყვარ-
ლებსა და ვნებებზე.

პაოლო იაშვილმა წარსულის უარყოფის პათოსი ლექსადაც გა-
მოთქვა, რომელიც უფრო ფუტურისტულ ნიჰილიზმს ჰგავდა:

*„პაოლო იაშვილს – მომეწონა ყვეთული დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა- შექსპირს უარი!
რა ეჭნა, რომ ჩემთვის ბეთპოვენი მხოლოდ ყურ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმოშვა მე ანდამატი“*

ტიციან ტაბიძემ არ გაიზიარა ამგვარი სკეპსისი და ნიპილიზმი. მან ზომიერი პოზიცია აირჩია, რაც ცისფერყანწველთა ესთეტიკურ კრედოსაც გამოხატავდა:

*„გაფიზის ვარდი მე პრულოზის ჩავეე ვახაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღურის ბოროტ ყვავილებს“.*

პაოლო იაშვილმა შემოიყვანა ქართულ ლექსში მალარმე, ვერლენი და ვერპარნი, მიუძღვნა მათ სონეტების ტრიპტიხი. ხოლო ლექსით „ფარშევანგები ქალაქში“ კოლეგებს დაუწერა აპოლიკაპსური სულის სიმბოლისტური ლექსი.

ვალერიან გაფრინდაშვილის სტრიქონებში გამოინდა ის ლექსიკა, რომლითაც აგებდა თავის პოეზიას – ღამე, აჩრდილი, მთვარე, სონეტი, სარკე, ლანდი, ტანჯული სახე, ვრუბელი, ბოდღური, აგრეთვე – ტიკებზე დაწერილი სონეტი, როგორც ძველი რომანტიკის უარყოფა.

ტიციან ტაბიძემ „ქალდეას ქალაქების“ ციკლის ოთხი ლექსი დაბეჭდა.

ქალდეა უსუნაესი ღვთაება იყო ურარტუში – ლომზე ამხედრებული მეომარი.

ქალდეელები სემიტური ტომები იყვნენ. ისინი ერთხანს მეფობდნენ ბაბილონში. მათ შეცდომით აიგივებდნენ შუმერებთან, რომელთაგან იწყება კაცობრიობის ისტორია.

ქალდეას ქართველთა პირველსაცხოვრისად მიიჩნევდნენ, საიდანაც წამოვიდნენ ჩვენი წინაპრები. ამიტომ ველეა პოეტის ოცნება დანატრებულ მოგეთა საფლავეებს, ძველ ქალაქს, დანგრეულ კიბეებს.

ხოლო „დაწყველილ და შხამან ბაღში“ მოპქრიან უაბჯრო და შუბლშეკრული მხედრები – რემბო, ერედია, ვერპარნი.

დეკადენტური მოტივები იგრძნობა სხვათა ლექსების თუნდაც სათაურიდან – „აეზინიანი ქალაქი“ (ნ. ნადირაძე), „ორსული მზე“ (ლელი ჯაფარიძე), „ოცნება ფირუზისფერი“ (გრიგოლ ჯაფარიძე).

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ითქვა, ორი ლექსით წარუდგა მკითხველს. მათგან ერთი გრიშაშვილის გავლენითაა დაწერილი, მეორე უმცროსი თანამოკალმეებისადმი თანადგომის გამოცხადებაა.

ლექსებში ფერადი შრიფტით გამოყოფილია სარითმიო კლაუზულები.

პროზაული მინიატურები დაბეჭდეს - ნიკო ლორთქიფანიძემ, სანდრო ცირეციძემ, არისტო ჭუმბაძემ.

ქართული სიმბოლიზმის წანამძღვართა გაასრებაა ტიცციან ტაბიძის ესეე „ცისფერი ყანწები“. ავტორი მსჯელობს ქართველ მწერლებზე, რომელთა შემოქმედებაში თავს იხენს სიმბოლიზმის შხამიანი ყვაილები სუნთქვა (ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ჭუმბაძე), განიხილავს სიმბოლოს არსს, სიმბოლიზმის ურბანისტულ ხასიათს, ქართველი ხალხის აქტიორულ სულს, რომელსაც უყვარს ნილაბი, ხოლო ნიღბის ცნება მიგვიყვანს რეში დე გურმონთან, რომელიც სიმბოლიზმის თეორეტიკოსია.

პაოლო იაშვილის ეგზალტირებული წინათქმა კონკრეტულად არაფერს გვეუბნება იმ ახალ ხელოვნებაზე, რომელსაც ქმნიდნენ ცისფერყანწელები. თანაც, როგორც ვნახეთ, იგი უფრო ფუტურისტული ლოზუნგების განმეორებაა.

ხოლო ტიცციან ტაბიძის ესეე იყო გზის გამკვლევი და შთამაგონებელი.

ყდა დაუხატავს ლადო ჯაფარიძეს, უნა ჯაფარიძის უფროს ძმას. სახელწოდება და გერბი ცისფრადაა დაბეჭდილი.

„ლიგეია“

„ლიგეია“ მხოლოდ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაშია დაცული. მოღწეულია ორი ნომერი. იგი იყო ესერული გაზეთების - „რევოლუციური ნობათისა“ და „შრომის“ სალიტერატურო დამატება. გამოდიოდა 1918 წელს. ლიგეია არის ედგარ პოს პერსონაჟი ქალის სახელი (პოემა „ალ-არაფი“).

ალმანახმა დაბეჭდა ედგარ პოს „ყორანიც“, თარგმნილი გრიგოლ მეგრელიშვილის მიერ.

„ლიგეიას“ ავტორები არიან - გალაკტიონ ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა კარმელი, გრიგოლ ცეცხლაძე, რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი, დია ჩიანელი, იოსებ გრიშაშვილი, კოლაუ ნადირაძე...

ალმანახის რედაქტორი უცნობია. მაგრამ იგი „ცისფერყანწელითა“ გამოცემა უნდა იყოს, რადგან მასში მხოლოდ სიმბოლიზტურ ნაწარმოებებს დაეთმო ადგილი. აქ გამოქვეყნდა ვალერიანის საუკეთესო ლექსი - „ვარ მოწყენილი, ვით სამთარში ნაზი ბელურა“.

„ცისფერყანწელთა“ გარდა სხვა არაეინ შემოიყვანდა ქართულ მწერლობაში ედგარ პოს ყორანსა და ლიგეიას.

„ლიგეიას“ პროპაგანდას უწევდა „ხალხის მეგობარი“. ქუთაისელ ფეაღერალისტთა გასეთი.

„მეოცნებე ნიამორები“

„მეოცნებე ნიამორები“ ცისფერყანწელთა აღმანახია.

გამოდის 1919-1924 წლებში ჯერ ქუთაისში, შემდეგ – თბილისში. პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის თებერვალში, ბოლო – 1924 წლის დეკემბერში.

რედაქტორობდა ვალერიან გაფრინდაშვილი, რომელმაც აქ დაბეჭდა ათი ესე და ცამეტი ლექსი, ყველაზე მეტი სხვა კოლეგებზე.

აღმანახი გვამცნობს „ცისფერყანწელთა“ როგორც ესთეტიკურ კრელოს, ისე ევოლუციის სურათსა და შემოქმედების ნიმუშებს.

იგი იყო წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცემა, არ შემოდიოდა არც პოლიტიკა, არც პუბლიცისტიკა, არც ყოფითი ამბები.

ნიამორი, ეს კეთილხმოვანი სიტყვა, გარეულ თხას, „კლდის თხას“ (სულხან-საბა) ანუ ქურციკს ნიშნავს.


გამოიცა 11 ნომერი. ბოლო ნომერს მოსცილდა სიტყვა „მეოცნებე“. შედგებოდა უცვლელად 16 გვერდისაგან. იცვლებოდა ფასი და ფორმატი.

„მეოცნებე ნიამორების“ ავტორები არიან – გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი (ფსევდონიმი – ელენე დარიანი), ტიციან ტაბიძე (ვარამ გაგელი), ვალერიან გაფრინდაშვილი (ტრისტან მანაბელი), შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ ჯაფარი (ჯაფარიძე), შალვა კარმელი (გოგიაშვილი), რაჟდენ გვეტაძე, სანდრო ცირეკიძე, ლელი ჯაფარიძე, იე. ყიფიანი, ინ-რე-ჟან (იოველ ჟორდანი), ნიკოლო მიწიშვილი (სირბილაძე), სერგო კლდიაშვილი, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე), კოკი ებრაელიძე, ლილი მეუნარგია, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ ხოდელი (გამყრელიძე), ლევან ასათიანი, ნ. ლ. (ნიკო ლორთქიფანიძე).

თარგმნილია მხოლოდ სამი ავტორი – ჟიულ ლაფორგის „სამ-გლოვიარო მარში“, ვალერი ბრეჟსოვის „წითელი დროშა“ და ტრისტან კორბიერის „ორი პარიზი“.

სამივე ლექსი ვალერიან გაფრინდაშვილს უთარგმნია.

რამდენიმე ნომრის გარდა ყალბე გამოსახებულია ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული გრაფიკული სურათი – მთაზე მდგარი ორი ელემენტარული ნიამორი.



ალმანახის ეველა ნომერი იხსნება გრიგოლ რობაქიძის ლექსით. გამოჩნაკლასია XI. რადგან აქ გრიგოლ რობაქიძე არ დაბეჭდილა.

„ცისფერყანწელებს“ ჰქონდათ კლასიფიკაცია, ქრისტიანული წმინდა სამების მსგავსი. პირველი აღგილი ეკუთვნოდა გრიგოლ რობაქიძეს, მეორე – პაოლო იაშვილს, მესამე – ტიცვიან ტაბიძეს.

„მეოცნებე ნიამორები“ ოთხი განყოფილებისაგან შედგება – 1. პოეზია, 2. პროზა, 3. ესეე, 4. ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკა.

„ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში მთავარი იყო ლირიკა. პროზა მინიმუმამდე დაიყვანეს და მიუახლოვეს ლექსს, თითქმის წაშალეს მათ შორის ზღვარი.

ხოლო ესეე სჭირდებოდათ საკუთარი თვალსაზრისის და სტილის გამოსაკვეთად. ლიტერატურული სიზუსტე ან რომელიმე მწერლის შემოქმედების განხილვა არ აინტერესებდათ.

ყოველი ძიება უნდა წარმოენილიყო კულტურული ცხოვრების ფონზე, ამიტომ შემოიტანეს ქრონიკის რუბრიკა.

ოთხივე განყოფილება კი ემსახურებოდა წმინდა მწერლურ მიზანს.

პოლიტიკა და პუბლიცისტიკა, თანამედროვეობის პრობლემები ამ ეურნალს არ აუსახავს.

მისი პრინციპი ესთეტიზმი იყო.

„ცისფერყანწელთა“ აზრით, პოეზია თანამედროვეობას როდი უარყოფს, მაგრამ გამოირიცხავს არალიტერატურული თემებისა და იდეების ექსპლოატაციას.

მათ ერთმანეთისაგან განაცალკევეს „ხელოვანი“ და „მოღვაწე“, რადგან ხელოვნება მარადიულია, ხოლო მოღვაწეობა – პრაქტიკული, წარმავალი ინტერესების სამსახური.

ეს თვალსაზრისი გაჩნდა და განმტკიცდა ფრანგულ ლიტერატურაში, შემდეგ გაერცეღდა სხვა ქვეყნებში, მათ შორის – რუსეთშიც, საიდანაც საქართველოში გადმოინერგა.

„შვილდოსანი“

24 გვერდიანი ალმანახი „შვილდოსანი“ გამოიცა ქუთაისში 1920 წლის თებერვალსა და მარტში (რედაქტორი სანდრო ცირეკიძე).

გამოვიდა სამი ნომერი ორ წიგნად.

დეკადენტური განწყობილება ელინდება ლექსების სათაურებშიც: „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან“ (კოლაუ ნადირაძე), „სასაყულაო და ყვავები“ (რაჭდენ გვეტაძე), „ღვთისმშობელი პროსპექტზე“ (შალვა აყხაიძე), „მღვდელი და მალარია“ (ტიციან ტაბიძე), „დეკემბ-

ბრის აგონია“ (ნიკოლო მიწიშვილი). „მასკები კარნავალში“, „გამოთხოვება სულთან აყადმყოფ სხეულის“ (შალვა კარმელი).

დაიბეჭდა ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ თარგმნილი პოლ ვერლენისა და ტეოფილ გოტიეს თითო ლექსი, ნიკო ლორთქიფანიძის, დია ჩიანელის, სერგო კლდიაშვილისა და სანდრო ცირეკიძის მინიატურები.

„კისფერყანწილები“ დიდ პატივს სცემდნენ „მრისხანე ბატონის“ ავტორს და მუდამ ხალისით ბეჭდავდნენ.

საინტერესოა ტიცოან ტაბიძის ლიტერატურული მანიფესტი – „დაისრული სებასტიანე“. ავტორი პოეზიას ადარებს წმ. სებასტიანეს, რომელიც უნდა დაიცხრილოს ისრებით.

ასევე პრინციპული მნიშვნელობის ესსეებია ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოგემა“, „რითმა და ასონანსი“, სანდრო ცირეკიძის „ორსახიანი იარუსი“.

„კისფერი ყანწები“, „შეილდოსანი“ და „მეოცნებე ნიამორები“ ფაქტიურად ერთი აღმანახია, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სახელით გამოცემული.

„ბახტრიონი“


გაზეთ „ბახტრიონს“ გიორგი ლეონიძე რედაქტორობდა.

გამოდიოდა 1922 წლის 3 ივლისიდან 1923 წლის თებერვლამდე. იგი ყოველკვირეული, ოთხგვერდიანი გამოცემა იყო. დაიბეჭდა 28 ნომერი.

რედაქცია აცხადებდა, რომ გაზეთი არ ეკუთვნოდა არცერთ მიმართულებას. ყოვრმაღურად ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ბეჭდავდა იმ ავტორებს, რომლებიც სიახლისათვის იბრძოდნენ. ასევე საკმაოდ ადგილს უთმობდა კლასიკოსებს, მემკარულ ლიტერატურას, თეატრალურ და სახვით ხელოვნებას, საინფორმაციო მასალას, რეკლამას.

გაზეთს „ბახტრიონი“ დაურქვა ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით. იგი უნდა გამხდარიყო ეროვნული შემოქმედების ციტადელი.

ამ მხრივ „ბახტრიონიც“ სიმბოლური სახელია, ისევე როგორც „ხომალდი“, „ლომისი“, „ილიონი“, „კაეკასიონი“.



რედაქტორები თავიანთ ნაციონალურ მრწამსს გასეთის სახელწოდებითაც გამოხატავენ.

აბჯერად სახელი მთლად მარჯვედ ვერ იყო შერჩეული:

ბახტრიონის ციხე ააშენეს სპარსელებმა და მალევე დაანგრის ქართველებმა. იგი არ აღუდგენიათ!

შეიძლება რედაქტორს ბახტრიონი ბრძოლის პაროლად მიანდა.

გაზეთში იბეჭდებოდნენ „ცისფერყანწელი“ და სხვა ახალგაზრდა პოეტები, რომლებმაც შეძლეს სიმბოლისტური ესთეტიკისა და სტილის ათვისება.

„ლაშარი“

„ლაშარი“ ცისფერყანწელთა გაზეთი იყო.

დაიბეჭდა მხოლოდ ერთი ნომერი 1923 წლის 1 იანვარს.

აქ გამოქვეყნდა „ახალი მწერლობის დეკლარაცია“ (ავტორია პაველი ინგოროყვა), ტიცვიანის, გრიგოლის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და სერგო კლდიაშვილის წერილები, ტიცვიანის ლექსი „ცხენი ანგელოსით“.

„ახალი მწერლობის კავშირმა“ წარმოადგინა ვრცელი და საინტერესო სალექციო გეგმა, რაც არ განხორციელებულა.

ამ გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა ვალერიან გაფრინდაშვილის ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომელიც წამოყენებულია ესსეში „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“.

ლაშარი ფშაველთა სალოცავს ერქვა. იგი წარმართული ასტრალური ღვთაებაა.

„ღვთიური შუაგული ტომის თუ თემის – მითურ ლაშარშია განპიროვნებული“, – წერდა გრიგოლ რობაქიძე.

1921 წლის 23 ოქტომბერს კონსტანტინე გამსახურდია აირჩიეს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. „ცისფერყანწელები“ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მათ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და ამიტომ ცალკე ორგანიზაცია დააარსეს, თუმცა მწერალთა სასახლე არ დაუტოვებიათ.

ასე გაფორმდა „ახალი მწერლობის კავშირი“, რომელიც ლიტერატურულ სიახლეთა დაუცხრომელ პროპაგანდას ეწეოდა.

„ბარრიკადი“

„ბარრიკადს“ რედაქტორობდა ტიცვიან ტაბიძე, რომელმაც ერთ-ერთ ესსეში წარმოგიდგინა სუდეიკინის, გუდიაშვილისა და კაკაბაძის მიერ მოხატული კაფე „ქიმერიონი“.

გამოდიოდა 1922-1924 წლებში, საკმაო ინტერვალებით.

1922 წლის 22 იანვარს ამ გაზეთის ფურცლებზე აცხადებდა პოპულარული იაშვილი, რომ ათი ეანწელის გვარი იცის საქართველომ და მათგან პირველ ადგილს უთმობდა გრიგოლ რობაქიძეს.

1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს შარლ ბოდლერი სკეპდა გაზეთ „ბარრიკადს“.

სახელწოდება ტიციანმა ბოდლერისაგან აიღო.

მაშინ ცისფერყანწელებს უგონათ, რომ სოციალური რევოლუციის პარალელურად ისინი ახდენდნენ რევოლუციას პოეზიაში და თითქოს ამიტომ ბოდლერის მათი შფარველები უნდა ყოფილიყვნენ.

ეს მიაშიტური ოცნება მალე დათრგუნა 1924 წლის სასტიკმა რეპრესიებმა და ეანწელთა მაჟორული ჰანგები შეცვალა ნამდვილმა სეკულარულ და სასოწარკვეთამ, აღრე რომ პარიზიდან და ქეტერბურგიდან სესხელობდნენ.

„რუბიკონი“

გაზეთ „რუბიკონის“ პირველი ნომერი 1923 წლის 21 იანვარს გამოიცა.


იგი იყო „სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის“ ყოველკვირეული ორგანო.

გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია.

„ახალი მწერლობის კავშირი“, რომელსაც თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე, 1921 წლის 23 ოქტომბერს გამოეყო საქართველოს მწერალთა კავშირს და ორი წელი იარსება.

მის ბირთვის შეადგენდნენ „ცისფერყანწელები“.

ისინი აცხადებდნენ, ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, ჩვენთვის მთავარი ესთეტიკური ორიენტაციააო.



გახუთი „რუბიკონიც“ გვერდს უკლდის მძაფრ ნაციონალურ და სოციალურ საკითხებს.

„რუბიკონი“ დადასმის პროპაგანდისტიც იყო – ტიცვიან ტაბიძემ თარგმნა „დადას მანიფესტები“. ტრისტან კპარას და სხვათა ლექსები. თავადაც გადაეწყო დადასტური იდიოტიზმის მანგებზე. დაბეჭდა წერილი – „41 გრადუსის დირექტორი ტერენტევი“, თუმცა არც ძველ იდეალებს იფიქებდა. თარგმნიდა ლოტრეამონს და ბლოკს ისევე უღიღეს მოეტად მიიჩნევდა.

„რუბიკონიც“ სერგიევის №13-ში, ხელოვანთა სასახლეში გამოდიოდა.

ბ) იოსებ გრიშაშვილის „ლეილა“

1917 წელს იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა კრებული „ლეილა“.

ძირითადად იგი ბეჭდავდა ახალგაზრდა მოდერნისტებს.

პირველ ნომერს უძღვის გრიგოლ რობაქიძის წინათქმა.

იგი ამბობს, რომ ჟურნალს პირველად დაერქვა ქალის სახელი. ეს ქალი აღმოსავლეთის სიმბოლოა, რომლის საოცრებასა და ტემპერამენტს აღტაცებით ახსენებს მწერალი. მაგრამ გაუგებარია, ლეილა რატომ უნდა ყოფილიყო ლურჯთვალა და ოქროვანი! ასეთი ასული ხომ არც გრიშაშვილს შეუქია. მისი პერსონაჟი ქალი შავთვალა და შავგერქმანია. ალბათ იმიტომ, რომ თავადაც ამბობდა – მე ევროპამ სახლში არ შემიწვიაო.

პირველ ნომერში გამოქვეყნდა იოსებ გრიშაშვილის, გერონტი ქიქოძის, არისტო ჭუმბაძის, კოტე მაცაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ყანჭელის, ლეო ქიანჭელის, მიხეილ ბოჭორიშვილის, აკაკი პაპავას ლექსები, მინიატურები და ესსეები.

მეორე ნომერი 1920 წელს გამოიცა, მესამე – 1924 წელს. მათში „ვისფურქანწელები“ აღარ მონაწილეობდნენ. დაიბეჭდნენ სხვა, ასევე ცნობილი ავტორები – ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, დემნა შენგულაია, ივანე გომართელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მარიჯანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ილია მოსაშვილი...

ლეილა, როგორც ითქვა, აზიელი ქალის სიმბოლოა და მისი სახელი მკითხველს ახსენებდა ნიშამი განჯელის ლეილასა და მაჯნუნს. მაგრამ ახალგაზრდა პოეტები უარყოფდნენ ცხელ აღმოსავლეთის და ნისლიანი დასავლეთიდან მოელოდნენ ახალ სასწაულს.

„ლეილას“ საპირისპიროდ მათ „ლიტერატორები“ გამოსცეს.

ბ) კაკაბაძეების „შვიდი მნათობი“



საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ფართო ასპარეზი მისცა პრესას. ბუნებრივია, პოლიტიკური ვნებათაღელვება წარმოშობდა პუბლიცისტიკას – მებრძოლს, მრავალფეროვანს, ინფორმაციებით აღსავსეს. მაგრამ ასევე ააქტივებდა შემოქმედებით სულს, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობას მოაღწია. აღმშენებლობა პარადულურად მიმდინარეობდა როგორც პოლიტიკის, ისე კულტურის სფეროში და, რაც ყველაზე მთავარია, – აღმშენებლობის ინიციატორები იყვნენ ახალგაზრდები, რომელთაც მოაქონდათ სხვა თვალ-

საზრისი. მათ სურვილიც, ძალაც ჰქონდათ ჩანაფიქრის აღსრულებასა.

ეურნალი „შვიდი მნათობი“ ამ საერთო სულისკვეთების შედეგი იყო. მას სოფჯურ „კაკაბაძეების ეურნალსაც“ უწოდებდნენ, რადგან, როგორც გამოსცემის ინიციატორები, ისე წამყვანი ავტორები იყვნენ – ძმები მხატვარი დავით კაკაბაძე და ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე. ბიძაშვილი მწერალი პოლიკარპე კაკაბაძე. მაშინ ისინი სრულიად ახალგაზრდები იყვნენ. თუმცა დავით კაკაბაძეს უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი მთავარი ტილო „იმერეთი. დედანიმი“, ხოლო პოლიკარპე კაკაბაძე პირველ ნაბიჯებს დგამდა ლიტერატურაში. „შვიდი მნათობი“ ჩაფიქრებული იყო როგორც ფართო პროფილის ეურნალი, რომელშიც მთავარი იქნებოდა კულტურა. იგი ყოველთვიური გამოცემა უნდა ყოფილიყო. მაგრამ არსებულ სიტუაციაში ეს შეუძლებელი გახდა. დაიბეჭდა მხოლოდ ორი ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის აპრილში (316 გვ.), მეორე ნომერი – იმავე წლის ოქტომბერში (472 გვ.).

გამომცემელი იყო ამიერკავკასიის კომპერაციული კავშირი. ეურნალს ხელს აწერს „სარუდაქციო კოლეგია“. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დავით კაკაბაძეს.

საინტერესოა სათაურის გააზრება. ეურნალს ჰქვია „შვიდი მნათობი“ და ყოველ გვერდზე გამოსახულია შვიდი ვარსკვლავი (ანუ მნათობი). თუ აღებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბიდან, რომლის ღირსებასა და ნაკლოვანებაზე სპეციალურად მსჯელობს დავით კაკაბაძე. ასე რომ, ეურნალი მთავაზონებულია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით და მის სიმბოლიკას ყოველ წუთს შეგვახსენებენ გამომცემლები. აღბაი სწორედ ამიტომ არ მის-

კლა „შვიდი მნათობი“ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სოლიდური ჟურნალი, მოცულობით თუ თვალსაჩინო ავტორებით, მივიწვებული იყო. თითქოს არც არსებულა. არადა ჟურნალში თითქმის არაფერი დაბეჭდილა ხელისუფლების საქებარი და ბოღშევიკების საღაანდავი. მაგრამ, ეტყობა, სიმბოლიკა იყო მიუღებელი და კიდევ ის ფაქტი, რომ „შვიდი მნათობი“ 1919 წელს გამოიცა.

გარდა კაკაბაძეებისა, ჟურნალში თანამშრომლობდნენ გრ. რობაქიძე, ლ. ქიანელი, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. ხვანიძე, მ. ტოროშელიძე... იბეჭდებოდა ქართველ მხატვართა სურათების შავ-თეთრი რეპროდუქციები. ჟურნალში დაიბეჭდა პოლიკარპე კაკაბაძის ორი დრამა-მისტერია – „სისხლი სინათლემდე“ და „სამი ასული“.

პირველი დრამის სამოქმედო დრო აბსტრაქტულია. მთავარი პერსონაჟებია – ანდრია (მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი), სესია (მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცი) და სათნოების და. უფრო სწორად – მთავარია ერთი მათგანი – ანდრია. მოქმედების სიმძიმე ვადატანილია ანდრიას მოსვენებებში. მოწვევებებით ვეცნობით მის ბიოგრაფიას, ეჭვებს, განცდებს. შიშანებაში იგი ხვდება მოშულარ გლეხს, მეუღლეს, ანგულოსებს. ანდრიას სიკვდილის მოტივირებაც მოწვევებებში ხდება. ასე რომ, მოქმედება იშლება ცხადსა და შიშანებაში. ცხადში მომხდარი ფაქტი არის გაასრების საფუძველი. შიშანება იმ პერიოდის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, როგორც რეალობაზე უფრო მკარი, ნამდვილი რეალობა. ეს გარემოება აირეკლა პოლიკარპე კაკაბაძის მისტერიაში. მხატვრული თვალსაზრისით „სისხლი სინათლემდე“ ნაკლებად საინტერესოა.

ლირიკული დრამა „სამი ასული“ დაბეჭდილია მეორე ნომერში. ეს პიესა-მისტერია მართლაც ლირიკული ნაწარმოებია. მოქმედება ხდება შუა საუკუნეთა უდაბურ მთებში. გარეთ ზამთარია. ბუხარში ღვივის ცეცხლი. ბუხრის წინ სის სამი ღამაში ასული. სამივენი მატყლს ხეწავენ და საუბრობენ. მეორე ათახიდან მოისმის მოხუცი ქალის – დოდოს ნაინა. ეს მოხუცი ქალი მათი პატრონია, მათი მბრძანებელი. ბნელ, ქარიან ღამეში ოცნებობენ ასულები. ისმის კარებზე დარტყმის ხმა, კრთხელ, ორჯერ, სამჯერ. ქალები მსჯელობენ თუ ვინ არის ის, ვინც კარებს ხელს ურტყამს. დოდო კოშკიდან გადაიხედავს და ქალებს უკრძალავს კარის გაღებას. ერთ ასულს ესვენება, რომ ეს თეთრი მაცხოვარი ღვას კარებთან და შიგ შესვლას ითხოვს. მეორეს გადაკარგული ძმა ატონია. გვიან, როცა მიწადა კარებზე დარტყმის

ხმა და დოდომაც დაიძინა. კარებს აღებენ და ხელთ შერწყებათ მიცვალებული, რომელსაც ერთგულებას უმტკიცებებს პირველი ასული.

„სამი ასულის“ ძირითადი ღირსება ფრაზის ოსტატობასა და ღირიკულ ტირადებშია. ავტორი პერსონაჟებს ამტკუველებს როგორც ღირიკოსი:

„ვინ იცის – ვებ ის ქრისტე მაცხოვარია გლახაკის სამოსით მოსული – და გვიცდის ჩვენ – და ელოდება: გაუღებთ ამ ყინვა-ქარში კარებს და მივიღებთ დაწოდებულს და მოუვლით თუ არა. ამ შუალაშით მოვიდა ის ქარში და გეთხოვს ბინას და თვითონ მაქვს უფრო ბელნიური ბინა – მეგობრებო, ასეთ ღამეში ხშირად დადის ქრისტე და მომხდარა, როდესაც გაუღიათ გლახაკისთვის, მოვლენილა ღმერთი და კედლები გაბრწყინებულა! მაგრამ ვებ ის შენი ღვიძლი ძმა, და მოსულა გაგათავისუფლოს და გაზიაროს უცხო ქვეყნიდან მოტანილი განძეულობა“.

„სამი ასული“ სიმბოლისტური ნაწარმოებია.

უცხო კაცი, კარებთან რომ მივიდა და ქარიან ღამეში გაიყინა, ერთდროულად არის თეთრი ქრისტე, დაკარგული ძმა და სიყვარულის საგანი.

ასე რომ, ამ დრამაშიც გაიფლებს ღმერთის სიკედელის, ადამიანის მიერ მისი უარყოფის მოტივი.

დ) კონსტანტინე გამსახურდია – რედაქტორი

სხვადასხვა დროს კონსტანტინე გამსახურდია რედაქტორობდა ჟურნალებს – „პრომეთესა“ და „ილიონს“, გახეთ „საქართველოს სამრეკლოს“. იყო „ლომისის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1918 წლის ნოემბერში ცდილობდა ბერლინში მიხაკო წერეთელთან და რამარდ მეკელაინთან ერთად გამოეცა ჟურნალი „ეეროპის მოამბე“. მაგრამ გერმანია დამარცხდა და ჩანაფიქრი ვერ განახორციელა.

„პრომეთე“

„პრომეთე“ გამოდიოდა 1918 წელს. სულ სამი ნომერი დაიბეჭდა. ჟურნალის ცენტრში იდგა კულტურის პრობლემები, მაგრამ არა მოადერნიზმისა. როგორც თანამშრომელთა უმრავლესობა, ისე გამაერცვლებლები სოციალისტ-ფედერალისტები იყენენ.

„პრომეთეს“ ეხმარებოდა და პროპაგანდას უწევდა სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი გახეთი „სახალხო საქმე“, რომელსაც სამსონ ფირცხალაევა რედაქტორობდა.

იბეჭდებოდნენ – კოწია გამსახურდია, დაკით კლდიაშვილი, აკაკი



პაპაია, კოტე მაყაშვილი, არისტო ჭუმბაძე, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, პავლე ინგოროყვა, სურგო გორგაძე, იოსებ გრიშაშვილი, დიმიტრი უზნაძე, სიმონ წეველი (განქინილაძე), გიორგი ახელედიანი, ვაჟა-ფშაველა, ვარლამ სერქეშიშვილი...

კონსტანტინე გამსახურდია ამ დაბეჭდა ურბანისტული ლექსები – „ბერლინი“, „მიზანტროპი“, „ქორწილი“, სონეტები, პოლიტიკური ესეე „Anno 1917“.

პროფილის თვალსაზრისით, ინტელექტუალური მრავალმხრივობით ამ ჟურნალის გაგრძელება „შეიდი მნათობი“, „ცისარტყელა“, „ხომალდი“, „ილიონი“, „კაეკასიონი“ და „ახალი კაეკასიონი“, „მნათობი“

„ილიონი“

ჟურნალი „ილიონი“ გამოდიოდა 1922-1923 წლებში.

პირველი ნომერი გამოიცა 1922 წლის აგვისტოში. სულ დაიბეჭდა ოთხი ნომერი.

„ილიონს“ რედაქტორობდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც დაუღალაუად ქადაგებდა ნიცშეს, შპენგლერისა და ექსპრესიონიზმის იდეებს, ქართული სიტყვის განახლების აუცილებლობას, შერწყმულს ნაციონალურ სულისკეთებასთან.

სარედაქციო კოლეგიის ანუ „ილიონის“ ჯგუფის პრეზიდიუმის წევრები იყვნენ არწილ ჯაჯანაშვილი და არისტო ჭუმბაძე, მდივანი – კოკი აბაშიძე.

ყველა მათგანი სოციალისტ-ფედერალისტი იყო.

„ილიონი“ საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა და ამდენად აქონდა ანტისაბჭოური და ანტირუსული ხასიათი.

ჟურნალმა დაბეჭდა პოეტები – იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, ნინო თარიშვილი, მარიჯანი (ტყეშელაძე), ილია მისაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, არისტო ჭუმბაძე, ვასო გორგაძე, ირაკლი ყახიყელი.

„ილიონის“ ახალგაზრდა ავტორები მსაღერნი სმისაკენ ისწრაფიან, საგრძნობია გალაკტიონის, „ცისფერქანწელთა“ და იოსებ გრიშაშვილის სუბაეღუნა. მაგრამ მათ ნაწერებში ყველაზე მეტად ევროპული პოეზიის სურნელი იგრძნობა. ისინი წერენ როგორც სონეტს, ისე თავისუფალ ლექსს, ცდილობენ ახალ ფორმათა ათვისებას.

„ილიონის“ პროზა სუსტია და საყურადღებო არაფერი გამოქვეყნებულა.

მნიშვნელოვანია კრიტიკა, რომელიც მეტწილად ესსეს ფორმით არის წარმოდგენილი (კ. გამსახურდია, ირ. ტატიშვილი, დ. შენგულაია, კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ქრ. რაჭველიშვილი).

ითარგმნა ლუდვიგ მარკუზეს, კა-სიშიორ ედშმიტის, ფონვასენდორკის ესსეები. დაიბეჭდა გრიგოლ წერეთლის, შალვა ამირანაშვილის, ალექსანდრე წერეთლის, დიმიტრი უსნაძის სამეცნიერო სტატიები.

უურნაღის მიზანი იყო ნიცშეანობის, მისტიციზმისა და ექსპრესიონიზმის გაშუქება. ამიტომ რედაქტორი არ ღებულობდა „თურგდაღუელთა“ სოციალურ თვალსაზრისს, რეალისტურ პოზიციას, რუსულ ორიენტაციას და მოითხოვდა დიაპაზონის გაფართოებას, ევროპულ კულტურასთან კავშირის აღდგენას, მიბრუნებას ნაციონალური ძირებისადმი, ეროვნული გრძნობის გამძაფრებას, უახლესი ფორმების, იდეების, სტილის დამკვიდრებას.


რედაქტორი ისე უარყოფდა „ცისფერქანწელთა“ თეორიასა და პრაქტიკას. თუმცა მოულოდნელად დააინტერესა გრიგოლ რობაქიძის „ლონდაში“ და თავადაც დაბეჭდა მისტერია „გარსი მარადი“.

პრომეთეს სიმბოლიკას შეეჩაცემა ტროას სიმბოლიკა, ცეცხლის მომტან ჭაბუკს – მშობლიური ქალაქის კედელთან განგმირული პექტორი.

პირველი თუ რწმენასა და აღმაფრენას გამოხატა. მეორე და-ცემასა და დამარცხებას გვამცნობდა.

1923 წლის 1 იანვარს გამოვიდა „საქართველოს სამრეკლო“ მეორე ნომერი არ გამოცემულა.

აქ გამოქვეყნდა კონსტანტინეს პოლიტიკური ესსე – „ANNO 1923“



ე) „ცისფერყანწელთა“ მიმდევრები

„აისი“

ეს თხელტანიანი ჟურნალი სულ ორი ნომერი გამოიცა - 1918 და 1920 წლებში, ქუთაისსა და თბილისში.

რედაქტორობდა ლადო მაჭავარიანი.

ძირითადად ცისფერყანწელები იბეჭდებოდნენ.

მათ გარდა მონაწილეობდნენ გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ე.ი. ის პოეტები, რომლებმაც განაახლეს ქართული ლექსი.

რედაქტორმა მკითხველს წარუდგინა გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიაგი), რომელიც 1918 წლის იანვარში დაიღუპა ახალციხესთან, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

იგი 22 წლისა იყო.

„თოლაბულისის სარტყელი“

ჟურნალს რედაქტორობდა გრიგოლ ცეცხლაძე, რომელიც მაშინ სიმბოლისტურ ლექსებს წერდა.

გამოსცა მხოლოდ სამი ნომერი - 1919 წელს.

ჟურნალში იბეჭდებოდნენ ცისფერყანწელები, საერთოდ - სიმბოლისტურ ესთეტიკას ნაზიარები პოეტები.

აქ გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის შედეურები - „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ და „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“

თუნდაც ამიტომ შემორჩება „თოლაბულისის სარტყელი“ ლიტერატორთა მენსიერებას.

როგორც ვიცით, შემდეგ გრიგოლ ცეცხლაძე ტრისტან ცჰარას დადამ გაიტაცა.

„კრონოსის სარკე“

1919 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში თბილისში გამოვიდა ჟურნალ „კრონოსის სარკის“ ორი ნომერი.

მას სცემდნენ „ცისფერყანწელთა“ მიმდევარი ახალგაზრდა სიმბოლისტები. მათგან აღსანიშნავია ორი სახელი - ტერენტი გრანელი (წალენჯიხელი) და დემნა შენგელაია.

კრონოსი ზევსის მამაა, ურანოსისა და გეას შვილი.

ამ ჟურნალით იწყებს ქართულ პოეზიაში დამკვიდრებას მარტოსული ტერენტი გრანელი - ტალახში დაცემული ზეცის პოეტი.

3) ალექსანდრე აბაშელის „ხომალდი“

ქურნალ „ხომალდის“ პირველი ნომერი 1921 წლის დეკემბერში გამოიცა, ბოლო მეოთხე-მეხუთე - 1922 წლის ნოემბერში.

ქურნალმა თითქმის ერთი წელი იარსება. მაგრამ დაპირებული თორმეტი ნომრის ნაცვლად მკითხველს მხოლოდ ოთხი წიგნი მიაწოდა.

„ხომალდს“ რედაქტორობდა სანდრო (ალექსანდრე) აბაშელი.

„ხომალდის“ ავტორები იყვნენ, გარდა რედაქტორისა, ლეო ქიანელი, ხარიტონ ვარდოშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი (და აპატიმრეს 1924 წელს და ციხეში მოკვდა 1943 წელს), იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი), ობოლი მუშა (სოლომონ თავაძე), დემნა შენგელაია, გიორგი ქუჩიშვილი...

ქურნალი არ გამოხატავდა საბჭოთა პოზიციას.

აი, რას წერდა ალექსანდრე აბაშელი:

*„და ერის ტანჯვის გამოშახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნადეულის ორი სახელი,
კრწანისის ველი და თებერვალი“.*

აქ დაიბეჭდა ალ. აბაშელის „შორეული ნაპირი“, „ტანჯვის ბარძიმი“, „ანთებული საღამოები“, „ოქტომბერი“ და „სასახლის ბაღში“, რომელთაც ეკვებას პესიმიზმი, ეროვნული სასოწარკვეთა, დამარცხების სიმწარე:


*„ასპიტ გველივით იკბინება ყოველი წუთი
და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი“.*

„ხომალდის“ ავტორები იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ან ისინი, ვინც თანაუგრძნობდნენ სამშობლოდან განდევნილ ხელისუფლებას.

ქურნალმა დაბეჭდა გარდაცვლილი სოციალ-დემოკრატის ჭოლა ლომთათიძის მითხრობა „პირველი მაისი“.

„ხომალდში“ თანამშრომლობდა ლეო ქიანელი (შენგელაია).

მოხდა ისე, რომ „ტარიელ გოლუას“ ავტორი, რომელსაც უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, აყუვა ახალგაზრდულ ცდუნებას. რეალისტური რომანის ავტორი მინიატურების მსუბუქება ტალღამ გაიტაცა, ლამის სანდრო ცირეკიძეს დაემსგავსა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აკლდა უსთეტიზმი, ფრაზის არტისტიზმი.



„ტარიელ გოლუა“ რეალურ გარემოს წარმოსახავდა, ეპოქის პანორამას წარმოსახავდა. მართალია, იგი არ იყო ისეთი დიდმნიშვნელოვანი ქმნილება, როგორც ერთ დროს ეჩვენებოდათ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ პროზის დეველუაციის, საერთო დეკადანსის ფონზე საკმაოდ ჩანდა. შემდეგ დეკადანსის ფრთების შხუილი ღეო ქიანელის პროზაშიც გაისმა. მაგრამ არცერთი სხვა ქართული მწერლისათვის არ ყოფილა ესოდენ უცხო დეკადენტურ-მოდერნისტული სტილი, თემები, იდეები, როგორც მისთვის.

მან წარმატებას მხოლოდ რეალიზმის სფეროში მიაღწია („თაფადის ქალი მია“, „ალმასკირ კიბულან“, „პაკი აძბა“, „გეადი ბიგეა“).

ოციანი წლების პრესაში ხშირად იბეჭდებოდა დემნა „შენგელაიას ნაწერები. მათ უცებ შენიშნავეთ, მყისვე გამოარჩიეთ. „სანაეარდოს“ ავტორს აქვს მელანქოლიის ესთეტიზების უნარი, პათეტიკური სტილი, მიდრეკილება აბსტრაქტული ხატვისაკენ, კარგად ფლობს ენას, წერის პოეტურ მანერას.

„ხომალდში“ დაბეჭდილია მოთხრობები – „დედოფალი მია“, „შემოდგომის ბინდები“, „წაწყმედილი ბერი“, დრამა „ალმაცერი დამე“.

ფრაგმენტული აღწერა, ეგზალტირებული მეტყველება, კუნთოვანი ფრაზებისაკენ მიდრეკილება, ახალი სახეობრივი ერთეულების ძიება – აი, ამ ნაწარმოებების სპეციფიკა.

თითქმის ერთი წელი იარსება „ხომალდმა“, რომელსაც, რედაქტორის რწმენით, როგორც ნოეს კიდობანს, უნდა გადაერჩინა ნამდვილი ხელოვნების ცოცხალი სული ბოლშევიკური წარღვნისაგან, შესჯახებოდა აუადმყოფი ევროპის ბნელ ქარებს, ბარაბანისა და საყვირის ხმებს და ქართული ზეცის ნათელით მომაჯლისაკენ გზა გაეკეთა.

ზ) გალაკტიონ ტაბიძე – რედაქტორი

გალაკტიონი ოციან წლებში სამ ჟურნალს რედაქტორობდა. ესენი გახლავთ – „სახალხო გეარდიელი“, „ლომისი“ და „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. მათგან პირველი არ არის ლიტერატურული გამოცემა.

ჟურნალი „ლომისი“

„ლომისის“ სახელწოდებით 1922 წელს გამოდიოდა ჯერ ჟურნალი, შემდეგ – გაზეთი. სცემდა საქართველოს მწერალთა კავშირი. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე იყო გალაკტიონ ტაბიძე, პოეტების მეყვედ არჩეული 1921 წლის 26 იანვარს.

სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ღეო ქი-

ანელი და კონსტანტინე გამსახურდია. შემდეგ კონსტანტინე ჩამოსცილდა ამ გამოცემას და „ილიონს“ მოჰკიდა ხელი.

„ლომისი“ იყო სახელწოდებით და სალიტერატურო ჟურნალი. მასში პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. შედგებოდა 16 გვერდისაგან.

ვარდისფერი ყდა და გერბი ეკუთვნოდა მხატვარ ოსიპ შარლემანს. გერბზე რუსთაველი იყო გამოსახული, რომელსაც გვირგვინი შემოხეულია.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1922 წლის 1 იანვარს, ბოლო – მეშვიდე ნომერი – 26 მარტს. ამის შემდეგ გამოცემა შეწყდა, მაგრამ გაგრძელდა გაზეთის სახით.

ჟურნალში იბეჭდებოდნენ გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიანელი, იოსებ გრიშაშვილი. ვასილ ბარნოვი (ნაწივეტები „ხაზართა სასძლოდან“), შალვა დადიანი, კოტე მაჭაშვილი, შიო არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი, ხარიტონ ვარდოშვილი...

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“


ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი გალაკტიონ ტაბიძე იყო. როგორც ამბობდა კარლო კალაძე, იგი დაარსდა გალაკტიონის ცოლისძმის – მიხეილ ოკუჯაფას ინიციატივით, რომელიც იმჟამად საქართველოს კომპარტიას ხელმძღვანელობდა.

ჟურნალმა მცირე ხანს იარსება – 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის მარტამდე და დაიბეჭდა მხოლოდ ცხრა ნომერი.

რა თქმა უნდა, ეს ჟურნალი მოდერნიზმის საპროპაგანდოდ არ დაარსებულა. გალაკტიონის ცოლისძმები ფანატიკოსი ბოლშევიკები იყვნენ, თუმცა უკვე ეკრათ „ნაციონალ-უკლონისტის“ იარლიყი, რაც მოგვიანებით მათი დახვერტის საწინდარი გახდა.

ჟურნალის პოზიციას გადმოსცემდა გალაკტიონის ლოზუნგი – „განახლება ან სიკვდილი“. განახლება „ახალი საქართველოს“ მიღებას ნიშნავდა, სიკვდილი – „დემოკრატიულ საქართველოზე“ ოცნებას. უცნაური ფაქტი – გამოცემაში პოეტს მხარში ედგა მიხეილ ბოჭორიშვილი (მირბახი), 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი მოთავე!

გალაკტიონი, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს გვარ-



დიის ჟურნალის „სახალხო გვარდიელის“ ყაქტიური რედაქტორი. ჰქონდა ხელფასი, გვარდიელის „პაიოკი“ და ლექსს უძღვნიდა ვალიკო ჯუღელის რაზმს. 1921 წლიდან ამ ფაქტს არ ახსენებდა და უყოყმანოდ დადგა ბოლშევიკების მხარეზე.

მიზეზი ის იყო, რომ არასდროს არ იტაცებდა პოლიტიკა. ხოლო ოღია ოკუჯაევა და მისი ქმები თავგადაკლული ღვინელები იყვნენ. პოეტმა სწრაფად გადაინაცვლა მენშევიზმიდან ბოლშევიზმისაკენ.


მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ხელოვნების ბოლშევიკური დოქტრინა და ოქტომბრის რევოლუციის მუხობზე გალაკტიონი აგრძელებდა სიმბოლისტური ლექსების წერას.

ახალ ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონის შუდევრები – „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე“), „ისევ ეფემერა“ („რა ამოძრავებს კიპარისის ტანს“), „სახალწლო ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“ („ველარ ეცნობილობ მშობლიურ ხეებს“).

რედაქტორმა ჟურნალის ფურცლები დაუთმო თავის მიმდევრებს, ახალგაზრდა სიმბოლისტებს – გობრონ აგარელს, ტერენტი გრანელს, ირაკლი ყანჩელს, თუმცა ტრადიციონალისტ პოეტებსაც ბეჭდავდა (ბაბილინა, საფო მგელაძე, ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე...).

ამ ჟურნალით იწყება გალაკტიონის კულტი ქართულ ლიტერატურაში. მას უკვე უწოდებენ „მესსიას“ (გერცელ ბააზოვი), „ლეგენდას“ (ირაკლი ტოფაძე), „მეფე-მგოსანს“ (გიორგი ქუჩიშვილი), „ლაზო რაინდს“ (ვახტანგ გარიკი-ვიანაძე), „ნაღვლიან პეს“ (დემნა შენგელაია), „გენიის ცეცხლს“, „შეკვლების ზიარს“, „გენიალურს“...

ჟურნალი მხატვრულად გააფორმეს ლადო გუდიაშვილმა და კირილე ზდანევიჩმა.



თ) მოდერნისტიები მწერალთა

კავშირის პრესაში

გაზეთი „ლომისი“

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ლომისი“ 1922-1923 წლებში იცემოდა. ხელმძღვანელობდა ლეო ქიანელი, ყოფილი მენშევიკი.

დაიბეჭდა 34 ნომერი.

გა'ხეთი თავის ფურცლებს უთმობდა სიმბოლისტებსაც.

ერთადერთი ღირებულები, რაც პროზის სეფეროში დაიბეჭდა, არის ვასილ ბარნოვის რომანი „ხაზართა ხასძლო“ და მოთხრობა „სადულოფლო სარტყელი“. ხაერთოდ, ვასილ ბარნოვის რომანები ნაკლებად ისტორიულია. იგი შეიძლება ერთი შეხედვით ვალტერ სკოტს მოგვაგონებდეს. მას აინტერესებს ისტორიული ფონი, ზოგადი ისტორიული ფაქტი, რომელსაც თავისუფლად ეკიდება. იგი რელიგიური ბუნებისა იყო და ეს კმატებდა მის სტრიქონებს გარდასული დროის სურნელებას. ეპოქის შესწავლა, დროის ფაქტურა, კონკრეტული რეაქციები ბარნოვს არ დაუცავს. ამიტომ წერდა ესოდენ დაცვილებულ ეპოქებზე ესოდენ ბევრს.

მას გააჩნდა ფილოსოფიური თვალთახედვა, რომანტიკული სიუჟეტი, რაც მომხიბვლელობას ანიჭებდა რომანს. მაგრამ ენობრივი სპეციფიკა, განყენებული პრობლემატიკა აჩენებდა აღქმას.

პოეზია „კავკასიონისა“ და „ახალი კავკასიონის“ ფურცლებზე

1924 წელს, საყოველთაო გლოვის ჟამს, როცა კაცობრიობა გამოეთხოვა ვლადიმერ ლენინს, დაიბეჭდა ჟურნალი „კავკასიონი“. იგი სულ ოთხი ნომერი (ორ წიგნად) გამოვიდა. მაგრამ ენციკლოპედიური პროფილი, ავტორთა ბრწყინვალე კოპორტა, პოეტური სიტყვისა და მეცნიერული აზრის თვალსაჩინო ნიმუშები მას წარმოგვიდგენს მაშინდელი ქართული კულტურის ანთოლოგიად. თუმცა როგორც „ზინისტური გამოცემა“ მალე აკრძალა ხელისუფლებამ.

ამ ჟურნალის გაგრძელებაა „ახალი კავკასიონი“ (1925, № 1-2). ორივე მათგანს სცემდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, ხოლო რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა.

გარდაცვალებამდე ორიოდ კვირით ადრე აღინიშნა პავლე ინგოროყვას დაბადების 90 წლისთავი. „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა ღრმად მოხუცი ერისკაცის სურათი, საგრძნობლად განსხვავებული ჩვენთვის ნაცნობი სურათებისაგან. იგი ისე შემოგვეცქერის, როგორც „ჭალარა წარსული“. თეთრი წვერით, შავი კოლხური ქუდით, დაღლილი მზერით. „ადრე პოეტი“ და მერე „ღარღი წარსულ დიდების“, როგორც მას უწოდა პაოლო იაშვილმა, უკანასკნელი მოპიკანი იყო იმ დიდი, ღვეგენდარული თაობისა, რომელმაც ქართული სული მართლაც ახალ რენესანსს აზიარა. ამ ავადმყოფ, გამხდარ კაცს აღმოაჩნდა საოცარი ფანატიზმი და ენერჯია. რათა უძევლესი ხელნაწერების ამოკითხვით, თეორიების. პიპოთესი-

ბის ოხსეით, გარდასული ეამის წიგნებსა და ოსტატებზე ოცნებით აღუგზნო ნაციონალური სიამაყის ცეცხლი.

ვეულას გვახსოვს კიდევ ერთი ფოტოსურათი ოციანი წლებისა: ღვას ოთხი შაენოხიანი, ქამარხანჯლიანი ვაჟაკი - აღექსანდრე აბაშელი, პაელე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი. მათ გაფითრებულ მხერაში აღბეჭდილია საოცარი თავგანწირვა.

ასეთი თავგანწირვით ქმნიდა პაელე ინგოროყვა თავის ევებერთეულა წიგნებს და კოლეგებისაგან შერისხული სულს იბრუნებდა გარდასულ დღეთა ჟანგბადით.

მის შრომას მუდამ ახლდა მონუმენტალობა. მონუმენტური და ვრცელია „კაეკასიონისა“ და „ახალი კაეკასიონის“ წიგნებიც, როგორც თავად რედაქტორის მიერ ამოხსნილი რელიგიური პოეზია და მოხაზული ძველი საქართველო.

რედაქტორი ბეჭდაედა ნომერში ავტორის ერთ ან ორ ლექსს, რითაც, ცხადია, ძნელია წარმოვსახოთ ოციანი წლების ლირიკის ფურისცვალების სურათი. მაგრამ პოეტების უმრავლესობას უკვე სახელი ჰქონდა მოხევეტილი და ისინი თითო-ოროლა ლექსებით წარმოგვიდგენდნენ მთელ თავიანთ შემოქმედებას.

გალაკტიონ ტაბიძეს მონაწილეობა არ მიუღია ამ ჟურნალებში. ეს მაშინ, როცა იგი არ ეკუთვნოდა არც „ცისფერყანწელთა“, არც ფუტურისტთა, არც პროლეტარულ მწერალთა ჯგუფებს, თანაც იმ წლებში ინტენსიურად მუშაობდა (მაგ., 1925 წელს „მნათობის“ ერთ ნომერში ასი ლექსიც კი გამოაქვეყნა).

ნაციონალური სევდა, რომელიც დაეუფლა ინტელიგენციის ერთ ნაწილს, გადმოვეცეს იოსებ გრიშაშვილმა და აღექსანდრე აბაშელმა. მათ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ დამარცხება და ახალი სიტუაცია მწვავედ განიცადეს, რამაც ისინი სულიერ დეპრესიამდე მიიყვანა.

იოსებ გრიშაშვილის „ტფილისის მიწა“ (№ 1-2) ამჟღავნებს საგრძნობ სიახლოვეს ქართულ სიმბოლიზმთან. მართალია, მან ერთ დროს ცხარე პოლემიკა გაუმართა „ცისფერყანწელებს“, მაგრამ ფორმის სფეროში მათი გავლენა აშკარად დაეტყო, თუმცა თემატიკა, მასალა, იდეები შეინარჩუნა. ამ ლექსში საგრძნობია ხელოვნური („დღემ ჰმლტრით აიღო დაშნა“) და არაპოეტური („დამაცოხნიე რძე მგ ჭუჭულან, ო, ტფილისის დედაო მიწა“) სახეების მოძალეება. მაგრამ კარგია ბოლო სტროფი:

*„მაგრამ არ მწყალობს ბელი ფიცხელი,
მიწა გამსკდარი, ცა მონადრუბლი,*

და პოეზიაც ისე მიცქერის,
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი”.

სიკედელის კულტი და მელანქოლია გასდევს ლირიკულ ლექსს „პაუ'სა“ (№ 3-4), რაც ვეროპიდან შემოიჭრა საქართველოში და თანდათან ზმანების, ნისლეულის სანაცვლოდ კონკრეტულ საგნებად და მოვლენებად აქცია „ჩინგიზ ხანის დრო“.

„ახალ კავკასიონში“ დაიბეჭდა იოსებ გრიშაშვილის ცნობილი ლექსი „დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“ (შემდეგ ავტორმა, შინაარსის მიხედვით, სათაურს დაურთო „გამოთხოვება ძველ თბილისთან“). პოეტი გამოეთხოვა ძველ თბილისს, მოჩარდახულ ურმებს, ჭიანურზე დაკრულ ჩარგას, კრივს, ცეკვას, ართურმას. დუდუკის საარი ქარხნის საყვირს შეუცვლია, დუმბო და ზილი – რკინას. „სხვა ცხოვრების წინაშორბელი“ მგოსანი თავის თავს ადარებს ოტელოს, რომელიც უდუნდემონოდ დარჩა. მაგრამ თუ გაეხსენებთ, რომ ოტელომ თვითონ დაახრჩო დუნდემონა, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტიც ადანაშაულებს თავის თავს, რომ დაირღვა ძველი ცხოვრება, რომლის გამაგრება, გამთელება ვერ შეძლო „ოცნების კოცნამ“ და „ოქროს ფეხის“ ხოტბამ.

ეს სატრფიალო ლირიკის მგოსანი, რომელიც წლების მანძილზე თითქოს სპილოს ძეგლის კოშკში ცხოვრობდა. ჯერ თებერელის რევოლუციამ გამოაფხიხლა, ხოლო 25 თებერვალმა აქცია ღრმა სევდის პოეტად. სიყვარულის მომღერალი ერთბაშად გახდა ბრძოლის ქადაგი და მისი მუსიკალური სტრიქონები სევდით გაიჟღინთა:

„ხელში კორძები დაგვაქვს ბეჭდებით


ამდენ კუბოთა მალა აწვით.“

„საქართველოში ქართველები დაღიან გერად“.

„ყოველ ქუჩის ფენაში დღეს სისხლია დაღვრილი“.

„დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“ ამ განწყობილებით დაიწერა, მაგრამ ახალი პერსპექტივაც დაისახა. მართალია, უხალისო, ნაძალადევი, მაგრამ მაინც პერსპექტივა. ეს ნიშნავდა ახალ ეთარებასთან შერიგებას: „გადაწვდა უნდა შეეცვალო გზები – ძველო თბილისო – გტოვებ ნახვამდის“.

როგორც ვიცით, პოეტს გაუძინებდა ამ განცხადების შესრულება და იგი მრავალწლიანმა კრისისმა შეიპყრო. ერთხანს ლექსების წე-



რაც მიატოვა. მეცნიერულ კელეუას მისყო ხელი. ძველი თბილისი (რომელსაც სულაც არ წარმოედგინა მხოლოდ ყარაჩოღღელების ქალაქად. იგი, პირველ ყოვლისა, ხელაედა თამარის, ეახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორის ღანდებს, ვით ქართული ნაციონალური სულისა და ყოფის სანიშნოებს) მისთვის შთაგონების წყარო იყო და მისი უარყოფა მუხის ღალატად ენგენებოდა.

ალექსანდრე აბაშელის „უძილო ღამე“ ვრცელი ლექსია (№ 1-2) და გამოხატავს უნუგეშო, პესიმისტურ განწყობილებას. ერთმანეთის პირისპირ დგანან პეროიკული წარსული და სისხლიანი აწმყო. პოეტი კითხულობს ძველ წიგნს, რომელიც ჰყვება ლეგენდას რაინდულ სიყვარულზე. დღეს არც ეს ქალი ახსოვს ვინმეს, არც ეაფი. მოვიდა ახალი დრო. ჰკივის რკინა და ღვედი, ცა ცვივა ვარსკვლავებად. მაგრამ რადგან წარმავალია ქვეყნად ყოველი, ეს დრო-ჟამიც წავა, დაეიწყებას მიეცემა, არარაობას შეერთვის, არსებობას, ბრძოლას ახრი არა აქვს:

*„თიცი: მეც იმ ნავს მივეწებები,
გაიხსნებიან შუი არხები,
და ჩემი კმუნეთი და ოცნებებით
მეც იმ წველიაღში დაემარხები.
მეც იქ დაღლაქები, საღ მორწმუნეთა
ღაქება იმედი ნანუგეშები,
სადაც ნაგავი საუკუნეთა –
ძველ ეპოქათა ჯერია ღვეშები“.*

„უძილო ღამე“ დაწერილია ალ. აბაშელისათვის ჩვეული პარნასული სტილით, ერთგვარი ფილოსოფიური ჰერეტიით, მძაფრი ემოციების გარეშე. მაგრამ როგორც კი პოეტი სცილდება განყენებულ თემატიკას და უშუალოდ ამეტყველებს გულისტკივილს, სიტყვაც მეტ სიმკვეთრეს იძენს (*„უკვლას გეაჩნია შუბლზე ხაზებად საუკუნეთა გადანაფრენი“*, *„ჩვენი გზის ყველა საფეხურები ანთებულა სიკვდილის შიშით“*).

ვრცელი ლექსია, აგრეთვე, „ქარი სარკეში“ (№ 3-4). დაღამდა. დასისხლული, მომაკედავი მზე თეალს მიეფარა. მაგრამ განათდა სარკე, რომლის ტრიალი წამოშლის უცნაურ სურათებს. ჩვენს თეაღწინ იშლება ურბანული გარემოს ღანდშაფტი. აქ ბეტონი, რკინა და რადიო ბატონობს. მაგრამ ხილვა თანდათან სცილდება რეალურ გარემოს და ვარსკვლავთა სამყაროში გადაეყვართ. სარკეში ქარი მატულობს და ჩვენ შევდივართ კოსმოსურ სივრცეში.

ამ ლექსში წამოჭრილია ის იდეები, რომელთა გაშლაა რომანი „ქალი სარკეში“. ქალის სახე აქაც ჩნდება. იგი სხვა კლანეტის ბინადარია, კითხულობს დედამიწის პოეტთა წიგნს და ამბობს: „საბრალო ბეშეი. თავის კავშანს იმით იჭრობდა, რომ ხან ცრემლებით, ხან თამაშით, ჩვენზე ფიჭრობდა“.

ეს ლექსი სიმბოლიზმითაა შთაგონებული. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მთელს დრამას წარმოშობს სარკეში მოთარეშე ქარი, ქცეული კარნავალურ მრავალსახეობად, აგრეთვე – ქალის ნიაშორთან შედარება. „ნიაშორი“ ხომ პირველად „ცისფერყანწლებმა“ შემოიყვანეს პოეზიაში. მაგრამ „ცისფერყანწლები“ და საერთოდ სიმბოლისტები, ფსიქიკას, ცნობიერებას შიფრავდნენ, ამ ხერხით ცდილობდნენ ყოფიერების იდეალების ამოცნობას. აღ. აბაშელი გეთაეაზობს გალაქტიკის სამყაროს, ადამიანისათვის უცნობს, მაგრამ რეალურად არსებულს. აქ იგი სცილდება ფსიქიკის სიმბოლურ მირაუებს.

„მეოცნების დღიური“ 19 ნაწილისაგან შემდგარი ლირიკული პოემა („ახალი კაეკასიონი“). იგი ავტორის სულიერ ბიოგრაფიას, ეპოქასთან მიმართებას გეაცნობს. მაგრამ მასში მხოლოდ ერთი კაცის ბედი არ იგულისხმება, იგი მთელი თაობის სატანჯველსაც იტყევს („ჩემი თაობის უილაჯობა დღეს სამარცხენო დაღად მაჩნია“). ეს არის მონილოგი კაცისა, რომელიც ბუერი ეწამა და ყოველ სტრიქონს გულის ნაწილი გააყოლა, რათა პირუთენელად განესაჯა თავისი ცხოვრება, ჩვენამდე მოეტანა გულწრფელი ეჭვი, შიში და კაეშანი.

„შიაფრენს შემკრთალ დედაშიწას ფრთოსან რაშივით

ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკონული“:

ასე იწყება პოემა. შმაგი საუკუნე თავის ნებაზე დაატარებს ადამიანებს, მათ პატიოსან სულში სტოვებს მოურჩენელ ჭრილობათა ხაზებს. „რას მოგეცემს ეს დრო, სისხლითა და ძელებით ნათესი“, კითხულობს პოეტი, მაგრამ პასუხს არაეინ იძლევა. ყველაფერი მინდობია თავაწყვეტილ ქროლვას. უიმედობა, იჭვი და სინანული სდევს პოეტს, რომელსაც დაქარგვია ცხოვრების საზრისი. იგი ხომ ციხესავით „ოთხიე კუთხით გამოკეტილ“ ქვეყანაში ცხოვრობდა. მაგრამ იელვა რევიოლუციამ, აკანკალდა ძველი ჭაობი, მთელი ქვეყანა რკინასა და სისხლს დაემონა. მეოცნებე სული ელოდა „ქრისტეს გამოცხადებას გოლგოთას, ჯვარცმას, თავზე კვალს“. შემდეგ ზეციდან გადმოვიდოდა „ძრწონვალე ქალი“, დაცხრებოდა შფოთი და სათნოება იზეიმებდა. მაგრამ ეს თურმე ბავშვური ოცნება ყოფილა. ტყვიის, რკინის, სისხლის ნიაღვარმა გადაბუგა „ყველა საგანბური“ და დედამიწა ლამის ჩრდილივით გააქრო. თავდახრილი, თვალდახუჭული პოეტი „ციე ჭაზე“ დარჩა.

შემდეგ პოემა ბავშვობის უნაღლეო დღეებთან გვაბრუნებს. მღვრიე აბაშა, სუფთა ტეხური, ჯოხის ცხენი, ძველი მანგები, ღრუბლის კოშკები, მთვარის თეთრი ხავსი, მოსქროვილი ყანა წარსულს თან გადაჰყვა. ეს ყველაფერი იყო ოდესდაც. ახლა კი „ჩემი ორი თვალი ორი სოროა – ორი უეცრად გაცოფებულ შხამიან გველის“.

განსაკუთრებით მძაფრია ცალკეული ლირიკული ტირადები:

*„მაგრამ სიმშვიდე ახალმა დრომ არ დაგვანება,
განწორულია ჩვენი მოღვაძე რბილ-ძალიანი“.*
*„სჯობს თქვენს წინაშე ძირს დაუცეს მძიმე ქვასავით
უკანასკნელი მეოცნებე ფრთამოტეხილი!“*
*„დაღალულ პოეტს მომავალი აღარ მენდობა
და დაივიწყებს უნუგეზოდ მტირალ სტრიქონებს“.*

ასეთ ფრაზებშია კონდენსირებული პოეტის სულისკვეთება. თითქოს გაჭიანურებულ მონოლოგს მათ გამოსათქმელად ეუსმენს, რომლებიც ამთავრებენ ან იწყებენ პოემის ცალკეულ ნაწილებს.

იოსებ გრიშაშვილის დარად, აღუქსანდრე აბაშელმა გამოიგლოცა წარსული, დაცემის სიმწარე, ბავშვობის დაკარგული იდილია:

*„მშვიდობით ჩემო საყვარელო მელანქოლია!
შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მეოლია!“*
*„დროა გათავდეს ჭაბუკური სისხლის თამაში,
ნოღაბთან ბრძოლით და ნაღველით სულის გართობა,
რომ ჩავსვენოს მღელღარების ცივ აკლდამაში
ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკულმართობა“.*

დაიბეჭდა ვერლიბრით დაწერილი გრიგოლ რობაქიძის „ეპიტაფრები“ (№ 1-2), ნაწიკეტი ექსპრესიონისტული დრამიდან – „ქარდუ“, რომელიც გვაცნობს დიალოგს ქარდუს, ქარდუს შვილს – გიმშირსა და მონღოლთა სარდალს – თიმურს შორის. ირჩევა საკითხი, თუ რატომ უნდა შეიჭრას თიმური „ნინოს მამულში“.

ბარბაროსული მონღოლური ძალის აპოლოგია ქართულ ლიტერატურაში ამ ავტორმა დაიწყო (შემდეგ მსგავსი მოტივები აირეკლა კ. გამსახურდიას პროზაში, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, გრ. აბაშიძისა და შ. ნიშინიანიძის პოეზიაში). მან ფრ. ნიცშეს ზეკაცის კულტით, დიონისური სიჯანსაღითა და პეროიკული წარმართობით შთაგონებულმა, როგორც მძიმეარე სასიცოცხლო ძალა, პოეზიაში გააღვიძა მონღოლთა ლანდები. მონღოლი ამჯერად სამშობლოს მტერი კი არ არის, არამედ – უდიდესი სტიქიონი, სამყაროს ენერჯია, ამ უცნობის ძალის მიწად გარდმოვლენა, მარად ადამიანური სიშმაგე, „დანაშაულისა და ძალადობის გზით წარმართული“.

მთლიანადაა დაბეჭდილი ექსპრესიონისტული დრამა „ლონდა“ (№ 3-4), რომელიც ტრაგიკული პეროიკული მითოსის შექმნის ცდაა და აშკარად ენათესავება გერმანულ ე. წ. „თინგ თეატრს“.

„თინგ თეატრს“ ასე ახასიათებს მიხეილ ქვესელავა:

„ამგვარ სექტაკლებში“ ინდივიდს ცელის ტიპი, მარტოხელას – საზოგადოება, პიროვნებას – ხალხი, შინაგანს – რასა, სათნოებას – კულტი. ნაჩვენებია ადამიანები, რომელნიც საკუთარ თავს ებრძვიან გმირები, რომელნიც სძლევენ ფსიქოლოგიური

კონფლიქტის ნაცვლად წარმოდგენილია ბრძოლა, დიალოგის ნაცვლად – ქორო, სახის ნაცვლად – რიტმი, პარმონია-დისპარმონიის ნაცვლად – პოლიფონია...

თვით თეატრი ღია ცის ქვეშაა, მინდორში, ფერდობებზე, სადაც ყველაფერი წმინდაა: მიწაც და ზეცაც, წმიდაა ხე „რომლის ფესვებიც უძველეს გერმანიაშია გადგმული“; წმიდაა ქვა, – რუნებითა და ლურსმული წარწერებით დაფარული. წარმოდგენილია გერმანული მსხვერპლშეწირვის რიტუალები, ეროვნულ-საკულტო და პეროიკული თავგადასავლები.

„სცენა“ და მავურებელთა „დარბაზი“ გაერთიანებულია, პარტერისა და „იარუსების“ ფორმა – მრგვალი, როგორც წარმართული სამსხვერპლო მინდორები. ეანრი – ღრამა ან ტრაგედია, ფორმა – „გერმანული ბელისწერის პლასტიკა...“

კონსტანტინე ჭიჭინაძის „რიონის აპოლოგია“ (№ 1-2) კარგადაა ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში. პოემის სიუჟეტურ ხაზად აღებულია რიონის მდინარეზე სათაეიდან შესართაეამდე, რაც ამთლიანებს ცალკეულ ფაქტებს, ისტორიულ რეალიებს, ბუნების სურათებს. ასე ენიჭება საღექსო მეტყველებას პოემის სახე. როგორც სათაური გვეუბნება, იგი აპოლოგიაა, ოღონდ მშობლიური მდინარისა, რომელზეც, მტკერისა და არაგვისაგან განსხვავებით, ჩვენს ძველ პოეტებს საქებარი სიტყვა ნაკლებად უთქვამთ, თუმცა ანტიკურ სამყროშიც კარგად იყო ცნობილი.

„რიონის აპოლოგია“, ისევე როგორც კ. ჭიჭინაძის მთელი ლირიკა, პარნასული სტილითაა შექმნილი და ვალერი ბრემსოვის სიმბოლიზმს ენათესავება. ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს ფრაზას, საღექსო ტექნიკას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ემოციების შენელებას და მოვლენების რაციონალურ, ჰერეტიკულ აღქმას. ამიტომ „რიონის აპოლოგია“ გამოირჩევა არა დიდი გრძობებით, არამედ დიდი ოსტატობით. ეს არის ამ პოემის, ისევე როგორც საერთოდ პარნასული სკოლის, ნაკლიც და ღირსებაც; ნაკლი იმიტომ, რომ პოეტური აღქმის პრინციპი წმინდა ესთეტიზმს ეფუძნება და შოითხოვს განათლებულ, დახვეწილ მკითხველს, ხოლო მასები მას აღტაცებით ვერ წაიკითხავენ; ღირსება იმიტომ, რომ ესთეტიზმი, სიტყვის დაუფლების დონე, პოეტური კულტურა, ორიგინალური კომპოზიცია, მასალის კარგი ცოდნა ამართლებს დებულებას – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ასეთი სტილით, ტემპერამენტით და მსოფლხედვით შექმნილი შედეგები განეკუთვნება უ. წ. „ლიტერატორთა ლიტერატურას“:

*„შენი სათავე ვინახულე დღეს მეორეჯერ,
შენ აქ სახელად უსათუოდ გშენის ფაზისი.
მესერი თაღებში კალმახების წითელ ფორეჯებს
ბავშვის ცრემლებზე უწმინდესი და უნაზესი.
პეშვით დავლიე შენი წყალი რძესავით ჩვილი,*

და შენი ფსკერი ნაცრისფერი ქვით მოოჭვილი,
მეალურსება დაბინდული აკამკამებით.

აქ შენი დენა ქაფიანი და ნაჩქარები,
ხან ანთებული ოჭროსფერი შუქის ღეარებით,
ხან ფერწასული ვრუ ხვეების მუქ ჩაღამებით
ამწვანებული დაღმართებით მივსანება—

მაგრამ მინახავს სხვა სვირიც— მაშინ, როცა მე
შენი მქუხარე ამბობების გაეხდი მოწამე

და სტრიქონებიც დაგიშვადე სხვა და სხვაგვარი
ხან ურბილესად მოხაზული, ხან წელმაგარი,
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი“.

კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსი „Finis“ ეძღვნება ქეთო ინგოროყვას, პაეღე ინგოროყვას მეუღლეს. იგი სიკვდილის მისტიური წარმოსახვაა („Finis“ ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „დასასრულს“, „ბოლოს“).

ქარონს სტიქსის წყალზე გადააყავს ხორცის ტყვეობისაგან განთავისუფლებული სული. შემდეგ დგება იღუმადლი სიჩუმე, ახალი მსხვერქლის მოლოდინში გასუდრულა ყოველივე. ისვენებს დაღლილი და ფერწასული ქარონი:

„უკანასკნელი ამრდილი ნუიდან

ცახცახით გადავიდა.

და დაიკეტნენ სამუდამოდ ყველა შიორები,

გულზე დაიწყო ხარონმა დაღლილი მკლავები.

მთვარე ფერწასული და ვარსკვლავები

დასწრებიან მიწას განცეიფრებით.

აღარაფინ მოვა— და თავის ნუიდან

თვითონ ხარონი ფერწასული წავიდა

ორხვეა ნუი და მდინარის შუი რგოლები

დახრილ იალქნებს ატირებით ეფერებიან.

ნუის ფსკერიდან ცივ ვარსკვლავებს შესწრებიან

ქული გაესილი თეთრ ობოლებით“.

„კაეკასიონმა“ გამოაქვეყნა „ცისფერყანწელი“ პაოლო იაშვილის ორი ლექსი.

„URBI“ (№ 3-4) კარგადაა ცნობილი ჩვენს პოეზიაში (იოდონდ სხვა სათაურით). იგი მიმართვის ფორმითაა დაწერილი და ეძღვნება თბილისს. საერთოდ, პ. იაშვილის საუკეთესო ლექსთა დიდი ნაწილი ამ ხერხითაა დაწერილი. იგი ყოველთვის გულისხმობს ადრესატს, მსმენელს, მკითხველს. თავის სათქმელს ამბობს არა თავის თავის, არამედ ვიღაცის ან რაღაცის წინაშე, თითქოს სცენაზე იდგეს. ამჯერად თავდადების ფიცი მიემართება თბილისს და როგორც ყოველი ფიცი ან აღსარება, სადაა და ემოციური:

*„მინდა აყვარდე მამადაეითზე;
აქ აირჩიე, სულო, ბინა შენ,
მინდა უეცრად მუხლზე დაეცეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე“.*
*„შენს ალაყაფთან მსურს დავაღაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები.“*

ჩემორე ლექსი დაიბეჭდა ელენე ღარიანის ფსევდონიმით – „პარო-
სისაკენ“ (№ 3-4). რომლითაც მთაყვრდება მისტიფიციზირებული ღარიან-
ისული ციკლი. იგი ამ ქალის ბედის ფინალსაც გვაცნობს. ღარიანი
სტოვეებს საქართველოს და პარიზის მიქეჭსაყვრება. ამ ქალის გულში.
რომელიც მხოლოდ ეროსით გვეგონა შეყვრობილი, თურმე ძლიერად
ჩქეფს საქართველოს სიყვარული და ეს სწორედ მაშინ გახდა საგ-
რომობი, როცა უნდა დასცილდეს მშობლიურ წყაროს და ათასტოვე-
ბა მიუხას. არისტოკრატიული სილამაზე. კულანისტური ცხოვრება მოსპო-
რეკოლუციის გრიგალმა. სამშობლოს დაკარგვა პიროვნებას დაღუპ-
ვას და გადაგვარებას უქადის. ამას გრომობს ელენე ღარიანი, მაგრამ
სხვა გამოსაყვალსაც ვერ ხედავს, რადგან დაიმსხვრა ის სამყარო,
რომელიც მას უყვარდა, რომლის ნაწილიც თავად იყო:

*„ჩემო ქუეყანა, ვიცი პარიზი
არი გულის და თვალის ამხელი.
ვიცი მომელის მე უარესი,
აღბათ გატყდება ჩემი სახელი.
აქ ჩემ სულს კიდევ მზე მოუვლიდა,
და შორებულს კი ეგლარ მიშველი,
იქნებ დაიწვოს ცოდვა ლუეროდან
და გადავიტყე მე ბულ მიშელი“.*

ეადკრთან გაყვრინდა შვილის ლექსი „ოთახი-ბაღდახინი“ (№1-2) აგ-
რძელეებს პოეტის მიერ მოაზრებულ ოთახის ესთეტიკას. ამჯერად
ოთახი გაიგივებულია ბაღდახინთან. მისტერიულ ხილვაში შემოდის
მადონა მუფტით. მაგრამ საკმარისია ყრუ ბინაში შემოიჭრას განთი-
ლის მზის სხივი, რომ ღანდები ქრებთან და ღამაზი მოიყვრება იკარ-
გება:

*„მზე, როგორც ვეფხვი, დასვენებს ჩემს ყრუ ბინაში.
ჩემი ოთახის – ბაღდახინის შეწყდა ტრიადი.
მე დავიროქე წვერშელებილ შახის წინაშე
და როგორც სარკე დაიღუწა ესკურიადი“.*

„ოთახი-ბაღდახინი“ რთულ პირობითობას ემყარება. სიტყვები კარ-
გავენ საგნებს და თავისუფალი ასოციაციების თამაშით ეძებენ ფაქ-
ტის ნამდვილ არსს. ოთახი სვენს თვალწინ იქცევა ჯერ თვატრის
სცენად. შემდეგ – ესკურიადად, ბაღდახინად, ბოდოს კი სარკედ.

სარკე სამყაროს ღანდურობის მაუწყებელია, პოეტის აზრით, ყველაზე იდეალური საგანი, ოთახის ესთეტიკის განუყრელი ნაწილი. ეს ყოველივე კი ოთახის ღამეული წარმოსახვაა, პოეტის კოშმარული ცნობიერების საგნებად დანაწილება, ბუნდოვანი განცდების წარმოდგენა. მზე, ერთი მხრივ, შედარებულია ვეფხვთან, მეორე მხრივ, „წვერ-შელებილ შახთან“. მაგრამ რადგან „შახი“ ჩვენს ცნობიერებაში უკაე-შირდება მტრის ცნებას, მზე ბოროტი ძალაა და სარკესავით ანგრეეს ოცნების ესკურიალს. მაგრამ თუ ოთახი ბაღდახინი(კაა, მაშინ ყოფნას და არყოფნას შორის ზღვარი წაშლილა. თუ ასეთი სიზმარეული მდგომარეობა პოეტს ესკურიალს აგონებს, ამ ძვირფას ქრისტიანულ ტაძარს, მაშინ იგი სანეტაროც ყოფილა, რომელშიც სალოცავად, სულის დასაწყნარებლად შემოსულა, ხოლო რადგან ოთახი თეატრი(კაა, პოეტს უწევს მარადიული მოსაწყენი როლის შესრულება. იგი ამოუცნობი ძალის ანრდილი ყოფილა, ღანდური სამყაროს ნაწილი. ალბათ ეს არის კოშმარული განწყობილების სათავე. მაგრამ კოშმარი რეალობაა და ეს არის ის, რისი ნამდვილობის დადასტურებაც ძალუძს პოეტს და რაც შერჩა.

ასეთი ფიქრები აიშლებიან ღამით, ღამეულ სიბნელესა და სიჩუმეში. მათი განცდისა და შეგრძნების საშუალებას სპობს განთიადი, დილის მზე, იმდენად არის იგი დაუნდობელი „ვეფხვი“ და მძვინვარე „შახი“.

სიმბოლისტურია შალვა კარმელის ლექსიც – „მკვლევლობა სონეტში“ (№ 1-2), მაგრამ იგი არის არა სონეტი, არამედ ოთხსტროფიანი 14 მარცვლოვანი ლექსი, შესრულებული სიმბოლისტური სტილითა და მსოფლგანცდით. ძნელია ვილაპარაკოთ ამ ახალგაზრდა პოეტის ორიგინალობაზე. იგი ფლობს სიმბოლიზმის მიერ მოტანილ სალექსო ტექნიკას, გამოირჩევა პოეტური კულტურით. მაგრამ ამთვისებელია, მცოდნე, არა შემოქმედი, ახლის მაძიებელი. ეს ლექსიც ამუღანებს კარგ სალექსო ტექნიკას, მაგრამ სიმბოლიზმის მიერ დაკანონებულ ესთეტიკურ შაბლონს ვერ სცილდება.

„კაეკასიონსა“ და „ახალ კაეკასიონში“ დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის არაერთი ლექსი.

„დალი“ მთელი პოეზია ქართული ღმერთების პანთეონზე (№ 1-2). პოეტს უცდია აღდგენა წარმართულ-მითოსური მისტერიისა. პოემის პერსონაჟებია ტყის მეფე ბობლია, ტყის დედოფალი დალი, ტაროსის ღმერთი ვობია, წყლის ღანდალები, ომერ-ქალი. აღწერილია მსხვერპლშეწირვა, ღმერთების ქეიფი, ბრძოლა ინეუსასთან და დალის ქორწილი. როგორც ცნობილია, იმ დროს ახლებურად დაისვა მითის პრობლემა ხელოვნებასა და ფილოსოფიაში. თავისებურად იქნა ახ-

სწილი ეავა-ყმაყელას შემოქმედება. ს. შანშიაშვილს უცდია ახალი იდეების გაშლა ქართულ მასალასე, მაგრამ შემოფარგლულა ხალხური მასალის იმიტაციით.

„Vita nuova“ ორი ნაწილისაგან შედგება: 1. „ჩემში – ჩემს იქით“ და 2. „სიკედლი სარკეში“ (№ 34).

„ცისფერყანწულთა“ გაუღენითაა დაწერილი „სიკედლი სარკეში“. აშკარად საგრძნობია ე. გაფრინდაშვილის „ოთახის ესთეტიკის“ პრინციპი. პოეტი აბოლებს თამბაქოს და სარკეში აკვირდება თავისთავსა და კვამლის რკალებს, გარს რომ ეხევეა და იშლება. რას გვაუწყებს „ბოლის ნიშნები“? იგი პოეტს აგონებს არარაობას, წარმავლობას, რომ ადამიანიც თამბაქოს კვამლივით უკვალოდ ქრება.

მართალია, ამ ლექსში გაერთიანდა „თეთრი სიკედლი“, მისტიკური „სარკე“ და წარმავლობის სეუდა, მაგრამ პოეტიკის თვალსაზრისით სიმბოლიზმს მაინც არ განეკუთვნება. იგი დაწერილია XIX საუკუნის ქართული ლექსისათვის ჩვეული სტილით. სწანს, ავტორს ეწადა გამოესახა მეგობარი „ცისფერყანწულების“ განწყობილებანი, მათთვის სოლიდარობა გამოეცხადებინა.

„Genesis“, როგორც სათაური გეუბნება, პატრიოტული იდეალების საწყისებთან გეაბრუნებს („წინააზრდა შეაჯდა შანშე წარმართო“), „ხოლო ბრძენი მსხარა“ ცხოვრების ამოებისადმი ღრმა პესიმიზმითაა გამსჭვალული („ვერათის ვენდე ცხოვრების გზაზე“, „სიტყვა გულწრფელი ვერ არ მსმენია“). მაგრამ ერთია ლექსის თემა, საწყისი იდეა. მთავარი გახლავთ პოეტური შესრულება, რათა ავტორის ტიკვილი იქცეს სხვათა სატიკვირადაც. სატიკვირა პოენა ფარული, სიტყვაში დამალული ძალებისა, რომლებიც აერთებს და თიშავს კიდევ ადამიანთა სამყაროს.

საყურადღებოა გრიგოლ ცეცხლაძის ლექსი „კვიმატი დღეები“ („ახალი კავკასიონი“). გრიგოლ ცეცხლაძე უკვე დადაისტობდა და ეს ნაწარმოებიც აენაგარდისტული სულისკეთების თანაზიარია. დადაიზმი, რომლის დამწყებია ფრანგულენოვანი რუმინელი ებრაელი ტრისტან ცჰარა, ქადაგებდა ავტომატურ გაუცნობიერებელ მეტყველებას, რომლის დროსაც სიტყვების სტიკიური მდინარება ავტორისაგან დამოუკიდებლად შექმნიდა უცნაურ სამყაროს. თხზვის ასეთი პრინციპი ახლო დგას „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდთან, მაგრამ „ცნობიერების ნაკადის“ ასოციაციათა თამაში ინტელექტს ემორჩილება, ფსიკიკის მოძრაობის სტილიზებული წარმოდგენაა. ხოლო დადაიზმს მიეყავართ აბსურდამდე, რადგან აბსურდულია თურმე თავად ცხოვრების საზრისი.

სპეციალისტიკები პოულობენ ანალოგიას მოდერნისტულ-აენაგარდისტული ხელოვნების ცალკეულ მიმართულებასა და ფსიკიკურ აუად-

მკაცრობას შორის. სურათის დეფორმირების მიხედვით სოცჯერ მართლაც სხეულდება, ხანაც – არტისტიზმი. ავადმყოფის როლის თამაში.

თუ ეს სწორია, მაშინ დადასტოვებული უნდა ჩაითვალოს ინტელექტუალური დებილის ცნობიერების სტილიზებად!..

ეს სოცადად, კონკრეტულად კი გრ. ცეცხლადის ლექსი მოგვიწოდებს ფორმის, ფიქრისა და აზროვნების თავისუფლებისაკენ – სენსაციური სახეებით, უსხეულო რაკურსებით. დარღვეული პროპორციებით:

*„კეთილ ინებეთ და გაიცანით ამ ლექსის საგანი
თქვენ, რომელთაც გსურთ განიხილოთ ყოველი სიგრძე განიდან.
მე არასოდეს არ ვიტყვი – თავი თავთან.
მე ვამბობ – *tele a tele*
ეს არაა გადაგვარების მიზეზი.
მე დამწვარი ვარ, მაშინ გურიელივით, საქართველოს მზეზე.
მე მოვეარს, როგორც ძმა, პირდაუბანელი ქართლელი ტეტი.
ჩვენ შეიღებოთ ვართ ერთი იაფეტის
ის – მებრე მე – პოეტი.
მან მიიღო ქალაქიდან გაუმჯობესებული სახნისი და საკეთი,
მე ვთვლი „თანამედროვე დასაქმებულიდან“ ვან კოქტო.
პოეზიას ფრანგები როგორც შთამომავლობით ქლექს ვეღარ უძლებენ,
ქართველებს კიდევ მაგარი გვაქვს ფილტვები და ძელები.
ვაა-ფაველა ირმა ხარივით ბლაოდა მთებში.
ჩვენი პოეტები ეხლაც ბულრაობენ.
მე პირველმა დაეიყვებ, რადგან კეიმატი დღეების ხაშში ვიხარებდი.
და თუმცა ორბელიანის ლექსიკონი ხელიდან არ გამოგდია,
ჩემი ლექსები დაიშალა, როგორც დიხაშხო“.*

კონსტანტინე გამსახურდიას ლექსს „ქრისტე პარიზში 1999 წელს“ (№ 3-4) აქვს მინაწერი – „კოსმიური პოემებიდან“. იგი აპოკალიპსურ თემაზეა შექმნილი. წარმოსახულია განკითხვის დღე, როცა მიცვალებულნი ბელები მკვდრებით აღდგებიან. პოსაუენები ახმაურდებიან, წამოყვარულის წამლეკი გრიგალი და დასაუღლური ცივილიზაცია დაინგრევა. ამ ნაზგრეულებს ერთი ვინმე დაეარდება ქადაგად, განახლდება ადამის მთავარი და ცოდვებისაგან განწმენდილ ქვეყანას „ქრისტე უბოძებს მისტორ შანს“.

აქ ორი მოტივია საყურადღებო – ერთი კამიტადისტური სამყაროს სგრევა და მეორე – ნიკემესებური სრულყოფილი რახისაკენ სწრაფის პარილი. როგორც ვიცით, მწერალი თუ კრიტიკულად განწყობი-

ლი ბურჟუაზიული სასოგადოებისადმი. იგი განასხეავენდა ბურჟუაზიულ სასოგადოებას და ბურჟუაზიულ კულტურას. მართალია, კულტურა ისახება სასოგადოების წიაღში, მაგრამ მეტწილად არის არა აპოლოგიური, არამედ, ერთი მხრივ – მიმხილველელი და უარყოფელი, მეორე მხრივ – ახლის დამამკვიდრებელი, პერსპექტივის მაძიებელი. ის „ერთი ვინმე“ იქნება ზეკაცია, განახლებული ადამის მოდგმის, ცოდვებისაგან განწმენდილი ხალხის ლიდერი ანუ იგივე მკედრეთით აღმდგარი ქრისტე. მეორედ ქრისტე ხომ მახვილით უნდა მოვიდეს და არა ზეთისხილის შტოთი.

აპოკალიპსური მითი, რომელიც მწერალს მუდამ აინტერესებდა და შემდეგ ასე ოსტატურად გაიაზრა, სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისაკენ სწრაფვის მაუწყებელია. იგი ბუდნიერებას გეპირდება კატასტროფის შემდეგ, სიკეთეს – ბოროტების შემდეგ, როცა სწეული სამყარო განიკურნება, ცუცხლით მოინათლება.

„კაეკასიონსა“ და „ახალ კაეკასიონში“ კიდევ მრავალი ლექსი დაიბეჭდა, ზოგი სიმბოლისტური, ზოგი ტრადიციული. ისინი სეუდასაც გვაზიარებენ ღვ. სიხარულსაც, მაგრამ მკითხველის მეხსიერებაში ეს ლექსები და ეს პოეტები დარჩნენ.

„პოეზიის დღე“

„პოეზიის დღის“ გამოცემის იდეა ეკუთვნოდა პაოლო იაშვილს. ამ სახელწოდებით 20-იან წლებში თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში რამდენიმე გაზეთი გამოიცა.

ცხადია, ექვლა მათგანი მოდერნისტებს არ ეკუთვნოდათ.

პირველი ნომერი გამოვიდა თბილისში 1920 წლის 7 მაისს, სადაც „ცისფერყანწელებს“ მცირე ადგილი უკავიათ. უფრო ჩანდნენ ძველი თაობის ტრადიციონალისტი მწერლები. შემდეგ კი შეიცვალა პროპორცია და ძალთა თანაფარდობა.

„მნათობი“

„მნათობი“ საბჭოთა ხელისუფლებამ დააარსა 1924 წელს.

მისი პირველი რედაქტორი იყო ლეკვან ქართველიშვილი – ცნობილი ბოლშევიკი.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული პარტიის ლიტერატურული პოლიტიკა. ამიტომ უურჩაღი ბუჭდავდა როგორც მოდერნისტებს (მაგ., დ. შენგულაია, გალაკტიონი), ისე ავანგარდისტებს (მაგ., ს. ჩაქოვანი, პ. ნოსაძე და სხვ.).

იგი იყო „შვიდი მნათობის“ გაგრძელება.

შვიდი მნათობი ის შვიდი ვარსკვლავია, რომელიც გამოსახული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე და ეურნალის ყოველ გვერდზე მკორდებოდა.

ცხადია, ბილშევიკებმა „შვიდი“ გააქრეს და „მნათობი“ დატოვეს. მოღერნისტები იბეჭდებოდნენ პარტიულ გასკეთებშიც – „საქართველოში“, „ერთობაში“, „სახალხო საქმეში“, აღმანახ „დარიალში“, ეურნალ „ქართულ მწერლობაში“, ეურნალ „ცისარტყელაში“...

ოციან წლებში მათ შეძლეს ქართულ პრესაში გაბატონება და თავიანთ თვალსაზრისს, გემოვნებას და პრინციპებს დაუმორჩილეს მთელი ლიტერატურა.

კონფლიქტი მოღერნისტების ბანაკში

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ითქვა, 1921 წლამდე მოღერნიზმის მთავარი იდეოლოგი იყო, ამიტომ ტრადიციონალისტების ისრები პირველად მის ფარს ხედებოდა. იგი არ ყოფილა მძაფრი პოლემისტი, არ ჰგავდა ვალერი ბრუსილეს, რომელსაც, როგორც წერდა ტიციან ტაბიძე, აქონდა ხარის ქედი, მაგრამ არც ხარის რქები აკლდა.

გრიგოლ რობაქიძეს ხშირად აკრიტიკებდნენ, სოგჯერ – სამართლიანადაც.

1917 წლის ოქტომბერში, როცა ქართველ მწერალთა კონფერენცია გაიმართა, მან რუსოფილური პოზიციის გამო კრიტიკა დაიმსახურა.

კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ დაასახელეს რამდენიმე მხცოვანი მწერალი, მათ შორის – კონსტანტინ ბალმონტი. კონსტანტინე გამსახურდია აღმფოთდა, რუსი მწერლის არნევა უხერხულიაო. მას დაეთანხმა იოსებ გრიშაშვილი.

მაგრამ რობაქიძემ თავისი პოზიცია ასე გაამართლა – საქართველო დღესდღეობით რუსეთის დაპყრობილი პროვინციააო, ბალმონტი უნდა დაეაფასოთო.

ცხადია, პაოლომ და ტიციანმა ეს ასრი მოიწონეს.

მეორე სხდომაზე კონსტანტინემ წინადადება შემოიტანა, მანიფესტით მიემართათ მსოფლიოსათვის, რომ რუსეთის დროებით მთავრობას პირზე აკურთა ერთა თეითგამორკვევის პრინციპი, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

რამდენიმე მწერალთან ერთად პაოლო წინააღმდეგეი წავიდა.

10 ოქტომბერს კონსტანტინემ განაცხადა, რომ დეკემბა არ გაეგზავნათ ირაკლი წერეთლისათვის – იგი რუსეთის მოღვაწეა და საქართველო არ აინტერესებსო.

მაგრამ გრიგოლმა ესეც არასწორად ჩათვალა და სხვებთან ერთად მიესალმა რევოლუციის ტრიბუნს.

13 ოქტომბერს კიდევ უფრო მწვავედ შეეჯახა კონსტანტინე „ცისფერყან-ნელებს“. მათი ქცევით აღშფოთებულმა გრიშაშვილმა სკამი მოისროლა... მაყაშვილი დარბაზიდან გავიდა. კონსტანტინემ სხლმამა დატოვა.

ამის შემდეგ კონსტანტინეს „ლოტრატურული მარბაროსი“ უწოდა გრიგოლმა და გააკრიტიკა „პრომეთეში“ დაბეჭდილი მისი სონეტები.

კონსტანტინე დაიცვა კოკი აბაშიძემ, რომელიც მოგვიანებით ბოლშევიკურ რეპრესიებს შეეწირა.

გრიგოლ რობაქიძეს ადრეც ხშირად აკრიტიკებდნენ – არჩილ ჯორჯაძე და დიმიტრი უზნაძე – ნიკოლოზ ბარათაშვილის გამო (1909 წლის გაზეთ „დროებაში“), დავით კასრაძე ფრ. ნიცმეზე ლექციის გამო (1914 წ. „სახალხო გაზეთი“), ნიკ. ჯორჯიკია – რუსთაველის გამო (1913 წ. გაზ. „იმერეთი“). მათ პოლემიკაში ჩაერია იუსტინე აბულაძეც. მაგრამ არც მაქებრები აკლდა, მაგ., აკაკი წერეთელი და დავით კლდიაშვილი.

აკაკი წერეთელი გრიგოლ რობაქიძეს გაზაფხულის მახარობელ პირველ მერცხალს უწოდებდა.

ადრე იოსებ გრიშაშვილს ქებით იხსენებდა გრიგოლ რობაქიძე (1913 წელს „სახალხო გაზეთში“), ხოლო 1916 წელს საქართველოს პირველ პოეტად მიიჩნევდა. ამიტომ ბეჭდავდნენ მას „ცისფერ ყანებსა“ და „ლიგეიაში“. მაგრამ მალე გრიგოლმა შენიშნა, რომ გრიშაშვილს სიმბოლიზმის გაელენა დაეტყო და „ცისფერყანნელთა“ რკალში მოექცა.

ცხადია, გრიშაშვილს, რომელსაც ვრცელი აუდიტორია უსმენდა, ეს არ მოეწონა. მათ შორის უთანხმოება მომხდარა ქუთაისში გამართულ ერთ-ერთ საღამოზე, ხოლო მწერალთა კოფერენციაზე კიდევ უფრო გამწვავდა ეს ურთიერთობა.

1918 წელს გრიგოლ რობაქიძემ გააკრიტიკა იოსებ გრიშაშვილი სონეტის გამო. იგი ამტკიცებდა, რომ ნამდვილი სონეტი „ცისფერყანნელბმა“ დანერეს და დაამკვიდრეს, ხოლო მანამდე იწერებოდა ცრუ სონეტები. კრიტიკულად შეეხო გრიშაშვილის მონოგრაფიასაც საათნოვაზე.

არც ტიცინამა დააყოვნა, დაინუნა ეს ნიგნი და გრიშაშვილის ლექსებსაც გადასწავდა. გრიშაშვილმა იუკადრისა და საქამოდ უხეში პასუხი გასცა. პოლემიკა გაგრძელდა.

გრიგოლ რობაქიძე ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთ „საქართველოდან“ გამოდიოდა. იოსებ გრიშაშვილი სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთ „სახალხო საქმეში“ ბეჭდავდა.

როგორც ჩანს, მიუხედავად პოლემიკისა, 1918 წელს ისინი ჯერ კიდევ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან (გრიშაშვილი - „ლიგუაში“. რობაქიძე - „ლეილაში“).

მაგრამ 1920 წელს ახალი ძალით განაღდა პოლემიკა.

გრიშაშვილი მარუთა შუამდინარელის ფსევდონიმს ამოეფარა.

პოლემიკაში ჩაერთო სიკო ფაშალიშვილიც.

მათ ნიშანში ამოიღეს აღმანახი „შეილდოსანი“, რობაქიძის მიერ თარგმნილი უაილდის „სალომეა“.

საკმარისია გრიშაშვილის წერილების სათაურთა დასახელება, რათა ცხადი გახდეს გესლიანი ტონი - „ენას აღვირი“, „ნაწამები „სალომე“, „სალომე - რობაქიძის გარშემო“.

იგი ტიციან ტაბიძეს „პოეზიის პარაღონს“ უწოდებდა, ვალერიან გაფრინდაშვილს - „გაკეთებული ნიჭის კატრონს“, გრიგოლ რობაქიძეს - ქართული ლექსის მწამებელს.

მაგრამ არც ყანწელები რჩებოდნენ ვალში.

ტიციანი გრიშაშვილს სარკასტული სიტყვებით ამკობდა. არც ადრე მოსწონდა მისი ლექსები. ჯერ კიდევ გიმნაზიელი იყო, როცა გალაკტიონს სწერდა, მომბეზორდა გრიშაშვილის უკუდო სონეტებით, თუმცა მის გავლენას ვერ ასცდა და ლექსიც მიუძღვნა.

ვალერიანი „რითმის აუზაკს“ ეძახდა „შეშლილი ოთახის“ ავტორს და ახნაზაროვის გეურდით აყენებდა.

გრიგოლი დასცინოდა მარუთა შუამდინარელს, თითქოს არ იცოდა, ვინ იდგა ამ ფსევდონიმის უკან, აბიაბრუებდა გრიშაშვილის ქართულს, მარუთა ან გრიშაშვილის მოწაფეა, ან მისი ორეულიო.

გრიგოლმა არც ფაშალიშვილი დაინდო:

ესთეტიკის საქმე ისე წახდა, რომ გრიშაშვილებზე გვიხდება საუბარი, მაგრამ არც ისე წამხდარა, ფაშალიშვილებზე ვიდაოთო!

გრიგოლმა გაამართლა თავისი თარგმანი, რომ სიტყვას სძენს ღირიზმს ბიბლიის პათეტიკა, ძველქართული ინტონაცია.

მან პრინციპულად უარყო პროეინციალიზმი. მაგრამ საჭიროდ მიიჩნია კუთხური სიტყვების ათვისება, მათ შორის - მეგრულისა.

გრიგოლს ხმა შეაწიეს გიორგი ლეონიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა. გრიშაშვილს ბრალად დასდეს სახეებისა და რითმების მითვისება. ამის გამო შანშიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიუყენებია პოეტისათვის.

მაშინ დიდ პატივში იყო ფსევდონიმი და პოლემისტებიც უცხო სახელს ეფარებოდნენ. ასე იქცეოდნენ მაშინაც, როცა უბრალო, ჩვეულებრივ წერილს წერდნენ. მით უმეტეს - პოლემიკის დროს.

ვალერიან გაფრინდაშვილის ფსევდონიმი იყო ტრისტან მანიაბელი,

გრიგოლ რობაქიძისა - გივი გოლენდი, ტიცვიან ტაბიძისა - ვარამ გაგელი და ბახტიარო, კონსტანტინე გამსახურდიასი - პეტტორი და ზიგფრიდი, გიორგი ლეონიძისა - ბიერიტიანი და დორიან გრეი, ალექსანდრე აბაშელისა - დონალი, პაოლო იაშვილისა - ელენე დარიანი და ასტამურ შერვაშიძე, სანდრო შანშიაშვილისა - გარდანქეშანი, ვახტანგ კოტიტიშვილისა - ვან-დეიკი, იოსებ მამულაიშვილისა - გრიშაშვილი, იოანე მარუშვიძე, მარუთა შუამდინარელი, პავლე ინგოროყვასი - ასმიდოდ ჩერქეზელი, ტერენტი კვირკველიასი - გრანელი.

ტერენტიმ ფსევდონიმად აიღო იტალიელი მომღერალი ქალის გვარი გრანელი, რომელიც თბილისში მართავდა გასტროლებს.

ზოგმა ფსევდონიმმა საერთოდ შეცვალა ავტორის გვარი (აბაშელი, გრიშაშვილი, ქიაჩელი, გრანელი, კარმელი, აგარელი).

მაგრამ ყველა ფსევდონიმი როდი იყო პეროიკული და ეგზოტიკური. მაგ., იოსებ გრიშაშვილს ჰქონდა არაერთი უცნაური ფსევდონიმი (შარელის პუგვიცა, გრილი, ბაირონის ნაგლეჯი, მშვიერი მამა, ტიმოთეს ლელვი, ხვლიკი, ნენგოს მურაბა...).

ასე რომ, მწერალი ნილაბს ირგებდა და ამ მასკარადში მონაწილეობდა, როგორც დომინო.

„ცისფერყანნელებს“ კონფლიქტი ჰქონდათ გალაკტიონთან, ისევე როგორც გრიშაშვილთან და გამსახურდიასთან.

ისინი, ტიცვიანის რჩევით, თავდაპირველად თავიანთ თანამოაზრედ იგულვებდნენ გალაკტიონს. მაგრამ გალაკტიონს ნეროზული ბუნების გამო, რომელიც ჩამოუყალიბდა ჯერ კიდევ სემინარიამში, უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა, არ შეეძლო ყოფილიყო პაოლოსა და ტიცვიანის დარად გულდია, ბოჰემის მონაწილე, თამადა თუ მეგობრებს გადაყოლილი.

იგი ადრევე დაეუბრა პაოლოს, ტიცვიანს, კოლაუს, ვალერიანს და ისინი მთელი სიცოცხლე ერთმანეთისთვის უცხონი დარჩნენ.

გალაკტიონი ჩამოსცილდა გრიშაშვილსაც, რომელსაც ლექსებს უძღვნიდა და პატივს სცემდა.

1921 წელს გრიგოლ რობაქიძისა და სხვა „ცისფერყანნელთა“ წინააღმდეგ გაილაშქრა კონსტანტინე გამსახურდიამ.

მიზეზი იყო მათი ეროვნული უპრინციპობა, მისალმება ბოლშევიკებისადმი, ესთეტიკური დეკადენტობა, „ნითელ რუსეთთან დამშობილება“, ეპიგონობა.

კონსტანტინე გამსახურდია პოლემიკურ ნერილებს ბეჭდავდა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ ფურცლებზე („ათქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო“, „S accuse“).

იგი აღიარებდა, რომ გრიგოლ რობაქიძემ პირველმა აიღო განახ-

ლების კურსი, ჩამოიტანა ახალი იდეები და სიტყვები, მაგრამ ვერ შეძლო მათი გაქართულება.

„რობაქიძეები ხელოვნებისთვის კი არ ცხოვრობენ, არამედ – ხელოვნებით“, – მკაცრად შენიშნავედა ახალგაზრდა მწერალი.

ბრალს სდებდა „ცისფერყანწელებს“, რუსული თარგმანებით ეცნობიან ფრანგულ სიმბოლიზმსო. არადა ენის ცოდნის გარეშე მათი აღქმა და გაგება შეუძლებელიაო. ამასთან ერთად საერთოდ უარყო, როგორც განვლილი საფეხური, სიმბოლიზმი, მისი „ქლექიანი ბოქება“, „სიფილისი, დეკენტრაცია და პიპოზონდრია“.

კონსტანტინე გამსახურდიას უპასუხეს გრ. რობაქიძემ და ტ. ტაბიძემ. ტიცინამა პომუნკულუსისა და სმერდიაკოვის სახელით მონათლა თანაგომნაზიელი, ვისაც ადრე იმედის თვალით შეჰყურებდა.

არც კონსტანტინე ჩამორჩა და რობაქიძის თუთიყუში და პოეზიის გლახაკი შეარქვა „ქალდეას ბალაგანის“ ავტორს.

პოლემიკაში ჩაერივნენ ვახტანგ კოტეტიშვილი და შალვა აფხაიძე. შალვა აფხაიძე მორიგებას ცდილობდა, ხოლო კოტეტიშვილი კონსტანტინეს უჭერდა მხარს და მის პოზიციას იცავდა.

ამ პოლემიკას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

კონსტანტინე დაუპირისპირდა იმ კაცს, ვისაც გემოვნებისა და ესთეტიზმის კანონმდებლად თვლიდნენ. ამის გარეშე ძნელი იყო საკუთარი სახის წარმოჩენა. მაგრამ მხოლოდ ამბოხი არ კმაროდა.

კონსტანტინემ დაიწყო ექსპრესიონიზმის ქადაგება, შპენგლერის, დანტეს, გეორგეს, გოეთესა და ნიცშეს პროპაგანდა, რაც ახალი ნაკადი იყო ქართული მოდერნიზმის იდეოლოგიაში, როგორც სიმბოლიზმის თეორიული გადალახვა.

მაღე ეს პოზიცია მიიღო გრიგოლ რობაქიძემ, ცხადია, კონსტანტინეს ესსეების გარეშე. მაგრამ კონსტანტინეს ორიენტირი სწორი იყო, თანაც უფრო მრავალმხრივი მასალის მომცველი.

პოლემიკა გაგრძელდა 1922 წელსაც „ილიონის“, ჟურნალ „ლომისისა“ და „ბახტრიონის“ ფურცლებზე.

გრიგოლ რობაქიძემ 1922 წლის 9 ოქტომბერს წერილით მიმართა კოტე მაყაშვილს – მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, რათა კონსტანტინეს თავი გაენებებინა მისთვის, თანაც შენიშნა, მე მას არ ვეპასუხებ, არ მიმანია ღირსადო.

კონსტანტინე ირონიით შენიშნავედა, დავით კლდიაშვილის შემდეგ ტაბიძეების გვარი სამასხროდ დარჩებოდა, გალაკტიონ ტაბიძე რომ არ გამოჩენილიყო.

ვალერიან გაყრინდაშვილის გარდა მას არცერთი „ცისფერყანწე-

ლი“ პოეტად არ მიანხნდა. მაგრამ არც ტიცინი ცხრებოდა და ახლა ფსიქოპატსა და აშორდიას სახელს არ აცილებდა კონსტანტინეს.

კონსტანტინეს მიემხრო იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც ორი ლექსი მიუძღვნა „დიონისოს ღიმილის“ ავტორს.

ძველი შუღლი განახლდა და ტიცინი ტაბიძემ ისევ დაჰპარგა წონასწორობა. გრიშაშვილს უწოდა „*ბარფუხელი პოტენტოტი*“, „*ბარფუხელი სომეხი იოსება მამულოვი*“.

მიუხედავად ასეთი ღიანჭღისა, გრიშაშვილი რჩებოდა მასის საყვარელ პოეტად და როგორც ნაციონალისტიც, დიდ სიმპათიას იმსახურებდა.

კონსტანტინემ უმართებულო თავდასხმებისაგან დაიცვა იოსებ გრიშაშვილი. რობაქიძის მისამართით გულდაწყვეტით წერდა, ვერ იქნა და ვერ იგრძნო ამ კაცმა ქართული ნიადაგიო.

ექსპრესიონიზმმა და დიონისეს კულტმა როგორც კონსტანტინე, ისე გრიგოლი მიიყვანა დრამასთან და თეატრთან.

ერთმა დაწერა „გარსი მარადი“, მეორემ – „ლონდა“.

„ლონდა“ დადგა კოტე მარჯანიშვილმა და დიდი რეზონანსი აქონდა.

როგორც ჩანს, იგი მოსწონდა კონსტანტინესაც და ამიტომ „ილოონში“ დაბეჭდა მასზე ორი რეცენზია – კოკი აბაშიძისა და ირაკლი ტატიშვილისა.

1921-1923 წლებში, როგორც ითქვა, კონსტანტინემ მოდერნიზმის მთელი კონცეფცია წარმოადგინა. კითხულობდა ლექციებს, წერდა ესსეებს, სცემდა ჟურნალსა და გაზეთს, ეკამათებოდა პროლეტკულტელებს, იცავდა ქართული კულტურის პეგემონიის იდეას.

ამიტომაც ეპაექრებოდნენ „ხომალდის“, „ბახტრიონის“, „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალის“ თუ „H₂SO₄“-ის ფურცლებიდან.

ძველი თანამოაზრენიც უპირისპირდებოდნენ ზოგჯერ (მაგ., ვახტანგ კოტეტიშვილი).

1925 წელს გამოიცა „დიონისოს ღიმილი“, რომელიც საკმაოდ სიბოლისტური აღმოჩნდა.


ეს წიგნი აღიარეს „ცისფერყანწლებმაც“.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ დაიწერა ამ რომანთან გაჯიბრებით, როგორც ნაციონალური პენიმიზმის დაძლევა.

მოდერნისტების ბანაკში დასრულდა კონფლიქტი, როცა გამოჩნდნენ მათი საერთო მტრები – „რაპკელები“, რომლებიც ბოლშევიზმის რუპორები იყვნენ და ტერორით ამკვიდრებდნენ ლიტერატურაში ევლგარულ სოციოლოგიზმს.

სოციალისტური მისის შექმნე ქრებოდნენ შორეული შუქურები.

წიგნების გალერეა



პრესის ტირაჟი ხომ მცირე იყო, არც წიგნებს უყავდა მკითხველი. ჭირდა წიგნის გამოცემა, გასაღება უფრო ძნელდებოდა, მით უმეტეს, თუ ახალგაზრდა ავტორი მოდერნისტი იყო, „წმინდა ხელოვნების“ მსახური, ჭლექისა და სიკვდილის მომღერალი.

ესთეტიზმი სისხლისღვრით, ომებით, შიმშილითა და ნგრევით გატანჯული ხალხის ინტერესებს არ პასუხობდა. თუ 1918 წლის 26 მაისის აღმაფრენა, ან ნიკოლოზ მეორის დამხობის სიხარული შემოქმედის სულს აღაგზნებდა, 25 თებერვლის კატასტროფამ დამბლა დასცა ხალხსაც და მწერალსაც.

მოდერნისტები მაინც ახერხებდნენ მდინარების საპირისპირო სელას, უკეთეს დროთა მოლოდინში. მაგრამ უკეთესი კი არა, უფრო ბნელი და სისხლიანი უამი დგებოდა.

თეორიული აზროვნებისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე იყო გრიგოლ რობაქიძის „Портреты“ (1919), გერონტი ქიქოძის „ეროვნული ენერგია“ (1919), კონსტანტინე გამსახურდიას „ახალი ევროპა“ (1928), რომელიც ადრე პრესაში იბეჭდებოდა.

1914 და 1922 წლებში გამოიცა იოსებ გრიშაშვილის ლირიკის I და II ტომი, 1914, 1919 და 1927 წლებში – გალაკტიონის სამი უმთავრესი წიგნი.

1913 და 1923 წლებით თარიღდება ალექსანდრე აბაშელის „მზის სიცილი“ და „ანთებული ხეივანი“.

1919 წელს გამოდის ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, 1920 წელს – კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, 1922 წელს – ტერენტი გრანელის „საფლავები სულიდან“, 1919 წელს – ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია, 1921 წელს – შალვა კარმელის „ბაბილონი“.

20-იან წლებში იბეჭდება დემნა შენგელაიას „სანაეარდო“ (1924) და „ტფილისი“ (1927). კონსტანტინე გამსახურ-

მონსტრუოზი მამაკაცი

სტრუოზის ღმეილი

რომანი

სულსმინა გარსანა

დიას „ქვეყანა, რომელსაც ეხედავ“ (1924) და „დიონისოს ღიმილი“ (1925), გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ (1926) და „ლაშარა“. ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვეა“ (1925).

დაუბეჭდავი არ დარჩენილა მოდერნისტების არცერთი მნიშვნელოვანი ლექსი, ესეც, მოთხრობა თუ რომანი. წიგნის ბაზარზეც მოდერნისტები იძლეოდნენ ტონს.

სხვა საკითხია, რომ ავტორებმა ვერ გამოაქვეყნეს თავიანთი ყველა თხზულება, და რომ ტირაჟი მცირე იყო.

პაოლო იაშვილი ისე დაიღუპა, წიგნი არ ჰქონდა გამოცემული.

გიორგი ლუონიძის პირველი წიგნი მხოლოდ 1939 წელს გამოვიდა.

კერძო გამოცემების შესაზღვრებასა და შეწყვეტასთან ერთად დასრულდა ქართული მოდერნიზმი.

მოდერნისტები პარნასს სტოვებდნენ, ან რეალისტურ სტილს ირგებდნენ და ბოლშევიზმის აპოლოგეტები ხდებოდნენ.

7. კატასტროფის უმღებ

ჯგუფები და მწერლობა

დროდადრო ტალღებით წამოიწევა ცალკეული ჯგუფები, სკოლები, მიმდინარეობები, რომელთაც მოაქვთ ახალი ესთეტიკური კრედიო, პოლიტიკური იდეალი, სტილი, როგორც დროშა და ემბლემა.

ჯგუფი განკერძოების გამომხატველია, უპირისპირდება გაბატონებულ მრწამსს, დამკვიდრებულ გემოვნებას. ამდენად – ესთეტიკურად აპოზიციურია, ახლის მქადაგებელი. მას აყალიბებენ ლიტერატურაში შემოსული ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც იბრძვიან საარსებო სივრცისათვის, ადგილისათვის მზისქვეშ.

ამ მიზნით აარსებდნენ „ცისფერყანწელები“ ჟურნალ-გაზეთებს, გამომცემლობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ დიდ ტალანტს არ სჭირდება გაერთიანებანი, მაქებართა წრე, რადგან თავად არის სკოლა და მთელი მიმართულება (მღრ. – „ცისფერი ყანწები“ და გალაკტიონ ტაბიძე).

მაგრამ დეკლარაციები, ხმაური, აჟიოტაჟი სჭირდება საშუალო ტალანტს, რათა მასების მეხსიერებაში აღიბეჭდოს მისი სახელი.

ენებათა ჭიდილი ლიტერატურის სიცოცხლეს ნიშნავს, რაც ანკარებს ძველის რღვევასა და ახლის განიყნას.

ჯგუფების მოუღენას ახლავს ნერვიული ატმოსფერო. მაგრამ ესეც ლიტერატურული დრეიფის თანამდევია. მწერლის ცხოვრება მშვიდი

ვერ იქნება. იგი ციებ-ცხელებითაა აღბეჭდილი, რომლისაგან განმეხტება ახალი ნაწარმოები. შუამავალი შემქმნელსა და ამთვისებელს შორის.

მაგრამ მთელი თაობის ტრაგედია იყო ის, რომ ლიტერატურა პოლიტიკის ნაწილი აღმოჩნდა.

პოლიტიკას კი საქართველო ხან აღსევნების, ხანაც – კატასტროფების გზებით მიჰყავდა, რადგან არ გვეყუდებოდა ჩვენ ჩვენი თავი და მსოფლიო ქარბორბალა გვატრიალებდა.

ოციანი წლების ხელოვნებაში ჯერ მაინც ხერხდებოდა პოზიციის გამოვლენა, ვიდრე განმტკიცდებოდა ბოლშევიზმი.

ქართულ მწერლობაშიც გაჩნდა რამდენიმე ჯგუფი, რომელთა შორის ცენტრისტული, მაგრამ ლიტერატურულად ყველაზე მერყევი და ნარევი იყო „აკადემიური ასოციაცია“.

არსებითად ეს იყო იმათი კავშირი, რომლებიც ჯგუფების მიღმა დარჩნენ. მასში გაერთიანდა ძველი, ტრადიციული მწერლობის ნაწილი, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში ჩამოაყალიბა მწერალთა კავშირი, „ხომალდის“ ჯგუფი (აღ. აბაშელის მეთაურობით) და „ილიონის“ ჯგუფი (კ. გამსახურდიას მეთაურობით).

განსხვავებით „ცისფერყანწელებისაგან“, მათ აკავშირებდათ პოლიტიკური – ანტისაბჭოური მრწამსი.

„ცისფერყანწელები“ მონაწილეობდნენ მწერალთა კავშირის დაარსებაში, მაგრამ 1921 წლის ოქტომბერში გავიდნენ ამ ორგანიზაციიდან და ჩამოაყალიბეს „ახალი მწერლობის კავშირი“, ჩვენ გვაინტერესებს ეს თეტიკა და არა პოლიტიკაო.

„ახალი მწერლობის კავშირმა“ იარსება ორ წელიწადს, 1923 წლის ოქტომბრამდე (მას თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე).

„აკადემიური ასოციაციის“ წევრები იყვნენ სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები, მოდერნისტები და რეალისტები. მაგრამ აერთიანებდათ ერთი აზრი, რომლის საფუძველი იყო დამოუკიდებელი საქართველო. ზოგი მათგანი ადრე მენშევიკებს ებრძოდა (მაგ., კ. გამსახურდია), რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი იყო ეროვნული პრობლემა და არა სოციალური სისტემა.

„აკადემიურ ასოციაციას“ უნდოდა ლიტერატურაში შეექმნა საერთო ნაციონალური ფრონტი. ამიტომ პრესის ფურცლებს უთმობდა სხვა ჯგუფის წევრებსაც (მაგ., გრ. რობაქიძეს, პ. იაშვილს).

„აკადემიური ასოციაციის“ სახეცვლა იყო „არიფიონი“, მაგრამ მას აღარ ქჷონდა საკუთარი პრესა (გამონაკლისი აღმოჩნდა კრებული „არიფიონი“, რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა).

„აკადემიური ასოციაცია“ დაშლილად გამოაცხადა ალექსანდრე

აბაშელმა მწერალთა ფედერაციის პლენუმზე 1930 წლის 15 დეკემბერს, ხოლო „ცისფერყანწელებმა“ ფორმალურად გაძლეს 1932 წლამდე ხელისუფლებამ ერთადერთ მეთოდად გამოაცხადა სოციალისტური რეალიზმი.

იქმნებოდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირი, რომელმაც მოახდინა ლიტერატურის ცენტრალიზება.

1922 წლის გაზაფხულზე ყალიბდება ბოლშევიზმის აპოლოგეტი ავანგარდისტების ჯგუფი „H₂SO₄“, რომელიც აერთიანებდა ფუტურისმის, დადაიზმისა და კონსტრუქტივიზმის იდეებს.

იგი პირველ რიგში მოდერნისტებს დაუპირისპირდა.

„H₂SO₄“-ელებიც ქუთაისიდან მოდიოდნენ (მაგ., სიმონ ჩიქოვანმა დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, აკაკი ბელიაშვილმა – ქუთაისის გიმნაზია, ბესო ელენტიც ქუთაისში სწავლობდა).

1921 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, რომელსაც მნიშვნელობა შესძინა „მომავლისა“ და „დინამიტის“ ჯგუფების შემოერთებამ.

ბოლშევიკებმა მას დიქტატისა და ტერორის უფლებანი მიანიჭეს.

პროლეტარულ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობაც დასაფლეთ საქართველოდან ჩამოვიდა თბილისში (მაგ., ალიო მირცხულავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე).

თავისუფლების იდეა

იოსებ გრიშაშვილი წყველიდა ჩრდილოეთს, მას, ვინც ველურ ყანალებს დარიალის კარი გაუღო, გოდებდა თავის უმწეობას, რომ წინაპართა ანდერძი ვერ დააფასა და იარაღის აღება არ შეეძლო:

„მე უნდა მოგვადგ მე ვერ უმბლურ ჩაქუს და ლითონს

მე მინდა მოგვადგ რომ არ მჭრავს ჯაღათის თოფი“.

აღუქსანდრე აბაშელს გულს უკლავდა თებერვლის ტრაგედია. ხედავდა, რომ რბილქვალიან თაობას ბრძოლის თავი არ ჰქონდა. სიცოცხლეს ერწია, რომ ფრთამოტეხილი ჩიტივით ძირს დაცემულიყო.

კონსტანტინე გამსახურდია სამშობლოს ილიონს (ტროას) ადარებდა, თავის თავს – დაცემულ ქექტორს, ხანაც – ქარონსა და ზიგფრიდს. გლოვის ნიშნად ისიც შავ ჩოხას ატარებდა.

მხოლოდ ცისფერყანწელები შეხედნენ გულგრილად საქაროყელის ხელმეორედ ანექსიას, თავდაპირველად – სიხარულითაც.

მოდერნისტები პოლიტიკას ხელოვნებისთვის 'ხელმეტ ტვირთად თელიდნენ. ამ ანდერძს ასრულებდნენ „ცისფერყანწელები“. მაგრამ

როცა თურქეთი შემოიჭრა, მაისც იარაღს მოკიდეს ხელი და განწირული ხმა აღმოხდათ:

„ან ღაებორუნოთ ჩვენი აჭარა,

ანღა – ბათომთან დაეტოვოთ ძელები“ (პაოლო იაშვილი).

„ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,

ატმის ყვაფილით სისხლიანი სტირის აპრილი“ (ტიციან ტაბიძე).

1921 წელს ისინი მიესალმნენ ბოლშევიკების მოსვლას. ალბათ იმიტომაც, რომ მათი ლიდერები ახლობლები ან თანაგომნაზიელები იყვნენ და მათგან დალატი ვერ წარმოედგინათ.

გრიგოლ რობაქიძის ნაციონალიზმი თავდაპირველად ქვეყნის თავისუფლებას არ უკავშირდებოდა. იგი, როგორც ესთეტი, მსჯელობდა რასის პრობლემასა და ზეკაცზე, ვიდრე აგვისტოს ტერორი არ დაატყდა საქართველოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილის“ აწყობა დაამთავრა 26 მაისს. 26 მაისს დაიწერა „დავით აღმაშენებლის“ უკანასკნელი სტრიქონები. 26 მაისს ერთ-ერთ უდიდეს თარიღს უწოდებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი 26 მაისის სეველისა და ტრაგედიის შემკვიდრენი არიან.

კონსტანტინე გამსახურდიამ ნაციონალიზმი პირველ რიგში ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეაში დაინახა.

გალაკტიონ ტაბიძე სოციალურ რევოლუციას თვლიდა სამშობლოს თავისუფლების გარანტიად. „დროშები ჩქარა“ – ისიც შექხაროდა რომანოვების ტახტის დამხობას.

მოდერნისტულმა ესთეტიზმმა მიიღო თავისუფლების იდეა და სამშობლოს სევდა.

ცდუნება: დადა

წითელი რუსეთიდან გადმოხვეწილი სიმბოლისტები, აკმეისტები და ფუტურისტები თავს აფარებდნენ „მენშევიკურ სამოთხეს“.

რუსი მწერლები თბილისში სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს – „ARC“, „Братство“, „Куранты“, „Орион“, „Феникс“...

აქ მოღვაწეობდნენ – სერგეი გოროდეცკი, ვასილი კამენსკი, ალექსეი კრუჩინინი, ილია და კირილე ზდანევიჩები, კოლაუ ჩერნიავსკი, იგორ ტერენტიევი, გიორგი ხარაზოვი, ყარა დარეიში...

მათ ჩამოაქალიბეს „ფუტურისტების სინდიკატი“, „საუმნიკური კომპანია 41“, „Футурвсеучнице“.

„ცისფერყანწელები“ მონაწილეობდნენ მათ გამოცემებში.

კულტურისა და ლოგიკური აზროვნების უარყოფელი, ნიჰილისტური ფუტურისტულ-დადაისტური პაროლები მოდიოდა როგორც ევროპიდან, ისე რუსეთიდან.

მოდერნისტები ნელ-ნელა აევანგარდიზმისაკენ იხრებოდნენ:

კონსტანტინე გამსახურდია ბეჭდავდა ლექსების ციკლებს „დიდ ქალაქში“ და „XX საუკუნე“; გრიგოლ რობაქიძე აქებდა ვასაკასა და აქლემს, ფანტასმაგორია „მალშტრემში“ გამოიყავდა დადაისტები; ნიკოლო მიწიშვილს პოეზიაში შემოიყავდა თავისი ძაღლი ჩიბისი; რაჭდენ გვეტაძე ვირების მესია გახდა; დემნა შენგელაია სიმბოლისტურ „სანავარდოს“ თხზავდა და თან ფუტურისტული ტაქტილიზმის თეორიას აყალიბებდა; ვალერიან გაფრინდაშვილი ტილებზე წერდა სონეტს; ტიცვიან ტაბიძე ბაყაყის ნიღბით მეტყველებდა, თავის თავს „მსუქან გომბეშოს“ ეძახდა; თარგმნიდა სუპოსა და ელუარის ლექსებს, დადას მანიფესტებს, წერდა დადაისტურ მადრიგალებს და „დადას მანიფესტს“.

აქეთკენ მიჰყავდა იგი ადრე დაღუპული „დაწყველილი პოეტების“ – კორბიერის, ლოტრეამონისა და ლაფორგის ირონიას, სიმბოლისტების ეერლიბრსა და ახალ რეალობას, რომელმაც იმედი გაუცრუა.

ვალერიან გაფრინდაშვილს მთელი ფუტურიზმი სიმახინჯის ესთეტიკის გაშლად მიაჩნდა.

დადაისტური ლექსებით ყურადღებას იქცევდა გრიგოლ ცეცხლაძე. საქართველოშიც აევანგარდიზმი მოდერნიზმის წიაღიდან იშვა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ „H₂SO₄“-ელები, მოდერნისტებმა უარყვეს დადათი გატაცება, ცინიზმი და ნიჰილიზმი და ძველ, ტრაგიკულ წრეში დაბრუნდნენ.

„H₂SO₄“-მა მათ ლიტერატურული ტერორი გამოუცხადა.

იტალიურ-რუსული ფუტურიზმისა და ფრანგულ-რუსული დადას საპირისპირო მოვლენაა ექსპრესიონიზმი.

მძსპრესიონისტული ტალღა

1921 წლიდან ქართულ მოდერნიზმში ჩნდება ახალი ნაკადი – ექსპრესიონიზმი. მისი იდეოლოგები იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე, თუმცა პიროვნულად ერთმანეთს ვერ იტანდნენ.

კითხულობდნენ ლექციებს. წერდნენ ესსეებს და ასე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამკვიდრებდნენ ექსპრესიონისტულ სტილსა და მსოფლგანცდას.

ისინი სერსო¹სულად არც აღიქვამდნენ მარინეტის, ცპარას თუ კრუ-
ჩიონიხის ავანგარდისტულ ექსპერიმენტებს.

კონსტანტინე გამსახურდია ურბანისტულ ლექსებს წერდა, ეძებდა
ახალ სიტყვას, ადრევე ებრძოდა სიმბოლიზმს და ამიტომ მისაღები
აღმოჩნდა ლოზუნგი — *„ძირს ძველი მიზნები, ძირს ძველი საშუალებები“*.

მას ექსპრესიონიზმი წარმოედგინა როგორც ახალი რელიგია. მაგ-
რამ საწყისებს შორეულ წარსულში ხედავდა — ძველჩინურ პოეზია-
ში. უპანიშადებში, ეგვიპტურ ხელოვნებაში, ანტიკურ სამყაროში, რე-
ნესანსსა და როკოკოში, ე. ი. ხაზს უსვამდა მის უნივერსალიზმს.

ექსპრესიონიზმი იყო ღირებულებათა გადაფასების მოძღვრება, ახა-
ლი სულობის დადგენა, გამოხატვის ხელოვნება, არა აღწერისა.

ექსპრესიონისტული კონცეფცია მწერალმა გადმოსცა ესსეებში —
„ახალი რელიგია“, „სტეფან გეორგე“, „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესი-
ონიზმი“, „ახალი ევროპა. ლიტერატურული პარიზი“, „თეატრი და
ექსპრესიონიზმი“.

არაერთ გერმანელ ექსპრესიონისტს გაელილი ჰქონდა იმპრესიო-
ნიზმისა და სიმბოლიზმის სკოლები. ზოგი ნატურალიზმიდანაც კი
მოდიოდა.

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ასახავს მწერლის აზროვნების ცვა-
ლებადობას, სიახლეთა ათვისების პროცესს.

ექსპრესიონისტულია კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ
რობაქიძის ცალკეული ლექსები, გრიგოლ რობაქიძის დრამები — „ლონ-
და“, „კარდუ“, „ლამარა“, რომანი „გველის პერანგი“, კონსტანტინე
გამსახურდიას მისტერია „გარსი მარადი“, ნოველები — „ფოტოგრა-
ფი“, „ზარები გრიგალში“, „ტაბუ“, ხოლო „დიონისოს ღიმილი“ იერ-
თებს სიმბოლისტურ და იმპრესიონისტულ ნაკადებსაც.

კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ექსპრესიონიზმი სასოწარ-
კვეთილი თაობის კივილია. იგი სინამდვილის ვიზიონერული ჩვენე-
ბაა, რომელიც არღვევს ეგოიზმის სფეროსა და ნაციონალურ გარსს.
ექსპრესიონისტი უნდა ყოფილიყო აქტივისტი, მისტიკოსი და ესთეტი.

ექსპრესიონისტული ლირიკა აინტერესებდა სიმბოლისტ ვალერიან
გაფრინდაშვილს, რომელსაც იგი მიანდა *„უკანასკნელ აღსარებად“*.

გადავხედოთ გრიგოლ რობაქიძის ესსეს „ექსპრესიონიზმი“. ავტო-
რი ეძებს ნატურალიზმის, იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის გან-
მასხვავებელ საწყისებს. პირველი ქმნის საგნის აღიქვატურ ხატს.
მეორე გვიჩვენებს სუბიექტურ აღქმას, შთაბეჭდილებებს, მესამე —
როგორ გარდაიქმნა საგანი სულში, როგორ მიეცა ახალი აზრი და
სინამდვილე.

მწერალი გვეუბნება, რომ ექსპრესიონიზმი ჯერ ებრძვის ნატურა-

ლიზმს და მოკავშირედ იგულებს იმპრესიონიზმს. შემდეგ კი შთაბეჭდილებათა ხატეას, საგნის სუბაპირუელ ასახვასაც ომს უცხადებს. რადგან არ სწამს „ახლო მხედველი ხელოვნება“.

ავტორის აზრით, იმპრესიონიზმის უარყოფა დაიწყო მისსავე საზოგადოებაში – საფრანგეთში. მაგრამ იგი მთელს მოძრაობად იქცა გერმანიაში, გერმანულ ხელოვნებაში, როგორც ატავისტური სულის გამოვლენა, სიღრმისეული შრეების წვდომით აღგზნებული. ამის საწევრებლად მწერალი იმოწმებს გერმანულ ავტორებს და ახასიათებს ატავისტურ სულს. იმპრესიონიზმის ნიშან-თვისებათაგან, რომელთაც ჩვენ ვეცნობით, მეტი წილი პოეტური გამოთქმაა, მაგრამ ობიექტური ცნებებიც საკმაოდ გვხვდება. ესენია – ექსტაზი, კონსიური გრძობა, ანტიფსიქოლოგიზმი, ახალი რიტმის, სინტაქსისა და ლექსიკის ძიება.

მწერლის დაკვირვებით, ექსპრესიონიზმი უპირისპირდება როგორც გოეტეს, ისე ფრიდრიხ ნიცშეს, მაგრამ მისაღებად მიიჩნევს ნიცშეს სტილს და მოძღვრებას ექსტაზსე.

აღნიშნულია, რომ „გერმანია, ომში დამარცხებული, დამარცხებულად თავს არ გრძობს“. ეს არის ტრაგიკული და პერსიკული შეჯახება ბედთან, დიდი ექსტაზის სათავე და უკანასკნელ ძალთა მოკრება. ეს არის „ექსპრესიონიზმის ხერხემლის“ მიმცემი. ამიტომაც, რომ იგი მხოლოდ გერმანიაში დამკვიდრდა.

ისიცაა შენიშნული, რომ ექსპრესიონიზმს ყველა ჟანრში არ პქონია თანაბარი მიღწევა. ლირიკაში იგი სიმბოლიზმს ვერ გაუტოლდა. მაგრამ გაიმარჯვა დრამებით.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ „ლონდას“ ავტორის შემოქმედება: იგი ყოველთვის ზეიადია, არამიწიერი, პათეტიკური, მომწოდებელი, რკინასაყით მკეუთრი სიტყვებით მოლაპარაკე. კონსტანტინე გამსახურდიაც პათეტიკოსია, ქადაგი და სტილის ვირტუოზი. მაგრამ აქვს მეტი ადამიანური სითბო და სინაზე, სტრიქონებს ახლავს არა ზეცის სიციყე, არამედ – მიწის სურნელი და სიმწვანე. მართალია, ისიც გერმანულ კულტურაზე აღიზარდა და მისი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ თავისი პრაქტიკით იძლეოდა გერმანულ („ვაჟურ“) და ფრანგულ („ქალურ“) კულტურათა სინთეზს (ცხადია, ქართულ ნაციონალურ საწყისებზე დაყრდნობით). ქართული ყოფის, მსოფლგანცდის, სულის ევროპული თვალთახედვით გაშუქება – ეს იყო კ. გამსახურდიას და, საერთოდ, ყველა ჩვენი მოდერნისტის მიზანი.

ისმის კითხვა: რატომ გაერცვლდა ექსპრესიონიზმი საქართველოში?

ეს საკითხი არც კ. გამსახურდიას, არც ვრ. რობაქიძეს არ განუხილავთ, მაგრამ მათი ნაწყერები გვაგრძნობინებენ, რომ ისინი ხედავენ

ანალოგიას დამარცხებულ გერმანიასა და საქართველოს შორის: ომში წაგებულმა გერმანიამ ხომ გააღვივა, განავითარა ახალი, აქტივისტური მიმართულება ხელოვნებაში. საქართველოც ანალოგიურად უნდა მოიქცეს. მას სჭირდება ჯანსაღი, ძლიერი, პერსონიკული ლიტერატურა და პიროვნებანი.

ექსპრესიონიზმი შეესაბამებოდა ამ მწერალთა როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ განწყობილებას.

უნდა ითქვას, რომ ექსპრესიონიზმს არ ჰქონდა ისეთი გამოკვეთილი სახე, როგორც იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს.

ზოგჯერ დეკლარაციები, თეორიული განსჯანი უფრო აძლევენ მიმართულებას გამორჩეულ, ინდივიდუალურ პროფილს, ვიდრე შემოქმედებითი პრაქტიკა.

დრამა და თეატრი

გერმანულ ექსპრესიონიზმს ჰყავდა დიდი ლირიკოსები (მაგ., გეორგ თრაქლი), მაგრამ დრამაშიც საგრძნობ წარმატებას მიაღწია (ვალტერ ჰაზენკლევერი, გეორგ კაიზერი, ერნსტ ტოლერი).

გერმანულ თეატრში ბატონობდა მაქს რაინჰარტი – უდიდესი რეჟისორი.

საქართველოში ასეთი ანალოგია არ მომხდარა.

კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის ექსპრესიონისტული ლექსები უფრო თეორიის ილუსტრაციაა, ვიდრე შთაგონების გამოვლენა.

მაგრამ ექსპრესიონიზმმა, რომელსაც დაერთო ნიცშეს იდეები, წარმოშვა გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“ და „ლამარა“, კონსტანტინე გამსახურდიას „გარსი მარადი“ და, ნაწილობრივ, „დიონისოს ღიმილი“.

ექსპრესიონიზმმა ეს ორი მწერალი დრამასთან და თეატრთან მიიყვანა. მაგრამ თუ „გარსი მარადი“ შეუმჩნეველი დარჩა, „ლონდა“ და „ლამარა“ კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა ტრიუმფალურად ააჟღერეს სცენაზე.

ქართულ დრამას ჰქონდა მეორე წყაროც – ეს იყო თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რუსეთიდან დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილი.

მართალია, პირველ სპექტაკლებს კონსტანტინე „რეჟისორის ცრემლებს“ ეძახდა, მაგრამ მარჯანიშვილმა რუსული მეტყველებით და ქართული ტემპერამენტით შექმნა თეატრის თანამედროვე სახე. მას ტაშს უკრაუდა და განადიდებდა ინტელექტუალური ელიტა.

მწერლები ისწრაფოდნენ თეატრისაკენ, რათა მორის მეტერლინ-

კის „ცისფერი ჩიტის“ მსგავსი დრამა თუ მისტერია ქართულ სცენა-სუც ამეტიკველებულიყო.

სანდრო შანშიაშვილი (კდილობდა სიმბოლისტური ხერხების ათვისებას, მეგობრობდა „ცისფერეანწილებთან“, მაგრამ ახალი მგრძნობელობის გადმოცემა ვერ შეძლო („ლატავრა“).

ამ სწრაფვის შედეგია პოლიკარპე კაპაბადის კომედია „ეგარეყვარე თუთაბერი“, მაგრამ იგი მოდერნიზმის სფეროს არ განეკუთვნება.

„დაბრუნება მიწასთან“

ეს ლოზუნგი გადმოისროლა გრიგოლ რობაქიძემ და განავითარა ვალერიან გაფრინდაშვილმა.

მათ აუწყეს ქვეყანას, რომ დასრულდა ზმანებების პერიოდი და რეალური ცხოვრება პასუხს მოითხოვდა.

1923 წლის 1 იანვარს ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა:

„პოეტები ბრუნდებიან ხელოვნების ელისიუს მინდორებიდან, ბრუნდებიან პოეზიის კლიზიუმიდან და როგორც ელია ბარი, ითბობენ თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სიმაღლეების სუსხიან ქარის შემდეგ მომხიბლავია ბარის თბილი ნიაგი. ეს არ ნიშნავს ჩვენი წარსული მიღწევების უარყოფას.

ეს არის დაბრუნება მიწასთან“.

დიონისური ღამე დასრულდა, დადგა აპოლონური ნათელი დღე. მაგრამ თუ პოეტები ციდან და მწვერვალებიდან მიწაზე ეშვებოდნენ და ბარის თბილ ნიაეს შეებლს უშვერდნენ, პროზაიკოსები ახლა სტოკებდნენ მიწას, ახლა ელტეოდნენ წარსულსა და ცის სილაყვარდეს.

ისინი ტრაგიკული რეალობიდან უკან იხევენ, წარსულში ეძებდნენ ხსნასა და იმედს (ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, შ. დადიანი, ნ. ლორთქიფანიძე, გრ. რობაქიძე, ბ. მელიქიშვილი).

ასე იქმნებოდა დღევანდლობის სიმბოლურ-ალეგორიული პორტრეტი.

დისტანციის პათოსი

კონსტანტინე გამსახურდიამ ორი თეორიული პოსტულატი წამოაყენა, რომელიც ამართლებდა ამ ტენდენციას.

პირველი — ეს იყო დისტანციის პათოსი, თანამედროვე მოვლენების ასახვისაგან თავის შეკავება, რადგან ვითარება ჯერ ბუნდოვანი და გაურკვეველიაო.

ნამდვილად კი მწერალი ასე ცდილობდა გამიჯნოდა ბოლშევიკურ

ტირანიას, რათა, თუ ვერ შეეებრძოლებოდა, მხარდამჭერი მაინც არ ყოფილიყო (განსხვავებით „ცისფერეანწელებისაგან“).

მეორე – ეს იყო ქართული კულტურის დიქტატურა.

მწერალი დაულაღაუად ქადაგებდა, რომ როცა ვერი კარგავს პოლიტიკურ თავისუფლებას, მან უნდა გაამაგროს კულტურის ფრონტი, გამოხატოს ნაციონალური კულტურის ქეგემონია, რათა ასე გადაარჩინოს თავისი სახე.

მოდერნიზმის იდეოლოგია იყო ის ბარიერი, რომელსაც უნდა შესძლებოდა ბოლშევიზმის დამლუპველი შემოტევის შეჩერება.

პოეზიიდან პროზისაკენ

20-იანი წლების ქართულ მწერლობაში მთავარი სიახლე მაინც პროზის აღმავლობაა.

შიო არაგვისპირელის მიერ ნოველის გაფუტიშება ეპიკური პროზის კრიზისის სიმპტომი იყო. რომანები აღარ იწერებოდა. რაც იწერებოდა, რეზონანსი არ ჰქონდა. ნოველა ესკიზებად, დეტალებად იშლებოდა.

დაეით კლდიაშვილს, ჯოლა ლომთათიძეს, ნიკო ლორთქიფანიძეს, 10-იან წლებამდე ვასილ ბარნოვს, რომანი არ შეუქმნიათ. ეს მაშინ, როცა ევროპაში მთელი სერიალები ითხზებოდა.

მხოლოდ 1919 წელს დაწერა შიო არაგვისპირელმა რომანი-ხლაპარი „გაბზარული გული“.

ნოველით გატაცებას მოჰყვა მინიატურა, ესკიზი, ეტიუდი, ჩანახატი.

ეს უკვე აღარ იყო ეპიკა.

შალვა დადიანის ჩამოკრულები, ნიკო ლორთქიფანიძის ეტიუდები, ტიცინ ტაბიძის სილუეტები, სანდრო ცირეკიძის და სერგო კლდიაშვილის მინიატურები პოეზიასთან სიახლოვეს ამჟღავნებდა, მაგრამ არ ჰყოფნიდა დრამატიზმი, შინაგანი მუხტი.

ამიტომ კვალს ვერ სტოვებდა მკითხველის მეხსიერებაში.

მინიატურა პროზის თვითმკვლელობაა. მას ტრაგედიად მიიჩნევენ დემნა შენგულაია და კონსტანტინე გამსახურდია.

სანდრო ცირეკიძე შენიშნავდა კიდევ, მალე ნაწარმოებიდან მხოლოდ სათაური უნდა დარჩესო!

პროზა ჰკარგავდა ეპიკურ მასშტაბს და ლირიკული მღვლეარებით ივსებოდა.

ამ ტენდენციასაც ევროპაში ჰქონდა საწყისი.

ბოდლერის „პარიზის სპლინი“, რემბოს „ერთხელ ჯოჯოხეთში“.

ეერლენის „ქერიეი კაცის ნანაწერები“. ლატრეკამონის „მადლორორის სიმღერები“, ნიცშეს აფორიზმები, უამდლისა და მალარმეს ლექსები პროზად მრავალკლანიანი, მრავალპერსონაჟიანი, რთულსიუჟეტოანი, ეპოქის აღმწერი (როგორცაა, ეთქვას, ბალსაკის „ადამიანური კომედია“ და ზოლას „რუგონ მაკარები“) რომანების ალტერნატივა იყო.

მღელვარე და აჩქარებულ ეპოქას მოჰქონდა მთრთოლარე, ანთებუ-ლი, აგზნებული სტრიქონები, უცნაური სიუჟეტები და უჩვეულო იდეები.

ახალი პროზა ყალიბდებოდა პოეზიის აფეთქებით, ორნამენტული, მეტაფორული და სიმბოლური სტილით, მითოსური და ფსიქონალი-ზური მოდელებით.

მიხეილ ჯავახიშვილის გარდა ყველა პროზაიკოსი პოეზიიდან ამო-დიოდა, ამიტომ სიტყვის მოდერნიზება სალექსო რეფორმის შემდეგ შეძლეს, პოეტური გამოცდილების გამოყენებით.

თავად მიხეილ ჯავახიშვილმაც აითვისა ცალკეული მოდერნისტუ-ლი ხერხები და იდეები, განიცადა ფსიქონალიზის გავლენაც.

წმინდა მოდერნისტული რომანებია – დემნა შენგელაიას „სანაეარ-დო“ (1924) და „ტფილისი“ (1925-1926), კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ (1924-1925) და გრიგოლ რობაქიძის „გველის პე-რანგი“ (1925).

„სანაეარდოში“ გაიელვებენ ანდრეი ბულის „პეტერბურგისა“ და „ვერცხლის მტრედის“ ცალკეული სახეები და სიმბოლოები. მაგრამ მწერლის შთაგონება უფრო იყო გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლისტუ-რი პოეზია, მელანქოლიური სტილი და ტიცთან ტაბიძე, მისი ესეები, რომლებშიც დახატულია სანაეარდოს მსგავსი გარემო, ჭაობიანი და ციებიანი ორპირი.

ამასვე ადასტურებს დემნა შენგელაიას მელანქოლიური ესე „არ-ტისტული ყვაეილების“ ავტორზე, რომელიც მანამდე დაწერა, ეიდრე სანაეარდოს მითს შეთხზავდა.

„ტფილისი“ „სანაეარდოს“ გაგრძელებაა, რომელშიც მოქმედება ქალაქშია გადატანილი. თითქოს ბონდო ჭილაძე სანაეარდოდან ტფი-ლისში გადასახლდა. რომანი არათანაბრადაა დაწერილი, არეულია მოდერნისტული და ავანგარდისტული პრინციპები, ხოლო ფინალი უადრესად სუსტია. ალბათ ამიტომაც დაშალა ეს რომანი შემდეგ ავტორმა.

მთავარი პერსონაჟი – დედე ათინაძე პოეტია, რომელსაც ქალუცი-ნაციები ეძღვება, როგორც ბონდოს.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ პოეზიისა და პროზის კენტაურია, ლირიკული სულის აწვირთება, მისტიციზმით შებურვილი.

გრიგოლ რობაქიძის პოეტური თხრობის საფუძველია პათეტიკა და პერსონაჟი, არა ლირიზმი.

ვახილ ბარნოვის „ხაზართა სასძლო“, „არმაზის მსხვერვეა“ თუ „(ვოდვა სიჭაბუკისა“ სტილიზებული ენითა და პოეტური მგრძობილობით იპყრობს ლიტერატურის მოყვარულთა გულისყურს. მწერალს თანამედროვე პრობლემები ისტორიაში გადაქონდა.

ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონიზმი, ტელეგრაფული სტილი ლირიკას ენათესავება. მაგრამ აკლია ის სიმძაფრე და მონუმენტალობა, რაც ახასიათებთ ბარნოვსა და გამსახურდიას.

ახალგაზრდებიც პოეტურ ტალღას მოაყენენ (მაგ., ბასილ მელიქიშვილი).

მიხეილ ჯავახიშვილსაც იტაცებდა ორნამენტული ფრაზა, ისევე როგორც მოდერნისტული სექსის მისტიკა.

ასე რომ, პოეზიისა და პროზის შერწყმით ოციან წლებში შეიქმნა ახალი ქართული რომანი და ნოველა.

პოეზია შეიჭრა დრამატურგიაშიც.

ხელისუფლების დიქტატი: მოდერნიზმის აკრძალვა

1914 წლიდან მსოფლიო ომის გამო ევროპასთან კავშირი თითქმის გაწყდა. ქართველები დასაუღლეთში ვერ მიდიოდნენ. ვეღარც რუსები თარგმნიდნენ უახლეს ცთომილებს.

ევროპა ინგრეოდა და სისხლის წყურვილი განაგებდა შემოქმედის სულს.

„ზინდა ვოჯდე ყველა იმ ტყეიაში, რომელიც ფრანგის გულს მოხედება“, წერდა გერმანელი რიპარდ დემელი, ექსპრესიონისტების ერთ-ერთი მასწავლებელი.

შემდეგ რუსეთის იმპერიაში დაიწყო ქაოსი და ანარქია.

რუსებს მოდერნიზმისათვის სად ეცალათ.

ქართველებს 1921 წლიდან, ძლიერ მცირე ხნით, მიეცათ საშუალება შორიდან მოველოთ თვალი ევროპული ლიტერატურისათვის.

ამიტომ იყო, რომ ქართული მოდერნიზმისათვის უცნობი დარჩნენ ჯეიმს ჯოისი და ფრანც კაფკა, თომას მანი და მარსელ პრუსტი, ეზრა პაუნდი და თომას სტერნს ელიოტი...

ზოგი მათგანის მხოლოდ სახელი თუ გაკრთება ოციანი წლების პრესის ფურცლებზე.

სიგმუნდ ფროიდი მაშინ საბჭოეთში პოპულარული იყო და ეს

აისახა ქართულ პროზაში (კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე).

1925 წლიდან ბოლშევიკებმა დაეშვეს შემოქმედებითი ასოციაციები. თითქოს ნება დაერთო კონკურენციას. ნამდვილად კი პროლეტარული მწერლობა აღჭურვეს დიქტატის უფლებით.

სხვა ყველა დააშინეს და შეზღუდეს. არც რეპრესიებს მოერიდნენ.

სხვას ყველას წაართვეს პრესა და გამომცემლობა.

საბჭოთა ხელისუფლებას არათუ მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, არც რეალიზმი არ სჭირდებოდა, თუ იგი სოციალისტური, ე. ი. პარტიის გადაწყვეტილებათა ილუსტრატორი და მხატვარი არ იქნებოდა.

ასე რომ, აიკრძალა როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თავისუფლება.

ვეროპეიზმი ლიტერატურაშიც დამარცხდა.

დასავლეთის კარები გადაიკეტა. „მოკლად უნაზესი რომანტიზმი“ (გალაკტიონი).

მთელი ქვეყანა უსარმანარ საკონცენტრაციო ბანაკს დაემსგავსა.

მხოლოდ 60-იანი წლებიდან დაიწყო მოდერნისტულ-ავანგარდისტული ტრადიციების აღდგენა, მიბრუნება ვეროპისაკენ, რასაც მოჰყვა სოციალისტური რეალიზმის ფაქტიური გაუქმება, ჩუმი სიკვდილი.

8. მოდერნისტების ტრაგიკული ბედი

სინამდვილის პირისპირ

მოდერნისტებს ეწადათ, რომ სინამდვილაც სილამაზედ ექციათ. მაგრამ უღმობელი ცხოვრება სპობდა მათ გატაცებას და ფრთებდალეწილნი ზეციდან ტალახში ეცემოდნენ.

წიგნების გამოცემა, პუბლიკაცია აუცილებელი იყო. მხოლოდ ოცნებით ვერაინ იცხოვრებს. ბუნებრივია, გაგვიჩნდეს კითხვა: როგორ ცხოვრობდნენ. თავს რითი ირჩენდნენ ახალგაზრდა მოდერნისტები?

ყველა დროში ხელოვანს მატერიალური ბაზა და ფიქრის დრო სჭირდებოდა, არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება.

ცნობილი რუსი მოდერნისტებისაგან განსხვავებით მათ ქართველ კოლეგებს არ უსმენდა ვრცელი აუდიტორია, არც ტომეულებს სცემდნენ, არც თარგმნიდნენ. არც ეკონომიკურად გამორსნეული ოჯახები ჰქონდათ.

ისინი სოფლიდან იყენენ წამოსული, ცხოვერობდნენ ნაქირავებ ბინებში და ასე დაამთავრეს გიმნაზია, სემინარია თუ უნივერსიტეტი.

როგორც წერდა კონსტანტინე გამსახურდია, ისინი დარბიული ქართული გახეთების კაპიკებით იყენენ გამოზრდილი.

გალაკტიონ ტაბიძე ობლობაში გაიზარდა.

პაპის გარდაცვალების შემდეგ დედამ – მაკრინე ადგიშვილმა და იუსტინე ტაბიძემ, ტიცვიანის მამამ, 1894 წლის 16 დეკემბერს შეადგინეს გაყოფის წიგნი.

მაკრინეს, პროკლესა და გალაკტიონს ერგოთ, როგორც აღნიშნავს ნოდარ ტაბიძე, საკუთრივ სახლი, სასიმიინდე და ორ ქცევაზე მეტი მიწა (ერთი ქცევა არის 3.600 კვ. მეტრი).

საზიაროდ დარჩა 15 ქცევა მიწა, ურემი, 14 ჭური, საქონელი და სხვა წერილმანი საოჯახო ნივთები.

მაკრინე კაბებს კერავდა, ექიმბაშობდა, წამლებს ამზადებდა, ოჯახს უვლიდა და ასე არჩენდა მოსწავლე ვაუებს.

„ფიქრიდან განუშორებელი და სხვადასხვა მოგონებით ჩემო დამტანჯველო საყვარელო შეილო, ჩემო გალაკტიონ, შენი სახელის ხსენებას ენაცვალოს შენი დედა“, – ასე იწყებოდა მაკრინეს წერილები შვილისადმი.

გალაკტიონს მატერიალურად უფროსი ძმაც ეხმარებოდა. მაგრამ სწავლას გული ვერ დაუდო და სემინარიიდან გარიცხეს.

ერთხანს ფარცხნალში მასწავლებლობდა, მუშაობდა „კოლხიდი-სა“, „მნათობისა“ და „ცხოვერების“ რედაქციებში, მართავდა სალიტერატურო საღამოებს, ბეჭდავდა ლექსებს, გამოსცა პოეტური კრებულები და ეს იყო მისი შემოსავალი.

შემდეგ ოლიასთან ერთად მოსკოვში ცხოვერობდა. იქ სამსახური დაუწყია იუსტიციის კომისარიატში და საკმაო ჯამაგირიც ჰქონია.

1920 წლის აგვისტოში ვალიკო ჯუღელმა დანიშნა ჟურნალ „სახალხო გეარდიელის“ პასუხისმგებელ მდიენად, ჯამაგირი – 7.300 მანეთი და ოფიცრის „პაიოკი“.

მალე ბოლშევიკები მოვიდნენ. გალაკტიონის ცოლისძმებს დიდი პოსტები ეკავათ. პოეტი მათ ბინაში ცხოვერობდა.

იგი თავისი მდგომარეობით კმაყოფილი იყო.

რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“. გამოაცემინეს საკუთარი ჟურნალიც.

ოვლია მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მუშაობდა.

გალაკტიონი სისტემატურად იბეჭდებოდა და აღარ სჭირდებოდა დედისა და ძმის დახმარება.

კონსტანტინე გამსახურდია 15 წლისა დაიბლდა.

მასაც დედა ზრდიდა – ელისაბეკ სოფურდიძე.

კონსტანტინე ახნაურის ოჯახიდან იყო, ასევედა უფროსი და და ძმები. მუჟურეობას დედა უძღვებოდა, რომელსაც უმცროსი შვილი გამორჩევიტ უყვარდა.

ათი წლის იყო, სოფელი რომ დატოვა. შემდეგ მხოლოდ არდადეგებზე ჩადიოდა. ჯერ სენაკში სწავლობდა, შემდეგ – ქუთაისის გიმნაზიაში, 1912 წლიდან 1919 წლამდე – რუსეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში.

ცხადია, ყველგან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

გიმნაზია რომ დაამთავრა, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია დაენიშნა, თვეში 25 მანეთი.

ფულს უგზავნიდნენ დედა და ძმა ალექსანდრეც.

1915 წელს ელისაბედმა ძველ აბაშაში სახლი გაყიდა.

ეს ფაქტი უნდა იყოს არეკლილი საეარსამიძის ბიოგრაფიაში.

1913 წლის 1 ოქტომბრიდან ღებულობდა მანგანუმის მრეწველთა სტიპენდიას, თვეში 25 მანეთს.

1914 წლის აპრილში ცოლად შეირთო მღვდლის ქალიშვილი რებუკა ვაშაძე, რომელიც შეძლებული ოჯახიდან იყო.

გერმანიაში მყოფს, ერთხანს დაპატიმრებულს, სიმამრის ოჯახი უმართავდა ხელს.

ბერლინში ჯერ „ქართულ გაზეთში“ მუშაობდა, შემდეგ – საქართველოს საელჩოში.

მანამდე – 1917-1918 წლებში მსახურობდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ და თბილისის გიმნაზიაში გერმანულის მასწავლებლად.

1921 წლიდან მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და ჯამაგირს ღებულობდა. პონორარს უხდიდნენ ლექციებისა და პრესაში თანამშრომლობის გამოც.

ცხოვრობდა დედასთან ერთად დღევანდელი პაოლო იაშვილის ქუჩაზე. ცოლთან ფაქტიურად გაცილებული იყო.

ეს ბინა ალექსანდრეს მიერ ყოფილა შეძენილი.

კონსტანტინე დაუცხრომელი მონადირე იყო და ესეც შეელოდა თავის რჩენაში.

„დიონისოს ღიმილის“ გამოცემის შემდეგ მალე დააპატიმრეს. სოლოუკიდან რომ დაბრუნდა, შეძლო რამდენიმე წიგნის გამოცემა და სათარგმნი მასალის აღება.

უკვე შეეძლო პონორარით ცხოვრება.

ყველაზე კარგად პაოლო იაშვილი ცხოვრობდა. მამამისს არგვეთში ჰქონდა ესო-კარი, ქუთაისში – ორსართულიანი სახლი, სადაც თავს იყრიდნენ „ცისფერყანწილები“.

ჯიბო პრივიზორი იყო და ფული არ აკლდა.

როცა კითხეს პაოლოს, თავს რითი ირწვნო, მოკლედ უპასუხა: „ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბით“.

არც სერგო კლდიაშვილი იყო ღარიბი ოჯახის შვილი.

დაეითი ხომ ცნობილი პროზაიკოსი და დრამატურგი იყო, ასინაურის ოჯახიდან, მეფის რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.

ტიციან ტაბიძე მღვდლის შვილი იყო და გაჭირვებას არ უწიოდა. მასაც მამის ოჯახი ინახავდა.

1921 წლის მარტში, როცა ბოლშევიკებმა ხოშტარიას სახლი ხელოვნების მუშაკებს გადასცეს, პაოლო და ტიციანი სხეუბთან ერთად იქ ჩასახლდნენ.

გრიგოლ რობაქიძის მამაც სასულიერო პირი იყო.

იგი მთელ საქართველოში კითხულობდა ლექციებს, რასაც დიდი ინტერესით ხვდებოდნენ. ხშირად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში. მენშევიკების უამს მთაწერობის კანცელარიაში მუშაობდა. ბოლშევიკებმა პენსია დაუნიშნეს და ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ჩააბარეს. იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეც.

ცნობილ ქართველ მწერალთაგან მხოლოდ ეგნატე ნინოშვილი და ჭოლა ლომთათიძე ცხოვრობდნენ სრულ სილატაკეში.

სხვებს საარსებო მინიმუმი მაინც გააჩნდათ, თუ ციხეში არ ისხდნენ.

არცერთი მოდერნისტი მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ ლუქმა-პურისთვის ბრძოლა, შავი სამუშაოს შესრულება არ უწყევდათ.

გამონაკლისი იყო ტერენტი გრანელი, რომლის დუხჭირ ცხოვრებას დაერთო ფსიქიკური დაავადება.

1914 წლიდან, როცა ატყდა მსოფლიო ომი, საქართველოშიც შიმშილმა გაშალა ფრთები. ინტელიგენცია რა დღეში უნდა ყოფილიყო, როცა თვით მთაწერობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიაც კი შიმშილობდა. ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ქალაქებში უამრავი ლტოლვილი, ქურდი და მაწანწალა ირეოდა, გავრცელდა ეპიდემიები, ენერული დაავადებები.

ბოლშევიკები ამქვეყნიურ სამოთხეს ქადაგებდნენ, მაგრამ ხალხს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუტანეს.

გრიგოლ რობაქიძეს უთქვამს აკაკი გაწერელიასათვის, მოვეკვდი ისპანახის ჭამით, თქვენ როგორ ირწვნთ თავესო!

გრიგოლი ხელისუფლებისაგან დაფასებული პიროვნება იყო. ის თუ ასე ასკეტურად ცხოვრობდა, სხვებს როგორი პირობები უნდა ჰქონოდათ.

ოციანი წლების საქართველოში სამსახური და მონორარი მწერალს მხოლოდ საარსებო მინიმუმს აძლევდა.

ასე რომ, მოდერნისტები 1921 წლიდან გაცილებით ცუდად ცხოვრობდნენ, ვიდრე ომის წლებში.

დამშეულ, დაქცეულ ქვეყანაში ყველას პროლეტარიეთით უნდა ეარსება.

ქართველი მწერალი ეყრ ამართლებდა ფლობერის პრინციის – უნდა იცხოვროო როგორც ფრანგმა ბურჟუამ და იაზროვნო როგორც ღმერთმა!

სილატაკეს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ამ ძველ ჭირს დაერთო ახალი უბედურება – ბოლშევიკური ტერორი, დენა, თვალთვალი და სასჯელი.

„საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობა“

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ფურცლები სისხლითაა დაწერილი. იგი იწყება ერის მამის – ილია ჭავჭავაძის მკვლელობით და მთავრდება პირველი პრეზიდენტის – სეიად გამსახურდიას თვითმკვლელობით.

თითქოს ახდა ტიცვიან ტაბიძის სიტყვები:

„საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობა“.

ომებში დაიღუპა აურაცხელი ქართველი, დაიხვრიტა და გაიტანჯა არაერთი მამულიშვილი. დაიკარგა ის მიწები, რომელთა დაცვას ათასწლეულთა მანძილზე დააკედნენ ჩვენი წინაპრები.

მოდერნისტების ბედიც ამ ტრაგიკული მატიანის ნაწილია.

მათ გაიზიარეს დამარცხებული საქართველოს ხვედრი.

მშენიერებას ეტრფოდნენ, მაგრამ თურმე ყველაზე ძლიერ მათ შემეცნებაში რეკაედა სამშობლოს ბედისწერა.

სიკედილის მომღერლები იყვნენ და განგებამ ესთეტიური უესტირეალობად უქციათ, თუმცა საამისო წინათგრძნობაც გააჩნდათ.

„მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია

აღმათ ჩვენც საღმე ჩავაძაღლებენ“, – წერდა ტიცვიან ტაბიძე.

პაოლო იაშვილი მოსკოვიდან ატყობინებდა კოლაუ ნადირაძეს:

„მეც მომიძებნეს მკერდი ქორება,

გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს გულთან“.

კომპრომისი, და 'ხოგჯერ დალატიც, არ კმაროდა სიცოცხლის გადასარჩენად.

არა მხოლოდ ბოლშევიკური ტერორი, სწეულებაც მუსრს აელებდა ახალგაზრდა მოდერნისტებს.

კლექმა იმსხვერპლა შალვა კარმელი, სანდრო ცირეკიძე, ლელი ჯაფარიძე, ბასილ მელიქიშვილი, გიორგი ქლენტი (ბესო ქლენტის ძმა), იოველ ჟორდანიძე.

სიჭაბუკის ასაკს ვერცერთი ვერ გადასცდა.

გიონ საგანელმა თავი მორფით მოიწამლა. ვანო ყიფიანს დაძვლა დაუცა. ტერენტი გრანელი შიზოფრენიით დაავადდა და უპატრონოდ მოკვდა. 52 წლის ვალერიან გაფრინდაშვილი ასთმამ დაახრწო.

ვინც სწეულებას გადაურჩა, მას ბოლშევიკური ციხე ან ტყვია ელოდა. რათა ასე ზიარებოდა „ახალ ცხოვრებას“; ვინც ქარიშხალს გაუსხლტა, მას ძაღლის ექვსთავა ურჩხული – სცილა სპობდა.

არც რუსებს ეღვათ უკეთესი ღღე. იქაც ჯოჯოხეთი მპეინვარებდა.

1921 წელს სურავანდით გარდაიცვალა ბლოკი, დახვრიტეს გუმბლიოვი და მანდელშტამი, თავი ჩამოიხრჩეს ესენინმა და ცვეტაევამ, თავი მოიკლა მაიაკოვსკიმ...

ევროპაში გაიქცნენ მერეჟოვსკი, გიპიუსი, ბალმონტი, ივანოვი...

„მე მოგვლდები, როგორც ტყის ნადირი“, – წერდა 1926 წელს მარტოობით შეძრწუნებული სოლოგუბი.

ანდრეი ბელიმ მთელი ეპოქა შექმნა რუსულ ლიტერატურაში, მაგრამ მის კუბოს მხოლოდ 17 კაცი მიჰყუებოდა!

დავბრუნდეთ საქართველოში...

1924 წელს დახვრიტეს პაოლო იაშვილის ძმა, ბასილ მელიქიშვილის მამა, ციხეში ჩასვეს ვანლერ დაისელი (ბაბუაძე), კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ბასილ მელიქიშვილი.

1937 წელს დახვრიტეს გალაკტიონ ტაბიძის ხუთი ცოლისძმა, ცნობილი რევოლუციონერები, ტროცკისტებად მონათლული, ხოლო მეუღლე, ოღდა ოკუჯავა, რომელიც აღმერთებდა ორ ადამიანს – ლენინსა და გალაკტიონს, ვისაც ქვეყანაზე ყველაზე მეტად სძულდა სტალინი, ნადრევად მოტეხილი და მომაკედავი, 1941 წლის 11 სექტემბერს საპრობილედან გაიყვანეს და ორიოლთან, მეღვედვეის ტყეში დახვრიტეს.

სასიკვდილო ტყვია მას ერგო ბერიას მოთხოვნითა და სტალინის დასტურით.

მუდმივმა შიშმა და ახლობელთა ტერორმა გალაკტიონი ბოლშევიკების აპოლოგეტად აქცია და ნევროტიკად ჩამოაყალიბა, რასაც მოჰყვა მისი ღიღი ტალანტის დაცემა.

რამდენიმეჯერ სცადა თავის მოკვლა. ბოლოს სიცოცხლე მაინც თვითმკვლევლობით დაასრულა.

ტიციან ტაბიძე დახვრიტეს, სადღაც სოღანლულთან.

მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად მას ერგო ყველაზე საზარელი ბედი. თუ იღია აუასაკებმა მოკლეს, ეს ორი დიდი ხელოვანი ხელისუფლებამ დააპატიმრა, აწამა, განსაჯა და დახვრიტა, ე. ი. შეუგნებლად და უცვრად არაფერი მომხდარა.

გრიგოლ რობაქიძემ საფრთხე იგრძნო და თავი გერმანიას შეაფარა. იგი სრულ მარტოობაში გარდაიცვალა და მისი ცხედარი პოლიციამ აღმოაჩინა.

კონსტანტინე გამსახურდია დააპატიმრეს 1922, 1924, 1926 წლებში, 1937-ში ორივე ძმა დაუხვრიტეს. თავად კი, მიუხედავად კომპრომისებისა, მუდმივი განქიქებისა და შიშის ატმოსფეროში უხდებოდა ცხოვრება.

დახვრიტეს ნიკოლო მიწიშვილი, თუმცა ხელისუფლებას ერთგულად ემსახურა. ხოლო მეუღლე გადაასახლეს.

მწერალთა კავშირში სანადირო თოფით თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა, ერთი ნაბიჯით დაასწრო ხელისუფლების განაჩენს.

ღამით წერილით დაემშვიდობა თავის ერთადერთ ქალიშვილს – მედეას.

ბარათი დაწერა მეუღლის სახელზეც.

„არავის დაბრალო ჩემი სიკვდილი“; – უბარებდა ქალიშვილს.

„როდესაც გათხოვდები“; – უწერდა მეუღლეს...

გიორგი ღვინძიძეს ძმა დაუხვრიტეს. თავად სეგებენიერად იცხოვრა, როგორც ბოლშევიზმისა და სტალინის მესობებში, მაგრამ დიდმა პოეტმა.

„შენი გოლგოთა ვერ მოვიგონე“;

სამართლიანად შენიშნავს ტარიელ ჭანტურია, რადგან საუკუნის დიდ მოღვაწეებს არ ასცდენიათ ტანჯვა და წამება.

დემნა შენგელაია ყოველთვის ხელისუფლების ერთგული და მორჩილი იყო, მაშინაც, როცა წერდა კომმარულ „სანაეარდოსა“ და „ტფილისს“, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სოციალისტურ რეალიზმთან.

მაგრამ როგორც კი სიმბოლიზმს გამოეთხოვა, მოკვდა როგორც შემოქმედი. რატომღაც სულ რეეოლუციასა და მუშათა კლასის ეტმასნებოდა. ეს თემა კი მისთვის უცხო აღმოჩნდა.

28 წლისამ დაბეჭდა „სანაეარდო“, 29-ისამ – „გურამ ბარამანდია“. 33-ისამ – „ბათა ქექია“.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე იცხოვრა, მაგრამ სუსტი რომანებისა და ნოველების მეტი ვერაფერი დაწერა (თუ არ ჩავთვლით ფოლკლორისტულ ესსეებს).



დემნა შერგულაიას ცხოვრება შემოქმედის ტრაგედიაა, როცა მას ღუპავს კონფორმიზმი.

ცხადია, ეს ტრაგედია მას არ უგრძობია და არ განუცდია.

ბოლშევიზმის მომდერელები გახდნენ ერთ დროს თავგადაკლული ნაციონალისტები – იოსებ გრიშაშვილი და ალექსანდრე აბაშელი. კომუნისტური რეჟიმის დამხობას მოესწრო კოლაუ ნადირაძე. იგი მუდამ ჩრდილში იდგა და ამიტომ არ უწენეცია ხელისუფლების რისხვა. თავად როგორც პოეტიც რეალობას თითქოს თვალს არიდებდა. მხოლოდ

ღრმად მოხუცს აღმოხდა გოდება 1921 წლის კატასტროფაზე:

„თოფა და თბილისის ებურა თაღხი,

ღუმჯა სიონი და ღუმჯა ხალხი“–

ანდა – პაოლო იაშვილზე თქმული:

„პაოლო, ჩემო სისხლო და ხორცო,

მე მომხედეს შენზე ნატყორცნი მები“–

მეგობართაგან მხოლოდ კოლაუ მიყუებოდა პაოლოს კუბოს.

იგი იყო მოდერნისტების უკანასკნელი მოპიკანი, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე წმინდად ატარა სიმბოლიზმის დროშა და დაღუპული მეგობრების სახელი.

ასე რომ, ბოლშევიკებმა ჯერ მოდერნიზმი აკრძალეს, შემდეგ კი მოდერნისტები ფიზიკურად გაანადგურეს.

ბოლშევიკებმა, ერთი მხრივ, განადიდეს მწერლის სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ისე სასტიკად დათრგუნეს შემოქმედი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიაში.

„მე მოჰკვდები, როგორც პოეტს შიჰფარის“

„მარტოობის ორდენის კავალერი“ – ეს სახელი დაანათლა ტიცვიან ტაბიძემ გალაკტიონს – თავის ბიძაშვილს ჯერ კიდევ 1915 წელს. ეს სიტყვები მოსკოვში ითქვა და გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა, როცა იბეჭდებოდა „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი.

გალაკტიონი თეორეტიკოსი არ ყოფილა. მაგრამ პოეტური გუშანიით იგრძნო შორეული ღაანდების სიანხლოე.

არც თანამოაზრენი უძებნია. იგი მარსლაძე იყო მარტოსული და

თავისი მიუსაფრობა, სევდა და მეღანქოლია გადართანა პოეზიის აკროპოლში.

რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად იკეტებოდა ღანდების საუფლოში და მეგობრად ალკოპოლს იგულუვებდა.

მარტოობა და ალკოპოლი იწვევდა დეპრესიას, უსუსტებდა ნერვებს, მაგრამ გაღიზიანებული ფსიქიკა უმთავრებდა აღქმას, ნიუანსთა შეგრძნებას. ნაღველსა და დეპრესიას სინათლედ აქცევდა მუსიკა და ესთეტიზმი და ქრებოდა სულში ავობით მძეინვარე ლუციფერი.

გალაქტიონის სულსა და გონს ადრევე დაუფულა სიმბოლისტური მთვარის შუქი და ლექსებში შემოიტანა უცხო ლექსიკა – ნათელი ღამე, სასაფლაოს ჩრდილები, მარტოობის გზა, შემოდგომის დღე, ლურჯი ბურუსი, შავი ნისლი, უდაბნო, გედი, თეთრი აჩრდილი, თეთრი ზამბახი, ცისფერი თვალეები, მწუხარე სული, სევდის მორევი, ვიდრე გამოჩნდებოდნენ „ცისფერყანწელები“

1914 წელს გამოსცა ლექსების პირველი, 1919 წელს – მეორე წიგნი – „Crane aux fleurs artistiques“ (თავის ქალა არტისტული ყვავილებით).

„არტისტული ყვავილებით“ დგას იგი ქართულ პოეზიაში, როგორც ახალი რუსთაველი. მხოლოდ რუსთაველს თუ ჰქონდა ასეთი გულისმომკვლელი ლირიზმი და სიტყვის ძალა.

ჯერ 28 წელი არც კი შესრულებოდა. მაგრამ წინ ელოდნენ ახალი ლურჯა ცხენები, ეფემერები, შინდისის ჭადრები და შემოდგომის ბლონდები.

მითიური მიდასის დარად, რასაც ხელს ახლებდა, ოქროდ აქცევდა. მხოლოდ მას შეჰფეროდა ეთქვა:

*„წვეთი სისხლის არ არის ზემში არაკართული,
ძაფი ნერვის არ არის ზემში არაკოტის“.*

იგი იყო პოეტი-უნივერსალი – თემებით, გრძნობებით, ფერებით, მელოდოებით, სალექსო საზომებით თუ მეტაფორებით.

ხელახლა კმნიდა ქართული მეტაფორების სახეს, ლექსის ფორმას.

ხან კბავდა აპოკალიპსის ლურჯა თუ მწვანე ცხენზე ამხედრებულ სიკვდილშემოსილ ანგელოსს, ვინც საესე პეშეებით ისროდა ფანტასტიურ მკვლევლობებს და ქვების მძიმე ქუსლებით პილიფუსს ეყრდნობოდა.



ხან გულისდამწველი სინაზით იგონებდა შორს გადაკარგულ სატრფოს მერთალ ხელებს, ქარის ტოტებს თუ ატმის რტოებს, სადღაც, ქუჩაში წაქცეულ ნუკრისთვალემა ბავშვს.

სულში კი პიოდა გენიით ატეხილი ლერწამი და ვანდეიკის ლანდებივით მწვანდებოდა ღამე...

მთელი სამყაროს ბზარები გულზე აჩნდა, ყველას სატიკვარს იტყუდა, მაგრამ მარტოობას მაინც ვერ სძლეუდა.

„ახლა მარტოობის ვარ, როგორც მთის გულსია“;

გოდებდა იგი - „ლურჯა ცხენებისა“ და „თოვლის“, „მთაწმინდის მთვარისა“ და „სილაჟუარდის“ ახალგაზრდა აეტორი, ვისაც შეეძლო ერთბაშად დაებეჭდა ასი ახალი ლექსი და ვიდრე ხალხი გაოგნებისაგან გამოერკეუოდა - კიდევ ასი ლექსი!..

ასეთი ზენორმული ღელვით ცხოვრება დიდხანს არ შეიძლება, იგი მალე გადაგწვავს ან გამოგფიტავს.

გალაკტიონი ამ მხრივაც საოცრებაა - მან მთელი თხუთმეტი წელი იბრძოლა სიკედილთან და მარადისობასთან ახალი კონტინენტის დასაპყრობად.

ასე გახდა *„მარტოობის ორდენის კავალერი“* „აპოკალიპსის მძაფრი მხედარი“. შემდეგ მასაც ელოდა თავისი „ეპოქა“, როგორც პანობაღუს ზამა და ნაპოლეონს - ვატერლოო.

დიდი შემოქმედება მუდამ საოცრება იყო, რომლის ამოხსნა შეუძლებელია, მარად იდუმალი, შეიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

ასე, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ გალაკტიონის მოუღენას.

იგი არ გამოსულა ინტელექტუალური ოჯახიდან, როგორც სოლოვიოვი, ბლოკი ან ბელი. მამა თვალით არ უნახავს. დედა წერა-კითხვის მცირედ მცოდნე ქალი იყო, რომელიც სულ თავის გატუნიას ახსენებდა და მისი პოეზიის არაფერი გაეგებოდა.

დედას უყვარდა მწუხრის ჟამს ჩონგურზე დაკერა და ბავშვს ხსოვნასა და ლექსებში ჩარჩა ეს ნაღვლიანი მელოდია.

სემინარიაში ცუდად სწავლობდა და გარიცხეს. უნივერსიტეტში არ შესულა. არც კულტურის დიდ ცენტრებში უცხოვრია. სიჭაბუკეში ორჯერ ჩავიდა მოსკოვში და მაშინაც სარეჟისორო კურსებზე სწავლობდა!

თითქოს სტიქიურად ამართლებდა ვაინინგერის ნათქვამს - გენიოსია ის, ვისაც არაფერი უსწაველია და ყველაფერი იცისო!

მერეუკოესკი, ივანოვი, ანენსკი, ბრამსოვი, ბალმონტი, ბელი, ბლოკი დიდი ქრუდიტები და პოლიგლოტები იყვნენ.

ამ მხრივ გალაკტიონის მათ ვერ შეეძრება. მაგრამ ეს არც არა-
ფერს აკლებს.

ქვეყნად იმდენ დიდ პოეტს უცხოვრია, ახალგაზრდას რომ შეუ-
ლოს მათი ნაწერების წაკითხვა, კალმის ხელში აღებას ვერც გაბე-
დავდა.

მთელი ქართული ლირიკის შედევრების თითქმის ნახევარი გა-
ლაკტიონს ეკუთვნის. ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ განცვიფრება
და შიში გეიპყრობს – როგორ შეეძლო ადამიანს დაეწერა ისინი და
თუ დაწერდა, ცოცხალი დარჩენილიყო!..

იგი მართლაც დემონი იყო, რომელიც ბოქემის სამოსელს ატარებ-
და.

აკლდა კომუნიკაბელობა, ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა.

ვერც ტიციანს ეგუებოდა, ვინც პირველმა განადიდა მისი სახელი
და ქვეყანას ახარა, თუ როგორი პოეტი მოდიოდა რიონის ნაპირიდან.

მოგვიანებითაც უწერდა, ერთად ლაქებიან ჩვენი მამების კუბოს
ფიკარი და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებითო.

მაინც დამდურებულნი დარჩნენ...

ბოდლერის ალბატროსივით სივრცეში მიჰქროდა, მაგრამ მიწაზე
სიარულს გიგანტური ფრთები უშლიდა.

ბლოკმა თავისი ბიოგრაფია აქცია პოეზიად.

გალაკტიონის პოეზიაში ბიოგრაფია არ იკითხება, ხოლო სადაც
ეპოქა ასახა, იქ დამარცხდა როგორც ხელოვანი.

იგი სულის გრადაციის შემოქმედი იყო, იმ სულისა, რომელმაც
გამოელო ანტიკა, შუა საუკუნეები, პარიზი და თბილისამდე მოატანა.

არც სიმბოლიზმის ძირები აინტერესებდა, არც მისი ფილოსოფია.
არც ახალი ლექსის თეორია.

იყო ესთეტიური შემოქმედი და ლექსის ჯადოქარი, რომლის სულში
სამყაროს კოსმიური მუსიკა მღელვარებდა.

არ ჰგავდა მაღარმეს, ვალერისა და ელიოტს, რომლებიც ძლიერ
ცოტას წერდნენ და სიტყვას ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც ქი-
რურგი სისხლს.

36 წლისამ დაამთავრა პოეზია და თუმცა შემდეგ ხუთჯერ მეტი
დაწერა, აღარ ჰქონდა ქველბური შთაგონება.

მხოლოდ ათასში ერთხელ ეწვეოდა ვერატო ლირით ხელში. მაშინ
ცოცხლდებოდა მასში უარყოფილი სიმბოლისტი („ბოძთან ტრამეაის
უცდიდა მგზავრი“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „წარწერა წიგ-
ნზე „მანონ ლესკო“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“...).

გალაკტიონისათვის პოეზია სიმბოლიზმით დასრულდა.

ახალი სტილი არ უძებნია. უკუიქცა ტრადიციული ლექსისაკენ და

თუ ადრე იდვალად ვერღენი და ბლოკი ესახებოდა. ახლა მათი ადგილი აკაკი წერეთელმა დაიკავა.

ენატრებოდა, თავისი თავი ეხილა ქართული პოეზიის ხუთეულში. ვერც კი წარმოედგინა, რომ გაცილებით დიდი მელექსე იყო, ვიდრე ილია ან აკაკი.

იყო აკადემიკოსი, მაგრამ კოლეგებთან საუბარს სამიკიტნოში ყოფნა ერჩია. სახალხო პოეტის სახელს ატარებდა და ტრიბუნაზე იშვიათად აღიოდა. მაშინაც ცახცახი იპყრობდა და ხმა უთრთოდა. აღკოპოლი მცირე ხნით უწყნარებდა ნერვებს და სიმხნევეს პმატებდა.

გალაკტიონი ლომბროზოს პერსონაჟებს მოგვაგონებს ნეუროტიკული ბუნებით, შიშებითა და პალუცინაციებით, რასაც პოეტები ხილვას ეძახდნენ.

წლების მანძილზე დედაქალაქის ქუჩებში დადიოდა ნახევრად შეშლილი გენიოსი – წვეროსნის ნიღბით, მთვრალის პორტრეტით, ლენინის ორდენითა და ვეება, გაცვეთილი პორტფელით.

იყო „უღროობის გმირი“ და გახდა „უღროობის იანჩარი“. არავის დაუწერია ამდენი სუსტი ლექსი ბოლშევიკურ ეპოქაზე.

მან უსახური ძეგლი დაუდგა კოშმარულ დროს, სწორედ ისეთი, როგორც იყო ბოლშევიზმი.

მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო რამდენიმე ქალი. მაგრამ უყვარდა მხოლოდ ოლია ოკუჯაევა, რომელიც მაუხერით დადიოდა და გალაკტიონს აფრთხოვდა.

პირადი ცხოვრება ისევე მოუწესრიგებელი პქონდა, როგორც ნერეული სისტემა.

როცა მეორედ გადაასახლეს ოლია, ხოლო მისი ხუთი ძმა დახვრიტეს, გალაკტიონს პალუცინაციები მოეძალა და საბოლოოდ შეერყა ფსიქიკა. ფიზიკურადაც მოტყდა, დაქარგა ელევანტობა, ხალისი და ინტერესი.

ლექსებს მაინც არ ეშვებოდა, როგორც რინგს დროგადასული ჩემპიონი.

სიმბოლისტები „სიკვდილის პუსარები“ იყვნენ. ისინი დაღუპვისაკენ ისწრაფოდნენ, მაგრამ სასიკვდილოდ თავი მაინც არ ემეტებოდათ. მხოლოდ გალაკტიონმა აღასრულა თავისი საფიცარი პოეტების ტრაგიკული ანდერძი.

თვითმკვლევლობა იყო უკანასკნელი დიდი გაკვეთილი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა – „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოკვდები, როგორც პოეტს შეფერის“.

იგი დაიღუპა ისე, როგორც შეშვენოდა ვერღენისა და ბლოკის თანასწორ პოეტს – მარადისობის პალადინს.

დამარცხებული გელადი

გერმანიას შეფარებული გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა. მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს, რადგან პოლიტიკას ვერაფერს შეკმატებს და სულ ტყუილად დახარალებდა.

ნაპოლეონის თქმით კი – პოლიტიკა ბედისწერაა.

მიუხედავად ამისა, მაინც ჩათრეული აღმოჩნდა საუკუნის ორომტრიადლში, არა იმიტომ, რომ ძალაუფლებისაკენ იღვტვოდა.

იმასაც ამბობდა, სიმბოლოებით ჭარბი გატაცება ენებს და უსისხლოს ხდის ხელოვნებასო. მაინც აბსტრაქციებს, სიმბოლოებს უფრო ენდობოდა, ვიდრე ტკბილმწარე ცხოვრების სურათებს; იდეებსა და სიტყვებს იკვლევდა, ცხოვრების საზრისს ეძებდა მარადგანმეორებად სამყაროში.

არცერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მაგრამ როგორც ნიცშეანელსა და მითოსშემოქმედს, აღტაცებას ჰგვრიდა განსაკუთრებული, უჩვეულო პიროვნება. ვინც ატრიალებს ისტორიას და ბედისწერის ბორბალს.

ამიტომ იოლად იცვლიდა პოლიტიკურ სიმპათიებსა და კუშირებს. ამიტომ აღუვლენდა ხოტბას ეორდანიას (1920), ლენინს (1924), მექსოლინის და პიტლერს (30-იანი წლები).

ცისფერყანწელებმა – გრიგოლ რობაქიძემ და პაოლო იაშვილმა დაწერეს საუკეთესო სტრიქონები ოქტომბრის რევოლუციის პირსისხლიან ბელადზე.

თავადაც გამოირჩეოდა ძლიერი პიროვნული ნებით. ჰქონდა მტკიცე ნერვები. ქორული მზერა, ნაპოლეონის პროფილი.

ატარებდა შავ პარიკს, რომელიც მის ფერმკრთალ სახეს ახალგაზრდულ სხივს უნახავდა.

გრიგოლი ნოე ეორდანიას მთავრობის კანცელარიაში მუშაობდა უბრალო სტილისტად. ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, დააფასეს, პენსია დაუნიშნეს და ხელოვნების საქმესა კომიტეტი წააბარეს, როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას.

ბოლშევიკი კი არა, სოციალისტიც არ ყოფილა. მაგრამ იოლად



შეიქცა ახალ ხელისუფლებას, რომლის ლიდერებს ადრევე კარგად იცნობდა. მაგრამ 1924 წელმა შეუცვალა თეატლსაზრისი.

აკვისტოს აჯანყების დათრგუნვით გულშემრულმა დაწერა დრამა „ლამარა“. ხილო მომდევნო წელს – „გველის პერანგი“.

ამ ორი ნაწარმოებით რჩება გრიგოლ რობაქიძე ლიტერატურის ისტორიაში.

იგი ახალ ასპარეზს ეძებდა, რადგან საბჭოთა სიერცე მისთვის მიუღებელი ხდებოდა.

1927 წელს, როგორც მწერალთა უედერაციის თაემჯდომარის მოადგილემ და სანდო პიროვნებამ, მოახერხა გერმანიაში გამგზავრება.

იქ საკუთარი ხარჯით ცხოვრობდა.

1928 წელს, იენაში, სტუფან ცვაიგის წინასიტყვით გამოიცა მეკუღაინისა და ჩაკერტის მიერ თარგმნილი „გველის პერანგი“, რასაც აღშოთებით შეხვდნენ „რაპქელები“. ეს მაშინ, როცა ქართველ მწერალს რუსულად არავინ სცემდა, არათუ გერმანულად.

1928 წელს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, მონაწილეობდა ტოლსტოის საიუბილეო დღეებში, წერდა ბოლშევიკებისადმი მამებელ ნარკვევს – „ბაქო და ჰაიასტანი“. მაგრამ თეალი ისეე უცხოეთისაკენ ეჭირა.

იგი სამი სამყაროს შვილი იყო – ქართულისა, რუსულისა და გერმანულისა.

რუსულად წერდა, კითხულობდა ლექციებს, მეგობრობდა რუს კოლეგებთან, სწავლობდა რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში, უყვარდა რუსული კულტურა და 20-იან წლებამდე არც ნაციონალისტობით გამოირჩეოდა; როგორც პირველი, ისე მეორე ცოლი რუსი ჰყავდა, რომელთაც ქართული არ იცოდნენ. მაგრამ მისი იდეალი იყო გერმანული ენა და გერმანული აზროვნება, დაფუძნებული მითებსა და ანტიკურ სამყაროზე.

წლების მანძილზე სწავლობდა გერმანიაში და გოეთესა და ნიცშეს ენა კარგად იცოდა, თაყვანს სცემდა გერმანულ კულტურას, გერმანული სულის ძალმოსილებას.

აქედან იღებდა სათაევს მისი ჰეროიკა.

ამ სულისკვეთებით წერდა „ლამარას“, რომლის გმირული, წარმართული სული ეპოქის შესატყვისი აღმოჩნდა.

იგი ტრიუმფით იდგმებოდა როგორც თბილისში, ისე მოსკოვში.

მოსწონდათ სპექტაკლი სტალინისა და ორჯონიკიძეს.

იგი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც კავკასიონის ქედი გადაღაბა და დაძლია ნაციონალური ბარიერი.

გრიგოლმა სიტუაციით ისარგებლა და აბელ ერუქიძის მეშვეობით, ორი წლით, 1931 წლის 6 მარტს გერმანიაში გაემგზავრა.

თან ახლდნენ მეუღლე ელენე ფიადიკინა და ხუთი წლის ალა პოგორელოვა, ცოლის დისწული. მას შემდეგ მას საქართველო არ უნახავს.

ასე დაიწყო გერმანული პერიოდი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში.

1933 წელს იენაში გამოსცა გერმანულად დაწერილი რომანი „ჩაქლული სული“. ასეთი წიგნის ავტორს საბჭოეთში აღარც ჩამოესვლეზბოდა. ბოლშევიზმისა და სტალინის კრიტიკას არაეინ ამატიებდა.

როგორც ამბობენ, მან კიდევ ორი წლით ითხოვა უცხოეთში ყოფნის ვადის გაგრძელება. პასუხად ურჩიეს, ჯერ დაბრუნდი და შემდეგ ისევ გაგიშვებთო.

გრიგოლი აღარ ენდო ბოლშევიკებს. მაგრამ ხელისუფლებამ უწევულო მოთმენა იქონია და გადაწყვეტილება ნაჩქარევად როდი მიიღო.

როგორც გადმოგვცემენ, გრიგოლი ლავრენტი ბერიას გამო არ აპირებდა ჩამოსვლას. უთქვამს, ჩემს სიცოცხლეში პირველად მოხდა, რომ კაცს თვალი ვერ გაეუსწორე, ეგ ნამდვილი სატანააო.

ძნელია თქმა, სწორი იყო თუ არა გრიგოლის ნაბიჯი. ერთი მხრივ, იგი მოწყდა მშობლიურ მიწას და მისმა ემიგრანტობამ ზიანი მოუტანა „ცისფერიკანწელთა“ საქმოს, მეორე მხრივ, შემოქმედებითი თავისუფლება მოიპოვა. მაგრამ ალბათ ემიგრანტობას მაშინ აქვს ერისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა ხელოვანი თომას მანის მასშტაბის მოვლენაა, ან ლეჩინივით დაუცხრომელი პოლიტიკოსია.

ბოლშევიზმის ბანაკიდან გრიგოლი ნაციონალ-სოციალიზმის მხარეს გადავიდა. კაცობრიობა კი ორივე მათგანს გმობდა.

გრიგოლის მსოფლმხედველობა გაიჟღინთა სისხლისა და მიწის ლიტერატურის პეროიკით.

ნაციონალ-სოციალიზმი ციდან არ ჩამოეარდნილა.

იგი იყო გერმანული კულტურის ნაციონალისტური იდეების გადატანა პოლიტიკაში, ძველგერმანული და ტევტონური სულის აღზევება.

ეს ესთეტი და აბსტრაქტულად მოაზროვნე კაცი იქცა ქართველ ნაციონალისტად, ვისაც უნდოდა საქართველოს ლიდერად ეხილა ისეთი ზეკაცური უნარით ძალმოსილი პიროვნებები, როგორიც იყვნენ ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი.

ხოლო მოავარი სიძულვილის საგანი გახდა სტალინი. თავისი თანამემამულე, ვისი ინიციატივითაც დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ქვეყანა ისევ რუსეთს შეეერთეს.

ადრე გრიგოლს თუ ფუტურისტები და რაკეტები აკრიტიკებდნენ, 1935 წლის აპრილიდან დაიწყო სახელმწიფო კამპანია.

გადაუდგნენ გუშინდელი თანამოაზრენი და მოწაყენი – პაოლო, ტიცოიანი, ვალერიანი, ნიკოლო.

მათი ხელმოწერით გამოქვეყნდა პასკეილი „მნათობის“ ფურცლებზე (1935, № 4).

ლადო გუდიაშვილმა კარიკატურები დაუხატა, გუშინ რომ ღმერთკაცად მიიხსენებდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ძველი შულლი გააგრძელა.

1935 წლის 19 აპრილს გრიგოლი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, ჩამოართვეს საბჭოთა მოქალაქეობა, გამოაცხადეს მოღალატედ და ფაშისტად.

1987 წლამდე მის სახელს ტაბუ დაედო.

მაშინ, როცა მესამე რაიხიდან გარბოდნენ მწერლები, როცა გებელსი და როზენბერგი წვაგდნენ მათ წიგნებს, გრიგოლ რობაქიძე მეტ და მეტ ყურადღებას იხევედა.

ცხოვრობდა ბერლინში, ლექციებს უკითხავდა ქართველ ტყვეებს, წერდა და ბეჭდავდა, მუშაობდა საქართველოს გადარჩენის კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე იყო სპირიდონ კედია.

დიდი პოპულარობა მოიპოვა ესსეისტურმა ნარკვევმა – „ადოლფ ჰიტლერი“, რომელიც, თავად ავტორის ცნობით, 80 მილიონი დაბეჭდილა!

ფიურერზე დაწერილ წიგნთა შორის ჯარისკაცებისათვის ვერმახტი მხოლოდ ამ ნაწარმოებს აძლევდა რეკომენდაციას.

მას გულთბილად ეხმაურებოდა პანს იოსტი, იმპერიის მწერალთა თავკაცი.

„ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ სანიმუშო ესსეისტური პორტრეტებია, დაწერილი ზეღმტაცი მღელვარებით. ავტორი თითქოს თავის გმირებს ეტოქება მომწუსხველი სიტყვის თქმაში.

მწერალს, ისევე როგორც არაერთ ქართველ ემიგრანტს, გულწრფელად ეგონა, რომ ჰიტლერი სძლევდა სტალინს და საქართველოს თავისუფლება ეღირსებოდა.

მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკას ადევნებული მწერალი წაგებულია და ისჯება კიდევც.

იგი პოლიტიკოსი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკური ალღოც აკლდა.

ამისი დასტურია ის ფაქტი, რომ 1944 წლის 23 ოქტომბერს ვრცე-

ლი წერილით მიმართავს ჰაინრიხ ჰიმლერს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თავის ერთგულებას ფიურერისადმი, *რაიხის გიგანტური ბრძოლის შუაგულში ვდგავარო*", უმტკიცებს.

ეს მაშინ, როცა უკვე თითქმის ყველამ იცის, რომ კატასტროფა გარდაუვალაა.

გრიგოლმა გერმანიაში ცხრა წიგნი გამოსცა, მათ შორის რომანები - „ჩაკლული სული“, „მეგი“, „გრაალის მცველები“, „ქალღმერთის ძახილი“. ყველა მათგანი დანერვილია გერმანულად და გერმანული ლიტერატურის ნაწილია.

მწერალი ეკუთვნის იმ ერს, რომლის ენაზეც წერს.

ესეც არის ერთ-ერთი ასპექტი გრიგოლ რობაქიძის ტრაგედიისა.

იმ დროს, როცა საბჭოთა ჯარები მიადგნენ ბერლინს და მესამე რაიხის დედაქალაქში ქვა და რკინაც დულდა, გრიგოლი იქ იმყოფებოდა, იქ ელოდა სიკვდილს.

მხოლოდ 23 აპრილს გაიყვანა უცნობმა ქართველმა იგი და მისი ოჯახი შვეიცარიაში.

აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, მწერალი მას არსად არ ასახელებსო.

მაგრამ ცნობილია ასეთი ფაქტი:

კონსტანტინე გამსახურდიამ მწერლები მიიყვანა ილია თავაძესთან, რომელიც ოფიციალურად კურირებდა ეროვნული განძის დაბრუნებას პარიზიდან, გრიგოლ რობაქიძე და მიხაკო წერეთელი ჩარჩნენ ბერლინში და რაიმე უშველეთო.

შესაძლოა, ბერიას დავალებით იხსნეს ხანდაზმული მწერალი დალუპვისაგან. ეს ის დრო იყო, როცა ეროვნული განძი დააბრუნეს ემიგრანტებმა და სტალინს დროებით გული მოუღბა მათზე. ზოგს, მათ შორის ნოე ჟორდანიას, შესთავაზეს სამშობლოში დაბრუნება.

მალე სტალინი ჩვეული სისასტიკით გაუსწორდა შემორიგებულ ემიგრანტებს. ამიტომ ერიდებოდა გრიგოლი თავისი მხსნელის ხსენებას. იქნებ ამის გამო საბჭოეთში ხიფათს გადააჰყოფდა მისი კეთილისმყოფელი. მართლაც - გრიგოლის მხსნელი შალვა ოდიშარია მალე გადაიბირა საბჭოთა კონტრდაზვერვამ და იგი სიკვდილით იქნა დასჯილი, რაც ალბათ არ იცოდა გრიგოლმა.

მწერლის ბინა ბერლინში არ დანგრეულა. საგრძნობლად კი დაზიანდა, მაგრამ პატრონისათვის სამუდამოდ დაიკარგა.

გრიგოლმა მძიმედ განიცადა გერმანიის კატასტროფა.

მან დაჰკარგა უკანასკნელი იმედიც, რომელსაც ისე უფროთხილდებოდა, როგორც ნაადრევად დალუპული ერთადერთი შვილის - ალკას სახელს.

დაეწყო დეპრესიები, გაუძლიერდა მელანქოლია და ნევრასთე-

ნია, მტკიცე ნერვებს სისუსტე დაეტყო. ერთხანს დეენის მანიაჰ
შეიპყრო.

წიგნებს არ უცემდნენ, პრესა კარს არ უღებდა, ლექციებს არ
აძლევდნენ. უსახსროდ დარჩენილი შვეიცარიის საქველმოქმედო დახ-
მარებით არსებობდა.

აკაკი პაპავას სწერდა: „*ცოცხალნიც დაკარგული ვართ ერთმანეთისთვისო*“-
ბოლშევიზმს გამოექცა. ამიტომ საბჭოთა კავშირში დახვრეტა ან
ციმბირი არ ასცდებოდა; ნაციონალ-სოციალიზმის ციტადელი დაინ-
გრა და კინლამ ქვეშ მოიყოლა. არავეს ახსოვდა, რომ ემიგრანტი იყო
და ბოლშევიზმს ამხელდა.

სამაგიეროდ არ უვიწყებდნენ, რომ პიტლერისა და მუსოლინის
მაქებარი იყო.

ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ელენე ფიალკინას დამბლა დაეცა,
მეტყველებისა და მოძრაობის უნარი დაკარგა.

შეიდი წლის მანძილზე გრიგოლი, როგორც მოწყალების და, ისე
უელიდა ლოგინად ჩაუარდნილ ქალს...

მისი გაზრდილი ალა პოგორელოვა გათხოვილი იყო, შორეულ
ავსტრალიაში ცხოვრობდა და არც უნახავს დეიდის საფლავი.

მარადიული პრობლემები აღელვებდა და მიწიერი საზრუნავის
მსხვერპლი ხდებოდა.

ლიტერატურას თავი ომამდე დაანება, მხოლოდ ესსეებს წერდა.
მაგრამ ძველი მრწამსის ერთგული დარჩა. ისევ რასა, სისხლი, მიწა,
მითოსი და ხალხი იყო განსჯის საგანი.

მარტოობისა და მდუმარების ყინული კი უფრო და უფრო პირს
ჰკრავდა. მაინც კერპობდა მოხუცი, იმედს არ თმობდა, არ გაგვიმე-
ტებს ჩვენ მიწა ქართულიო, ასე სჯეროდა.

იგი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, თავისი პოტენციით სახელ-
მწიფო მოღვაწე და ერის ლიდერი უნდა ყოფილიყო, არა პოეტი ან
პროზაიკოსი.

ამიტომ რჩება ჩვენს ისტორიაში როგორც კიდევ ერთი „*ჯღეროების
გმირი*“.

მას არ ჰქონდა ლირიკოსის ტემპერამენტი. ამიტომ არაიშვიათად
ცდებოდა ლექსისა და პოეტის შეფასებისას.

ყველგან ხომ საზრისს ეძებდა და არა განცდას და გრძნობას.

და ამ ბელადად დაბადებულ კაცს სიკედილის წინ ხელთ აღარა-
ფერი შერჩა – აღარც სახელი, აღარც წიგნები, აღარც ქართული
მიწა.

მუხთალმა ჟამმა ყველაფერი წაგლიჯა...

სასოწარკვეთილი მოხუცის ბოლო ნატერა იყო:

„როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთაში, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს“.

ეს ანდერძი აღუსრულდა ერთ დროს მისმა ანტაგონისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

უკანასკნელ გზაზე გრიგოლის ცხედარს მხოლოდ რვა კაცი მიჰყვებოდა.

დაკრძალეს ქენევაში, ელენეს გვერდით. მოგვიანებით კი მისი ფერფლი მიაბარეს ლეივლის მიწას, სადაც განისვენებენ სამშობლოდან განდევნილი პირველი რესპუბლიკის მესვეურნი.

გრიგოლი ბედითაც კგავს მერეუკოვსკის:

საუკუნის დასაწყისში მერეუკოვსკი მთელს ევროპაში სახელგანთქმული მწერალი იყო, ტოლსტოის, სტენდალს და ანატოლ ფრანსს აღარებდნენ, ხოლო 30-იან წლებში, სიცოცხლეშივე, ემიგრაციაში მყოფი დაიწვევბას მიეცა.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძე – პიროვნება, ერედიტი, მოაზროვნე და ორატორი უწყველო მოელენაა.

ისტორიასა და თაობათა მეხსიერებაში მხოლოდ წიგნებით როდის ცოცხლობენ.

„მე – თანამგზავრი მკვლარი ფოთლევის“

ქართული პოეზია თითქოს ელოდა ასეთი ხალოსის გამომჩენას. მაგრამ, ბედის ირონიით, იგი სწორედ მაშინ უნდა მოსულიყო, როცა მისთვის ადგილი აღარ იქნებოდა.

მძლავრი სოციალური მიმოქცევის ჟამს ტერენტი გრანელის მწუხარე, უსაზღვრო სევდითა და კაეშნით აღსაესე ლექსები მოჰგაედა გრიგალში მოფარფატე ატმის ყვაეილებს.

ტერენტი გრანელი ფედერალისტი იყო, ფედერალისტების პრესაში თანამშრომლობდა წალენჯიხელის ფსევდონიმით. მაგრამ არც პოლიტიკას გაჰყოლია, არც პუბლიცისტიკას.

იგი აღრევე გაიტაცეს პოეზიის ბნელმა ქარებმა.

ხომ იყო დიდი პესიმისტი დავით გურამიშვილი. „მკლე კაცთან“ მოდავე და უფლის მადიდებელი. მაგრამ მის მიძიმე განწყობილებას ასხივებდა ქრი სტიანიული ღმერთისადმი რწმენა. ხოლო ტერენტი გრა-



ნელი ის პოეტი, რომელმაც დაკარგა ღმერთიც, სამშობლოც, კაციც და საფლავების ლოდებს შერჩა.

იგი იყო დამარცხებული საქართველოს გლოვის მუსიკა, სამარიდან ამოსული აჩრდილი, სისხლიანი სულით ცისკენ მაცქერალი, ყველაზე დაწყვეტილი დეკადენტი ჩვენს მწერლობაში, არა მხოლოდ ლექსებით, ცხოვრების წესითაც.

თვითმკვლელობაზე ფიქრი ბევრთათვის ლამაზი არტისტული ჟესტი იყო, ხოლო ტერენტი თავად იჩქაროდა სიკვდილისაკენ.

ასეთი განწყობილებითაა შთაგონებული მთელი მისი ლირიკა, სადაც იშვიათად გვხვდება მიწიერი სიცოცხლის მაუწყებელი სიტყვები – სული ელტვის ზეციურს, არამატერიალურს, რომელიც ქარსა და მუსიკაში განხორციელდა.

იგი იყო „ღრუბლების პრინცი“, მაგრამ ბედის განაჩენით მიწაზე ცხოვრობდა, როგორც სწული მაწანწალა.

სვედით დაბინდული მისი მზერა ქვეყანას მხოლოდ სამ ფერად ხედავდა – შავად, თეთრად და ცისფრად.

ცისკენ მაცქერალს არ შეუნიშნავს ცისარტყელის შვიდი ფერი, რადგან სამყარო მის ფიქრებში იყო დანთქმული.

სასოწარკვეთილი კაცის ხმა მოგვესმის ამ სტრიქონებიდან: „ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხვდავ შორეული ყვავილებიც ხმებთან, სამარისკენ აცილებენ ცხვარს და მუსიკის მგლოვთარე ხმებია“, „რანაირი ნაწამები მივალ, მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები“, „მშვიდობით, ჩემო ახალგაზრდებო, მე სამუდამოდ გემშვიდობებთ“ –

ტერენტი გრანელის პესიმიზმს მრავალი წყარო კვებავდა – ნერეული ფსიქიკა, ბიოგრაფია, არეული დრო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ასეთივე განწყობილება სუფევდა დეკადენტებისა და მოდერნისტების ნაწერებში.

სამეგრელოს ნისლეებიდან, ჭაობებიდან, ლაქაშებიდან წამოსულ ჭაბუკს, მაღარიითა და ციებით დასუსტებულ მის ნერვებს ახალი პოეზიის ბნელი გრიგალი ეკვეთა.

გალაკტიონი, შემოდგომისა და დაღლილობის პოეტი, უეჭველად იყო გრანელისათვის ლექსის მეტრი, რომელმაც იგი თავის ფარვატერში მოაქცია. მაგრამ ტერენტი გაჰყვა ელვით განათებულ ბილიკს უფსკრულისაკენ, სადაც გადაჩეხვა ზეცისკენ გაფრენად წარმოედგინა.

“Завлечь - одно мне осталось” -

გულმოკლეული იმეორებდა ბლოკის სტრიქონებს.

ამ კაცს, ვინც ზამთარში პერანგით დადიოდა, საყხულში კი პალტოთი, პქონდა ლექსისა და სიტყვის საოცარი გრძნობა, რომელსაც ვერ შეგძენს ვერცერთი აკადემია.

ამიტომ წერდა ასეთი სიტყვებით:

*„და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან
მე ეიხელები, როგორც იესო“.*

სიმბოლისტი იყო და ღამე აშინებდა.

ციხეში შორეთს ეტრფოდა და ტალახში ეცემოდა.

ოცნებაში მთელ სამყაროს ფლობდა და კიბისქვეშ კედებოდა. როგორც ფიროსმანი.

არ აქონდა ფული. სამსახური, ტანსაცმელი, არ აქაედა არც ცოლი, არც შეყვარებული. ღუგუშების გარდა არაფერი გააჩნდა.

დადიოდა თბილისის ქუჩებსა და სასაფლაოებზე, როგორც დამსხვრეული საქართველოს შეშლილი ძეგლი.

შიშშილითა და სიცივით გაწამებულს ეჩვენებოდა, რომ თავში გველი აქაედა და რომ მამამისი ნიცშე იყო.

იცხოვრა და მოკვდა ისე, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჰემის მონოლოგის“ პერსონაჟი.

თითქოს მასზე ეთქვას გალაკტიონს:

*„გუერა მე შენი ძმობა,
შენი შეშლილი ფერი“.*

ოცდახუთი წლის დაიწყოების შემდეგ გაიხსენეს და გადაფურცლეს ბოლშევიკური ტანკით გასრესილი მისი მგლოვიარე ღუგუშები.

როგორ დახვრიტეს ტიცვიან ტაბიძე

ტიციან ტაბიძემ სიცოცხლის უკანასკნელი თვეები შინსახკომის ჯურღმულში გაატარა. ამ პერიოდს გეაცნობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ნაწილის საქმე № 10. 817. იგი შედგება 212 ფურცლისაგან. შედგენილია რუსულ ენაზე და მოიცავს ტიცვიანის ე. წ. მაქნებლურ მოქმედებათა ძიების პროცესს.

როგორც ვიცით, საკაეშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინმა სახელმწიფო ტერორი გამოაცხადა. საბჭოთა კავშირი ისედაც ერთი უსარმაზარი საპურობილე იყო, მაგრამ ამჯერად დაიწყო ტოტალური წმენდა, განუკითხავი ნადირობა ადამიანებზე.

პარტიის მითითებით კიდევ უფრო გააქტი-



ურდუნ საგამომძიებლო და დამსჯელი ორგანოები. საეჭვოდ მიჩნეულ მოქალაქეთა დამუშავებას ჰქონდა ორი ფორმა - ფარული (ცეკასა და შინასაკომში) და ღია (კრებებსა და პრესაში).

ორივე მათგანი პარალელურად მიმდინარეობდა. მაგრამ მათზე ან მათ კავშირზე ეჭვმიტანილს წარმოედგენა არ ჰქონდა.

მხოლოდ ბოლო მომენტში საბედისწეროდ გადააქვეთდა ეს ორი ხაზი ერთმანეთს. განაჩინოვ წინასწარ იყო გამოტანილი. მაგ., ტიციანის დახვერტას 22 ნოემბერს ხელი მოაწერეს სტალინმა, მოლოტოვმა და ჟდანოვმა. „ტროიკის“ სხდომა კი 15 დეკემბერს შედგა!

* * *

თითქოს ჩვეულებრივი გზით მიდიოდა ცხოვრება. გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ეწყობოდა განხილვა და საღამოები. საბჭოეთი ზეიმობდა პუშკინის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღებს. ემზადებოდნენ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. პროპაგანდისტულ ხმაურს უნდა ჩაეხშო განწირულთა ხმა.

1937 წლის 15 მაისს საქართველოს კომუნისტთა X ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ლავრენტი ბერია.

ერთი მხრივ, იგი ლაპარაკობდა საბჭოთა საქართველოს არსახულ მიღწევებზე, მეორე მხრივ, - მთელს რისხვას თავს ატეხდა ტროცკისტებს, მავნებლებს, სხვადასხვა ჯურის ბანდიტებს - ძირითადად ინტელიგენციას. მწერალთაგან განსაკუთრებული სისასტიკით მსჯელობდა პ. იაშვილის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის, ტ. ტაბიძის შესახებ.

მანამდე ხომ უკვე მოასწერეს არაერთი მწერლის რეპრესირება. ახლა სხეუბის ჯერი დგებოდა.

* * *

მარტის პირველ რიცხვებში ტიციან ტაბიძემ საღამო გამართა მოსკოვში. მონაწილეობდნენ - გოლცევი და პასტერნაკი, ფადეევი და ანტოკოლსკი, რაფაელ ალბერტი და სეეტლოვი, ვურლუნი და ნარიანი.

11 მაისს, საქართველოს მწერალთა პლენუმზე, ე. გორდელაძე (ცეკას განყოფილების გამგე) აკრიტიკებს ტიციანსაც, ბუღუ მდივნისა და პეტრე აღნიაშვილის გავლენის ქვეშ მოექცაო.

20 მაისს ტიციანი ქუბით ასხენებს ბერიას და გამოდის ცალკეულ რეპრესირებულ მწერალთა კრიტიკით.

X ყრილობის შედეგების განხილვაზე პოეტმა თავის შეცდომად მიიჩნია ხალხის მტრებთან მეგობრობა.

20 ივლისს სხვა მწერლებთან ერთად ხელს აწერს წერილს „დაუზოგველად მოესპოთ სამშობლოს მოღალატეები და ჯაშუშები“ (ტუხაჩევსკის, იაკოვისა და სხვათა დახვერტის გამო).

ტიციანი არა მხოლოდ პოეზიით, მოქალაქეობრივი აქტივობითაც ბოლშევიკური ხელისუფლების გვერდით იდგა:

5 იენის სიტყვით გამოდის მწერალთა კაეშირში გამართულ ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსის განხილვაზე, 10 იენისს – თავდაცვის საბჭოს სექციასზე, 10 სექტემბერს – ალიო მაშაშვილის „ენგურისა“ და 14 სექტემბერს – ილიას ლექსების თარგმანთა განხილვაზე.

მაგრამ საბუდისწერო და გადამწვევტი აღმონდა ტიცინანის განუჩრელი მეგობრის პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა (22 ივლისი).

ამის შემდეგ ბერია კატეგორიულად მოითხოვდა ტიცინანისაგან – დაწერე, რომ პაოლო უცხოეთის ჯაშუში იყო. მოსაფიქრებლად ორი თვე მისცა. სერგო კლდიაშვილი და სიმონ ჩიქოვანი ურჩევდნენ, დაწერე, თორემ დაიღუპებიო.

ტიცინანმა არ შეასრულა ბერიას დაეალება, ვერ შებღალა თავისი სინდისი და მეგობრის სახელი.

შედგე:

30 სექტემბერს „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს გიორგი ნატროშვილის პასკვილს – „პოლიტიკური გახრწნის ჭაობში“.

8 ოქტომბერს ტიცინანი მწერალთა კაეშირიდან გარიცხეს. პრეზიდენტის სხდომას თავად პოეტიც ესწრებოდა. ხოლო გვიანი ღამით დააპატიმრეს.

ამ გარეგნულ ფაქტებს განსაზღვრავდა წყალქვეშა მდინარება, ცუკას მითითებით შინსახკომის ჯურღმულეებში მიმდინარე პროცესი.

პოეტი ისევ გატაცებით წერდა ხალხთა მეგობრობასა და საბჭოთა საქართველოს აღმასვლაზე, თითქოს გარშემო არაფერი იცვლებოდა.

* * *

შინსახკომში კი ნაწამები პატიმრები ცრუ და დამლუპველ ჩვენებებს იძლეოდნენ:

27 მარტს ლიდა გასვიანი (დაპატიმრებაზე – სახელგამის განყოფილების გამგის მოადგილე) ასახელებს ტროცკისტული და ფაშისტური ორგანიზაციის წევრებს (კ. გამსახურდია, კ. ჭიჭინაძე, მ. ჯავახიშვილი, ალ. აბაშელი...). ხოლო 3 აპრილს აცხადებს, რომ ა. აღნიაშვილის განკარგულებით გამოიცა ტიცინანის ლექსების წიგნიც, რომელშიც ჩართულია ლექსები გრ. რობაქიძეზე, ბ. ლომინაძესა და ნ. დუმბაძეზე. ეს იყო პირველი სიგნალი. გრიგოლ რობაქიძე – ტიცინანის მასწავლებელი და მეგობარი, ფაშისტურ გერმანიაში დარჩა და ფაშისტად მიიწინოდა. ხოლო ლომინაძე და დუმბაძე ტროცკისტები, ე. ი. ხალხის მტრები იყვნენ. მათთან სიახლოვე და მათი მფარველობა პოეტს მძიმე დანაშაულად ეთვლებოდა.

3-5 აპრილს გიორგი ელიაეამ (დაპატიმრებაზე – ბაქტერიოლოგიისა და

ბატეროფაგის ინსტიტუტის დირექტორი) ჩეყნება მისცა, რომ საფრანგეთის გუნშტაბს აგენტურის ქსელი ჰქონდა საქართველოში, რომ მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა ტიცვიანი (სხვებთან ერთად). იგი დავალებას იღებდა საფრანგეთის დაწვერვისაგან, რათა თვალი ედევნებინა საქართველოში ანდრე ჟიდისათვის, გავერცელებინა მწერლობაში ფრანგულის გაელენა.

ფაშისტობას და ტროცკისტობას დაერთო ჯაშუშობის ბრალდებაც!

21 მაისს ბუღუ მდივანი (*დაპატიმრებამდე - საქართველოს სახომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*) მიუთითებს, რომ გასვიანმა მისი დავალებით ტერორისა და დივერსიისათვის სხვა მწერლებთან ერთად ჩაითრია ტიცვიანი.

როგორც ვხედავთ, ტიცვიანი ტერორისტიც ყოფილა!

12 ივნისს დავით წერეთელი (*დაპატიმრებამდე - ლიტონდის დირექტორის მოადგილე*) უჩვენებს, რომ ტიცვიანიც ანტისაბჭოურად არის განწყობილი. მსჯელობს აუტანელ პარტიულ რეჟიმზე, აკრიტიკებს ბერიას, ამბობს, რომ არ არის შემოქმედებისათვის საჭირო პირობები, რომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და გააგდონ ბერია.

14 ივნისს ძველმა „ყანწელმა“ ნიკოლო მიწიშვილმა (*დაპატიმრებამდე - „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების რედაქტორის მოადგილე*) კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის წვერებად დაასახელა მრავალი მწერალი, მათ შორის - ტიცვიანიც.

20 ივნისს დავით წერეთელმაც განმეორებით ჩვენებაში კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის წვერებად მიიჩნია არაერთი მწერალი. ხოლო ტიცვიანზე თქვა, იგი იმიტომ დაჰყეებოდა ანდრე ჟიდს, რომ მისთვის „ნამდვილი“ ინფორმაცია მიეცა საქართველოს შესახებო. ამიტომ უკმაყოფილო ყოფილა ჩეკისტების თანხლების გამო.

28 ივნისს არჩილ მიქაძე (*დაპატიმრებამდე - საქართველოს „წითელი ჯერის“ ცკას თავმჯდომარე*) გამოყოფს ტიცვიანს, მიხვილ ჯავახიშვილსა და პაოლო იაშვილს. ეიდი რომ ევროპაში საბჭოეთის ლანძღვით გამოვიდა, ეს ტიცვიანის ბრალიც არისო.

2 აგვისტოს დავით ლომინაძემ (*კუჩი, ბესარიონ ლომინაძის ძმა*) აღნიშნა, ტიცვიანიც თვლიდა თავის მფარველად ჩემს ძმასო.

წრე თითქოს შეიკრა და ტიცვიანსაც პატიმრის ხელბორკილი ელოდა. ჩვენებებში განუწყვეტლივ ტრიალებს ერთი და იმავე პირთა სახელები (ტიციანი. პაოლო, ჯავახიშვილი, ლეონიძე, გამსახურდია, მიწიშვილი...).

სიტუაცია უფრო და უფრო დამძიმდა.

4 ოქტომბერს გერმანე მგალობლიშვილმა (დასტიმრებაჲ - საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე) ტიციანისადმი წაყენებულ ბრალდებას ახალიც დაამატა - კულაკურ-ბურჟუასიული და აზნაურული სამყაროს იდეოლოგობა, ყვერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების სურვილი, რაც შოვინიზმად მოინათლა!

9 ოქტომბერს პაულე საყვარელიძემ (დასტიმრებაჲ - „ფელერაციის“ განყოფილების გამგე) ტიციანი ფაშისტურ-ნაციონალისტური ჯგუფის აქტიურ წევრად დაასახელა.

იმავე დღეს, შინსახკომის დადგენილებით, რომელიც დაამტკიცა სახალხო კომისარმა გოგლიძემ, გაიცა ტიციან ტაბიძის (მცხოვრები გრიბოედოვის ქ. № 18) დაპატიმრების ორდერი № 1. 344.

პოეტი დამნაშავედ იქნა მინჩეული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 და 11 მუხლით. განესაზღვრა ცალკე კამერაში ყოფნა. ორდერი მიიღო ლეიტენანტმა კრიშიანმა, 11 ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწემ. მანვე ჩაატარა პოეტის ბინის ჩხრეკა.

დადგენილებას ხელს აწერს IV განყოფილების უფროსი ქობულოვი, ერთვის „Справка“ გრიფით „Сов. секретно“:

Табидзе Тициан Григорьевич - поэт. Показанным Мишишвили, Мьякдзе, Джавахишвили, Церетели, Гасвиания и др. изобличается как активный участник к-р националистической и террористической организации.

Нач. 4 отдела УТБ НКВД

ГССР Кобулов

9 октября 1937 г.

(მ. ჯავახიშვილის ჩვენება ტიციანის საქმეს არ ერსოვის).

პოეტის ქალიშვილი ნიტა (ტანიტ) ტაბიძე იგონებს:

„ღამის ორ საათზე მანქანის ხმა მომესმა დღლას და მამას არაფერი გაუღიათ, მკვდრებივით ებინათ. კარი გაეღო ოთხნი იფნენ ტიციან ტაბიძე აქ ცხოვრობსო, - მკითხეს და ქალადლი მაჩვენეს, - დაკითხუაზე უნდა წაეფანანოთო. მამა გაეაღვიძე მახსოვს, აქ ამ საეარძელში იჯდა ბელები ისე უოროთოდა, სიგარეტს ვერაფრით მოუკიდა. ისინი სახლს ჩხრეკდნენ. წაიღეს ფიროსმანის მიერ დახატული რუსთაველი, მამას პორტრეტი და ანდრეი ბელის ნაიუქარი „დრევა თხნი“, რომელიც მე დამიტოვა პოეტმა ბელის ნაიუქარს არ ვატანდი. ერთმა მოთხრა, - მამა მიგვყავს და ამას ზიოო? უნდა ითქვას, რომ ჩეკისტები მკაცრები არ ყოფილან ჩვენს მიმართ, ნიეთებიც არ დაუღუქათო.

3 საათზე სახლის ჩხრეკას მოჩინენ“.

პოეტი ორთაჭადლის ციხეში მოათავეს.

მეორე დღეს, 10 ოქტომბერს ტიციანმა წითელი მეღლით შეაეკსო პატიმრის ანკეტა და ხელი მოაწერა.

14 ოქტომბერს გ. დარახველიძემ „დაახსენსტა“, რომ გერმანე მგალობლიშვილი თანამშრომელთა შორის ტიცვიანსაც ასახელებდა.

ამის შემდეგ, 10 დეკემბრამდე, საქმე № 10. 817 დუმს. არაფერი ვიცით, როგორ მიდიოდა ძიება ან თუ გრძელდებოდა საერთოდ.

პოეტი ცალკე კამერაში იყო მოთავსებული. როგორც 1954 წლის ივნისში დაკითხვის დროს აღიარა ჩეკისტმა ვახტანგ არხანიოვმა, კრიშტიანი სასტიკად აწამებდა ტიცვიანს, რათა იგი გამოტყვილიყო როგორც რომელიმე ორგანიზაციის წევრი.

ერთიანი წაშების შემდეგ, 10 დეკემბერს გაფორმდა ტიცვიან ტაბიძის *(დაპატიმრებამდე – საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი)* დაკითხვის ერთადერთი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ შინსახკომის IV განყოფილების VI ქვეგანყოფილების უფროსი ქადაგიშვილი და ოპერწმუნებული პანკოვი.

ყველა ფურცელს ხელს აწერს ტიცვიანიც.

დაკითხვის ოქმში პოეტი აღნიშნავს, რომ იგი იყო „ცისფერი ეან-წების“ წევრი, რომელსაც ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული, ფაშისტური ხასიათი ჰქონდა. მას ხელმძღვანელობდნენ – ტიცვიანი, პაილო და გრიგოლ რობაქიძე. ხოლო მათ იღებებს იზიარებდნენ – ყალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ალი არსენიშვილი, რაჭდენ გუგუჩიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ივანე ყიფიანი, გიორგი ლეონიძე.

ჯგუფი ოფიციალურად მოქმედებდა 1928 წლამდე, ფაქტიურად კი არსებობდა ბრალდებულის დაპატიმრებამდე. ზოგიერთი წევრი, მაგ., გრ. რობაქიძე, ეწეოდა ფაშისტურ მოღვაწეობას. მას ტიცვიანისა და პაილოს დახმარებით მიუღია ვიზა და წასულა გერმანიაში. მასთან მიმოწერა პქონიათ პაილოს, ტიცვიანსა და ნიკოლო მიწიშვილს. მათ მიუციათ გრიგოლისათვის დავალება – გერმანიაში ფაშისტ ლიტერატორებთან კავშირი დაემყარებინა, რაც გაუკეთებია კიდევც.

ბოლოს, როცა ტიცვიანს გრიგოლისაგან მიუღია დაუბრუნებლობის წერილი, ტაქტიკური მისაზრებით მასთან კავშირი გაუწყვეტიათ.

შემდეგ ტიცვიანი „პასუხობს“, რომ გრიგოლი დაახლოებულია ფაშისტური მთაქრობის წევრებსაც – არ ახსოვს, ვის. ფაშისტების გავლენის ფაქტ: 1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილი სისხლს იხინჯავდა თაყისი არიული წარმოშობის დასამტკიცებლად (!).

ტიციანი „აღიარებს“, რომ თურმე მასაც უცდია შეექმნა საბჭოთა კავშირში კონტრრევოლუციონერ მწერალთა გაერთიანება. ამ მიზნით დაკავშირებია პილნიაკს, პასტერნაკს, ტიხონოვს, პავლენკოს, ზაბოლოცკის, ტინიანოვს, ჩარენცს, ისააკიანს, შირვან-ხადუს, ლემირკიანს.

ბაჟანს, ტინისას, რილსკის, პერვოსასკის, კორნეინუკს, კელსკს, კორილესკოს, დეს კურბასს.

ესენი თარგმნიდნენ და ბეჭდავდნენ ქართველ ნაციონალისტთა ნაწერებს. თითქოს ტიციანი, პაოლო, მიწიშვილი, გაფრინდაშვილი, დეონიძე და გაეგადე იყვნენ საგამომცემლო საქმის მონაპოვლისტები და ასე ნიღბავდნენ თავიანთ კონტრრევოლუციურ მუშაობას, იკრებდნენ ახალგაზრდებს.

პოეტი „თხსენებს“. რომ ადრევე იყო ნაციონალისტი. 1928 წლიდან თანაუგრძნობდა ფაშიზმს, ხოლო 1933 წელს დაეთანხმა პარლოს, რომ ეყოფილიყო კონტრრევოლუციური, ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციის წევრი.

ნამოთველილია წევრებიც — ა. ახმეტელი, მ. ჯავახიშვილი, ნ. მიწიშვილი, დ. შვედარნაძე, კ. ჭიჭინაძე, ი. მისაშვილი, ქუთათელი, გ. დეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ბაა'ხოვი და დახასიათებულია ყოველი მათგანი.

თურმე მათ რწმენას იხიარებდნენ — კ. გამსახურდია, ა. ჭუმბაძე, კ. ნადირაძე, ლ. მეტრეველი, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. ვაკელი, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, რ. გვიქიაძე, გრ. ცეცხლაძე, ყველანი ერთად ქადაგებდნენ მავნე იდეებს.

მისანი ერთი იყო — ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წყობილების რესტავრაცია, საამისოდ მიმართავდნენ შპიონაჟს, დივერსიას, ტერორს!

ტიციანი უარყოფს თავის ტერორისტობას, კავშირს ღიდა გახეიანთან, რომელმაც თითქოსდა თავის ჯგუფში შეიყვანა პოეტი.

გამომძიებელი ყეითხება, თუ რით აიხსნება მისი კავშირი ჯიქიასთან, მდუყანთან, აღნიაშვილთან. ტიციანი აღიარებს, რომ მათთან მქონდა კონტრრევოლუციური საუბარი, მაგრამ მათი ორგანიზაციის წევრი არ ვუფილვარო.

ასევე უარყოფს შპიონაჟში მონაწილეობას. თუმცა შენიშნავს, პაოლომ ორჯერ გაძხადა თავისი ჯაშუშობის მონაწილეო.

ეკითხებიან ბალტრუშაიტისზე, რომელიც იყო ლიტვის ელნი სსრკ-ში (ჯნობილი პოეტი). ტიციანი ადასტურებს, სტუდენტობიდან ვიცნობ ბალტრუშაიტისს, 1934 წელს მასთან ვიყავი მოსკოვში, მაგრამ შპიონაჟით არ ეყოფილვარ დაკავშირებული.

გთორგი ელთაიას ხეუბებით, მან პოეტი 1936 წელს წაითრია ყრანგების დახვერვაში სამუშაოდ, რადგან უნდა წამოსულიყო ანდრე ჟილი (ნობელის პრემიის მიმავალი ლაურეატი).

ამ ფაქტს უარყოფს ტიცვიანი, თუმცა ამბობს, ელიაშას ვიცნობდით. როგორც ვხედავთ, პოეტი ბრალდებათა საკმაო ნაწილს არ ღებულობს, რაც ვმბრობად უნდა ჩაითვალოს.

გამოძიებას ხელთ ქონია სხვა მასალებიც, ალბათ, აგენტურის მონაცემები, რაც საქმეს არ ახლავს. ტიცვიანსუ დოსიე ხომ ადრევე იქნებოდა შედგენილი. ხოლო 1937 წელს ახალი ინფორმაციებით შეივსებოდა და ძიება მხოლოდ პატიმართა ჩვენებებს არ დაყრდნობოდა. შინსახეობი უეჭველად შეამოწმებდა, თუ როგორ იქცეოდა ექვმიტანილი. თუნდაც 1937 წლის მარტიდან ოქტომბრამდე. მაგრამ ბევრი რამ, ალბათ უეიცობის გამო, გამორჩენიათ ქართველ, რუს და სომეხ ჩეკისტებს.

მაგალითად, ტიცვიანის ცნობილი ანტისაბჭოური სტრიქონები – „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ალბათ ჩვენც სადმე ჩავვაძაღლებენ“, „ამბანაგებო, თუ ღრმადღეუში ჩენი თავებიც სადმე დაგორდეს“... მათსუ ბრალდებაში არაფერია ნათქვამი. რომ სცოდნოდით, ვინ დამალაედა. ასევე არ იხსენიება ტიცვიანის ანტიბოლშევიკური წერილები, რომლებიც დაბუჭდილია 1917-1921 წლების პრესაში. არ არის ახსნილი, თუ რატომ განადიდებდა კომუნისტურ ხელისუფლებას, სტალინსა და ორჯონიკიძეს, რატომ დაწერა სოციალისტური საქართველოს საქებარი ამდენი ლექსი.

მართალია, ტიცვიანი ხელს აწერს თავისი ჩვენების ყოველ გვერდს, მაგრამ იგი ხომ საბჭოთა ციხის პოლიტპატიმარი იყო, თანაც – 1937 წელს, როცა არნახული სისასტიკით ეპყრობოდნენ პატიმრებს, რათა მიეღოთ სასურველი ინფორმაცია. როგორც არაერთი წყარო ადასტურებს, ჩეკისტი გამომძიებლები პარტიული ლიდერების კარნახით თავად თხზავდნენ ამ აბსურდულ საქმეებსა და ვერსიებს. ქანცმილეული, მომაკედავი პატიმრები ხელს აწერდნენ ყველაფერზე. დაკითხვა ფიქსირდებოდა მაშინ, როცა ბრალდებული ფიზიკურად და ფსიქიკურად დამუშავებული იყო.

ამიტომ არსებობს ტიცვიანის დაკითხვის ერთადერთი ოქმი. ისიც შედგა დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ, დახურეტის წინა დღეებში.

გამოძიების „დამთავრების“ შემდეგ საქმე გადაეცა პროკურატურას. საბრალდებო დასკვნა თარიღდება 14 დეკემბრით და ამტკიცებს სახალხო კომისარი გოგლიძე, რომლის ძმას, ცნობილ მოჭადრაკეს, აღფრთოვანებულ ლექსს უძღვნიდა პაოლო იაშვილი.

დასკვნას ხელს აწერს IV განყოფილების VI ქვეგანყოფილების უფროსი ქადაგიშვილი და ეთანხმება IV განყოფილების უფროსი მაიორი ქობულაძე, ბერიას უახლოესი თანამოაზრე.

დასკვნაში ნათქვამია, რომ მხილებულ და განადგურებულ იქნა ტერორისტულ-დივერსიული, მავნებლური, ჯაშუშური ორგანიზაციების,

რომელთაც აერთიანებდათ საქართველოს ნაციონალური ცენტრი. ცენტრის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, საქართველოს მოწყვეტა სსრკ-დან, დამოუკიდებელი საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორობით.

ეროვნული თვალსაზრისით ასეთი ბრალდება პიროვნების ღირსებაა. მაგრამ ტიციანი არც ფარულად, არც აშკარად ამგვარი მისისათვის არ იბრძოდა და არც რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ყოფილა.

„ლაპტეცლა“, რომ ტიციანი 1933 წლიდან მონაწილეობდა ფაშისტურ ორგანიზაციაში და ეწეოდა მავნებლურ მუშაობას ლიტერატურის ფრონტზე; რომ პქონდა რეგულარული კავშირი ტრიცკისტულ ორგანიზაციასთან; რომ ჯამუშობდა საფრანგეთის სასარგებლოდ.

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ტიციანი იყო:

1. ერთ-ერთი აქტიური წევრი ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაციისა საქართველოში.

2. ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე ეწეოდა მავნებლურ მუშაობას.

3. იყო საფრანგეთის დახვეწის ჯამუში საქართველოში (ისჯება 58/6, 58/7, 58/11 მეხლოთ).

ტიციანმა თავი დამნაშავედ სცნო ნაწილობრივ.

მამხილებელ წვენებათა საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცა „სამეულს“.

15 დეკემბერს შედგა „სამეულის“ სხდომის ოქმი №67.

მოხსენებელი იყო ქადაგიშვილი.

აღინიშნა, რომ ტიციანი ტაბიძე მხილებულია გასვიანის, მგალობლიშვილის, საყვარელიძის, დარახველიძის, ელიაშვილის, მიწიშვილის, წერეთლის, მიქაძის, ლომინაძისა და კვიციანიშვილის წვენებათა საფუძველზე.

„საქმე „10.817“-ის იმ ეტაპებზე, რომელსაც მე გავეცაბი. „სამეულის“ თავმჯდომარე და წევრები ხელს არ აწერენ. მაგრამ დასმულია შინსახკომის ბეჭედი და წითელი მელნით მიწერილია:

„Расстрелять. Имушества. принад. лично ему конфиск.“

ხელმოწერა გაურკვეველია.

* * *

დიდი ქართველი პოეტი ტიციანი ტაბიძე იმავე დღეს, 1937 წლის 15 დეკემბერს დახვრიტეს. დახვრიტეს ისე, რომ „სამეულს“ მისი საქმე

ყვარძაღურადაც არ გაჩუხილავს. ხოლო თჯახს შეატყობინეს, ტიცვიანი უნდა გადაასახლოს და თბილი ტანსაცმელი გამოეცხავნეთო!

ნინო მაყაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მთელი 28 წელი, ელოდა მეუღლის დაბრუნებას. დედას კი შვილის ტანსაცმელი გამოეცხონდა აივანზე და ცხარე ცრემლებით ტიროდა:

- ტიტიკო, შილო, სადა ხარ ახლა.

პირველი ნიბნის დასასრული

ოდისევის მსგავსად

ბერძნული მითოსის სცილა და ქარიბდა სრუტის ორ სხვადასხვა მხარეს ბინადრობდნენ, რათა იქედან ვერავის გაეღწია.

სცილა – ძაღლის ექვსთაეა ზღვის ურჩხული, სამწევა კბილებითა და თორმეტი ფეხით, ცხოვრობდა სრუტის ერთ მხარეს კლდეებში და მესღეაურებს მღვიმეში შეათრევედა.

მეორე ურჩხული – საშინელი მორევის სახისა – დღეში სამჯერ ყლაპავდა და ანთხევდა სრუტის წყალს და იქ მოხვედრილ მესღეაურს პოსეიდონიც ვერ შეელოდა.


ასე რომ, სცილასა და ქარიბდას შორის მოხვედრა უუბველ სიკვდილს ნიშნავდა. მაგრამ სრუტე მაინც გასცურა ოდისეუსმა.

ასე, ოდისეუსის მსგავსად განელეს სასტიკი პერიოდი ქართველმა მოდერნისტებმა. ხორცი შემოეფლითათ, სული გაეზსარათ, ბერძნული დაიღუპა, მაგრამ გადაარჩინეს შემოქმედება – მათი სიცოცხლის გვირგვინი.



ნიგნი მუხე

მოღერნისწყლი
ნიცყვის კალოეიდოსკოპი



1. სტილური კოლიზონია და მოდერნისტი ხელოვანი

სიტყვა – მედიუმი

თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი, – გეასწავლის იოანეს სახარება.

სიტყვის ისტორია ბნელშია დანთქმული.

იგი გამოსახავს აზროვნების წარმოშობას, დანაწევრებას. ცხოველთა სამყაროდან დაცილებას.

ტოტემისა და ტაბუს ეპოქაში სიტყვა განასახიერებდა მაგიას, სიტყვა უდრიდა საგანს, ფიქრსა და მოქმედებას.

ამიტომ ჰქონდა ქურუმთა ხელში მრისხანე ძალა.

პირველად სიტყვათა წრე ვიწრო იყო, მიემართებოდა ღმერთსა და სექსს და აელენდა სულის ექსპრესიას, შინაგან ღელვასა და სწრაფვას.

საკომუნიკაციო ფუნქცია შემდეგ შეიძინა.

რაც დრო გადის, ნელდება ექსპრესია და იზრდება კომუნიკაცია.

მაგრამ მოდის სიტყვის ხელოვანი და ისევე ანედლებს გამოშვრალ მეტყველებას, ბრუნდება ენის ბნელ წიადში და ხელახლა ქმნის მის მოდელს.

პირველ რიგში პოეტი ემყარება ენას, როგორც მასალას, ამოდის ენის მისტიკური გარსიდან.

პოეტი ისევე განუთიშველია ენისაგან, როგორც ენა – აზროვნებისაგან.

ამიტომ მოდერნისტებმა გააფუტიშეს სიტყვა, მაგრამ განყვეს საგნისაგან და მასზე მაღლა დააყენეს, რათა გამოესახათ და ეგრძნოთ სიმბოლო, როგორც ყოფიერების იდუმალი არსი, რათა ასე აღედგინათ მისი მაგიური ძალა.

მოდერნისტი ხელოვანი ქურუმს ჰგავდა, რომელიც თავის მარტოობაში იდუმალ მღვდელმსახურებას ეწეოდა. ხოლო მისი სიტყვა გლადიატორივით იბრძოდა და კედებოდა სცენაზე.

მოდერნისტი ხელოვანი

ქართულ მოდერნიზმს. რუსულისა თუ ფრანგულის მსგავსად, უწვეულო და უცნაური თეორიებიც საკმაოდ ახლდა, როგორც ტროპიკული ყვავილები თუ ცივი ფიორდების მზერა. მაგრამ თეორია იყო საკუთარი პრაქტიკის ახსნა და გამართლება. ან – შთავონება.

ახალ ლიტერატურას ქმნიდა ახალი ტიპის შემოქმედი, რომელსაც წინაპართაგან განასხვავებდა ხელოვნებისთვის მსხვერპლშეწირვა, სიცოცხლის შეარაკად მიტანა ოლიმპზე, ნერვებისა და ფსიქიკის მაქსიმალური კონცენტრირება, მოქცევა ერთ ფარგალში, წარმართვა ერთი მიზნისკენ.

იგი ყოველთვის არც სიჯანსაღით გამოირჩეოდა, აყადმყოფურ მოტივებსაც ავლენდა მაგრამ მათი ჩვენებით ამკვიდრებდა ადამიანის იდეალს, აღსავსეს ტკივილებით, სიყვარულით, შფოთით, დაცემითა და ამაღლებით, ისეთს, როგორც არის და როგორც უნდა იყოს (გერმანულად modern ხრწნასაც ნიშნავს).

მოდერნისტიკისათვის ხელოვნება იყო ბედისწერა და სიცოცხლეზე მეტს ნიშნავდა.

სიცოცხლე მათ საშუალებათ მიაჩნდათ, მიზნად კი – მარადიული ნიმუშის. შედეგის შექმნა, რომელშიც გარდაისახებოდა პიროვნება და შეემატებოდა იმ ზეციურ სამეფოს, საიდანაც მოუხმობდნენ წინაპართა ლანდებს, მთელი ცხოვრება რომ სდევდათ და შთაგონების ცეცხლით სწვავდათ.

ამიტომ მათ თავიანთი სიცოცხლეც აქციეს ტრაგედიად. გაიტანჯეს მიწიერი არსებობის წლები და ნაადრევად გადავიდნენ ნაოცნებარ ცისფერ შორეთში.

ისინი მშვენიერებას ეტრფოდნენ და ღრუბელთა მოძრაობას უფრო აკვირდებოდნენ, ვიდრე ცხოვრებას, როგორც ბოდლერის უცხოელი, რადგან მათი სულის ქვესკნელში წინაპართა მსოფლიო მოძრაობდა.

რომანტიკოსები და მოდერნისტები, ისევე როგორც შემდეგ მათი ანტიპოდი ავანგარდისტები, ყველაზე მეტად ამართლებენ ანტიკურ სიბრძნეს, რომლის თანახმადაც პოეზია და ხელოვნება ფსიქოზსა და ნეეროზს უკავშირდება.

პოეზია ბოდეა, ამბობდა პლატონი, რადგან ბოდვას ღვთაებრივის გამონათებად თვლიდა. საღი გონების ადამიანი პოეტად არ მიმჩნია, დასძენდა დემოკრიტე. ამ ფაქტს ყურადღებას აქცევდა არისტოტელე.

ანტიკური თვალსაზრისი აღდგა და ახალი ფაქტებით შეივსო XIX საუკუნეში. ჩეზარე ლომბროზომ, ტურინელმა ფსიქიატრმა, გენიალობა შეშლილობასთან დაახლოვა და ნორმალიობიდან მკვეთრი გადახრა ხელოვნანის აუცილებელ და გარდაუვალ თვისებად ჩათვალა.

ლომბროზომდეც მრავალი მოაზროვნე ხედავდა გენიალობის კავშირს შეშლილობასთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გენია იწვევს ნერვული სისტემის რღვევას, რაც გადადის სიგიჟეში. მაგ., ბლეუს პასკალის აზრით. გენიალობა ესაზღვრება შეშლილობას და ეს თავისი ცხოვრებითაც დაამტკიცა; გოეთე თვლიდა, რომ პოეტს სჭირდება

ტვირის აგონება და თავადაც ლექსებს წერდა სომხაბულურ მდგომარეობაში; პაინე თავის ლექსებს თვლიდა არა გენიალობის, არამედ ავადმყოფობის ნაყოფად – იგი ლექსის თხზვით იხშობდა ფიზიკურ ტკივილებს.

მაქს ნორდუე ახალ ხელოვნებას გადაგვიარებდა, ხალხთა დაისად მიიჩნევდა. იგი სწავლობდა გენიისა და ტალანტის ფსიქო-ფიზიოლოგიას. რეზბოს ნახევრად გიჟს უწოდებდა. ვერლენს, რომელსაც მამა შერეკილი ჰყავდა და შეილი ფსიქიკური ავადმყოფი, დეგენერატს, გონებასუსტსა და გარყვნილს ეძახდა. ხოლო მათ მიმდევარ სიმბოლისტებს – ავადმყოფებს, ჩლუნგებსა და დეგენერატებს. თუმცა ვერ უარყო, რომ ვერლენმა რამდენიმე საუკეთესო ლექსი დაწერა!

როგორც ცნობილია, პოლდერლინმა და ფრ. ნიცშემ სიგიჟით დაასრულეს სიცოცხლე. ძლიერი დეპრესიები და თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილება ჰქონდათ სტ. მალარმეს, კ. ბალმონტს, ალ. ბლოკს, ო. შპენგლერს, ფრ. კაფკას, პ. პესეს, კ. გამსახურდიას; თავი მოიკლეს ე. პაზენკლევერმა, ე. ტოლერმა, კ. ეპშტაინმა, გ. ტაბიძემ; თავი დაიხრჩო ვირჯინია ეულფმა; შიზოფრენიკები იყვნენ გეორგ თრაქლი და ტერენტი გრანელი.

სოდომის ცოდვა სდევდათ ვერლენს, უაილდს, პრუსტს, ვიდს.

არაერთ მოდერნისტს სტანჯაედა ნევროზები და დროდადრო ფსიქიკური შეტევა.

ერნსტ კრემერის აზრით, გენიალური ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ასთენიკური (გამხდარი) აგებულება და შიზოთიმიკური (ქოლერიკულ-მელანქოლიური) ტემპერამენტი.

ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავე იუნგის და მათ მიმდევართა თვალსაზრისით, შემოქმედება არის სუბლიმირება და ფსიქოთერაპია. შინაგანი წუხილის, დელუსის, პირველადი ტრავმების, ნევროზების გადაადგილება, გამოტანა და სიმბოლურ სახეებად გაშლა.

ფროიდამდე და იუნგამდე, ვიდრე მათი კლასიკური შრომები გამოჩნდებოდა, ე. ტულუზი იკვლევდა ემილ ზოლას მედიცინის თვალსაზრისით. მან დაასკენა, რომ ზოლა არ იყო ეპილეპტიკი, ისტერიკი, გონებრივად დაავადებული. ოღონდ იგი ჩათვალა ნევროპათად, ე. ი. ისეთ ადამიანად, ვისაც დაზიანებული აქვს ნერვული სისტემა. მაგრამ ეს მიიჩნია მისი ინტელექტუალური შრომის შედეგად და არა მიზეზად. ამდენად არის საკითხავი – ფსიქო-ნერვული გადახრა, რაც აქვთ გენიალურ და დიდ ადამიანებს. მიზეზია თუ შედეგი მძაფრი აღქმისა. რთული ინტელექტუალური ცხოვრებისა, მოუთრგუნავი ემოციებისა, რომლებიც არყევენ ფსიქიკასა და ნერვულ სისტემას.

ცხადია, მათ გვერდით არსებობს მრავალი ნათელი გონების დიდი

ტალანტი. მაგრამ მოდერნისტებმა იდეალად აქციეს ხელოვანი, რომელიც ამოვარდნილი იქნებოდა ყოველდღიური, ობიექტურად გარემოდან და რომელიც შეეწირებოდა წმინდა ხელოვნების იდეას, როგორც ოდესღაც ქრისტეს მცნებას პირველქრისტიანებში.

პოლიფონიური ორკესტრი

ქართულ ლიტერატურაშიც, ერთი მხრივ, დამკვიდრდა პარნასული ნეოკლასიციზმი (ალექსანდრე აბაშელი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე), როცა ტექსტი იქმნება გონების კარნახით, რაციონალური თვალთახედვით. ასეთ დროს შემოქმედი ემოციებს ავლენს ქუნწად, მოზომილად, არ მიჰყვება მღვლევარე გრძნობებს და მეტწილად ემყარება დამკვიდრებულ და აპრობირებულ სქემებსა და სახელებს, რასაც მასა ვერ ღებულობს.

უფრო გაერცვლდა იმპრესიონისტული კლარიზმი (გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია, კონსტანტინე გამსახურდია, კოლაუ ნადირაძე), როცა ავტორი ნათლად და ცხადად, მუსიკალური ტონალობით გადაანაწილებს შთაბეჭდილებებს.

გალაკტიონი:

*„გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა,
უცხო სამოთხეები“.*

კოლაუ ნადირაძე:

*„შენი ღიმილი ისევ ის არის –
ღიმილი ვაშთა, დაუხსოვარი!
მკედრებით აღმდგარი მე ვარ ლაზარე,
ჯვარზე გაკრული ვარ მაცხოვარი!“*

წამიერი განწყობილებანი, შუქისა და ჩრდილის ეფექტი მკითხველს იზიდავს, მის ცნობიერებაში სახლდება მუსიკალური მელოდიის მსგავსად. მაგრამ იგი მაინც დაცილებულია ბუნებრივი გრძნობებისა და მეტყველებისაგან. ასეთი თხზუების საფუძველია აპოლონური სტიქია – სინათლე, პროპორცია, რაციონალური ხედვა.

რაც შეეხება სიმბოლისტურ ნაკადს (გალაკტიონი, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლევინიძე), სიმბოლურ ასოციაციათა კასკადს, ის სამყაროს დიონისური ქმნადლობაა, როცა ხელმძღვრედ ეალიბდება ახალი მეტყველება, ადრე არსმენილი.

გალაკტიონი:

*„აზიის დაშლილი თმის შავი გიშერის
მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები!
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუკად მშობლიურ ცას შეეშენები“.*

ტიციანი:

*„შაითან ბაზრის დაიხურა ყველა ღუქანი,
ამოდის მთვარე – თავისმკვლელთა ღეშით მსუქანი.
ვანქის ტაძარში „ახახახი“-ით შენ გაგვიცინა“.*

თითქოს მართლაც ძნელდება ტექსტის გაგება, რადგან ავტორი შეუძლებელს ეჭიდება და წინ სწევს მხატვრული აზროვნების ზღვარს, ამისხერხევს შეჩვეულ ნიეთებსა და ნაცნობ სქემებს.

გალაკტიონის ტაქტი – „*ო, სიყვარული ზღვების ქაფა*“, გულისხმობს აფროდიტას, სიყვარულის ღმერთს ელადაში, რომელიც ზღვის ქაფისაგან იშვა. ხოლო როცა წერს – „*მას გახელოლი დარჩა თვალები*“, ეს მზის ჩასვლაა. მაგრამ ამ ფრაზის ხშირი განმეორებით ქრება პირველსა-წყისი მოვლენა და ჩვენ გველანდება მიცვალებული ადამიანის ღიად დარჩენილი თვალები. ეს არის ნაცნობის გაუცნაურებით მიღწეული ეფექტი. შემდეგ კი ვიგებთ, რომ მზის ჩასვენება სიკვდილის სიმბოლიკაა, რომელსაც შევყავართ ახალ სახეთა ტვერში.

ეს მართლა მზე მიიცვალა თუ მზისდარი ადამიანი?

მაგრამ „*ბეირფასი მკედარი*“ არ არის ქრისტე, მაცხოვარზე არ ითქმის მკედარი. ამიტომ ბუნდოვანი წერტილი ყველას თვალში განსხვავებულად ნაოდება.

ასეთი სიტყვების ნისლეულის ადქმა ძნელდება. მაგრამ მელოდიკა და საგნის უცხო ხატი, მოულოდნელი ხილვის ეფექტი, ხედვის გადა-ნაცვლება აღძრავს ემოციას:

*„თვტრი ხდება ღურჯ გაზოლუბით
ულაბნო ყუაელთ ნასაზმარი“;
„*თვტები შეშლილი, ღამეები კვლური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოვბას“.**

ამ ნაკადს ახლდა დეკადანსის მოტივები (გალაკტიონი. ტიციანი. დემნა შენგელაია, ტერენტი გრანელი, კონსტანტინე გამსახურდია). რაც უფრო სრულად წარმოგვიდგენდა ადამიანურ ვნებათა ოკეანეს, ფსიქიკასა და ცნობიერებას.

ახლდა სირთულეც, როცა სიტყვა ქცეულია სიმბოლითა გაძად და რეალობა იძირება წარმოსახვათა ნისლში.

მაგ., ღუქსში „*ანგელის*“ს ეჭირა გრიელი პერგამენტი“ (გალაკტიონი-

ნი) უცებ ეკრც მიხედუბი. ეს მართლა ანგელოზი იმსირება 'სეციდან თუ სატრფოს თვალუბი. რადგან ოცნება ქანაობს ცხადისა და 'სმანუბის ზღვარზე.

მხოლოდ ბოლოს ხდება საცნაური, რომ პოეტს სატრფო ანგელოზად პეოლია წარმოდგენილი.

ამდენად – სიმბოლიზმს პკონდა ექსპერიმენტული ხასიათიც.

ექსპერიმენტი ლიტერატურაში – ტრადიციასთან ანუ მკითხველთან მიმართებით არის ავანტიურა, აუცილებელი და კეთილშობილი დანაშაული, რაც მტკიენეულად აღიქმება თანამედროვეთა მიერ.

ხოლო რთულ, ბუნდოვან ანუ აპოკალიპსურ მეტყველებას იწვევს შესაძლებელზე მეტის თქმის სურვილი, რათა სიტყვამ დაიტოს დაუტევენელი, გამოთქეას გამოუთქმელი.

აპოკალიპსური ანუ დიონისური მეტყველება ანგრევეს ძველ სამყაროს და ქმნის ახალს, როგორც მეხთატეხა თუ მთიდან დაძრული ნიაღვარი (მაგ., გალაკტიონის ევემერების ციკლი).

ექსპრესიონისტული ხედვაც ამ ხაზს მიჰყვება (გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია) და აზრის პრიმატს ინარჩუნებს, ოღონდ წმინდა მხატვრული თხზვიით, როცა ხელოვნება იღებს რელიგიის სახეს და შემოქმედება ემსგავსება მღვდელმსახურებას.

ზოგჯერ ეს ნაკადები ერთმანეთს ერწყმის, ერთ ნაწარმოებშიც კი. მაგ., გაეიხსენოთ გალაკტიონის „თოვლი“, რომელიც იმპრესიონისტულ და სიმბოლისტურ წარმოსახეათა ნაშაეია.

სიმბოლისტია პოეტი, როცა წერს ქალწულებივით იისფერ თოვლზე, ლურჯად ნახავერდებ უდაბნოზე, რაც ცხოვრებას ნიშნავს, დაღალულ სიზმარსა და თოვლთა დაუნაზე, მაგრამ იმპრესიონისტულია განწყობილება და მისი ხატეა ჩრდილივით რბილი და ნაზი უერებით.

„ათოვდა ზამთრის ბაღებს“, ერთი მხრივ, რეალისტური ლექსია, მეორე მხრივ, – სიმბოლისტურ სისტემასაც განეკუთვენება.

პროზაში სინთეზის ნიმუშია კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, რომელიც აერთებს იმპრესიონისტულ, სიმბოლისტურ და ექსპრესიონისტულ ნაკადებს.

ამ სტილურ და აზრობრივ ნაკადთა ერთობა არის მოდერნიზმი.

მოდერნიზმი ინტელექტუალური ხელოვნებაა, რომელიც ყველაზე მეტად ვლინდება სახეთა პოლისემიური სისტემით.

მის აღქმას სჭირდება გარკვეული ცოდნა, კულტურა და გამოყენება.

მშენებარების კულტი

მშენებარება, განსხვავებით ჭეშმარიტებისაგან, არ არის უხილავის. ფარულის დადგენა, არამედ – გამონათება, გამოსხივება. მხატვრული სახე ერთდროულადაა არაცნობიერის სიგნალი და უკვე ცნობიერადქმნილის მოდელი.

როგორც შენიშნა და ემანუელ კანტი, მშენებარება ის, რაც მოცუონს აზრისაგან დამოუკიდებლად. მაგ., ფრინველთა ბუმბული, კვავილთა ფერი, გველის პერანგი. (ვა მირაჟია, საგნობრივად არარსებულნი, მაგრამ ხომ არის ლამაზი, – გვეუბნება ნიკო ლორთქიფანიის ერთი პერსონაჟი.

მოდერნისტი ხელოვანი არაფერს იგონებს, არც ასახავს: ის ამუღვენებს სიტყვებად, ბგერებად. ფერებად თავის ბუნებაში დაფარული სამყაროს სახეს, მემკვიდრეობით გადმოცემულსა და შექმნილს. შემოქმედი თავის თავს წარმოიდგენს სამყაროს ცენტრად, რომლის გარშემო იკრება ყოველივე არსებული და ეფემერული, იყვინთება ყოფიერისა და ცნობიერის შექმრდილებით, როგორც სამყაროსა და მიწის იდეალ ძალთა დაბოლოება.

ჭეშმარიტების პოვნა სიტყვაში დაფარულის მიგნება და გამხელაა, ხოლო მშენებარებისა – სამყაროს ენერჯის განცდა და პიროვნული ამეტიყვევება. მოდერნისტი ხელოვანი არის სიტყვად ქცეული მედიუმი – ამ ენერჯის გადამცემი მასასთან. მედიუმი, რომელიც მას ისე გამოასხივებს, რომ ზუსტად არც იცის – როგორ და რანაირად, რადგან ეს მასში მოქცეული წინაპართა კოლექტიური გამოცდილების ნაყოფია. მოცემულობა არ ემარა. მას სჭირდება გამოსხნა, გაშიყვრა, გარეთ გამოტანა, რასაც ახდენს ტექნიკა და ოსტატობა.

გეოლოგიური ფენების მსგავსად, ახალი ინფორმაციები ეფინება ქვედა შრეს, რომელიც არ ქრება, მაგრამ თანდათან გეშორდება. შემოქმედი ეშვება სულის არტეზიულ ჭაში და ეხლება ბარბაროსულ ინსტინქტთა ბირთვს, როცა სექსი და სისხლის წყურვილი განაგებდა წინაპართა ნებას.

ამიტომ სჭირდება ხელოვანს სიგიჟის ნაპერწკლები, რადგან შემლილობა ველურ ძალთა თარეშია, პირველყოფილობის მსგავსი.

შემოქმედის ფსიქო-კოსმოსური სისტემის სიმბოლოა ტიბეტურ-ინდური მანდალა, როგორც არაცნობიერის სიდრმიდან გამოტანილი სამყაროს ხატი.

ამდენად არის შემოქმედი მითის მოხსეული.

მაგრამ დრამატიზმი და ლირიზმი მკითხველს უღვიძებს მინაღულელ გრძნობებს. მასშიც ცოცხლდება ატავისტური ლტოლევები, რა-

მკლთა დამორჩილება და განცდა იწვევს ესთეტიკურ სიამოვნებას, ანუ ბიოლოგიურ ძალთა სულიერებაში გადასვლას – კათარსისს.

რაც გაღის ღრუ და ხანი, ადამიანი ლოგიკურად ასაბუთებს თავის განუქმორებლობას, ერთადერთობას, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, შინაგანი ნების წარმართვაა რეალობისაკენ, დეფორმირება, დათრგუნვა და დამორჩილება. ადრე ადამიანი ცხოვრობდა სამყაროში, როგორც საკუთარ სახლში, ახლა თავს გრძნობს სახლში, როგორც სამყაროში. ამიტომ თუ წინათ კოლექტიურ ერთობას ესწრაფოდა, ახლა განდგომას ცდილობს, ინდივიდუალური ელფერის გადარჩენას ღამობს. განცალკევება, გაქცევა მასისაგან – თვითდადგენისა და პიროვნული დამოუკიდებლობის მაუწყებელია. ხოლო ხელოვნება ამ თავისთავადობის ნატურა და კვილია.

როგორც კ. ლეი-სტროსი აღნიშნავს, ადამიანის არსში რაც არის უნივერსალური და სპონტანური – ბუნებისაგან მოძღვნილია, ხოლო რაც ნორმას ემორჩილება – კულტურის სფეროს განეკუთვნება. ბუნებრივი თანდაყოლილია, გენეტურად გადმოცემული, ხოლო კულტურული – შექნილი. ხელოვნება – ეს არის მარადიულის, ადამიანის არსში მთელმარე ბუნებრივის გადასვლა კულტურაში, ბარბაროსულ ინსტიქტთა და მიდრეკილებათა ცივილიზება, ჰუმანიზება, ხოლო მეცნიერება – შექნილ თვისებათა მიმართვა ბუნებისაკენ.

სამყაროს ნება ყოველ საგანს ინდივიდუალური, განუქმორებელი ელფერით მოსავეს. სულთა სიტყვიერი ანაბეჭდიც მუდამ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ყველა ხელოვანი აქსიომურად ორიგინალურია თუ, რასაკვირველია, არ არის პაროდისტი, შეგნებულად მიმბაძველი. მაგრამ ეს ერთობ ცოტაა, რადგან, როგორც ითქვა, თავისთავადობა, განკერძოება, დამოუკიდებლობა მასში გენეტურად არის გადმოცემული, საერთო თვისებაა, საყოველთაოს გვაუწყებს და არა განსაკუთრებულს. ხოლო ტალანტი არის კერძო და განსაკუთრებული მოვლენა, ქვეცნობიერი სამყაროს ამოძრავების, სახეებად ამოფენის უნარი.

მთავარია არა ორიგინალობა, არამედ ამ თავისთავადობის ენერგიად ქცევა, ძალად წარმოდგენა, ეგოისტური ბირთვის გაშიშვლება და ამ ძალის დამორჩილება.

მასა ღებულობს სადა, ნათელ, მარტივ, მაგრამ ემოციურ ხელოვნებას. ხოლო დიდი ვნებებით, ტრაგიზმით, ღრმა აზრებით დატვირთული ლექსი თუ რომანი ნაკლებად აინტერესებს.

მოდერნისტი ხელოვანი არარსებულის შექმნას, ართქმულის გამოთქმას, შეუქმლებლის შესაძლებლად ქცევას ესწრაფოდა, ამიტომ რჩებოდა არისტოკრატიული ესთეტიზმი რჩეულთა კუთვნილებად.

„ხელოვანი ხნობის მქადაგებელი არ არის“, – წერდა ოსკარ უაილდი;
„ხელოვნება ცხოვრების სარკე არ არის“, – უმატებდა იგი.

მოდერნისტების რწმენით, ხელოვნება პოლიტიკისგანაც შორს უნდა მდგარიყო, მას უნდა აქოლოდა ერთი უყალი – მშვენიერება.

მაგრამ სტერილური ხელოვნება მოკლებულია სიმძაფრეს. ამიტომ შეიჭრა მოდერნისტების ნააზრევში ცხოვრების, ხნობისა და პოლიტიკის პრობლემები. ოღონდ ეს ყოველივე მშვენიერის სამოსელით შეიმოსა.

2. ახალი მითოსი

მითის თხზვის პრინციპი

1922 წელს „მეოცნებე ნიამორების“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა ვალერიან გაფრინდაშვილის ესსე-დეკლარაცია – „ახალი მითოლოგია“, რომლის მნიშვნელობა სცილდება „ცისფერყანწელთა“ წრეს.

პოეტმა თეორიულად განაცხადა ის, რისი მიღწევაც უწადათ როგორც ამ ორდენის წევრებს, ისე სხვა კოლეგებს, როგორც ადრე, ისე გვიან.

ამიტომ იგონებდნენ უჩვეულო სახელებს – „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „ფერადი ნიღაბი“, „ქაიანური“, „ქიმერიონი“, „ფეკრიული დუქანი“, „აღებხანდროს სალონი“; შემოპყავდათ მითოსური, ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟები.

ასე ხდებოდა სიტყვისა და გარემოს მითოლოგიზება, არა მხოლოდ საქართველოში.

ჯერ კიდევ ფრიდრიხ ნიცშემ აღადგინა დიონისოს რელიგია, შექმნა ზეკაცის მითი, რომელიც ძალაუფლების ნებაში განხორციელდა და ქრისტეს დაუპირისპირდა.

ზიგმუნდ ფროიდმა ახალი მითი სექსში დაინახა, მარქსმა – კლასთა ბრძოლაში, აინშტაინმა – ოთხგანზომილებიან სამყაროში, კაგნერმა – ნიბელუნგების სამყაროში.

ტიოტემური და ანიმისტური წარმოდგენები, ელინური, ეგვიპტური და შუამდინარეული მითები ხელოვანის ფანტაზიას წარმართავდა შორეული ძირებისაკენ, კაცობრიობის ბავშვობისაკენ, რომელსაც დაეციწყების ნისლეული აჟვარავს.

მაგრამ შემოქმედ სულში ატავისტურად ცოცხლობს მითოსშემოქმედი და მას სწყურია არა მხოლოდ რესტაურაცია და აღდგენა, არამედ – თხსეა და გამოგონება.

აღუქსანდრ ბლოკმა მსოფლიო სული. მარადი ქალი. როგორც ნახი და მძვინეარე სტიქიონი, კლეოპატრას – ეკეიპტის დედოფლის არსებაში განასახიურა. იგი პერსოაღულად სახეს იცკლის, არის ხან რომაელი პლაკიდა, ხანაც – შმაგი კარმენი. თანამუდროვე თოვლიან და ჩისლიან კეტერბურგს კი გამოეცხადა დემონურ ქალად ქცეული კომეტის სახით.

კომეტა – ეს ცად აღვლენილი მარადი ქალის სულია.

ქართულმა მოდერნიზმმა ისესხა მითისქმნადობის პრინციპი, მაგრამ იგი ორიგინალური მასალით და უჩეულო ხაზებით გაშალა.

მოდერნისტებს თვალწინ ედგათ გურამიშვილისა და მანაბლის, ვერლენისა და რემბოს, ნიცშესა და უაფლდის ტრაგიკული ბიოგრაფიები, რადგან ბიოგრაფიაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლექსი თუ რომანი.

დიდი პიროვნების ცხოვრება თავისთავად არის მითი.

ამ მხრივ უხვ მასალას იძლეოდნენ ისტორიული სახეები. ქართველთაგან ასეთი აღმოჩნდა გიორგი სააკაძე (გრიგოლ რობაქიძე – „საკაძე ლანდოთ მოღის“; ტიციან ტაბიძე – „აქ რომ იბრძოდა სააკაძე – ვინ დააკავა?“). რომლის სახელს არ სცილდება დიდება და შესვენება.

ვალერიან გაფრინდაშვილი შენიშნავს, რომ მოკვდა ბერძნული მითოლოგია. მოვიდა ქრისტიანობა და წარმოშვა ახალი მითები. მაგრამ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა ელინური ტრადიცია, ვიდრე ქრისტიანული.

იგი ზედმეტად მიიჩნევს ორივე წყაროს და მითხოსვს ახალი, ლიტერატურული მითოსის დაფუძნებას, რომელშიც ღმერთების ადგილს დაიკავებენ ჩატურტონი, რემბო, ბესიკი, მანაბელი, პოფმანი, გოეთე, ედგარ პო. მაგრამ არც ეს ემარა. აუცილებელია პერსონაჟთა გამითებაც (ოფელია, პამლეტი და სხე), მათ შორის – ქართულ გარემოში შობილი სახელებისა (მანაბელი, აშორდია, ირრუბაქიძე, ელენე დარინი, ორპირი) და თავად ორდენის წევრებისა.

პოეტის აზრით, მხოლოდ ასეთი ხერხით შეიქმნება ახალი მითოლოგიური პანთეონი, ახალი ხელოვნება, რადგან სახელების შაგია ინტიმის მომცემია და პოეტის სახელი ვარსკეღავად მიჰყვება მის კუბოს.

მარათლაც – „ცისფერყანწელები“ ერთმანეთს ლექსებს უძღვნიდნენ, აქებდნენ და განადიდებდნენ ურთიერთს. როგორც მალარმე ბოდლერსა და პოს, ვერლენსა და ეაგნერს.

თვით ვალერიანის ფსევდონიმი ტრისტან მანაბელიც ამ პრინციპით შეითხზა. უგზოუკვლოდ დაკარგული მანაბლის თემა აღუღებდათ „ცისფერყანწელებს“, ხოლო ტრისტანი სახელია „დაწვევლილი“ ფრანგი პოეტისა – ნაადრევედ დაღუპული ტრისტან კორბიერისა.

ახალი მითოსის თეორიულ დასაბუთებას ე.ვ.ერსან გაფრინდაშვილი აგრძელებდა „ლირიკის ელიზიუმშიც“

გრიგოლ რობაქიძემ ვაღერძიანის მითის ქმნალობა ასტრალური ხაზების სიმბოლიკით შეცვალა და „სიბჭეის როიალ“ მონათლა. რომლის მთელი სისტემა შექმნა.

იქმნებოდა ნაირგვარი მითები – ქაღდეას ქაღაქებისა და ორპირის მაღდორორისა (ტ. ტაბიძე), ეღენე დარძიანისა (პ. იაშვილი), წმ. ნინოსი (გრ. რობაქიძე), კამდეტისა და ოყეღიასი, შანაბლისა და სარკისა (ე. გაფრინდაშვილი), ეირებისა (რ. გუგუბაძე), დიონისოსი და ზეკაცისა (კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე), სანაგარდოსი (დ. შენგულაია)...

პოესიაში შემოდინდენ ნადრეად დაღუპულ ახლობელი ღანდები – ალკა რობაქიძე, ღილი მუენარგია, შაღვა კარმელი, გიონ ზაგანელი, სერგეი ესენინი, ბუჭუბა აბაშიძე, სანდრო ცირეკიძე, სიმბოლური სახეები მარადი ქაღებისა – მერი (გალაკტიონი), ღენორა (გალაკტიონი, ტურენტი გრანელი, შაღვა კარმელი), ოყელია (ვაღერძიან გაფრინდაშვილი), ჯიოკონდა (კოლაუ ნადირაძე).

ლიტერატურული მითოსი

ახალი მითოსის დასაბუთებაა ტიცვიან ტაბიძის ესეე „ორპირის ოქროპირი მაღდარორი“, რომელიც დაიწერა 1922 წელს, როცა პოეტს დადაიზმმა გაიტაცა, ქაღდეას ქაღაქების მისტიკა შეცვალა ორპირის მითმა. ლოტრეამონის კვალდაკვალ ტიცვიან ტაბიძე ამეტყველებს ბაყაყს, რომელიც ორპირის ოქროპირია. პოეტი შენიშნავს, „*ფურღენმა მოითხოვა პოეზიაში ღორსაც კჳონოდა ადგლი*“, მით უმეტეს ეკუთვნის იგი ბაყაყს – ჭაობების, ფშანებისა და ჭაღების კანონიერ მემკვიდრეს. პოეტმა იგი მონათლა კეთილშობილი სიტყვით „მაღდარორი“, როგორც ლოტრეამონმა (გაეხსენოთ სოლოგუბის „*როცა მე ძაღლი ვიყავი*“). შავრამ მაღდარორი არის თავად პოეტი, რომელიც გამბეზოს თუ ბაყაყის მონოლოგებს იმიტომ გვასმენინებს, რომ „*როცა მე დაფიოდი რიონის ფშანებში, ატეხილ ფშანებში, რომელსაც იორდანე დაეარქვი და რომლის კუნძულსაც ახალი პატმოსი, ზემთან ერთად დადიოდნენ ლაფორგი, ტიუტკევი, ბოღლური და იმ ქვეუანაში, სადაც ხალხი გადაშენდა, სადაც ერთი მხოლოდ ბაყაყების ორკესტრი დარჩა, მე ვფიქრობ პოეზიაზე, რომ პოეზია ბოლოს, როგორც უკანასკნელ წყაროს, ამ ფშანს უნდა დაწაფებოდა*“ (მაღდარორი ესპანური სიტყვაა და „ბოროტ სეუდას“ ნიშნავს).

გრიგოლ რობაქიძე წერს ღუქის „უაიღდი პარიზში“: კაღლო იაშვილი სატრფოს ოყეღიად წარმოიდგენს („ოყეღიას ორდღინის

კავალერს“): კოლაუ ნადირაძე მაკბეტის, მამლეტისა და ოფეკლიას ღანდებს შორის დაეძებს იფანე მანაბელს; რაუდენ გვეტაძე თავის თავს ბესიკს ადარებს; პაოლო იაშვილის ლექსში თანამეგობრობენ უაილდი, ბოდლეური, რუსთაველი და თავად ავტორი („ავტოპორტრეტი“); ტიცციან ტაბიძეს ფატმან ხათუნს ელანდება („ფატმან-ხათუნა“); ვალერიან გაფრინდაშვილს თავისი თავი სარკეში წარმოუდგება ეშაფოტზე ასულ რობესპიერად („სამთრის დღეების გასვენება“); შალვა კარმელის ფანტაზიას არ სცილდებიან ბეატრიჩე, ბოდლეური, შაგი ენერა და ედგარი („ბოდლეურის ოფორტი“); ინ-რე-უან ლექსით მიმართავს ვაგნერსა და ნიცშეს; გრიგოლ რობაქიძე სონეტებს უძღვნის ტიცციან ტაბიძეს – „დიონისოს ძმადნაფიცს“ და ვალერიან გაფრინდაშვილს; ხოლო თავად გაფრინდაშვილი გლოვობს აშორდიას გარდაცვალებას.

ამ ლექსში ერთმანეთს ებრძვის ორი თაღლითი – კადიოსტრო და აშორდია („სამგლოვიარო ტოსტი აშორდიას გარდაცვალებაზე“), რომლის მემკვიდრედაც თავისი თავი მიიჩნია, რადგან იგი პოეტს თელის აშორდიად, ხოლო სახეებს – ყალბ აზნაურებად.

რატომ ყალბ აზნაურებად?

იმიტომ, რომ საგანი მხოლოდ ნიღაბია იდუმალის და ნამდვილისა, რომელშიც მითების, სიმბოლოთა მეშვეობით იჭრება პოეტი, რათა სწედეს ყოფიერების მისტიკას. ტიცციან ტაბიძე განადიდებს პაოლო იაშვილს; გიორგი ლეონიძე გეთავაზობს „ავტოპორტრეტს“, რომელშიც თავისთავს უწოდებს ბარბაროსს, ხაზარს, ნიამორსა და პოეტს – აქაც გრძელდება ეეროპულის ქართულთან სინთეზირების ხაზი. თეხისი – ეეროპისა და აზიის შერწყმისა ქართულ ნიადაგზე ასე შეიცვალა – საქართველო – ეეროპა.

ეს იდეა ეკუთვნოდა რობაქიძეს, თუმცა ამგვარი პრინციპი მათ არც თეორიულად, არც პრაქტიკულად არ განუხორციელებიათ; ტიცციან ტაბიძეს პოეზიაში შემოჰყავს აპოკალიპსური „ცხენი ანგელოსით“; ვალერიან გაფრინდაშვილს ისევ ეწვევა მანაბლის აჩრდილი („იფანე მანაბელს“, „მანაბლის მთვარე“), ხოლო რაუდენ გვეტაძე წერს სონეტს – „მანიფესტი ვირებს“, რომელშიც იგი ამ უწყინარ ცხოველებს ნებას რთავს, რომ თავიანთ მუფედ აირჩიონ. გრიგოლ რობაქიძე უბრუნდება ქრისტიანულ მითებს და წერს მისტერიას „ჯვარი ვაზისა“, რომელსაც უპირისპირდება პანმონგოლური „მზის ნარქენი“.

ამრიგად, სრულიად ნათელია „ცისფერყანწელთა“ მიზანი – შექმნან ახალი ლიტერატურული მითოსი. რომელიც დაემყარება არა ანტიკურ წარმართულ პანთეონს ან ბიბლიას, არამედ – ლიტერატურულ რას, ლიტერატურულ სახელებსა და სახეებს.

ეს ორიენტირი არ იყო სწორი, რადგან მქორეულ, ხელოვნურ მი-
თებს აკლია სამკაროს მისტიკა. ამიტომ ცდა ამოიწერა პარადოქსი-
ბით, რეჰინისცენციებით. გაკლენებით და უფრო ლიტერატურშია
აღმონდა, თუმცა ცოდნითა და გემოვნებით მოწვილი.

ასეთი ელფერი ეკლაზე მეტად დასკრავს ვალერიან გაფრინდაშ-
ვილის პოეზიას, რომელიც სქემის რეალიზებას შეეცადა.

უცხო სახელები, მითოსური თუ ლიტერატურული, ლირიკაში მა-
შინ აღწევს ეფექტს, როცა ხელოვანი მათ ძუნწად მიმართავს, როცა
ისინი წამიერად ნაერთებთან ტექსტში, როგორც ახალი განცდის
სიგნალები. ასეთ დროს იქმნება ინტიმი და გრძნობა იძენს ახრობრივ
დატვირთვას, რადგან მათ ხსენებას მოსდევს ნაცნობი და კონდენსი-
რებული ინფორმაცია.

ამ ხერხს ვირტუოზულად იყენებდა გალაკტიონ ტაბიძე:

*„იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვაილივით დაეცი გზაზე“;
„და წაუღ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზეიროებით“;
„სულში გენით ატეხილი რეკავს ლურწამი
და ვანდუიკის ლანდებივით მწვანდება ღამე“;
„და სიყვარული ვით ეატერლოო,
მოფენილია ამ იმედებით“;
„და უღარები მზეს ნამისარს
მღალ ლოვიდან, შენ ბეატრიჯე“.*

(შდრ. ალექსანდრ ბლოკი – “Я – Гамлет. Холодеет кровь”, ლექ-
სების ციკლები „კარმენი“ და „იტალიური ლექსები“).

ხელოვნება – მითისთხზვა

შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია შეეხო ფრიდრიხ ნიცშეს, მის-
ტიკის პრობლემას და წარმოადგინა მითისქმნადობის სხვაგვარი კრე-
დო:

*„პირველითგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ
შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას*

*მითი იყო უპირველესი განზრახვა დემოთაკიისა და ხელოვანისა და როცა ყოვე-
ლივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ: მითი“.*

მწერალი ხელოვანს „მითისმოთხსეულს“ უწოდებდა, არა მხოლოდ
სიტყვის ან სიუჟეტის ოსტატს.

ამ პრინციპითაა დაწერილი „ტაბუ“, „დიონისოს ღიმფილი“, „მთკა-
რის მოტაცება“, „ხოგაის მინდია“, „დიდოსტატის მარჯვენა“.

მაგრამ ახალი, პრაგმატული და ურბასული დრო ფროტებს აკვიცდა
ქმისქმის ფანტაზიას:

*„შუბლით ვეხლებით ახალ დროს მისი საუკეთესო ეპიტაფია: შითოსმოკლებული
დრო“*

მართალია, როგორც ბოლშევიკები, ისე ნაციონალ-სოციალისტები
ქმნიდნენ ახალ მითოსს, მაგრამ ეს მაშინ ასე არ აღიქმებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას რწმენით, ხელაწევა უნდა დამყარე-
ბოდა ელადასა და რომს, ანტიკურ სამყაროს, ელინურ ესთეტიკის,
რაც გერმანულმა აზროვნებამ ევროპული კულტურის საფუძვლად
გამოაცხადა.

ამგვარი თვალსაზრისი ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან გუ-
ლისჩობდა არა ანტიკური ან ბიბლიური სიუჟეტების კლასიციზტურ
თხზუას, ან ლიტერატურული სახელების მოზაიკურ დალაგებას, არა-
მედ ფარულ, სიმბოლურ და ალუგორიულ შეხშიანებას ისტორიულ
აზრდილებთან, წარსულის დღეებთან და გმირებთან იდუმალ კაე-
შირს.

გრიგოლ რობაქიძე სიტყვის მისტერიაში, მისი არსის შეცნობაში
ესებდა მითოსურ წიაღს, შემოქმონდა როგორც წარმართული, ისე
ქრისტიანული მასალა, რათა ქართული მსოფლგკერეტა რელიგიის
მისედეით არ დახლუნილიყო.

გალერიან ვაჟრინდაშვილი და ტიცინი ტაბიძე პოეტური თვალთა-
ხედვით მსჯელობდნენ. მათი ამოსავალი იყო ლირიკა.

ხოლო გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია ვრცელ
კულტურპანორამას წარმოსახავდნენ. მათი ამოსავალი იყო ეპიკა –
რომანი და დრამა.

ახალი მითოსის შემადგენელი ნაწილებია – სახელების მაგია,
ბოქმეა და თრობა, სიკედილისა და სიმახინჯის ესთეტიკა, რომელ-
თაც შემოქმედი სახე-სიმბოლოებად აქცევს (იხ. „სიკედილისა და
ტანჯვის ესთეტიკა“).

3. ქრისტიანული და წარმართული მოტივები

ბიბლია, რომელსაც ემყარება ქრისტიანული კულტურა, მოდერ-
ნისტება ესთეტიკის თვალთ წაიკითხეს. ქართული მოდერნისტები
მორწმუნენა არ ეყოფილან, თუმცა სოგი მათგანი სასულიერო წრიდან
გამოვიდა (მაგ., გალაკტიანი, ტიცინი, გრიგოლ რობაქიძე). მათ წარ-
მოსახეაში ბიბლიური სტრიქონები და სახეები, კლესიის ბინდბუნ-

დღი. საკმეკლეს სურნელი თუ სახათლების ბრწყინება რომანტიკოს, პოეტური მეღაჩქაილის ხაწილი იყო, მიღმური ქვეყანა კი - მხოლოდ შეუცნობელი მირაჟი, რომელიც სულის აცილებს მიწიერ ცოდვებს და ტალახს. ის არსებობს თუ არ არსებობს - ხელოვანს ნაკლებად აინტერესებს. მთავარია ის, რომ გაღმა მხარე - ცისყერი შორეთი - ის იდეალური ქვეყანაა, რომელიც სასღერავს ადამიანურ ხედვას და მხოლოდ ფანტაზიით თუ შივეახლებით.

ახალგაზრდა მოდერნისტებს არ უცდიათ თეოლოგების მიერ შეთხზული მირაჟების სისტემის პოეტიზება და გადმოცემა, არც თეოკრატული ჭკერცა.

ბიბლიურ, ყრმობის სიწმრებთან თანდაყოლილ მოტივებს აესებდა შორეული ანტიკური ანრდილები, მშობლიური წარმართობის ანარეკლი.

ქრისტიანობამ მთელი ათასწლეულით უკან დასწია ლიტერატურა და რაც უნდა ვაქოთ პაგიოგრაფიული და პიმნოგრაფიული ტექსტები, ისინი ეერ შეედრება ანტიკურ პოემებსა და ტრაგედიებს.

რენესანსი იყო ფორმით ანტიკურობის აღორძინება, არსით კი ნამდვილი გრძნობებისა და ვნებების აზიურთება, ქრისტიანული დოგმების უკუგდება. მაგრამ არა ქრისტიანული მრწამისა.


მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო ქრისტიანობის ხელაღებით უარყოფა, რასაც ხელს უწყობდა ბერძნულ-რომაული სამყაროს სრული ათვისება, ეკვიპტური და მესოპოტამიური, ინდური და ჩინური კულტურების ეეროპისთვის აღმოჩენა, მეცნიერული აზრის პროგრესი.

ქრისტიანობას მარქსისმიც ებრძოდა, მაგრამ მისი ინტელექტუალური შეცვლის ცდა ეკუთვნის ფრიდრიხ ნიცშეს, გერმანელი პასტორის შვილს, რომელმაც მოინდომა დიონისური რელიგიის აღდგენა და მისი ცხოვრებისეული, მშფოთვარე ბუნება დაუპირისპირა ქრისტიანულ ასექტიზმსა და მიღმურ იდეალებს.

ქართული მოდერნისტები საკმაოდ სომიერად იყენებდნენ ანტიკურ თუ ეკვიპტურ მითებს. ბიბლიურ სახეებს, განსხვავებით პარნასელებისაგან ან თუნდაც სიმბოლისტ ვალერი ბრახუსოვისაგან, რომლის პოეზია დამძიმებულია მითებითა და ისტორიით და მაქსიმალურს ჰგავს, ისევე როგორც ერუდიას „ტროფეები“.

ბიბლიის პერსონაჟთაგან ქართული მწერლობა, როგორც სასულიერო, ისე საერო, განადიდებს ორ სახელს - წმ. მარიაშს, რომელიც 43) წელს ეკლესიაშ დეთისმშობლად გამოაცხადა, და ქრისტე მაცხოვარს.

„დედაო ღვთისაჲ“



საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა – გვასწავლის ქართული ლეგენდა, რასაც ხშირად შეგვახსენებს აკაკი წერეთელი.

ღვთისმშობლის შარავანდელითაა შემოსილი ძველქართული საგალობლები. მას ეძღვნება უჭკნობი სტრიქონები, მისი ხატი გადადის პოემებსა და რომანებში, ნოველებსა და ლექსებში. მაგრამ ქართულ ლიტერატურაში წმ. მარიამს ყველაზე დიდი და სულისშემძვრელი ეედრება აღუელინა გალაკტიონ ტაბიძემ.

ეს არის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (1917).

„სიუყარულით დამკოდე მე, უფალო“, ამბობდა პოლ ვერლენი, რომელსაც უბედურ სამარიტელს ადარებდა ანატოლ ფრანსი.

„ღღვის აქეთ შენ მიუყარხარ, დედაო ღვთისაჲ“, მიმართავდა ღვთისმშობელს ეს ცოდვილი და მარადი მაწანწალა. მაგრამ უკეთესი ქრისტიანული ლექსები სხვა რომელიმე ფრანგს არ დაუწერია.

იგივე ითქმის გალაკტიონზე.

„ლურჯა ცხენების“ მსგავსი მისტიკური ხილვაა „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.

თითქოს სამარიდან ამოსულა ვერლენი, დაღლილი და წამებულები და სიონის კარებთან დამდგარა, რათა ღვთისმშობელმა აღირსოს „ცოდებათა შესუბუქება“.

სილაჟვარდე ზეცის ფერია, შორეული და მიუწვდომელი, რომანტიკოსთა ემბლემა. ცისფერ ყვავილს ეძებდნენ მეოცნებენი, როგორც არამქვეყნიურ სინათლესა და სიწმინდეს, რომელიც შორეთში ბრწყინავდა და ზოგჯერ უცხო ქალის სახით ეშვებოდა მიწაზე.

გავიხსენოთ სხვა ლექსები:

„ქარმა სილას მონება

ნოეალისის ყვავილი“;

„მე თვალთ ეძებდი ზამბახის პრინცესას,

მწეუროდა ცისფერი ვარდები“.

ნოეალისის ცისფერი ყვავილი იყო ხან მატლიდა, ხან – ღვთისმშობელი, სოგჯერ – უბრალო ასელი.

მაგრამ ხილვავეარდიდან ცისყური ეარდი ხილვაშიც ვარდება, რომლის მოხმანება აგავს ძიროვნების ცოდვილ ცხოვრებას.

ასე ებრძვის ერთმანეთს მიწა და სუცვა, სინამდვილე და სმანება, რაც აირეკლა ღუქსის სათაურში.

პოეტი ღამეულ ხილვაში ამოდის სამარიდან თუ უღმობელი ცხოვრების გარსიდან, რომელიც აგავს ბაღდახინს თუ კებოს.

ეს ორი ცნება სიმბოლურად ერთმანეთს უდრის – ცხოვრება სამარეა, ბინა – კებო.

ღვთისმშობლის ხატთან მისულ ღამენათეე და ნამთვრალეე პოეტს სახე წაშებული აქვს, ხელები – დაღლილი, თეალებში შუქი ნაქრობია და სიცოცხლის ხალისი გასცლია. ამიტომ ეედება, როგორც პეკელა, მეოცნებე სული ღვთისმშობლის ფერხით.

მარიამ ღვთისმშობელს წარმოიდგენდნენ მარადქალურის სიმბოლოდ, რომელსაც აღმაშფრენი სიწმინდის შუქი მოსავს. იგი გრძნობას ანიჭებს სუციურ სიკამკამეს, აცლის მიწიერ განცდებს.

პოეტი არ აიგიეებს სატრფოს ან ღამაზ ასულს წმ. მარიამთან, როგორც ეს არის ალექსანდრ ბლოკის ღირიკაში. სადაც ქალწულის სახე გადადის მარიამის სიმბოლიკაში. ხოლო სოგჯერ მას ენაცვლეება მარიამ მაგდალინელი, რათა ქალის სახეში ჩანდეს წმინდანი და მესაეი, როგორც ღოცვა და შენეენება.

პოეტისათვის წმ. მარიამი ის ხატია, რომელმაც უნდა შეეშესუბუქოს მიწიერი ცოდვებით დამსიმებული სული. მისი გზა „ბედით დავიკვლილია“, ღამენათეეი და ნამთვრალეეი გული – უმედო ოცნებით მოკლეული. იგი ოცნებით დაჭრილი გედია, ე. ი. ცხოვრებისაგან გარიეული.

შემცოდე მგოსანი უარეოფილია ღვთისმშობლის მიერ. ამიტომ რნება ერთადერთი – სიკედლის გზა, საითეენაც გააქანებენ „სწრაფი ცხენები“, იგიეე ამოკალიმსური ღურჯა ცხენები – „ღამენათეეი და ნამთვრალეეი ჩემს სამარეში ჩაეესეენები“.

რა შესცოდა პოეტმა?

ალბათ ის, რომ ცხოვრობს როგორც წარმართი, როგორც ღირიკისური რიტუალის ერთი მონაწილე, რომელიც ღოთობს, ღამეებს ტეხს და ცხოვრება სისმრად ესეენება.

გალაკტიონის ღირიკაში ადრეც ჩნდებოდა წმ. მარიამის ღანდი. შემდეგ კი სწეხდა, როგორ შეეიძლოთ უმადონობა ამ უღმერთო დროშიო. ამიტომ სიკედლი არც ისე ხაშიშია, როგორც პეონიათ, რადგან „სიკედლის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“, რომელსაც აგი გადააქავს „სამუღამო მხარეში“.

ვარდისფერი ვ'სა კი იგივე სიხმარეული ქვეყანაა, 'ხეცური სამეფო.
„სილაკუარდუ ანუ ვარდი სილაში“ არის 1912 წელს დაწერილი
„Ave Maria“-ს ახალი მოდიფიკაცია.

პოეტი შექმნა (არაერთხელ მიუბრუნდა ღვთისმშობლის ხატუ-
ბას (მაგ. „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“, „მადონა იყოს მისი
'ფარეული“).

ქალწული მარიამის რომანტიკული კულტის ვარიაციაა სახელი
მერსი, როგორც მიუწვედომლობის იდეა.

ქრისტი მაცხოვარი

ჩვენი მწერლებისათვის XX საუკუნემდე ეკლის გვირგვინოსანი იყო
შთაგონება. სიცოცხლის საზრისი და მომნიჭებელი, სიკვდილითა სი-
ვდილისა დამთრგუნველი.

დისონანსი 'შეიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟი კონსტანტინე სავარსა-
მიძე ქრისტეს უარყოფელია. დაუღწევე ჯვარცმა და ვგძე ქრისტე.
ჩვენი დამაქცეველი, ამბობს იგი და აღიარებს, რომ ბაე'შეობიდანვე
არ უყვარდა მისი დაღრუჯილი სახე, და რომ მისმა უურებამ მოუშხა-
მა სიცოცხლე.

სავარსამიძისათვის ქრისტე უცხო ქვეყნის, 'უდაბნოს ღმერთია, ვის-
თვისაც სულ ამოდ სწირაუდნენ თავს წინაპრები.


კონსტანტინე სავარსამიძის სახის მიღმა დგას ფრიდრის ნიც'შე –
„ანტექრისტეს“ ავტორი, გერმანელი პასტორის 'შეილი.

ოციან წლებში, როცა ბოლ'შევიკები ეკლესია-ტაძრებს ანგრე-
დნენ, ხოლო ღვთისმსახურებს იჭერდნენ, კრეჭდნენ და ხერკტდნენ,
სავარსამიძის ანტიქრისტიანული პათოსი შეუმჩნეველი დარჩა.

ცხადია, ნიც'შეს მსგავსად, გულის სიღრმეში მას მაინც უყვარს
ტანჯული ღმერთი, რადგან აღზრდით, 'ხნეობით, ადათ-წესებით. კულ-
ტურით ქრისტიანად რჩება. დიონისოს რელიგია კი მოგვიანებით, გო-
ნებით აქვს შეთვისებული, თუმცა მასში ხედავს მშობლიური წარმარ-
თობის სრულყოფილ სახეს.

სავარსამიძის პათოსი გამოაყვიათ თარაშ ემხუარს, თამარ შარვაში-
ძეს, კონსტანტინე არსაკიძეს, გიორგი პირველს, 'შაულეუკ ტოხაისძეს,
ყარსმან სპარსს, მახარა ბატონი'შვილს. ღმერთთან ანუ ბედისწერას-
თან ზიდილი – ეს არის მათი სიცოცხლის ა'ხრი.

გალაკტიონის პოეზიაში არაერთხელ გაკრთება მაცხოვრის ღან-
დი. იგი პოეტის ოცნებაში ტრადიციული სიყვარულითა და კრძალვი-
თაა მოსილი. მავრამ მკაცრია და უღმობელი:



*„სიმკაცრით შემხვლავს საშენი
თელები შგარული კამარის-
ჯეარს ეცვი, თუ გინდა! საშეული
არ არის, არ არის, არ არის!”*

ამასთან ერთად უფალი სამართლიანია და ცოდვითაგან მხსნელი:

*„შენთვის გაგკრა ჯეარზე იესო,
სულთ, ჭაობზე უნოტიესო!”*

ღმერთი ადამიანის სულში ყოელის მომცველია. ამიტომ ამბობს ნიკშუ: „მინდა ერთდროულად თეო ყველაფერი – მტრედიც, ღოროც და გველიც”. ასეთი არსება 'სეკაცია.

გალაკტიონისათვის უცხოა ანტიქრისტიანული პათოსი. დაპირისპირება ქრისტიანობასა და წარმართობას შორის. თუმცა ეტრფის უღადას („აქ სული ინახავს თვის მსუბუქ სამოსელს“) და მის პიესაში მონაცველებენ კეტერა, აფროდიტა, დიონისე, ცენტავერები, არტემიდა, ცერერა, მენადები და ინფანტები. მათ სიუხვეს კი ანეიტრალეებს ქრისტიანული სერაფიშები და ანგელოსები, ღვთისმშობელი და მიკხოკარი.

ტერენტი გრანელიც სულს ავედრებს მაცხოვარს, რომელიც სუ-
ცად ებრუნება და მისკენ გაფრენა ენატრება. მაგრამ მისთვის იესო
ესთიკრიკის ნაწილია, რომელსაც უკავშირდება ეკლესია, სულთა სა-
უფლო, სასაფლაო.

აპოკალიპსი



ქართველ მოდერნისტებს აინ-
ტერესებდათ აპოკალიპსის მითი
– სამყაროს ესქატოლოგიური და-
სასრული, ქრისტეს მეორედ მოს-
ვლის დღე.

ღვთისმშობლისა და ქრისტეს
სახეები ტრადიციის ინერციით,
აღზრდილია ცვლინდებოდა. ხოლო
აპოკალიპსის თემა ლიტერატურ-
რაში მოდური გახდა, რასაც
ხელს უწყობდა რევოლუციური
წლების კოშმარი, მსოფლიო სის-
ხლისღერა და ეჩვენებოდათ, რომ
დადგა განკითხვის უამი და აღ-
სრულდა იოანე ღვთისმეტყველის
ბნელი ხილვა.

ამიტომ დაადგა თბილისის „სის-
ხლიანი ანგელოსი“.

გაეიხსენოთ გალაკტიონის
„ლურჯა ცხენები“ (1915), რომელსაც ყველა კითხულობს, რომელიც
ყველას უყვარს, თუმცა არაეინ იცის – რატომ და რისთვის, ან – რას
გვაუწყებენ ამ მისტიკური ლექსის შეშლილი სტრიქონები.

ქროლვის მოტივი გალაკტიონს ადრეც ხიბლავდა, როცა პოსეიდო-
ნის ეტილით თუ ნეპტუნის ცხენებით გურიის მთებისკენ მიექანებოდა.

მაშინ სული ხალისით ჰქონდა ავისილი და გაზაფხულის სიმწვანეს
ეტრფოდა („გურიის მთები“). მაგრამ იცვალა ჟამი და პოეტის სულში
მწუხარებამ გაშალა ფრთები.

აპოკალიპსური მოტივების სიუხვე, ერთი მხრივ, სულის ურვას და
ნაღველს გვაუწყებს, მეორე მხრივ, – უკუყვანა ამღვრეული, მფოთი-
ანი, შეშლილი სამყაროსი.

„ლურჯა ცხენები“ საკუთარი დაღუპვის წარმოსახვაა, სიკვდილის
ბილიკებზე ქროლვაა. ეს არის ლექსის სიუჟეტი.

იგი შთაგონებულია სიმბოლისტური სიკედილის ესთეტიკით, რომლის თანახმად დაღლილი და მწუხარე სული ეტრფის სიკედილს, როგორც საბოლოო მიზანს, რადგან ეს არის ზეცაში ამაღლება.

სიმბოლისტებმა სიცოცხლეს შეუნაცვლეს სიკედილი, სიხარულს – სიმძიმე, გახაფხულს – შემოდგომა, აქტიუობას – დაღლილობა, სიჯანსაღეს – ავადმყოფობა და სიმახინჯე, უფრო სწორად – მოარიგეს, შეაერთეს სიცოცხლის პოლარული საწყისები.

ფიოდორ სოლოგუბი წინაპართა ქვეყნიდან – ოილეს მიწიდან ეძახდა ხატრფოს:

*"Елисавета, Елисавета,
Приди ко мне!
Я умираю, Елисавета,
Я весь в огне!"*

გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ კი „სამუდამო მხარისაკენ“ ისწრაფიან. იქ მხოლოდ „მღუმარება“, „სიცივის თარეში“ და „სიმწუხარე“. ხოლო ბნელ ხეულებში ანუ სულის ქვესკნელში სძინავთ გამოუცნობ ქიმერებს. პოეტი თავს წარმოიდგენს ცივ სამარეში მწოლარედ. სულს არ უხარია ამ „გლეჯარე ნაპირთან“ ყოფნა, სადაც გამქრალა ნუგეში და სიყვარული, სადაც ინთქმება უსულგულო დღეები და საითკენაც ჩქარი გრგვინვა-გრიადით მიექანებიან ლურჯა ცხენები.

„სამუდამო მხარე“ ძველბერძნული პადესია, ქრისტიანული საიქიო, ქართული შავეთი, კოლხური ოშურეთი (სასულეთი).

იქ, ელადაში, სტიქსის წყალზე სული გადაჰყავს მოხუც მებორნეს ქარონს. სიკედილსა და სიცოცხლეს ჰყოფს მდინარე, სთიშავს ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროს.

გალაკტიონის წარმოდგენით, საიქიო მარადიული მზით განათებული „ელვარე ნაპირია“. მაგრამ თვალი მაინც ვერაფერს ხედავს, ვერც ნაპირს, ვერც ყვაეილებს, არც ძახილი ჩაესმის.

ყველაფერი გამქრალა – თვალბეში ცეცხლი, გულში – ვნება.

იქ, იმ მხარეში, სული გადაჰყავთ ლურჯა ცხენებს. სხეული კი წევს ცივ სამარეში.

ლურჯა ცხენები „მელის ტრიალს“ განასახიერებენ, როგორც ამ ლექსში, ისე „ეფემერაში“ („ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები ქროდნენ ეფემერული და ფერადი კარებით“).

ასე შეიცვალა ბარათაშვილის მერანი გალაკტიონის ლურჯა ცხენებით, ბედისწყრის ურჩი მხედარი – სიკედილის ლანდით.

ლურჯა ცხენი ხალხური გამოთქმაა და სულაც არ ნიშნავს თანამედროვე „ლურჯს“, ისევე როგორც აპოკალიპსის მწვანე ცხენი – მწვანეს. ლურჯა ცხენი იგივე შავი ცხენია, რადგან ძველთა წარმოდ-

გენაში ღურჯაი და შავი ერთი სიტყვით აღინიშნებოდა. მაგრამ თანდათან მოხდა ნიუანსების გამოყოფა და სიტყვიერი დიფერენცირება, დაიკარგა არსი და შემოგვრჩა როგორც მეტაფორა.

ცხენი დემონურ ძალას განასახიერებს. ქართველთა რწმენით, იგი მიცვალებულის განუყრელი თანამგზავრია.

თვით დაღუპვის პროცესი არის პიროვნებისათვის აპოკალიპსური კატასტროფა.

ამიტომ სამუდამო მხარისაკენ – „საოცნებო უბისკენ“ მიმქროლავი ღურჯაი ცხენები აპოკალიპსის ცხენებია, რომლებიც სცვლიან ქარონსა და აქერონს.

იოანეს გამოცხადებაში ხომ თანმიმდევრულად ჩნდებიან სპეტაკი, წითელი, შავი და მწვანე ცხენები და თითოეულის გამოჩენას მოაქვს ცეცხლი და ნგრევა, სიკედილი და სისხლისღერა.

ცხენთა შმაგი ჭენება ლექსში აღიბეჭდა მკვეთრი რიტმით, რომელშიც თანამდევითი რითმები თითქოს ცხენთა ფლოკეების ხმას გამოსცემენ („სიხმარან ზენებით – ჩემ ღურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით“).

ეს აპოკალიპსური წარღვნისა და ნგრევის მუსიკა პიროვნების სულის გრიგალია, ცნობიერების ღელვა და შფოთვა, ცხენთა სიმბოლიკით გასაგნებული. ხოლო სიკედილი სამყაროს პარმონიის აღდგენაა, ენებათა დაცხრომა, მშობელ მიწასთან შერწყმა.

სული კი სტოვებს სხეულს და მიწას და ცად მიფრინავს.

ამიტომაც არის „ღურჯა ცხენების“ გაგრძელება „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე“ – სულის ქროლვა ასტრალურ სივრცეში.

აპოკალიპსის ბნელი მითი, რომელიც შემოვიდა რუსული მწერლობიდან (მასზე წერდნენ, მასზე მსჯელობდნენ სოლოვიოვი და მერეჟკოვსკი, ბრასუსოვი და ბელი, როზანოვი და ბლოკი), ბევრ ქართველს აწვალებდა. გრიგოლ რობაქიძე მას დეკადანსთან აკავშირებდა.

აი, მოფრინავს ტიცინანის აპოკალიპსური „ცხენი ანგელოსით“ (1921).

პოეტის თვალწინ ჩაივლის მთელი ისტორია, რომლის საწყისია ქაღდვა. აქედან, როგორც დემნა შენგელაიას თეთრი ცხენი, მოემართება ტიცინანის ცხენი ანგელოსით.

ერთმანეთს გადაეწნა წარმართული და ქრისტიანული სურათები.

ამქვეყნად ყველაფერი დაიღუპება, თვლის პოეტი, დარჩება მხოლოდ „აპოკალიპსის თეთრი იმედი, ყრმა უკედავი, ცხენი ანგელოსით“.

ეს „ყრმა უკედავი“ არის იესო ქრისტე, ქვეყნად მეორედ მოსული, ამჯერად – მახვილით.

თუთრი ცხენი აპოკალიპსის ოთხ ცხენთაგან პირველია, ანგელოსი – ოთხ ანგელოსთაგან ერთ-ერთი.

ასევე აპოკალიპსითაა შთაგონებული ტიცვიანის „დროშა ქიმერი-ელთა“, სადაც რიონის ფშანი – იორდანეა, ორპირი – პატმოსი, ქაი-ლო, გრიგოლი, ვალერიანი და თვითონ – ახალი ქრისტეს ოთხი მახარობელი, ოთხი საყვირი დაიყვირებს ამ ოთხ სახელს.

ესაა მხოლოდ – ჯერ არ ისმის „ანგელოსი ხმა სახიფათო“, რომელსაც მოაქვება ქვეყნის დაქვევა.

„დიონისოს ღიმილში“ არაერთგან გეხედება აპოკალიპსური მოტი-ვები და სახეები, მაგ., პატმოსის ჭალაკი, აპოკალიპსური კურო, მწე-ნე ცხენი, „ძე კაცის მსგავსი“ – ქრისტე, აპოკალიპსური პოზაუნები, მხედრები, ცხოველები და ანგელოსები.

თვით ჯენეტისა და კონსტანტინეს სიყვარული იშვა აპოკალიპსუ-რი სიტყვებისა და სურათების წიაღში, როგორც სიკედილის მომტანი.

საეარსამიძის ჯოჯოხეთში ჩასვლა იოანეს ხილვის თანამედროვე ვარიაციაა, შინაგანი ლტოლვების არაცნობიერი გასაგნება.

მთავარი მტერი, რომელსაც უტევენ აპოკალიპსური მხედრები, არის „ღაწმალალი, ყვითელკოლტებიანი მონღოლი“ – სლანსკი, ცარისტული რუ-სეთის სიმბოლო.

იგი წარმოდგენილია როგორც აპოკალიპსის დრაკონი თუ მხეცი, რომელიც უნდა მოისპოს და რომელსაც სავარსამიძე უკიდება, რო-გორც იაკობი – უფალს.

ზმანებაში ასე ხედება რომენ როლანის ჟან კრისტოფიც აპოკა-ლიპსის მხედრებსა და ანგელოსს. მაგრამ კრისტოფი თუ მარცხდება, სავარსამიძე იმარჯვებს, თუმცა რეალურად ორივესთვის საპირისპი-რო შედეგი მოაქვს.

აპოკალიპსის ანგელოსი, ბუკი, შვიდი სასანოლე, მწვანე ცხერი გადადის „მთვარის მოტაცებასა“ და „დავით აღმაშენებელში“ და ახა-ლი აზრით იმოსება.

აპოკალიპსური წარდენით იღუპება დემნა შენგელაიას სანაეარდო, ისევე როგორც მრავალი წლის შემდეგ გაბრიელ გარსია მარკესის მაკონდო („მარტოობის ასი წელი“).

მწერალმა რომანის ფინალი შეცვალა და ახალი სინათლე რეა-ლობას დაუკავშირა! მაგრამ სჯობს აღვადგინოთ პირველი ვარიანტი (1924).

სანაეარდო, ეს ძველქართული სოფელი, რომელიც იხსენიება ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, საესეა კომმარული ლანდებით, „ბაყაყებით, ბველებით, კანტებით, ხაშვით, უემურით, აყოლილით, საწერელით, შეშლილობით, სიკედილით, ცხვლებით, მაკლაჯუნით, ავი თვალით, უშეულობით, თუთაშით, ბატო-ნებით, საყმაწვილოთი, შენახვლობით“.

ეს არ არის ის სოფელი, რომელიც კვიელი საცით დაღლილს

სულის ეხალბუნებოდა, არც წაბლიანი, არც ვაშლიყვანი, არც თამარ-
ნაშენი.

ბონდო ზილაძეს, პეტერბურგში განსწავლულ თავადიშვილს, სტან-
ჯავს იმპოტენცია, ეპილეპსია, შიზოფრენია და წინ მხოლოდ წყვილი-
ადი ეგულება.

სნეული სანაევარდოს განკურნება არ შეიძლება, იგი უნდა დაიდუ-
პოს – ასეთია ავტორის განაჩენი.

ამიტომ წარეცხავს „ღამასლი წვიმა“, „თქეში და ნიაღვარი“ სანაევარდოს,
„დღვათა გოვება დააყრუებს ზეცას, მამათა ეება გააპოვს დღვამიწას“:

„მოვიდა ახალი ქარი, მოვიდა წითელი უზმური და ცხენები დაფრთხნენ, გადირი-
ვნენ, ყალბე ღებთან, ეხვეთან მუცლით მესრის მარგალებს და სადავე აწვევტილნი
მოფრინავენ კიხვინითა და თქარათქურით, მიათრევენ გადმოყრილ ნაწლავებს და ენა
გადმოვადებული წუწი, მუნანი ძაღლები მისდევენ ტალახში არეულ შიგნეულობას,
ქაღვყენ მსუნაგად ქეჩო აყრილნი, ბოროტად აღრენილნი“.

სანაევარდო, ეს ოდესღაც შეგებისა და ლაღობის სოფელი, იღუპება,
როგორც შორეული ჯერ ქაღდეა და შემდეგ – კაპადოკია, საიდანაც
მოქპროდა თუბალის თეთრი ცხენი კავკასისაკენ.

ჩვენ ყველა სამშობლო დაეკარგეთ და ხელთ აღარაფერი შეგერჩა,
– გვეუბნება მწერალი და ხსნად მიანია „წითელი უზმურის“ მიერ ქვეყ-
ნის წარხოცვა, რომლის შემდეგ მოვა ახალი ხალხი და დაიწყება
ახალი ცხოვრება.

გალაკტიონმა აპოკალიპსური ქაოსი ჯერ მოსკოვსა და პეტროგ-
რადში ნახა. „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ და „ჯონ რიდი“ ამ
მოვლენის ასახეა. პოეტმა რევოლუცია აღიქვა, როგორც მეორედ
მოსელის დღე და გააგრძელა რევოლუციის პოეტიზება, როგორც
აპოკალიპსური წარდენისა.

ძრისტიან მხედარი წმ. გიორგი

კაპადოკიელი გიორგი დიოკლეტნიანეს ჯარში მსახურობდა, იყო
მხედართუფროსი. იგი აწამეს ქრისტეს სიყვარულისათვის. მისი სახე-
ლი გვიან გახდა პოპულარული, მაგრამ იმდენად გაერცვლდა, ლამის
ღვთაებრივის ატრიბუტები შეიძინა.

დრაკონის მშუსვრელი თეთრცხენოსანი გიორგი საქართველოში
მკვიდრდება IX საუკუნიდან. მას განადიდებდნენ ღვთისმსახურები.
მაგრამ საერო პირთა შორისაც სიყვარულსა და აღტაცებას იწვევდა.

კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში იგი ქრისტეზე უფრო საყვარ-
ელი და სათაყვანო სახელია. კონსტანტინე სავარსამიძემ ყრმობაში
იხილა იგი და მაშინვე დაუპირისპირა ქრისტეს, რადგან ქრისტე ჯვარ-

'სეა გაკრული, წმ. გიორგი კი ცხენ-
'სე 'სის და გველეშაპს შუბით კგმი-
რავს. ასე მოძღვრავს მას წარმართთ
ტაია 'შელია, გველის მგეშავი, მისი
აღმსრდელი და მესაიდუმლე. სავარ-
სამიძის ძიძას მტკიცედ სჯერა, წმ.
გიორგის გველეშაპმა რომ აჯობოს,
საქართველო და მოელი საქრისტიან-
ო დაიღუპება.

წმ. გიორგი იხსნის შიმშილით სიკ-
ვდილისგან ემიგრანტ სავარსამიძეს,
მტრის ტყეისაგან – ჯერ ჯენეტის
დიდედას, გურიელის ქალს, შემდეგ
თვით ჯენეტსაც, ათაბაგების შთა-
მომავალს.

წმ. გიორგი, მწერლის პერსონაჟთა
რწმენით, სამართლიანი, მყარეული და მხსნელი ძალაა.

მან დაიკაჲ ქართველთა წარმოდგენაში უპირველესი ღეთაების –
წარმართული მთვარის ადგილი, როგორც მიიხნედა ივანე ჯაჲახიშ-
ვილი.

კონსტანტინე სავარსამიძე წმ. გიორგის ძლევა მოსილ სახეს ხე-
დავს არაბთა მიერ წამებული გმირების – დავითისა და კონსტანტი-
ნეს ცხოვრებაში.

მინდა გავიშეორო ჩემს მიერ ადრე თქმული:

სავარსამიძის, ტაია 'შელიას, ხარბედიების, კოხტა თელიას მფარ-
ველია სუჯუნის წმ. გიორგი; ფოტოგრაფი ხალხს წმ. გიორგის მაღლს
აფიცებს; ჯენეტი დედამ წმ. გიორგის ჩააბარა; „მთვარის მოტაცების“
პერსონაჟები (კაც 'ზეამბაია, თარაშ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, ლუ-
კაია ლაბახუა, გვანჯ აფაქიძე, ლომკაც ესუანჯია) ილორის წმ. გიორ-
გის უკაჲშირდებიან; შორენა კილონკელიძესა და კონსტანტინე არსა-
კიძეს იფარაჲთ წყაროსთვალის წმ. გიორგი; გიორგი პირველი თავის
სიკედელს აბრალებს წმ. გიორგის რისხეას; „ვა'ის ყვაევილობაში“
მოხუცებული ხალხი ქვაკაცს წმ. გიორგის ევედრება...

მეომარი, ფარ'შუბოსანი წმ. გიორგი ხალხს ბრძოლის სულით აღან-
თებდა, ხოლო ჯვარსჲე გაკრული მაცხოვარი – კრძალვას, მოთმინე-
ბას, ამტანობას აწვევდა მორწმუნეთ.

ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულ ქვეყანას, დაცემულ და დამარ-
ცხებულ სამშობლოს გველეშაპის მმუსვრელი რაინდი უფრო შეჲყუ-
როდა, ვიდრე წმ. ნინო ან თუნდაც წამებული მაცხოვარი.



ასე სწამთ კონსტანტინე გამსახურდიასა და მის პერსონაჟებს.

გალაკტიონ ტაბიძე ხშირად ახსენებს წარმართულ ბერძნულ და რომაულ ლეთაებებს. ეს არის პარნასული ნაკადის შემოჭრა. პოეტი თავისი რწმენით ქრისტიანად რჩებოდა და მის წინაშე არ დამდგარა დილემა – ქრისტე თუ დიონისო?

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „ძველი წისკვილი“:

არაგვისა და მტკერის შესართავთან, როცა ქათქათებს მთვარე და გაივლის მეოცნებე ხეესური მწვემსი, წისკვილთან, შადრევანზე აირე ეა უამრავი ალი, რათა შეშალონ „გვიანი სული“. მაგრამ ამ კივილს, ამ სიცილს და ცეკვას, ღელვასა და სიგიჟეს გააქრობს წმ. გიორგი, რომელიც რაშით წამოვა.

ბოროტ სულთა პარპაშს სპობს ქრისტიანი რაინდი.

დიონისოს მითი და საქართველო

1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ გრიგოლ რობაქიძე ბეჭდავს ესსეს – „დიონისოს კულტი და საქართველო“

ავტორი ემყარება ფრიდრიხ ნიცშეს, მაგრამ იშველიებს ვიანესლავ ივანოუსაც, აღწერს დიონისურ რიტუალს (ღამე, მწვერვალი, ორგიაზმი, მუსიკა, ცეცხლი, გუნდი და ცეკვა, მსხვერპლშეწირვა), რომელსაც ახლავს სიგიჟე და ეელურობა, ექსტაზი და თრობა, პიერომანია – წმინდა შეშლილობა.

მწერალი იხსენებს დიონისოს კულტს ელადაში, დაძმობილებას აპოლონთან, მიმართებას ადამიანურ ძალებთან და ასე ხსნის მისტერიულ არსს, დაფარულ საიდუმლოს, რაც ხიბლავდათ და იზიდავდათ ძველ ელინელებს.

„ადამიანის გაღმერთება მსხვერპლო მოკვლით“ – ეს მიანიჩა გრიგოლ რობაქიძეს ამ კულტის ერთ-ერთ სპეციფიკად.

მსხვერპლი ჯერ ადამიანი იყო, შემდეგ – ხარი. მსხვერპლშეწირვამ სიმბოლური სახე მიიღო (მსახიობობა). მაგრამ დიონისო უკავშირდება ხის კულტსაც – მუხასა და ჭადარს.

მწერლის აზრით, დიონისოს კულტის ესთეტიკურ ათვისებაში ფრიდრიხ ნიცშეს წინ უძღოდნენ გოეთე და პლდერლინი, ისტორიკოსები და ფილოლოგები.

ნიცშეს შემდეგ კი ეს გზა გააგრძელეს ივანოვმა და ზელინსკიმ.

მწერალი დიონისოს კულტის ელემენტებს პოულობს ქართულ ხასიათშიც: „მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავისთავად: სიკვდილი და სიცოცხლე გაქრობა და აღდგენა“...

1922 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ დაბეჭდა ნიცშესადმი მიძღ-

ენილი ესსე - „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“, 1923 წელს - „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ მათში დიონისოს კულტსაც შეეხო, თუმცა სპეციალურად არ უმსჯელია. ამიტომ თითქოს მოულოდნელიც იყო 1925 წელს „დიონისოს ღიმილის“ გამომჩენა. ამ რომანში



გაერთიანდა ის იდეები, რომელთაც მწერალი ესსეებში ქადაგებდა, მაგრამ მყარ ადგილს იკავენს დიონისოს რელიგია, რომელსაც მხოლოდ გაკერით ეხებოდა.

დიონისოს სახელით კონსტანტინე სავარსამიძე ქრისტეს დაუპირისპირდა, რადგან თელის, რომ ასკეტური მოძღვრება პიროვნებას ზღუდავს, სწელს აჩიავებს. ხოლო დიონისო ანთაეისუფლებს ადამიანურ ენერგიას. აღაზივებს სიცოცხლის უნარს. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სურვილი, რათა „აბუღიით სწეული“ თანამედროვეობა მწერალს გამოეფხიხლებინა, ქრისტიანობისა და სოციალიზმის სანაცვლოდ ძველებრძნული ესთეტიზმი აღედგინა, შეეკრიბა ქართული წარმართობის ნარჩენები.

კონსტანტინე სავარსამიძემ ვერ შეძლო შორეული ლანდების მოშორება, ვერც ახალ ცხოვრებას ეხიარა, რადგან მოღლილი, ნაცვიები სისხლი და ნეერასთეუნია ართმევს ბრძოლის უნარს. ცდილობს ზეცად მოგვევლინოს, მაგრამ ახალმა დრომ დიონისოს კულტის მედაფეს ასპარეზი წაართვა და მხოლოდ უმწეო ოცნების ამარა დასტოვა.

ბარბაროსული ბოლშევიზმის ეპოქაში დიონისოს კულტი ანაქრონული მოვლენა იყო. იგი შეიძლებოდა მხოლოდ პოეტისა და ხელოვანის ფანტაზიაში არსებულიყო, რომელსაც სურდა ძველი მითის ბრწყინვალეებით თავი მოეტყუებინა.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა:

„დიონისოს კულტში ისტატება წაშება და აკუნწა ბოლოს მისი მკდრეთით აღდგომა - ხელმოვრედ შობა დიონისოს კულტში ღვთაების განკაცებაა მოცემული“.

ეს იდეა აირეკლა სავარსამიძის ბიოგრაფიაში, ვისაც შმაგტ დიონისო ნიღბების სახით ევლინებოდა - *„დიონისო ვერძისძეებანი, დიონისო ლომის სახისა, მრისხანგ შეუბრალეებლი, გამძინეარებული ღმერთი“.*

სულიერებაში გადასული დიონისო უკვე ღემონია.

ესთეტიზმი: წარმართული და ქრისტიანული

ქართული მოდერნიზმისათვის მთავარი იყო არა მსოფლმსედეკლობის საკითხი, მისი გამომუშავება და დაცვა, ან რომელიმე მიმართულებისა და სკოლის პრინციპების ერთგულება, არამედ – ხელოვნების იდეა, განახლების პათოსი, რომელშიც უმთავრესი იყო ესთეტიზმი.

ამიტომ იტაცებდათ ბარბე დორევილის დენდიზმი, წიგნი ბრუმელის შესახებ, უაფლდის ესთეტიზმი, ვაგნერის გმირული მუსიკა, სიტყვის კულტი.

გრიგოლი, პაოლო, ტიცვიანი, კონსტანტინე, სიმბოლისტი გალაკტიონი, კოლაუ თუ ვალერიანი გარეგნულადაც აელენდნენ ესთეტიზმს. გრიგოლი და კონსტანტინე არ განეკუთვნებოდნენ ბოჰემას და განირჩეოდნენ გერმანული პუნქტუალობით, გოეთესებური წესრიგით, სიზუსტით, ელეგანტობით, არა მხოლოდ სულიერი, გარეგნული არისტოკრატიზმითაც, რაც ბობოქარ რევოლუციონერთა, ყოფილ კატორღელთა, ბანდიტთა და მკვლელთა თვალში ანაქრონულად ანუ ბურჟუაზიულ გადმონაშთად აღიქმებოდა.

გალაკტიონი, პაოლო, ტიცვიანი, კოლაუ ბოჰემური ესთეტიზმის ხაზს აგრძელებდნენ, რაც გულისხმობს უწესრიგო, აბნეულ, მშფოთვარე ცხოვრებას, ალკოჰოლსა და ოპიუმს, რითაც ასე აშკარად ენათესავებოდნენ ფრანგ დაწყველილ პოეტებს თუ მონპარნასის მხატვრებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი ბოჰემის სათავეს ძველ საბერძნეთში ხედავდა და მის მომძლავრებას ქალაქურ ყოფას უკავშირებდა.

ბოჰემას ახლავს ოპიუმი და პაშიში და გადადის მისტიკაში, როგორც კნუტ ჰამსუნის ილიაილი, რომელიც შვა შიმშილით აღგზნებულმა ფანტაზიამ.

ბოჰემის მეორე წყაროა ალკოჰოლი, ალკოჰოლით თრობა და თრობაში ჭეშმარიტების ხილვა (გაეიხსენოთ ალ. ბლოკის "Незнакомка").

ხანაც ეს ყოველივე ერთიანდება, როგორც ეს არის ედგარ პოსთან და შარლ ბოდლერთან და იქმნება ბოროტებისა და საშინელების კულტი. მას ერთვის პროსტიტუცია და სიმახინჯის ესთეტიკა, გვასწავლის ვალერიან გაფრინდაშვილი.

პოეტი არც ქართულ ბოჰემას ივიწყებს, რაზეც მთელი წიგნი დაწერა იოსებ გრიშაშვილმა. მაგრამ ვალერიანს აინტერესებს კულტურული, არისტოკრატიული ბოჰემა, რომელსაც მიაკუთვნებს ბესიკს, აკაკის, გურამიშვილს, მამია გურიელს, გრიშა აბაშიძეს.

როგორც ვხედავთ, ბოჰემა ერთი მხრივ ცხოვრების ესთეტიური ნორ-

მაა. მეორე მხრივ – მითოსთხსენის გაგრძელება და გრძნობების მოძალეობა.

პოეტისათვის სიტყვა არის მიზანი. პროზაიკოსისათვის – საშუალება. მაგრამ ორივე მათგანი მოდერნიზმში ესთეტიზმს ემორჩილება.

ესთეტიზმი სილამაზისა და რომანტიკის სამოსელი იყო, რომელიც ცვლიდა რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ დოგმარტებს, წარმართულ ვაკხანალიას და ქრისტიანულ ასკეტიზმს.

დიონისოს კულტით გატაცება, ანტიქრისტიანული პათოსი, თუნდაც ღვთისმშობლის (გალაკტიონი), წმ. გიორგის (კონსტანტინე) ან წმ. ნინოს (გრეგოლი) იდეალიზება, პირველ ყოვლისა, იყო ესთეტიური ეესტი და პათოსი. ცხადია, აქ არც მსოფლმხედველობის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ ხელოვნებაში უმთავრესია ემოციების აღძვრა და დამორჩილება და არა აზრის პრიმატი. ხოლო ყოველი ადამიანური გრძნობა და ენება თავისთავად აზრის შემცველია, რომელიც ღირიკაში სტიქიურად ვლინდება.

კონსტანტინე გამსახურდია არა მხოლოდ დიონისოს რელიგიას გადმოსცემდა, არამედ მისტიკოსთა ორდენის დაარსება ეწადა და დარტეს სწავლობდა. იგი ცდილობდა მისტიკის ნიშნით ერთმანეთისთვის შეერწყა ქრისტიანობა და ძველბერძნული წარმართობა. ელინური სილამაზის, ღმერთების პანთეონის განშტოებას სედაედა კოლხურ მითოსში, ძველქართულ ტრადიციებში, ლეკუნდებსა და თქმულებებში. ამიტომ იყო მისი ესთეტიზმის საყუქველი ელინური პარმონია და არა ბარბაროსობის კულტი, კანიბალიზმი და უშველესი ეამის სხვა კოშმარი. მას დაერთვოდა ქრისტიანობის მიერ მოტანილი მოტივები და სახეები (წმ. გიორგი, წმ. კონსტანტინე, აპოკალიპსური მწკანე (კხენი...), რათა სამშობლოს ისტორია ერთიანი ყოფილიყო პერსონაჟის ცნობიერებაში.

წარმართული რწმენა, წეს-ჩვეულებანი, რიტუალები ასაზრდოებთ და აძლევთ ძალას ტაია შელიას, ლომკაც ესეანჯიას, ლუკაია ლაბახუას, ხოგაის მინდიას, ფარსმანს, მახარას. მთავარი პერსონაჟებიც ელინურ და ძველქართულ ტრადიციებზე არიან აღზრდილი (კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი, კონსტანტინე არსაკიძე, გიორგი პირველი...).

ტიციან ტაბიძე ერთდროულად ჭერეტს ორ სამყაროს – წარმართულ ქალდეას ქალაქებს, საიდანაც წამოსულან ქართველთა წინაპრები. და ქრისტიანულ, მღვდელი მამის სახეს.

პოეტს მოესმის „ქალდეას მესსა“ და ქალდეა ეფარება „ცხელ ანგორად“; რომელიც მამას ემოსა.

წარმოსახვაში ერთიანდება შორეული მამული – პირველსაცხიურისი ქალდეა და მღვდელი მამა, აწ გარდაცვლილი.

ქართულის ბუნებაში, როგორც ფიქრობდა კონსტანტინე გამსახურდია, ქრისტიანობამ ვერ დათრგუნა წარმართული სული და მოხდა მათი სიმბიოზი.

გველისა და სისხლის კულტი

ახალმა დრომ, ისტორიის სიღრმეში შეჭრამ და არაცნობიერი ფსიქიკის ახსნის ილუზიამ, ახალმა თეორიებმა წარმოშვა ინტერესი წარმართობისადმი.

წარმართულ მასალაზეა აგებული გრიგოლ რობაქიძის დრამები – „ლონდა“ და „ლამარა“.

პირველი შთაგონებულია უაილდის „სალომეათი“ (რომელიც თავად თარგმნა), მეორე – ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელით“, ისევე როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“.

„ლონდაში“ ასახულია წარმართობის მიწურულის ეპოქა, ძველი კოლხეთი, სალოცავი, რომელსაც ჰუარავს ათასწლოვანი მუხა, ქურუმი, ქადაგი და შეწირულები, რიტუალი – ადამიანის შეწირვა ღვთაებისადმი.

სადდასაის უნდა შესწირონ ცისფერთვალა ლონდა, რომლის ენობა არავინ იცის.

ხოლო „ლამარაში“ მოქმედება ხდება ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარზე. იქ ბატონობს სისხლისა და გველის კულტი, რადგან სისხლი სიცოცხლის არსია, გველი – გონების სიმბოლო.

ხევსური თორღვაი ამბობს:

„ჩემი გონი ჩემი სისხლია“, „ჩემი სიყვარული სისხლია“.

თორღვაის უარმყოფელი ღურჯთვალა, გველის კაეებიანი ქისტი ლამარაც იმავეს იმეორებს, ოღონდ უფრო მსაფრად:

„თოღები ამღვრეულა სისხლით,

თმები შაღებულა სისხლით,

ტანი ამოვლებულა სისხლის წყაროში.

ტურფები აწითლულა სისხლიან კალოზე“

თორღვაის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი მიერთაზი თავის სისხლში ამოაელებს დის – ლამარას თმებს.

კონსტანტინე საგარსამიძესაც ხომ სისხლის მისტერია ამოძრავებს და თავის ბნელ სისხლზე ფიქრში წასული წიგნს წერს, რომელსაც ჰქვია „სისხლისათვის“. ხოლო დემნა მენგელაიას ბონდო ჭილაძეს ფსიქიკას ურყევს ფიქრი თავის დადლილ და „დაღორწილ“ სისხლზე.

ბარბაროსელი სისხლის წყურვილითაა აღსაესე ღამარას მამის ინოს სიტყვები:

„მინდა დაეთვე კაცის სისხლით“; „ჯერ თვით ელოკებ თავისსავე სისხლსა, მერე მე შევსებ მის სისხლსა ჯამებით“.

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ მოსეს სჯული კრძალავდა სისხლის სმას, არათუ კაცისას, არამედ – პირუტყვისასაც კი. სისხლი მიწაზე უნდა დაქცეულიყო, რადგან სისხლი ეს იგივე სულია, ე. ი. იკრძალუბოდა კანიბალიზმი.

დრამაში სისხლის ადების ანუ მტრის სისხლის დაღვების ტრადიციას ცვლის გონი – გველის მიერ მოგერილი სიბრძნე, რომელსაც თორღეაის ძმა მინდია განასახიერებს.

„მე გველი მიყვარს გველსაც უყვარვარ, რადგან ჩიტის გული მიყვარს“, – ამბობს იგი.

ხის ძირას ჩაძინებულ მინდიას ყურს უღოკავს *„წითელი, რქანაყარი, ჯაგარაყრილი“* გველი და მას სიბრძნეს აზიარებს.

გველის კულტი უკვე ბარბაროსობიდან გამოსვლას მოასწავებს. გველის კულტის მწერალი იწყებს „ლონდაში“:

„ერთ მისანს თურმე მძიმე ძილში

ეპარებოდა ასეთი გველი:

ყურებს უკოცნიდა მას სივილა ენით

და სმენას იღუმალი ცოდნით უთრობდა“.

აქ *„წმიდა გველი“* „მზის შეილა“.

ეს იდეა გაიშალა „ღამარაში“ და გველი მინდიას მეგობარი გახდა. წამალი გველის ქვაა, გველის ნაკბენს რომ კურნავს, გველის ხეითი – *„მზის სისხლია“*; *„მზის თვალი – ჯაღოთი საესე“*.

ასე რომ, მზის სახეში, რაც დრამებში გველის აღმშურიოაა წარმოადგენილი, გაერთიანდა გველი და სისხლი, სიბრძნე და სიშმაგე.

„გველის პერანგში“ კი გველის მეტაფორა სიცოცხლის სახეცვლას, მუდმივ განახლებას და აღორძინებას ნიშნავს.

გრიგოლ რობაქიძე, ერთი მხრივ, თხზავს წმ. ნინოს საგალობელს, მეორე მხრივ – დიონისური სიშმაგის „მზის ნარქენს“.

ერთში ქრისტიანული სათნოების ზემოა, მეორეში – წარმართული. ველური გახელება და სისხლის კულტი, სისხლის სმაში გადასული.

ანალოგიურად აღაგზნებდა კონსტანტინე გამსახურდიას ფანტაზიას გველის კულტი, რომლის მსახურია მისი არაერთი პერსონაჟი.

ტაია შელია გველის მგეშაეია, ლუკაია ღაბახუა – გველების შემლოცველი, ზოსიმია – ქვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე. მახარაც გველების მგეშაეია. სავარსამიეს წიგნის დაწერა უნდა გველებზე. მას მორღემ ასწავლა გველის სიტყვით მორუსხეა.

გველი ამბივალენტური სიმბოლოა სიკვდილისა და სიცოცხლისა. თუიყო დიონისო(ვ გველისპირიანია, გველის გვირგვინებით შემკულნი.

გველეშაპს უკავშირდება მთვარის მოტაცება, გველს – ხოგაის მინდიას სიბრძნე.

დემნა შენგელაიას გურამ ბარამანდიას აღმზრდელი კონია ივარდავა გველთა ბატონის უნაღართამის (ქართულად – შაფროხიანი) ქურუმი.

უხსოვარ დროში გველთა მეფემ კონიას წინაპარს ხვითო აჩუქა და მას შემდეგ ზღაპრული შეილიერება ჰქონდათ.

კონიამ ხვითო გურამს დაჰკიდა გულზე.

გურამი „გველის ძმობილო“ გახდა.

ოდესაში, სამხედრო სასწავლებელში, ამხანაგებს გველებზე უჩვეუბოდა. მათ კანკალი იტანდათ და ღამე არ ეძინათ. ამის გამო გურამი კარცურში ჩასვეს.

გველის კულტი და სისხლის მისტერია ერთმანეთს ავსებს. ეს იმიტომ, რომ წარმართული დროის ადამიანი ახლოა ცხოველთა სამყაროსთან და მიწასთან, აქვს ძლიერი ინსტინქტები, გაცილებით მძაფრი შეგრძნება, ვიდრე ცივილიზებულ პირს.

ნარმართი მორღუები

მორღუობას პირველად ახსენებს აკაკი წერეთელი:

„მორღუობის გამტეხი და

ჩვეულების გადაშლელი“ („გამზრდელი“).

მორღუ მეგრული სიტყვაა და ქართულად გამზრდელს ნიშნავს.

კონსტანტინე სავარსამიძის მორღუა ტაია შელია, რომლის ისლის ფაცხაში, ლოგინქვეშ, წევს გველი – „ანგლოზბატონი“. მორღუს სწამს წმ. გიორგი და არ უყვარს ქრისტე.

ტაიამ აღზრდილის სახელზე მოზვერი შესწირა წმ. გიორგის, რომელმაც საქონლის სისხლი მიიღო ადამიანის სისხლის სანაცვლოდ.

ტაიამ ასწავლა ყრმა კონსტანტინეს უძველესი ადამ-წესები, აუხსნა თუ რატომაა უფრო ძლიერი წმ. გიორგი, ვიდრე ქრისტე.

კონსტანტინემ მორღუს წარმართული სამყარო არჩია ქრისტიანი მამის გზას. ამიტომ დასწყველა მამამ შვილი და უნაყოფობა დაანათლა.

კ. გამსახურდიას გმირები უურჩებიან და ებრძვიან მამებს. მაგრამ მორღუსა და გაზრდილს შორის სრული პარმონია სუფევს.

კონია ივარდავას სძულს ელესია, თოხს არ ეკარება, ემსახურება

გველსა და თხის ღვთაებას, ცხენს დააქროლებს, საყანაოდ გადა-
დის ეარასაი-ნერქეხეთში. იგი მკურნალი(კაა, გათვალულის მხსნელი,
მაგიური შემდლოცველი.

კონა გურამს ბუნების წიაღში წვრთნიდა, მშობლიური პირველყო-
ფილი წარმოდგენებით, ქრისტიანული დოგმატიებისა და რუსული ძალ-
მომრეობის გარეშე.

კონას ანდერძია: „არ ითხოვო გადაშთიელი ქალი“.

მაგრამ გურამმა ვერ დაიცვა მორღუს სიტყვა და ინფანტერიის
გენერლის ქალიშვილი ოქსანა ზნამენსკაია შეიყვარა, გარუსდა და
ბოლშევიკების ტყვიას შეეწირა.

ერთმანეთს ჰგვანან კონა ივარდავა და ტაია შელია, რადგან ორი-
ვეს წიაღია წარმართული კოლხეთი.

„მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხეარის მორღუა კაც ზეამბაია,
რომელსაც როგორც საკუთარი შვილი, ისე უყვარს თავისი გაზრდი-
ლი.

დემნა შენგელაიას დედე ათინაძეც ახსენებს მორღუს, როცა მას
ქალუცინაციები ეძალევა და არ იცის რა გზას დაადგეს, ჩემი გრძნე-
ული და ბრძენი მორღუ თუ მომარჩენდაო. („ტფილისი“).

შალვა დადიანმა წარმართი მორღუს იდეა რუსულ გარემოში გა-
დაიტანა. იურიც რუსი თავისუფალ ცხოვრებას აზიარა სატირის მსგავსმა
რედედამ, რომლის ტყის სიმღერა მას საქართველოშიც თავს ახსე-
ნებს და არ ასვენებს („უბედური რუსი“). მაგრამ ამ ველურმა წარმარ-
თმა ზნეობრივი აღვირახსნილობაც დაანათლა. ხოლო კუნმა ქრისტი-
ანული სათნოებით ზრდიდა უფლისწულს და ჰგმობდა რედედიას.

კუნმას ქადაგება უშედეგო გამოდგა: იძალა რედედამ და იურიცს
ბუნებაში დიონისომ გაიმარჯვა – ლოთმა, მხეცმა და გარყენილმა.

მორღუ წარმართული სამყაროდან არის გადმოსული, რომელიც
თავის აღზრდილს აკავშირებს მიწასთან და უბედულეს ჟამთან, გველის
კულტთან და სისხლის მისტერიასთან.

„ბარბაროსული სისხლის შრიალი“

ოციან წლებში იწერება გიორგი ლეონიძის მონღოლურ-ყივჩალუ-
რი ციკლის ლექსები. თითქოს მისი საფუძველია ხალხური „შემომე-
ყარა ყივჩალი“, მაგრამ აქ სხვა მოვლენა იქცევის ყურადღებას:

1920 წელს პოეტი წერს ლექსს პუნების ბელადზე – „ატილლა“,
რომელშიც ხობტა აღეკლინება თარეშს, რბუეას, ხანძარსა და რაშე-
ბის თქარუნს.

1921 წელს „ავტოპორტრეტში“ აცხადებს:



„ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი“

შემდეგ იწერება „ბარბაროსული ელუგია“, „ლოჭინის მწუხრი“, „ტფილისის სასაკლავო“, „მეცამეტე საუკუნე“; მოგვესმის „ბარბაროსული სისხლის შრილო“, ლექსებში ჩნდებიან მონღოლი, ხაზარი, ჩინგისხანი, ულუსი, ჯალალ-უდინი, ტამერლანი, ვეფხი – „პანმონგოლიზმის ბაირახტარი“; მოჰქრიან იალქნები და დროშები, ფარი და მახვილი, სისხლის ჯამები და დაღწილი ძვლები, ლევიათანი და „აპოკალიპსის მწვანე მერანი“

ანტიქრისტეს ტრიუმფალურ გ'სა'სე გიორგი ლეონიძის მეგზური იყო გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც ეაჟა-ფშაველას პოეზიაში დაინახა უძველესი გამირული ეპოქა, სისხლისა და რწმენის კულტი, როგორც ქართული სულიერების ფუძე.

გიორგი ლეონიძე მაშინ წერდა მძიმე, ჭარბად პათეტიკურ, მწიგნობრული ასოციაციებით დაქსეულილ ლექსებს.

ასეთი ლექსის მოდელი ეკუთვნოდა გრიგოლ რობაქიძეს. მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ლიტერატურაში შემოჰყავდა მძინვარე, დაუცხრომელი, დაუდგარი სტიქია. იგი ქადაგებდა ძლიერი პიროვნების, ნიცშეს ზეკაცის იდეას, ზეკაცისას, რომელიც არის მიწის აზრი, ურჩხული ანგელოსის ფრთებით, სამყაროს შემოქმედი და გარდამქმნელი.

ეს არის დიონისური ნგრევის, რღვევისა და ახლად შობის სტიქია, საპირისპიროდ აპოლონური წესრიგისა და პარმონიისა.

დიონისური ენერჯიის სათავეა მითოსი, წარმართული ეპოქა, როცა ადამიანი გამოდის ბარბაროსობიდან.

გიორგი ლეონიძეს იზიდავს აზიური, ანტიქრისტიანული, კულტურისა და ზნეობის დამანგრეველი ძალა, რადგან მასში ხედავს სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილს.

სისხლისმსმელი ტირანები ავლენენ ადამიანის მიწად დაუტყვენელ ენერჯიას, მძინვარე დიონისურ სტიქიას, რათა ქრისტიანობითა და ცივილიზაციით მოქანცულ ადამიანში აღდგეს პირველიყოფილი ძალმოსილება, სიცოცხლის უნარი.

პოეტი ეხმიანება აპოკალიპსური წარღვნის თემას და მას უძებნის კონკრეტულ სახე-სიმბოლოებს, რათა დიონისოს სტიქია შეჯვარდეს აპოკალიპსის მითთან.

გრიგოლ რობაქიძემ დააინტერესა ჭაბუკი პოეტი რუსულ მწერლ-

ბაში მომძლავრებული მონღოლებისა და სკეითების აპოლოგიით (გავიხსენოთ გალაკტიონის „შეშლილი სკეითელი“)

ბარბაროსული სასიცოცხლო ძალა ბებერი, სნეული ცივილიზაციის წინააღმდეგ – ასეთი იყო დევიზი (ვლ. სოლოვიოვი, კ. ბალმონტი, ბელი, ე. ბრეუსოვი, აღ. ბლოკი...), ასევე უნდა ვახსენოთ ახალგაზრდა ედგარ ალან პოს პოემა „თემურ-ლენგი“.

მონღოლურ-თათრული წარმოშობისაა ანდრეი ბელის რომან „პეტერბურგის“ მთავარი პერსონაჟები ნიკოლაი აბლეუხოვი და მამამისი სენატორი აპოლონ აბლეუხოვი. მათი წინაპარი ყოფილა აბ-ლაი, რომელსაც, ქრისტიანად მონათლულს, დაერქვა ანდრეი და მიეცა გვარი უსოვი.

ბელის აზრით, ყველა რუსს აქვს მონღოლის სისხლი.

*„ჩვენ ვართ სკეითები! დიას, ჩვენ ვართ აზიელები,
გაუმადლარი, ვიწრო თვალებით!“*

ასე ამეტყველებდა ალექსანდრ ბლოკი ბარბაროს სკეითებს, რომელთაც სოკი რუსების წინაპრებად მიიჩნევდა (შდრ. – აკაკი წერეთელი). მაგრამ ამ ძალის ტრიუმფი ანტიქრისტეს გამოცხადებასაც ნიშნავდა, რაც ისევე აპოკალიპსთან გვაბრუნებს.

ციორგი ლეონიძე სიმბოლისტური ლიტერატურის ამ ტენდენციას აგრძელებდა. აგრძელებდა აზიის შეტევას ევროპისაკენ, რაც შემდეგ განტვირთა ბარბაროსული მოტივებისაგან და მისცა ჯერ რომანტიკული სახე, როცა სიყვარული სიკვდილს მიგვაახლებს (მაგ., „ნინოწმინდის ღამე“, „ღამე ივერიისა“, „ყიფჩაღის პაემანი“, „ყიფჩაღური ღამე“), შემდეგ კი სტალინის პიმნად აქცია.

მთლიანად არც მაშინ უარუყვია ბარბაროსული სტიქია, როგორც აპოკალიპსური წარღვნა. „ნინოწმინდის ღამეში“ პოეტი თავის თავსა და მეგობრებს ხაზარებს ადარებს, სიყვარულს – ტამერლანის (თემურ-ლენგის) ხმალს. ხოლო „ყიფჩაღის პაემანში“ წარმართი მეომარი ქართლისკენ მოემართება. სიყვარულის სახელით იგი არბევს მცხეთას და დაღეწავს ქრისტიანულ ტაძრებს.

საინტერესოა ის, რომ ეს წარმართი ყიფჩაღი რუსთაველის სტრიქონებს იმეორებს, ე. ი. პოეტმა თავისი ცოდნა და განცდა, თავისი თავი ამეტყველა პერსონაჟად.

ამდენად, წარმართული აზია, რომელსაც განასახიერებს ყიფჩაღურ-მონღოლური სტიქია, უპირისპირდება და ებრძვის ქრისტიანულ ევროპას და აპოკალიპსური რისხვით ემუქრება სამყაროს. მაგრამ პოეტური მრწამსით იგი სასიცოცხლო ძალაა.

„დიონისოს ღიმილშიც“ თავს იჩენს აზიის შტურმი ევროპის წინააღმდეგ: ხაღილ-ბეჟ დახატავს სურათს „ჩინგის-ხანის შემოსევა“. რო-

მელზეც ყვითელი, ცხვირჩაჭყლეტილი რასა ციკლონივით მიჰქრის დასავლეთისკენ, წინ კი მიუძღვის აპოკალიპსის მწვანეცხენოსანი მხედარი.

სლანსკიც ხომ მონღოლია, ჩრდილოეთის ტახტზე მჯდარი, რომელიც უნდა დაამარცხოთ კავკასიამ და გერმანიამ.

ტიციან ტაბიძე სერგეი ესენინს მონღოლ ჩალატარს აღარებდა:

*„გაუხედნაჲ კეცი იყაჲ
და სისხლიანი, როგორც ჩალატარ“.*

„ბარბაროსული სისხლის შრიალი“ ველურ, ატავისტურ ვნებათა ამბოხია, რომელთაც ასკეტიზმის გარსში კეტავდა ქრისტიანობა, რათა ადამიანის წარმმართველი გონება ყოფილიყო. მაგრამ ჭარბი რაციონალიზმი იწვევს სასიცოცხლო ძალთა დაცემას და შესაბამისად – „ბარბაროსული სისხლის შრილის“ მონატრებას (ერცულად იხ. „ორფეოსი“).

გალაკტიონის მელანქოლიურ ლირიკაში შეერთდა ბოდღერის თრობა და ვერლენის მუსიკა. ხოლო გიორგი ლეონიძის შთაგონება იყო დაუცხრომელი, „ბარბაროსული“ სიყვარული „მიმინოსებრი“ სიტყვისადმი, როგორც თავად შენიშნავდა.

ქრისტიანულ და ნარმართულ

სახეთა სინთეზი

ყველა მოდერნისტი ქრისტიანული ოჯახიდან იყო გამოსული, ზოგს მამა ჰყავდა მღვდელი, ზოგიც – სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. ამიტომ უხვად იყო მათ ნაწერებში ქრისტიანული აღმსარებლობის ტერმინები, ბიბლიიდან თუ რელიგიური ტექსტებიდან წამოსული სახეები. მათზე შეიძლება ავტორს არც ეფიქრა, ან თუ ფიქრობდა – რელიგიურ მნიშვნელობას არ აძლევდა.

ამიტომ კედება პოეტი გოლგოთის საშინელებით (აღ. აბაშელი), მიწას მწუხარე თვალებით დაჰყურებს ანგელოსი (გალაკტიონი), ფსალმუნი სულში შეფრინდება (ტიციანი), ციმციმებს ღეთისმშობლის ცრემლი (კოლაუ ნადირაძე), სული ელეაზარია (ე. გაფრინდაშვილი), ქალი ჰგავს ღეთისმშობელს (ნიკოლო მინიშვილი), ზმანებაში ჩნდება ქრისტე, რომელსაც თავს ადრის პოეტი:

„და სასიკედილო თეთრი ცრემლიდან

მე ვიხედები, როგორც იესო“ (ტერენტი გრანელი).

მაშინაც კი, როცა თავიანთ თავს ნარმართს უწოდებდნენ მწერლები თუ მათი პერსონაჟები, როცა ქრისტეს ებრძოდნენ ან ედავებოდნენ (მაგ., აღ. აბაშელის პაპა, რომელმაც მღვდელს ზიარება გადაუღვა-

რა). რსებოდნენ ქრისტიანად, ისეთ ქრისტიანად, რომელიც ტრადიცი-
ებზე იყო აღზრდილი და ეწადა, არც უძველესი ლანდები დაკარგო-
და მეხსიერებას.

განსაკუთრებით ხშირად შემოდის პოეტების ხილვაში ანგელოსი,
როგორც ხან ზეციური სიწმინდის, ხანაც – აპოკალიპსური ქარიშ-
ხლის მაცნე (მაგ., გალაკტიონის „სისხლიანი ანგელოსი“).

ასე რომ, მოდერნისტი ხელოვანი გამოდის არა დანაწევრებული,
არამედ მთლიანი კულტურისა და ისტორიის მემკვიდრედ, რომელსაც
გადმოსცემს პოლისემიური სიტყვა.

ღმერთების სიკვდილი

ათეისტები ღმერთის არსებობას უარყოფდნენ. მაგრამ მოვიდა ფრიდ-
რიხ ვილჰელმ ნიცშე და დიდი პანის ასოციაციით თქვა, რომ ღმერთი
იყო, ოღონდ იგი უკვე მოკვდა ადამიანთა გულში. ხოლო რწმენადა-
კარგული ინდივიდი საყრდენისა და იმედის გარეშე დარჩა.

ამიტომ ასაკტური ქრისტიანული ღმერთის სანაცვლოდ ნიცშე და-
უბრუნდა კაცობრიობის ბაეშეობას, შორეულ ელადას და მოითხოვა
ბუნებრივ გრძნობათა აღდგენა, სიცოცხლის არსის შეცნობა, დიონი-
სური რელიგიის აღორძინება.

ღმერთების დასასრული ჟღერდა რძარდ ვაგნერის მუსიკაში.

შარლ ბოდლერი სატანას შეწყალებას ევედრებოდა.

საქართველოში ქრისტიანული ღმერთის სიკვდილის იდეას პირვე-
ლი ნიკო ლორთქიფანიძე გამოეხმაურა:

„ღმერთი მოკვდა კაცთა გულში. მოკლეს ღმერთი და დადუმდა ბუნება“ („მო-
კლეს ღმერთი“).

შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას ფოტოგრაფს შაემა ფრინველ-
მა ეკლესიის გუმბათის ჯვარი ესროლა და ფერდში შეურტო:

„ვერ გაიგე? ღმერთი რომ მოკვდა?“

შაეი ფრინველი იგივე ედგარ პოს ყორანია, რომელმაც იცოდა
ერთადერთი სიტყვა – „Nevermore“ (არასოდეს).

თვალბუდითი შაეი ყორანი სდევდა ბარათაშვილის მერანს. ეს ბნე-
ლი ფრინველი ახლა მის შთამომავალს დასტრიალებს.

ფოტოგრაფის თვალწინ წითელწოხიანმა, ე. ი. ბოლშევიკმა ეკლე-
სიიდან წმ. გიორგის ხატი გამოიტანა, რევილვერი ესროლა და გულ-
მკერდი შეუნგრია ანუ მოკლა ღმერთი.

ფოტოგრაფი ახარხარდა: „შენ შემაყვარე ღმერთი“. – უთხრა გლუხე-
ბის წინამძღოლს, რადგან, ნიცშეს სიტყვით, ღმერთები მხოლოდ სი-
კვდილის შემდეგ არიან მშვენიერი.

ფოტოგრაფი ტექნიკის, ე. ი. ეჭმაკის მსახურია. იგი აპოკალიპსური წარღვნის წინ უკანასკნელ სურათებს უღებს კაცთა მოდგმას.

ღმერთის ადგილი წითელწიხიანმა ბოლშევიკმა დაიკავა, რომელიც კლავს წმ. გიორგის, აფრიანებს წითელ დროშას და გონდაბნეულ ხალხს წინამძღოლობს.

მაღე იგი ნოხას გადააგდებს, გიმნასტურას ჩაიცმევს და არზაყან ზეამბაიად მოგვევლინება და მამას შუბლს გაუხერცტს.

უღმერთო ქვეყანა არ ღირს სურათის გადაღებად, — არწმუნებს ფოტოგრაფს შავი ფრინველი და ისიც ამტვრევს თავის აპარატს; „ღმერთის სიკვდილს“ ქადაგებს მისტერია „გარსი მარადის“ მგზავრი.

ახლა გაეიხსენოთ ნოეელა „ზარები გრიგალში“.

წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათიდან და სამრეკლოდან ჯვარი ჩამოაგდეს. მღვდელი გაიპარსა და სამიკიტნო გახსნა.

უყვალს მნათე ოქოპირის გარდა სოფელში არაეინ დარნა მოსარჩლე. ყველა დაემონა სატანურ დროს.

„აწვიმა სამრეკლოს აწვიმა საყდარს“.

ეკლესიაში „არსენა ყანაღს“ ღვამენ, ე. ი. ღმერთის ადგილი ყანაღმა დაიკავა. მაღე ამ ყანაღს ძეგლს აუგებს მიხეილ ჯაეახიშივილი.

მთერალი მნათე ზარების რეკეთ ეძახის უფალს და ქარიშხლიან ღამეს სამრეკლოსთან ერთად იღუპება:

„მთელი თვე ველო წაქცეული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესიის ეზოში, როგორც მკვლარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ღეში“.

ღმერთი მოჰკლა ახალმა ქამმა, მაგრამ არც დამტირებელი, არც დამმარხველი არაეინ გამოუჩნდა.

იგი, ვინც საუკუნეების მანძილზე მილიონების გულში სინათლისა და სიკეთის ცეცხლს ანთებდა, ვინც შიშს ნერგაედა და ადამიანს ბოროტისაგან იცავდა, ყველამ მიივიწყა, მღვდელმაც კი.

ერთადერთ მნათეს მოაგონდა იგი, ვისაც სოფელი ღენჩს ეძახდა. ასეთივეა ლუკაია ლაბახუა — წმ. გიორგის მსახური და აპოკალიპსის ანგელოსი.

კონსტანტინე საეარსამიძის სულში ერთმანეთს ებრძვის ორი ღმერთი — ქრისტე და დიონისო. და იგი ორივეს მკვლელია.

კონსტანტინე ქრისტეს მოძულეა, წმ. გიორგის მცველი და დიონისურ რიტუალებს ადვენებული. ბავშვობიდანვე არ უყვარდა უდაბნოს სახედადრეჯილი ღმერთი, სიჭაბუკეში კი ებრძოდა გალიღვეელის ღიანდს, როგორც ითქვა.

ადამიანი ღმერთს ეძებს — როგორც ხსნასა და იმედს და საეარსამიძის გათოშიღ გულში დაივანებს ახალი ღმერთი — დიონისო, რომელიც ხედავს მშობლიური, კოლხური წარმართობის მონათესაეე

კერძს. მაგრამ ფარეისის სახით ხორცშესხმული ღმერთი მან იოლად დაღუპა და დარჩა როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული უფლის გარეშე. ადამიანს კი რაღაც უნდა სწამდეს ამ ქვეყანაზე, სხვა მხრივ იგი ვერ იარსებებს.

ღმერთის მაძიებელი არიან როგორც კონსტანტინე სავარსამიძე, ისე თარაშ ემხვარი, არსაყან ზეამბაია, გიორგი პირველი, კონსტანტინე არსაკიძე, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთაყი.

არსაყან ზეამბაიასათვის ღმერთია სტალინი, კონსტანტინე არსაკიძისათვის – ხელოვნება, გიორგი პირველისათვის – სამშობლო. ხოლო თარაშ ემხვარი კოლხურ ფეტიშიზმში ეძიებს უფლის დაკარგულ ხატს.

ღმერთს მაშინ ეძიებენ, როცა იგი არ არის, ხოლო სული ელის ახალი ძალით აღესებას.

„ვევლა ღმერთი დაიღუპა, გაუმარჯოს ზეაცს“, – იძახის ნიცშეს ზარატუსტრა.

კ. გამსახურდიას გმირებიც ცდილობენ ზეაცად გამოცხადებას, რათა იპოვიან მიწიერი სიცოცხლის აზრი.

თუ ღმერთი მოკვდა, ცოცხალმა ადამიანმა უნდა შეძლოს გოლგოთისაკენ წაქცეული უფლის ჯვარის ზიდვაც ანუ – ამქვეყნიურ მოვალეობათა აღსრულება.

ღმერთის სიკვდილო – ეს რწმენის დაკარგვაა.

ურწმუნო ადამიანის სულს კი სატანა დაეპატრონება, როგორც თეიმურაზ ხევისთაყისას – გველ-ბაყაყი.

ვასილ ბარნოვი ღმერთის დაღუპვისა და ძიების იდეამ IV საუკუნის ქართლში გადაიყვანა.

„არმაზის მსხვერველში“ ერთმანეთს ებრძვის ორი მრისხანე ძალა – რომის იმპერია და ირანი.

ორივე ქართლისაგან მორჩილებას მოითხოვს.

რომანის მიხედვით, ქართლის მთავარი ღმერთია არმაზი, მეომარი ღვთაება, ბეგთართა და მუხარადით აღჭურვილი. აქეთ-იქით უდგანან გაც და გაიძ.

არმაზი ირანიდან წამოსული ღვთაებაა. ხალხი მას უცხოს უწოდებს. მაგრამ იცავენ სპარსული წარმოშობის მეფე მირიანი, დედოფალი პონტოელი ნანა, ქურუმთუხუცესი ბაბუგი.

არმაზს სწირავდნენ დიდებულთა წილ ბავშვებს.

მწერალი არმაზს მთვარის კულტთან არ აკავშირებს. იგი ემყარება ნიკო მარის თეორიას, რომელიც არმაზს აპურამაზიდან წარმოშობილად მიიხსენებს.

არმაზს დაუმარცხებია ქართული ღმერთები და საღოცხლოები –

დელა ქარლუკელთა იორუშანი, გუდანი, იადსარი, ილორი, ალერტი, ლაშარი. მთავარი ღმერთი – ციშუბ-თარხუჯი – ცის ბატონი, რომელიც ზევსს შეესაბამება.

ხალხის მეხსიერებაში ისევე ცოცხლობენ დამარცხებული ღმერთები. ძველი კერპების ქურუმი, გველთა მეგობარი მანგიური ხალხს მოუწოდებს – „განჭრეს არმაზი“.

მისი თანამოაზრეა არხოტელი ხახონა ხარაგაული (შდრ. – კონსტანტინე გაძსახურდიას შაველეგ ტოხაისძე „დიდოსტატის მარჯვენაში“).

მოადის გამარჯვებული რომი და მოაქვს ახალი ღმერთის ქრისტეს სახელი. პონტიული ნინო ასე ქადაგებს:

„მოისპობა ყოველივე ხატი ადგილობრივი“;

„მსხერევა მათ ღმერთებს“;

„შეშუსრე კურპი“.

ამრიგად, ქართლისათვის ერთმანეთს ებრძვის სამი ღმერთი – არმაზი, ციშუბი და ქრისტე.

სამივე მათგანი პოლიტიკური ორიენტაციის მაუწყებელია.

არმაზს ამსხერვეს წარმართი ციშუბი, რომელიც მას მესხა და სეტყეას მოუვლენს. ხოლო ნინო თეალებს ამოსწევს დაცემულ ღმერთს.

არმაზის დამცველია ამზაილი – ქურუმ ბაბეგის ვაჟი. ხოლო მისი სატრფო ხვარამზე, მირიანის ასული, ქრისტეს ჯვარს ატარებს. მაგრამ როცა არმაზს შეეწირა ამზაილი, ქალმა არ ინდობა ჯვარის მადლი, ჯვარი შორს გადატყორცნა და თავი დააკლა ვაჟის ხანჯალს.

პირველქრისტიანმა ქართველმა ქრისტეს მოძულედ დალია სული.

რომანის შიფრი 1921 წლის პოლიტიკური ვითარებაა, როცა უარყოფილ იქნა ძველი საქართველო. ახალი მოძღვრება მენშევიზში, რომელიც მიიღო ხალხმა როგორც ოდესღაც არმაზი, დაამარცხა რუსულმა ბოლშევიზმმა. იგი რომის მსგავსად ახალი ღმერთის სახელით მახელილითა და ცბიერებით მოვიდა, მოვიდა და მოიტანა სისხლი და ცრემლი.

როგორც IV, ისე XX საუკუნეში საქართველო გზაჯვარედინზე დგას და ღმერთების მწუხრის მოზარეა.

გაც და გაიმ – წინაპართა და იღუმალებათა კერპები იღუპებიან „მთვარის მოტაცებაშიც“, მაგრამ ეს ხდება თარაშ ემხვარის ზმანებაში. რეალობაში კი ბოლშევიკები – ეს ღვთისმკვლელები, ანგრევენ ძველ რწმენასა და ადათ-წესებს. ბოლშევიკი და ჩეკისტი არსაყან სჯამბაია კლავს მამას და ამას ერთხელაც არ ინანებს. იგი სპობს წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროს – ახალი ღმერთის სტალინის სახელით.

ქველი სასიყაროს გახადგურება უკავშირდება ქრისტეს. ქრისტეს მსახურთა და მორწმუნეთა დეეხას, რათა ღმერთი საკვეთს ადამიანში. მაგრამ ხდება პარალოქი და ხეცეხი ცარიელ შარვაშიძე. ვისც ნახე ვაზ. ბაუკუნე უგალობდა და მსახურებდა ქრისტეს. თამარის დადგუვის შემდეგ დაამსხვრევს მაცხოურის ხატს და უშეკრი სიტყვებით ტყობს.

ღვთისმსახერი სატანურმა დრომ ღვთის მკელელად აქცია.

სიკოლოს ბარათაშვილი ბიროტ სულს არ ნებდებოდა და იგი თავიდან მოიცილა. თუქცა დარსა „უსაგნოდ, მარტო“.

გალაკტიონ ტაბიძე უჩიოდა „სულში ავობით მჭინვარე“ დაცემულ ანგელისს – ბნელციოდეელ ღიუციფერს და შენდობას ივედრებოდა. ქარიშხლად ქცეული დემონის დაშოშმინებას ცდილობდა.

დემონს იგი ქაოსხა და აბოკალიძისს გზებზე მიჰყავდა. მაგრამ იგივე დემონი იწვევდა ღვთაებრივ აგზნებას, ხეშთაგონებას. ამიტომ ღებდა მასთან „სისხლით“ ხელშეკრულებას.

სულს გაეცალა ძველი სათნოება. იგი დაწვწილია მწარე ქარებით. არ ნანს იმედი. სახიება და სიყვარული.

ღმერთგაცლილ სულში ბატონობს კაეშანი და სასოწარკვეთა. მას მხოლოდ ის ძალეუს. რომ თქვას:

„აჲ, შეპატიოს გულო ყინული“.

სილი საუკუნე ტრიალებს, როგორც მეფისტოფეელი.

ნახარეველისა და ღიუციფერის ბრძოლაში გაიმარჯვა ღიუციფერმა. ქვეყანას კშმაკის სული დაეპატრონა.

ამიტომ არის გაოცებელი დაეით კლდიაშვილის კიძითე მეშველადე:

„ყოველ მხრიდან უცნაური რამე მესმის: ღმერთი არ არისო! აქამდისინ თუ იყო ახლა სად გაქრა, თქვენი ვირიბე?“

უღმერთო სამყაროში ყველაფერი ნებადართულია, როგორც დოსტოევსკის რასკოლნიკოვისათვის.

სისხლიანი ეპოქის პორტრეტე ასეთია:

„წიმა და თიელი–

რა მხარეები გიცლის სიბერის!

ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამშობლო,

სამშობლო შავი ღიუციფერის.

სამშობლო ძველი–

გზა, დაღენილი მსხვერპლით, ცხედრებით

და სისხლით სველი.

გზა, სასიკედილო გადაათურებით.

სამშობლო შავი ღიუციფერის.

*ჩვენ მწუხარებამ დაგვიშობილა
ღამის ტყვედღი,
არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა
ნაზარეული“.*

ეს სტრიქონები 1922 წელს დაწერა გალაკტიონმა. საქართველოს ბედს ეკვე ლაუკიფერი განაგებდა, რომელიც მახვილით მოდიოდა, თუმცა აღისფერ დროშაზე ნამგალი და ურო ეხატა.

4. მარტოობის გმირები

„ვიღას ვენდოთ, რომელ კერპთან ვილოცოთ,“

უფრო ხშირად და ხშირად იმეორებდა დაბნეული ხელოვანი რემბოს ცულისმომკველელ სიტყვებს.

პიროვნება კი ვერ ეგუება უზენაესის დაკარგვას და ახალი კერპის ძიებაში განლევს დღეებს, თუნდაც ყალბი და მაცდური იყოს იგი. ხოლო შემოქმედი, მასის სულიერი მედროშე, გაივლის მარტოობის უდაბნოს, რაც ბარათაშვილის სულით ობლობაა.

ახალმა დრომ ახალი გმირები წარმოშვა. მათ განგებამ მარტოობა განუსაზღვრა, რადგან საზოგადოებისათვის უცხო და უცნობი დარჩნენ. ამიტომ ამბობს შალვა კარმელი:

*„მარტოობამ შემიფარა,
მარტოობა შევიფარე“.*

VI საუკუნეში ასურეთიდან ქართლში მოვიდნენ წმინდა მამები, აღაშენეს მონასტრები და განამტკიცეს ქრისტიანობა.

ისინი სულის გმირები იყვნენ.

გრიგოლ ხანძთელმა არაბებისგან აოხრებული ტაო-კლარჯეთი მონასტრებით დაფარა და განამტკიცა ქრისტიანული რწმენა, უდაბნოში რწმენის ცვეცხლი აღანთო. ასე დაძლია მარტოობა.

მოღერნისტები კი წმინდა ხელოვნების გმირები იყვნენ. მაგრამ მათი პერსონაჟები გზას ვერ პოულობენ ვერც უდაბნოსკენ, ვერც მასისკენ. ისინი მარტოობით იტანჯებიან, თუმცა ატარებენ ერისა და კულტურის სასიცოცხლო იდეებს.

დრომ ასპარეზი წაართვათ და ამიტომ მხოლოდ ოცნებაში თუ ააგებენ სასახლეს. სამაგიეროდ სასტიკი უამი ფიზიკურად ანადგურებთ და იდეებიც ხმება, როგორც საღ კლდეზე დაკარდნილი მარცვალი.

„მარტოობა გურას მიზამს, მკავს თუ ცისა ძალთა დასი“, – ეუბნება შორს მიმავალი რუსთაველის ავთანდილი მქერმადინს, როგორც ერთი ხალ-

ხური ლექსის პერსონაჟი, რომელსაც მსუ და მთვარე დედ-მამად მიიჩნდა, ვარსკვლავები – და-ძმებად.

მაგრამ რა ქნას დღევანდელმა მეოცნებემ, ვის სულშიც ღმერთი აღარ სუფევს და აღარც ვარსკვლავებისა სწამს?

სამყაროს კარმონიას დისპარმონია შენაცვლებია.

„მარტოობის ორდენის კავალერი“

„მარტოობაში იზრდება სული“, – წერს ოთარ ჭილაძე, მაგრამ ერთი ავტორის მარტოობა, მეორე – მარტოობის მეღანქოლია და ამ სევდის ესოპეტიკა.

გალაკტიონის პეისაჟიც მოწყენილია. დგება შემოდგომის დღე, იძარცვება ტყე, მოდის თოვლი, ქრის უბინაო გრიგალი. დადლილა ფიქრი და გული, მეფობს ყვეთელი ფოთლების კაეშანი და ჟღერს რეკვიემი – „შენ და შემოდგომა“.

ვერლენი წერდა:

„მე წავალ ბოროტი ქარის შესახვედრად,

რომელიც წამიღებს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს,

თითქოს ვიყო მკვდარი ფოთოლი“.

გალაკტიონისათვის სამშობლო უდაბნოა, თოვლია მისი სამშობლო, რადგან მარტოდმარტო მიარღვევს მდუმარების ყინულს. „მგობრები კი არ მყუარება“, წერს ერთგან. „ახლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის კალესა“, კენესის მეორეგან. აღამიანის სანაცვლოდ გულს უხსნის მხოლოდ ღამეს და მთვარეს. იგი მიტოვებულია ყველასგან, როგორც მეფე ლირი. „დღესაც მარტო ვარ, სოფარულის არ მესმის ნანა“, კვლავ იმეორებს და ეჩვენება, რომ შორს გადაეკარგული სატრფოც მარტოა: „და შენ მიღიხარ მარტო, სულ მარტო“. მოწყენა იწყებს ალკოჰოლის მონატრებას. მაგრამ არაფერ არის აქაც თანამგრძობი: „კაფში შევალ სრულიად მარტო“.

მარტოობის მძაფრი შეგრძნება ერთი მხრივ იწყებს დეპრესიას, მეორე მხრივ – სუელიერ განღმრთობას, როცა აღამიანს ეჩვენება, რომ იგი მეტია, ვიდრე მასა და მას ვერაფერ უგებს.

ასეთი იყენენ რომანტიკოსთა „მსოფლიო სევდით“ სწეული გმირები. ამიტომ მოდის გალაკტიონი „ჩაილდ პაროლდის წამოსასხამით“, თავს ადარებს მოცარტსა და ბეთხოვენს და ნიცშეს ზეკაცად გვეუღინება: „როგორც ერთი კვეანა მთელი, ისე ერთი გალაკტიონი“, „რომ მეფე ვარ და მგოსანი...“

მაგრამ გაივლის აღმაყრენა, მას შეცვლის ისევე დეპრესია. თვალს მოკლანდება ყორნები და შავი კუბო, გულს დაღადრავს ეჭვი და

სულში დაიქანებს დემონი, რომელთანაც ხისხლით ხელებს ხელშეკრულებას. როგორც ოდესღაც უფაუსტი. ასეთ დროს იგი მთაქრის „გატხილ შუბით და მუზარადით“.

გალაკტიონი თავად იყო მარტოობის გმირი და მეგობრად მხოლოდ ბნულ დამუს და აღკომოლს იგულულებდა. როცა პოეტების მეყვედ ირსიყენენ, მაშინაც გულში მარტოობის ნაღველი ედგა.

სულთი ობოლსა და მარტოსულს ადამიანთა წრეში არ აქაყს მეგობრები. მას ვერ უგებენ, მისი იდეალები არ აწეხებთ. ინდება უფსკრული პიროვნებასა და საზოგადოებას, ინდივიდსა და მასას მთორის:

*„წაყალ და საღმე შორს დავსახლდები
ამ საუკუნის მეზაერი გვიანო,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ აღამიანი“.*

ამიტომ მიმართაყედა, როგორც სუყდის თანახიარს, მარტოობით აყმუყლებულ „მმა“ მგელს კონსტანტინე გამსახურდია:

*„რათა სტირი, შე საცოდაფო, ვინ დავიყარგაყს, ვის ეძახი ამ ბნულ უღამბროში?
ტირფასო მმაო, მგელო?“*

მომმეთაგან დაძიძგნილი სული უკანასკნელ იმყდს ებღაყუყება:

*„დაეტყო კოღვე ქარებს ქარობა,
როცა მტრობა და ეღგარობა,
სანთელო, გარხვეს ღამის ფიქრები,
მაგრამ შენ მინც ნუ ჩამიქრები,
ნუ მიმბატოყებ“.*

„ნუ მიმბატოყებ“ – ეს განწირული სულის ამოძახილია, ოღონდ მიეღმართება არა აღამიანს, არამედ სანთელს, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოა.

1921 წლიდან გალაკტიონის პოეზიაში ნელდება მყლანქოლია და დეპრესია. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ძლიერდება, როცა საბოლოოდ მოირგებს ბოლშევიყური მასების პოეტის ნიღაბს და გვიტირის მისი სახის დანახვა. მაგრამ როცა ჯოჯოხეთის გზაზე უკანასკნელად გააცილებს მეუღლეს, მწარედ აღმოსდება:

*„ნეტა ასეთი რად მერგო ბედი,
ყოყველამს ვკარგო თითო იმედი“.*

იგი უყვე სრულიად მარტო იყო დარჩენილი და მისი ტალანტის დაყებას დაურთო პიროვნული დეგრადაციაც. მაგრამ მარტოობა ბყდნიერებად ესახებოდა.

პოეტი გამოყენობი სყინქსია და გალაკტიონის მარტოობის სეყდაც იყო მისი სულის ნათების ერთი ასყექტი. ისევე როგორც ბოლ-

შეეცხური ეიფორია. ამიტომ ადრევე შეარქვეს მას სევედისა და ღამის მგოსანი.

„მკვლელობისა და სიძვის სული არნახულად მშინვარებს მარტოობაში. მაგრამ, შესაძლოა, მარტოობა საშიში იყოს მხოლოდ მცონარე და უნათო სულთათვის“, – ამბობს შარლ ბოდლერი. მაგრამ ბოდლერი იმასაც წერს, რომ მოწყენა ურჩხულია.

კონსტანტინე სავარსამიძე

„მზუსფარ პოეტს“ კონსტანტინე სავარსამიძეს შვიდი ენა შეუსწავლია, მრავალი ქვეყნის სიბრძნე შეუცენია. მაგრამ მაინც გარიყა მრისხანე ცხოვრებამ. არ ჰყავს ცოლ-შვილი, მეგობრები, თანამოაზრეები. მას ის ხალხიც ეუცხოება, რომელთა გამო სიცოცხლეს გასწირავდა. დედას უკვირს, თუ რატომ ვერ გახდა მისი შვილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. სინამდვილე შეიცვალა და გრივოლ ხანძოელის სახლიკაცები დღეს „მალინას“ გაიძახიან. კონსტანტინე გრძნობს თავის უსასოო მდგომარეობას და წერს წიგნს „სისხლისათვის“.

იგი დიონისოს ნიღაბს ეფარება, ეწაფება სექსსა და ალკოჰოლს, რათა შეიმსუბუქოს სულის ტანჯვა. მაგრამ წუთიერ ეიფორიას მოსდევს ხანგრძლივი დეპრესია და თავი სასიცოცხლოდ არ ემეტება.

ნოსტალგიამ შექყარა ჯენეტს, ათაბაგების შთამომავალს, პარიზში სპარსეთის ელჩის მეუღლეს. მათი სიყვარული აპოკალიპსური სურათების წიაღში იშუა და მხოლოდ ტრაგედიის მომტანი აღმოჩნდა. ნაცვლად ბედნიერებისა. იგი დამარცხებული ქართველია და ეს არის კაეშანისა თუ ნეუროსების აღმძვრელი. ახალმა დრომ პეროიკის წილ მონური სული გააბატონა. არავის სჭირდება ნიჭი, განათლება, სიკეთე.

დრომ სავარსამიძე ხელმოცარულ მეოცნებედ აქცია.

„დიონისოს ღიმილის“ პირველივე სტრიქონები გვაცნობს პარიზელ ომის ინვალიდს, სახედამახინჯებულ, ფეხებმოიკვეთილ კაცს. რომელიც ყველას თავს არიდებს.

პარკში მისი გამოჩენა მხოლოდ ბედურებს უხარიათ.

სავარსამიძეს ეგოისტურად სიამოვნებს, რომ თავად ჯანმრთელია და არც თავი გაუწირავს ვინმესათვის. მაგრამ შემდეგ ცხადი ხდება, რომ ისიც ისე დაამახინჯა დრომ, ისიც ისე უცხოა მომეფითათვის, როგორც ის ფრანგი – კაცი სიცოცხლს გადასიყუელი.

კონსტანტინე სავარსამიძის სევდა თავად აქტორის – კონსტანტინე გამისახურდიას სევდაა. რომელიც ხან დონ-კიხოტურად ებრძოდა ბოლ-

შევიკებს. ხან ჰამლეტის ჭკუნეთი იცხებდა სულს და, კაცთაგან გან-
წირულს. ეწადა დაეწერა წიგნი – „მარტოობისათვის“.

მარტოობისა და უდროობის გმირები არიან თარაშ ემხვარი, გიორ-
გი პირველი. კონსტანტინე არსაკიძე, ხოგაის მინდია, რომელთა სახე-
ები ნაქსოვია შოღერნისტული ლიტერატურის მასალით.

მეოცნებეთა გაღერვას ასრულებს და ამთაერებს კონსტანტინე
არსაკიძე – მხატვარი და ხუროთმოძღვარი.

კონსტანტინე გამსახურდიამ ისტორიაში გადაიტანა ხელოვნების
თემა და ასე შეეხმინა შემოქმედის კონფლიქტს სინამდვილესთან,
რაც ასე პოპულარული იყო დასაუღურ ლიტერატურაში (ბალსაკი,
ოსკარ უაილდი, ჯექ ლონდონი, რაინერ მარია რილკე, ჯეიმს ჯოისი,
რომენ როლანი, თომას მანი...).

ბონდო ჭილაძე

დემნა შენგელაიას ბონდო ჭილაძე პეტერბურგში განისწავლა. იგი
უძველესი ფეოდალური გვარის უკანასკნელი ნაშეირია.

დელა – ციცინო ხეცია, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ფსალმუნის“ ზე-
პირად მცოდნე, ძველქართულ წიგნებზეა შეყვარებული, სძულს რუ-
სული წესები, ბალები და ტანსაცმელი.

ეს სიძულვილი ჩარჩა ბონდოს ქვეცნობიერ ფსიქიკაში და უნდოდა
ტერორისტი ყოფილიყო, მოეკლა რუსთ ხელმწიფე. მაგრამ არ ეყო
ნებისყოფა. იგი დარჩა კანტის, ჩაადაევისა და გერცენის „კოლოკო-
ლის“, ძველქართული ხელნაწერების მკითხველად.

ბავშვობაში ზღაპრების ლანდებთან ცხოვრობდა. შემდეგ პეტერ-
ბურგის სუსხმა სულში შემოატანა, არარაობა და მარტოობა აგრძნო-
ბინა, აგრძნობინა, რომ იგი იყო „დაღლილი კაცი დაღლილი სისხლით“.

ამიტომ ეუბნება მამას – დაზაფრულ ყარამანს, რომ იგი მუდამ
მარტო ცხოვრობდა, სულით ობლობა აწამებდა, როგორც ბარათაშ-
ვილს.

სანაეარდოში მობრუნებულს ესმის ფარული, იდუმალი მოთქმა:

*„ამ მოთქმამ მომსო მე და გამანადგურა, წელში გამწყვიტა! იჭ პეტერბურგ შიცი
არ დაწნარდა იგი და ხშირად მესმოდა ღამეებში ეს გულის ამაღლებელი მოთქმა!“*

ეს ქართული სულის კენესაა, რომლის ხმა მხოლოდ ბონდოს მო-
ესმის. ხალხის გონება კი ყრუა, ხალხი ციებას შეუპყრია.

ბონდომ ვერ გაარღვია მარტოობის გარსი. თავს კარგად მხოლოდ
ხლისტების სექტაში იგრძნობს, სადაც ქრისტედ გამოცხადდა.

საკვარეულო სენმა პრაქტიკული მოქმედების უნარი წაართვა. არც
მისი განათლება გამოადგება ქვეყანას. ადამიანთა წრეში იგი უცხო

და უცნაურ არსებად გამოიყურება, რადგან ყოქრ'მიც ვერ პოულობს ხსნასა და გამოსაგაღს:

„ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუნეთა უფსკრულებით! რა მოგვაქვს ჩვენ ამ უფსკრულებიდან?.. ჯვარი, მამაჩემო, და ზედ გატრული ჩვენივე თავი მოგვაქვს ჩვენ!..“

„ჩვენ უნდა წაიღეთ, მამანემო!.. ავიკრათ გუდა-ნაბადი და გაველ-გეთ!.. ახლა ახალი ხალხი მოდის!..“

ამ „ახალ ხალხს“ ევრაფერი გაუგეს ვერც კონსტანტინე სავარსამი-ძემ და ვერც ბონდო ჭილაძემ.

თეიმურაზ ხევისთავი

მიხეილ ჯაგაიშივილი არ იყო მოდერნისტი, მაგრამ ეპოქის კარნა-ხით გამოიყვანა მარტოობის გმირები, მწერლის მიერ „ნაკაცარებად“ წოდებულნი.

გავისხენოთ თეიმურაზ ხევისთავი, ერთი მხრივ – ცნობილი მეც-ნიერი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მეორე მხრივ – „ღამდნარი ნაკაცარი“, „წიგნის ჩრჩილი“, „ქაალი თავი“, „ბელოულათ“ და „ნაკარტეკა“

ხევისთავი რუსეთის ინტელიგენციიდან ელოდა ხსნას, „წითელი ბა-ირალით“ დარბოდა, რევოლუციას განადიდებდა. შემდეგ – „წითელ ფურს გაურბოდა“, „უწინდელ დროშებს სწავლა“, ე. ი. მას შემდეგ, რაც საქართვე-ლი „წითელმა გოლიათმა“ დაიმორჩილა და მენშევიზმი შეცვალა ბოლ-შევიზმმა.

თეიმურაზმა დაკარგა ან გაყიდა ყველაფერი – ბინა, ავეჯი, ჭურჭე-ლი, ტანსაცმელი, წიგნები, ხალათი ჩაიცვა და წვერი გაუშვა, შეეგუა მარგოს ღალატს, ჯერ მაკლერად იქცა, შემდეგ – საკუთარი ცოლის მეჯვარედ, ნაცოლარის მოსამსახურედ, თავისი ყმის ყმად, მაგრამ „ახალ წესრიგს“ მაინც არ შეურიგდა. მასწავლებლობაზე თავად თქვა უარი, რაც არ მწამს, იმას ბავშვებს ვერ ვასწავლიო.

ეს სუსტი, საცოდავი, პრაქტიკული ალღოს არმქონე კაცი რწმენის თვალსაზრისით საოცრად მტკიცე და პრინციპული აღმოჩნდა, არ დაემორჩილა ბოლშევიკებს.

იგი, როგორც ახალი იერემია, ჰკოდებს სამშობლოს დანგრევას:

„საწ- წწყალი ქართლი! – იგი მომაგონებს დაბურებულს, ქაალს, უბილოს, ბრუტიანსა და დაბრებულ ნაკაცარს, რომელსაც ჭამისა და განბრევის შროც აღარ აქვს“; „წელში გასწყლა ქართლი“.

ერთადერთ იმედად მარგო ჰყავდა. მაგრამ თავისი უნიათობით ესეც დაკარგა. როცა დაინგრა საქართველო და დაიღწა ხევისთავის იმე-დები, როცა ლეკმა-პერისთავის ბრძოლა მოუწია, მეუღლეს უთხრა:

„ღარიკება, გამხმრეობა და სულიერი ნუგეში მჭირდება, თორემ წაფიქცევი, მარგო“! მაგრამ ყაფლანიშვილის ქალს არ ეყო ნებისყოფა და ბარბაროსკულ უცხო სტიქიას შინებდა, რომლის სიმართლეა „რუსული თოფი“.

გულმოკლეული ხევისთავი საღამოობით კოშკის თავეზე ადის და დასაველეთს გასცქერის, მუდმივ ბინდიანსა და ლანდიანს...

ამ „ბრღიან“ დასაველეთს შეაფარა თავი „რუსული თოფით“ საქართველოდან განდევნილმა ხელისუფლებამ.

„ჯაყოს ხიზნები“ თეიმურაზ ხევისთავის პიროვნების ასახსნელად არის დაწერილი, მისი თვალით არის აღქმული და განცდილი მოვლენები. ჩვენ არ ვიცით რას ფიქრობს ჯაყო, როგორ შეეგუა დალატს მარგო. ისინი გარეგნულად, მოქმედებაში არიან დახატული. მხოლოდ ერთხელ ვეცნობით მარგოს აფორიაქებულ სულს, როცა იგი ჯაყომ გააუპატიურა.

მწერალს ჯაყო და მარგო სჭირდება, რათა აჩვენოს ხევისთავის ანუ იმ ინტელიგენციის ტრაგედია, რომელიც სძულს თეიმურაზსაც და რომელმაც თავისი უნიათობის გამო ქვეყანაც დაკარგა და საკუთარი თავიც.

თეიმურაზი პატრიოტი, კეთილშობილი მოღვაწე და მეცნიერია. მაგრამ ასეთი ადამიანი ქვეყნის წარმმართველი ძალა ვერ იქნება. იგი სუსტია ფიზიკურად და ფსიქიკურადაც. მის აპოლონურ სტიქიას ანადგურებს მძვინვარე ბოლშევიზმი, რომელიც ისევება დიონისური სტიქია, როგორც ჯაყო ჯივაშვილი..

თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპია თავად მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც სეარსამიძისა — გამსახურდია. ისიც სათვალისანია და მელოტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

მიხეილ ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატი იყო, იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი „პარიტეტული კომიტეტისა“. რომელიც 1923 წელს დახვრიტეს. თვითონ აღიარა დანაშაული და შეურიგდა მოძალადე ხელისუფლებას.

საკუთარი უმწიობის ხატია თეიმურაზ ხევისთავი, ცინიკურად და დაუნდობლად დახატული, ავტორის მიერ თავისი თავისადმი გამოტანილი უღმობელი განაჩენი, რათა ასე გაესრისა უმწიობის კომპლექსი.

„ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავი განასახიერებს საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელსაც ხელთ ჩაუვარდა ქვეყანა, მაგრამ ვერ უპატრონა.

დედისერთა მარგო ყაფლანიშვილი ძველი საქართველოა, რომელიც ჯერ თეიმურაზს ჩაბარდა, შემდეგ კი — ჯაყო ჯივაშვილს, უკეთურ და უცხო ძალას. იგი გახდა წიგნისა და აზრის მოძულე.

ჯაყო ოსია, მედროეუ და მოძალადე, რომლის სახელქვეშ შვიძლე-

ბა რუსიც ვიგულისხმობთ, რადგან რუსის თოფით და ხელისუფლებით აქცია მან ქართველი თავადის ქალი თავის საკუთრებად.

არცერთი მათგანი ავტორის სიმპათიას არ იმსახურებს.

გუშინდელი „შემოდგომის აზნაურები“ დღეს „ნაკაცარებად“ ქცეულან, რომელთაც თავის მოკვლაც კი არ შეუძლიათ.

„ნაკაცარების“ თემა ქართული დეკადანსის ნაწილი იყო.

„უკანასკნელი რაკეტები“

კონსტანტინე სავარსამიძე, ბონდო ჭილაძე, თეიმურაზ ხევისთავი, თარამ ემხვარი უძველესი, არისტოკრატიული გვარის შვილები არიან. მათზე წყდება მათი გვარის არსებობა. შვილი არცერთ მათგანს არ ეყოლება. მათ არ ჰყავთ არც ძმა, არც და.

კედება ძველი საქართველო, ძველი სულიერება.

სავარსამიძე, რომელიც სალილეში მუდამ თეთრ შრომანს ატარებს, პოეტია და მთარგმნელი; ჭილაძე – ფილოსოფოსი, ნაროდნიკული იდეების მიმდევარი; ხევისთავი – მეცნიერი და პუბლიცისტი; ემხვარი, რომელიც მელონის ქუდითა და პომპსონის კოსტუმით დაბრუნდა სამშობლოში – პოეტი და ფილოლოგი.

გუშინდელი არისტოკრატები დღევანდელი ინტელიგენტები არიან. მაგრამ ყოველ მათგანს დაუკარგავს სიცოცხლის უნარი და ბრძოლის უინი.

ამიტომ მათი დამარცხება ინტელიგენციის, მოაზროვნე ადამიანის ტრაგედიაა.

გონი მარცხდება ბარბაროსულ სტიქიასთან ჭიდილში.

ლენინი და ჰიტლერი ინტელიგენციას ერის გონების განავალს ეძახდნენ. მაგრამ ინტელექტუალური ძალების დახმარებით ავრცელებდნენ თავიანთ იდეებს.

ახალმა დრომ ასპარეზზე ავანტიურისტები და მოძალადეები გადმოისროლა. ფიქრის კაცი და სულის გმირი ჩრჩილად იქცა. ის ცხოვრებას არ სჭირდება, რადგან ქვეყანაზე ბატონობს მახვილი და არა გონება, ქვეყანას მართავს ფული და არა რწმენა.

მაღალი იდეალები ემხოება მდაბიურ, ველურ ინსტინქტთა წინაშე. რადგან ადამიანი ბიოლოგიური არსებაა, მას ზენაარი აიძულებს – ჩაერთოს სასიცოცხლო ბრძოლაში.

სუსტი განწირულია დასალუპავად.

ასეთია უღმობელი ცხოვრების კანონი, რომელსაც მთელი სისასტიკით წარმოაჩენს გარეშე თუ შინაურ მტრებთან და თანამოდმეებთან ომების პერიოდი.

საკარსამიდის, ჭილაძის, ხევისთავის თუ ემხვარის დამარცხების საფუძველზეა სამშობლოს ბედისწერა. დადლილი სისხლი, საუკუნეების მანძილზე ბრძოლით დაქანცული, ეერ უძლებს ეელური სტიქიის შემოტევას.

კულტურისა და ახრის ადგილს იტერს ბარბაროსული ძალა, რომელსაც ხოტბას აღუელენდნენ გიორგი ლეონიძე და გრიგოლ რობაქიძე.

მარტოობის გმირთა საფუძველი 1921 წლამდე იყო ესთეტიზმი, რომანტიკული სეედა, შემდეგ – ფარული გლოვა სამშობლოს ბედსკე. თანამედროვეობას უარყოფენ ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი. ცნობიერად თუ არაცნობიერად ისინი ეძებენ გამოსაეალს.

მითოსურ წიაღში გადადიან გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, ისტორიაში – ვასილ ბარნოვი, პატრიარქალურ ხეესურეთში – მიხეილ ჯავახიშვილი, სნეულ სამყაროში – დემნა შენგელაია, ხოლო შალვა დადიანი ქართლის დაცემის პირველსაწყისს ხედავს იმ ეპოქაში, როცა პირველმა რუსმა საქართველოში შემოდგა ფეხი და მას ერთბაშად დაეპატრონა („უბედური რუსი“).

მწერალმა შავი შრიფტით დააბეჭდინა მთელს რომანში ერთადერთი ფრანზა, თამარის მიერ თქმული: „საშეილისშეილო შეცდომა არ მოგვიფოდეს“. თამარის სიტყუა დაივიწყა ქართველმა ხალხმა. ეს არის რომანის ქვეტექსტი.

შალვა დადიანმა არც თავისი გუარი დაინდო და მოღალატედ გამოიყუანა ვარდარ დადიანი.

ანტითეზა – არჩივალდ მკეპუი (მაცაშვილი)

მხოლოდ გრიგოლ რობაქიძემ მიაკცია ყურადღება ეროვნული სულის სიჯანსაღეს, უარყო გლოვა, სეედა და მომავალს მიაპყრო მსურა.

მოგვიანებით კ. გამსახურდიაც მიუბრუნდა ამ იდეას.

გრიგოლ რობაქიძემ ქართული მოდერნიზმის პესიმისმს ნაცონალური ოპტიმიზმი დაუპირისპირა და მარტოობის გმირი უდაბნოდან გამოიყუანა, ცხოვრებას დაუბრუნა, დამარცხებისთვის არ გასწირა.

არნიბაღლდ მეექვსი, სულით და ხორციით ძლიერი კაცვი, რომელიც მხატვარია, მავრამ არა სნეული ან მეღანქოლიკი, პოუღობს თავის მშობლიურ სამყაროს. ეს მაშინ, როცა ქართველები გარბოდნენ საქართვალოდან და სწეეღიდნენ თავიანთი გასენის დღეს.

საგარსამიძე, ჭილაძე, ხევისთავი, ემხვარი უშვილონი არიან. ხოლო მკეკეში აღიდგენს მაყაშვილობას, შეერთავს ქართველ ქალს – მატასის და მასთან შეილი ცეოლება, ე. ი. გაგრძელებს ქართული ჯიშის, ქართული რასის, რომლის აპოლოგიაა რომანი „გველის პერანგი“ (საინტერესოა ვიცოდეთ, რომ „დიონისოს ღიმილში“ პირველად იხსენიება „ასპიტის გამხმარი პერანგი“).

აგრესია – სიცოცხლის უნარი

როგორც ითქვა, სულის გმირს, ფიქრის კაცს უპირისპირდება ცხოვრება და სიცოცხლის სტიქია, ბნელი და მღერიე ყოფიერება.

გრიგოლ რობაქიძის მზით დასიცხულ მინდიას ხის ძირას ჩასძინებოდა, ყურიდან სისხლი წასდენოდა, ყური გველს გაელოკა. მას შემდეგ მინდია გველის მეგობარი გახდა. მას ჩიტის გულიც უკვარს. არააუ აღამიანი. ამიტომ არ უნდა სისხლის დაღერა, სისხლის ძიება; მთვარეს უცქერის, ბაღახებს ეწურწულება, ზოგჯერ კი გონება ერევა და ძალას აკარგავს („ლამარა“).

კონსტანტინე გამსახურდიას მინდიას სახუნდარში თავსე უშმაკეული ონოპინტე – ნადირთ მწყემსი დაადგა, ჯიხვის რქებიანი და ჯიხვის ჭლიკებიანი, მკბენარს მოგაცილებო და „სამხლევარს“ გადააციოლა. გუგულების ქვეყანაში გადაიყვანა, ე. ი. გაღმა მხარეს („ხოგაის მინდია“).

იქ გუგულებმა თეთრი გველის ხორცი აჭამეს. მინდიამ ლანდი დაკარგა და უსწეულო ძალა შეიძინა.

მინდიას აღარ უნდა არც კაცის, არც ჯიხვის მოკვლა. ვედარც ყვაილებს ჰკრეფს, რადგან ესმის მათი ენა და ხეყნა.

ასეთი უნარი და სიბრძნე არამიწიერია, უშმაკეულის მიერ მოგერილი, სიცოცხლე კი აგრესიული ძალაა. იგი არსებობს სხვათა სიცოცხლის შთანთქმის ხარჯზე. აღამიანი უფროხილდება მოძმეს, მაგრამ ხოცავს ნადირს, ჭრის ხეს, სწყევტს ყვაილს. ქვეყნად ბატონობს გადარჩენის ეგლური კანონი, რომლის კუმანიზება მოხდა აღამიანთა წრეში, მაგრამ არსი უცვლელი დარჩა.

ეს აგრესიული ძალა, ეს სხვათა დათრგუნვის უნარი აქვთ ჯაყო ჯივაშვილს თუ არსაყან სვამბაიას, თამაზ ვარდანიძეს („ქალის რძე“) თუ ყარამან ჯიქურაულს („გივი შადერი“). მაგრამ არ გაანნიათ ბონდო ჭილაძეს, თეიმურაზ ხევისთავს, კონსტანტინე საგარსამიძეს, თარაშ ემხვარს – ქართული დეკადანსის გმირებს, გილაგაშის, შამღუტისა და ნაილდ ქაროლდის სულებერ მემკვიდრეებს.

სიცოცხლის საყუქველი არის არა კულტურა და კანათლება, არა-

მედ - ძალა. აგრესია, რაც კლინდება სექსში, ნადირთკელაში თუ დაპყრობით ომებში.

ქართველი მწერლები უღმობელმა სინამდვილემ დაარწმუნა, რომ ქვეყანას მართავს არა სამართალი, არამედ - ძალა.

5. სიკვდილისა და ტანჯვის ესთეტიკა

ღმერთ და სამშობლოდაკარგული, სულით ობოლი ადამიანი მუდმივი ტანჯვისა და წამებისთვისაა განწირული. იგი ხსნას არ ელოდება და მისი გზა სიკვდილისაკენ მიდის. დეპრესია აახლოებს თვითაღსასრულს.

ასე ხდება რეალობაში, რომელიც ნაწილობრივ ლიტერატურაში გადაიტანეს მოდერნისტებმა და სიმბოლიკურ სახეებად აამეტყველეს.

მაგრამ სიკვდილი და ტანჯვა იყო არტიტული ექსტიცი, ესთეტიკის ნაწილი ან კიდევ - დაწვეტილი ნერვების, დაწვეწილი სულის აალება.

დეპრესიისგან თავის დაღწევა, სიცოცხლისკენ მობრუნება ნიშნავდა ბედისწერასთან ამბოხს, სულში *„აეობით მზინვარე ლოყიფერის“* დათრგუნვას, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოროტი სულისაგან განთავისუფლებას.

ქრისტიანი მარტვილიც ტანჯვით სტოვებდა ამ ქვეყანას. იგი რწმუნას ეწირებოდა. ამიტომ არც განიცდიდა წამებას, თითქოს უსხეულო ყოფილიყო, როგორც ეგვიპტის მცხეთელი, აბიბოს ნეკრესელი თუ აბო ტფილელი.

სიკვდილის აპოლოგია

ყალბიან გაფრინდაშეიღმა შეახსენა თანამოკალმეთ, რომ რუსთაველის შემდგომ იყო ლოცვად ხელაპყრობილი დიდი პოეტი - დავით გურამიშვილი, ჟრანგი დეკადენტებისა და „კისფერყანწელების“ მონათესავე, როგორც ტანჯული პიროვნება და მისტიკოსი. გურამიშვილის ბიოგრაფია გაგებულ იქნა ბოქემის ვარიაციად, ხოლო მისი სევდა, რელიგიური მოტივები - სიკვდილის ესთეტიკად:

„ჩვენ პოზიას ყავს საკუთარი ვერღენი, სედიის და რელიგიის ორგინსტობით, სიკვდილის ესთეტიკით, სოველი, ქერივი, ქრისტეს და მადონას მოტრფიადე, სათუთი და კეთროვანი, ტკილი და შხამიანი, უსახლკარო და უსამშობლო, რუხი და ყუითლი. პრინცი და მათხოვარი, განწირული და უბედური დავით გურამიშვილი“;

წერდა „დაისების“ ავტორი. მაგრამ უფრო ხიბლაკდა კამათი და ცილობა სიკედილთან, რითაც დაეითს ანათესაეებდა „მსოფლიო სეედის“ პოეტებთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან და შარლ ბოდლერთან.

მაგრამ საქართველოს პეაედა თავისი კორბიერიც და ნატერტონიც. ესენი იყენენ ივანე მანაბელი და მამია გურიელი.

შექსპირის მთარგმნელი მანაბელი უგზო-უკელოდ დაიკარგა. იგი დარნა საუკუნის გამოცანად. თითქოს შექსპირის პერსონაჟი ყოფილიყო, ისე დაეცა უეცარი ტრაური მისი ცხოვრების გზას. ამიტომ შემოიყვანეს ეანწელებმა ტრაგიკულ წრეში. ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილმა ფსევდონიმად მისი გვარი აიღო.

ასევე იზიდავდათ მამია გურიელი, რომელიც ბალახვანში გარდაიცვალა. მისმა ერთადერთმა ვაჟმა თავი მოიკლა, თეითონაც სცადა თავის მოკვლა.

მამია გურიელის მეგზურები იყენენ ბახუსი და ვენერა, ვიდრე ჭლეჩი და დეპრესია დარედა ხელს.

ქუთაისში ჯერ კიდევ ახსოვდათ ამ გამხდარი, მოღუშული კაცის დარდიმანდული ცხოვრების სტილი, არისტოკრატიული მანერები და მეტყველება, გარიბალდის ქული.

ასე მოიძებნა ტანჯვისა და სიკედილის ესთეტიკის ქართული საწყისები, რადგან, ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, პოეტის კარიერას შეადგენდა „სიგიჟე, ჭლეჩი, ალკოგოლი და თეითმკვლელობა“.

სიკედილი და მისტიკა დაეუფლა „ციხფერყანწელთა“ პოეზიას. ეველაზე მეტად კი – თავად ვალერიანის ლირიკას. მან თავისი თეორიული პოსტულატების შესაბამისად ააწყო ლექსის ინსტრუმენტი და შეიჭრა ბუნდოვანი წარმოსახვის ელიზიუმში, ხოლო ყოფითი ქვეყანა იღუპება ფანტაზიის უფსკრულში.

სიკედილი განცდილია ტიცვიან ტაბიძის მიერ არა როგორც შიში ან არტისტული პაროლი, არამედ როგორც გმირული, რაინდული სულის შემართება.

ამიტომ ასე მიმართავს პაოლო იაშვილს:

*„საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით“.*

შალვა კარმელი ებენს „მშრალ პერში მოთარეშე ჭლეჩის ბაცილებს“. სეედის გასაქარეებლად მოუხმობს სიგიჟესა და ალკოჰოლს („ლამის ფრაგმენტი“). ნიკოლოზ მიწიშვილი: ქვეყნიერებას ესერის „თავის ქალას“ („სამგლოვიარო მარში“); პაოლო იაშვილი იმპრესიონისტული შტრიხებით წარმოგვიდგენს „ვეროპის ქოსს“, „თაობათა გადაშენებას“ („ეერო-

პა“): ისინი ყიფიანი ფიქრობს ტუბერკულოზისუ. საიქიოს ძმა ელოდე-
ბა და ღმეროს ეეკდრება, რომ გზა დაუდლო(ოს („ჩემს თაესე“).

ყოლაუ ნადირაძე „ბაღდახინს“ არქმევს თაეის პირველ წიგნს და
ლექსებშიც ხშირად გამოჩნდებიან „ბაღდახინი“ და „ქლექიანი ცოლი“
(„ბაღდახინი“). „გარდაცვლილი დიდი გმირები“ („მონოლოგი საქართვე-
ლოზე ნაშუალამეეს 29 სექტემბერს“), მომაკედავი შანეკენი („ყვეთელი
მალაელი – პოეტი მანეკენი“), ჭლექიანი აბასთუმანი, თეთრი კუბო და
კატაფალკი („დიფირამები“). მაგრამ მისტიკური ანტურაჟი კ. ნადი-
რაძის პოეზიაში ხელოენურია, ხანაც მხოლოდ მინორულ განწყობი-
ლებას ქმნის, ალგეიდრავს მეღანქოლიას, მაგრამ არა დიდ ენებებსა
და ტრაგიზმს. ამიტომ სიკედილის მოტივეები მისთვის არ ყოფილა ისე
მძაფრად განცდილი, ისე ბუნებრივი, როგორც გ. ტაბიძისა და ტ.
ტაბიძისათვის.

გალაკტიონი სიკედილს „შას“ უწოდებს, რომელიც მუდამ მის მხა-
რესაა.

სიკედილის აპოლოგია დაუკაეშირდა თვითმკეველობის იდეას, არა-
თუ დაუკაეშირდა, მისგან იშეა. თვითმკეველობის მანიამ შეიკყრო
„ცისფერი ორდენი“ და ეს გამოჩნდა არაერთ ლექსში, როგორც პი-
როვნების მითოლოგიური დასასრული, მისი ცხოვერების გულისმომ-
კეველ ლეგენდად მქცეველი:

*„მუხრანის ხიდზე დასახრობად კიდევ დაეღებოთ,
საქართველოში ცხოვერება ხომ თვითმკეველობაა“;
„თავისმკეველების თაეზე დაგეფრენს იგივე ღემონი,
მე ეხედაე იმ მოვსს, მოწაშლული სადაც დაეწეებოთ“.*

(ტიციან ტაბიძე)

*„მე ხომ უეცრად დამომარცხდა ეველა უჯრული
და ჩემი სისხლიც მოიწაშლა გადაშენებით“.*

(ნიკოლო მიწიშვილი)

ლოთობა, ბოჰემა, თრობა ღვინით და სიტყვით – ბოლოს კი თვით-
მკეველობა, როგორც ხელოვანის უკანასკნელი სიტყვა, ეველაზე მძაფ-
რი და საშინელი, რომლითაც დარჩებოდა პოეზიის პარნასზე.

„ერთადერთი, ვინც მიუყარდა, ეს სიკედილია“. – წერდა ეერარ დე ნეერვა-
ლი, ყრანგი რომანტიკოსი, რომელმაც ქუჩის ფარანზე ნამოიხრჩო
თავი.

სიკედილის კიმნებს წერდა შარლ ბოდლერი.

სიკედილს ეუგალიობდა უკანასკნელ ლექსში პილ ეერლეენი:

„სიკედილო, მე შენ მიუყარდი, დიდიხანა მეძახი მე შენ“–

„შენ გენაცვალე სიკედილო,

სიცოცხლე ფასობს შენითა“; – ამბობს ეაჟა-ფშაველა, დეკადენტური მხამისა და ბოქმისაგან შორს მდგომი ქართველი.

მაგრამ „სიკვდილისადმი სიმპათია“ (თომას მანი) მხოლოდ ესთეტიკური ეესტი როდი იყო. თანატოსის ლანდი ნაადრევად იტაცებდა რწეულ მეოცნებებს.

29 წლის ნოეალისი – ცისფერი ყვავილის პირველი რაინდი – ჭლექით მოკვდა. ამავე სენმა იმსხვერპლა მისი ცხრა და-ძმა.

თვითმკვლელობის მანია სდევდა სტეფან მალარმეს და მხოლოდ თავისი ქალიშვილის სიყვარული აიძულებდა, რომ ცოცხალი დარჩენილიყო, – შენიშნავს სარტრი.

40 წლისა გარდაიცვალა ედგარ პო.

სიჭაბუკეში დაიღუპნენ ლაფორგი, ლოტრემონი, კორბიერი.

სიჭარმაგის წლებს ვერ გადასცდნენ ბოდლერი, ვერლენი. რემბო, მალარმე.

მაგრამ სიკვდილის კულტი ქართველ მოადერნისტებს უფრო რუსი კოლეგებისაგან გადმოეცათ.

ფიოდორ სოლოგუბი:

“О, СМЕРТЬ! Я ТВОЯ.

Повсюду ВНОКУ

Одну тебя, - и ненавю

Отчуждене земли”...

ზინაიდა გიპიუსი:

“Беспощадна моя дорога,

Она меня к смерти ведет”.

ალექსანდრ ბლოკი:

„მესმის კუბოში ჩიტის ჯღურტული,

მოდის ზაფხული, მიწა სველია

და ოქროსფერი ქალიშვილების

თმების თამაშ დამტანჯველია“.

სოლოგუბი წარმოსახვაში ქმნიდა საიქიოს – ოილეს მიწას. „წრდოლოეთის ქარის მიღმა“.

იქ ანათებს ვარსკვლავი მაირი, ჩამოდის მდინარე ლიგოი.

ოილე მოდის სდამრის გმირთა სახელებიდან, რომლებიც ძილსა და სიკვდილს განასახიერებენ.

მაირი იგივე ალტაირია, ერთ-ერთი მნათობი ორლის თანაეარსკვლავულში.

ლიგოი ლატეიურ მითოსში სიყვარულის ღმერთქალია.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში სიკვდილის ესთეტიკა, ერთი მხრით.

კერძო და ფრანგული ლიტერატურიდან. მეორე მხრივ, მისტიკოსთა ნაწერებიდან და ფილოსოფიიდან შემოვიდა.

მაგრამ დახედა სამეგრელოს ციებით, ომებით, დაქვეულ ქვეყანაზე ფიქრით დაწეწილი ფსიქიკა. ამიტომ მისტიკური ჭერეტა იყო გამოსავალი.

კ. გამსახურდიას პერსონაჟები კედებიან, როგორც ანტიკური ტრაგედიის გმირები. მათი დაღუპვა ესთეტიკური განცდის მწვერვალია.

გაეიხსენოთ თარაშ ემხვარის, შორენა კოლონკელიძის, კონსტანტინე არსაკიძის, გიორგი პირველის, ხოგაის მინდიას, დავით აღმაშენებლის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები.

აპოკალიპსიდან გადმოსული სიკვდილის ლანდი თან სდევთ კონსტანტინესა და ჯენეტს. როცა ისინი მარტო რჩებიან, ჯენეტი მიდის როიალთან და უკრავს შემზარავ მელოდias:

„სიკვდილზე ფიქრის სიხარულო და სიტკბოებაჲ,

ანაზღეულო სიკვდილზე ფიქრო.

სიკვდილო, იყავ შენ ჩემი ღმერთო,

სიკვდილო ნაზო, წმინდა სიკვდილო.

მოვედ, ძვირფასო, ტკბილო სიკვდილო“.

გულდასტეყვილ კონსტანტინეს ეჩვენება, რომ სიკვდილი ეძახის *„ჩრდილების ქვეყნიდან“*.

იგი სულიერად ისევეა წამებული, როგორც მისი იდეალი წმ. კონსტანტინე, არაბთა მიერ სიკვდილით დასჯილი.

ნადირობის ჟამს, გარდაბნის ტრამალზე მყოფ მწერალს, უეცარი დეპრესია დაესხა თავს, თითქოს დაპატარავდა და დაიღვია და სულშიც უდაბნო გამეფდა. სიკვდილი ინატრა და მაშინ აჟღერდა ძველი მელოდია:

„მოვედ სიკვდილო,

ტკბილო სიკვდილო“ (ქალის რძე“)

სიკვდილთან სიცოცხლის შეხვედრაა გალაკტიონის „თაყის ქალა არტისტული ყვაილებით“, რომელიც სათავეს იღებს ბოდლერის სამყაროდან.

ვალერიან გაფრინდაშვილს სიკვდილი ეჩვენება დაისების ბინდსა და სარკის უფსკრულში, ხოლო იოსებ გრიშაშვილს – *„ტრფობის ერთადერთ გამოშახველად“*.

გალაკტიონის საიქიო არის სამუდამო მხარე, სხვა ცხოვრება, უცხო სიმსუბუქე, საიდანაც ლურჯა ცხენების მტვერი მოჰყვება.

მთელი ქრისტიანული მოძღვრება საიქიოსკენ არის მიმართული. რომელიც გაყოფილია სამოსხედ და ჯოჯოხეთად. სიცოცხლე არის

სიკვდილისათვის მზადება და საშუალება, რაც აღამაანს მიეცა მარადიული ხასუყეველის დასამკვიდრებლად.

ამ თვალსაზრისით მოდერნიზმის სიკვდილის აპოლოგია ქრისტიანობიდან იღებს სათავეს, რომელიც ესთეტიზებულია. მაგრამ აღამაანი, როგორც ოდესღაც გილგამეში, მაინც ეურნება განგების ნებას და ცდილობს ფიზიკურად გაუკვდავებას. ამიტომ ეძებს კ. გამსახურდიას მსუკბაბუკი მიწას, რომელიც ჯერ არ დაუტორავს სიკვდილს. მაგრამ ყოველი ძიება თუ ამბოხი ამაოა – ცოცხალი არსება ემორსილება ამქვეყნიურ წესრიგს. ამისი განცდა და შეცნობა თავისთავად არის ტრაგიკული. ნუგეში არის მხოლოდ მითი სულის მარადიულობაზე.

სიკოცხლე მთავრდება სტეუან გეორგეს შავი ყვავილით და მორის მეტერლინკის გაშავებული ცისფერი ჩიტებით.

სიმახინჯის კულტი

სიკვდილის აპოლოგია მოიცავს სიმახინჯის კულტს, როგორც ირაციონალურ მოვლენას. ესეც გამართლებული ჩანდა ფრანგ რომანტიკოსთა და „დაწვევლილ პოეტთა“ ესთეტიკით. ამ პრინციპის იდეოლოგიც ვალერიან გაფრინდაშვილი გახდა. ესეც „Terror antiquus“ სიმახინჯის სილამაზეს ქადაგებს. პოეტი ახსენებს ბოდლერისეულ შავი ვენერას კულტს, პოფმანის ქაღს მანკეენს, ედგარ პოს, მალარმეს, დოსტოევსკის; ერთმანეთისაგან განასხევეებს „ლამაზსა“ და „მშვენიერს“; თელის, რომ ხშირად რაც ლამაზია ცხოვრებაში, შესაძლოა პოეზიაში სიმახინჯედ იქცეს და პირიქით – სიმახინჯე ნილაბია მშვენიერებისა. იგი სინამდვილეს თავისთავად სიმახინჯედ მიიხნევს, რომელსაც ამშვენიერებს პოეზია. ხოლო პოეზიას ქმნის ბოკემა, რომელმაც „კეთილშობილ არდილად აქია სიგივე და თეთმკელულობა“. კ. გაფრინდაშვილს მოაქვს საინტერესო პარალელები, რათა დაასაბუთოს, რომ სიმახინჯე უკავშირდება საშინელებას, საშინელება კი იდუმალებას. ანტიურ ტრაგედიას, სამყაროს ნებას.

მისი აზრით, მახინჯი ვაჟური საწყისია, ლამაზი – ქალური.

ამ იდეას იზიარებს სანდრო ცირეკიძე.

ტიციან ტაბიძეს პეტერბურგი აღქმული აქვს როგორც სხეული ქალაქი, სალდათებს სიმყრალე ასდით. ქრის ცივი ქარი, კახაყბის ნრდილებში ჩანს ლანდი ედგარის, გასიებულ პოლანდიელს უყუფს: სხეული ჭინკა – ანდრეი ბეული და მთელი ქალაქი უერთდება „ქოსის ნახულს“ („პეტერბურგი“).

რეალობაში არსებული სიმახინჯე, თუ ხელოვანის გრძნეული ხელი შეუხი, მშვენიერებად იქცევა (მაგ., კ. პოეგოს კვაზიმოდო, კ.

ჰამსუნის გრეგორდი, თ. მანის პატარა ბატონი ფრიდემანი, კ. გამსახურდიას ლუკაია ლაბახუა).

ვალერიან გაფრინდაშვილი გვეუბნება:

„მახინჯი სახე თანდათან უფრო კეთილშობილი გახდა. იქნება იმდენი სილაშაზე, რამდენიც კაცი და ნიეთი არსებობს. ხელოვნება გააღმერთებს მთელ ქვეყანას და, როგორც ქრისტე, განკურნავს კაცობრიობას ყველა სენებიდან. დადგება დრო და სამყარო, როგორც მსახიობი, მოიცილებს სახიდან დამპალ ნილას და პირვანდელ იდეალურ სახეს დაიბრუნებს“.

სიმახინჯის კულტი გადასწვდა კონსტანტინე გამსახურდიასაც და მან გამოიყვანა არაერთი ფსიქიკაშერყეული, ფიზიკურად დეგრადირებული პერსონაჟი, რადგან ხელოვნება გარდაქმნის და ალამაზებს ცხოვრებას, სიმახინჯესაც კი.

სიმახინჯის შიშვერბოლური აღქმის შედეგია საშინელებათა სურათები, ბნელი და კომმარული მოტივები, დაცემა და დეგრადირება.

რუსეთში იწერება „ჰიმნი სიფილისს“ და „ცხედრის გაუპატიურება“, ბოდლერი ბოროტების ყვაილების მგოსანია, მერეჟკოვსკი ადიდებს დანაშაულსა და ცოდვას, ტიცვიან ტაბიძე ტფილისს სიფილისიანს უწოდებს.

ფრანგი კატულ მენდესის პერსონაჟი, რომელიც შუქურას ყარაულობს, შეიყვარებს ქალის ცხედარს, გემის დალუპვის შემდეგ ზღვამ რომ გამოიყვანა (რომანი „სიყვარულის კოშკი“).

მოქალაქის პერსონაჟი ამოთხრის გაყინული სატრფოს ცხედარს („საფლავი“).

ვილჟე დე ლილ-ადანი წერდა სასტიკ და ფანტასტიკურ ნოველებს.

მარსელ შვობს გამოპყავს ექსცენტრული გმირები, აჩვენებდა მისტიკურ შიშს, სისასტიკეს, საშინელ სურათებს, რაც მოდიოდა „შავი“, „გოტიკური“ რომანებიდან და რომანტიკოსებს სჩვეოდათ (მაგ., მეტიურინის „მოხეტიალე მელმთი“).

ოქტავ მირბომ სისასტიკე დაუპირისპირა სილამაზეს.

ჟორის კარლ ჰიუსმანსი მკითხველს აცნობდა პერსონაჟის ავადმყოფობის ისტორიას (რომანი „პირიქით“).

მკვლელი და წამებული არიან კატულ მენდესის, ვილჟე დე ლილ-ადანის, პიერ ლუისის გმირები. მაგრამ მკვლელობას სჩადიან ხელოვნების სახელით.

მოდერნისტებს სიმახინჯისა და საშინელების ბუდედ მიაჩნდათ ქალაქი, რკინის ნიაღვარი, ელექტრონის ელვა, რომელიც ქანცავს და სპობს სულს, ადამიანს ადამიანობისაგან განაშორებს.

მათი ოცნება იყო არისტოკრატიული სილამაზე, მითოლოგია და ისტორია, სოფლის იდილია და ზეციური ფერები, მიღმა მხარე.

პაოლო იაშვილი:

*„დაეტოვე სოფელი –
მუდრო საზოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები,
სიშინდის ყანა!
ჰა! კინტოს პროფილი,
საგუგო ტარნები,
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე – საღახანა!“*

კონსტანტინე გამსახურდია:

*„მე ეუმღუროდი ამ დიდ ქალაქებს? წყეული საუკუნის სოდომსა და გომორს,
სადაც უკან მოხედვა გაქევაებას უღრის, სადაც სიუფარული თავვასართობ ჩეეულე
ბად ითელედა და ენთუზიაზმი უსაზმნო რომანტიკად“ („დიონისოს ღიმილი“).*

კოლაუ ნადირაძე:

*„მე ხშირად მართობს ეს ქალაქი მრუში და ჭერალი;
ატალახებულ ქუჩებს მიყეებო, ეუცქერ უკბოლოდ დაღრეჯილ სახლებს,
დაგეებ ზოგჯერ მახინჯ სახეებს,
თაეის მელაეებში მახრობს ქუა აეზნიანი და ცოდეებით მთერალი“.*

მოდერნისტები ქალაქს ციკლოპს ეძახდნენ. ხშირად უკეთურად ახსენებდნენ. მაგრამ მისგან გაქცევა არაეის უცდია. ურბანისტმა ვერ-ჰარნმაც კი ქალაქი რეაფეხად მონათლა. მათი წინაპარი ბოდლერი-სათეის პარიზი მეძაეი და ცოდეის ქალაქი იყო, რომელსაც „უწმინდეს ქეეყანად“ მიინეედა პაოლო იაშვილი, ხოლო კონსტანტინე გამსახურ-დია – „უსამშობლოთა სამშობლოდ“.

მაშ ასე – სინამდვილე სიმახინჯეა, ხელოვნება – მშენიერება, სინამდვილე არარაობაა, წარმოსახვა – ეველაფერი, – გეეუბნებიან მოდერნისტები.

მელანქოლია და დეპრესია

მელანქოლია, სეედა, ნაღველი ხელოვნების უშრეტი წყაროა. მწუ-ხარე მზეერა საწუთროს ამოეებას გეამცნობს. იგი გიღგამეშის ტან-ჯევაა, ეკლესიასტეს კაეშანია, ჰამლეტის ჭმუნეაა. ეველა გამარჯეეებას დამარცხება მოსდეეს. ეველა სიცოცხლის ფინალი სიკედილია. ამბო-ხებას სკელის დაცემა და დამოშმინება. ადამიანის სიცოცხლე ტრ-გედიიაა, მხოლოდ ცალკეული ეპისოდებია სასისარელო. მაგრამ მო-დერნისმი შეეცადა სიკედილის ტრაგიზმის შენელებას. იგი ვარდაე-ვალია, მაგრამ არც ისე საშიშია და მტკიენეული, როცა ჰეროიკად იქცეეა და ბინდისფერი სამოსელისთ იმოსება.



როგორც ქრისტიანმა მარტვილებმა, ისე მოდერნისტებმა ტანჯვა და სიკვდილის კულტი ტკობად აღიქვეს.

გაღაყტიონის სევდა და შეკლანქილია, დეპრესიული მოვლენები. „სიკვდილისადმი სიმპათია“ არ უოფილა მოდერნისმიდის აღ-
უბული. იგი სემინარიის პერიოდშივე უჩიოდა მარტობას, გაკვეთილებს ყურსწავლობდა, ორიანებს უწერდნენ.

ამხანაგებს ვერ ეგუებოდა და კონფლიქტი მოსდრიოდა. მასწავლებლები „სულის აუადმყოფს“ ეძახდნენ და ძალას არ ატანდნენ. „დაუვსებელი ცეცხლი არ შეშომიქიდო“, აფროხილებდა დედა. სემინარიამის იმიტიომ დადიოდა, რომ დედას გული არ სტკენოდა. მაგრამ კლასში რომ ჩატოვეს,



კარბოლმქვა დაღია და თავი მოიწამლა. ემაწვილი სიკვდილის ძლივს გამოსტაცეს.

მას შემდეგ მოელი სიცოცხლე სდევდა თვითმკვლელობის მანია.

ასე რომ, გაღაყტიონის პოეზიის შეკლანქილია მისივე ფსიქიკიდან მოდიოდა. რომელსაც ხან ანკლებდა, ხანაც ახელებდა მროსხანე ვამი და ალკოპოლი (ვრცლად იხ. „გაღაყტიონი და ტიცვიანი“).

გიორგი ლეონიძე წარმოგვიდგენია როგორც სიცოცხლეს დახარბებული პოეტი, მხნე და იმედიანი, მხედარი და მეომარი. მაგრამ მისი არაერთი ლექსი მწკუხარებას ასხივებს. ეს არის არა მხოლოდ ისტო-

რიის სეველა, გდლოვა დაკარგულსუ, არამედ პიროვნების სულის უხი-
ლავე და უმისხესო ურეაც, გადაქსოვილი სხედასხვა საგნებს.

გაეისხენოთ „ოლე“. მარტოდშთენილი, ბებერი, მომაკვდავი ხის
საგალობელი. ოლე, რომელიც დგას ღიახვის კლდესუ, ტოტები დაშ-
სხერეკია და სიკვდილის ეამი დასდგომია:

*„შენზე მარტო არიან არი,
შენზე უფრო მეტად;
ბაღღამის და ცრემლის სვეტო,
შენ ქცეული ხედა!“*

„მარტოობის შხამით“ გამოიწვეარი, „ყორნებისგან ჩაყვრილი“ ოლე სულთ
ობოლი ადამიანის სიმბოლოა, ეინც ბედისწერამ ამირანივით კლდეს
მიაჯაჭვა. მას ენატრება „მარტოობის არტახების გადახვეა“, რათა კპოვოს
თავისუფლება. მაგრამ ფესვებით მიწას არის მიბმული და მისგან
დაცილება სიკვდილს ნიშნავს.

ოლე სწორედ დაღუპვის შემდეგ გახდება ღიადი, „ხეთა წინამძღოლი“.
როცა ღიახვის რძიან ქაფში ტივებს წარუძღვება და სახლის შუაბო-
ძად იქცევა.

სასაყლაო, სამარე და სიკვდილი არის ტერენტი გრანელის ღირი-
კის მთავარი მოტივი. იგი დეპრესიული სულის პოეტია, რომელსაც
ეველაფერი თალხი ფერებით ელანდება: „ეს როალიც კუბის მსგავსია და
კუბოსავით მოიხანს კამოდიც“.

გიორგი ლეონიძისათვის მოვარეც ხორციით არის გავსილი, ხოლო
ტერენტი გრანელი ხორციელს მიწაზეც ვერ ხედავდა.

ერთს მიწა და სიციცხლე ეძახდა, მეორეს – სეცა და სიკვდილი.
ტერენტი გრანელისათვის სიციცხლე წარმავალია, მარადიულია
სეცა. ამიტომ ხორცი მხოლოდ ამძიმებს ადამიანს. სულს ენატრება
მიწიერი გარსიდან ამოფრენა. მაგრამ ეს პროცესი მტანჯველი და
მტკივნეულია.

გალაკტიონის მსგავსად, ტერენტისთვის „სამშობლო სამარეა“.

მას ჰქონდა დაწყვეტილი ნერვები და დაფლეთილი ფსიქიკა. ამი-
ტომ ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სტრიქონებს, მწუხარესა და აბნეულს,
რომელთაც ერთმანეთთან აკაეშირებდა გრძობა და განწყობილება.
მაგრამ არ შეეძლო აზრობრივი კონსტრუქციის შექმნა, იდეის განვი-
თარება ან სიუჟეტური გამოიმკონებლობა. იგი მიჰყვებოდა სულის
დედღვას და მას სადღექსო ფიორმას აძღვედა. ის ფსიქიკური ქაოსის,
დეპრესიის და მწუხარების სტიქიური მხატვარი იყო:

*„ჩუმი დღვა და მწვანვა გორა,
და კარგია, მოკვდებოდე ჩქარა,
თითქოს გული გადაეცეო ყორანს,
მთისკენ მიდის ცარიელი შარა“.*

ამიტომ კხოვებდა სიმშვიდეს სასაყვლაოზე. უცნობ სამარცთა შორის, სადაც გათენება ბაღდასხინად ეჩვენებოდა.

ხასოწარბეკეთი ღირისში უკვე ტრაგედიაა.

ამდენად არის სიკვდილის ესთეტიკა ანტიკური ტრაგედიის აღდგენა, ხილო დაკემა – ამიდლება:

*„ქვეით, სულ ქვეით, ჩვეიძიროთ უკანასკნელად,
ქვეით, სულ ქვეით, ეს არ არის ისე საშიში“.*

(კოლაუ ნადირაძე)

ქ. გამსახურდიას პათეტიკური სტილიც შელანქოლიითაა შეფერილი:

„ერთი გამოიხედა მკედრების მზემ ღრუბლების ჩადრიდან და გაწვა მღუმარე ნაძვარების ჯაგარზე მწვემსივით ნაბადივით დაფხრეწილი, შევლევო ღრუბელი.“

სამხრეთისკენ მიფრინადნენ წეროთა ქარავენები, ქარს მიქონდა მათი მწუხარე ყოავი, ჭილუფავებს დაეფლასათ ბეხრეკა მუხების გაცრცენილი ტოტები, ყოონდენ ყორნები, უფსკრულებში ჩარჩენილ ლეშების მოზარენი, გაუმხელელი სველისაგან ქეთინებდნენ მთის წყაროები.“

გადმოშვარეყო ძუ შეგლი წოწოლა ბეჭობიდან და ეშუოდა გულშემზარადად“ („ხიოგანის მინდია“).

პერსონაჟები – სავარსამიძე, თარაშ ემსვარი, მსხეკაბუკი, გიორგი პირველი, არსაკიძე, მინდია ერთ თარგზე არიან მოჭრილი. ისინი „მსოფლიო სევედას“ ატარებენ, უფლის მეტოქედ მოაქვთ თავი. მათი მელანქოლია, ერთი მხრივ, დეპრესიაში გადადის და გულისმომკვლელ ღირისმად ხმიანდება, მეორე მხრივ, პეროიკულ თავგანწირვად იქცევა. რადგან *„ტანჯვაა საზოდო შემოქმედებისა“*.

მაგრამ როცა დეპრესია იპყრობს სეფსს, პირიქნება ბრძოლისა და მოქმედების უნარს ჰკარგავს. იგი მიდის სიკვდილის სღვართან.

კონსტანტინე სავარსამიძეც, რომელიც „დროის გარეშე“ ცხოვრობს, სიკვდილისკენ მიემართება: იგი შემოდგომასთან ერთად, როგორც ნაწამები დიონისო, ჩადის ნამდვილ ქვესკნელში:

„ვიწრო ჭუჩის ოღოროღორო ფილაქანზე ძლიეს მივათრევ ნაციებ სხეულს.“

ნელა, ნელა ქანაობენ მღალი აღეები. სიკვდილის ანგელოზების ცრემლებივით გეშთან შარაგაზე ფოთლები უღონო და ფერგადასული, და მესმის აღეების და აკაციების შტოებში მგლოვიარე ბუნების საშემოდგომო რეკვიემი. აუარებელი ბელურები მხუილით და ჭყოპინით თავს დასტრიალებენ გაყვითლებულ ხეივანს. და უნებურად მაგონდება ლუქსემბურგელი ინვალიდი – სახით მახინჯვი, კაცი სიცილს გადაჩეკული.“

აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი.“

და ერთადერთი ნატერაა ჩემი: ყინულზე დაეარდნილი ნაპერწყალივით გადნენ თუნდაც ჩემი სხეული“ („დითინისოს ღიმისი“).

მრავალსახიანია სავარსამიძე – მზის თავადი და „ახალი ქრისტე“.

„მარტოხული, ერთადერთი და განუყოფელი“, რომელიც თავის გარშემო მხოლოდ სიკვდილსა და მწუხარებას თესავს. თავად კი აუხლებია მოძაქვდავი მამის წყევლა – ეწერის თხემელასავით უნაყოფო გქნას ღმერთმა, თუ სერი ანდერძი გასტეხო და წარმართ ტაია შელიას გზას მისდიო.

საქარსამიძის გული „რუმი ვარაზთა“ სავსე, რაც გამწვაეების ვამს ნევრასთენიად ექცევა და იძულებულია ხან აბსენ ტუნგს მიაკითხოს, ხანაც – ნევროპათოლოგ რანკეს.

იგი დამხოზილი სამშობლოს სეველითაა სნეული.

უცხოეთში ნოსტალგია უკლავს გულს, სამშობლოშიც მისი არავის ესმის და ყველანი უცხოობენ.

კონსტანტინე საქარსამიძის ტანჯვის საფუძველია სამშობლოს ბუდი, დამარცხებული ნაციონალიზმი, ფიქრი, რომ იგი უმწვოა და მხოლოდ ოცნებასა და სიზმარში თუ შეძლებს ბედნიერების პოვნას.

„თვითმკვლელობის იავნანური“

გალაკტიონი და ტიცვიანი თუმცა ბიძაშვილები იყვნენ, პოეზიაში რადიკალურად განსხვავებული გზებით მოდიოდნენ.

გალაკტიონი მუსიკის სტიქია და ლექსის ვირტუოზი იყო.

ტიციანი შეგნებულად ამსხერვედა მელოდიკას და დაჭრილ მუომარს კგავდა.

მაგრამ სრივეს აერთებდათ სიცოცხლის ტრაგიკული, პეროიკული აღქმა და თვითმკვლელობის განცდა. ოლონდ გალაკტიონს ქქონდა სხვა სპექტრიც – მეღანქოლიის ოქეანი.

„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გზის გარდა“, – ამბობდა იგი, როცა სიკვდილს ეგებებოდა, რომელსაც „ძმად“ მიიჩნეედა.

„მე ყანაღებმა მომკლეს არაგუზ“, – წერდა ტიცვიანი და თითქოს გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს, თავის ქალიშვილს ეუბნებოდა:

„მე ასე გიწერ, შეილო, ოღ აპოილს,

არ ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა“.

ამასვე ადასტურებდა პაოლო იაშვილი:

„იქნება მამა სულ გათაროს,

ტიროდეს დედა ფშანის ნაპირზე“.

ტიციანი არ იყო მეღანქოლიის პოეტი. იგი პეროიკული სულით. როგორც რომაელი პატრიცისი, ხედებოდა ბუდის უღმრთოელ განაცხენს. „თვითმკვლელობის იავნანურს“. დეკარესიული სასოწარკვეთის გარეშე.

მისი ლექსი ტრაგედიის გმირის უკანასკნელი მონოლოგია.

არც გაიორგი ლუონისე ყოფილა მელანქოლიკი. სიყვარულის ძა-
სილს თუ ისტორიის სეკლას ისიც აკროიკულ დაღუქეამდე მიაყავდა.

„როგორც, ძმებო, ხმალი ტამურლანისა,

სიყვარული ისე დაჭახებია“;

„მუზარადიან შენს ქმარს შემოვხედი,

თავი შუაზე გადამიჩება“;

„ამიერიდან მოკედე ვილასთვის

და ვილას დროშას მე ვემსახურო?“

ამგვარი თვითუცამეტება, თავგანწირვა იდეისა და რწმენისათვის
ბრძოლაა. იგი არ არის დეპრესიის შედეგი.

ატილას შთამომავალი და ჩინგის-ხანის წინაპარი ყიფნადი ყაბარ-
ლოს ველიდან მოდის ქართლში, მცხეთაში ქრისტიანულ ტაძრებს
დაღუქვავს. მაგრამ სიყვარულს მოაქვს სიკვდილი და მას მეტოქე
თავს გაუჩნხავს („ყიფნადის პაემანი“). პოეტი ხომ სიყვარულს „ტამურ-
ლანის ხმალს“ ადარებს, რომელიც მიჯნურის გულს ეჭახება („ნინოწ-
მინდის ღამე“).

ახლა ისევ გაეიხსენოთ უდროობის გმირები – ბონდო ჭილაძე,
თეიმურაზ ხევისთავი, კონსტანტინე სავარსამიძე. თარაშ ემხეარი,
ხოჯაის მინდია.

ისინი უფრო ზეცისკენ იხედებიან, ვიდრე მიწისკენ. არადა ნიკშე
ამბობს – თავი დაანებეთ ზეცას, მიწას მიაპყარით მზერა, რადგან აქ
არის სიცოცხლე.

ინტელექტი, თუ პრაქტიკულ მიზანს არ მოემსახურა, საზოგადოე-
ბის დაცინვას და სიძულვილსაც კი იწვევს.

რწმენადაკარგულ, დამარცხებულ გმირებს დეპრესია სძლეუთ და
ხსნას ხედავენ თვითმკვლელობაში.

თვითმკვლელობას კი კრძალავს ქრისტიანული მრწამსი.

ღმერთს ისინი დაავიწყდა, რადგან უფლისადმი სიყვარული ადრე-
ვე ჩაკედა მათ გულში. ადამიანებმა კი ვერ გაუგეს...

სიკუელი ბონდო წისკვილის წყალში გადავარდა, მაგრამ მიუხსწრეს
და იხსნეს.

გამწარებულმა, ცოლისგან უარყოფილმა ხევისთავმა ლიახეის წყალს
მისცა თავი. იგი ნინიკამ გამოიყვანა ნაპირზე.

ჩურჩებდაფლეთილი საეარსამიძე ჯოჯოხეთიდან დაბრუნდა და სიკ-
ვდილს ნატრობს.

თარაშმა ჯერ ძაღლი მოკლა, შემდეგ ისევ შემართა ბრაქინიცი და
ამ დროს შემოვიარდა ლეკაია ლაბახუა.

ადიდებულ ენგურთან შებმა, რასაც ეველა ეშლის, მხოლოდ თვით-
მკვლელობა იყო.

ქისტის ციხეში მომწვედელულ ხოგაის მინდიას სატრფო – ხადიშა-
თი შემოაკედა და სატყვარი დაიცა მკურდში.

ასე რომ, იძულების დამხობა, ხალხისგან უარყოფა, ოცნებათა რკალ-
ში ტრიალი აღვივებს ღვარჯისიას და სიცოცხლე მთავრდება თვით-
მკვლელობით.

ეს არის მოაზროვნე არსების, ინტელექტის ტრაგედია.

დეპრესიის ჟამს სწვავენ ხელნაწერებს გალაკტიონის ლირიკული
გმირი, თარაშ ემხვარი, სწვავენ რუსულ და ძველქართულ წიგნებს
ბონდო ჭილაძე, წიგნს შეიძულებს მარგო ყაფლანიშვილი, კალამს
გადააგდებს სავარსამიძე.

მათ წინ უფსკრულია და შრიალებს წყვილიადი.

დაწერილი სიტყვა არის ისტორიის მეხსიერება და ამდენად მხო-
ლოდ მას შეუძლია სულის გაუკვდავება.

მაგრამ როცა სპობენ ხელნაწერებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვარჯ-
სიით შეპყრობილთ სურთ თავიანთი არსებობის კვალიც წარხოცონ.

უდროობის გმირები არა მხოლოდ განწირული არიან, თავადაც
მოაქვთ სიკვდილი და უბედურება ყველაზე ახლობელთათვის. ისინი
სიკვდილის ანგელოსებს ჰგვანან.

სავარსამიძემ ოჯახი აურია ჯენეტს, დაუღუპა ერთადერთი შვილი.
დიონისოდ წარმოსახული ფარეიზი და ქალი იძულებულია მონასტერს
შეეფაროს. მისივე მიზეზით თავი ჩამოიხრსო იოჰანეს ნოიშტეტმა.

ბონდო ჭილაძემ დააორსულა სკოპეცის ქალი და აგრძობობინა ჭეშ-
მარიტი რადენიე. მაგრამ ქალმა სახლში რომ მიაკითხა, გააგდო.

აეტორის თვალსაზრისით, ხლისტების სექტა სდევნიდა სექსს (რაც
არასწორია) და ამიტომ ფეხმძიმე ქალს თავისი წრე ვერ მიიღებდა:

"He гони меня!.. Бей меня, колоти, христосик ты мой милый!"

ტირილით ეხეწება ქალი ბონდოს, მაგრამ ეაქმა რომ ხელი ჰკრა,
რიონში გადაეარდა.

ბონდომ მშვიდად აღიქვა ქალის დაღუპვა:

– „ღმერთო, შენ აცხონე მისი სული“! – თქვა და კანტის „წმინდა გონე-
ბის კრიტიკის“ კითხვა განაგრძო.

გურამ ბარმანდიამ დააორსულა მეზობელი გლეხის გოგო. მანაც
თავი დაიხრისო.

თეიმურაზ ხევისთავს უყვარს მარგო, მაგრამ მისმა ფიზიკურმა და
სულიერმა იმპოტენციამ ტრაგედია არგუნა ქალს.

ორსულობას გადააყენენ თამარ შარვაშიძე, ანნა მარია ფესტნერი.
ელვირა ფოკინიერი.

მათ ყერ შეტლეს ეშობათ თარაშ ემხვარისგან ჩასახული ბაჟში.
ხოგაის მინდიასაც სიკვდილი მოაქვს სატრფოსათვის.

ცნობიერების რღვევა

XIX საუკუნის მწერლებს და მათ პერსონაჟებს ან ჭლექი სტანჯაუ-დათ, ან ჭლექის ანრდილი არ სცილდებოდათ. ჭლექმა შეიწირა დანი-ელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, არჩილ ჯორჯაძე. ტუბერკულოზი გამოაჩინდათ პეტერბურგში ილია ჭავჭავაძეს და კონსტანტინე გამსა-ხურდიას.

ჭლექი XX საუკუნეშიც გადმოვიდა (ჭოლა ლომთათიძე, იროდიონ ევლოშვილი, სანდრო ცირეკიძე...). მისი ბოლო მსხვერპლი იყო ლადო ასათიანი. მაგრამ ახალმა საუკუნემ, დაძაბული ცხოვრების რიტმმა, ფიზიკური მოქმედების შეზღუდვამ, ინფორმაციის სიჭარბემ და სტრე-სულმა სიტუაციამ წამოსწია ახალი დაავადებანი – სულიერი და ნერვული.

ეს იგრძნეს ქართველმა მოდერნისტებმა და მათ ნაწერებში გამოი-ნდნენ გმირები, რომელთაც სტანჯაუთ ნეეროზები, ნევრასთენია, ში-ხოფრენია და ეპილეპსია, რაც ნიშნავს მოაზროვნის ფსიქო-ნერველ კრიზისს.

ბონდო ჭილაძე ერთდროულად არის შიხოფრენითა და ეპილეპ-სიით სნეული. ეპილეპსია მისი საგვარეულო სენი ყოფილა. ამ დაავა-დებას ებრძოდნენ პაპამისი – ოტია, ბიძა – კახაბერი.

ბონდოს წინაპრები ფლობდნენ სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორისუბანს, ფლობდნენ ჭკონდიდელთა კვერთხს. მაგრამ ქონებასთან ერთად მათ შეიძინეს უკურნებელი სენიც (შდრ. პიუსმან-სის დეზ ესსენტი, რომანი „პირიქით“).

ბონდოს დედას – ციცინოს პალუცინაციები აწამებს. შვილის მო-ლოდინში დაჭლექდა და სისხლს აღებინებს. მხოლოდ ყარამანს შერ-ნა მხნეობა. იგი მილიციაში მსახურობდა და შამილს ებრძოდა. მაგ-რამ დროდადრო მასაც გაჰკრავს კბილს წინაპართა სენი.

მაღალი, გამხდარი, გრძელცხვირა ბონდო თავის სამყაროში ცხოვ-რობს. მას ხალხთან არაფერი აქვს საერთო. ოთახში ჩაკეტილი კი-თხელობს სახარებასა და სხვა წიგნებს, ფილოსოფიურს თუ ძველ-ქართულს, ლოცულობს წმ. გიორგის ხატის წინ.

ბონდოს ადრევე გამოაჩინდა ეპილეპსიის ნიშნები. თბილისიდან ყა-რამანს სწერდა ცოლდისძმა, „რაცხა შემოაფრინდება გულბოყვეში, წააქცევს და კანკალს დააწყებინებსო“. ბნელი ეპილეპსია გადაჰყვა ციე და გათოშილ პეტერბურგში, სულიც გაუთოშა და სიყვარულის ძალი წაართვა. მუდ-მივმა ფიქრმა, ეჭვმა, მარტოობამ და უძღურებამ სულიც აუწეწა და ფსიქიკურ ავადმყოფად ჩამოაყალიბა. პალუცინაციები არ სცილდება. ხან ბაეჭუობის ლანდები იდგამს სულს, ხან მამას უყურებს შტრუ-

ლად, დეპრესია თვითმკვლევლობისკენ უბიძგებს. ხან აბნეულად. ხანაც გულისდამწვევტად ესაუბრება გაფითრებულ და გაოგნებულ მამას, რომელსაც შვილის ახრებისა არაფერი გაეცემა, მაგრამ გრძობს საგვარეულო სერის მოძალეებას:

„მე დაღლილი ვარ და შინც ვოცინი. ერთმა კაცმა, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, სახრობელაზე აფენისას მზეს შეხედა და უკანასკნელად გაუცინა თურმე. გაკვირვებულმა ყაღმა აპატია დანაშაული, რამეთუ ძლიერი იყო მასში სიცოცხლის წყურთლი. მეც შევინება, მამაჩემო, მაგრამ მე არ მამატებებს ყალი, რამეთუ მე ვოცინი ჩემს უილაჯობაზე და, თუმცა მე არავითარი დანაშაული არ მიმოძღვის, შინც დამახრობენ“.

კონსტანტინე სავარსამიძისაგან განსხვავებით, ბონდო არ წერს წიგნს სისხლზე, მაგრამ სისხლის მისტერია მასაც მოხვეწებას უკარგავს და მამას უხსნის, თუ როგორ დაიღალა მისი სისხლი. იუ როგორ დამქავედა ძარღუებში.

„სისხლი! სისხლი! სისხლი!“

ბონდოს სანაგარდოშიც ჩამოაკითხა სამმა ტერორისტმა – ქართველმა ჯაყელმა, რუსმა და პოლონელმა და კიდევ ერთხელ სთხოვეს, მონაწილეობა მიეღო რუსთ ხელმწიფის მკვლელობაში.

ბონდომ ამჯერადაც უარყო მათი წინადადება, რადგან სისხლის დაღერის შეეშინდა. შემდეგ ლიზიკიას დაუძახა და დაწვა რუსული წიგნები და ჟურნალები.

იგი თვალს ავლებს ისტორიას, კითხულობს ფრანგულად თარგმნილ კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“, ფიქრობს, ფიქრობს და გრძობს, თავი გახმა და ტეინი გადაუბრუნდა.

სწეულ სანაგარდოს ჰყავს გიჟი გუჯუ ლაბახუა, ტასია გადარეული, ქადაგი ფუყულო.

მათ მიემატა ბონდო, გადარეული, ბონდოიუ ზნეიანი.

სწეულმა ბონდომ თავისთავს თავადვე გამოუტანა განაჩენი, ვიდრე სანაგარდო დაიღუპებოდა:

„ჩვენ დაგვაბერა ამ საკუნებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას“; „თესლი ჩვენი შექმულია ჰლაზმოიდებით და სისხლი დალორწილია“.

გზა, მომავალი ტიგროსის ნაპირიდან, მთავრდება რიონთან.

ჩვენ ვიცნობთ სანაგარდოს მხოლოდ სწეულ მოქალაქეებს, რადგან იქ ჯანსაღი არაეინაა, ქალები დაბერწდნენ და მამაკაცები ქალებს გაუბრბან.

„გუკელის პერანგში“ მაყაშვილების უძველესი გვარი კახეთს დაემკვიდრა, მაგრამ მიუღო ბნედა და შეშლილობა. თამაზის მამა სწეულუბას იმერეთში გაექცა, მაგრამ იქაც მოეწია და მოკვდა „აგი სენით“.

თამაზის დედა მშობიარობას გადააჩევა. დაეხოცა ოთხი ძმა და სამი და.

თამაზის (კოლიც მშობიარობამ იმსხვერპლა (როგორც კონსტანტინე გამსახურდიას არაერთი პერსონაჟი), დაკარგა სამი ვაჟი და ორი ასული. გადარჩა მხოლოდ ოთხი წლის ვაჟი.

ეტყობა, არც თამაზს ასეე ენებდა საგვარეულო სენი და მან არნილთან ერთად ევროპას შეაფარა თავი, სადაც შეიშალა დასცილდა.

გვარის გაქრობის შიშმა იგი შეშლილს დაამსგავსა. ვაჟს შეუცვალა სახელი და გვარი, ე. ი. მოახდინა ტაბუირება, რათა ბოროტ ბედისწერას ვერ მიეგნო მისთვის.

დუდე ათინაძე, ისევე როგორც ბონდო, კოლხეთიდანაა, პოეტია, დაბადებულია 21 მაისს (როგორც აეტორი – დემნა შენგელაია). ცხოვრობს მტკერის პირას, ნესტიან სარდაფში და ჰალუცინაციები აწვალეებს („ტფილისი“). სამი თუ ოთხი თვე წოლილა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ კოშმარული მოლანდებები მაინც ვერ მოცივდა. აგზნებულ ფანტაზიაში ფანტასტიკურ სახეებად შემოდინა ხილული საგნები.

გულისცემა უჩქარდება, თავი სტკივა და ეჩვენება, რომ ტვინში აგური უდევს, მორიელი გესლავს და კარტის ყვავის ქალი ოთახში ყორანივით დაფარფატებს, ცაში კი ჰკივის „ხატი ძალთაპირი“.

დუდე ცხოვრობს საშინელ გარემოში, რომელიც არის მისი ფსიქიკური აშლილობის შედეგი: „*პროსტიტუტკები, ქურდები, სპეკულანტები, სტუდენტები, დალალები. ვინ იცის კიდევ რა პროფესიის ხალხი, და ოთახში შემოღის იოდოფორმის სუნი, ტვინი მიძვლება ასეთ პაერში და ფიქრები მახინჯ ბავშვებივით იბადებან*“.

მეხსიერებაში მწარედ ჩარჩა ბავშვობისდროინდელი „*რუსული დედის გინება*“ და დახოცილ რევოლუციონერთა ცხედრები.

დუდეს მამა რევოლუციას შეეწირა, მაგრამ შეილი არ თანაუგრძნობს ახალი დროის ამ კოშმარს.

დუდე დედას სწერს, რომ ღამე არ ეძინება, არ ვიცი რა ექნა, ჩვენ – *„სუსტ ხერხეშლიანებს“* (შდრ. – ბონდოს ეპილეპსიით დალორწილი ხერხეშალი) ეს ღღეები თავზე გვემხობა საცეხველივითო.

„შე ვდგეარ ვ ზაჯვარდინზე და არ ვიცი ახლა საით წავიდე“.

ეს იგივე სავარსამიძის გოდებაა, ალექსანდრე აბაშელის მოთქმაა „*რბილძეალოან მოდებზე*“.

არც კონსტანტინე სავარსამიძის ნერვული სისტემაა მოწესრიგებული. გაბუდმებით გულს უხრავს მელანქოლია, რაც გადადის დეპრესიაში და სრულ აპათიაში აგდებს. ეიფორიის ჟამს კი დიონისურად აგზნებულია, ქრისტეს ედავება და აცხადებს, მე თვითონ ვარ ღმერთიო.

ხშირად კარგავს ცხოვრების ინტერესს, არ შეუძლია არც ფიქიკური, არც გონებრივი მუშაობა, თითქოს სიკედილს ელოდებდა.

თვითონაც ატყობს, რომ მისი „ნერვები მთლად დაღაგებული არ არის“. ერთხელ ყანჯარაში გადაიხედა და „საშინელი უფსკრული“ მოკლანდა, მოკლანდა და გრძნობა დაკარგა. მხოლოდ სააგადმყოფოში მოეგო გონს.

ღამე პალუცინაციები არ ასვენებს, დღისით წერილს ვერ წერს, იმეორებს აკვიტებულ ფრაზებს. ინდოელი აბსენ ტუნგის ფსიქოთერაპია ცხოვრებისაკენ მოაბრუნებს. შემდეგ დოქტორი რანკე ურჩევს, რომ სამკურნალოდ მის კლინიკაში იაროს. სავარსამიძეს ხომ ადრევე *„მენი დროის ახალ ქრისტელ“* მოჰქონდა თავი, ე. ი. ჰქონდა განდიდების მანია, მაგრამ შეექლო თავის კონტროლი.

ანომალურია ფარეიზისადმი მიმართება, რომელიც ყრმა დიონისოდ წარმოუდგენია და თავად დაღუპავს. მაგრამ ამ ყმაწვილით უცნაური გატაცება პათოლოგიად აღიქმება, რაც „დიონისოს ღიმილის“ ყველაზე სუსტი და გაუმართლებელი ეპიზოდია.

ფარეიზის სახის მიღმა დგას უაილდის დორიან გრეი და თომას მანის ტაძიო. ორივეს სათავე კი ანტიკური სილამაზის კულტია.

დემნა შენგელაიას ზეგავლენით იწერება აკაკი ბულიაშვილის „ავადმყოფი რასსა“, რომლის მთავარი პერსონაჟია გაიოზი – მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, ძველი ფეოდალის უკანასკნელი ნაშვირი. მას ომისგან დარჩა ნერვიული ავადმყოფობა და მარცხენა ხელის კონტრუსია. იგი, სისხლისღერბს კოშმარს გამოღწეული, ბუნების წიადში ფიქრობს სიკვდილზე, ბუნების მოვლენების უუქცევსაზე: ბებერი ბავშვად იქცევა, მკედარს საფლავიდან ამოიღებენ, შინ წაასვენებენ, სახლში ფეხზე დადგება, კუბოს მეკუბოვე დაშლის, საღებავი მოსცილდება, მანქანები ფიცრებს შეაერთებენ და ხელ აქცევენ.

მორებისაგან ტივი შეიკვრება, მორი გაცოცხლდება, ტოტები უბრუნდება; ენთება ცეცხლი, ნახშირის ნაცველად დარჩება ხე, ხე პატარავდება და მარცველად იქცევა: *„ვანგუორდება ისტორია: ბაბლონი, ქრისტე და კვლავ“*.

სხვათა შორის, ასეთივე შინაარსისაა თანამედროვე ინგლისური სიმღერა „დაბრუნება საწყისთან“.

გაიოზის ფსიქიკას ღრღნის ორი სიტყვა – „ცა და კრწი“ და ამის გამო ექიმსაც მიმართა, რომელმაც ელექტრონით ამოუშანთა მტანჯველი ხსოვნა. მაგრამ გაიოზს ისევ აერევა გონება და მეხსიერებაში დარეკავს ორი სიტყვა – „ცა და კრწი“, რაც ახსენებს იმ ამბავს, როცა მან ნება მისცა მოძალადეს, რომ ქალი გაეუპატიურებინა.

ეს ქალი გაიოზს საყდრის კედელზე გამოსახულ ღუთისმშობელს აგონებდა.

დემნა შენგელაია და აკაკი ბულიაშვილი აქანგარდისტულ „H₂SO₄“-

ის წევრები იყვნენ. სოგჯერ ფუტურისტულ-დადაისტურ ელემენტებსაც იშველიებდნენ. მაგრამ ავადმყოფური ფსიქიკა, რომანტიკა და სიმბოლისტური დეკრესია სავსებით უცხო იყო და მიუღებელი ავანგარდისმისათვის.

ავანგარდისტები ებრძოდნენ სიმბოლისტებს და ამ ბრძოლაში დემნა შენგელაიაც მონაწილეობდა. ეს მაშინ, როცა წერდა სიმბოლისტურ „სანაგარდოს“, „ტფილისსა“ და „გურამ ბარამანდიას“.

ავანგარდისტების იდეალი იყო მანქანა, რომელსაც არც ფსიქიკა აქვს. არც ნერვები. დემნა შენგელაი გრძნობდა თავისი პოზიციის უხერხულობას და მან თავისი სტილი მარინეტის მიხედვით ტაქტიკაში მონათლა.

ქართველ მოდერნისტთა პერსონაჟების ფიზიკური და ფსიქიკური დაკვმა. ერთი მხრივ, თუ იყო წმინდა ესთეტიური ხერხი, მეორე მხრივ, ერის ტრაგედიას გადმოგეცემდა.

6. სიყვარული და სექსის მისტიკა

„ვინ არის ეს ძალი ასეთი ცისფერი?“

გალაკტიონის სატრფო არსებობს ოცნებასა და მოგონებაში. იგი ცისფერთვალაა, იდუმალი და გამოუცნობი, სევდიანი და მოწყენილი. მას მეტწილად მერი ჰქვია და შორეული მზის სხივი თუ მთვარის ნათელი ამოსავს. მისი განუყრელი ატრიბუტია მანდილი, რომელიც ლაქვარდის ფერია.

„მერის“ ციკლის ლექსები დაკარგულ სატრფოზე გლოვია, რომელიც ადრეც შორს იყო, ახლა კი საბოლოოდ თვალს მიეფარა. მაგრამ არ გადასულა სტიქსის წყალზე, როგორც ედგარ პოს ლენორა, უღდალუმი თუ ანაბელი.

გალაკტიონს მერი შერვაშიძე არ ჰყვარებია და არც იცნობდა. მან ამ რეალურად არსებულ, ლამაზ ასულს, რომელიც გათხოვდა და უცხოეთში დარჩა, შემოახვია რომანტიკული სამოსელი, გადააქსოვა თავისი მწუხარება და შექმნა დაკარგული სატრფოს მითი.

როგორც ვიცით, პროვანსული და რენესანსული პოეზია უმღეროდა გათხოვილ ქალს.

მერი რომანტიკოსთა და სიმბოლისტთა ოცნებაა. პოეტები მისი პალადინები იყვნენ, შუასაუკუნეთა რაინდების მსგავსად. მაგრამ მერი ქალწულ მარიამის ვარიაციაც არის, როგორც ციური სიწმინდისა და მარადქალღურობის, მიწვედომლობის სიმბოლო.

გალაკტიონის მერი ისეთივე იდეალია, როგორც დუღისინეა, ბეკურიჩე თუ ლაურა.

მაგრამ მერისთან ერთად სმანებაში ჩნდებიან კონკრეტული ქალები, ეს იქნება რაისა ჩიხლაძე, ოლია ოკუჯაევა თუ წინანდალელი ნათელა.

მათ მიმართაც რომანტიკული სიშორის გრძობა ვლინდება.

გალაკტიონის პოეზიაში იშვიათად თუ გაივლევებს კონკრეტული რეალიები, ბიოგრაფიული დეტალები, იმდენად იბურება ისინი წარმოსახვათა ნისლით.

„გემი „დალანდი“ რევოლუციურ თემატიკას მიაკუთვნეს, რადგან ლენინი იხსენიება. ნამდვილად კი ეძღვნება ოლია ოკუჯაევას, ფანატიკოს ბოლშევიკს, რომელიც პოეტმა მოსკოვში დატოვა:

„გახსენებების მომახლოდა მტანჯველი ლანდი:

შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი.

შავი ზღვის ზეობებს მოაპობდა გემი „დალანდი“

და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“.

ერთხანს გემის სახელი „დალანდი“ პოეტის ფანტაზიას მიაწერეს, ხანაც – ვაგნერის სამყაროს. მაგრამ თურმე არსებულია ეს ხომალდი და გალაკტიონი მართლაც ყოფილა მისი მგზავრი!

ხოლო „ლურჯი მანდილი“ სატრფოს ემბლემია, როგორც გვაძცნობს სხვა ლექსებიც, – „თოვლი“ და „ქარი მოგონებათა“.

„თოვლი“ – იქნებ ეს იყოს გალაკტიონის საუკეთესო ლექსი.

იგი მარტოობის რეჟიემია და შორს გადაკარგული სატრფოს მოგონება. ვინ იცის, იქნებ ისიც ისე გაათხოვეს, როგორც მერი, ანდა – ეგებ სულაც ახლად ჯვარდაწერილი მერი იყოს იგი.

გალაკტიონს იისფერი თოვლი ქალწულს აგონებს. ქალწული კი იწვევს სატრფოს ასოციაციას და მარტოობის მწვევე განცდას:

„ძვირფასო სული მევსება თოვლით“.

ეს თოვლი მხოლოდ ფანტელები როდინა იგი მელანქოლიის, სევდის ფოთლებად ეფინება არემარეს.

„ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ

უდაბნო ღურჯად ნახევრდები“.

„უდაბნო“ ცხოვრებაა, კომმარული და მარტოობით დასურვილი, რომელსაც სიცოცხლეს ანიჭებს სატრფოს გახსენება. მაგრამ ეს უდაბნო სამშობლოშია ანუ, როგორც ამბობს სხვა ლექსში, მისთვის მარტოდენ უდაბნოს ნიშნავს სამშობლო.

„ლურჯი“ სიცოცხლის ფერია, მაგრამ არა მიწიერისა. იგი ზეციური. მარადიული არსებობის შუქია.

„ნახევრდები“ ამ მწუხარე განცდის ესთეტიზებაა, სევდიანი ტიბობა, როცა უდაბურ ქვეყანას უკვამა სუციური სხივი.

ლექსს „თოელი“ ქვეია და ხშირად მეორდება თოელი. იგი მკრთალია, როგორც სატრფოს ხელები. სულშიც თოელი შემოიჭრილა, სიკვიე და სითეთრე.

მაგრამ თვალს ელანდება „თოელთა დაფნაში“ დახრილი უღონო ხელები. „დაფნა“ იწვევს კრძალუასა და სიღიადის ასოციაციას, როგორც სიკედელი.

გაყინულ გულში ცოცხლობს დიდი სიყვარული.

ეს თოელი არის სამშობლოც, როგორც იტყვის სხვა ლექსში:

„რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,

რომ ეს თოელია ჩემი სამშობლო“.

პოეტსა და სატრფოს შორის თოელის თეთრი კედელი ჩამდგარა, რომელსაც აღლობს მოგონება, მოგონება დაშლილ თმებში მინდერის ფოთლებისა, როცა თეთრად ელაუდა მშვიდი დღეები.

სისპეტაკესთან ერთად გალაკტიონის თოელი განშორების სიცვიეა. ხოლო კოლაუ ნადირაძეს ახსენებს სატრფოს სიკედელს:

„დაკარგულ საფლავს ვგონებ შენსა,

სადაც, ძეოფანო, გძინავს და გათოვს“.

თოელის ესთეტიკა სიმბოლისტებმა მოიტანეს ქართულ პროზაში, რაც პროზაიკოსებსაც გადაეცათ (მაგ., კ. გამსახურდიას).

ლიტერატურაში დამკვიდრდნენ თოელის ფიფქებით თუ ატმის ყვაეილებით მოსილი თეთრი, ცისფერთვალა, ქერათმიანი ქალები, რომელთა მზერას ახლავს „სწული ოცნება“, ნაცვლად აღმოსაველეთის შავთვალა და შავგერემანი ასულებისა.

ცისფერთვალაა გალაკტიონის მერი, კონსტანტინეს თამარ შარვაშიძე, შორენა კოლონკელიძე, ჯენეტი, დედისიმედი, სუსქია, გრიგოლ რობაქიძის ლონდა და ლამარა, ტერენტი გრანელის ირა რადოესკაძა, სანდრო ცირეკიძის ლადა...

სიმბოლიზმის პერიოდში იოსებ გრიშაშვილის შავთვალა, „შუშარა და მჭეფარე“ სატრფომ შავი სამოსი მოიცოილა, ხარფუხი დაივიწყა და „ქილილა და დამანასთან“ ერთად ვიქტორ ჰიუგოს კითხვაც დაიწყო.

პოეტი მას მხევედა სიტყვათა ცისარტყელაში, საზეიმო თუ სამგლოვიარო ჰანგებში. მაგრამ მათ შორის ჩადგა ცისფერი შორეთი, ნისლი და სველი საღამო.

ხორციელ გატაცებას დაერთო სულიერი კდემა, ბესიკის ჭიანურს – მაკბეტის სვედა.

გადაფურცლა ბიბლია – გაიხსენა სოლომონისა და სულამიტის სიყვარული.

სახარების თემაზე ასეთი ლეგენდაც შეთხზა:

ოუდას უყვარდა მარიამ მაგდალინელი. მრუში ქალი კი ქრისტეს

ეტრფოდა. შერმა სძლია ისკარიოტელს და ამიტომ იყო, რომ გაჟიდა თავისი მოძღვარი ოცდაათ ვერცხლად.

მასწავლებელსა და მოწაფეს შორის შეუღლის ჩამომგდებია ქალი.

ვალერიან გაფრინდა შეიღმა მარტოობის ნაღველი სიყვარულის ასპექტში გადაიტანა:

*„მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მესურა,
ეტროდი ხარბად მარტოობით ნაღვერსალი
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალო“.*

პაოლო იაშვილი ელენე დარიანის ნიღბით ამეტყველდა, კოლაეუ ნადირაძე ეყელა ქალში ჯიოკონდას ღიმილს ეძებდა და ღეთისმშობელს ადარებდა, ნიკოლო მიწიშვილი კარის ეკლესიაში მლოცველ ასულს ღეთისმშობელად წარმოიდგენდა, ალექსანდრე აბაშელი ქალისა და ვაჟის რომანტიკულ ლეგენდას იგონებდა, გიორგი ლეონიძე ათაბაგის ქალს უმღეროდა, ტიცვიან ტაბიძემ ფეხმოჭრილი თამყინა წერეთლის ნაღველი ააჟღერა:

*„არც კი გიცნობდი, არც კი მენახე
ისე გხატაედა თამარს ერუბელი.
ხარ დანგრეული შენ „მოდინახე“,
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“.*

პოეტები შუასასუკუნეთა რაინდების დარად განადიდებდნენ ქალს – სიცოცხლისა და შთაგონების წყაროს.

სემსი და ფსიქიკა

ქართულმა მოდერნიზმმა მოიტანა სექსისა და ფსიქიკის პრობლემაც, რაც დასევა ევროპულმა აზროვნებამ.

მას განიხილავდა არაერთი სწავლული, მაგრამ განსაკუთრებულ კოპულარობას მიაღწია ავსტრიელი ნეეროპათოლოგის ზიგმუნდ ფროიდის მეოხებით.

ფსიქოანალიზის იდეები გამოეღინდა დემნა შენგელაიას, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯაეახიშვილის შემოქმედებაში.

ქართველი მწერლები იცნობდნენ ფროიდის, იუნგის, როზანოვის, ვაინინგერის („სექსი და ხასიათი“), ლომბროზოს („პროსტიტუციის ისტორია“) ნაშრომებს, სამტომიან კრებულს – „მამაკაცი და ქალი“

ამიტომ თუ ძველებურად აღელვებდათ სიყვარულის შარავანდედი, აინტერესებდათ სექსის საკითხიც, პიროვნების ფსიქონერვეული სისტემა, რადგან ღიბიდო არის სექსუალური ლტოლვის ფსიქიკური ენერგია.

ტკბობას და თრობას დაერთო შეცნობაც ანუ ხელოვანის ფანტაზიაში გაერთიანდა ეროსი და ლიბიდო.

სექსთან მიმართებით გაიაზრება ორი სტიქია – დიონისური და აპოლონური. პირველი ბარბაროსულია, მძეინვარე და ყოველსწამლუკავი. მეორე – ნატიფი, მოწესრიგებული, მაგრამ უნაყოფო, როგორც მთეარის შუქი.

ქალის კულტი საქართველოში იქმნებოდა წმ. მარიამის, წმ. ნინოს, თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის სახეებით, ხოლო განამტიციებდნენ. პოპულარობას უხვეჭდნენ რუსთაველის ნესტანი და თინათინი.

ახალმა დრომ ქალის სახეს მოაცილა ქრისტიანული მისტიკა, წმინდანისა და წამებულის შარავანდედი; რომანტიკულ და ეროტიკულ აღმფრენას შეუხამეს სექსის მისტიკა, სექსის დემონური არსი.

ქალები „დემონური არეულობით“ იჭრებიან პერსონაჟთა ცხოვრებაში. როგორც თომას მანის გერდა ფონ რინლინგენი თუ კნუტ ჰამსუნის ლურჯთეალა დაგნი პელანი.

მათ სიკვდილი მოაქვთ.

„სანაეარდოში“ სიყვარულის თემა არ ასახულა. ტრადიციულ სიყვარულს, რომანტიკულ მგრძნობელობას სცვლის სექსი, სექსუალური პოტენციის პრობლემა, რადგან დემნა შენგელაიას მიერ ეს არის მინნეული სიცოცხლის საფუძველად, რომელზეც დამყარებულია ფსიქიკა, ცნობიერება, კულტურა თუ პოლიტიკა.

თუ მოშლილია არსებობის საფუძველი – სექსი, მაშინ პიროვნება არასრულყოფილი ხდება და გადაშენების საფრთხე, უმწეობის გამო მოგერილი დეპრესია ფსიქოლოგიურადაც ანადგურებს.

ბონდო ჭილაძეს მწარედ ახსოვს ფრეილინა ტრუბანოვას მიერ ნათქვამი ფრაზა, როცა იგი ქალს ეხეოდა და უეცრად ენება გაუნელდა: „თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საეკლოზე“.

მაგრამ ამ ტრავმას წინ უძლოდა სხვა ფაქტიც, რომელმაც შეარყია პატარა ბონდოს სული და ჩარჩა არაცნობიერში. იგი უცნაური ჟინით ჩააფრინდა ლიზიკიას თმებში და მამამ ისე უყვირა, რომ ბაეში დაეცა და გრძნობა დაკარგა. ეს იყო პირველი ეპილეპსიური შეტევა.

მამის მიერ ქალის ინსტინქტური აღერსის გამო პატარა ბონდოს შერისხვა, ეს პირველტრავმა, კასტრაციის ტოლფასი აღმოჩნდა, რაც არასრულფასოვნების კომპლექსად ექცა.

ფაქტიურად ყარამანმა ისევე დაანათლა ბონდოს უნაყოფობა, როგორც სასიკვდილო სარეცეკლზე მწოლმა მამამ – კონსტანტინე სავარსამიძეს.

კნიაჟნა ტრუბანოვა გაჰყვა ფრანგ ვილიყ დე გრიფენს კერსალის შადრეენებისკენ და ბონდო დატოვა სხეულ პეტერბურგში.

დე გრიფენს მხოლოდ ცხენები აინტერესებს და ისევე ძლიერი ძალაა, როგორც ჯაყო ჯივაშვილი.

ბონდო ბუდს არ ნებდება და მადმუაზელ **Фиди**-სთან ნებიერობს საწოლში. მაგრამ მძლავრობს საგვარეულო სენი და იგი ისევე უნივის უმწეობას, დაღლილ სისხლსა და გადაშენების კოშმარს.

სანაყარდოში რომ დაბრუნდა, ხან ლიზიკიას ეღლაბუცება, ხან სკოპეცების (საჭურისების) სექტაში თავს ქრისტედ გამოაცხადებს და მათ წევრს დააოცრებებს. მაგრამ მასთან დახარჯული ვნება მაინც არ არის ძალმოსილი. ეს იცის ბონდომ და კვლავ დეპრესია დარევს ხელს.

ნამდვილ ენებას იგი ხედავს გუჯუ ლაბახუას სახეში. გუჯუ ბონდოს ნახვეარძმაა, შეშლილი და გადარეული, რომელიც ფალოსს აგონებს.

როცა ოსკარ უამლდის მხატვარმა ბეზილ პოლუორდმა პირველად ნახა დორიან გრეი, თავზარი დაეცა.

ეს შიში მას უჩვეულო სილამაზემ მოჰგვარა.

ბონდომ რომ პირველად ჩახედა გუჯუს თვალებში, მიწისფერი დაედო:

გუჯუ შოდის კუნთებდატენილი ბარკლებით, გოდორივით მკერდდაწინული და აღერებულნი. იგი კურატს ჰგავს და მზის აღმური გიზგიზებს მის მხერაში.

მწერალი სექსის მიხედვით განწყოფს ნიცშესეულ დიონისურ და აპოლონურ სტიქიებს, რაც გავრცელებული იყო მოდერნისტულ ხელოვნებაში.

გუჯუ დონიერია და ძალმოსილი, მაგრამ უბირია და შეშლილი. რომელიც მუდამ დედალს ეძახის.

იგი დიონისური, მძინვარე სტიქიაა, როგორც ჯაყო ჯივაშვილი.

ბონდო განათლებული, კარგად აღზრდილი და სუსტი პიროვნებაა. რომელიც გრძნობს თავის უმწეობას, სექსუალურ უძლეურებას და ფსიქიკურ აშლილობას.

ბონდოს აპოლონურ სტიქიას არ ნებდება ბინძური ლიზიკია, მაგრამ გუჯუსთან ერთად მაშინვე ეცემა მწიფე კიტრებში.

ქალისთვის მთავარია არა კულტურა, არამედ – სექსი, რადგან იგი ინსტინქტურად გრძნობს სიცოცხლის არსს. ეს იცის ბონდომაც და აზრ და ფერდაკარგული, დედის დასაფლავების დღეს, ფერხითი ჩაუვარდება თავის ნახვეარძმას, რომელიც მთლად შიშველია და ვნებააყფებული დგას სატანასავით:

„გუჯუ!.. გუჯუ!.. გუჯუ!.. შენ შეგეწიე, გუჯუ, შენ დაგვიფარე!..“

ფალოსი ისევეა უკანასკნელი იმედი და ილუზია ბონდო ჭილაძისათვის. როგორც დიონისო – კონსტანტინე სავარსამიძისათვის.

„სქესი ვეულაფორშია... სიტყვაშიაც კი... სქესი წარმოშობაა და გაქრობა“ – ამბობს გრიგოლ რობაქიძის ერთი პერსონაჟი დაუმთავრებელ რომან „ფალესტრაში“.

დუდე ათინაძის ფსიქიკა კიდევ უფრო შერყეულია, ვიდრე ბონდო ჭილაძისა. მაგრამ ბონდო თუ მოსწყდა სიცოცხლეს, დუდე შეყვარებულია, შეყვარებულია თითქმის უიმედოდ, მაგრამ არ განუცდია მარცხი და ენება პათოლოგიად არ კქცევია (რომანი „ტფილისი“).

ასე რომ, პოეზია და სიყვარული ცხოვრებასთან აკავშირებს. ეს ორი ფაქტორი აძლევს ძალას, რათა გაუმკლავდეს ჰალუცინაციებს, უცნაურ შიშებს, კოშმარულ წარმოსახვებს, უძილობასა და მთვარეულ ბორბალს.

დუდეს სატრფოს – მანანას მამა ბოლშევიკებს ებრძოდა. ამის გამო ციხეში ჩასვეს, ხოლო ბიძა 1924 წლის აგვისტოში პარიზში გაიქცა.

მანანას ყოველდღე სადილი დააქვს მეტეხის საპატიმროში. ქალს აცვია დეზერტირების ბაზარში ნაყიდი ამერიკული სამოსი, კითხულობს ფრანგულ და ინგლისურ მსუბუქ რომანებს. ცხადია, არაფერი ახალი არ მოსწონს და არც რუსეთისკენ არ იყურება.

დუდე შორიდან ეტრფის მანანას. მაგრამ მანანა აყვავილია ვიღაც სულელ და ყბედ პოეტს, დუდე კი დარჩა ქართული სიტყვების ამარა, რომლებიც ისე უყვარს, როგორც ოქრო. როცა სულხან-საბას ლექსიკონი დაეარგა, ისე განიცადა, თითქოს დედა მოკედროდა.

დუდე ცხოვრობს მანანას ნათესავის ბინაში, რომელიც ყვავის დამას აგონებს. დამე აქ სტუმრობენ დამები და ვალეტები, ქალაქის თამაშობენ და სპირიტუალურ სეანსებში მარნიელობენ, თუ „როდის წაგლან საქართველოდან კომუნისტები“, ე. ი. გარემო, რომელშიც ცხოვრობს დუდე, ერთ დროს მარქსის მოთაყვანე, ბოლშევიკებისადმი მტრულადაა განწყობილი და არც თავად ეხატება ისინი გულზე.

ბონდოს თუ შეარყევს სექსი, დუდეს სიცოცხლისაკენ მოაბრუნებს.

დუდეს წინაშე დგას არჩევანი – დედა თუ სატრფო? აწეწილი ფიქრები, მღვრიე ცნობიერების მდინარე ამოატივტივებს ლეგენდას, თუ როგორ მოკლა სატრფოსათვის ვაჟმა დედა და გული რომ მიჰქონდა ვითომდა სწეულ ქალთან, დაეცა. შეშინებულ ვაჟს მიაკიეღა დედის გულმა: „ხომ არაფერი გეტკინა, შეილო?“

სექსი დუდესათვის არ აღმოჩნდა ბოროტი ბედისწერა.

ყვავის დამა, რომელიც მისი არეული გონების ნაყოფია და სტანი-

ჯაეს, არის სექსის სიმბოლიკა. ერთი მხრივ მორიელი გესლაეს, მეორე მხრივ ყვაეი რიფსიმე არ ასეენებს.

კოშმარული ლანდებით სულგამწარებული იღებს ეერცხლის დანას და ქალადის მეერდში ასობს ყვაეს, ე. ი. მანანას შოაგორებით, სიყვარულით აღდგება დარღვეული ფსიქიკა და იცილებს მტანჯველ ქალუცინაციებს.

სახლი აღარ გარბის, მორიელი აღარ ეხუტება, ყვაეის დამა ოთახში არ ეტრება და როცა სააუადმყოფოში თეაღს გაახელს, უკეე ნორმალური ფსიქიკის ადამიანია.

დუდე რვა დღე იწვა გონდაკარგული და მანანას სიყვარულმა მოაბრუნა ამ ქეეყრისა და ჯანსაღი ცხოვრებისაკენ

დემნა შენგელაიას რწმენით, სექსი სიცოცხლის ძალაა, იგი მართავს ფსიქიკას. მწერალი კარგად იცნობდა ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებას.

დუდეს ერთადერთი მეგობარი – ჯაბა საუბრობს ფროიდზე, სექსუალურ ფსიქოპათოლოგიაზე. ხოლო თავად დუდე იცნობს ქართულ და ანტიკურ წარმართობას, გეელისა და ფალოსის კულტს.

დემნა შენგელაია ადრეულ ესსეებშიც ახსენებს ზიგმუნდ ფროიდსა და ფალოსის კულტს, მეგრულ წარმართობასა და შელოცვებს.

ამრიგად, სექსმა დაღუპა ბონდო ჭილაძე, სექსმა იხსნა დუდე ათინაძე. მაგრამ „სანაეარდოში“ თუ ეს ჩინებულად არის მოტივირებული, „ტფილისში“ ხელოვნურია და ნაძალადევი.

„დიონისოს ღიმილის“ პერსონაჟია სავარსამიძის მეგობარი დანიელი იოჰანეს ნოიშტეტტი, სპირიტუალიზმის თეორეტიკოსი, კირკეგორისა და სვედენბორგის თანამემამულე, რომელსაც ცოლმა სიფილისი შეჰყარა.

მისი სიცოცხლეც სექსით არის მოწამლული.

თავად აცხადებს: „*მე მთელ ცხოვრებაში მხოლოდ სქესთა ბრძოლას ეხედავ*“. ამ ბრძოლაში იგი დამარცხდა.

12 წლის იყო, როცა ონკანის ქვეშ მდგარი ნახევრად შიშველი მერძევე ქალი ნახა და შეუყვარდა („*მერძევე ქალი*“ – დედის სიმბოლიკაა). მაგრამ მალე იგი ბავშვის თვალწინ გააუპატიურა მეჯინებემ და ბრაზმორეულ იოჰანესს დაეწყო ავზნიანი სიზმრები.

შემდეგ ქალს პატარა იოჰანესი დაჰყავდა საბაქელში.

სიჭაბუკეში ეეროპიდან ნიკარაგუაში გაექცა ქალებს.

მაგრამ უღალატა ჯერ აგნესამ, შემდეგ – ინგებორმა, რომელთაც სცოდა სავარსამიძემ, და ნოიშტეტტმა თაყი ნამოიხრჩო.

სექსი გახდა ნერვებდაწყვეტილი დანიელის ბედისწერა.

მამა-შვილის კონფლიქტი

ზ. ფროიდის კონცეფციით, უძველეს ტომებში გარდაუვალი იყო კონფლიქტი, რაც მეტწილ მაშისმკვლელობით მთავრდებოდა.

კონფლიქტის მიზეზი იყო ქალი, სექსი, სიმბოლურად – დედა.

შემდეგ თანდათან ველური ლტოლვები დაითრგუნა და მოექცა არაცნობიერი ფსიქიკის სფეროში. მაგრამ უეცრად მაინც იჩენს თავს სხვადასხვა სახით, რაც მოინათლა „ოიდიპოსის კომპლექსის“ მეტაფორით.

კონსტანტინე გამსახურდიას მთელს პროზას გასდევს მამა-შვილის კონფლიქტის მოტივი, გამოვლენილი ნაირგვარ სფეროში.

ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ, ისინი ერთმანეთს ვერ იტანენ და ებრძვიან. მაგრამ ერთმანეთიც უყვართ.

ლეო ქიაჩელმა, საპირისპიროდ, ქართულ პროზაში გამოხატა მამის კულტი (გაეხსენოთ ტარიელ გოლუა, ალმასგირ კიბულან, გვალი ბიგვა, ბათუ ქარდავა).

კონსტანტინე გამსახურდიამ დაამკვიდრა დედის კულტი.

ვაჟი კონფლიქტურია მამის მიმართ, მაგრამ დედისადმი უნაზესი გრძნობითაა აღესილი.

კონსტანტინე გამსახურდიას მთელს პროზაში იდეალიზებულია დედის სახე, რომელიც ვაჟის ცხოვრების გზას მიჰყვება, როგორც ღეთისმშობლის ხატი.

დედისადმი პირველი საგალობელია „დედაე, მისტიურო ქალო“ (1924), სიჭაბუკეში დაწერილი ნოველა.

დაუეინწყარია თარაშ ემხვარისა და კონსტანტინე არსაკიძის დედათა სახეები, რომლებიც ფრესკასავით გაიელვებენ, მაგრამ ათრთოლებენ სულის სიმებს.

თვით სასტიკი არზაყან ზეამბაიაც უტყვია და მორჩილი დედის წინაშე, მის ქვაგულსაც ალბობს დედის ვედრება.

მაგრამ მამის სახე გაიგივებულია ღმერთთან და ბედისწერასთან. ამიტომ იგი სასტიკია და ულმობელი.

მამასთან ბრძოლა – განგების ნებასთან ბრძოლაა.

მამა-შვილის კონფლიქტი სათავეს იღებს მითოლოგიაში. მაგრამ ზიგმუნდ ფროიდმა შეფახების არაცნობიერ საფუძველად სექსი მიიჩნია, მეტოქეობა დედის, დის თუ უცხო ქალის მიმართ.

ახალ დროში მამა-შვილის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ბრძოლაა.

სავარსამიძე სიკედილის წინ მამამ გააფრთხილა და დასწყევლა თუ იგი ტაია შელიას უკუღმართ, წარმართულ გზას აირჩევდა.

„ყოველი ქალი, რომელსაც შენ გაეკარები, ისე უნაყოფო ქნას წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ეწერის ქაობში ზღვარი თხმულა, ზამთარ-ზაფხულ შტოვებ შემხმარი ყვაილს რომ ვერ ისხამს“.

გაცოფებული კონსტანტინე თოფს მივარდა, რათა მამა მოეკლა, მაგრამ მათ შორის დედა ჩადგა. მაშინ ოჯახი მიატოვა და ქალაქში გაიქცა. შემდეგ დაანგრია მამისეული სახლი, ეზო მეზობლის ობლებს დაურიგა, ენახი აჭრა. მიწები დედამ გააყიდა, ფული კი მგზაჟრობაში თავად გაფლანგა.

მამის ანდერძი არ შეასრულა და იგი დაწყევლილი აღმოჩნდა. ეს წყევლა კი აუხდა ქრისტეს უარყოფელს.

ჯოჯოხეთში მამის ლანდს გადაეყარა, რომელსაც მუხლზე სავარსამიძის პირველი სატრფო მუხხარი ეჯდა.

მამა-შვილს შორის ქალი ჩადგა, მეტოქეობის საგანი.

კონსტანტინეს გული აუჩუყდა და მამას დალოცვა სთხოვა, გაახსენა, რომ ეწერის თხმელას დაემგვანა:

„ღამობრუნე ისევ შენი ნაციები მიწა. ღამობრუნე შენი ენახი, მამა“.

მაგრამ ანდერძის გამტეხი შვილი ვერ დალოცა და გაუჩინარდა.

მამა-შვილი საიქიოშიც მტრებად დარჩნენ.

მამის წყევლა – ეს იგივე კასტრაციაა, ველურთა წრეში რომ ხდებოდა უძველეს ქაშს.

სავარსამიძე დიონისური ორგიაზმით, სექსითა და ალკოჰოლით ცდილობს ღმერთთან მიახლებას, რაც წარმართული გზაა და ქრისტიანი მამისათვის მიუღებელი.

მამა-შვილის კონფლიქტის შემდეგ, ანდა სულაც პარალელურად, ძმებიც ებრძვიან ერთმანეთს, რომლის არქეტიპია კაენისა და აბელის ურთიერთბრძოლა, პირველი სისხლის დაღერა და ისიც ძმისა.

გრიგოლ რობაქიძის ლამარა, რომელიც შიშველი ჯდებოდა წითლაზე უყვართ ძმებს – მინდიას და თორღვას.

მინდია სწუხს ჩიტის სისხლის დაღერას, ხოლო თორღვა ამბობს – *„ჩემი გონი ჩემი სისხლია“.*

ერთი ბრძენია, მეორე – შმაგი.

კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარსა და არზაყან სუამბაისაც ერთი ქალი უყვართ – თამარ შარვაშიძე.

ისინი ერთმანეთს ექიშებიან ქალის გამო.

თამარს სვანეთში სცვლის ლამარია, რომლის სახელი ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდება. ახლა ის გახდა შულლის მიზეზი.

უკანასკნელ, სასიკვდილო გზაზე არზაყანმა თავისი ცხენით გაამგზავრა ძუძუმტე.

ამ გზას იგი თამარ შარვაშიძესთან უნდა მიეყვანა.

ინცესტი და მამისმკვლელობა

მამა-შვილის კაც და არზაყან ზემბაიების მტრობა-სიყვარულის მოტივი, ამბივალენტური გრძნობა გასდევს „მთვარის მოტაცებას“.

ისინი ხშირად ედავებიან ერთმანეთს, შერიგდებიან, ისეც წაიხზუ-ბებენ.

რომანი გვიჩვენებს, თუ როგორ არის გადახლართული ფანატი-კური სიყვარული უეცარ სიძულვილთან და როგორ მიდის უნაპირო სიყვარული სიკედილისაკენ.

ზ. ფროიდმა უძველესი მითების საფუძველზე წარმოადგინა არაც-ნობიერი ფსიქიკა, რომლის ბირთვად მიიხნია ინცესტი და მამის-მკვლელობა – „ოიდიპოსის კომპლექსი“.

ბარბაროსული, ველური ენებები და ინსტინქტები კულტურამ ჩა-ძირა ფსიქიკის სიღრმეში, მაგრამ შემოგერჩა მითების სახით, რო-გორც პირველადი პროექცია.

დროდადრო არაცნობიერში მომწვევდელი ძალები ამოხეთქავენ და ადამიანში ცოცხლდება ბარბაროსი.

ბოლშევიკი არზაყან ზემბაია სიზმარში დედასთან სარეცელს იყოფს, სიცხადეში შუბლს გაუხერეცს მამას.

ინცესტი ძალაუფლების სიმბოლიკაა, გზა მშობელი დედის და-უფლებიდან მშობელი მიწის დაუფლებამდე.

არზაყანმა არა მხოლოდ ხორციელი მამა მოკლა, არამედ – ქრის-ტიანულ-წარმართული სამყარო.

მამისმკვლელობა იგივე ღმერთისმკვლელობაა, ბარბაროსული წესის აღსრულება, როცა ტომის წევრებს რიტუალურად უნდა მოეკლათ ბელადი, ხოლო სისხლი დაეღიათ და ხორცი ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ.

კ. გამსახურდიამ ფროიდის მიერ ახსნილი მითოსური მოდელი კონკრეტულ ეპოქას მთარგო და წარმავალ მოვლენებში მარადიული პარადიგმა გამოავლინა.

ეს სიცოცხლის თვალსაზრისით. მაგრამ ზნეობრივად, ადამიანური მრწამსით ბოლშევიკი და ჩეკისტი არზაყანი არის უდიდესი დამნაშავე.

ასე გამოუტანა მწერალმა განაჩენი ბოლშევიკურ-ჩეკისტურ ეე-ლურ ძალას, რომელმაც სისხლის ზღვა დააყენა საქართველოშიც.

ინცესტსა და მამისმკვლელობას მიმართავენ ნიკო ლორთქიფანი-ძეც, თუმცა აზრობრივი და ემოციური დატვირთვის გარეშე.

მოთხრობა „აბრავში“ ერთიანდება ორი ნაკადი – იმპრესიონის-ტულ-რეალისტური და დეკადენტურ-პათოლოგიური, რომლის გააზ-რება მიგვიყვანს ფსიქიანალიზთან.

დამ აცთუნა ძმა, მაგრამ მათ ორგინებს შეესწრო მამა და ქალიშვილმა დანაშაულის დასაფარად მოქცეა იგი.

ფროიდის მიხედვით, აქ მოქმედებს „ელექტრას კომპლექსი“.

ინცესტი და მამისმკვლელობა მეორდება გრიგოლ რობაქიძის „გვიწლის პერანგშიც“, მაგრამ შეფარულია და მეითხველს თვალში არ ხედება, თანაც არა ფსიქოანალიზის, არამედ – ანტიკური მითის შესაბამისად. ანტიკურ სამყაროში კი გრიგოლ რობაქიძის მეგზურია არა ფროიდი, არამედ – ნიცშე.

მამისმკვლელობისა და ინცესტის მიღმა ამჯერად დგას ოიდიპოსის ტრაგედია. მაგრამ თუ იქ მოქმედებს ბედისწერა, რომელსაც მოკვდავი ვერ გაექცევა, აქ – სამშობლოს ნება და სისხლის მისტერია, მიწის ძახილი.

თამაზ მაყაშვილი საგვარეულო სენს გაექცა საქართველოდან, თან წაიყოლა არჩილი, რომელიც არჩიბაღდ მეექვსად იქცა. მამამ მიატოვა შვილი. მათ ერთმანეთი დაკარგეს.

თამაზმა ბევრი იხეტიალა, მაგრამ მშობლიური მიწა არ ასვენებდა. ბოლოს მაინც მობრუნდა თამუნჩო, სრულიად გათუთრებული, ნახა თავისი ნამოსახლარი.

აქ ვამეხ ღაშხს შეერკინა, რომელიც მისი ვაჟი აღმოჩნდა, თუმცა მამა-შვილი ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ამ შებრძოლების შედეგად კვდება თამაზი, ე. ი. ვამეხმა გაიმეორა ოიდიპოსის უნებლიე დანაშაული.

მამის სისხლი დაიღვარა ირუბაქიძეთა საგვარეულო მახვილით.

არჩილმა მატასი შეირთო, ვამეხის და, მასთან შვილი ეყოლა და გადაშენების გზაზე მღვარი გვარი აღორძინდა.

სიმბოლურად ეს ინცესტია, სიმბოლურად, რადგან რეალურად არჩილს და მატასის ერთი სისხლი არა აქვთ, მათ სხვადასხვა მშობლები ჰყავთ.

ამორძალი და მენაღა

მითიური ამორძალები არესისა და პარმონიის შვილები არიან. ისინი ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, ლიბიაში, აზოვის ზღვასთან. კავკასიაში. იტაცებდნენ უცხო ტომის ვაჟებს და სექსუალური ორგინების შემდეგ ხოცავდნენ. ასევე ხოცავდნენ გაჩენილ ვაჟებს და მხოლოდ ქალებს იტოვებდნენ.

ამორძალის მითში ხედავენ მატრიარქატის აღდგენის სურვილს. ამბოხებას მამაკაცების მიერ დამკვიდრებულ წესრიგთან, თუმცა შეიძლება მატრიარქატი არც არსებებულა.

მწერლებს ამორძალის მითი გაახსენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეაზე.

„ამორძალის კოცნა“ – ასე ჰქვია „დიონისოს ლიმბის“ ერთ-ერთ თავს. საერსამიძემ მირზა ხანის სალონში გაიცნო ცისფერთვალა მისის ბლუტი. ამ ქალს არ უყვარს გაპარსული, გაპუდრული, მელანქოლიური მამაკაცები. მისი იდეალია ველური ვაჟი. ენატრება ფეოდალურ კოშკში, სასტიკ პირობებში ცხოვრება, ჯიხვებზე ნადირობა, ვაჟური სამოსელი. იგი თავად ირჩევს მამაკაცს.

საერსამიძეც დაჰყვა ქალის ჟინიან ნებას. მისის ბლუტი (გერმანული ბლუტი ქართულად სისხლს ნიშნავს) არის „ცივილიზაციით გახელებული დედალი“.

იგი წუთიერი სექსით ცხოვრობს, წარსულსე არ ფიქრობს, მომავლის არ ეშინია.

გრიგოლ რობაქიძე რომანს წერდა ამორძალ ფალესტრაზე, რომელსაც უნდოდა დაორსულებულიყო ალექსანდრე მაკედონელისაგან.

ამორძალის თემას მწერალს ჰქარნახობდა ევროპული გარემო, ქალის გახელება, ზანგური რიტმების, ცეკვებისა და პანგების შემოჭრა ანუ სტიქიური უკუქცევა დაღლილი ცივილიზაციიდან სათავისაკენ, დიონისური საწყისისაკენ, პირველყოფილი სიშმაგისაკენ.

კინორეჟისორ ადოლფ უნგარის მიერ აღმოჩენილ კავალას, კაზაკისა და მეგრელის ასულს, უნდა განესახიერებინა ფალესტრა.

კავალას სახის არქექიპია კლასტიის პენტეზილუა და უაილდის სალომეა.

მაგრამ იცვალა ეამი და გამოჩნდნენ ახალი ტიპის ამორძალები. მათ აინტერესებთ არა სექსი, არამედ – მამაკაცის დაჩაგვრა და მამაკაცის ქონება. კაცს ვალდებულებებს უტოვებენ, თავად კი უფლებებს ფლობენ, როგორც დევიდ პერბერტ ლორენსის პოლინ ოტენბორო.

ასეთი არიან მიხეილ ჯაფახიშვილის ცუცქია და ელპიტე („თეთრი საყელო“). „მამაკაცს ველური გამოგეტყველება უნდა ჰქონდეს“, – ამბობს მისის ბლუტი, თანამედროვე ამორძალი. „ქალი მამაკაცში ველურ ინსტინქტებს გტრფის“, – აცხადებს იოჰანეს ნომშტეტი.

„ჩვენ, ქალებს, ქალაქუნა და დაფრდომილი მამაკაცი არ გვიყვარს“, – მარგო ყაფლანიშვილის ფიქრებს ხმამაღლა იტყვის ქეთო ახატნელი, „ქალის ტეირთის“ პერსონაჟი.

დემონურ ქალთა არქექიპია კლეოპატრა, სალომეა და ნესტანი (შდრ. – ტიციან ტაბიძის „მადონა აფთარი“, „დაქალებული ვეფხვი“, გიორგი ლეონიძის „ვეფხვი დაქალებული“).

ამორძალების საპირისპიროდ მენადები მამაკაცს ემსახურებიან და მის ნებას მორჩილებენ.

მენადები ერქვათ დიონისოს თანამგზავრ ქალებს. ნახევრად შიშ-
ველი, ირმის ტყეებით მოსილი, გველის გვირგვინებით, ვაზის ფოთლე-
ბითა და სურათი, ხელში კვერთხით, ევოს ძახილით მისდევდნენ
ისინი დიონისოს (მენადა გადარეულს, გაგიჟებულს ნიშნავს).

საქარსამძიე იმეორებს საყვარელი ღმერთის დიონისოს მარშრუტს.
ამ გზაზე მას მიაცილებენ მენადების მსგავსი მიჯნური ქალები (ჯე-
ნეტი, ერიკა, თინა, ლუწია, ანრიეტე ფონ შაი, ინგებორი).

ასეთივე მენადაა ოლგა ბალაშოვა, არჩობაღდ მეკეშის სატრფო.
როცა დაუღვა არჩევანი – ან ეამეხი უნდა დაეხერტათ ჯარისკაცებს,
ან „ერთი ღამე“ მათთვის ენუქებინა, ქალმა იხსნა ვაჟი, მაგრამ შეუ-
რაცხყოფას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.

მენადაც, ამორძალის მსგავსად, თავისუფალი, პეტერული სიყვარუ-
ლის ერთგულია.

როგორც ვხედავთ, მოდერნიზტებმა შეინარჩუნეს მარადიული სიყ-
ვარულის განცდა. მაგრამ, ახალი დროის შესაბამისად, ჩაწვდნენ ამ
გრძნობის საფუძველს – სექსს და იგი გაიაზრეს როგორც სიცოცხ-
ლის საწყისი და მამოძრავებელი ძალა, რომელიც განაგებს და იმორ-
ნილებს ფსიქო-ნერვეულ სისტემას.

7. რასის პრობლემა და ქართული ნაციონალიზმი

რასის პრობლემა, ქართველი ერის რასობრივი სიწმინდე, შინაგანი
სიმტკიცე აინტერესებდათ კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ
რობაქიძეს.

კონსტანტინე გამსახურდია არაერთხელ შეეხო ამ საკითხს. სპეცი-
ალურად ესეც დაწერა – „ერი თუ რასსა“, რომელიც 1918 წელს
დაბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“.

ახალმა დრომ, ინტენსიურმა ეკონომიკურმა კავშირებმა, კოსმოპო-
ლიტიზმისა და სოციალისტური თეორიების მოძალეებამ, საქართვე-
ლოს კოლონიურმა მდგომარეობამ მწერლის წინაშე მწვავედ დასვა
ერის სიწმინდისა და გადარჩენის საკითხი.

მწერლის აზრით, ერმა უნდა დაიცვას თავისი სახე, რათა არ
გაითქვიფოს სხვა ერებში. მას „რასიული აღრევა“ მიაჩნდა ქართვე-
ლობის საფრთხედ და საამისოდ მრავალი მაგალითი მოჰქონდა ის-
ტორიიდან. ყურადღებას აქცევდა რელიგიის ფაქტორს, სახელმწი-
ფოს მექანიზმს, სხვადასხვა ერთა შეილები ქორწინებას, რადგან
კონტრასტული ტემპერამენტის სისხლთა შეერთება წარმოშობს ბას-
ტარდ ერს.

სისხლის აღრევასა და განახლებას მწერალი უკავშირებს რელიგიურ ომებს და ერთა ერთიერთშეჯახებას და ამდენად მათ მოაქვთ როგორც გაჯანსაღება, ისე გადაგვარება, როგორც გაუმჯობესება, ისე დაცემა. ქართველ ერს იგი მიიჩნევს „ოდესმე დიდი რასის ნატეხად“, რომლის ვინაობა ბნელითაა მოცული.

კ. გამსახურდია ეყრდნობოდა გობინოს ცნობილ თეორიას.

გრიგოლ რობაქიძეს თბილისი მიაჩნდა რასიულად არაწმინდა, შიბრიდულ ქალაქად ანუ „ბაბილონად“. იგი ეხლებოდა წარმართობის ღამეს, უძველეს მისტიკრიებს, საიდანაც გამოიყვება ქართველობა, რომლის პირველსაცხოვრისად მიაჩნდა ქალდეა-ქარდუ.

ქალაქმა წარხოცა უძველესი თვისტომნი, მაგრამ შეინარჩუნა სოფელმა, – მიიჩნევდა იგი.

გრიგოლ რობაქიძეც მოითხოვს სიწმინდეს და უარყოფს სხვა ერის შეილთან ქორწინებას. ამიტომ არ შეართვევინა რუსი (იგივე სკეითი) ოღგა ბალაშოვა არჩიბალდს, თუმცა თავად როგორც პირველი, ისე მეორე ცოლი რუსი ჰყავდა.

მწერალი ყველგან ქართულ რასიულ სიამაყეს ეძებს – მეგობრობაში, სუფრის წესებში, ქალთან მიმართებაში, მეტყველებაში, ცეკვა-სიმღერაში.

იგი კრებს ყოფასა და ენაში შემორჩენილ „რასის ნატეხებს“, რათა ასე აღადგინოს ხალხის უძველესი სახე.

ქართული მესიანიზმი

1922 წელს გიორგი ლეონიძე გაზეთ „ბახტრიონში“ ბეჭდავს ესსეს – „ქართული მესიანიზმი“. მასაც, ისევე როგორც სხვა კოლეგებს – გრიგოლ რობაქიძეს, ტიცინან ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, მიხეილ ჯავახიშვილს, ქალდეადან, მესოპოტამიიდან გამოიყვება ქართველი ხალხი.

ამ თეორიას ამტკიცებდნენ ივანე ჯავახიშვილი და მიხეილ წერეთელი. ამ თეორიას იზიარებდა ქართული მწერლობა.

გიორგი ლეონიძე მსჯელობს რასის ხსნასა და გადარჩენაზე. მას ელანდება ბავშვი მესსია, რომელშიც შედედებულია რუსთაველისა და სააკაძის სული, ე. ი. ბრძენი და გმირი.

თავად დრო იძლეოდა ასეთი მსჯელობის იმპულსს.

რევოლუციის ეპოქას მიუძღოდნენ ქართველი კონდოტიერები.

ნიკო მარი იაფეტურ, ე. ი. ქართველურ ენებს აცხადებდა მესამე ეთნიკურ ელემენტად, საიდანაც სათავეს იღებს ინდოევროპული თუ სემიტური ენობრივი სამყარო.

ისტორია იძლეოდა სიღიადის მაგალითებს, მაგრამ ხილული ქვეყანა დანგრეული იყო. ამიტომ ხედავდა სიწმირად კონსტანტინე საგარსამიძე აყვავებულ, აზივებულ საქართველოს, ცხადში კი იხსენებდა ბაგრატიონების გაშლილ დროშებს, იერუსალიმში რომ შტაქონდაო ამაყ ქართველებს.

ასე რომ, ქართული ოცნება ქანაობდა უფსკრულსა და სეცას შორის.

ტიციან ტაბიძე ქაღდვას ქალაქებს დაეძებდა, კონსტანტინე ჭიჭინაძეს პრეისტორიული ლანდები ეწვენებოდა, ქართველ ტომთა დაკარგული მიწა, მათი ოდისეა მტკვრისა და ფაზისისაკენ.

ქრისტიანული საქართველოს ფესვები შორეულ და წარმართულ მიწაშია დაქსელილი.

*"Россия, Россия, Россия,
Мессия грядущего дня", -*

წერდა ანდრეი ბელი.

ქართველ პოეტებს არ ჰქონდათ ასეთი მყარი ნიადაგი, მაგრამ მოკავშირედ იგულვებდნენ უძველეს ეპოქას, ქრისტიანობამდელ ისტორიას, რათა გამოეკეთათ ნაციონალური სახე.

ძირების ძიება

ჰეონდიდელთა შთამომავალი, ოდესღაც ზვიადი და დიდებული გვარის შვილი ბონდო ჭილაძე თავის სისხლის დაღლას წინაპრებს უკავშირებს. იგი ფიქრობს შორეულ ეპოქებზე და მის არეულ გონებაში ჩნდებიან ლანდები – თამარი და რუსთაველი, უძველესი სახელები და ქართული ტომები – თობალ, მოსოხ, ურ, კაშდიმ, ქაღდე.

ტაბალის თეთრი ცხენი გავარდა კავკასისაკენ და მოდის გიმმირად კბილთა ღრჭენით.

მეომარ ტომთა ხმალთა ხეთქებას ახლავს ძახილი:

"არ გადაეშენდებით! არ გადაეშენდებით! არ გადაეშენდებით!"

ბონდოს ფიქრებში ერთმანეთს სცვლიან ქაღდეა, კაბადოკია, თეთრი კავკასი. მაგრამ, ეზეკიელის სიტყვებით, გმირები საჭურველთან ერთად ჩავიდნენ ჯოჯოხეთში.

ჯოჯოხეთში კი ბონდოს ელანდება თამუზი და იშტარი. თამუზის სულს ქვესკნელ არალში დაეძებს სიყვარულით შეშლილი იშტარი. რომელიც მიდის წამების გზით და უკან სტოვებს *"ღამაღ ხორცს სისხლსა და ბაღდაშს"*

ბონდო თავის დაღლილობასა და სნეულებას უკავშირებს საუკუ-

ნეებს. მუდმივ დევნას, ქალღეიდან კაბადოკიაძღუ, კაბადოკიიდან რიონის ნაპირამდე:

„აღმათ ტიგრისა და გეფრატის მონაპირე ქალღუელიც ისევე ძაგძაგებდა ციებით შუაგობილი, როგორც რიონისა და ალაზნის მონაპირე!“

იგი უძველეს საწიებსზე აჩერებს ამღერეულ მსურას და ამჩნევს, რომ ჩვენს წინაპრებს არც მაშინ ასვენებდა უქმურთ-უქმური, ციება და სასტიკი მტერი. ამიტომ არ ჩანს მომავალი და არც „ახალი ჭინკები“ სწამს.

ეს „ახალი ჭინკები“ რეოლუციონერები არიან, ისეთივე ტერორისტები, როგორც მის მიერვე უარყოფილი გუშინდელი თანამოაზრენი – ერთი ებრაელი, ერთი პოლონელი და ერთიც ქართველი – ჯაყელი, რომელთაც უნდოდათ რუსთ ხელმწიფის მოკვლა.

ბონდო ეუბნება მამას:

„ისინი ახალი ჭინკები არიან, ჭინკები და დედამიწას მთვრალ დედაკაცივით დაატრიალებენ! ჩვენ უნდა წაგიდეთ, მამაჩემო! ავიკრათ გულანაბალი და გავუღვთ! ახლა ახალი ხალხი მოდის“.

ეს პესნიშიში, ეს საკუთარი და ქვეყნის გადაშენების საფრთხე ბნელ ეპილეპსიასთან ერთად კიდევ უფრო ღრღნის მის ნერვებსა და ფსიქიკას.

ბონდომაც ისევე შეიძულა რუსული წიგნები, როგორც ციცინომ – რუსული წესები და ტანსაცმელი.

კონსტანტინე სავარსამიძის წინაპრები სამხრეთ საქართველოს ბჭეს იცავდნენ X საუკუნიდან. XIII საუკუნეში ისინიც ისევე დამარცხდნენ, როგორც მთელი საქართველო და თანდათან ვასალურ აზნაურებად ჩამოქვეითდნენ.

მაგრამ სავარსამიძეს იმდენად ფიზიკური წინაპრები არ აინტერესებს, რამდენადაც – სულიერი.

ამიტომ არის მისი იდეალი ქართლისათვის წამებული, არაბების მიერ მოკლული კონსტანტინე, თავისი დიდი სეხნია, შემდეგ წმინდანად შერაცხული. იგი ხომ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრია და თამარის ორდენის კავალერი. რაც ცხადში ვერ მოახერხა, ის ზმანებაში მანც შეძლო სავარსამიძემ – მოკლა ჩრდილოეთის ტახტზე მჯდარი სლანსკი – თამარის აღმასისა და ბაგრატიონთა გვირგვინის ქურდი.

აფხაზი თავადიშვილი თარაშ ემხვარი თავისი გვარის ისტორიას ფატალურად უკავშირებს თამარის ეპოქას, ვარდან ქემუხვარს, რომელსაც აუღია კარნუ ქალაქი, ერთი უკიდურესი პუნქტი სამხრეთით,

რომლის იქით არ წასუღან ჩენი წინაპრები. რაც გამოადევეს წინა ახიიდან.

კონსტანტინე საკარსამიძე და თარაშ ემხვარი ცოცხლობენ ძველი საქართველოთი. წარმართული ადათ-წესებით, ელიზური ესთეტიზმით. თავი მიაძნით საქართველოს ტრაგიკული მარტინის წვევრებად, წამებულ რაინდებად, რომელთაც ასპარეზი წაართვა დრომ.

მათ უკან დგას წარმართული და ქრისტიანული საქართველო, დიდი ისტორია, რომელიც თვალწინ ელუკებათ.

„გველის პერანგის“ კალენდარული დრო იწყება 1917 წელს. კამოდანში და მთავრდება 1918 წლის ზაფხულში, საირმეში, ე. ი. მწერალმა რომანის ოპტიმიზმი, აღორძინების რწმენა დაუკაეშირა საქართველოს თავისუფლებას, 26 მაისის იდეას.

რომანი მოგვიანებით დაიწერა, მწუხარე საბჭოთა დროში და გრიგოლ რობაქიძე პესიმოზმს დაუპირისპირდა. თანამედროვეობამ ვერ მისცა მასალა და მანაც წარსულს მიმართა, ოღონდ უახლეს წარსულს.

მთელი რომანი არნიბალდ მეკეშის მიერ საკუთარი ენაობის შეცნობა, ძირების პოვნა, სამშობლოში დაბრუნების ოდისეაა. იგი, როგორც გველი პერანგს გაზაფხულზე, ისე იხდის ინგლისელის სამოსელს და ქართველად აღორძინდება.

გრიგოლ რობაქიძე ქმნის ირუბაქიძეთა მითს, მათ პეროიკულ ისტორიას, რომელიც რეალურ ფაქტებსაც შეიცავს:

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მაყაშვილებისა და ჩოლოყაშვილების წინაპარი იყო ირუფაქიძე, რომელიც დადესტნიდან კახეთში დამკვიდრებულა 1320 წელს.

არნიბალდი ხსნის მამის ჩემოდანს, იღებს წითელ კოლოფს, რომელსაც აწერია „მაკ“. კოლოფში დევს პაკეტი. მას ქართულად აწერია „ირუბაქიძე“.

არნიბალდი სარგის პეტრიძესთან ერთად შლის ძველ ხელნაწერებს. 575 წელს გარდაცვლილა თავადი ირუბაქ ირუბაქიძე, რომელსაც თავისი გვარი ქალდეადან გამოჰყავდა და ქალდეურად ხსნიდა. „ირუბაქ“ ხის კორძს ნიშნავსო. განსაკუთრებით პყვარებია მოსე და პითაგორა, ბერძნული და ებრაული. მკერდზე ხალი პქონია – მზის ნიშანი, რაც გაიყვა მის შთამომავლობას.

გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელების, თამარის, მონღოლთა ეპოქებშიც გრძელდებოდა ირუბაქიძეთა გვარი. მათი სიფიცხე. ბრძოლასა და თავგანწირვის ჟინი. შემდეგ კახეთში დაემკვიდრნენ. იქ გვარი ორად გაყოფილა – მაყაშვილებად და ჩოლოყაშვილებად.

არნიბალდი მეკეში ეძებს დაკარგულ მამას და მამულს.

ძირების ძიება აპოქინიებს თავის გეარს, მაძასა და სამშობლოს. მაგრამ მაძა სწორედ მაშინ იღუპება, როცა შეიღლი ნახავს.

არნილ მაყაშვილი არის სწეულებით დაშრეტილი გვარის უკანასკნელი იმედი, რომელიც დაუბრუნდა თავის მიწას და ენას.

მწერლის რწმენით, რასიული სიმტკიცე, ერის თვითგანმტკიცება, ტრადიციების დაცვა, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება გადაარჩენს საქართველოს.

ძირებისაბან მოწყვეტის ტრაგედია

დემნა შენგელაიას გურამ ბარამანდია უბეღელესი გვარის შეიღია, ბავრატ დიდის (XIV ს.) ერისთავის ბარამან ქველის შთამომავალი („გურამ ბარამანდია“).

საგვარეულო საენანეში განისვენებენ გურამის წინაპართა ძეღები. მათ ოღესღაც თავდაღებით უბრძოღიათ ქვეყნისათვის, ამიტომ მიუღლიათ ვრცელი მამუღები, სავსე ხეავითა და დოღღათით. მაგრამ დრო გასულა და მათ საფღაღებზე ქართული ასომთავრუღის გვერღით რუსული წარწერები გაჩენიღა.

ბარამანდიების მამული რიონის დაბღღობზეა, პაღღასტომის ტბის სიახღღოვეს. როგორც სანაღარდო, ისე საბარამანდიო თავაღღიშეიღღთა საბრძანებღია, თითქოს ერთი მეორის ვარიაციავა, ან – გაგრძეღება.

საბარამანდიოს მახღღობღად რკინიგზის სადღღური უკვე აშენებულღია, რკინიგზა – გაყვანიღლი.

გურამის მშობღები – ოღია და ნიტიფო ჩეუღღებრივი, უბრადღო აღამიანები არიან, უნღათ შეინარჩუნონ ოჯახის სიმდიდრე და შეიღღები კარგად აღზარდონ. ამიტომ შეკყავთ ეავები სამხეღრო სასწავღღებღში, ხოღღო ქაღღიშეიღღი – მენიკა საიმპერატორო კარის ფრეიღღინა გახღება, დაუმეგობრღება გრიშკა რასკუტინს. შემღღეგ საფრანღღეთის სამხეღრო ატაშე შეიყვარა და მას პარიზში გაკყევა, ქართული ღაიღეიწყა და მშობღებს წერიღღებს ფრანგულად წერს. უარყო მშობღღების მიერ დარქმეული სახეღღი და Lise-ღ მოინათღღა, ე. ი. ამ ქაღღმა დაკარგა მშობღიური სამყარო.

მენიკას მსგავსად გადაღღიშღა ბესოც. არც მას აინტერესებს სამშობღლო. გახღდა რუსოფიღღი, ავი, ფიცხი, ღღოთი, თუმცა, რატომღაც, დარჩა ღღთის მოშიში.

შეიღღების ხარჯების დასაფარავად ოღიამ მიწები გაყიღდა და წინაპართა ქონება გაანიღვა.

გურამს, მისიგან განსხევებით, გაუჭირღა მორღუსა და მშობღიუ-

რი გარემოს დათმობა. რამდენიმეჯერ კარცურში ჩასვეს. თავის დასახრისობად ზღვაში გადაფარდა. ისევ კარცურში ჩასვეს.

სამშობლოში დაბრუნება ენატრებოდა, მაგრამ მამა ქურდულად გაეპარა ოდესიდან. მაშინ იგრძნო „აღამიანების სისასტიკე“ და ისიც თანდათან მოტყდა.

გურამის ცხოვრების გ'ხას ისევე სდევს კონას ლანდი, როგორც სავარსამიძეს „ბებური სატირი“ ტაია შელია. მაგრამ ვერ დაიცვა საყვარელი მორდუს ანდერძი – „არ ენდო, ბაბა, ქალს, არ ითხოვო გადაბოიელი ქალი“.

ინფანტერიის გენერლის ასული ოქსანა ზნამენსკაია შეიყვარა, და ივიწყა მშობლიური კერა, ჩაება რუსეთში დატრიალებულ ორომტრიოალში და უაზროდ დაიღუპა სადღაც შორს – ციმბირის ტაიგაში. უკვე გეარდაკარგული, ბონდარჩუკად ქცეული.

სექსი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე გონება, ვიდრე მორდუს შეგონება.

თუ არჩიბალდ მუკეში არჩილ მაყაშვილად მოიქცა, გურამ ბარამანდია ბონდარჩუკად მოკედა. იგი სამშობლოდაკარგული კაცი იყო და ამიტომ არაადამიანურ სისასტიკეს იჩენდა. დახვრიტა თავისი ცოლისძმაც, არც თეთრები უყვარდა, არც წითლები. რეა თვის ბავშვი ურალში დაეღუპა, ცოლი გაულოთდა, სიფილისით დაუსნეულდა.

ბონდარჩუკი, რომელიც ზოგჯერ ლაპარაკობს „სლაჟონთა დიდ მისიაზე ქრისტიანობაში“, გულის სიღრმეში მაინც ფიქრობს საქართველოზე.

სიმთვრალეში აღსარებას ანდობს პორუჩიკ ვერდოვს თუ როგორ ენატრება შორეული სამშობლო, რომ დელგმაა და ქარიშხალი და იქითკენ ვერ გაცურდება.

კიდევ ერთი ქართველი გადააგვარა და შეიწირა რუსეთმა.

შალვა დადიანის უბედური გიორგი რუსიც მოწყდა მშობლიურ ძირებს. მას ტრამალები და ტყეები ეძახდა, თავისუფალი, ველური ცხოვრება იზიდავდა. მაგრამ უეცრად მთელი ქვეყანა და სასახლეები ჩაუყარდა ხელთ.

იგი ჯერ სუსდალიდან გამოაძევეს, შემდეგ სუნჯა დაატოვებინეს და ვერც საქართველოში მოიკიდა ფეხი.

დემნა შენგელაია და შალვა დადიანი თვლიან, რომ ანთეოსივით მშობლიურ მიწას მოცილებული ადამიანი გადაჯიშდება და უაზროდ დაიღუპება. ამიტომ ამბობს კონსტანტინე სავარსამიძე, რკოც მოწყვეტილი იქ უნდა დაეცეს, სადაც ბებური მუხა წაიქცაო.

სავარსამიძე და ემხვარი კი დაბრუნდნენ, მაგრამ აქ გადაგვარებული ხალხი დახვდათ. სამშობლოში ისინი უსამშობლოდ დარჩნენ. რადგან ქვეყანას უცხო და ველური ძალა დაეპატრონა.

თითქოს გურამ ბარამანდიას გზის უარსაყოფად დაიწერა ბასილ მელაქიშვილის „მკერდშებოლილი მერცხალი“.

13 წლის თორელი ლეკებმა გაიტაცეს.

იქ ანდიაში, კარგად მიიღეს, გაჩარდეს. ცოლიც შეირთო. მაგრამ ერთ ზამთარს ნახა მერცხალი და გული უცნაურად აუტოკდა. მერცხალს ზამთარმა მკერდი შეუბოლა და გასაფხულზე, როცა მოძმეებმა ვერ იცნეს, თავი მოიკლა, რადგან დაკარგა თავისი სახე.

თორელი და ტყვე თათარი გარბიან საქართველოსკენ. ლეკეთში სტოეებს საყვარელ მეუღლე დეის, რომელმაც, ქმრისა და შვილის დამკარგაემა, თავი მოიკლა.

ქართული მიწის ძახილი არ ასვენებს თორელს.

მკერდშებოლილი მერცხალი სამშობლოს ისეთივე სიმბოლიკაა, როგორც დედის იაენანა იაკობ გოგებაშვილის ცნობილ მოთხრობაში.

კონსტანტინე გამსახურდიას არზაყან ზეამბაია საქართველოდან არსად გასულა, მაგრამ ისიც მოწყდა სამშობლო მიწას და უცხო – რუსული ბოლშევიზმის ბრმა იარაღი გახდა საკუთარი მამისა და მამულის დასამხობად.

„დაკარგულია ვა მხევეს“, – უეცრად იტყვის გალაკტიონი.

ეს მოხევე ილია ჭავჭავაძის ლელთ ღუნიაა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, რომ გვიანდერბა.

პატრიარქალოზის ნაპრძალი

კონსტანტინე გამსახურდია თანამედროვეობისაგან, ბოლშევიზმის სუსხისაგან იზოლირებას დისტანციის პათოსით ცდილობდა, ქართული კულტურის დიქტატურას მოითხოვდა.

გრიგოლ რობაქიძე ერის თვითგანმტკიცებას ქადაგებდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა სასტიკი განაჩენი გამოუტანა ხევისთაეებისა და ყაფლანიშვილების საქართველოს.

„ინც ამ ომის შემდეგ ცოცხალი გადარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი“, – გაიძახოდა სამშობლოს კატასტროფით შეძრწუნებული ადოლფ ჰიტლერი. თითქოს ასეთი განცდა უდევს საფუძელად „ჯაყოს ხიზნებს“.

საქართველოს მსგავს უბედურებას დაერთო ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა, როგორც ერთ-ერთმა შეთქმულმა, ეერაფერი არგო ქვეყანას. ამიტომ ხატაედა „ნაკატარებს“, რომელთა პროტოტიპი თავად იყო. მაგრამ შემდეგ იმედად იგულეა თანამედროვეობისაგან იზოლირება, ნაციონალური მრწამისისა და ტრადიციების დაცვა.

პატრიარქალობისა და ძველი საქართველოს ნაერძალია რომან „თეთრი საყელოს“ ჯურხაანთ კარი.

ჯურხა წიკლაურს თბილისში უსწავლია, ავსტრიასა და შვეიცარიაში უცხოურია და თეთრ საყელოსაც ატარებდა. მაგრამ „წითელი ეშმა“ რომ მოვიდა, თავი ხევსურეთს შეაფარა და მიუვალ მთებში გადაიყვანა ნათესაეები და ახლობლები.

„არც ჩვენ ვცნობთ წითელ მთაფრობას, არც მთაფრობა იცნობს ამ სოფელს“. — ამბობს ჯურხა, ელიზბარის ძმადნაფიცი.

აქ არ არის რადიო, ელექტრონი, ასანთი, ფული, საპონი, საცვალი და თეთრი საყელო, კომკაეშირი და პროფკაეშირი, რადგან ჯერაც „ფარსმან მეფის დრო“ დგას.

სამაგიეროდ სასტიკად იცავენ წინაპართა ადათ-წესებს, სჯერათ, რომ აღდგება თამარ მეფე, რომ ერეკლეს შთამომავალი ბაგრატიონი მცხეთაში „ოგოზგინებს“.

ხევსურები თვითმფრინავებს თოფს ესერიან, მილიციელებს ხოცავენ, თანამოქმედსაც ემუქრებიან. დაგახრჩობთ თუ სოფლის გზა ეინმეს ასწავლეო.

ძმადნაფიცსაც აფრთხილებს ნაციონალისტი ჯურხა:

„შემომფიცებ რომ ჯურხანთ-კარის გზას არაფის უჩვენებ და რელის მადანსაც არაფის ასწავლი“.

ჯურხა ქალაქში დაბრუნებას უშლის ელიზბარს. იქ „გაგაწითლებენ“; „ქალაქში მტერი მეგულებს“ — უმხელს თავისი განდგომისა და გაველურების საიდუმლოს. ბოლოს ხევსურული დიალექტი მოიშორა და ისე უთხრა მეგობარს:

„სხვა ხალხი ზევით მოგასცდა და ქართულიც კი დაგვაფიწყეს, საკუთარი არაფერი შეგვარჩინეს, არც ჩოხა, არც ქული, არც ცხვირი და აღარც თვალი“.

ჯურხა წიკლაურის ნაციონალიზმი ეხმიანება კონსტანტინე საერსამიძის განწირულ ტირადას:

„ძმებო, დაგვიტყვიეს საქართველო ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავი ჩამოგვითესლეს“.

შეგვირევენს ენა — ჩვენი მამა-პაპის წმიდათა წმიდა, დაგვინგრიეს ოჯახი, გაგვობახეს შჯული და თავიანთი ჯარების საჯიროთოდ გაიხადეს ჩვენი ქუჯანა გვიშველეთ, ძმებო, და გაურეკოთ რისების ხენწიფის ჯარები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებიოთ დაეუხვდეთ თემშარებზე, ცეცხლში გაეხეთოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არაფის..

ჯალალანებმა, შამახიებმა და ალანებმა, ჩემმა მეზობლებმა, კონდამ მომკლეს, ბაბა. ჩემთვის დღაა ჯერ არაფის შეუვინებია, მათ სულ რუსულად მაგინეს, მერმე

რისების ბუნების დიდება იმდროეს, ბაბა, ჩვენმა მეზობლებმა აღანიებმა და ჯალაღანიებმა“.

საქარსამიძეს გულს უკლავს და დეპრესიას ახვევს მოძმეთა რუსოფილობა.

ჯერხასაც სძულს რუსები და ბოლშევიკები და ამიტომ ქალაქიც შეითულა. საიდანაც მოდის ყოველგვარი უბედურება, როგორც შემდეგ იტყვის კაც ზემბაია.

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ასეთივე ნაკრძალია სვანეთი. „ბობლიური პატრიარქი“ ქორა მახეში უფრთხის გზას, რომელიც მთებში ამოჰყავთ კომუნისტებს, ამ გზით ურწმუნობა მოდის, კომშებს აგვიფეთქებენ და ხატებს შეგვიღაზხავენო. აქ ხალისსა და სულიერ შევებას კპოვებს თარაშ ემხვარი – ძველი სამყაროს თანაზიარი.

ქორა მახეშს გული გაუსკდა, როცა გაიგო, რომ მეღალუმეები ლაფარიანთკარს მიაღგნენ, „ღაღღუასო ჩემი ოჯახი“.

როგორც ჯერხას, ისე თარაშის უკუქცევა პატრიარქალობისაკენ, მხოლოდ ილუზიაა და ისევე დაღუპვას მოასწავებს, როგორც ცივილიზაციით გადაგვარება, ან თუნდაც დიონისოს კულტით გატაცება.

ძალი – სამშობლო მიწა

ბერძნულ მითოსში გეა (მიწა) ქალია, ურანოსი (ზეცა) – მამაკაცი. გეამ დაბადა ურანოსიც, რომელიც მისი ქმარი გახდა და მათგან იშვნენ ტიტანები და ტიტანიდები.

გეა არის სამყაროს პირველსაწყისი ქაოსთან, ტარტაროსთან და ეროსთან ერთად.

ქართული მოღერნისტები ნაციონალურ ასპექტში ქალს აღიქვამენ სამშობლო მიწის სიმბოლოდ და ალევორიად.

ამიტომ არის გრიგოლ რობაქიძის მატასი ლაშხის გაიგივებული ქართულ მიწასთან:

„და მოდის ქართული მიწა: მისი მკერდებით – მისი ხნულებით – მისი ტუბუებით – მისი ჯეჯილებით“.

მატასი არის ნიამორი, მტევანი, ტარო ანუ სილამაზე და ნაყოფიერება, რომელიც შობს ქვეყნის მომავალს.

მაგრამ სხვაგვარად ხატავენ ქალს – დამარცხებული საქართველოს სიმბოლოს, პესიმისტი მწერლები.

მიხეილ ჯავახიშვილის მარგო ყაფლანიშვილი ძველი საქართველოს სიმბოლოა, რომელიც შვირთო ინტელიგენტმა და სასოგადო მოღვაწემ – თეიმურაზ ხევისთავმა. მაგრამ ახალი ძალა უძღურე და

უნაყოფო გამოდგა და საქართველო ხელში ჩაეგარდა უცხოთა და ბარბაროსს - ჯაყოს.

მიხედუ ჯაყახიშვილი ქართული რასის გადარჩენას უკავშირებს ევლურ სიჯანსაღეს, უძველესი რწმენისა და ადამ-წესების შენარჩუნებას. ამიტომ მოსყავს ჭრელ ქალაქში ხათუთა წიკლაური, რომელსაც ბავშვობის შემდეგ არ ენახა თბილისი და თითქოს ფარსმანის ეპოქიდან გადმოფრინდა ელექტრონის საუკუნეში, რათა შეეცვალა თხელი, ჭლექიანი, უნაყოფო ქალი.

ასევე საქართველოს ხატია ეასილ ბარნოვის შუშანი, არაბების მიერ დასჯილი არჩილ მეფის ასული, რომელმაც წარმართ ხაზართა ხაკანის ცოლობას, ძლიერი სახელმწიფოს დედოფლობას სიკვდილი არნია („ხაზართა სასილო“).

ბონდოს დედა - ციციხო ხეცია ძველქართულ წიგნებზეა აღზრდილი, ზეპირად იცის ფსალმუნი და „ვეფხისტყაოსანი“. სძულს „რუსული წესები და რუსული ტანსამოსი“. უელის და უფრთხილდება ჭყონდიდელთა წიგნთსაცავს - მისი ქმრის საგვარეულო განძს.

მაგრამ ბონდო რუსეთში წავიდა და ქალი ჭლექით დააგადდა. რომ ჩამოვიდა, გახადა რუსული ტანსაცმელი და თავისი ხელით მოქსოვილი ქართული ნოხა-ახალუხი ჩააცვა.

კონსტანტინე გამსახურდიას ჯენეტი გურიელებისა და ათაბაგების შთამომავალია. იგი ცოლად გაჰყვა სპარსელ აღი მირზა ხანს, საქართველოს ისტორიულ მტერს, თუმცა სულ შიშობდა, მამადიანიზა არ წამიყვანოსო.

მათ ეყოლათ ვაჟი. მაგრამ მოვიდა ნაციონალისტი საეარსამიძე და ქალი წაპვეარა სპარსელს და დაღუპა მათი შვირთების ნაყოფი.

საეარსამიძემ ჯენეტი სამშობლოში დააბრუნა.

ქალმა ვერ შეძლო მისგან ჩასახელი ბავშვის შობა, გაუბედურდა და სამთავროს მონასტერში მონაზუნად აღიკვეცა, ისევე როგორც ბებიამისი, გურიელის ქალი.

ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი, ნაადრევად დაქერივებული, სამი შვილის აღმზრდელი, ქალიშვილმა შეურაცხყო.

გულმოკლული ქალი ქალაქში გადაიხეცა და იქ სადღაც ქუნაში მოკვდა, ე. ი. შვილები უარყოფენ დედას.

ასევე საქართველოს აღუგორიაა თამარი, რომელსაც რუსი დაეპატრონა, შალვა ლადიანის „უბედურ რუსში“.

ტყვიდისში შიშით მოუღიან XI არმიის შემოსეულას. ერთმანეთს მისდევენ დამარცხებულთა ეშვლონები. ქუნაში მოდის შაყით მისი-

ლი, ჯოხზე დაყრდნობილი უსინათლო დედაკაცი, რომელიც სტიროდა. მწერალს იგი აგონებს საქართველოს ადგილის დედას, *„საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს“* („დიდი იოსები“).

ეს უსინათლო, მგლოვიარე, საპყარი ქალი არის ქართლის დედა, რომლის ცხრა ძე ოდესღაც მტერს ერკინებოდა და თავადაც იქ დრომას აფრიალებდა. მაგრამ დღევანდელმა უღირსმა შვილებმა გაძარცვეს და ყელი გამოჭრეს მშობელ დედას – საკუთარ ქვეყანას.

ბასილ მელიქიშვილის მოთხრობა „თურმანში“ ბნელი ღამით კლდიდან გადავარდა და თავი მოიკლა განატანჯმა ხორეშანმა, *„იმის პირიდან მინის ზმუილი და ტყის ძახილი ისმოდა“*.

მას შემდეგ შუქართში სნეულებამ დაიბუდა, ისევე როგორც სანავარდოში. *„ქართლი დაცარა ღვარძლმა“, „ქართლს თესლი სჭირდება, თესლი – ნმინდა და გადაუგვარებელი“*.

მაგრამ არ კმარა თესლი, საჭიროა მთესვარიც. ასეთი მთესვარი კი ვერ იპოვეს და თურმანი შეიშალა.

ნიკო ლორთქიფანიძის ელი გორდელიანი ცოლად გაჰყვა მდიდარ, ზრდილ, მოხდენილ და განათლებულ რუს ოფიცერს, გრაფ ვლადიმერ ბორენკოვს, მაგრამ ჯვარისნერის შემდეგ მთვრალი ვაგონში, ამხანაგების დასანახად, მძინარე ქალს საბანს გადახდის, ნახეთ, რა ლამაზი ცოლი მყავსო („შელოცვა რადიოთი“)!

შეურაცხყოფილმა ქალმა მიატოვა ბორენკოვი და მატარებლიდან გადმოხტა. 26 მაისს კი ცოლად გაჰყვა მის მხსნელს – იერონიმე შვინდაძეს, სახალხო გვარდიის ასეულის უფროსს.

ელის რასიულმა სიამაყემ დამცირება ვერ აიტანა.

მან არჩევანი გააკეთა რუს ოფიცერსა და ქართველ ნაციონალისტს შორის. მაგრამ ვერც გვარდიელმა გაუმართლა მოლოდინი.

ქვეყანა აირია და ელი ინგლისელ ჰექსლის გაჰყვა ევროპაში.

აქაც, ჰექსლის ბუნებაშიც, ლალატი დაინახა ქალმა და მან გველს დააგესლვინა თავი.

ელი ყველგან ლალატს ხედავს, როგორც საქართველო.

ნიკო ლორთქიფანიძის ამ მოთხრობასაც ოციანი წლების საქართველოს პოლიტიკური შიფრი დაედო საფუძვლად.

ელი გორდელიანიც ისევე ტრაგიკული ქალია, როგორც ჯენეტი, შუშანი, მარგო ყაფლანიშვილი, უსინათლო დედაბერი, ხორეშანი თუ თავსაფრიანი დედაკაცი.

რა არის თვით გეა-მინა, რომელიც ქალად მღელღარებს?

*„მინა სული. მინა ინსტინქტი.
მინა მკერდები. მინა ძუძუები.“*

მიწა ძირი. მიწა წყარო. მიწა სიბი. მიწა ხავსი.

აქ არის სუნთქვა. აქ არის საიდუმლო.

აქ არის მადლი. აქ არის ნაყოფი.

აქ არის ბედი. აქ არის „წერა“.

პასუხს იძლევა გრიგოლ რობაქიძე ზეცვიური საქართველოდან.

მესიის მოლოდინი და სტალინის მითოლოგია

ლენინი ქართველ მწერალთაგან ყველაზე ღირსეულად დაიტი-
რეს გრიგოლ რობაქიძემ და პაოლო იაშვილმა. შემდეგ მათი გზები
გაიყო.

ტიციან ტაბიძე წერდა სტალინზე ოდას, იწყებდა ორჯონიკიძის
ქებასა და საბჭოეთის ხოტბას.

დავიწყნოდა გუშინ ნათქვამი:

„ამხანაგებო, თუ ღრმა-ღულეში

ჩენი თავებიც სადმე დაგორდეს...“

ჭაბუკ გიორგი ლეონიძეს ჩანგის ნაცვლად შუბი ენატრებოდა,
„*შუბი ქირ-გამახეული*“. იგი, როგორც „*მარბაროსი, ზაზარი და სარაცინი*“,
საუკუნეთა სისხლის დელგმას მოსდევდა.

ეს წარმართული ყიჟინა, ეს ანტიქრისტეს ტრიუმფი, ეს „*მარბარო-
სული სისხლის შრიალი*“ კიდევ ერთხელ შეიცვლის სახეს და გადავა
სტალინის მითსა და „ქართლის ცხოვრების“ პოეტიზებაში.

იოსებ გრიშაშვილის სტიქია ხოტბა იყო. ერთი მხრივ, ქალს ღვთა-
ებად სახავდა, მეორე მხრივ – საქართველოს დამარცხებას გლო-
ვობდა და კოჯრის მთაზე დაფლეთილი ქართული დროშა ელანდუ-
ბოდა.

შემდეგ ეს სადიდებელი ლექსიკა, ინტონაცია და პათეტიკა სტა-
ლინის და ბერიას სახეებს მოარგო და ბელადს თავისი „*ლექსის
უმადღესობა*“ უწოდა.

გრიშაშვილი და ლეონიძე საუკეთესო მეხოტბენი იყვნენ და ამი-
ტომაც შექმლეს შედეგების დაწერა.

კონსტანტინე გამსახურდია ნიცშეს სამყაროდან მოდიოდა. სი-
ცოცხლის დიონისურ საწყისს ჭერებდა, ძველის ნგრევას აპოკალიპ-
სურ წარლენად მიიჩნევდა. იგი, სავარსამიძისა და ემხვარის დარად,
დამარცხებული ნაციონალისტი იყო და, როგორც წყალწადებული
ხავსს, ისე ჩაუჭიდა სტალინის თემას, ყრმა ჯულაშვილი რომანოე-
ბის იმპერიაზე შურისმგებელ ძალად მიიჩნია.

მიხეილ ჯაყახის შვილიც დამარცხებული ნაციონალისტი იყო. იგი საკუთარ თავსაც ბრალს სდებდა ადამიანურ სისუსტეში, რომელმაც ვერ შეძლო ჯეარის ზიდვა. „ნაკაცარების“ სახეები მისი პიროვნული „მეს“ პიპერბოლური გაშლა იყო.

ისიც პერსპექტივას ეძებდა და ამ ძიებამ მიიყვანა რევოლუციის თემასთან, არსენა მარაბდელთან და ბოლშევიკ ზურაბ გურგენიძესთან. ისევე როგორც მენშევიკი ალექსანდრე აბაშელი – ბოლშევიზმის პანეგორიკთან.

სტალინი მესიად წარმოსახეს, დიდ წინაპართა ოცნების აღმსრულებლად.

სხვა გამოსავალი არცა სჩანდა და დროებით მაინც ირწმუნეს ეს ყალბი მითი.

ნოე ჟორდანიას ხიობა აღუვლინეს რობაქიძემ და შანშიაშვილმა. მაგრამ იგი ვერ აღმოჩნდა ახალი დროის ზეკაცია.

ხალხის თვალში სტალინის ქართველობამ და სიღიადემ გადაფარა მისი დანაშაული, რომლის მსგავსი ალბათ არავის ჩაუდენია.

„დაკარგული თაობის“ სათქმელი გამსახურდიამ თარაშ ემხვარს ათქმევინა:

„ერთი დიდი კაცი მთელს ერს უღრის ხანდახან და ისტორიაში ისეთი მომენტით დგება, რომ იმ ერთი კაცის გამარჯვებაზე კიღია მთელი ერის პრესტიჟი“.

სტალინის მითს განამტკიცებდა ისიც, რომ უსარმაზარი წითელი იმპერიის სათავეში იდგნენ სხვა ქართველებიც – ჯერ ორჯონიკიძე, შემდეგ – ბერია.

გრიგოლ რობაქიძეც ნიცშეს თაყვანისმცემელი და ზეკაცის მომლოდინე იყო. მაგრამ ვერ მიიღო სტალინის ყალბი მითი. მან ერის გადარჩენა პროლეტარიატის ბელადის სახელს ვერ დაუკაუშირა. მზურა რასის სიწმინდესა და სიმტკიცეს მიაპყრო და ხსნა დაინახა სწორედ სტალინის განადგურებაში.

ამიტომ გახდა ჰიტლერისა და მუსოლინის აპოლოგეტი.

სტალინის ანტიმითის შემდეგ ჰიტლერის მითი შექმნა, რაც ასევე ყალბი გამოდგა.

XX საუკუნის საქართველო და მწერლობა ბარაბას გზას მიუყვებოდა.

„შორს კი ქარი აქანებდა იურტებს

და ბავშვები ჩვენს მკვლევლებზე მღეროდნენ“, –

დაწერს მოგვიანებით ტარიელ ჭანტური, რადგან მკვლევლებს მსსრელებს ეძახდნენ.

ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პატრიოტიზმს შეეფარა, რათა ასე გადაურჩინა ქვეყნის მომავალი.

8. ენისქმნალობა და სიმბოლური

აზროვნება

საეციფიკური ენობრივი მოდელი

მწერლისათვის ტრადიცია მშობლიურ ენაშია მოცემული, რომლისგანაც არაცნობიერად პროგრამირდება და ისევე გადმოეცემა, როგორც სისხლი და გენები.

პაოლო იაშვილი შენიშნავდა:

„პოეტს, რომელსაც შემოქმედების მთავარ იარაღად აღებული აქვს მშობლიური სიტყვა, რჩება თავის ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ჯრი მისი წინააღმდეგი იყოს“.

შემოქმედში შფოთავს ეროვნული გონი, ეროვნული ფსიქიკა.

ეს ყოველივე ცოცხლობს და იღუპება მშობლიურ ენაში. მაგრამ პოეტისათვის ენა წარმოდგენილია ვერსიფიკაციის სისტემით.

ვერსიფიკაცია პოეტური ტრადიციის ხერხემალია, ისე ვით ფაბულა თუ სიუჟეტი რომანში.

მაგრამ ენა თუ ვერსიფიკაცია მშობლიურ არეალშიც საყოველთაოა. ინდივიდი კი სტიქიურადაც ელტვის ორიგინალობას, დამოუკიდებლობას, თავისთავადობას. ორიგინალობა სურვილია კოლექტივიზმისაგან გაქცევისა და საკუთარი სახის გადარჩენისა და გამოკვეთისა.

ეს ელინდება ენის ხფეროშიც.

ლექსი სპეციფიკური, მკაცრად სტილიზებული მეტყველებაა. მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე აქაც იყო ორიგინალური და უჩვეულო.

მან შემოიტანა ურბანისტული ლექსიკა, რომელსაც ძნელად ჰგუობს ლექსი (პროპელერი, რადიო, ავტომობილი, ინტეგრალები, დერდიზმი, სტერლინგი, დეკადანსი, ექსპრესი, შპალერი, პროექტორი, კინემატოგრაფი, დეკეშა, სანტიმეტრი, დირიჟორი, მოტორი).

ისინი ახლადგაჩენილი სიტყვებია, ტექნიკამ და დრომ რომ გააფრცელა. მათი ჟღერა მხოლოდ მწირ, გონებისმიერ ასოციაციებს იწვევს და ანელებს გრძნობას. მაგრამ გალაკტიონი მათ ურთავს მითოსურ, ბიბლიურ, ლიტერატურულ და მუსიკალურ ლექსიკას. რითაც ფსიქიკისათვის უცხო სიტყვები ტექსტში თითქოს იკარგება. ან – თანამედროვე განცდის სიგნალებად ჟღერენ.

გალაკტიონი ძველ ლექსიკურ ძირებზე დაყრდნობით ქმნის ახალ მორფოლოგიურ ერთეულებს. რითმის ინერციით სიტყვა დებულობს უცხო განზომილებას, იგი უფრო დინამიური და ელასტიური ხდება (ნამკათათვარი, გაზოღება, ბროღება, გადაწვიგნება, ეალუბლება, ნახავერდები, ნახაფთარი, მეკოცნება, მომეტეოსრე, ნასამუშარი, აალაშქარა, გაბედითება, დააირისა, სიაღე, დამინანა).

ლექსის მკაცრ სტრუქტურაშიც იცვლება სინტაქსი. რიტმი და მელოდიკა აახლებს სიტყვათა განლაგებას, თითქოს წინადადებაც მულანქილოური ხდება:

*„მრავალ წამწაშებს და მრავალ ისარს
გრძნობს დაღალული თვალი თვატრში
და ვდარები მზეს ნამაისარს,
მაღალ ლოჟიდან შენ, ბეატრიჩე!“*

როცა შემოქმედი ვერ ეტყევა არსებულ რეალში, მაშინ იგი თავად ქმნის ახალ სააზროვნო სისტემას, მეტყველების სტილს თუ სალექსო ფორმას.

იოანე პეტრიწის ენა მკითხველისათვის გაუგებარია, მაგრამ იგი არც სპეციალისტებს ესმით კარგად. პეტრიწი ფილოსოფოსი იყო და ბერძნული ენის გავლენით ქმნიდა სიბრძნისმეტყველების ქართულ სტილს.

ასევე რთული და ბუნდოვანია ანტონ კათალიკოსის ხელოვნურად არქაიზებული მეტყველება.

მისი ამოსავალი იყო კლასიციზმის სამი სტილის თეორია.

არც პეტრიწი, არც ანტონი მწერლები არ ყოფილან, თუმცა ანტონი თხზავდა იამბიკოებს.

ახალი სამეტყველო ენობრივი სისტემა შექმნა ვაჟა-ფშაველამ. მისი საფუძველი იყო ფშაურ-ხევსურული დიალექტი, რომელიც წარმოედგინა, როგორც უძველესი ქართული ენის განშტოება, რომელიც მითებმა და ლეგენდებმა შემოგვინახეს. ამდენად იგი არც იყო დიალექტური მოვლენა.

შემდეგ ვასილ ბარნოვმა მოახდინა ენის სტილიზება. პირველი ბიბეი იყო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც 1911 წელს გამოსცა ნიკო მარმა. მანამდე ამ თხზულებას მკითხველი არ იცნობდა.

ვასილ ბარნოვს თეოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული, ამიტომ კარგად იცოდა ბიბლია, ჰიმნოგრაფია და ჰაგიოგრაფია. ხოლო გიორგი მერჩულის გაცნობამ და მოდერნიზმმა იგი წაიყვანა ძველქართული სამყაროსაკენ.

ბარნოვის „ისნის ცისკარი“ (1901) თუ სხვა მოთხრობები ჩვეულებრივი სალიტერატურო ენითაა დაწერილი, „მიმქრალი შარავანდელი“ (1913) და „ტრფობა წამბეული“ (1918) – ძველქართული სამეტყველო სტილით. ხოლო ოციანი წლებიდან მწერალმა მიმართა რიტმულ პროზას და მოახდინა ძველქართულის სტილიზება, რაც უკვე ნიშნავდა ახალი, ინდივიდუალური ენის ჩამოყალიბებას.

ეს ენა მხოლოდ ეასილ ბარნოეს ეკუთვნოდა. ასე არაეინ მეტყვე-
ლებდა, ასე არაეის წერდა:

*„მზე მხურვალედა კამკამ ცაზედ, იკბინებოდა. შემდგარ კაერს ღელვა შეანდა:
შეტრიალდა შიგადაშიგ ვიწრო გრკალადა. მიმობოდა, ხვეულ სვეტად აქონდა
მტკერი, ისეე ქრებოდა. ყურადღებას არ აქცევდენ კაერის შუშპარს. ხალხს სულ
სხვა აქონდა გასართობი ათასგვარი: დაწებულყო შეჯიბრება ნაირ-ნაირი“ („არ-
მაზის მსხვერუეა“).*

აქ მეტყველების რიტმს ქმნის ოთხ და ხუთმარცვლიანი ტერფების
კომბინაცია, რაც მეტწილად გამოიხატება სიტყვების ცხრა და თოთხ-
მეტმარცვლოვან ტაქეებად დალაგებით. მათ ერთეის ძველქართული
ლექსიკა, სინტაქსი და ინტონაცია, რაც მეტყველებას სპეციფიკურ
სახეს ანიჭებს, თითქოს იამბიკოებს ვკითხულობთ.

გრიგოლ რობაქიძესაც ახასიათებდა ენისადმი მიმძღავრება. იგი
უფრო ახალი სააზროვნო კონსტრუქციის, 'სოგადი იდეის გამოკვეთას
ემსახურებოდა. ეს კი იწვევდა ტრადიციული სინტაქსის შეცვლას.
ახალი, ძველქართული და უცხო ლექსიკის მოძალებას, რომელსაც
პათეტიკა ხელოვნურ, სტილიზებულ იერს აძლევდა.

ნათელ და სადა მეტყველებას სდევდა რთული, მძიმე, ეგზალტირე-
ბული სტილი:

*„მოტრიალდება მზე ჩადის როგორც ავარგარებული თასი: ჩადის ბნელ საშოში
მოღამოს ეფარება შეინდისფერი მეწამული. მეწამული მთის თხემზე იღვრება. თვალ-
ში გარჩენილ ჩასული თასის დაღი და მთისკენ გახედული ღურჯ ხანძარს იჭერს იგი
დანულებულს: მზის ჩქერი ქაფდება ღუშად“ („გველის პერანგი“).*

კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1922 წელს გამოაქვეყნა
სტატია „ახალი სიტყვები“. იგი წერდა, რომ ახალ იდეებს ახალი
სიტყვები მოუძღვებოდა, რომ სტილის შეცვლა იწვევს ენის შეცვლა-
საც (ასევე ფიქრობდა გალაკტიონ ტაბიძე).

მიუხედავად ამისა, „დიონისოს ღიმილი“ და ნოველები ტრადიციუ-
ლი, ნათელი და სადა სტილით ააგო. მხოლოდ ოცდაათიანი წლები-
დან, „მთვარის მოტაცებიდან“ დაიწყო ენისადმი მიმძღავრება. ეს ტერ-
დენცია სრულად გაიშალა „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დავით
აღმაშენებელში“. მაგრამ ყოველთვის არწყევდა თხელ. იოლად აღსაქ-
მელ აბსაცებს.

მწერალმა მიუხეზო ძველქართულ ლექსიკას და სინტაქსს. მათ და-
ურთო მეგრული ინტონაცია, საერთაშორისო ლექსიკა და ეს ყოველი-
ვე პოეტურ მეტყველებას დაუმორჩილა.

ასე ნამოყალიბდა კონსტანტინე გამსახურდიას ზომიერად პათეტი-
კური, ღირიკული მეტყველება, რაც თავიდანვე მიიღო მკითხველმა.
მაგრამ დიდხანს უცხოობდა სალიტერატურო კრიტიკა:

..სტეფანოზ ბერის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა მთავარეპისკოპოსმა, რაფ-
დენმა.

მწვალებლები გუჯავსო მცხეთაში, ამიტომაც არ გეშორდებოდე ეპი. ბოლოს პი-
რუთენელად ამხილა ფარსმან სპარსი, იგივე მწვალებელთა მამამთავარი.

გიორგი უფლისციხეში იყო.

გაფთრებული ბრბო შინ მიეჭრა ფარსმანს, ჩაქოლვას უპირებდნენ, მაგრამ გაი-
ოზ ბერმა მიუსწრო, დაუდალოთო ეშმაკის თანახმად.

გაახურეს საილენძის ტიფარი, მელის სახისა, შუბლზე დაარტყეს მწვალებელს“
(„დიდოსტატის მარჯვენა“).

ქართველ მოდერნისტებს სწევოდათ ენისადმი განსაკუთრებული
ყურადღება. ეს თვისება ჰქონდა ზოგ რეალისტსაც, მაგ., მიხეილ ჯა-
ვახიშვილს.

ენისადმი სიყვარული იწვევდა სტილიზების სურვილსაც.

გრიგოლ რობაქიძე სიტყვათა წიაღში შეჭრით ცდილობდა არქე-
ტიკული მნიშვნელობის დადგენას, უძველესი აზრის ამოცნობას. მაგ-
რამ ეს უკვე ლიტერატურიდან გასვლასაც ნიშნავდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ენის სიუხვე, ძალმოსილება, სინტაქ-
სური ელასტიურობა ესთეტიზმის რკალში მოაქცია. ნიკო ლორთქი-
ფანიძემ უაღრესად სადა, გამჭვირვალე თხრობითა და მოკლე ფრაზებით
ააგო მეტყველება.

სიტყვა პროზაიკოსისათვის მაინც საშუალებაა. მან თუ ვერ შექმნა
მძაფრი სიუჟეტი, საინტერესო ფაბულა, დრამატული ხასიათები, თუ
იღუა ვერ განასხეულა, ნაწარმოები მოსაწყენი იქნება. მხოლოდ სიტყ-
ვის, სტრიქონისა და აბზაცის ხელოვნება არ ემარა.

დემნა შენგელაია თავის საუკეთესო ნაწერებში სიტყვის ვირტუო-
ზი იყო, მაგრამ უჭირდა ორიგინალური სიუჟეტური სიტუაციების
შექმნა, რამაც ძალიან მალე იჩინა თავი.

უფროს თანამოკალმეთა გავლენით ახალგაზრდა ბასილ მელიქიშ-
ვილიც ეგზალტირებული, პოეტიზებული ენით მეტყველებდა. შეიბ-
ლება ითქვას, მისთვის ყველაზე მახლობელი „სანაეარდოს“ სტილი
იყო:

„ნინია უფლისციხის ნიაფი დაიჩემა და გააღწია საღმრთო ცეცხლი. მუდამ ცეცხლს
ჩასტკეროდა და ლოცვად იღგა.

ერთ დღით გაღმოდგა კლდის თავსა და მღვრიე თვალით გაზომა შუქართი.
სოფელი თავს იგვემდა და იღოჯდა, სოფელი თითქოს გულს იჭამდა.

შუქართს ჩაიფრფლა მშვენიერი ანანო. მიწას ჩაბარდა ანანოს დედაც. შუქარ-
თმა დააღა მოგვები უცქერდი შენს სოფელს, ნინია, და თავს იხვევდი მოგვების
ზუიოს. სოფლად ხალხი გამოიშალა და შენ წამოგცლა: ხალხი“ („თუქრმანი“).

სიტყვის გაფეტიშებას იწვევდა პოეტური ნაკადის შემოჭრა პროზასა და დრამატურგიაში. ხოლო პოეტისათვის თავად სიტყვა არის მასალა. ამიტომ მისი დაუყვლების ხარისხი წარმატების გარანტიაა. უფრო ზუსტად – ენა უნდა ფლობდეს პოეტს და პოეტი ამოდირექტეს მშობლიური ენის მისტიკური გარსიდან.

მეტაფორული ენისქმნადობა სამყაროს ახლად ჩენაა და მითის-თხზვის გაგრძელება.

სიმბოლური მიტყველება

მოდერნისტებმა გაქვეყნებულ ლიტერატურულ, წარმართულ თუ ქრისტიანულ სახეებს მიუმატეს სიმბოლიზებული საგნები, როცა მწერალი ერთს წერს, მაგრამ მეორეც იგულისხმება, წერს მეტაფორული ენით და თითქოს ხდება ქვეყნის პირველხილება.

სიმბოლოები წამიერად წარმოიშობა და ქრება.

ამიტომ ჭირს ტექსტის სრული აღქმა, იგი ბუნდოვანი ჩანს.

ბუნდოვანების ნისლი ააქტივებს მკითხველის ფანტაზიას, როცა ემოციის ნაკადი, სიტყვათა ტალღის პარმონიული რხევა, რომელიც შეესატყვისება სისხლის მოძრაობას, ქრომოსომების ცეკვას თუ სუნთქვას, აღუძრავს ახალ საფიქრალს.

ტექსტი მკვიდრდება ცნობიერებაში და სდევს მესხიერებას. მას მკითხველი ღებულობს სუბიექტურად, გემოვნებისა და განწყობილების მიხედვით.

ამიტომ სიმბოლისტების ღამე, სიკედილი, შემოდგომა, თოვლი თუ ანგელოსი ყოველთვის როლი ნიშნავს ამ სახელებს, ამ საგნებს. და როცა უდრის – მაშინაც მათ უკან დგას სხვა რეალიებიც.

ასე იყო მიღებული ქრისტიანულ სიმბოლიზმშიც (მაგ., ქრისტე სიმბოლურად არის კრაეი ღვთისა, ლეკვი ღომისა, მდინარე, მარილი, მარცვალი, მზისთვალი, ნათლის ძე, პური ცხოვრებისა, ჟამი უკამო, რტო, აღდგომა... წმ. მარიაში – ადამის ასული, აღშენებული ტაძარი, გოდოლი, ელეა, ეტლი, ვარსკვლავი, ენახი, ეზრას ფაეტონი. თოვლის მადონა...).

სიმბოლური მეტყველება სტიქიურია, რომლის მიღმა ჩანს ავტორის გემოვნება, ცოდნა, ფანტაზია. მათ კრებს და ესთეტიურ ძალად აქცევს ტალანტი.

ამდენად არის სიმბოლისტური ტექსტი, ლექსი თუ რომანი, კონდენსირებული მეტყველების ფორმა, რომელშიც უნდა მოესწროს მაქსიმალური აზრის და გრძნობის ჩატევა. დიდი ინფორმაციის დაშიფრვა. იგი ჰგავს კალეიდოსკოპს, რომელიც მრავალფერად ციმციმებს.

მასში გარდატეხილი სხივი ჩანჩქერად იშლება, რომლის ათინათი აღურიცხველია.

პოეტური სიტყვა იტეირთება ინფორმაციით. რომელსაც გადაანაწილებს ტროპი და მელოდიკა, მეტრი და რითმა, სიუჟეტი და პერსონაჟი.

„ატმის რტოო, დაღაღულო რტოო“, – წერს გალაკტიონი. მაგრამ მხოლოდ ატმის რტო როდი გვეჩვენება. იგი საყვარელი არსების სიმბოლოა, რომელსაც დაღუპვა ელის. ხოლო ატმის რტო თავისთავად იწვევს ფაქიზ და სათუთ განწყობილებას.

ასეთი განცდით, ასეთი აზრით იწერება – „ატმის ყვაეილები“, „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაეილებს“, „იმ ვარდისფერ ატმებს“ (შდრ. – კ. გამსახურდია – *„ატმის ყვაეილისფერი კაბა ეცვა თამარს და თავდაც მზესა ჭეაღა ატმის ბაღში გამოსულს“*).

ატმის ხე დგას როგორც ნა'ხი ქალი თუ დედოფალი უცხო მხარეში, რომელსაც სიკედილი და ჭკნობა ელის.

ატმის ყვაეილი, ატმის ხე სიცოცხლეა, ქარი – სიკედილი.

სიმბოლურ სახეთა სისტემა

ანაზდეული, სიტყვათა ნისლში გაელეებული სიმბოლოები გადადიან ტექსტიდან ტექსტში, ივსებიან ახალი განცდებით, ან – შემოდინ მითოსური, ბიბლიური თუ ლიტერატურული გმირები.

ამიტომ არის გალაკტიონის სატრფო მერი, ვალერიან გაფრინდაშვილისა – ოფელია, ტიცვიან ტაბიძისა – კოლომბინა, პაოლო იაშვილისა – ელენე დარიანი.

გარდასულ თუ გამოგონილ სულთა სამყარო, მათი უცვლელი, მარადადამიანური ნიშან-თვისებანი კრისტალიზებულია სიმბოლურ სახეებად.

ამიტომ არის გალაკტიონი ჰაეი, ვალერიან გაფრინდაშვილი – ჰამლეტი, ტიცვიანი – პიერო.

„დიონისოს ღიმილი“, „სანაეარდო“, „გველის პერანგი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“ რთული სტრუქტურის ინტელექტუალური რომანებია, რომლებშიც ყოფითი, ემპირიული მასალის ორგანიზებით შეთხზულია სიმბოლური პლანი, რომლის არსებობა მკითხველისათვის უხილავია. მკითხველი მისდევს ამბის მდინარებას, ეცნობა პერსონაჟებს, მათ დრამატულ ცხოვრებას. მაგრამ გამძლეობას ანიჭებს ცხოვრებისეულ მასალაში გატარებული აზრი, რაც სიმბოლური სახეებითაც ვლინდება.

კონსტანტინე სავარსამიძე წარმოდგენილია როგორც წმ. კონსტანტინე, დიონისო, ახალი ქრისტე, აპოკალიპსის მხედარი, წმ. გიორგი.

თარაშ ემხვარი იხატება როგორც ეროსი, ბიბლიური აბელი, ამირანი, სახარების „ძე შეცთომილი“, შექსპირის რომეო. მონადირე ბეთქილი, აპოკალიპსის მხედარი.

ასევე მრავალსახიანი არსიან ზეამბაია – ბიბლიური კაენი, ოიდიპოსი, იულიუს კეისარი.

„გველის პერანგში“ პროეცირდება ბერძნული მითოსი და „ვეფხისტყაოსანი“. ამდენად არის არჩიბალდ მეკეში ტარიელი და დიონისო, ვამეხ ლაშხი – აეთანდილი, აპოლონი და ოიდიპოსი, მატასი – ნესტანი, დემეტრა, წმ. ნინო.

„სანაგარდოში“ ბონდო ჭილაძე არქექტიპულად არის ახალი ქრისტე, აპოლონი და თამუხი, გუჯუ ლაბახუა – დიონისო და ფალოსი.

არა მხოლოდ ამ პერსონაჟთა, არამედ სხვათა სიმბოლიური კიპოსტასებიც მოქმედებით იხატება და იქსელება ტექსტში.

ჩვენ გეიხლება მათი გამოყოფა, გამოცალკეება და აზრობრივი შიფრის ამოხსნა, რაც მწერლის მხატვრული აზროვნების ნაწილია. მაგრამ ქართული მოდერნისტი პროზაიკოსების სიმბოლურობა არ იყო გართულებული, პირობით და ფანტასტიკურ ასოციაციებზე აგებული (როგორცაა, ვთქვათ, ქეუსმანის „პირიქით“, უაფლდის „დორიან გრეის პორტრეტი“, ვილჟე დე ლილ ადანის „მომავლის ევა“, ჟიდის „ცუდად მიჯაჭვული პრომეთე“, კაფკას „მეტამორფოზა“ ან ჯოისის „ულისე“). ამგვარი სწრაფვა სწეოდით პოეტებს.

ნიუანსების ბაზა

სიმბოლო კონდენსირებული მეტყველების ხატია, როცა მრავალი ნიშან-თვისება იკრიბება ერთ საგნად, ერთ სახელად. მაგრამ არის საპირისპირო ტენდენციაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ერთი სიტყვა, ერთი საგანი იშლება მრავალფერად და მუსიკალური ხმიერებით ააშკარავენს ფარულ ნიუანსებს, ნახევარტონებს, როგორც მოითხოვდა პოლ ვერლენი.

ნაცნობი იშლება უცნობ და იდუმალ ერთეულებად, თითქოს სიტყვას ფრთები გამოესხა, რაც იწვევს გართულებას, არამთავარ ნიშანთა აქცენტირებას.

„ყოველთვის მგონია: გადოვრენს ყორანი

და სანთლებს ჩაატრობს თვალების ალფაში“ (გალაკტიონი)

ყორანი ედგარ პოს შემდეგ სიკედილის მომტანად იყო მინჩეული.

„გამოწინდებოდა შემოდგომა ჩემი მფარველი,

როდესაც სულში დატკნებოდა ათასი ვარდი“ (გალაკტიონი).

ბუნების განიხარცვა ასოციაციურად უკაეშირდება სულიერ დეპრესიას. რაც ვარდების ჭკნობით გადმოგვეცა:

*„გუგუნებს ალი მხარულ ბუხრის,
მაფიქრებს ალი და ვნაე წერილებს,
კიდე ედება გელები მწუხრის
გელებს ცეცხლისკენ გადაღერილებს“ (გალაკტიონი)*

ჭედი სიყვარულისა და ოცნების სიმბოლიკაა, რომელიც სატრფოს წერილებს უკაეშირდება. ისინი კი ახლა ცეცხლს მიაქვს, ე. ი. იყერულება ძველი სიყვარულის ხსონა.

მოკლე, ტრივიალური აზრის ვრცლად და უნეეულოდ განტოტვა იწვევს მელოდიკურ სურათთა წეებას, ჯერ არნახულს. მაგრამ ზოგჯერ ერთი უბრალო საგანიც იშლება ნიუანსებად:

*„თუ სიკდილის სახლოვე როგორ ასხეაფერებს
მომაკლავი გელის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“ (გალაკტიონი).*

ეს გედის სიმღერაა, განწირული და უკანასკნელი, რადგან „სოცოცხლეში თეთრი გელი მხოლოდ ერთხელ მღერის“, სიკედილის წინ, როგორც გვარწმუნებენ პოეტები.

ასე წერდნენ მოდერნისტები, არა მხოლოდ პოეტები, პროზაიკოსებიც და ესსეისტებიც კი.

9. ლექსის ახალი მოდელი

მოდერნისტებმა შექმნეს ლექსის ახალი სტრუქტურა.

როგორც ითქვა, განახლება დაიწყო იოსებ გრიშაშვილმა. მაგრამ ნამდვილი რეფორმა მოახდინა გალაკტიონ ტაბიძემ.

მისი მონაპოვარი გააერცელეს და განამტკიცეს ყანწელებმა, ალექსანდრე აბაშელმა, ტერენტი გრანელმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

მათ სტრუქტურასთან ერთად შეცვალეს ესთეტიკა.

სტროფი რუსთველური

მოდერნისტებმა შეინარჩუნეს რუსთაველის მიერ დამკვიდრებული კატრენული სტროფი – ოთხტაეპედი. მხოლოდ ზოგჯერ ინენს თავს ორტაეპედი და სამტაეპედი (ტერცინა). ხოლო მუხამბაზური ხუთტაეპედი უარყოფილ იქნა, რომლის არაერთი ნიმუში ეკუთვნით ბესიკს, კრიგოლ ორბელიანსა და აკაკი წერეთელს.

მუხამბაზი, რომელიც ხუთი ხუთტაეპედისაგან შედგება, სპარსული პოეზიიდან შემოვიდა. საპირისპიროდ განრდა ეეროპული სონეტი

და ტრიოლექტი, რომლებიც უფრო რთული სტრუქტურისაა და პოეტისაგან მოითხოვს არა მხოლოდ სათქმელს, არამედ – ამ სათქმელის მათემატიკური სიზუსტით გადანაწილებას.

სონეტი, რომელიც 14 ტაქსად გაშლილ, რითმათა რკალით შეერთებული 4 სტროფის შეიცავს, XIX საუკუნის საქართველოშიც შეიქმნა. მაგრამ ლექსის ამ რენესანსულ ფორმას კანონიკური სახე მისცეს მოდერნისტებმა (გალაკტიონი, რობაქიძე, ტიცვიანი, გრიშაშვილი. გაფრინდაშვილი, იაშვილი, ნადირაძე, აბაშელი, გრანელი, ჭიჭინაძე).

ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა:

„სონეტი უკავს ალბრეხტ დიურერის რაინდს, რომელიც არის დატვირთული მძიმე დერიდახოლებით, მაგრამ ღირსეულად ატარებს თავის რკინის ტანსაცმელს ვისაც არ შესწევს ძალა, არ უნდა ჩაიცვას სონეტის რკინის კურანგი, თორემ უსათუოდ ამ სიმძიმის ქვეშ ჩაიკეცება“.

ტრიოლექტისადმი ინტერესი ნაკლები იყო. ზოგჯერ ვერც სიზუსტეს იცავენდნენ. მაგრამ ამ ფორმითაც შეიქმნა რამდენიმე შედეგრი (გრიშაშვილი – „ტრიოლექტები შეითან ბაზარში“, გაფრინდაშვილი – „სანტიმენტალური ტრიოლექტი“).

ქართულ სონეტსა და ტრიოლექტს კარგად მოერგო ბესიკური საზომი. ტრიოლექტი რვატაქტიანი სტროფია, რომელშიც სამჯერ მეორდება პირველი და ორჯერ – მეორე სტრიქონი.

სტროფი მეტრითა და რითმით შეკრული და რიტმიზებული სალექსო ერთეულია. ამიტომ პოეტებმა კატრენული სტროფის შიგნით შეცვალეს განლაგება.

მათ ამ პერმეტულ გარსში გამოავლინეს პოუნისა და გამოგონების ნიჭი. მაგრამ უმთავრესი იყო რუსთველური სტროფი.

მეტრული პოლიფონია

ნამდვილი რეოლუცია მოხდა მეტრის სფეროში.

ძველ საქართველოში რუსთაველისა და ხალხური პოეზიის გავლენით გაბატონდა შაირი – თექვსმეტმარცვლოვანი ტაქტი ორგვარი რიტმიკით (მაღალი – 4-4-4-4, დაბალი – 5-3-5-3).

თექვსმეტმარცვლოვანი საზომი იყოფა შუაზე და ვლებულობთ იმავე რიტმულობის რვა მარცვლოვან მეტრს.

ბესიკმა შემოიტანა თოთხმეტმარცვლოვანი საზომი (5-4-5), რომელიც სწრაფად გავრცელდა ლიტერატურაში, თუმცა ხალხური პოეზიისათვის მიუღებელი გამოდგა.

ასევე ბესიკმა შექმნა ხელი ათმარცვლიანი მეტრის (5-5) კანონი-

სუბას, რომელსაც საფუძველი ჰქონდა „ეკეზისტიკალსანში“, „თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“.

ეს სამი მეტრი საღექსო მეტყველების გამარჯვებული ფორმაა ქართულ პოეზიაში. მაგრამ მათ შიგნით, ტერფების განლაგებითა და მონაცკელებით. შეიქმნა ახალი რიტმული ფიგურები (4-4-2: გალაკტიონის „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“; 4-3-4-3: „როგორც ნისლის ნამქერი ჩაბაღდ მზით ნფერი“; 4-4-4-2: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“; 3-3-2: „ის იყო შეიდი წლის ბეჭეი“).

გალაკტიონის ტალანტმა ქართულ პოეზიას შემატა 6, 7 და 9 მარცვლოვანი საზომები, მათი ნაირგვარი კომბინაციები. ისინი მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ გალაკტიონმა მათი მეშვეობით შექმნა შედეგები და ამდენად მოახდინა კანონიზება. ხოლო 11 მარცვლოვანი საზომი ახალი შინაარსით აღავსო.

2-4: „*შუი გაიშლა*

წყალი დაიჭრა“.

2-4-2-4: „*შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია,
რუხლზე დაცემულხარ, როგორც ანგელოსი“.*

5-2: „*მოდის ოქრა „ლაკმე“*

ბუტაფორიის შეხლა“.

4-3: „*გაგონდება თუ არა
კარაღეთის დღეები“.*

2-3-1: „*ვისმენ დანატრულ ხმას“.*

3-3-3: „*სიმკაცრით შემხვდავს საშენი
თვალეები შეკრული კამარის“.*

3-3-3-3: „*ანგელოსს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალეებით მიწას დაყურებდა“.*

4-4-3: „*ის ირღვევა, ის ოცნება ბურდება
და ხომალდი ნაპრალებთან ჩურდება“.*

ყოველი ფორმა, სახე თუ რითმა ცოცხლობს მხოლოდ შედეგებში. მათ გარეშე ისინი თეორიული სქემაა და მკედარი სუბსტრატი.

გალაკტიონმა გამოავლინა ენის პოტენცია და დღეს გვეჩვენება, რომ ამოწურა კიდევ ახალი რიტმული ერთეულების პოენის შესაძლებლობა. მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ უმთავრესი შედეგები სწორედ ტრადიციული საზომებით დაწერა:

16-მარცვლოვანი - „*ბუროის მთები“* და „*მე და ღამე“.*

14-მარცვლოვანი - „*გუბი დაღანდი“*, „*მგლოვიარე სურაფიები“.*

11-მარცვლოვანი - „*იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაეილებს“.*

10-მარცვლოვანი - „*თოელი“*, „*მერი“*, „*სილაყვარდე ანუ ვარდი სილა-ში“*, „*ატმის ყვაეილები“*, „*მშობლიური ეფემერა“*, „*ისევ ეფემერა“.*

პოლიმეტრული - „*ღობინო“*, „*ეინ არის ეს ქალი“.*

მეტრი, თუ არ შეესაბამება ერის ფსიქიკას, გამოვლენილს ეხის რიტმიკაში, როგორც ხელაწერული მოვლენა, სწრაფად კვდება.

კომპოზიციური ძალდატანებით ამკვიდრებდა ბიხანტიურ 12-მარცხელ-ვან იამბიკოს (5-2-5), მაგრამ იგი ვერ გასცილდა სასულიერო პოეზიის სფეროს.

ამიტომ პოეტი კი არ ქმნის, კი არ იგონებს საზომს, არამედ აღმოაჩენს მას, როგორც ენაში გამოვლენილ ფსიქიკის მოძრაობას.

მოგეხსენებათ, პანტელეიმონ ბერაძე დაქტილურ რიტმს მიიწინედა ქართული ფსიქიკის სპეციფიკად და ასე ასაბუთებდა ბერძნული ჰეზამეტრის ქართულ წარმომავლობას!

საზომს ქმნის მარცვალთა რაოდენობა, ხოლო მარცვალთა ხმოვანი და მის გარშემო შემოკრებილი თანხმოვნებია და ერთი ქაერნაკადის ამოჭრა.

რითმა – დემონი და ფატიში

მოდერნიზტებმა აღადგინეს ქართული რითმა, რომლის ვირტუოსები იყენებდნენ ძველი ქართველი პოეტები.

რუსთაველის ტრადიციამ მოატანა რომანტიკოსებამდე. მათ მართლაც თვალთ ადიქვეს რუსული რითმა და უარყვეს მდიდარი, კეთილხმოვანი კლაუსულები.

რითმის ფუნქცია შესუსტდა, მაგრამ არ გამჭრალა, რადგან იგი ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც მეტაფორა.

ხოგჯერ ლექსს რითმის მიხედვითაც განსაზღვრავენ.

მოდერნიზტებმა შემოიტანეს გარიტმის ჯვარედინი და რკალური წესი, როგორც ეს იყო მიღებული რუსულ და ევროპულ პოეზიაში.

ვალერიან გაფრინდა შეილი დითირამბს აღუეღენდა რითმას, მეტაფორულად აღნუსხაედა რუხ, ნესტიან. ამაყ, მეღვარ, მექანიკურ, მაღალ, ახოვან, გადაჭრილ, ბრინჯაოს, ფაიფურის, გიშრის რითმებს, არქმედა მათ ოფელიებსა და მედუზებს.

რითმის სფეროშიც პირველი სიტყვა თქვა იოსებ გრიშაშვილმა. მაგრამ შემდეგ მას გადაასწრეს გალაკტიონმა და ყანწელებმა.

რითმა მხოლოდ ლექსის სამკაული როდია. იგი ერთიანი მელოდიკით კრავს და აზრობრივად ამთავრებს სალექსო მონაკვეთს – სტროფს.

მაგრამ რითმას აქვს დემონის თვისებაც. იგი ბგერათშენაცვლებით ასოციაციებს უეცარ მიმართულებას აძლევს, აღძრავს მოულოდნელ სახეებსა და აზრებს.

რითმა იჭრება არაცნობიერი ფსიქიკის ქაოსში, ამხერვეს სქემებსა და სტერეოტიპებს, როგორც ჯადოსნური კვერთხი.

მოდერნისტებმა მოიტანეს მრავალი ახალი 'სუსტი რითმა, მაგრამ ასევე გზა გაუხსნეს ნაკლებ რითმებს – ასონანსს, დისონანსსა და კონსონანსს.

ერთგან ეფექტს ქმნიდა ბგერითი ჰარმონია, მეორეგან – დისჰარმონია, შეცბუნების, მოლოდინის გამტყუნების ეფექტი.

მოდერნისტი პოეტებიც რითმის ვირტუოზები იყვნენ. ამ სფეროშიც შეუდარებელი აღმოჩნდა გალაკტიონ ტაბიძე.

მაგალითების დასახელება ზედმეტად მიმანია.

მოდერნისტებისათვის რითმა ფეტიში იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, სწორედ მათ შექმნეს ვერლიბრის ნიმუშები (მაგ., გალაკტიონის „ჯონ რიდი“, ტიცინის „ორპირის ოქროპირი“, პაოლოს „ვეროპა“, ვალერიანის „ტომას ჩატერტონ“).

მელოდიკურად კეთილხმოვანია ის რითმები, რომლებშიც მონაცვლეობენ ერთი საწარმოთქმო რაგვარობის (მაგ., ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ, მ-ნ-რ-ლ), ან მსგავსი უღერადობის ბგერები (მაგ., როცა სარითმო კლაუზულას უძღვიან ან მეღერი, ან ყრუ თანხმონები). მაგრამ ეს პოეტმა ალლოთი უნდა იგრძნოს.

რიტმი და მელოდიკა

სუსტი ლექსიც რიტმულად მოწესრიგებულია, რადგან ეს არის სტრუქტურის თვისება და არა ინდივიდისა.

მეტყველებას რიტმულ სახეს აძლევენ მეტრი, რითმა, სტროფი.

პოეტის ტალანტი, ამ სქემის შიგნით, სიტყვათა ინტუიციური შერჩევით, ქმნის მელოდიკას, რომელიც ამოდის ენის ფონეტიკური თვისებიდან.

„მუსიკა უპირველეს ყოვლისა“; – მოითხოვდა პოლ ვერლენი, რადგან სიტყვის უღერადობა, კეთილხმოვანება და მდიდარი რიტმი არაცნობიერად ეხება სულის იდუმალ სიმებს, არაცნობიერ შრეს.

ფრაზების რიტმული რხევა შეესატყვისება სუნთქვას, სისხლის მოძრაობას, ქრომოსომების ცეკვას, ე. ი. ეს არის ბგერებში გადასული სიცოცხლე, რადგან ბგერა ემყარება სუნთქვას და მეტია, ვიდრე მხოლოდ კეთილხმოვანება.

ქართულმა მოდერნისტებმა, პოეტებმა და პროზაიკოსებმა, მიიღეს ასეთი მუსიკის კულტი.

ეეფონია ხშირად თავად არის ასოციაციათა გამომწვევეი, როგორც ეს არის გალაკტიონის პოეზიაში, როცა სიტყვის მდინარება, მისი ტემპი აღმოაჩენს უჩვეულო სურათებს და იდუმალი ძალით ამკვიდრებს სულში.

გალაკტიონის ლექსის მელოდიკის საყრდენია სონორული ბგერე-
ბისა და მრავალხმოვან სიტყვათა სიმრავლე (*„ღვლაღ ღვთისაჲ, მზუო მარი-
აჲ“*), მათი დაკავშირება ეოკალიზმის პრინციპით, ფონეტიკურად ერ-
თნაირი რაგვარობის თანხმოვანი ბგერების გადაბმა (*„ღღეს მისი ფერჲ
ნაირ-ნაირჲია“* – ს-შ, ა-აი, მ-რ-რ-რ; *„მე კი ზენი დამიფარავს მთაწმინდა“* – მ-
მ-მ-მ), ხმოვნებისა და თანხმოვნების პერიოდული განმეორება, კომპო-
გენური (ერთგვარი წარმოშობის) ბგერათშენაცვლება და ბგერათშე-
თანხმება.

მათი სტილიზება ალიტერაციაა. მაგრამ ჭარბი ალიტერირება მან-
ნებელია. იგი ეფექტურია, როცა იშვიათად და მოულოდნელად ვლინ-
დება. ხოლო ხმოვნებისა და მონათესავე თანხმოვნების განმეორება
მელოდიურ ლექსში სტიქიურად ხდება, რასაც ვერ საზღერავს თავად
ავტორიც (მაგ., მჟღერი და ყრუ თანხმოვნები, ბგერის ხანგრძლივობა
და ტემბრი, ხშული, ღია და ნაპრალოვანი ბგერები).

ასეთი სიტყვათგანლაგება იოლად აღიბეჭდება ცნობიერებაში.

ყოველი სიტყვა აზრს შეიცავს. ასე რომ, ინტუიციური თხზვა თა-
ვისთავად ემოციურია, როცა ბგერების ჟღერა იწვევს სურათებს:

*„ცაზე ვხედავ წეროებს,
თითქო მწკრივი ღეროა,
მღერენ რომანსუროებს,
რა ღროს რომანსუროა“.*

(ბგერები – *წ-წ, ღ-ღ*, სარიტმო კლაუზულები – *ეროებს-ეროებს, ეროა-
ეროა*).

გალაკტიონისათვის სიტყვის ეფფონია იყო თხზვის სტიმული, რომ-
ლითაც სწვდებოდა იდუმალ შინაგან სამყაროს.

მელოდიური ლექსით ასევე გამოირჩევიან იოსებ გრიშაშვილი, პა-
ოლო იაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ტერენტი გრანელი, როგორც
ადრე – რუსთაველი, ბესიკი და აკაკი წერეთელი.

მათ ლირიკაშიც შთაგონება არის ლელვის გამოტანა არა სიმბო-
ლურ სურათებად, არამედ – თანახიარ და თანაზომიერ ბგერათა
კონად, რომელთა ეფფონია განაღვებს ასოციაციურ სახეებს:

პაოლო იაშვილი:

*„პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,
პატარა ფილტვებს მიეპარა ჭლექი და ხველა,
ჩამოწყვილი, როგორც ყვავილი ტყეზლის,
შენ რომ იყავი იდუმალი და ჭიანჭველა“.*

იოსებ გრიშაშვილი:

*„რა მიუფარდა – აგარაკის დღეობა,
პაერეთი, მონასტერი, დაეღური.“*

*შენს ხსოვნაში დამრჩა მეგვიდრეობა
და მუხაზე - ორი ასომთავრული”.*

არამუსიკალურ, ეეფონიურად მიძიმე ლექსებს წერდნენ გრიგოლ რობაქიძე, ტიცვიან ტაბიძე, ადრეულ წლებში გიორგი ლეონიძეც.

სიტყვის მელოდიკით აღძრული განწყობილება გასდევთ ვასილ ბარნივის, კონსტანტინე გამსახურდიას, ბასილ მეღვიპეშვილის პროზას, დემნა შენგელაიას სიმბოლისტურ თხზულებებს.

ცხადია, მხოლოდ მელოდიკა არ ქმნის პოეზიის ღირსებას, მაგრამ იგი აღძრავს და უჩინრად წარმართავს თხზვის პროცესს.

მაგ., როცა გალაკტიონი წერს:

*„სულში გენით ატეხილი რკაკის ლერწამი
და ვანდუკის ლანდებივით მწვანდება ღამე“*

ეცნობით შემოქმედის შთაგონებას. ეს არის ნათქვამი პირველ სტრიქონში, სადაც შთაგონების სიმბოლო არის „ლერწამი“. მაგრამ განწყობილებას აძლიერებს და კრავს მეორე სტრიქონი, სადაც ვანდუკის ხსენება ბადებს უეცარ სახეს – ლანდევით მწვანე ღამეს. მას კი იწვევს ბგერათა კომპლექსი -ანდგ რომელიც სამჯერ მეორდება და მისივე ვარიაციაა ამა.

პოეტი მხოლოდ სიტყვის ხელოვანი როდია. იგი სტრიქონის ოსტატიც უნდა იყოს, რადგან სტრიქონთა გრაფიკა, გამჭვირვალობა თუ ბუნდოვანება ატარებს სიმსუბუქის სამოსელს და ასე რჩება ცნობიერებასა და ფსიქიკაში.

ასოციაციური სიუჟეტი

მოდერნისტების ლექსი აგებულია ასოციაციებზე. ისინი იშვიათად თუ წერდნენ ნაწარმოებს, რომელსაც ექნებოდა ფაბულა, ბალადის თუ პოემის მსგავსი.

ასეთი გამონაკლისთაგანია გალაკტიონის „მესაფლავე“ და „მერი“, გიორგი ლეონიძის „ყვიჩადის პაემანი“. მეტწილად და უპირატესად მოდერნისტების ლექსები, გამოხატავენ სულის ლელვას თუ აღწერენ გარეგან მოვლენებს, სათქმელს ასოციაციურად შლიან და სიტყვათა ელერადობით და საგანთა ფერადებით განწყობილებას გვიცვლიან.

ასოციაციათა მდინარებას იწვევს როგორც ბგერადი ხატი, ისე ერთი საგნის ვარიაციული ხილვა თუ ერთი უეცარი სახის მიერ მოგერილი იმპულსი. ხან მთლიანად ირინდება ცნობიერება, ხან – პოეტი სიტყვა-საგნების ნისლში მთვარეულივით მიიკვლევს გზას და მისი მეკსურია რითმა, ან – სახე-სიმბოლო.

რითმა განაღდაგებს მოძალებულ სურათებს.

გალაქტიონის სიმბოლისტურ და იმპრესიონისტულ ლირიკაში იშვიათად ვითარდება აზრი. ლოგიკურ მეტყველებას სცვლის ასოციაციური ნაკადები, ლოგიკა შენარჩუნებულია ენობრივ დონეზე. ენის ცოდნა და დაუფლების ხარისხი კი სტიქიურად არის მოცემული. უფრო სწორად – გალაქტიონის ლირიკაში მეტყველებს ენა, რომელიც ფსიქიკისა და ცნობიერების სიმბოლოა.

გალაქტიონის ლექსი მაქსიმალურად არის დაცლილი ეპიკური ელემენტისა და დიდაქტიური აზრისაგან. მათ ადგილს იჭერს რიტმული და მელოდიური მოძრაობა.

ასე, მაგალითად, „ღურჯა ცხენები“ დაწერილია ექვსმაგი შინაგანი რითმით. რომელსაც კრავს მეორე-მეოთხე ტაქების რითმათა რკალი.

ლექსის ამ ფორმას იმეორებს ტერენტი გრანელი – „მონოლოგი უდაბნოს ყევეილებზე“.

ქართულ პოეზიაში იგი შემოვიდა კონსტანტინ ბალმონტის სამყაროდან, ხოლო თავად ბალმონტმა ისესხა ედგარ ალან პოს „ყორანიდან“.

იზრდება ლექსის მუსიკალობა და თითქოს სასიმღერო სახე ეძლევა. მაგრამ გალაქტიონის ლექსის მელოდიკა გამორიცხავს მსუბუქ ინტონაციებს.

„ღურჯა ცხენებიც“ მისტიკური ხილვის – ფსიქიკური მირაჟების რიტმულ-სახეობრივი ფიქსირებაა და ამდენად არ იმღერება.

იგი ვერც ხალხში გაერცვლდა, რადგან რთული პირობითობა და მისტიკური სურათი ძნელად აღიქმება.

ასოციაციური სიუჟეტი მელოდიკითა და განწყობილებით ცოცხლობს მკითხველის მეხსიერებაში. პოეტი წმინდა ლირიკის ერთგულია, რომელშიც ყველა საგანი გრძნობის ალით ენთება.

ტერენტი გრანელი ამ პრინციპს უკიდურესობამდე მიიყვანს, როცა ყოველი სტრიქონი ცალკე გარბის, და ასოციაციებს ერთმანეთთან მხოლოდ ლექსის სტრუქტურა შეაკავშირებს.

არც ტიცინან ტაბიძე მიმართავდა ამბავს, როგორც ლექსის მასალას. მაგრამ იგი ყოველთვის იღვას, მძაფრ სათქმელს უმორჩილებდა თხზვას. ამიტომ ასოციაციები ერთი თემის რკალში იყო მოქცეული, არ ნებდებოდა მათ და ლექსიც კომპოზიციურად დასრულებული გამოსდიოდა.

ასოციაცია ამოძრავებს საგნებს, სიცოცხლის უამოვლენაა და სურათების უეცარი შეხვედრა ამძაფრებს განწყობილებას.

საგნის ტროპული სახეცვლა

საგანი – მთვარე, ბალახი, ხე – ათასეული წლების წინათაც ისეთი იყო, როგორიც დღეს არის. მაგრამ პოეტის შინაგანი ღელვა, ნაგრძნობის სახეობრივი სიგნალები ცვლიდა აღქმას, შედეგად კი – აღქმის ობიექტებს, ხილულ თუ უხილავ სინამდვილეს.

თითქოს დეფორმირდება საგანი, იკუმშება ან განიერცობა, ეცვლება ფერი და თვისება სულის მოძრაობის შესაბამისად.

ამიტომ სიტყვაში მოქცეული საგნის ხატი მკვეთრად განირჩევა ნატურისაგან (იისფერი თოვლი, ნაცრისფერი წვიმა, ყვითელი საშინელება, მოტეხილი ზაფხული).

სინამდვილის სახეცვლა ხდება მეტაფორისა და შედარების მეშვეობით. მაგრამ პოეტს არ სჭირდება იმის ცოდნა, თუ რა ტექნიკური ხერხი გამოიყენოს.

ეს ხდება სტიქიურად, ალლოსა და გემოვნების მიხედვით.

თითქოს ახლა იშვა ჩვენთვის ნაცნობი საგანი. მოხდა მისი თვისებების გადასახელება ასოციაციურად, რომელთაგან ერთზე ჩერდება ცნობიერება.

მხოლოდ გალაკტიონის თვალმა დაინახა, რომ

„ანგელოზს ექირა გრძელი პერგამენტი

და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის“.

„ანგელოზი“ პოეტის სატრფოა, „პერგამენტი“ ბარათია, რომელიც განშორების სამწუხარო ამბავს იუწყება. ამიტომ აქვს „სიფითრე“, ხოლო „ფოთლებს“ იმიტომ ისერის, რომ სატრფოს გული ატკინოს.

„ფოთლებმა“ წარმოშვა „სიფითრე“ (ფთლუ – ფთრე). ხოლო მათმა კავშირმა – „ბარათი“ (ბრთ).

ტრივიალური ფაქტი სიტყვათა ცისარტყელით შეიბურა.

ამგვარი რთული აღქმა მოიცავს უეცარ სიმბოლოებს, რომლებიც ავლენენ სულის მოძრაობას და ენობრივ სიგნალებად ქდურენ.

ერთმანეთს ეუღლება მელოდიკა და განწყობილება.

მაგრამ საგნებს ცვლის არა მხოლოდ მელოდიკა, ბგერების ორგანიზება, არამედ ხედვაც, როცა რიტმი რჩება მეტრის სქემაში, თუმცა ფარულად მაშინაც ერევა სახეთწარმოქმნაში:

„უცემა თმები ღურჯ სარკეებს, ვით ნაკადული“;

„ბაღში შეშლივით კედება თებერვალი“;

„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალაია,

მარად და მარად ტყდება ჩინარი“.

სიმბოლისტები იმიტომ წერდნენ უპირატესად ლექსებს, რომ ეწადათ ამგვარი ხერხით მცირე ფორმაში სათქმელის მაქსიმუმის კონდენსირება.

ლექსის მოდელი ემყარება ენის პოტენციას, მისი სტილიზებული სამეტყველო ფორმაა და ამდენად – ყველაზე ნაციონალური, არაცნობიერად წარმოქმნილი ფენომენი.

მხოლოდ ის მოდელია გამარჯვებული, რომლითაც შეიქმნა შედეგები, ახალი თვალთ რომ დაგვეანახა ბებური საშუარო და გვაგრძნობინა მისი მარადი სიმწვანე.

10. ლირიკის ელიზიუმი

„ლირიკამ დასწვა ყველა ხიდეები და წინ მიდის იქნებ ეს წინსვლა ლირიკის კატასტროფით გათავდეს, მაგრამ უკან დახევა შეუძლებელია დღეს ლირიკაში სიჭრუსთან ერთად გრივადღებია დღეს ლირიკაში ტიუტჩევის ქოსია გამეფებული და პოეტი დაურიდებლად მიუტანება წინ, თუმცა იცის, რომ დამარცხება აუცილებელია ქართული პოეზია ჯერ ეპოსით ამაყოფს. მაგრამ დგება საბედისწერო წამი, როდესაც ლირიკის გოლგოთაზე უნდა ავიდეს ქართველი პოეტი, როდესაც ქართული პოეზია, როგორც სალომეა, მოითხოვს იოქანანის მოკვეთილ თავს“.

ეს ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებია.

ხოლო ალექსანდრ ბლოკი ასე დაწერს, როცა შეხედავს იტალიის ზეცას:

*„ჩემი მოკვეთილ, სისხლიან თავით
გაივლის ლანდი სალომეასი“.*

რადგან პოეზია – ეს იგივე მსხვერპლშეწირვაა, სადაც ზეარაკია თვით პოეტი, ხოლო სტრიქონები – სისხლისა და ცრემლის ნაკადი, ვარდების სუნთქვა და ცისფერი თვალების ვლევა.

როგორც ოდესღაც ჩვენს წინაპარს, ისე პოეტებს კვლავ აოცებდათ ზეცა, ღამე, მთვარე და ვარსკვლავები.

ღამე და მთვარე

მაისის ღამე და მთაწმინდის შემოდამება უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილს და სადამოს, როგორც მეგობარს, ისე შემოუტრფოდა.

ქაში რომ იცვალა, იღია ჭავჭავაძემ ნათელი, მოუსვენარი დღე არჩია და ასე განაცხადა:

„პოე, ბნელო ღამეზე მეჯავრები შენ მე!“

ღამე რომანტიკული ოცნების სადგურია, სირუმე და იღუმალეობა, ჩრდილები და ლანდები, დღე – პრაქტიკული ცხოვრება, ტანჯვა და წვალება, შრომა და გარჯა.

კვლავ იცვალა ქაში და პოეზიაში ისევ დაეშვა ღამის ბურუსი და მოიტანა *„ღამსხერეული ჩრდილების ჩუქურთმები“*. შარლ ბოდლერი აღიღებდა ღამის სიბნელესა და მწუხრის სინაზეს, დღის აკონიას.

ღამის კულტს იწვევს გალაკტიონ ტაბიძე. მაგრამ ღამე განუყრუ-
ღლია მთვარისაგან და პოეტიც ორივეს ერთად ჰკრეცტს.

გალაკტიონის მესაიდუმლე მხოლოდ ღამეა. მხოლოდ მან იცის
მისი ტანჯვა, რაც არ ესმით მეგობრებს. მარტოდშენილის სატი-
ვარს იზიარებს მთვარით დაფენილი, ლურჯ სვეტებით დასერილი
უკუნი.

რა საიდუმლოს ატარებს პოეტის გული, რომელსაც ვერც ღვინო,
ვერც ქალი ვერ წაართმევს?

აღბათ ეს არის სულით ობლობა და მიუსაფრობა, რომელსაც
საღბუნე სჭირდება და არა ახსნა. ამიტომ არის ღამე ერთადერთი
ნამდვილი მეგობარი:

„იცის როგორ დაურჩი ობლად, როგორ ვეწე და ვეწამე

ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!“

თითქოს ამ ლექსის გაგრძელებაა „მთაწმინდის მთვარე“, რომე-
ლიც გაგვახსენებს ბარათაშვილის „შემოღამებას მთაწმინდაზე“ და
აკაკის „განთიადს“.

აქ ყველაფერი სიზმარეულია – ცისფერი ლანდები, მთვარე – ზამ-
ბახი, თეთრად მოელვარე მტკვარი და მეტეხი. მთაწმინდის ამ იდუ-
მალ ბურუსში შემოდის ორი აჩრდილი – აკაკი და ბარათაშვილი,
რომელთა სიახლოვე იწვევს სულის აგზნებას და სიკვდილის მონატ-
რებას:

„და მეც მოგვლე სიმღერებში ტბის სველიან გულად,

ოღონდ ეთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხვდა!“

ის, რაც საიდუმლოა „მე და ღამეში“, აქ არის გამხელილი. ეს არის
სულიერი ღელვისა და განგაშის ლექსად აღმოთქმა, რაც სიკვდილის
ტოლფასია და ნიშნავს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მეტყველე-
ბას, თითქოს მთაწმინდა პარნასია და პოეტი მთელს ქვეყნიერებას
მიმართავს უკანასკნელი სიტყვით.

„მთაწმინდის მთვარე“, ისევე როგორც „განთიადი“, იწვება ღამეუ-
ლი სურათის წყნარი აღწერით. მაგრამ „მღუმარე სასაფლაოს“, დიდ სინუ-
მეს, დიდ წინაპართა ღანდებთან შეხმიანებას მოაქვს ჟრუოლა და
თრთოლეა, ზეადმტაცი გრძნობა.

გალაკტიონის მთელი პოეზია ღამეული იდუმალებითაა აღვსილი
და მთვარის ალით ანთებული. მაგრამ ზოგჯერ მასაც დასცდებოდა
ღამის სამდურავი: „წყველო ღამე, გზა დაძვირალე“:

ფუტურისტი მარინეტი სიმბოლისტებს „მთვარის უკანასკნელ მიჯნუ-
რებს“ ეძახდა და მათი პოეზიიდან გაძევებას მოითხოვდა.

ლირიკის ელიზიუმიდან მთვარემ, რომელსაც ჩუენი წინაპრები მთავარ

ღვთაებად წარმოიდგენდნენ, შეაშუქა კონსტანტინე გამსახურდიას პრო-
საში და ღამის მკროალი ღანდები მოიყოლა.

ღამისა და მთვარისადმი ერთნაირი ღამოკიდებულება აქვთ გალაკ-
ტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც თავის
უპირველეს წიგნს „მთვარის მოტაცება“ დაარქვა.

თბილისის ღამეები – უძილობით გაღურჯებული და მთვარით
გათეთრებული, გულზე ესვენა ტერენტი გრანელს. მისთვის „ღღუ ულ-
მოზლია“, ღამე – „შავი და საშინელი“.

იგი არ ყოფილა ღამის მეგობარი, რომელიც აშინებდა კიდევ-
თუმცა მის ლექსებში ღამის უკუნს გაუშლია ფრთები.

ტერენტი გრანელი საღამოების, მწუხრის პოეტია, როგორც ვაღე-
რიან გაფრინდაშვილი, რომლის ცეცხლოვანი დაისები ამოკალიძის
ცხენებით ირევიან.

ღამის იღუმალებას აესებს გალაკტიონის იებით საესე კუბო და
ტერენტის სანთელი:

*„კუბო კი ღამით საესეა იით
და წაქეული სვეტები ღვება,
ამოდის მთვარე და სამაით
ფერმკროალ ქალების მიმოდის წება“:*

მათგან განსხვავებით მზის პოეტები იყენენ აღექსანდრე აბაშელი
და პაოლო იაშვილი. ღა როცა ღამის ჩრდილები ემოსათ, მაშინაც
მზის სიცილსა და მზის ფარშევანგებს ელოდნენ.

„მზის სისხლი“ აღელვებდა გრიგოლ რობაქიძეს და ამიტომ ტრია-
ლებს მის სტრიქონებში გამაოგნებელი სიცხის აღმური, დგას „ღღი
შუაღუ“ და მზის ძალა გადადის სისხლსა და ცეცხლში.

ქარი – სევდიანი, თოვლი – ალმაცერი

ღამე და მთვარე აღვიძებდა მელანქოლიას, იხსნებოდა სულის ჭრი-
ლობები და მარტოდშთენილი პოეტი თავის ტკივილებს სიმბოლურად
ქცეულ ტკივილებს ანდობდა. ეს სიმბოლო ხან ჩვეულებრივი მეტაფო-
რა იყო, ხან – ჰამლეტი, ოფელია, მეფე და პაჟი, ანდა – წამიერად
გაელვებულ სიტყვათა ღაშქარი.

პოეტის სიტყვა – ეს იგივე საგანია, თრობა და ექსტაზი.

სიტყვებად იშლებოდა შინაგანი ღელვა, რომელსაც ოცნების ქარი
ღანდებად და აჩრდილებად ფანტავდა. სევდიანი ქარი კი სხვადასხვა
მხრიდან ქროდა – მოდიოდა წარსულიდან და სუნთქვას ერწყმოდა.
მოჰქონდა ნისლი და მტყერი, წვიმა და თოვლი. ის იყო ხან მშობლი-
ური მთის ნიაფი, ხან – ქარი მოგონებათა.

გალაკტიონის პოეზიაში ქერიან სევდიანი, საშიშარი და ყურადი ქარები, რომლებიც ხეთა ჯარს რკალად ხრიან და შორი ციდან ნისლიანი ფიქრები ჩამოაქვთ.

გალაკტიონის ვეყმერები, ტიცვიანის ბალაგანი, ვალერიანის ყან-ტომები, პაოლოს წითელი ხარი, ტერენტის საყლაკის ლოდები ჩნდუ ბოდნენ პორიზონტსე და ქრებოდნენ, როგორც მირაჟი და შორი ჩეყ-ნება.

ყოველი მათგანი განწყობილებას და სულის მოძრაობას ასხივებ-და. განწყობილება კი იყო დაღლილი და ნაღვლიანი, რომელსაც შეეფერებოდა შემოდგომის დღე, ზაფხულის ღამე ან ზამთრის თოვ-ლი, ყვითელი ფოთოლი და იისფერი ფიფქები.

„ორიბ, აღმაცური“ თოელი ეფინებოდა მიდამოს და ყინვა პირს უკ-რავდა ტალახს.

„დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“,

– ამბობდა გალაკტიონი.

ამგვარი დაღლა და ნერვიული თრთოლვა გადაედოთ პრისის გმი-რებსაც. მათაც დასსემდათ ფიქრი, ჭვრეტა, განსჯა და კონფლიქტი სინამდვილესთან.

თოელს კი უნდოდა კიდემდის აეესო ქვეყანა (კ. გამსახურდია).

მაგრამ დროდადრო სული, როგორც რაში, თაყს აიწყვეტდა. ქვეყა-ნას კი პფარავდა ნისლი, რომელსაც შეეცვალა ღამის ბინდი, უკუნი თუ მთვარის შუქი, რადგან მეტი სინათლევ მავნებელია, როგორც უთქვამს კონსტანტინე გამსახურდიას ფოტოგრაფს.

ბალი – ფანტაზმა

მოდერნისტების პოეზიაში ქართული ღანდშაფტი ამეტყველდა. თვალს აწვნარებს ქართული მიწის მწვანე საბურველი, ზურმუხტის-ფრად რომ წარმოედგინა აკაკი წერეთელს.

შრიალებს კოლხური ისლი, სველი ბალახი, დაფნა და ვარდი. ეაჟა-ფშაველას დეკა და ღვია. მაგრამ დაერთო ადრე უცნობი ჰამბახი და იასამანი, პალმა და ატმის ყვავილი.

გალაკტიონი წერდა ვარდების საგალობელს, ოდას ვარდისა, რო-მელიც დასაბამიდან პოეტის განუყრელი ატრიბუტია.

თმები ძეწნა და მიმოზებია, ტყე – სიზმარი და ტაძარი, ბაგე – ატმები, ბალი – ფანტაზმა, სამშობლოს მთები – დაბინდული ქლიაფი, ხაესი – ლურჯი ზღაპარი, ატმის რტო დაღლილია, პალმა შემქობი-ლია ცხედრით, ზამბახები მთვარეულია...

ეაჟა-ფშაველას ბუნების თავისთავადი ფენოქენი ხიბლავდა, მისი

სილაშაზე თუ სასტიკი სტიქია. იგი ბუნების წიადში ცხოვრობდა, როგორც სასახლეში და ადამიანი მის ნაწილად, მის შვილად მიიხნდა.

ხოლო მოდერნისტი პოეტი თავის განცდების დიდუგშია გამოკეტილი და ბუნების პანთეონს შინაგანი სამყაროს სიმბოლოდ მიიხნევს.

მისთვის ბუნების მოვლენები, მცენარეთა და ცხოველთა ქვეყანა ფსიქიკური მირაჟების გაგრძელება და გაშიფრება, სახეობად ჩეყნება.

მოდერნისტებს ელეა და ქუხილი, ვეფხვი და ლურჯა ცხენი, ალვა თუ ზამბახი აინტერესებთ მხოლოდ როგორც სულის უკუყენა, დღელვის, ნადველის, სიხარულის სურათებად გამოტანა, როგორც შედარება და მეტაფორა.

მაგრამ უფრო ხშირია მცენარეთა სახელების ხსენება, მეტწილად ვარდ-ყვავილებისა (*„და ყვავილების არის მრავლობა“*), რაც ნაწი გრძობებისა და ესთეტიური ნორმის შესატყვისია:

*„პოეტს ყოველთვის აქვს შედარება:
მისის ვარდი, სიცოცხლის ვარდი“.*

ამიტომ პოეზიის ქარში იკეცებიან ხილული ვარდ-ზამბახები, ისამნები და ატმის რტოები. მათ სიზმარეული შუქი კმოსათ და თიოქოს გაღმა ქვეყნიდან ანათებენ.

გალაკტიონის *„ნაცნობი ბავი“*, *„უცხო მღვლო“*, *„მოუწვეული მწეანე ნაპირი“*, ისევე როგორც *„სხვა სიცოცხლე“* და ცივად თვალგახელილი ცერერა – ირრეალური სამყაროა.

ჩეყნი წინაპრები ხეებს თაყვანს სცემდნენ და აღმერთებდნენ. პოეტებში მოხდა ატავისტური უკუქეყვა და მათ ზმანებაში გაიფოთლა სულის წვა და ტოკვა – ხედ, ბაღად, ვარდად, ვარდების *„სისხლიან ბაგეებად“*.

ყორანი და გედი

ამ სამყაროში, რომელიც ხან ფანტაზმა, ეფემერა და ფანტომი იყო, მოდერნისტებს ორი ფრინველი იზიდავდათ – ყორანი და გედი. ერთი ედგარ პოს საშინელებათა ქვეყნიდან მოფრინაყდა და სიკედილი მოქქონდა, მეორეს – ფრანგი პარნასელებისა და სიმბოლისტების ემბლემა მოეხვია და კეთილშობილ სიცოცხლეს ნიშნავდა.

ერთი შავია, მეორე – თეთრი.

გალაკტიონი ყორანის სიახლოყეს სიცოცხლის ჩაქრობას უკაეშირებს; ყორანთა ლაშქარი ახლაყს კუბოს; ყორანს მოაქქს ბნელი ჩრდილები და ქალის მოწყვეტილი ნაწი ხელი.

ყორანი უხილავი კომპარის ხილული ხატია, რომელიც მუდამ მის-
დეკს ეუბოს. სულერთია – ქარში მცურავი იქნება იგი, უპირქუბო თუ
იით სავსე.

ბნულ ღამეში ყორნების ჯარი ქიმერებს ემგვანება.

ზოგჯერ ანრდილს ყორანი არცა პქეია, მაგრამ გვესმის მისი ფრო-
ბის ავბედითი შრიალი.

გალაკტიონის თეთრი ფერი მიწიერ სიცოცხლეს აღნიშნავს.

ახალგაზრდა დედოფლის დასჯა იგივე თეთრი გედის მოკვლაა.

სიკვდილთან შერიგებული, ქარში მიმავალი პოეტი თეთრი ტან-
საცმლითაა მორთული; სატრფოს ყელიც თეთრ გედს აგონებს, რო-
გორც იოსებ გრიშაშვილს. ხოლო თოვლის სითეთრეს ქალწულს
ადარებს.

ასე რომ, გედი და თოვლი ერთიანდება სითეთრის ნიშნით, რაც
პოეტისათვის სისპეტაკისა და უნაზესი გრძნობის, კრძალვისა და
აღტაცების გამომხატველია.

ამიტომ შეენის მაღალ მწვერვალებს სითეთრე, ხოლო თეთრი მთა
თეთრ რაშად ელანდება.

ვალერიან გაფრიდაშვილი, ისევე როგორც მეტ-ნაკლებად ყველა
სიმბოლისტი, ამავე მოდელს იმეორებს:

პოეტისათვის თოვლი „*აზრის გეღა*“ თეთრია ოფელია, თეთრია
სატრფოს ქოშები, ოცნება, სარკე, ვარსკვლავი, ცხენი თუ ღამე.

ამქვეყნიურ სისპეტაკეს თეთრი ფერი აკრავს.

მაგრამ გაფრიდაშვილის გედი ზოგჯერ ოქროსფერია, ხანაც –
შავი, როცა ის დასცქერის ქამლეტის საფლავს, ანუ მწუხარება მას
ფერს უცვლის.

ტბაში ჩაყინული მალარმეს გედი გაფრიდაშვილს კლდეზე მი-
ჯაჭვეულ პრომეთეს აგონებდა. ხოლო გალაკტიონის ცისფერი გედი
დემონის თანამგზავრია.

ცისფერ, შავ თუ თეთრ გედებს ემეზობლება შავი ყორანიც. იგი
საიქიოს მახარობელია, რომელიც პოეზიაში ედგარ პოს „Nevermore“-ს
იმეორებს.

ასე რომ, აქაც თეთრი გედი სიცოცხლეა, შავი ყორანი – სიკვდი-
ლი.

ტიციან ტაბიძისათვის პოეტი ყელწაგდებული გეღია და როცა
ტრაგიკული განცდა მოეძალბოდა, მოწვევტილ ვარდებს მოკლულ
გედებს ადარებდა.

პოეზიას ზოგჯერ ნიპილიზმის ანრდილიც ეწვეოდა და მაშინ თეთ-
რი გედის სისპეტაკეს სცვლიდა ტილისა (ვალერიანი) და გომბეშოს
(ტიციანი) სახელები.

უმჯეო და გულგატეხილ პოეტს, როცა ღრმა დეპრესია იპყრობდა, ვერც ღამის ბინდი ამშვიდებდა, ვერც მთვარე, ვერც მწვანე ხეების შრიალი. მაშინ მხერა გარბოდა ცისკენ, რომელშიც წინაპართა სულები ეგულებოდა. მარადიული სინემე და სიწყნარე.

„ზეცათა ლაჰვარდი“

მოხეუც მებორნეს – ქარონს სტიქსის წყალზე, გაღმა მხარეს გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები.

ასე სწამდათ ძველ საბერძნეთში.

ქრისტიანულმა რწმენამ სული გააუკედავა და ზეცაში მოათავსა, რომელიც სტოეებს მიწაზე დარჩენილ სხეულს.

სულისა და სხეულის განყოფა არის ფიზიკური სიკვდილი.

რომანტიკოსებმა და სიმბოლისტებმა მხერა მიაპყრეს ვარსკვლავთა სამყაროს და ნაირგვარი ფანტაზიით შემოსეს შორეთი, როგორც იდუმალი და მიუწვდომელი მხარე, რომელიც დაჰყურებს ქალაქსა და სოფელს.

ამიტომ არის ცისფერი მარადიული არსებობის ანუ სულთა საუფლოს ნიშანი, რომელიც პერიოდულად გადადის საგნიდან საგანზე, რეალურად კი – სიკვდილის ნათებაა, სინემე და გარინდება.

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,

პირველად ქნილსა ფერს

სიყრბითგან ეტრფოდი“ –

წერდა რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც აღმოუჩინა ქართულ პოეზიას სეუდის ახალი საღგური – მთაწმინდა.

ისეე გაეხსენოთ მისტიური ცისფერი ყვაეილი, რომელიც პოეტების ცისკენ წასული ოცნებაა, როგორც „სუნთქვა არა აქაური“ და „არაამჟვენიური დარდი“.

ტერენტი გრანელისათვის ეს იდუმალი „ცისფერი ყვაეილი გამოზნდება სულიდან“. ცისფერი ყვაეილის ღოთია ვალერიან გაფრინდაშეილი. ცისფერი ყვაეილი გულში აქეს ჩარგული კოლაუ ნადირაძეს.

გრანელის თქმით, პოეზია ზეცაა, ცხოვრება – ტალახი, ცა ლაჰვარდია, მიწა – კუბო.

სიმბოლისტი გალაკტიონ ტაბიჰე თავის ქალას ანუ სიკვდილს ამკობს არტისტული ანუ მისტიური ცისფერი ყვაეილებით, რომლებიც მხოლოდ გაღმა მხარეს ხარობენ და ჩვენამდე ფერთა ათინათით აღწევენ („უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა“).

გალაკტიონის პოეზიაში ვარდ-ყვაეილების სიმრავლე ყოველთვის რეალური როდია. მეტწილად ისინი მისტიური ყვაეილებია და რომან-

ტიკული ცისფერი ყვავილის – „ნაცნობი ყვავილის“ ვარიაცია, რომლის სხიუები უხვად იფრქვევა (მაგ., „მე თვალთ ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწეროდა ცისფერი ვარდები“)

ერთმანეთს ენაცვლება ლურჯი, ცისფერი, იისფერი.

ცისფერია მერის თვალები, ლურჯია დღე, იისფერია თოქლი, ლურჯია ოცნება, ლურჯია ელვა, ლურჯია ანგელოზი, ქრიან მიწასე და ცაში ლურჯა ცხენები, ლურჯია მწვერვალი, ლურჯია ანრდელი, ცისფერია სიტყვა, ცისფერია მწუხარება, ლურჯია სარკე, ლურჯად ეღვარებს სილა, ცისფერია მდინარის საღამო, ლურჯია იასამანი, ლურჯია მოგონება, ლურჯია მონტევიდეო, რომელიც ცასავით შორს არის...

„გალაკტიონში ლურჯი ფერია“; – შენიშნაედა ტერენტი გრანელი, რომელსაც „გაფრენა ცისკნ“ ანუ მარადიული გარინდება ენატრებოდა.

ცისფერია ტერენტის თოვლი, ღამე, ბალი, სეედა, ქვეყანა, ლურჯია ოცნება, საღამო, ფიქრი... ლურჯი და ცისფერი პერიოდულად მეორდება, როგორც სინონიმები.

ლურჯი ფერის მისტიკურ ბრწყინებას, რომელიც პათიოსან თვლედ ბად ანათებს, უერთდება ზღვის ფერი, ზღვაზე დაცემული ცის სინათლე.

ზღვა უცხო იყო ქართული მწერლობისათვის, თუმცა საქართველო ზღვისპირა ქვეყანაა. ალბათ იმიტომ, რომ ზღვაში ვერ ჰპოვეს მიწა – კუნძული.

ზღვის რომანტიკა გალაკტიონ ტაბიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ დაამკვიდრეს, რომლებმაც დასაეღეთიდან შემოიტანეს იგი.

ვალერიან გაფრინდაშვილის ზღვას ბეჭდის თვალში სურს განმარტობა; წყნარია ტიცვიან ტაბიძის ზღვა, თითქოს არცა ყოფილა; გალაკტიონი ზღვის ფსკერზე ეძებს დიოსკურიას – ქალაქი-სფინქსის ნანგრეებს.

ზღვისა და ზეცის ლაჟვარდის ფერი სატრფოს თვალბად ელანდებოდათ პოეტებს, როგორც მშფოთვარე ცხოვრება და მარადიული სიმშვიდე („ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგაეხარ ზღვას“ – კონსტანტინე გამსახურდია).

ასე რომ, ქართველმა მოდერნისტებმა სამ ფერში დაინახეს ქვეყანა. ესენია: თეთრი, ლურჯი და შავი.

თეთრი ამქვეყნიური სისპეტაკეა, ლურჯი – ზეცური სიწმინდე, ხოლო შავი – ქვესკნელის ფერია.

პოეტის ოცნება თავს ევლებოდა და იჭრებოდა სამივე სფეროში, იკაროსის ფრთებით, ლურჯი ხომალდით თუ ლურჯა ცხენებით.

ლურჯა ცხენები

ციხვერყანწელები ერომანეთს ნიამორებს ადარებდნენ (ნიამორი – ქურციკი). ხოლო რომანტიკული თუ მრისხანე ცხოველთა სახელები არ ხიბლავდათ და ნაკლებად ახსენებდნენ.

რუსთაველს ნესტანი ვეფხს აგონებდა და მთელი პოემა ვეფხის სიმბოლიკითაა დასოლილი. მაგრამ მამაკაცთა განუყრელი ატრიბუტია ცხენი.

ბარათაშვილი მერნის სრბოლით ცდილობდა ბედისწერის კლანჭებიდან გასხლტომას. მაგრამ მას „ზარმაც ცხენს“ უწოდებდა გალაკტიონი.

კონსტანტინე გამსახურდია ლამაზ ქალს საყვარელ ცხენს ადარებდა და ცხენსაც შემოაქვს „დემონური არქულარეა“ მისი გმირების ცხოვრებაში.

მკითხველს ახსოვს გრიგოლ რობაქიძის ლამარას წითლა და მატასის შავი ცხენი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას გუნტერი, არაბია თუ დარდიმანდი.

გალაკტიონ ტაბიძემ რეალური ცხენები სიმბოლური ცხენებით შეცვალა, სულის ქარიშხალი მისტიკურ ლურჯა ცხენებად დაინახა, რომლებიც გადალახავენ სტიქსის წყალს და ზოგჯერ უკანაც ბრუნდებიან.

ისინი ხან აპოკალიპსიდან მოჰქრიან („ლურჯა ცხენები“). ხან – დემონური სულის სრბოლას განასახიერებენ, დაუდეგარი სულისა. რომელიც მიწაზე ვერ ეტევა („ეფემერა“).

ცხენტა შეჯიბრებასე ლურჯა ცხენები დაქრიან ეფემერული და ფერადი ქარებით. ეფემერა მონეენებაა, ლანდი თუ პალუცინაცია.

ამიტომ ეს სვეულებრივი შეჯიბრი როდია, არამედ მისტიკური მარულა, რომლის ასპარეზია მთელი სამყარო, ხოლო ლურჯა ცხენებად გასაგნებული განწირული სული თავს ეელება დედამიწას, პოლიფუსს, ლალის კართაგენებს და უსაზღვრო სივრცეს.

მხედარი არ ჩანს, მაგრამ იგი ჰგავს ფაეტონს, ჰელიოსის ძეს, რომლის ეტლში შემბული ცხენები მზისკენ ისწრაფოდნენ. მაგრამ მზის მხურვალეობით დაფერფლილი ძირს ცვიოდნენ.

ამიტომ „უძებს დაღუპვას“ პოეტი – „ლანდი არამქვენიურ დარდით გადამწვარიისა“, უხმობს უსაზღვრო, ეფემერულ სივრცეს:

„ეფემერობრივ სივრცე ივოს, შევლა კი არსაიდან“.

ასე რომ, გალაკტიონის მშფოთვარე სულის სიმბოლიკა – ლურჯა ცხენები ამჯერად ფაეტონის მითში აღდგნენ

მაგრამ ცხენის გვერდით ვირიც შემოვიდა პოესიაში (რადუნ გეუ

ტაძე). რომანტიკული, ძღვეამოსილი ლურჯა ცხენები შეცვალა მორ-
ნილმა სახელდარმა. რომელიც უგმირო და ირონიით გულდახრული
დროის ემბლემა.

ლურჯა ცხენების უსასრულო ქროლეა ბრძოლაა. ვირის მოთმინე-
ბა — შრომა.

„ქალაქის ქალა“

შემდეგ დაღლილი ოცნება მიწაზე ეშვებოდა. ეს მიწა ქალაქი იყო,
რომელიც ცას ემუქრებოდა. მოდერნისტები ქალაქის პოეტები იყვნენ,
ქალაქიდან გააყურებდნენ ისტორიასა და სოფელს, ხეებსა და მთების
კალთებს.

ბუნების პანთეონი თითქოს დაკარგული სამყარო იყო, რომელიც
ოცნებაში იფოთლებოდა, რომელსაც ეშურებოდნენ, რომლითაც სულს
იწინარებდნენ.

პოეტები ქმნიდნენ ქალაქის რომანტიკას.

„მღვლვარება ღრზის ქალაქის ქალას“, — წერდა გალაკტიონი.

ქალაქი, როგორც ითქვა, მოდერნისტებს ურსხულად წარმოედგი-
ნათ. მაგრამ იგივე ცეცხლისთვალეა ციკლოპი იყო თრობისა და
ბოძემის სათავე, ლეგენდებისა და იღუპალების მთიეელი.

გალაკტიონის ქალაქი მუსიკის პანგებში ტორტმანებს. უკრავს ორ-
კესტრი, მწუხარე forte და ნელი piano, ხმაურობს რესტორანი, ელავს
ლალი და ქრიზოლითი, საყურე და ყელსაკიდი, მთვარე და ავტომო-
ბილის ყვითელი თვალეები, შრიალებს იასამანი.

გალაკტიონის ქალაქი ძველ სასახლეთა ცხოვრების გაგრძელებაა,
რომელიც დაიმსხერა, როგორც გეგუთი და ოცნებაში მიმოიშალა.
ამიტომ არის თბილისი ასოციაციების აღმძვრელი — დაფნა და ვარ-
დი, ნერონი და ღვთისმშობელი, გილიოტინა და ეშაფოტი.

მაგრამ ქალაქის ხმაური ნერვების მტერია, წინარი ოცნების სასა-
ლაო, რომლის შფოთი და პრაგმატიზმი სულს ეუცხოება.

„კმარა! მოეშორდი შფოთიან თბილისს!“

არ მსურს მახსოვდეს მისი სახელი“,

— იტყვის ილაჯგაწვეტილი გალაკტიონი.

სამაგიეროდ გულს ამშვიდებს მწვანე ველი, მქუხარე არაგვი, მცხეთა
და სეპტიცხოველი, კარალეთის დღეების მოგონება. მთების ლურჯი
კამარა.

ტერენტი გრანელს თუ ერთი მხრივ თბილისის დაძვეები უყვარდა,
თუ აქ ხეტიალი და სიკედელი ენატრებოდა, მეორე მხრივ წერდა —
„ქალაქი გავს მორიელს“.

იოსებ გრიშაშვილის მიერ დანახული ქალაქი – ეს არის ძველი თბილისი, რომელიც არ არის თანამედროვე ცივილიზაციის ცენტრი. ხოლო ცივილიზაციის და ახალი ურბანიზმის შემოტევა მტკიცებულადაა აღიქვა, რადგან ახლებში არ აქაყდა „შა მოფარული“.

ვალერიან გაფრინდაშვილის ქალაქი თეატრია, რომელიც დაისებოს ცეცხლში იწვის. გარეთ, ბაღში, ანათებს მოფარე, დგას ქანდაკება და კანკალებს ძაღლი. ოთახში კი არის ფარდა, ვაზა და სარკე. რომელშიც უცნაური ღანდები მიმოქრინან.

ეს რეალურად, ხოლო მისტიკურ პლანში ტიცვიან ტაბიძეს ესმანება ქალდეას ქალაქები. დროშა ქიმერიელთა, გალაკტიონს – „ღალის კართაგენები“, რაც გაგვასხელებს აპოკალიპსის კვადრატულ სეკციურ იერუსალიმს, რომელიც ელაგს ოქროსა და მინის მსგავსად.

თანამედროვე ქალაქი კი ორსახოვანი იანჯია. იგი ერთდროულად არის კულტურა და ცივილიზაცია. კულტურა სულიერებაა. ეს არის – სიყვარული, მუსიკა, პოეზია, ღმერთი, ცივილიზაცია კი კომფორტია, ხორციელი ტკბობა, ბირეა, სტერლინგი, ელექტრონი (იხ. „სიმახინჯის კულტი“).

„დიდი ქალაქის ავხორცობით ტანდალაული“ (კოლაუ ნადირაძე) პოეტი სტოვეებს ქუჩათა ღაბირინოებს და ბინაში ბრუნდება, რომელიც იცავს მის მარტოობას.

ოთახში თვალი ახალ სასწაულს ხედავს – ეს არის სარკე.

ოთახი და სარკე

სარკე სიკვდილისა და სიყვარულის საიდუმლოს ინახავსო. – უთქვამს მოპასანს. მაგრამ ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ ნაქადაგობი „ოთახის ესთეტიკა“ უკაეშირდება სტიფან მალარმეს სახელს, ისევე როგორც რილკეს „სარკის ანარეკლები“ და ბრეუსოვის „ანრდილების სარკე“.

ქართული პოეტი მიუთითებს, რომ მალარმე პოპულარული არასოდეს ყოფილა.

ეს „პოეტების მასწავლებელი“ თავიდან პარნასელი იყო. შემდეგ ლექსის ახალი სტილი შექმნა, რომლის ნაწილია „ოთახის ესთეტიკა“.

ოთახის ატრიბუტებია ბუხარი, სარკე და იამონური ვაზები. მალარმე თვლიდა, რომ პოეტი მთელი სიცოცხლე ემზადება ერთი დიდი წიგნის დასაწერად. ასეთ წიგნს სწერდა იგი, მაგრამ დაწევს პოეტის სიკვდილის შემდეგ შემკვიდრებმა. ამ ფაქტს გაფრინდაშვილი აღარებს აღექვანდრიის ბიბლიოთეკის განადგურებას. მან ასევე მწვავედ იგრძნო თეთრი ყერის მაგიერი ძალა და სარკის მისტიკა:

„შეიძლება მაღარზე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს და მაღარებზე მოგვეცა სარკის პოეზია. სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა. არაფერი ისე მისტიკურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“.

სარკე, როგორც წყალი, უფსკრულია და მთელი სამყაროს დამიტევი. მაგრამ ბოდლერს ერჩია მაგიური, სამოთხისდარი ფერადი მინა.

სარკიდან შემოაქყურებს პოეტს ორეული, რომელიც თავის დახრჩობას ურჩევს. ბროლის სამყაროში იძვრის აპოკალიპსური ქაოსი („მისტიური მარულა“), რომელიც ეუფლება კაფეს. იწვის არღანი. მსახურებს მოაქვთ ოპიუმი. თრობის ნისლეულში კაფე ტირტმანებს („დაისი მესამე“); გარეთ მიასვენებენ ზამთრის დღეებს, ხოლო „სარკიდან დაიკეთლებს გაფრინდა შეილი“; როგორც ეშაფოტზე ასული რობესპიერი („ზამთრის დღეების გასვენება“); პოეტი ჯვარს იწერს მარგალიტზე. ტაძარში მძინვარებს პატიოსან თვალთა ნიღბოსანი კრებულები („ჯვარის დაწერა მარგალიტზე გოტიურ ტაძარში“).

ოთახის ესთეტიკის ნაწილი სარკესთან და ძვირფას თევლებთან ერთად ყელსახვევიცაა. ყელსახვევი იწვევს თვითმკვლელობის ასოციაციას, სიკვდილის მონატრებას:

*ყელის და ყელსახვევის შავი პოეტია
და ჩემი ოცნება ბოდლერის წარბით
სოველ მოგონებას, კვლავ გამოკეთდა
ქუჩა და ფარანი: უმიზნო, უნაყოფო,
როცა ჩემი სული წამწამებზე კვიდა
დაღუპულ ოცნების დამეში ლაღობა,
როცა თვითმკვლელობის იწვის პოეტია“.*

ოთახი და სარკე სწრაფად დამკვიდრდა პოეზიაში:

იოსებ გრიშაშვილი ხატავს შეშლილი ოთახის სურათს, სადაც ბრწყინავს სარკე. სარკეში მოჩანს ჰუნე, ხოლო ჰუნეზე – მზის ამორძალი.

ვალერიან გაფრინდაშვილის მიბაძვით რაჟდენ გვეტაძე წერს „ელაში სარკის“ დითირამბს. სარკეში იცხრობს ვნებას მაღამ ფან სტაუნი („დიონისოს ღიმილი“).

სერგო კლდიაშვილის მინიატურა „Natur morte“, რომელიც გრიშაშვილის შეშლილ ოთახს ჰგავს, კიდევ ერთხელ მოგვითხანს ძველი სურათების, სარკეებისა და ლარნაკების იდუმალებას.

ხოლო ალექსანდრე აბაშელს სარკის უფსკრულიდან ხან ქარი ევლინება. ხან – ქალი (ლექსი – „ქარი სარკეში“, რომანი „ქალი სარკეში“).

სარკეში ხან დედამიწა ტრიალებს, ხანაც – ასტრალური სამყარო. მაგრამ სარკეს უწოდებს სეცას, ღამეს, მოგონებებს.

პოეტმა თავის ლექსების მესამე კრებულს „გაბ'ხარული სარკე“ უწოდა, რადგან დაიმსხვრა ის ქვეყანა, რომელიც უყვარდა.

ასე რომ ღანდური სარკე ყოფიერების სურათია, რომელშიც შეიძლება შენი მკვლელიც დაინახო, როგორც დოს პასოსის ჯომ.

მასკარადი

ოთახის პერმეტული გარსი არა მხოლოდ იდუმალების არომატს ინახავს, არამედ სარკიდან გადმოდიან ღანდები და უჩვეულო მასკარადს მართავენ.

თითქოს ცოცხლდება ძველი, გადამქრალი ჟამი, როცა მეჯლის'ზე ნიღბებით ცხადდებოდნენ.

პოეტის ოთახი სასახლედ იქცევა. ბრწყინავენ საშიშარი ნიღბები. მათ მოაქვთ ელდა და ერუანტელი. მაგრამ თეით სასახლედ იდუმალია, რომლის დარბაზშიც გამოინდება დომინო – სამასკარადო სამოსელით მორთული ნიღბოსანი (გალაქტიონის „დომინო“):

*„აქ მედრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბელის ეტლებით,
რომელთაც პაერი სიკვდილით დაფარეს“.*

გალაქტიონს ხიბლაედა ედგარ პოს საშინელებათა სამყარო და ყორანის აბეკდითი ანრდილი. თვით ედგარიც, როგორც სიკვდილის ღანდი, როცა გამოინდებოდა, ახლდა აუხსნელი შიშის ქარავმა („ედგარი მესამედ“, „საუბარი ედგარზე“) და მიცვალებულის ჩვენება:

„ღაებრუნდით ბინაში და დაგვხვლა ცხვდარი“;

„და სიბნელიდან უბინაო მათი ცხვდრები

სამარისებურ უდაბნოში სტოვებენ ქალაქს“;

„ფანტასტიური ძაღმა

სდვას შემკობილი ცხვდრით“.

ეს იყო სატანის ალოცება, „როცა მტრობა და ედგარობა“.

ანდრეი ბელის რომან „პეტერბურგში“ დრამატული ფუნქცია აკისრია წითელი დომინოს მოტივს, რომელსაც ახლავს შიში და იდუმალების კოშმარი.

წითელი მასხარა აღმოინდა ნიკოლაი აბლეუხოვი, სენატორის ვაჟი, რომელმაც მასკარადზე საიდუმლო ბარათი წაიკითხა. იგი პენსნეს ატარებდა და ამიტომ ნიღბი აიწია. შემდეგ ეს დაავიწყდა და ყველამ იცნო ნიღბახილი, „შიშის მომგვრელი დომინო, რასაც სკანდალი მოჰყვა“.

ანდრეი ბელის წითელი მასხარას ნიღაბი გადმოეცა ედგარ პოს „წითელი ნიღაბის სიკედილიდან“.

გალაკტიონს „პეტერბურგი“ წაკითხული არ ჰქონდა, როცა „დომინო“ დაწერა.

შემოვიდა ნიღბოსანთა ტრიოც – არლეკინი, პიერო და კოლომბინა. რომლებიც შუასაუკუნეთა იტალიური ნიღბების კომედიის პერსონაჟებია.

კოლომბინა და პიერო ცოლ-ქმარია, ენამწარე და გაიძვერა არლეკინი – მათი მეგობარი და კოლომბინას საყვარელი.

პიერო ჰკლავს არლეკინს – მოღალატე მეგობარს.

მაგრამ ეს იყო თეატრალური სიკედილი, კლოუნის სიკედილი სცენაზე.

როგორც ჩანს, გარდა ნიღბური სახეცვლილებებისა, მოდერნისტებს ამ სიუჟეტში აინტერესებდათ სიყვარულისა და სიკედილის დილემა, სიკედილთან შეთამაშება, ძველი მოდელის ახალი ვნებებით აღვსება.

ტიციანი თავის თავს პიეროსა და ბალაგანის მეფეს ეძახდა, ნინო მაყაშვილს – კოლომბინას და ამ მოტივს არაერთხელ დაუბრუნდა. მაგრამ არლეკინი არ ჰყოლია.

სხვა ყანწულებიც ტიციანს პიეროდ იხსენიებენ (გაფრინდაშვილი – „ტანჯულ პიეროდ შელანდება თვითონ მესსია“; იაშვილი – „შუქისკენა გული კოლომბინამ ცისფერი ჩვართ“).

პიერო და კოლომბინა პოეტის ფანტაზიას იტაცებდა მანამდეც, ვიდრე ნინო მაყაშვილს გაიცნობდა („პიერო“).

ტიციანმა ცხოვრება თეატრად წარმოადგინა, ქალდეას მითი სცენაზე აიტანა და ხელთ ჩაუგდო ეონგლიორ აქტიორებს („ქალდეას ბალაგანი“). ომში მიმავალიც თავის თავს პიეროს ამსგავსებდა („ორი აპრილი“).

ასეთ ბალაგანურ ოცნებას წინ უსწრებდა ალექსანდრ ბლოკის ლექსები და პიესა „Балаганчик“ (რომელიც პეტერბურგის სცენაზე დადგა ესევილოდ მეიერჰოლდმა).

ნიღბოსანთა კლოუნადა არაერთ სიმბოლისტს მოსწონდა, მათ შორის – პოლ ვერლენს (ლექსები – „კოლომბინა“, „პიერო“, „კლოუნი“), რადგან იგი თამაშის ხელოვნებით ანუ სილამაზით ამართლებს ცხოვრებისეულ სიყალბეს.

აქედან მოდის ვალერიან გაფრინდაშვილის დითირამები კალიოსტროსა და აშორდიას მიმართ, რომელთა მემკვიდრედ თავის თავს მიიჩნევდა. მაგრამ იგი ჰამლეტიც იყო და თავის დაკარგულ ოფელიას დაეძებდა.

დარიანის ნიღბით

პოეზიის მასკარადში თუ ტიცვიან ტაბიძე პიერო იყო, კონსტანტინე გამსახურდია – არგუეთის მთავარი წმ. კონსტანტინე, ვალერიან გაფრინდაშვილი – ელსინორის პრინცი აპმლეტი, გალაქტიონ ტაბიძე – აპოკალიპსის მხედარი, პაოლო იაშვილმა ქალის ნიღაბი მოირგო („ელენე დარიანის დღიურები“).

ალექსანდრ ბლოკმა ლექსების მთელი წიგნი დაწერა მშვენიერ ბანოიანზე, მაგრამ არ წერდა ქალის სახელით. მას იტაცებდა მარადი ქალის რომანტიკული და შორეული სახე.

პაოლოს ელენე დარიანი კი სავსებით მიწიერი ქალია, რომელსაც ქმარიც უყვარს და საყვარლებიც. მის ცხოვრებას განაგებს ეროსი. იგი სულ მარტოობას უნიჭის, მაშინაც, როცა ქმარი გვერდით უწევს. ქმარი მისთვის ძვირფასია, მას ეფერება, მაგრამ მაინც „სხვა სახელზე“ იწყებს ოცნებას. მისი საყვარელი ხან „მომღურაო თავადა“, ხან – „თოდაც ვაჟი“. ქმარსაც ისეთი მძაფრი ვნებით აღიქვამს, როგორც საყვარელს.

ელენე დარიანი არისტოკრატი ქალია, რომლის ყელს ამკობს მარგალიტები და იაგუნდები. წვეს ცისფერ ოთახში, ხურავს ფარნის საბანი, კითხულობს ძველ სატრფიალო წერილებს. ნადიმის შემდეგ მთავარიან ღამეში ის და თავადი ცხენებით სეირნობენ. ესმანება „შიორეული ეგვიპტე, პირამიდები და არაბული ცხენი, ნილოსი და მკროალი ბანანები. ვერ იტანს მარტოობას და ცრემლები ეძალება, რაც სიყვარულს სიკედილთან აიგივებს:

„ჩემი ტუჩები ცივი არის, როგორც ის მთავრე

ჩემს ფანჯარაში სიკედილივით რომ იხვდება“.

მაგრამ ელენე დარიანი ქართველი არისტოკრატია და ამაყობს, რომ მისი ხმაც და კოცნაც ქართულია. ეს „ერთი ღამის ნეტარების“ ქალი პატრიოტიცაა და, როცა ქვეყანას უცხო ძალა დაეპატრონა, მეორედ თხოვდება, ტოვებს საქართველოს და ახალ ქმართან ერთად პარიზში მიდის, თუმცა იცის, რომ იქ „გატყდება მისი სახელი“.

იმედად კი მიჰყვება „ეფას კრებულო“ და სეედა სამშობლოზე.

ეროსთან ერთად, სამშობლოსთან ერთად ელენე დარიანს პოეზიაც ასულდგმულებს. იგი სამძიმრის წერილს სწერს ანა ახმატოვას ბლოკის გარდაცვალების გამო. ასევე კარგად იცის ჰამლეტი და ედგარ პო. ერთ დროს ედგარ პოთი გატაცებულიც ყოფილა. მაგრამ ახლა ეაფას არჩევს.

ელენე დარიანის ეროტიკული გ'სა მთავრდება ნაციონალური სეედის აღიარებით, გოდებით სამშობლოს დაკარგვის გამო:

*„მე კვლავ მივალ სოფლის წყაროსთან
და გერც თამაშით დავიღალეები“.*

ულენე დარიანი, ისევე როგორც მერი შარვაშიძე, სამუქადამოდ მოწყდა საქართველოს. იგი ემიგრანტი გახდა.

მოდერნისტი პოეტები ლექსებს ციკლებად ალაგებდნენ. ასე იყო ევროპაში, ასე იყო რუსეთშიც. მაგრამ საქართველოში ვერ კპოეა პოპულარობა.

ციკლებს წერდნენ გრიგოლ რობაქიძე, ტიცვიან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკოლო მიწიშვილი, მაგრამ ვერ ასრულებდნენ.

ლექსების ციკლი ცვლიდა პოემას, როგორც ერთი თემის ვარიაციული გაახრება.

ტრაგედიის გმირი

„მსოფლიო ციხეა საზარი“, – წერდა ალექსანდრე აბაშელი; *„ცრემლებითა ვრწყაეთ სამშობლოს კაღებს“*; – ამბობდა ტიცვიან ტაბიძე.

ამიტომ მშვიდ ჭერეტასა და თამაშს ჯერ სულისა და ყოფიერების დრამატიზმი ცვლიდა, შემდეგ დრამატიზმი ტრაგიზმში გადაიზარდა.

ტრაგიკული გახდა ცხოვრება და სცენაზე აეიდა.

გალაკტიონი, პაოლო, ტიცვიანი თუ გიორგი ლეონიძე ანტიკური ტრაგედიის გმირებს პგაუდნენ. ისინი სიკედილ-სიცოცხლის ზღვარზე მეტყველებდნენ და მათ სტრიქონებში ხან პეროიკული, ხანაც სასოწარკვეთილი სიმი კენესოდა, რომელსაც მოსდევდა სიკედილი და თეთმეკლემლობა.

ასეთივე განცდებს ატარებდნენ კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, გრიგოლ რობაქიძის გმირები. მათგან განირჩეოდა ტერენტი გრანელი, რომლის განწირულების ლირიკას არ ახლდა პეროიკა.

ტანჯული სულისათვის სიკედილი სანატრელი გახდა.

„მთვარეში შავი შრიალებს ჩაღა

შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“,

– წერდა გალაკტიონი.

იგი ეფემერებსა და ფერად ქარებს იყო მინდობილი, მაგრამ მძაფრი ფსიქიკური კონეულსიები, მწარე დროის მიერ მოგერილი, ნერვებს უწეწავდა, როცა „ახალი გრიგალი“ ატრიალებდა, როცა ხედავდა უბინაო და დახსოცილ ბავშვებს, მიუსაფარ თანამოძმეებს:

„ამ ბნელი ღამით ვიღაც დაღის საქართველოში,

ამ ბნელი ღამით ვიღაცა კენესის

*ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღევრძელოში,
სადღევრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის“.*

სულის ქაეშანსა და ყოფის კოშმარს ატარებენ ტიცვიანის „ილაიალი“ და „სერგეი ესენინს“, ალექსანდრე აბაშელის „მეოცნების დღიუკრი“ და „წერილი ნიუ ჩხიკვაძეს“, იოსებ გრიშაშვილის „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“ და „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, პაოლო იაშვილის „ევროპა“ და „წერილი კოლაუ ნადირაძეს“, ტერენტი გრანელის „შემოდგომა“ და „შემოდგომის მოლოდინში“.

ტიციანი:

*„გაუხვლანაი კვიცი იუაი
და სისხლიანი, როგორც ჩაღატარ,
დარჩები მუდამ გაუროყაი,
ცოდება, ამ ლექსს საფლავეში გატან“.*

გრანელი:

*„ახლა ვატყობ, რომ სიცოცხლე არ ღირს,
სიკვდილშიაც რომ არ არის შველა
ასე ჩემად გაეიარე ბალი,
ასე ნელა ჩამოეშორდი ყველას“.*

პაოლო:

*„ვიგონებ მართლა ვრუნტელით
ლამანშის სრუტეს,
იქ ჩაღაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.
შოტლანდიაში
ენახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ეით ნახევრად გაგიკებულმა“.*

აბაშელი:

*„ქესკენელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე
საქართველოში შენი ლექსები
მშვიერ მგლებივით დათარეშობენ“.*

გრიშაშვილი:

*„აი სად პურია ჩვენი ღიღება!
ღაშის სირცხვილით ამეწეას ლოყა!
აი ქართლის ხმა სად იყოღება,
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!“*

გიორგი ლეონიძემ ტრაგიკული გრძნობა ძველ საქართველოსა და ლეგენდებში კპოყა. იგი თითქოს შინაგანად ნაღველს არც ატარებდა. თითქოს მხოლოდ სიცოცხლეს შეჰხაროდა და შაეი დღეები წარსულში ეგულებოდა.

მოდერნისტების თეატრალიობას, ესთეტიზმსა და სულიერ ძიებათა სფეროს აჟარავდა შინაგანი ფორიაქი, შიში და ელდა, რაც მათ ჩაუნერგა როგორც სისხლიანმა დრომ, ისე დამარცხებულ წინაპართა გენებმა.

ლირიკის თვითმკვლელობა

ახლა ვალერიან გაფრინდაშვილის თეატრალური სიტყვა:

ქართული ლირიკა ჯერ გოლგოთაზე აიყვანეს, შემდეგ კი სალომეას დარად მოათხოვინეს პოეტის მოკვეთილი თავი.

როცა დრო იყო, პოეტების მზერა გარბოდა სხვადასხვა მხარეს, წერდნენ დადაისტურ მადრიგალებს, სონეტებსა და ტრიოლეტებს, თეთრ და თავისუფალ ლექსებს, ვარსკვლავებში დაფრინავენ, სულთა საუფლოში მოგზაურობდნენ, სატრფოს გულისცემას ყურს უგდებდნენ, ელანდებოდათ ძველი დიდება, გულს უკლავდათ ახალი კოშმარი, სდევდათ უცხო ხილვები და ლანდები, იყენენ სიკვდილისა და სიცოცხლის ტრუბადურები.

პოეზიამ გადაიტანა აპოკალიპსური წარღვნა, ომიანობის წელთა საშინელება. მაგრამ ვერ გაუძლო ტრაქტორის გუგუნსა და ქარხნის საყვირის ხმას, რომელმაც იერიქონის ბუკივით დაბზარა მისი კედლები.

ვარდი და ვიოლინო შეცვალა ნამგალმა და ურომ.

დაბნეული პოეტები სტოვებდნენ ლირიკის ელიზიუმს.

გალაკტიონი საოცარი ენთუზიაზმით წერდა ლექსების ციკლებს თუ პოემებს სოციალისტურ სამშობლოზე, ტიცვიანი დიად საბჭოეთს უმღეროდა, პაოლო შრომის პიმნებს თხზავდა, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი საიუბილეო თარიღებს ეძებდნენ კალენდარში, კოლაუ ნადირაძეს დიდი რუსეთი და წითელი მოედანი ეზმანებოდა, გიორგი ლეონიძეს საქართველოს დამამხობელი სტალინი საქართველოს მხსნელად მიაჩნდა...

წარსულის გამო მრისხანე წითელ ბომონს ბოდის უხდიდნენ და შესაწირი მიჰქონდათ.

ეს იყო ლირიკის თვითმკვლელობა.

ოციანი წლების საქართველოში ევროპეიზმი დამარცხდა – ჯერ პოლიტიკაში, შემდეგ – ლიტერატურაში. გაიმარჯვა ლოუციფერმა და ქვეყანას ბოროტი სული დაეუფლა.

დასასრული

როგორც ქურუმი და ზვარაკი

დიდი მწერალი რომ მიეველინოს ქვეყანას, ტალანტი არ კმარა. უნდა შეიცვალოს ენა, შეივსოს ახალი ნიუანსებით, შეიცვალოს ეპოქა, რომელიც დაილექება ფსიქიკის სიღრმეში, დაგროვდეს უცნობ თვისებათა მარაგი.

პოეტს ამეტყველებს ენაში მოქცეული ფსიქიკური ენერგია, გაშლილი სიმბოლურ ხატებად.

პროზაიკოსი მას ურთავს განახლებულ ცნობიერებას.

პოეტისათვის ენა მიზანია, პროზაიკოსისათვის – საშუალება. ორივე მათგანი კი ეძებს ემოციებს, როგორც სიცოცხლის არსს.

ამ თვალსაზრისით მწერალი არის არა შემოქმედი, არამედ – მკოვნელი და აღმოჩენი.

მოდერნისტები ოქროს მაძიებლებს ჰგავდნენ, რომელთაც მრავალი ხიფათი ელოდათ, მრავალი ხელისმომცარვა.

მხოლოდ ერთეულებს გაუღიმა მარიხმა და მათ მისცეს ნაციონალურ ენას, გრძნობებს და აზრებს ახალი ნილაბი, მაგრამ ეს მოხდა თვითდაწვისა და თვითგანადგურების ხარჯზე.

ისინი სასტიკი ბომონისათვის შესაწირავ ზეარაკებსაც ჰგავდნენ, არა მხოლოდ ქურუმებს, როგორც ბრმა და შეშლილი ერუბელი.

ეს ბომონი ხელოვნება იყო, რომელიც „გულოს სისხლს“ მოითხოვს, როგორც იტყოდა კონსტანტინე გამსახურდია.

მოდერნისტებმა აღასრულეს ჩანაფიქრი – შექმნეს დიდი ხელოვნება, რომელშიც გარდაისახა მათი სული, სისხლი და ნერვები. მოდერნიზმის ტრადიციები ისევე აღორძინდა 60-იან წლებში და იგი გახდა სოციალისტური რეალიზმის რღვევისა და გაქრობის ერთ-ერთი საფუძველი.

თანამედროვეობას მოდერნიზმი არ აღუვლებს. იგი ორიენტირებულა ავანგარდიზმზე, რომელმაც ხელოვნებაში შემოუშვა მღვრიე ცხოვრება – ფილტრაციის, სულიერ ძიებათა გარეშე, და ნეონატურალიზმად იქცა.

სიცოცხლე გრძელდება და ახალი თაობა ეძებს ახალ გზას, რაც, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გამოინდება.

წიგნი პირველი – 1999, იანვარი-მარტი

წიგნი მეორე – 2000, ოქტომბერი-დეკემბერი

ალექსანდრ ბლოკი

ჩეხური
ოქტომბერი

ლექსები და პოემები

მთარგმნელი პროფ. სოსო სიბუა

ტრაგიკული ტენორი

„Мы умираем, а искусство остается“, – ნერდა სიკედილის წინა დღეებში ალექსანდრ ბლოკი, პუშკინის შემდეგ რუსეთის ყველაზე დიდი პოეტი.

იგი გარდაიცვალა 1921 წლის 7 აგვისტოს, კრონშტადტის ამბოხების დათრგუნვით შეძრწუნებულ და შიმშილით მისაჯათებულ პეტერბურგში.

პოეტის თეთრ, თავახდილ კუბოს მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი მიჰყვებოდა...

ბლოკის სიცოცხლე რომ ეხსნათ, არაერთხელ სთხოვეს საბჭოთა მთავრობას (მათ შორის მაქსიმ გორკიმაც), რომ სწული პოეტი სამკურნალოდ გაეშვათ ფინეთში. მაგრამ ლენინის სახკომსაბჭომ თხოვნაზე ჯერ უარი თქვა, ხოლო ნება მაშინ დართო, როცა ბლოკი უკვე განწირული იყო – გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მიუხედავად ასეთი გულგრილობისა, საბჭოთა ოფიცოზი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ალექსანდრ ბლოკი ოქტომბრის მომღერალი იყო, რომ „თორმეტნი“ ბოლშევიკური რევოლუციის ჰიმნია, თუმცა ეს პოემა უფრო საყოველთაო ნგრევის აპოკალიფსურ-ბალაგანური წარმოსახვაა.

სიმბოლისტ ალექსანდრ ბლოკის მოულოდნელ სიკედილს დიდი მწუხარებით შეხედნენ ქართველი პოეტები.

ტიციან ტაბიძე სინანულით ნერდა: „ბლოკი საფლავში თოვლს ჯგუჯილებია, ყველაზე ნაკლებ აგვისტოში ერგებოდა მას სიკედილი“.

ხოლო პაოლო იაშვილის ელენე დარიანი ასე მიმართავდა ანა ახმატოვას:

„მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა“.

მაგრამ ყველაზე მწვავედ ამ პოეზიის მოცარტის დაღუპვა, როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე, აღიქვა გალაკტიონ ტაბიძემ და ღირსეულადაც შეაფასა როგორც უფროსი კოლეგა და სული მონათესავე:

„იმ მრისხანე წელს პოეტი – მეფე
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი“.

ეს სიტყვებიც კმაროდა, მაგრამ გალაკტიონის ლირიკაში სხვაგა-

ნაც გაკრთა რუსი პოეტის ლანდი: „აღარ არის მენესტრელი უნაზესო დამისა“, „ჯონ რიდში“ მოიხსენია „თორმეტნი“. შემდეგ ლექსიც მიუძღვნა:

„ნიაღვარებით მოსკდა ზღაპარი
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის,
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი
პალადინები ერთის იმედის“.

მოხუცი გალაკტიონი სიმთვრალეში ხშირად იმეორებდა თურმე ბლოკის სტრიქონებს:

„Я пригвожден к трактирной стойке.
Я пьян давно. Мне все-равно“...

* * *

სიკვდილი თავისთავად ყველაზე დიდი ტრაგედიაა, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება ბედნიერებაც იყოს. როგორც ხელოვანს, ასეთი ბედნიერი დასასრული ერგო ალექსანდრ ბლოკს. მან სუნთქვა შეწყვიტა მანამდე, სანამ ბოლშევიზმის მეხოტბედ აქცევედნენ. ის თავის ილუზიურ სამყაროსთან ერთად დაილუპა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ აპოლოგეტი არც გამხდარიყო, განსხვავებით ვალერი ბრძუსოვისაგან.

ის ხომ უკვე აღარც წერდა ლექსებს.

ამიტომაც დარჩა მომავალ თაობათა მეხსიერებაში, როგორც სპეტაკი, გენიალური პოეტი, რომელიც ცოცხლობდა ხელოვნებით და ყველაფერი ხელოვნებას შესწირა.

მის ტალანტსა და თავგანწირვას თანამედროვენიც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ:

ჯერ კიდევ 1901 წელს, 21 წლის ჭაბუკს ანდრეი ბელი აცხადებდა რუსეთის პირველ პოეტად. ეს აზრი არც შემდეგ შესცვლია, თუმცა დროადადრო, ალბათ, შურიანობით, ცდილობდა მის დამცირებას; სერგეი ესენინმა პეტერბურგში ჩააკითხა პოეტს და პირველად მას წააკითხა თავისი ლექსები; ვლადიმერ მაიაკოვსკი, მიუხედავად იმისა, რომ ფუტურისტი იყო და უარყოფდა სიმბოლიზმის ესთეტიკასა და პოეტიკას, ბლოკს მთელ პოეტურ ეპოქად მიიჩნევდა; ანა ახმატოვა მას თვლიდა საუკუნის პირველი მეოთხედის უდიდეს რუს პოეტად; აკმეისტი ნიკოლაი გუმილიოვი ეჯიბრებოდა, ეშულლებოდა, მაგრამ სცნობდა მის სიდიადეს; კორნეი

ჩუკოვსკიმ ბლოკს სიცოცხლეშივე უნოდა გენიოსი; ლეონიდ ანდრეევი გენიალურად მიიჩნევდა ლექსს – „როს შემოდგომა დგება გვიანი“; მაქსიმ გორკი ჯერ მტრულად იყო განწყობილი, შემდეგ კი აღიარა ბლოკის დიდი ტალანტი; მარინა ცვეტაევამ ბლოკს სიცოცხლეშივე მიუძღვნა ლექსების ციკლი; ფიოდორ სოლოგუბი თავის საყვარელ პოეტებად მიიჩნევდა ვერლენსა და ბლოკს...

საქებარ ეპითეტებს არ იშურებდნენ ვალერი ბრაჟსოვი და ვი-აჩესლავ ივანოვი – რუსული სიმბოლიზმის ქურუმები.

* * *

ალექსანდრ ბლოკი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, თუმცა პირველი სტრიქონები რომ დაბეჭდა, 23 წლისა იყო. ლექსების პუბლიკაციამდეც მას საკმაოდ კარგად იცნობდნენ. განსაკუთრებით პროპაგანდას უწევდა მოსკოველი კოლეგა და თანატოლი ანდრეი ბელი.

ბლოკი მაშინვე აღიარეს თვალსაჩინო პოეტად, თუმცა ოპონენტებიც საკმაოდ ჰყავდა. ხოლო მას შემდეგ, რაც „იტალიური ლექსები“ (1909) დაბეჭდა, იგი საბოლოოდ ცნეს თანამედროვეთა შორის პირველ რუს პოეტად. ეს აზრი არც მომდევნო ათწლეულს შეუცვლია, თუმცა უკვე პარნასს, სიმბოლისტების სანაცვლოდ, ფუტურისტები და აკმეისტები მოევლინენ.

„უცნობი ქალის“ ავტორი არ ყოფილა ისეთი ერუდიტი, როგორიც – დიმიტრი მერეჟკოვსკი ან ვალერი ბრაჟსოვი; ისეთი პოლიგლოტი, როგორიც კონსტანტინ ბალმონტი; ლექსის ისეთი თეორეტიკოსი, როგორიც ვალერი ბრაჟსოვი და ანდრეი ბელი; ანტიკური კულტურის ისეთი მცოდნე, როგორიც ვიჩესლავ ივანოვი; ლექსთწყობის ისეთი რეფორმატორი, როგორიც ვლადიმერ მაიაკოვსკი; ისეთი მოაზროვნე, როგორიც ვლადიმერ სოლოვიოვი. მაგრამ მათზე მალლა იდგა პოეტური ნიჭით, პოეტური ძალით.

მართალია, თხზავდა ოცნების სამყაროს, მაგრამ იცავდა ლოგიკურ სიზუსტეს, იმორჩილებდა ფანტაზიას. მისი გამომგონებლობა, უჩვეულო ლირიკული თხზვა, მოულოდნელი, ლირიკული სიუჟეტი მუდამ აზრის ჩარჩოშია მოქცეული.

გალაკტიონ ტაბიძე მას აღემატება როგორც პოეტური სტიქიონი და სიტყვის ვირტუოზი, მაგრამ თუ გალაკტიონი მირაჟებს ნებდება, ბლოკი მათ წესრიგსა და პროპორციას უმორჩილებს. შეიძლება

ითქვას, თუ ალ. ბლოკი არის პოეტური აპოკალიფსის ავტორი, გალაკტიონი თავად არის აპოკალიფსი.

ალექსანდრ ბლოკმა თავისი ცხოვრება აქცია პოეზიად. მისი ლირიკა მისი ცხოვრების დღიურია, პირადი ბარათების გაგრძელება და შევსება, მეტრისა და მეტაფორის ენაზე გადატანა. ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეტმა თავისი მშვიდი, მყუდრო, ბედნიერი ცხოვრება თავად აქცია ტრაგედიად, როცა რომანტიკოსებისა და ვლადიმერ სოლოვიოვის თუ კომპოზიტორ პანჩენკოს ზეგავლენით აკვიატებული მისტიკური მარადქალური იდეის ცხოვრებაში განხორციელება სცადა, როცა მოინდომა ლეუბოვ მენდელეევა დარჩენილიყო მიუწვდომელ ბეატრიჩედ, ლაურად, დულსინად თუ ოფელიად, თანაც ცოლი რქმეოდა. ხოლო პარალელურად სავსებით მინიერი გატაცებით ჰყვარებოდა ნატალია ვოლოხოვა თუ ლეუბოვ დელმასი.

პოეტს იზიდავდა ტრუბადურებისა და რაინდების ესთეტიკა, ერთი მხრივ – ქალბატონის კულტი, „შორით წვა და შორით დაგვა“, მეორე მხრივ – როზენკროიცერების მსგავსად ვნების დათრგუნვა. თავისი თავი კი წარმოედგინა როგორც „რაინდი – ბერი“. ამიტომაც წერდა დრამატულ პოემას „ვარდი და ჯვარი“.

ეს იყო პეტერბურგში გავრცელებული მისტიკური ატიმოსფეროს გავლენაც, რომელიც სექსიდან ამოდიოდა და ახალ წინასწარმეტყველს მოელოდა.

ილუზიურ როლს ლეუბა ბლოკი ვერ შეეგუა, მაგრამ არც საშა ეთმობოდა, რომელიც უყვარდა და რომელმაც გაამითა ამ ქალის სახელი. ეს იყო ამ ორი ადამიანის ტანჯვა, რაც ალექსანდრ ბლოკმა ლექსებში მოაქცია და შექმნა დიდი პოეზია. მაგრამ როგორც პიროვნებამ, არაერთი დამცირებაც გამოსცადა.

* * *

ალექსანდრ ბლოკის ადრეული ლექსები შთაგონებულია გერმანელი რომანტიკოსებით. ამიტომ გერმანელ პოეტს უწოდებდნენ. მასზე ზეგავლენას ახდენდნენ არა ცნობილი, არამედ – უჩინარი იენელი რომანტიკოსები. მოგვიანებითაც მიუთითებდნენ „გერმანულ სტიქიაზე“ ხოლო მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, რომ ის, რაც ბლოკს ბუნებრივად ჰქონდა, იყო გერმანული, ხოლო რუსული შეთვისებული ჰქონდა გონებით, ცოდნით, აღზრდით.

მიუხედავად ასეთი საყვედურისა, იგი იყო ნამდვილი რუსი პოეტი, რუსეთის ბუნებასა და ისტორიაზე შეყვარებული, ოღონდ დასავლური კულტურისა და თვალთახედვისა. მართალია, ქალაქებიდან მხოლოდ პეტერბურგს იცნობდა, პეტერბურგის თოვლითა და ღამეებით ცოცხლობდა, სხვა ქალაქებიდან მხოლოდ მოსკოვსა და კიევში (ისიც ერთხელ) ყოფილა, შახმატოვოსა და ბობლოვოს გარდა სხვა რუსული სოფელი წესიერად არც ენახა, მაგრამ განცდის სიმწვავისათვის ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა.

ბლოკი უფრო ხშირად მოგზაურობდა და ცხოვრობდა გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში, ვიდრე რუსეთის პროვინციებში. მაგრამ მან პოეზია აავსო რუსული თოვლით და ყინვით, ჩრდილოეთის ქარბუქით, პეტერბურგის დაისებით, ცივი ქარებით, ტაძრების კანდელთა ციმციმით, სიკვდილის აგონიით, თოვლის ნიღბებით, რომელთა ცენტრში დააყენა მშვენიერი ქალბატონი – ლაუბოვ მენდელეევა-ბლოკი, რომელიც ვარიაციულად მეორდებოდა ქალთა სახეებში. იგი იყო ხან შორეული დამა, უცნობი ქალი, თოვლის ქალწული, ზოგჯერ – ნმ. მარიამი, ხანაც – შმაგი კლეოპატრა და კარმენი, ცხელი ეგვიპტიდან და ესპანეთიდან შემოსული ნისლიანი პეტერბურგის ცივ ქუჩებში. ლაუბა მან აქცია ქალის იდეალად, რომლის უშორესი არქეტიპი იყო ეგვიპტის მბრძანებელი კლეოპატრა, ვინც თავი გველს დააგესლვინა.

ამიტომაც ხშირად მეორდება ბლოკის პოეზიაში საყვარელ ქალთან მიმართებით გველის მეტაფორა (შდრ – გალაკტიონი: „ღა კლეოპატრა – ნილოსის გველი“).

რაც შეეხება ბლოკის „გერმანელობას“, მას ჰქონდა თავისი საფუძველი: ბლოკის შორეული წინაპარი – პაპისპაპა მეკლენბურგელი გერმანელი იოჰან ფრიდრიხ ბლოკი 1755 წელს თავის ძმასთან ერთად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი გახდა. მას ცოლად ჰყოლია გერმანელი კატარინა ვიცი. შეეძინათ ვაჟი – ალექსანდრე. მანაც გერმანელი შეირთო ცოლად – ელიზავეტა გერინგი. მათი ერთადერთი ვაჟი – ლევი იყო პოეტის პაპა, რომელიც დაქორწინდა ულამაზეს არიადნა ჩერკასოვაზე, ნოვგოროდის გუბერნატორის ასულზე. მათმა უფროსმა ვაჟმა – ალექსანდრემ შეირთო „რუსული ბოტანიკის მამის“, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ანდრეი ბეკეტოვის ასული – ალექსანდრა.

როგორც ვხედავთ, ალექსანდრ ბლოკს მამის ხაზით მხოლოდ

ბებია ჰყავდა რუსი - დანარჩენი ყველანი გერმანელები იყვნენ. თავადაც ბავშვობაში, თვეების მანძილზე, დედასთან ერთად გერმანიაში ცხოვრობდა, თარგმნიდა გერმანულ პოეტებს, აგრძელებდა გერმანულ რომანტიკოსთა ტრადიციებს.

კორნეი ჩუკოვსკი, რომელიც „გადაცმულ პატრიციუსს“ უწოდებდა ბლოკს, იგონებს, რომ იგი სიტყვებს წარმოთქვამდა თავადური ინტონაციით, უცხოური მანერით, განსაკუთრებით ახლად გარუსულეზულ სიტყვებს (მაგ., არა „Меня“, არამედ „Мана“).

ალექსანდრ ბლოკი დაიბადა და აღიზარდა არისტოკრატიული ინტელიგენციის წრეში. მამა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დედა - ალექსანდრა ბეკეტოვა - ცნობილი მთარგმნელი და საბავშვო მწერალი; ასევე მწერლობას მისდევდნენ პოეტის ბებია და დეიდები, თარგმნიდნენ, წერდნენ ლექსებსა და მოთხრობებს. ხოლო პაპა - ანდრეი ბეკეტოვი 1876-1883 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი (იგი კარგად იცნობდა საქართველოს, მის ფლორას: ხუთი წელი იყო თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი).

ე. წ. რექტორის სახლში დაიბადა მომავალი პოეტი 1880 წლის 16 ნოემბერს.

ბეკეტოვების გვარს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა. ისინი თავდადებით ემსახურებოდნენ იმპერატორის სახლს (აღნიშნავენ, რომ წარმოშობით ჩერქეზები უნდა ყოფილიყვნენ). ბლოკის ერთი პაპის ძმა აკადემიკოსი იყო, დიდი ფიზიკოსი, მეორე - პენზის გუბერნიის გამგეობის თავმჯდომარე, დედის პაპა - გრ. კარელინი - ცნობილი ნატურალისტი.

ალექსანდრ ბლოკის ახლო ნათესავები იყვნენ - პოეტი სერგეი სოლოვიოვი, ფილოსოფოს ვლადიმერ სოლოვიოვის ძმისშვილი, პროფესორი ნ. კაჩალოვი - ცნობილი საბჭოთა ქიმიკოსი, ლიტერატორი გ. ბლოკი, რომელიც გაიცნო გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

ასე რომ, ბლოკის მშობლები, ნათესავები, წინაპრები ინტელექტუალურ სფეროში მოღვაწეობდნენ და სახელმწიფოებრივი პიროვნებები იყვნენ.

ორივე მშობელი - დედაც და მამაც - წერდა ლექსებს. მამას ჰქონდა განსაკუთრებული მიდრეკილება მუსიკისა და ფლობერის მსგავსი დახვეწილი სტილისადმი.

ბლოკის მშობლები ერთმანეთს მალე გასცილდნენ. მამა ვარ-შავაში დარჩა, იქ შეირთო მეორე ცოლი. საშა დედამ ნაიყვანა პეტერბურგში, თავის სახლში. დედა, დეიდები, მამინაცვალი – სამხედრო პირი, შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი ფელიქს კუბლიცკი-პიოტუხი იყვნენ მისი აღმზრდელები.

მომავალ პოეტს განსაკუთრებით უყვარდა პოდმოსკოვიეში მდებარე სოფელი შახმატოვო. იქ ანდრეი ბეკეტოვს შეესყიდა 150 დესეტინა მიწა, აეგო სახლი და ბაღი გაეშენებინა. ბლოკი ყოველწლიურად ჩადიოდა შახმატოვოში. მაგრამ რევოლუციის წლებში იგი გაძარცვეს, შემდეგ სულაც დაწვეს.

პოეტი არ იმჩნეოდა, მაგრამ საშინლად გულს სტკენდა საყვარელი შახმატოვოს აოხრება.

ბლოკი არ მსახურობდა – მამისაგან სოლიდური მემკვიდრეობა დარჩა. მხოლოდ ბოლო წლებში, როცა საზოგადოებრივ აქტივობას იჩენდა, იყო პეტერბურგის დიდი თეატრის გამგეობის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა პოეტთა გაერთიანებას, მონაწილეობდა გორკის მიერ დაარსებულ „მსოფლიო ლიტერატურის“ გამომცემლობაში, როგორც გერმანული სექციის მთავარი რედაქტორი.

ადრე საკმაოდ კარგად ცხოვრობდა, ჰქონდა საკუთარი ბინა, მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში, ხშირად ბეჭდავდა წიგნებს. ერთი სიტყვით, ცხოვრობდა როგორც ესთეტი, წმინდა ხელოვნების მსახური, ოცნებით გართული, კულტურის პრობლემებით დატვირთული, თავისი ფიქრებითა და ტანჯვით შემოსაზღვრული.

რევოლუციის გრიგალმა აამღერია მისი გარეგნულად მონესრიგებული, შინაგანად კი აწვინილი და ნერვიული ცხოვრება. ალექსანდრ ბლოკის თითქმის ყველა კოლეგა თეთრების ბანაკში აღმოჩნდა, მეგობრები შემოეცალნენ. პეტერბურგში შიმშილი მძვინვარებდა. იძულებული გახდა ხუთოთახიანი ბინიდან დედასთან გადასულიყო. ავეჯი, წიგნები და სურათებიც გაეყიდა. და მისი ნატიფი ხელები, რომელთაც კალამი და წიგნი ეპყრათ, ახლა ეზოში უხეში ნაჯახით შემას აპობდნენ.

არ ჰყოფნიდა ფული, შეშა, საკვები, სტკიოდა გული, სტანჯავდა სურავანდი, რომელიც ადრეც სჭირდა. ის უკვე ხელოვნებისთვის კი არა – სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, მაგრამ, ჩანს, სიცოცხლეს მოსძულებოდა.

და იგი, ვისაც გორკი და გოროდეცკი რენესანსის ეპოქის ფლო-

რენციელს ადარებდნენ, უდრტივინველად დანებდა სიკედილს, რომელსაც ისე შეერყვნა მისი სახე, რომ კუბოში მწოლი ცხედარი აღარ იყო ალექსანდრ ბლოკი – რუსეთის უპირველესი პოეტი და, როგორც ტიციან ტაბიძე იტყოდა – „ყველაზე ლამაზი რუს პოეტებში“.

* * *

1903 წლის 17 აგვისტოს ალექსანდრ ბლოკმა ჯვარი დაიწერა დიდი რუსი ქიმიკოსის დიმიტრი მენდელეევის ქალიშვილზე – ლეუზოვზე. ისინი ერთმანეთს ადრევე იცნობდნენ, რადგან დიმიტრი მენდელეევი და ანდრეი ბეკეტოვი მეგობრები იყვნენ, ხოლო მამულები თითქმის გვერდიგვერდ ჰქონდათ – შახმატოვო შვიდი კილომეტრით ყოფილა დაცილებული ბობლოვოს.

როგორც საშა, ისე ლეუზა ბავშვობიდანვე თეატრით იყვნენ გატაცებული, მონაწილეობდნენ საოჯახო სპექტაკლებში (შემდეგში ლეუზა მსახიობი გახდა, ხოლო საშა – დრამატურგი და მგზნებარე თეატრალი).

როცა ხელმეორედ გაიცნეს ერთმანეთი, გამოსული იყვნენ ბავშვობის ასაკიდან და პირველად ერთად ითამაშეს „ჰამლეტი“, შეასრულეს ჰამლეტისა და ოფელიას როლები.

ვიაჩესლავ ივანოვისა და ანდრე ბელის მსგავსად, ალექსანდრ ბლოკიც გატაცებული იყო სოლოვიოვის მისტიციზმით. ამ პოეტსა და ფილოსოფოსს მიუძღვნა არაერთი ლექსი და ესსე, თვლიდა თავის მასწავლებლად, ცდილობდა მისი იდეები გადაეტანა პოეზიაში. 1901 წელს ახალგაზრდა ბელი შენიშნავდა, რომ ბლოკი იყო არა მხოლოდ რუსეთის პირველი პოეტი, არამედ – პოეტი-თეურგიც, ღვთისმეტყველ სოლოვიოვის ხაზის გამგრძელებელი პოეზიაში, მისი ნამდვილი მემკვიდრე. თუმცა თავად საშა ვლადიმერ სოლოვიოვს არ იცნობდა, მხოლოდ ერთხელ, გასვენებაზე მოეკრა შორიდან თვალი და ეს ფაქტი ჩარჩენოდა მეხსიერებაში (ვლადიმერის მამა იყო სერგეი სოლოვიოვი, დიდი რუსი ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი).

სოლოვიოვის ცალკეული იდეები ბლოკმა ცხოვრებაშიც გადაიტანა. მათგან უმთავრესი იყო მარადქალურობის აპოლოგია, სულიერი და ხორციელი სიყვარულის განყოფა. როგორც ითქვა, მარადქალურის შარავანდედით მან ლეუზა შემოსა, მაგრამ სცადა

ეს მისტიკური სიყვარული მინიერიც გაეხადა, რაც ტრაგედიით დამთავრდა, მაგრამ პოეზიაში მთავარ შთაგონებად ექცა.

რაც შეეხება თვითმკვლელობის მანიას, ეს საერთოდ სჩვეოდათ დეკადენტებსა და მოდერნისტებს. გავიხსენოთ გალაკტიონი: „საყვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა“; ტიციანი: „მუხრანის ხიდზე დასახრობად კიდევ დავდგებით, საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა“; ვალერიან გაფრინდაშვილი: „პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარბიერა: სიგიჟე, ჭლეტი და თვითმკვლელობა“; ტერენტი გრანელი: „სამუდამო ძილი მინდა და საყვდილით დასვენება“...

თავი მოიკლეს ბლოკის გიმნაზიელმა კოკა გუნმა, სტუდენტმა ლაპინმა, სერგეი სოლოვიოვის დედამ, პოეტმა ივან კონეცკოიმ (ორეუსმა). თვითმკვლელობაზე ხშირად საუბრობდნენ ლეუბა და საშა. საშაც ერთხანს მძიმე დეპრესიამ შეიპყრო, პოეზიას დაეუფლა დალუპვის მოტივები. 1902 წლის 7 ნოემბერს სიყვარული გაუმუღავნა ლეუბას. თუ უარს მიიღებდა, თავს მოიკლავდა. მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა და ბედნიერმა ბლოკმა იმავე ღამეს თავის მოკვლის სანაცვლოდ „მშვენიერი ქალბატონის“ ციკლის ბოლო სტრიქონები დანერა: „Осанна! Ты входишь в терем“...

* * *

ალექსანდრ ბლოკი თუმცა ალკოპოლისკენ მიდრეკილი, მაგრამ უაღრესად მონესრიგებული, ფიზიკურად ძლიერი, პუნქტუალური პიროვნება იყო. აქაც ვლინდებოდა მისი გერმანული წარმომავლობა. ადრეულ ლექსებს ბურუსი საკმაოდ ახლდა, მაგრამ მისტიკურ ხილვებშიც იჩენდა უჩვეულო გამომგონებლობას, თანმიმდევრობას, რაც განსაკუთრებით ლექსის კომპოზიციასა და ბოლო სტროფში ვლინდებოდა.

მისტიკა, მარადქალურობის აპოლოგია, თვითმკვლელობის მანია მან ესთეტიკურ მრწამსს დაუმორჩილა, მშვენიერების სამოსელში გაახვიდა. მაგრამ, ამასთანავე, ეს უნდა ყოფილიყო პოეზიის სპექტრად გაშლა იმ მძიმე ფსიქიკური მემკვიდრეობისა, რაც გადმოეცა როგორც დედის, ისე მამის ხაზით.

ბლოკის მშობლები ფლობდნენ მრავალ ენას (მამამ იცოდა ექვსი ენა), ჰქონდათ შემოქმედებითი ნიჭი, გემოვნება, დიდი განათლება, მაგრამ სტანჯავდათ ფსიქიკური აშლილობანი. მამა, უცნაური ხასიათისა და ქცევის გამო, ზოგს არანორმალურად მიაჩნდა. ვერც

პირველმა, ვერც მეორე ცოლმა მისი პათოლოგიური ბუნება ვერ აიტანა. ამიტომ იძულებული იყო მარტოხელას და დიოგენივით კარჩაკეტილს ეცხოვრა, ოდესღაც ელეგანტობისა და მომხიბვლელობის გამო ბაირონსა და დემონს რომ უწოდებდნენ. ალბათ, ავადმყოფური ცნობიერების ბრალია, რომ მისი მთავარი სამეცნიერო ნიგნი, რომელსაც წლების მანძილზე წერდა, იმდენად გაუგებარი აღმოჩნდა, რომ მონაფეებმა გამოცემა ვერ შეძლეს...

პოეტის პაპამაც თითქმის სიგიჟით დაასრულა ცხოვრება.

დედას სტანჯავდა ნევროზები, მელანქოლია, თვითმკვლელობის მანია და ეპილეფსიური შეტევები. იგი იყო მისტიციზმისკენ მიდრეკილი და ყველაფერს შავ ფერად ხედავდა; ხოლო დეიდა მარიამი არაერთხელ ნოლილა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

დედა, რომელსაც უამრავი ლექსი მიუძღვნა ბლოკმა, დიდ გავლენას ახდენდა თავის ერთადერთ შვილზე. იმასაც შენიშნავენ, რომ მატრიარქალურმა გარემომ სასიკეთოდ ვერ იმოქმედა მომავალ პოეტზე.

მამას პატივს სცემდა, მაგრამ ისინი ერთმანეთისთვის უცხო-ნი დარჩნენ, ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ და მამას შვილის ლექსები ნაკლებად მოსწონდა.

ბლოკმა მძიმე ფსიქიკური მემკვიდრეობა, მშობელთა ურთიერთობის დრამატიზმი, თავისი პირადი ტრაგიზმი პოეზიის სფეროში გარდასახა, შთაგონების ენერგიად აქცია. ერთი მხრივ, თუ მშვენიერ ქალბატონს რელიგიის ბურუსში ხვევდა და თავის თავს რაინდად წარმოსახავდა, მეორე მხრივ, ბუფონადის ხაზს მიჰყვებოდა, სადაც პიერო, კოლომბინა და არლეკინი ბალაგანის ესთეტიკას ქმნიდნენ, რაც სიკვდილთან თამაშს ნიშნავდა (შდრ. – ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი).

მისი ცხოვრებაც, ერთი მხრივ, ჰეროიკული და დრამატული იყო, მეორე მხრივ, ამ ბუფონადას ჰგავდა. მისი სიცოცხლე რეალობაც იყო, ისევე როგორც თეატრისა და პოეზიის სინამდვილე.

აპოკალიფსი და ბალაგანი ერთმანეთს შეხვდნენ პოემაში „თორმეტნი“ და ეს იყო სისხლიანი რევოლუცია, ნგრევის კოშმარი.

როგორც კორნეი ჩუკოვსკი მიუთითებს, ბლოკის ადრეულ ლექსებში ხშირად ჩნდება სიტყვა „ვილაც“, როგორც ლანდი და მოჩვენება. ამ ვილაცის უკან იდგა მარადიული – გაზაფხული, იმედი, ცოლი... იდუმალი მწუხრი, ხმა, საქმე... ხოლო ეკლესია, კანდე-

ლი, საცეცხლური, დაისი, ლაჟვარდი, ნისლი, უცნობი ქალი, ღამე ზრდიდა იღუმალებას და სიტყვის მუსიკა ქსოვდა ახალი ქვეყნის სამოსელს.

მაგრამ თანამედროვე მკითხველს ხიბლავს არა მისტიკური ჭვრეტა და პოეტის განცდის ევოლუცია ან ნიღბები და ორეულები (შდრ. - ანდრეი ბელის რომანი „პეტერბურგი“), არამედ - ბგერითი აზროვნება, ესთეტიზებული სივრცე, დახვეწილი გრძნობა, დრამატული სულისკვეთება, სიცოცხლის განცდა, ლოგიკური კომპოზიცია. თუმცა ბლოკის პოეზიას სრულად ვერ აღვიქვამთ, თუ არ ვიცით როგორ შეცვალა მშვენიერი ქალბატონი უცნობმა ქალმა, რომელიც არის ზეციდან ჩამოვარდნილი კომეტა, ტაძარი - დუქანმა, ლოცვა - ღვინომ, გუმბათი - სხვენმა. მაგრამ დარჩა ზეცა და ზეცისფერი, შორეთი, ოცნება და სიზმარი, სევდა და სინანული, თოვლი და ქარბუქი, ქრისტე და ანგელოსი, სიკვდილი და სამარე, დარჩნენ ნიღბები და ორეულები...

* * *

ალექსანდრ ბლოკის პირველი სერიოზული გატაცება იყო ოქროსთმიანი ქსენია სადოვსკაია (ოსტროვსკაია), სამი შვილის დედა, დედამისის თანატოლი, ანუ გიმნაზიელ ჭაბუკზე 21 წლით უფროსი. მათ ერთმანეთი გაიცნეს გერმანიის საკურორტო ქალაქ ბადნაუჰაიმში, 1897 წელს. რომანი პეტერბურგშიც გაგრძელდა, რამაც შეაშფოთა ალექსანდრა ანდრეევნა. ბლოკი ხშირად ხვდებოდა ქსენიას, სწერდა წერილებს, უძღვნიდა ლექსებს. მაგრამ ქსენიას ლექსები არ უყვარდა.

პოეტის უკანასკნელი წერილი თარიღდება 1901 წლის 13 აგვისტოთი. ამის შემდეგ მათ ერთმანეთი არ უნახავთ.

ბლოკს უკვე სწავდა „დიდი სიყვარულის ალი“, რომელსაც ერქვა ლიუბოვ მენდელეევა. მაგრამ ხანდაზმული სიყვარულის ლანდი დიდხანს სდევდა და მას უძღვნა ლექსების ციკლი „თორმეტი წლის შემდეგ“, როცა ჭორად გაიგო, რომ ქსენია სადოვსკაია თითქოს მოკვდა. მაგრამ ქსენია არ გარდაცვლილა - ცხოვრობდა პეტერბურგში, თითქმის ბლოკის გვერდით, თუმცა არაფერი სმენოდა მის სახელსა და დიდებაზე.

გამოხდა ხანი. ქალმა დამარხა მეუღლე და წვალებით, შიმშილით მისაწვამებულმა მიაღწია კიევის, იქედან ოდესაში გადავიდა, სადაც

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. სწეულმა ქალმა არაფერი იცოდა მისდამი მიძღვნილ ბლოკის შედეგებზე და ინიციალების მიხედვით მხოლოდ ექიმმა მიაქცია ყურადღება.

სადოვსკაია გარდაიცვალა 1925 წელს. მას არაფერი აღმოაჩნდა, გარდა წერილების დასტისა, რომელსაც ჯვარედინად შემოხვეოდა ალისფერი ბაბთა.

ეს წერილები გიმნაზიელ და სტუდენტ ბლოკს ეკუთვნოდა!

1898 წლიდან ბლოკის ცხოვრებაში შეიჭრა ლეუბოვ მენდელეევა და იგი ექცა იდეალად, შთაგონებად და ბედისწერად. თავის პირად ბარათებში (დანერილი აქვს უამრავი წერილი), ლექსებში, ლირიკულ დრამებში გადმოგვცემს ლეუბას გამითებულ სახეს, რომელიც მტანჯველი სიყვარულით უყვარდა. იგი თითქმის ყველაფერს პირდაპირ წერს, წერს თავის განცდებზე, გულისტკივილზე, ორმხრივ ლაღატზე. ლეუბას ხან ამართლებს, ხანაც ბრალს სდებს. ცხადია, მძიმედ განიცდიდა ბელის სიყვარულს ლეუბასადმი, რომანს ჩუღოვთან, დავიდოვსკისთან (რომლისგანაც ეყოლა ვაჟი - გარდაიცვალა რვა დღისა), ვილაც ახალგაზრდა აქტიორთან, თვეების მანძილზე თეატრალურ დასთან ცოლის მოგზაურობას რუსეთის პროვინციაში, მთელი წლით გალიციის ფრონტზე მონაწილეობის დადნასვლას...

ზოგჯერ თავის მოკვლასაც აპირებდა (მაგ., 1912 წელს). პარადოქსია, მაგრამ ლეუბასაც ძლიერ უყვარდა ბლოკი, მისი პოეზია. ამიტომაც არ გაჰყვა მასზე გიჟურად შეყვარებულ ანდრეი ბელის და არც არასოდეს უფიქრია თავის გენიალურ ქმარს გასცილებოდა.

ანა კარენინას დღეში მყოფ ქალს ისევ ბლოკი უქარვებდა დეპრესიას, უკითხავდა ლექსებს, დაჰყავდა უცხოეთში.

უკანასკნელ წუთებში ასე მიმართა ლეუბას: „რატომ ხარ შენ მუდამ ცრემლიანი?“

1907 წლის ზამთარში პოეტი ახალმა კომეტამ გაიტაცა: მას შეუყვარდა ლეუბას მეგობარი მსახიობი, უკრაინელი ნატალია ვოლოხოვა, მალალი, გამხდარი, ფერმკრთალი, შავთვალა ასული, რომელიც თამაშობდა ბლოკის პიესის მიხედვით დადგმულ მეიერჰოლდის სპექტაკლ „ბალაგანში“. ამ ქალს მიუძღვნა ლექსების ციკლები - „თოვლის ნიღაბი“ და „ფაინა“ ფაინას სახელით გამოჩნდა იგი დრამაშიც - „ბედის სიმღერა“

სადოვსკაიას მსგავსად, არც ვოლოხოვას ჰყვარებია პოეზია, თუმ-

ცა ბლოკმა იგი წარმოგვიდგინა როგორც უჩვეულო პიროვნება, როგორც ახალი კლემენტარა. ქალს არ სჯეროდა პოეზიის ნისლეულისა, არც კომეტა აღმოჩნდა, როგორც ეჭვიანობდა ლეჟბა. მალე ნატალია პროვინციაში გაემგზავრა და გათხოვდა. ბლოკს არ შეხვედრია და არც მის ლექსებს კითხულობდა. მხოლოდ ერთხელ, 12 წლის შემდეგ, ნეზლობინის თეატრში, სპექტაკლზე, ქალმა, რომელსაც უკვე ჭალარა მორეოდა, ნახა მოტეხილი და მოქანცული ბლოკი. შეთანხმდნენ, რომ შეხვედრილიყვნენ მომდევნო ანტრაქტზე, მაგრამ ბლოკმა თეატრი დატოვა, ნატალიასთან საუბარი არ ისურვა.

მრავალი ათეული წლის შემდეგ ღრმად მოხუცი ვოლოხოვა საკმაოდ გულგრილად წერდა ბლოკზე; წერდა, რომ რომანი მათ შორის არც ყოფილა. არადა, ისტორიას ამ ქალის სახელი შემოუნახა ბლოკთან რომანმა და ბლოკის პოეზიამ.

სხვაგვარად აფასებდა პოეტს მეორე მსახიობი ქალი - წარმოშობით ასევე უკრაინელი ლეჟბოვ ანდრეევა-დელმასი, რომელსაც მიეძღვნა „კარმენი“ და „ბულბულთა ბალი“. ბლოკს განსაკუთრებით ჰყვარებია ეს ქალი კარმენის როლში, რომელსაც იგი თამაშობდა პეტერბურგის მუსიკალური დრამის თეატრში. პოეტს მისმა სილამაზემ თავბრუ დაახვია, თუმცა თანამედროვენი შენიშნავენ, რომ არც დელმასი ყოფილა ლამაზი. მას, თურმე, მართლაც კარგად უთამაშია კარმენის როლი და ბლოკმაც ამ როლით შეიყვარა დელმასი. მას შემდეგ ამ ქალმა ნახევარ საუკუნეზე მეტი იცოცხლა, მაგრამ რაიმე წარმატება არ ჰქონია.

ეს სიყვარულიც რამდენიმე თვეში განელდა, ქარიშხალმა გადაიარა და ლეღვა სტრიქონებად იქცა. დელმასი ყოველთვის ესწრაფვოდა პოეტთან სიახლოვეს, ერთხელ შახმატოვოშიც ჩააკითხა. მაგრამ ბლოკი გაურბოდა და თანდათან რომანს ძველი ნაცნობობის ხასიათი მიეცა.

დელმასი მიაცილებდა პოეტს უკანასკნელ გზაზე 1921 წლის 10 აგვისტოს...

როგორც ვლადიმერ ორლოვი შენიშნავს, ალექსანდრ ბლოკს არაერთი ქალი ეტრფოდა - ნ. სკვორცოვა, ე. კუზმინა-კარავეევა, ნ. ნოლლე, ფანდერ-ფლიტი, მ. კიუვილე... ასახელებენ ანა ახმატოვასაც, მაგრამ მის გულს აესებდა „მშვენიერი ქალბატონის“ სიყვარული, გამითებული ლეჟბასი, რომელსაც ზეციურ ბურუსში

ხვევდა, ხოლო მინიერი ლიუბა, ჩვეულებრივი ქალი, მას სძულდა კიდევ: „ლუბამ დაასწულა დედაჩემი, ჩამომაცილა ხალხი... ლუბამ სიკოცხლის წლები მომიწხამა, დამტანჯა და მომიყვანა ამ დღემდე. რომელშიც ახლა ვარ“, წერდა გულგატეხილი პალადინი.

ბლოკის სატრფიალო ლირიკა თუ, ერთი მხრივ, უაღრესად კონკრეტული, კონკრეტული ფაქტებისა და განცდების პოეტიზებაა, მეორე მხრივ, ეძლევა სიმბოლურ-ალეგორიული სახე. სატრფო როგორც ანგელოსი, კომეტა და კლეოპატრა, როგორც ხორცშესხმული მსოფლიო სული იტვირთება ისტორიული ასოციაციებით, რელიგიური ხილვებით, ახლავს როგორც სხეულებრივი ტკივილი და განცდა, ისე სულიერი, ზეციური აღმაფრენა.

* * *

ალექსანდრ ბლოკმა ლექსების წერა ფაქტობრივად შეწყვიტა 1916 წელს. მომდევნო წელს არცერთი ლექსი არ დაუნერია. იგი არ იყო კატაკლიზმების, სისხლისღვრისა და ნგრევის პოეტი, თუმცა თავდაპირველად რევოლუციის სტიქიონმა გაიტაცა (თანაუგრძნობდა ესერებსა და მენშევიკებს). ჩანს, პირადმა ცხოვრებამ, მსოფლიო ომის კომმარმა ჩამოაცილა ლირიკას, რადგან იდეალები უკვე დამხობილი იყო: ლიუბოვ ბლოკს დაჰკარგოდა მარადქალური მომხიბვლელობა, ხოლო ომმა, რომელშიც თავად მონაწილეობდა როგორც ჯარისკაცი, სასტიკი რეალობის წინაშე დააყენა, რომელსაც არ სჭირდებოდა არტისტული და მისტიკური ოცნებისა და ლანდების სამყარო. მაგრამ ეპოქის ქარბორბალა პოეტის გულსაც ეხლებოდა და 1918 წლის იანვარში ერთბაშად შექმნა ორი შედევი - „თორმეტნი“ და „სკვიტები“.

ეს იყო დიდი პოეტის უკანასკნელი ძლიერი ამოსუნთქვა. შემდეგ სამწელნახევარი კიდევ იცოცხლა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ლექსი დანერა. ხშირად უბრუნდებოდა ძველ სტრიქონებს, თხზავდა დრამას ფარაონ რამზეს მეორეზე, წერდა ნარკვევს კატილინაზე, ბექდავდა ესეებს, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ცდილობდა დაემთავრებინა პოემა „სამაგიერო“, მაგრამ ვერ შეძლო.

ბლოკისათვის დამთრგუნველი იყო ბოლშევიკური ტერორი და ტოტალური ნგრევის მანია. ამიტომ წითელმა უამმა იგი არა მხოლოდ როგორც შემოქმედი, ფიზიკურადაც გაანადგურა, თუმცა არ ჩიოდა და ასე მშვიდად, წყნარად, თანდათან კედებოდა.

„პუშკინის სახლს“ ბლოკის უკანასკნელი დასრულებული ლექსია. დაინერა იმ დღეს, როცა იგი გენიალური სიტყვით გამოვიდა ლიტერატორთა სახლში პუშკინის ხსოვნის საღამოზე.

როცა ახალი ლექსი შეუქმეს, მან სევდიანად უპასუხა: „მიხარია, რომ გამომივიდა. მე ხომ დიდი ხანია აღარ ეწერ ლექსებს. მაგრამ რაც მეტს ვცხთობ, მით უფრო ახლოს ვარ სიკვდილთან და მით უფრო მიყვარს პუშკინი“.

შემდეგ დაუმატა: „მე მგონია, სხვაგვარად არც შეიძლება. მხოლოდ სიკვდილის წინ შეიძლება გაიფო და ბოლომდე შეაფასო პუშკინი, რათა მოკვდე პუშკინთან ერთად“.

მეორე დღეს ერთმა გაზეთმა დანერა, რომ საღამოზე ხალხი შეიკრიბა, რათა ენახათ უკვდავების შარავანდედით მოსილი პუშკინი და უკვდავებისაკენ მიმავალი ბლოკი.

...რამდენიმე თვის შემდეგ ალექსანდრ ბლოკი ცოცხალი აღარ იყო.

ეს ესთეტი და მწუხარე სულის პოეტი ისევე უდროოდ გასცილდა ამ ქვეყანას, როგორც ადრე – გრიბოედოვი, პუშკინი და ლერმონტოვი, როგორც შემდეგ – გუმილიოვი, ესენინი, მაიაკოვსკი, მანდელშტამი და ცვეტაევა...

ასე სასტიკად გაუხსნორდა დედარუსეთი თავის საუკეთესო შეილებს.

სოსო სიგუა
1994, ოქტომბერი



* * *

შენ გეძახოდა უცხო ქვეყანა,
შენ მოგიხმობდა გზა შორეული,
ჩვენ გაგაცილეთ გულის დანყვეტით
და დავიოკეთ ღელვა ჩვეული.

ზამთარი ჩუმად შემოგვეპარა
და პირველივე თოვლით სახლიდან
შენ გაიყოლე ცეცხლი ფარული,
რომელსაც ჩვენი სიცოცხლე ახლდა.

მშვიდობით, ახლა ქუჩას გავყურებთ,
მაგრამ ნაკვალევს ნამქერი ფარავს
და ის ზოზინა, გულისმომკვლელი
უამი ნელინელ მოდის და გვზარავს.

გათავდა, მორჩა, ან არ გვჭირდება
ჩვენ ეს ჯადო და იდუმალება,
არც ის ოცნება, გვიანი ღამით
მიმქრალ მთვარეში რომ იმალება.

28 ივნისი, 1901

* * *

ისევ შორსა ხარ წინანდებურად,
მშობლიურ ნაპირს ვერ მივაგენი.
უცხოობს შენი სალოცავი ჩემს მწუხარებას
და სიხარულზე სდუმან ბაგენი.

მკაცრი სიცივე უწმინდესი შენი ძალაა,
უღვთო აღმურმა ვერ იპოვა წმინდა ნაკრძალი,
დე იყოს ტრფობა სამარე და გადავიწყება,
შენ ხარ საფლავზე ანთებული შუქის ტაძარი.

11 აგვისტო, 1901

* * *

შენ გვიან გახველ, მე კი გელოდი
და მოლოდინში სული განახლდა.
მნუხრი ჩამონვა, მაგრამ უცრემლო
ფიქრი სმენას და მზერას თან ახლდა.

როცა პირველმა აღმა იფეთქა
და ეს სიტყვები წაიღო ცაში,
მაშინ დაიმსხვრა უკანასკნელი
ქვებით ყინული ჩემს ოცნებაში.

შენ თეთრ ქარბუქში, თოვლის კენესაში
კვლავ ჯადოქალად გამომელანდე,
ეკლესიების გუმბათის დარად
რომ მარადიულ შუქად ელავდე.

27 ნოემბერი, 1901

* * *

მე ჯერ ეკედერში ვარ დამალული,
მაგრამ ძლიერი ფრთები მეზრდება,
მალე გაქრება სხეულზე ფიქრი
და შუქით სივრცე გალამაზდება.

მაშინ შეხვედრის უამი იქნება,
ცხადი, ვით შენი ოცნების ალი,
შემოგესმება ნეტარი ხმები
და ბაგეს გახსნი ახალი ძალით.

ჩვენ წამონევა ვერ მოვასწარით, –
ცეცხლმა ეს ფარი ისე შებურა
და ის ბედითი ეკედერის ბნელში
ჩემს გულთან ერთად ჩანაელეებულა.

მაგრამ მე ახალ ფარით შეგხვდები,
რომ კვლავ ავზიდო გული ცხოველი,
მოგესმას ტკბილი ხმა და პასუხად
შენ სიყვარულის იყო მთოველი.

უამი მოვა და ქარბუქებს შეცვლის
შორი ზაფხულის მწვანე იერი.
მე ჯერ ეკედერში ვარ დამალული,
მაგრამ მეზრდება ფრთები ძლიერი.

29 იანვარი, 1902

* * *

შორეთში გაკრთა სალამოს ალი –
ასე დასცილდა ღრუბელს ღრუბელი
და როგორც უნინ, ისევე ეკლებში
მიინევს ჩემი გზა დამლუპველი.

ჩვენც გავიყარეთ, როს განვიცადეთ
გრძნობა ნეტარი, მინა მტირალი,
რომ იზეიმოს გულმა კუბომდე
აისი, შორით გამომზირალი.

აფსუს, ნუთიერ გაგვიფრთხილა
ასე ცხოვრებამ სიმარტოვეთი
და გვეჩვენება – სალამოს ცეცხლში
უკანასკნელად გაჩნდა შორეთი.

იანვარი, 1902

* * *

აქ ვილა ტირის? მიწყნარებულ საფეხურებზე
ამოდით ყველა, ყველა კარი ჩანს გაღებული.
იქ კი, სიღრმეში, მარიამი ელის დალოცვას,
ქრისტეს გაჩენით განათებული.

მიანდუ სული შენ იმედით განგების ნებას,
შემოდი შენაც, მწუხარე ცოლო.
როგორც ხანძარი, ხმა მოედო სისხლიან მინას,
ხმა სიყვარულის – ნურაფერს გლოვობ.

რომ საცოდავი წარმავლობა ტრფობით შემოსილს
ველარ შეგვეხოს, ყველა კარი ჩანს გაღებული,
შემოდით ყველა, მარიაში ელის დალოცვას,
ქრისტეს გაჩენით განათებული.

მარტი, 1902

* * *

გაზაფხულია, მესმის ზარის ხმა,
შენ სიხარულით ფანჯარას აღებ,
დღე მოცინარი მიდის და მარტო
უმზერ ვარდისფერ ღრუბლების თაღებს.

შენ შეგაცბუნებს ჩემი სიცილი,
რომ გადაუვლის თვალებს და ქრება.
მე ახლა ნავალ ვარდისფერ ტყეში,
შენ ჩემი სახე დაგავინყდება.

აპრილი, 1902

* * *

შენ გნახულობდით დაისის აღში,
ნიჩბით აპობდი ყურეში ტალღას,
მე შენი თეთრი კაბა მიყვარდა
და გატანჯული ოცნებით დაღლა.

იყო მდუმარე ჩვენი შეხვედრა,
ფიქრს აღვიძებდა მკრთალი სინაზე,
წინ კი ინვოდა მწუხრის სანთელი
და იშლებოდა თმები სილაზე.

ჩემს მიჩუმებულ ნვას და ნვალებას
არ იკარებდა ლაჟვარდი ნყნარი...
ჩვენ შეგვახვედრა სალამოს ნისლმა,
სადაც ლელქაშებს არხედა ქარი...

დღეს არც სევდაა, აღარც ტრფობაა,
გაქრა ყოველი, რაზეც ვღელავდი –
თეთრი ტანი და ქვითინის ხმები,
შენი ნიჩაბი ოქროსფერადი.

13 მაისი, 1902

* * *

შენ ნისლებმა გადაგმალეს
და შენი ხმაც დამეკარგა,
მახსოვს, როგორ ვტყუვდებოდი,
მონას მორჩილს მახსოვს კარგად.

შენ გვირგვინი განათებდა
ცისკრის სხივზე აღმაცერად.
მახსოვს, ტახტის საფეხურებს
სჭრიდა შენი მკაცრი მზერა.

რა სიჩუმე მოგეხვია,
ან რა მკრთალი სამოსელი,
შრილებდნენ შროშანები
შენი მზერით გულდამწველით.

ვინ რა იცის ეს სად იყო,
ის ვარსკვლავი სად ჩავარდა?
დაგცდა თუნდაც ორი სიტყვა
თუ დუმილი გაგყვა დარდად?

მაგრამ განა მე არ მეცნო
იმ მდინარის თეთრი ვარდი,
ან ეს მკრთალი სამოსელი,
უცნაური, ჩუმი დარდი?

მაისი, 1902

* * *

მე მონასტერში დავხეტილო
ბერი – ბნელი და გაუხარელი,
ვუმზერ ფანტელთა აციმციმებას,
როცა ინათებს დილით მთაველი.

ლამე გრძელია, დილა კი მკრთალი
ჩვენი პირქუში ჩრდილოეთისა
და ჩაბნელებულ, ყრუ ფანჯარასთან
ჯიუტი ფიქრი მე შემეთვისა.

კვლავ ერთნაირი თოვლი და თოვლი –
ხელუხლებელი სამოსი გრილი,
გათეთრებული ლავგარდანები,
მარად უფერო სანთლების ცვილი.

ჩემთვის უცხოა ცივი კედელი
და სილატაკით სული ვნებული,
როგორ მაშინებს ძილის ტყვეობა
და ძმათა სახე გაფითრებული.

დილა მკრთალია, ლამე კი გრძელი,
ვით ცისკრის ლოცვა ანდა წირვები,
მეც ვარ თოვლივით გაფითრებული
და ჯიუტ ფიქრით გავეინირები.

11 ივნისი, 1902

* * *

ლაპარაკობდნენ ისინი წყნარად,
უცნაურ ამბავს ელოდნენ ღამით,
არეინ მოსულა ჩემს შესახვედრად,
როცა კარებთან შევჩერდი წამით.

სახლთან მოსულს კი ვხედავდი მრავალს
მყვირალს, მკივანს და ცხარე ცრემლიანს,
ჩემთვის სუყველა იყო უცნობი,
მე მათი მზერა არ შემხებია.

ყველა რაღაცა ამბავს ელოდა
და მივხვდი ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებით,
ვიღაც პატარძლის ბედზე ბოდავდა,
ვიღაც გაქცეულს სდევდა ფიქრებით.

და როცა ბალთან ბორცვზე ავიდნენ,
გადაეშალათ ლურჯი შორეთი
და თვითეულის ფლიდურ მზერაში
თითქოს სევდას და ნაღველს ჰპოვებდი.

მე ერთი კარებს ვეღარ მოვცილდი,
მაგრამ ვერ შევძელ ვინმე მენახა,
რომ მცოდნებოდა დაკარგვის დარდი
და ეს ამბავი რომ შემენახა.

ასე მარტოკა ვიდექი მშვიდად,
მზერა შორეულ მთებს ევლებოდა,
იქ კი დახვეულ, ციცაბო გზაზე
კორიანტელი ნითლად წვებოდა.

15 იელისი, 1902

* * *

მე შენ დაგმარხე და სევდიანი
შენს სამარეზე ყვაეილებს ეზრდიდი,
მაგრამ ზეცაში ხმათა ზრიალით
ჩემს მნუხარებას ზეიმით ცვლიდი.
მე თავს ვახლიდი მშობლიურ მიწას
და შენთან ერთად გაფრენა მსურდა,
მაგრამ ქვითინი ლოცვად რომ იქცა,
შენი სიცილი ჩემთან მობრუნდა.
გლოვის ცრემლები არის ამაო –
შენ ცოცხალი ხარ, თრთოლვით ინთები!
მიტომ ჰყვავიან სასაფლაოზე
ვარდების ნაცვლად ცეცხლის სიტყვები!
ენისი, 1902 (18 ნოემბერი, 1920)

* * *

როს ბინდბუნდში ფანჯარას
შუქი დაებურება,
არლეკინი კარებთან
უკუნს ერურჩულება.

მოხვევია წყვდიადი
წითელ-ყვითელ სამოსით,
ზევით, კედლის მიღმა კი
მასკარადის ხმა ისმის.

იქ სახეებს ფარავენ
ფერად თვალსატყუარით,
მაგრამ ხელზე იცნობა
ღელვა გარდაუვალი.

მიმოხაზა სათქმელი
როცა მან ხის მახვილით,
აღტაცებამ შებურა
ქალის მზერა დახრილი.

აღტაცების არ სჯერა
და ბნელით წაღეკილი
ამ იდუმალ კარებთან
ხარხარებს არღეკინი.

6 აგვისტო, 1902

* * *

შენ, შენ მოგძახი სხვა სამყაროდან,
შენ – მეგობარო, შენ – ანგელოზო,
შეუნდე შეშლილ პოეტს, რომ შენთან
ვერ გამოჩნდება მისი სამოსი.

ასე უგონოს, ასე სევდიანს
ჩემი იღბალის მინდოდა ნახვა,
მაგრამ ოქროსფერ სიზმრით დაკბენილს
ეს საიდუმლო კუბოში ჩამყვა.

შენ გამობრწყინდი ღამის ბნელიდან
და განმარიდე ცხოვრებას მწარეს,
შემოგეხვია შენ ფიქრი ჩემი
და მორჩილებით მზერა დახარე.

მესმის კუბოში ჩიტის ჟღურტული,
მოდის ზაფხული, მინა სველია
და ოქროსფერი ნანნავის ქროლვა
ისევ მწველი და დამტანჯველია.

14 აგვისტო, 1902

* * *

სიკვდილს მოელის აღელვებული
აქ ჩემი სული შიშით ძლეული,
ვით ანდრომაქე – ყმანვილი ქალი
თალხად პეპლუმში გამოხვეული.

ველარ აღდგება ახლად პექტორი
აქილის ხელით მინაში მწოლი
და სამუდამო ბორკილებისთვის
განწირულია მწუხარე ცოლი.

აი, გამოჰყავს ომის ველიდან
აქილევსს იგი ნგრევით და რისხვით...
შორს, მგლოვიარე ბანაკში ქრება
ბრძოლის ცეცხლი და ცივდება სისხლი.

15 აგვისტო, 1902

ექლუზიასტი

შუქის და ჩრდილის რომ ხარ მლოცველი,
და რომ ერთობი ქნარის შეხებით,
შეხედე იქეთ, ქაოსს ამღვრეულს,
შენი დღეები სადაც იხრება.

ის ვერცხლისფერი ჯაჭვი მთელია,
ავსებულია შენი ხელადა,
ხეობის ფსკერზე ყვავილობის ნუში
და ცხელი ტენი დაქრის ველადა.

შენ კი მიდიხარ მთებში, შინისკენ
ცხელი შუადღის მზით დაფერილი,
მიხვალ – ოქროსფრად ბრწყინავს სახვევი
შენი კუპრისფერ თმით დაფარული.

დაჭკნა კაპარის აქ ყვავილები
და კუტკალია უფრო მძიმდება
და შიშის ზარმა გზაზე დაქროლა
და მწვერვალების თავზე ბინდდება.

დაქანცულია ჯაფით დოლაბი
და გუშაგები გარბიან შიშით
და იზნიქება ბარში ხეები
შემოვარდნილი მომხდურის ნიშნით.

ყველას ედება ძრნოლა ველური,
კაცი და მხეცი ერთად მოჯარდა
და სულ ამოდ კეტავენ სახლის
კარს, საიდანაც ზეცა მოჩანდა.

24 სექტემბერი, 1902

* * *

მიტოვებული და ყრუ კედლები
რალაც იდუმალ ნიშნებს რჩეობენ,
გულს კი ანვება სიზმრად ნითელი
და ოქროსფერი ყაყაჩოები.

შევეფარები ღამეულ მღვიმეს
და სასნაული არ მახსენდება
და განთიადზე ლურჯი ქიმერა
ნათელ სარკეში ცად იხედება.

შიშისგან ვხუჭავ თვალებს და მზერა
წამებს გარდასულს დასდევნებია
და გაყინული ნიგნის ფურცლებზე
ქალწულის ოქროს ნანწავებია.

თავს დამდგომია ზეცის კამარა,
გულს დამწოლია შავი სიზმარი,
ახლოა ჩემი აღსასრული და
ომიც, ხანძარიც ისევ წინ არი.

ოქტომბერი, 1902

* * *

მე ჩაბნელებულ ტაძარში შევალ,
ლოცვას ვასრულებ სანთლის ფერებით.
იქ ველოდები ლამაზ ქალბატონს
წითელ ციმციმში წყნარ კანდელების.

ურუოლა ამიტანს, როცა მომესმის
სვეტების ჩრდილში კარის ჭრიალი,
მაგრამ შემეყურებს მხოლოდ სიზმარი,
ისე ვით ხატი თვალსხვიანი.

მე შევეჩვიე სამოსს, რომელსაც
ატარებს ლანდი მარადქალური.
გადარბის მაღალ ლავგარდანებზე
ღიმი, ზღაპარი ნიავექარული.

როგორ საამოდ ბრწყინავს სანთლები
და გასახარი შენი მშვენება,
თუმც არ მომესმის სუნთქვა და სიტყვა,
მე შენი სახე მომეჩვენება.

25 ოქტომბერი, 1902

* * *

მათ ნაცრისფერი ხურავთ ღრუბელი,
მათთვის უცხო ვარ და არ ეჭირდები,
არ ახსენდებათ, რაც მისწავლია,
ხმები წყობილი თუ გამქირდველი.

მე სულ ვდუმვარ და სულ ვნაღვლიანობ,
მესმის სიტყვები ბნელი და მკრთალი,
და მე ვიგონებ ლურჯად გადაშლილ
ცას ლაჟვარდოვანს მშობლიურ მხარის.

უცნაურია მათი დუმილი
და მოლოდინი ამ ეჭვებისა,
მაგრამ ახარებთ ხელის შეხება
ჩემი დაშლილი დალალებისა.

მე გულს არა მტკენს ეს გაცემა,
მაგრამ დაისი ცას რომ შენისლავს
დამეუფლება ზოგჯერ სირცხვილი
ჩემი დაშლილი დალალებისა.

ოქტომბერი, 1902

* * *

მე მეშინია შენთან შეხვედრის,
მაგრამ ვერ გნახო – უფრო ძნელია,
გაოცებულა ყველა და მათი
სევდა იოლი საპოვნელია.

ვერ გამიგია, მოხეტიალე
ჩრდილებით ქუჩა როგორ ბინდდება
და ეკლესიის კიბესთან მისულს
უკან მოხედვის შემეშინდება.

ვილაცა მხარზე ხელებს შემახებს,
მაგრამ არ მახსოვს მისი სახელი,
ყურში ჩამესმის სამგლოვიარო
ხმა – უსასოო სევდის მსახველი.

დაბლა ეშვება ცა მოღუშული,
ტაძარსაც ფარავს ღრუბლის ქულები,
და მეჩვენება – თითქოს აქ იყო,
მაგრამ იქ ხარ და იქ მეგულები.

5 ნოემბერი, 1902

ელენება ნ. ნ. ვ-ს

თოვლის ღვინო

როცა გამოკრთი ღვინის თასიდან,
შენ ჩამისახლე შიში ველური,
უბინო იყო შენი ღიმილი
და დაგრაგნილი თმები გველური.

მე ჩამხობილი ბნელ ნაკადებში
უსიყვარულოდ ჩემს გულს ვაგონებ
შენზე მოხვეულ თოვლიან ქარს და
გადავინყებულ სიზმრის ამბორებს.

და იგრაგნები ოქროსფერ თასში,
მომესმის შენი ხმა საამური
და დასეირნობს ცისფერი ქარი
ბენებში შენი სიასამურის.

და რომ ჩავყურებ მჩქეფარ ნაკადებს,
თითქოს გვირგვინი თავზე მადგება,
გამახსენდება შენი ამბორი
და შენი ყელი მომელანდება.

29 დეკემბერი, 1906

მეტოქე ნათლობა

ქარბუქმა ჩემი კარი გააღო,
ჩემი სენაკი ყინვამ შებურა
და ახალ თოვლის ემბაზში ახლად
მე მოვინათლე ჩემს უნებურად.

და რომ ვეცნობი, ამ სამყაროში,
ვხედავ, ხალხია, საქმე ნამდვილი,
რომ გზა სამოთხის ხსნილია მისთვის,
ვისაც დაადგა ავი აჩრდილი.

მე ამ გათოშილ მიწაზე ასე
დამლლის მეგობარ ქარის ალერსი,
შუქის ძვირფასი ქვა კი ყინულად
ბრწყინავს ღუმელის პირზე ნალესი.

და სიამაყემ ახალ ნათლობის
გულიც მიქცია უკვე ყინულად.
შენ კი მპირდები ისევ წამიერ,
რომ დაიძვრება თოვლში ბინული?

მაგრამ შეხედე, გულს უხარია,
რომ დასდგომია თოვლის სანთლები.
ზაფხულს არც ველი, ხოლო მესამედ
მხოლოდ სიკვდილით მოვიწინათლები.

4 იანვარი, 1907

უკანასკნელი გზა

თოვლის მორევში, როცა მზე ჩადის,
შენ ნამოდგები შორი ჩვენებით,
სად უცხოეთში მოუბრუნებლად
ისევ გასულან ზღვაში გემები.

არა ჩანს ანძა, არც იალქანი
გემის თოვლიან მხრიდან დამხსნელი
და შორს ტაძარზე, უსიხარულოდ
დაიწვა ჯვარი უკანასკნელი.

გზას, გადაფარულს თოვლის ნამქერით,
ვერ გადაუხვევ, თუ დაადგები
და ყოველივეს უხმოდ იგრძნობენ
სასონარკვეთილ სულის სანთლები.

შემოგესმება თეთრი ყურედან
შენ შორეული ბუკის ზრიალი,
მაშინ გაიგებ, როგორ იზრდება
თოვლში ჩაკირულ სულის წრიალი.

3 იანვარი, 1907

განგაში

გულო, გესმის,
ნაბიჯის ხმა მსუბუქი
როგორ გაიხლოვდება?

გულო, ხედავ,
ხელით გაძლევს ნიშანს და
ვიღაც იდუმალდება?

ნუთუ შენ ხარ?
მოლივლივებს ქარბუქი,
მთვარე თოვლით ივსება...

შენ მოდიხარ,
შენ, რომელიც მიყვარხარ,
შენ ეშვები ნისლებით...

უნაპირო
თოვლზე გადაეფრინდებით!
გადანისლულ
ზღვაში ჩავიფერფლებით!

შენ, ქარბუქის
ბნელფრთიანო ფრინველო,
მომე შენი ორი ფრთა!

მთვარის ნრეში,
ვერცხლისფერში, რადგანაც
ყოფნა სულსაც მოსწყინდა!

რომ შემრისხველ
შორეულ ჯვარს მოედოს
ზამთრის ცეცხლი ბრიალა!

რომ გაფრინდეს
შავ ვარსკვლავთა უფსკრულში,
ვით ისარი წერილა!

4 იანვარი, 1907

ლივანის კუთხეში

ბუხარში რომ დანახშირდა
ნაკვერჩხალები,

სარკმელს მიღმა გადაფითრდა
სანთლის ალები.

ზღვაზე ქარში რომ იმსხვრევა –
ხომალდებია.

წყალს რომ კენესით შეერევა –
წეროს ხმებია.

დამიჯერე, ქვეყანაზე
მზე არ ინათებს.
ჩემთვის გული არ დარაზო,
ლექსად მინატრე!

რა ზღაპარიც მოგინდება,
მე მოგიყვები.

არა მქონდეს არ იქნება
შენთვის ნიღბები.

გაივლიან აჩრდილები
ცეცხლთა ფენაში,

უცნაური ნაჩრდილვეი
თვალთა მზერაში.

მუხლს მოგიყრის თავმომნონეც,
ვისაც უყვარდი...

მაგრამ ყველას გადასწონის
ციური ლანდი...

9 იანვარი, 1907

ჩრდილები კედელზე

აი, აგერ გაიარა ხელმწიფემ
დაკბილული გვირგვინით;

ფრთაასხმული მოსასხამით – მასხარამ
და საყვირის სიცილით;

ქალბატონმა – პაყითა და შლეიფით,
ვარდისფერი ჩრდილებით,

და რაინდმა – ბნელ ფოლადის ძენკეების
ხელებზე გაბრწყინებით.

სიარულში გამოგყვებათ, რაინდო,
თქვენ ეს გრძელი მახვილი!

და, რაინდო, თქვენი მუზარადის ქვეშ
ნაზი მზერა დახრილა!

ახ, რაინდო, ჩაფხუტს მამლის ბიბილო
როგორ დამშვენებია!

მიპასუხეთ, ჩემთან მოსვლა, რაინდო,
რალად გინებებიათ?

ყური უგდეთ, საყვარელო რაინდო,
ეს ზღაპრის სიცილია...

ეს ვარდები, რომ იცოდეთ, მეგობრის
ხელით მოტანილია.

ეს ვარდები მეგობარმა, რაინდო,
მომიტანა დარდებით...

თქვენ ისედაც ზღაპარში ხართ, რაინდო,
რალად გინდათ ვარდები!..

9 იანვარი, 1907

თოვლუი

მომხვევია,
ბაბთა ირმის ნახტომის,
მარად ელის
გული ნატვრის ახდომას!

შორეთში რომ
განელილა მილევით,
შენი მზერის
ბნელი საპყრობილეა!

ვინრო ლირა
ვარსკელავია ღმერთქალის,
თოვლიანი
სევდით შემომკენესარი.

იძირება
მზეჩასული ხომალდი
ლურჯ სიღრმეში,
სადაც უნინ ქროლავდა.

9 იანვარი, 1907

ოსინი კითხულობენ ლექსებს

მე ამერია ყველა ფურცელი,
სანამ ბრწყინავდნენ შენი თვალები,
თოვლის ფრინველის ფრთები უცვლელი
ნამქერს მაყრიდა მე გამალებით.

უფალმა უწყის, როგორ გაიგო
სიტყვის ნილაბი, ეს უცნაური.
შენ იცი, ნიგნი არის იგავი,
ხოლო ცხოვრება – პროზის ხმაური.

მაგრამ დღეს შენგან განუყრელია
ღამე და ნისლი მდინარეების,
კვამლის ბურუსი გულის მყინველი
და კოცონები რითმის წრეების...

ჩემთან სიმკაცრეს ნულარ შეაქებ,
და ნურც იქნები ნილბით მზაკვარი,
ხსოვნის უკუნეთს ხელს ნუ შეახებ,
რომ არ მოგედოს ცეცხლი სხვაგვარი.

10 იანვარი, 1907

განწიკული

გული ფარულად ითხოვს დალუპვას,
გული, მსუბუქი გზნებით...
აი, სიცოცხლეს გამომასალმეს
თოვლის ვერცხლისფერ გზებით...

როგორც შორეულ ყინვის ნაპრალში
წყალი დიდეს წყნარად,
ისე თავისი ჩუმი ნაბიჯით
ნამომიყვანა ჩქარა.

ნამომიყვანა, მზერით შემბორკა
და შემომხვია ხელი
და უპატრონოდ გული გაყინა
თეთრი სიკედილის ველით...

მომელის რომელ სხვა სავანეში
მე ხეტიალი მარად,
თუ მოესურვა გულს დაღუპვა და
ფსკერზე ეშვება წყნარად?

12 იანვარი, 1907

გული, ქაჩბუქს გადაცემული

გამონათე თოვლში
უკანასკნელი ეკლით!
აღსდექ, წყვიდადო, ცეცხლით,
შენი თოვლიან ნეშტით!

მომკალი ისე, როგორც მომიკლავს
ჩემში ოდესღაც მე ახლობელი!

მე დავივიწყე, ვინც მიყვარდა კეთილმყოფელი,
გული ქარბუქით დავატრიალე,
თეთრი მთებიდან ავაფრიალე
და ის ფსკერზე წევს, ბედის მგმობელი!

მე შენს კოცონზე თავად მივდივარ
და ვიფერფლები!

გული გასჭერი
ქარიან მზერით,
ცეცხლმოდებული თოვლის ეკლებით!

13 იანვარი, 1907

გამოჩნდა და გადაჩრდილა
თვალციმციმა ყველა ქალი.
ჩემმა სულმა დაინახა
იდუმალი, უცხო რკალი.

შენი სახე ყინვის სუსხით
ვარდისფერად აყვავდება
და ტროიკა თეთრი თოვლის
ნისლეულში გაქანდება.

შენ ეყენები აიქნიე,
გამიტაცე ველზე ბურიით...
აშრიალებ სიასამურს,
სურნელს აფრქვევს აბრეშუმი...

ეს ასეთი ლალი ნებით
წყალს გადაღმა ტირის ქარი
თუ ჟღარუნებს ეყვანი და
ველზე ქრება ნაპერწკალი?

შენს მორგებულ ოქროს სარტყელს
უცხო კრძალვით უმზერს თვალი!
დე, ნამები გვატყუებდეს
და გეძირავდეს ცეცხლის ალი!

აბრეშუმს და ცდომილებას,
დე, ხედებოდეს ქარი მღერით!
ნურც, ნურავინ ნუ გაიგებს,
რა ნაზია შენი ხელი!

ბნელ ვუალის მიღმა როგორ,
ვით გამეხსნა ზეცა ნამით,
ვით დავარდა თოვლზე შორად
შენი შავი მოსასხამი...

* * *

მე მაცბუნებდა, მე მახარებდა,
მაკრთობდა შენი სამოსი ბნელი,
როს იხსნებოდა თეატრის ფარდა
და ჩუმდებოდა დარბაზი ვრცელი.

ჩვენს შორის იდგა რამპების რკალი,
ჩვენ გვაშორებდა ცეცხლი დამწველი,
შენ გედებოდა მუსიკის ალი,
გეფაკლებოდა ნითლად ღანვები.

ახლაც სანთლების ბრწყინავს კრებული,
სული ერთია, სული ბრმა არი...
და შენი მხრები გაბრწყინებული,
შენი მშვენებით ხალხი დამწვარი...

ვარსკვლავო, ქვეყნის ზღვარგადასულო,
შენ იმ შორეულ ველზე ელავდი
და შენს გამოწვდილ ხელში, ასულო,
ცახცახებს ღირა ვერცხლისფერადი.

დეკემბერი, 1906

* * *

ნახველ, გელოდნენ გიაცინტები
და დღემ სარკმელი ვერ გაანათა
და სამოსელის მსუბუქ ნაკეცებს
ღამის სიჩუმე ფარავს თანაბრად.

მე ვიცი, ისევ მოხვალ დაისის
ირიბ სხივების მტვრიან ჩქერებით,
რომ დამატყვევო და გამაბრუო
ნილოსის ვარდთა ნელსურნელებით.

მე შენი მკრთალი ხელებიც ვიცი
და მოჩურჩულე ხმით საუბარი,
ტანი კენარი, მხრები დახრილი,
მოთენთილი და სულშემგუბარი.

მაგრამ შენს სახელს, სახელს იდუმალს,
დაისის ალით დანისლულ თვალებს
მოაქვს გველური უნდობელობა
და ლეგენდების შავბნელი ღამე.

რომელ სამყაროს ემორჩილები
ვერ გამოგიტყვამს ვერასდროს ენით,
რომელ ლოცვის ხარ თანაზიარი,
ხან მონათლული როგორი რწმენით.

მოდის, ძვირფასო, და შემოხედე
შენს უნებურად თვალებს გასენილს
და შენი ბნელი, მახვილი მზერით
ჩემი ცოცხალი გული გასერე.

მოდის, მოცურდი ჩემთან გველურად
ყრუ შუალამის ბნელი წამებით,
რომ ბაგეებით ბოლო მომიღო
ანდა დამახრჩო შავ ნანწავეებით.

31 მარტი, 1907

დედაჩემს

მე გავაშენე ჩემი სამოთხე
და შემოვავლე ზღუდე მაღალი.
შემოდის დედა და შვილს დაეძებს,
როცა ლურჯდება მხარე ახალი.

„შვილო, სადა ხარ?“ – აქ სიჩუმეა,
მზეს დაუფარავს ხშირი მესერი
და ამ სამოთხის ხეობის ღვინო
ნელა გათბება აქ უეჭველი.

დედამ კი ჩუმად, ფრთხილად მიმოვლო
ჩემი ნაკრძალი, ჩემი ბალები
და ეკლავ იძახის: „შვილო, სადა ხარ?“
არ გადათელოს, ცდილობს, ვარდები.

ეკლავ სინყნარეა, მაგრამ თუ იცის,
გული მესერის მიღმა ამოდის,
რომ ძველებური ლხენა რად უნდა,
ვინაც იგემა ღვინო სამოთხის!

აპრილი, 1907

უემთღგომის სიყვარული

1.

როცა ფოთლებში მზისგან დამნვარი
ქნავის კუნწულა წითლად თამაშობს,
როცა ჯალათის ხელი გამხდარი
ჩემს ხელისგულში ლურსმანს ჩაასობს,-

როცა ირევა ტყვიისფერ ჩქერში
რუხი სიმალლის სველი ლანდები,
ჩემი უწყალო ქვეყნის წინაშე
ჯვარზე უმწეოდ ავქანავდები,-

მაშინ გადაშლილ შორეთის ალში
თვალებს ცრემლით და სისხლით ვიოსებ,
და ვხედავ: ფართო მდინარის წყალში
ჩემსკენ მოსცურავს ნავით იესო.

თვალში - იმგვარი ისევ ხალისი,
ტანზე - იმგვარი ისევ კონკები
და სამოსიდან შესაბრალისი
ჩანს გახვრეტილი ლურსმანით ნები.

ქრისტე! მშობლიურ ველზე გაჩნდება
სედა და ჯვარზე სული მელევა
და შენი ნავი თუ მოადგება
ჩემს ჯვარზე გაკრულ ბედნიერებას?

2.

აი, ქართ მოკლული, დამსხვრეული
გაძარცული წნორის ნაზი სხეული.

და გზის მტვერით
დანაფერი
დაუფარავს ლოყა პირქუშ სიბერეს.

მაგრამ შორი
მეტეორი
თვალთა ციმციმს იტაცებს და იფერებს.

სიხარულიც, დიდებაც,
ყველაფერი იქნება
უძირო და შორეული ციალით.

გათელილი ბალახი
და ფოთოლი ნალახი
გაშიშვლებულ ტყეში ნეება ტრიალით...

სიზმრად მოჩანს წარსული,
მზის შუქი გარდასული
და შენ უფრო მეტად დამენანები...

გულო ჩემო მძინარეც,
შენ, ბიჭუნავ მცინარეც,
დამთავრდება როდის შენი წამება?

3.

რომ აგარიდო სუსხი და ქარი,
შენს გაციებულ მხრებს ვეფერები,
შენ ეს გგონია ალერსი წყნარი,
მე – ალტაცება შეუფერები.

და ღამეული სანთლების დარი
ბუუტავს თვალები და ვისმენ ხარბად,
როგორ შრიალებს ბნელი ზღაპარი,
და ვარსკვლავეთის ირხევა ფარდა.

ასე კაშკაშა ღამის მხმობელი
ისევ იქნები შენ – მშვენიერი,
როგორც ვარსკვლავი მანათობელი
ბნელი სამოთხის სათნო იერით.

ვიცი, ცივია ქარის თამაში,
რომ შემოდგომას ვნება გასცლია,
მაგრამ ვინ გიცნობს ბნელ ლაბადაში,
ჩემთან ნადიმსაც რომ არ გაცლიან.

ყვითელ ფოთლებში მივექანებით
და გვესმის ბუკის ზრიალი შორი,
ოცნებას ჩემსას სუსხავს ქარები
და გზაა ჩვენი უკუნში მწოლი.

ზეიმის უამი ბნელში ჩაეშვა
და გადამთვრალი ჩემი ტუჩები
დაეკონება სიკვდილის შიშით
შენს გაციებულ ტუჩს გაურჩებით.

3 ოქტომბერი, 1907

* * *

იმ ცარიელ და ნათელ ღამეში,
როცა ჩასცქერენ ნევას ხიდები,
ისინი შეხვდნენ, როგორც უცხონი,
მარტივ სიტყვების გადავინწყებით.

და თვითეული იყო ლამაზი,
მაგრამ ამაოდ აღტაცებული
ქალი მალავდა უცხო სიცივეს,
ველურ მშვენებას შეფარებული.

და მუდამ მკაცრი გულით გამზომველ
ვაუს არ შეეძლო, რომ ჰყვარებოდა
ქალი, რომელიც მასში მღვიძარე
და მხეცს, მოთოკილს, ეფერებოდა.

ვაჟი იმტვრევდა ხელს უცხოობით,
მაგრამ ჩრდილოეთს შეეღა ენება,
როს მოწყენით და ლამაზ სინაზით
დღედ მოაქცია ლამის ფერები.

ასე, ღამეულ უდაბნოს შუქში,
მოეხვეოდათ სანამ ნკვარამი,
ტაძრის ლურჯ გუმბათს თავს ევლებოდა
მათი განწირულ სულის ვარამი.

10 ოქტომბერი, 1907

თოვლის ქალწული

იგი მოვიდა ბნელ შორეთიდან
უცხო დროების ლამის ასული,
არ დახვედრია მას ახლობელი,
ცა არ ნათობდა შემოგარსული.

მაგრამ სანაცვლოდ დაკბილულ სახის
სფინქსი გოლიათ ნევასთან მდგარი
როცა შემოხვდა, წყნარად შეჰკივლა
თოვლიან ლამის ყინვით და ქარით.

და როს ქარბუქი ვარსკვლავთა სხივით
ქალწულის ტანს და გულმკერდს დალახვრავს,
სულ ესიზმრება თავის ეგვიპტე
მას ჩრდილოეთის ნისლის გადაღმა.

და ნაცრისფერი ჩემი ქალაქი,
სადაც ქარია, ნეიმა და ბინდი,
მიიღო ისე, როგორც სამეფო,
რალაც იღუმალ რწმენით და რიდით.

მას მოეწონა ეს სასახლენი
ღამის უდაბურ ნისლით ფარული,
ფანჯრებში წყნარი შუქი კანდელის,
სულს რომ შერწყმია ვით სიხარული.

და მან შეიცნო ნისლი და კვამლი,
სახლი, წყვილია და კოცონები,
ჩემი ქალაქი მიუწვდომელი
მიუწვდომელმა თავად ოცნებით.

იგი ქარბუქის ბეჭედს მაჩუქებს,
რადგან ლაბადა ვარსკვლავებს ისხამს,
რადგან მაცვია ჯაჭვის პერანგი
და პერანგს გარეთ მე ჯვარი მიცავს.

გამჭოლი მზერით თვალში მიყურებს,
მტერი შემაქოს კიდეც იქნება
და მის ღამეთა ცივი ველიდან
თოვლის ნამქერი სულში იჭრება.

მაგრამ ქალწულის გული უტყვია,
არ სურს აილოს მახვილი მხსნელი,
რომ ეს ფოლადის ჩაფხუტის თასმა
გადაჭრას თავის უინიან ხელით.

და ვით ბელადი მტრის ლაშქარისა
მუდამ ჯავშანით შემორკინული,
ვოცნებობ ძლევიტ შემოხვევაში
გადნეს ღვთიური კრძალვის ყინული.

17 ოქტომბერი, 1907

ფიციისდება ტეტხლით და წყვდიადით

მე ყველაფრისთვის ვარ მადლობელი,
რომ იდუმალი მტანჯაედა ენება,
რომ ცრემლი სდევდა შხამიან ამბობს,
რომ იყო მტრების შურისძიება
და მეგობრების ცილისწამება,
რომ გაიფლანგა უდაბნოში მხურვალე სული.

ლერმონტოვი

1.

უნაპიროა ეს გაზაფხული,
აღარც ოცნებას ჰქონია ზღვარი!
სიცოცხლევე, გიცან, მე შენ გღებულობ
და გესალმები უღრიალით ფარის!

მე შენ გღებულობ და დამარცხებას
თუ გამარჯვებას ჩემი სალამი!
მოჯადოებულ გოდების ნრეში
რომ მაცოცხლებდეს სიცილის ნამი!

მე ვესალმები დაეას უძილოს,
დილას, სარკმელის ბნელი ფარდებით,
რომ მახელებდეს და რომ მათრობდეს
ეს გაზაფხული თვალთა ანთებით!

მე ვესალმები უდაბურებას,
ჭებს ნაზამთრალი ქალაქებისა,
გადანათებულ სიერცეს ზეცაში,
ჯაფით დატანჯულ სულს მონებისა!

შენ შემოგხვდები მე სახლის ზღურბლთან
გველებერ კულულში მძეინვარე ქარით,
გამოუცნობი ღმერთის სახელით,
ცივ და მოკუმულ ტუჩებით მთვრალი...

და ერთმანეთთან მტრულ შეხვედრის წინ
მე რომ მიფარავს – ჩემი ფარია,
არ მოსცილდება შენს მხრებს სამოსი,
მაგრამ ოცნება მაინც მთვრალია!

და რომ გიყურებ და მტრობას ვზომავ,
სიძულვილით თუ ტრფობით დავები,
წვალებისა თუ დაღუპვის გამო,
ეს სულერთია – მე გესალმები!

24 ოქტომბერი, 1907

3.

კარებთან შევხვდი მე უკარებას,
როცა მოსცილდა უცებ მანდილი,
არავინ იყო – მხოლოდ საშიში
სიჩუმე, ღამე, გულისნადილი.

ჩურჩულით მითხრა: აიღე, როცა
აბნეული და მღელვარ სიტყვებით
ვეუბნებოდი ჩემს საიდუმლოს
და გავუმხილე ჩემი ფიქრები...

მაგრამ გამისხლტა ფრინველის მსგავსად,
ავდარისა და უკუნის მხარეს,
სად აღიმართა ცეცხლის მანტიით
ძირს დაცემული დროშა ელვარე.

და ნათელ სახლთან აღელვებული
ღამის სიბნელეს შევრჩი ლოცვებად.
შეუძლებელი იყო შესაძლო,
ხოლო შესაძლოს ერქვა ოცნება.

23 ოქტომბერი, 1907

4.

მე მივაშურე ტანჯვიდან ტანჯვას
ცეცხლის ელვარე, გაშლილ ზოლებით.
შენ კი მაჯავრებ შეუძლებელით
და გაუგონარ დღეთ გაბრძოლებით.

მე, ვით ბნელ მონას, ვერ გამიბედავს,
რომ გადავეშვა ცეცხლში, უკუნში.
მე მხოლოდ ფრთხილად ჩრდილს ვაპრიალებ
და მზერას ვმაღავ ზეცის გუგუნში...

ვით შემოდგომა, შლეიფი მოგდევს
და, როგორც ქარი, მკოცნი ხარბადვე,
რომ ბნელ დილეგში უსიხარულოდ,
როგორც უბედურ ბავშვს მინახავდე...

მონა მორჩილი და უგუნური
მე ვიმალები და ველოდები
შენი თვალების ღამეულ მზერას,
ჩემი ანთებულ მხურვალ ბოდვებით...

მე მხოლოდ დილით თუ შემიძლია
დავტოვო შენი სახლის პარმალი,
ღამით კი კაბის ნაოჭში ვმაღავ
სახეს, შეშლილი ფერით ნალადი...

და დილით ყორნებს უნდა ვესროლო
ჩემი სიზმარი, თრობა, ოცნება,
ღამე კი ისევ – ვიცი და ვიცი,
შენი მშვენება რომ იკოცნება!

ვიყო გულგრილი თუ ფრთაასხმული?
ასგზის ნაშოლტი და უიმედო,
რომ წყეულ წამით მე შენთან ერთად
ღამის ხანძარის ალი მომედოს!

ოქტომბერი, 1907

5.

მე მინდა გითხრა, რომ ამერია
ლექსის ფურცლები და სტრიქონები,
შემოგახვიე მხრებზე ლაბადა
და შემოგყურებ უტყვი გონებით...

მე ამ ბინდ-ბუნდში გრძნეულის დარად
გდარაჯობ ასე და გელოდები,
ამ მოფრიალე და მოზეიმე
დროშასთან მდგარი ქარში ბოდვებით...

მღერის ქარი და მომავლის ფარდას
მე გადამინევს ლურჯი სიზმარი,
უნდა სიცილი და მას სწყურია,
ჩემთან გიხილოს თვალმოცინარი!

და შემოდგომის მკრთალი ვარდები
ყოველ ნაბიჯზე მე მეღანდება,
ცეცხლია, ყინვა თუ უკუნეთი
თუ თოვლის ფიფქი თვალს ებღანდება!

ქარი რას მეტყვის მე მომავალზე
ან შემოდგომის ყვავილი მკრთალი,
როს აბრეშუმის შავ თავსაბურავს
წყნარად იცილებს ძვირფასი ქალი...

როს მეყურება მხოლოდ ნკარუნი,
სულს რომ აწვალებს – ეს აჩრდილია,
გული გაფრენილ ფრინველს მიაგავს,
გული ნაღველით დანეწკილია...

21 ოქტომბერი, 1907

6.

ის ხომ არ არის, დაუსრულებელ
კორიდორების ბოლოს რომ როკავს?
ან ეს მუსიკა რატომ ხმაურობს,
ჩვენს განშორებას როგორ ჩამოჰგავს?

მე თქვენ ვერაფერს ვერ მეტყვით, ხალხნო,
ჩემი ტაძარი ისე ბნელია.
კანკალით, ოხვრით, ტრფობის ნალევლით
თვალი დამწვარი მე ამხელია.

გული – ფრინველი დავინწყებისა
ჩამოქროლილა ოქროს ნუთებად
თუ მისი მთვრალი ლანდი ფარფატებს,
როკვით რომ თქვენზე ალაპს უნდება.

არავინ მოსწონს მას თავმდაბალი,
არც უგუნური, აღარც ჭკვიანი,
როგორ უყვარდეს ბნელში კედელთან
მდგარი ჩემსავით გულნალვლიანი...

გულო, აფრინდი, როგორც ფრინველი
და გააღვიძე ტრფობა ფარული,
რომ მოთენთილი წამწამთა რკალით
მოედოს მიმქრალ მხრებს სიყვარული.

გული კი ფეთქავს ფრინველის დარად
თუ ეს ფრინველი ცაში ტრიალებს,
მსუბუქი როკვით მალლა მიინვეს
და უიმედოდ ფრთებს აშრიალებს...

23 ოქტომბერი, 1907

7.

როს ქარბუქი ქუჩებს ბლანდავს,
ბარბაცებს და ბურავს ბინებს,
ხელს ვილაცა გამომინვდის
და ვილაცა გამილიმებს.

ნავეყები და – ნინ სიღრმეა
ბნელ გრანიტად შეკუმშვილი,
შხუის იგი, მღერის იგი,
მიხმობს იგი, დანყველილი.

მიედგები და უკუედგები
თრთოლვით სუნთქვა არეული,
აი, საზღვარს გადაეულ და
ჭაელის რაკრაქს იგრძნობს გული.

ჩურჩულებს და არ მცილდება
(ნება უარყოფილია)
„დამიჯერე, კედომის მდომი
სული კეთილშობილია.

დამიჯერე, რომ მარტო ხარ,
გულს სიცივე აბადია,
დააკვირდი ცივ დინებას,
სად ყოველი მარადია“...

გავიქცევი და მწვალებელ
წყეულ აჩრდილს მოვიცილებ!
ეელად გავალ, თოვლში ღამით
წნორის ბუჩქთან მივიძინებ!

იქ, ყველაზე თავისუფალს,
ვერ დაჩაგრავს უცხო ნება
და ტკივილი უფრო მეტი
შორი გზიდან დაბრუნდება.

8.

რაა წითელი დაისი ჩემთვის,
ბოროტი ღელვა განშორებისა?
ქვეყნად ყოველი ცეკვის ფრთებია
და შეხვედრები მთვრალ ხელებისა!

მე მეჩვენება ლოყები მკრთალი,
გედის ნაბიჯი, ღელვის მსახველი,
მომესმის სიტყვა დაუფარავი
და საყვარელი ნაზი სახელი.

ამ ახალ სიზმარს, ცისკენ აფრენილს,
ღელვა აღავსებს მომქანცველ გზაში,
მაგრამ ვერ შეძლებს, რომ წამიყოლოს
გაკრული თოვლის თეთრ სუდარაში...

ო, წამიყვანე და გამაბრუნე
და გამანამე, ცივო ფანტელო,
რომ ჩემი სულის ნაზი ძაფები
დანყვიტო, დანვა და მიმოფანტო...

შენ, სუსხო ჩემო, სიცივევ ზამთრის,
ჩემს სულში ტანჯვის გრიგალქარია,
ეს სქემოსანი, გული მწუხარი
და ეს ჰიმნები – ყველა მკედარია...

*

კვლავ მიფრინავს, მიფრინავს,
ჟღერს და თოვლი ტრიალებს
და გრიგალი ზრიალებს
თოვლის ნაპერწკლიანი...

ნელი როკით, ზმანებით,
შენ მეგობარ ქალებით
დაიარე თოვლიანი ველების
წარმავალი უსასრულო რკალებით...

*

მესმის შენი ხმა დაუფარავი
და მეჩვენება ლოყები მკრთალი,
გიმზერ და გხედავ და რაც ვერ გითხრა
მას შენ გადმოგცემ ღიმილის ალით!

ბედნიერება გულს მოედება
და დაცერებულ ბილიკებით
შორს გაფრინდები...
გრიგალის ფრთებით
როს ამღერდები,
თოვლის ღრუბელით დამებურება
შენი სხეული, ნაზი, რხეული...

*

და ისევე ქარბუქი
დაქრის, მღერის, ნავარდობს...
ყველაფერი ჩვენებაა,
ყველაფერი – სადარდო...
თოვლის თასი სრულიად
ქაფით ავსებულია
და სიმთვრალე
ზრიალებს...

მდუმარებით გული ფერმიხდილია,
ქალწულთ კვალზე,
ნახე, არც სიკვდილია!
ბნელ მინდორში
სხივი დახეტილებს!
მწარე ბედი
წლების მერე იალებს...

და ისევე, ისევე
როკვა უკან ბრუნდება...
ქარი მღერის, შენი ხმა
ცხადად შემოცურდება.

შენ გაჰყევი
ისევ რკალს,
ნამიერად გამომკრთალ
შენს მინიერ მეგობარს.

ეს როგორი ცეკვაა და რანაირ სინათლით
მეძახი და ბრაზდები?
უსასრულო ტრიალში
შენ როსლა დანყნარდები?
რა მაშინებს? ვისი ხმა?
ვისი ხმების სიმალლე?
შეკუმშულო ბგერებო
და რუსულო სილაღევ?

და ისე ვით ოცნება, და ისე ვით ტრიალი,
დედამინა გარბის და მზერას მიეფარება,
და ისე ვით სიგიჟე, და ისე ვით წრიალი,
შფოთვა და დაეინყება, სიკვდილი უკარება
შენ წინ მიექანები!
შენ შემართე ხელები,
სიმღერა გახელებით
საოცარი ციალით, რომ შენს სახეს ემონოს...
და ეს როკვა-რიალი,
სიმღერა და დაღუპვა და ნიღბების ზრიალი
ნუთუ შენ ხარ, გარმონო?

1 ნოემბერი, 1907

9.

ეხ, გარმონო, გარმონო,
მღერი, იწვი დარდებით,
ყვითელ ბაიებით და
გაზაფხულის ვარდებით.

სტვენითა და სიმღერით
იქ დილამდე დადიან,
შრიალებენ ბუჩქები,
რომ ვიხილო - სწადიათ.

ვხედავ – ხელი გაშალა,
მოდის ცეკვა-თამაშით,
მოგვაყარა ვარდები,
სიმღერების მარმაში.

ცეკვავ დაუნდობელი,
ორგული და ცბიერი,
გაფლანგული სულით და
მოშხამული იერით.

მე შენ ისე მიყვარხარ,
შემშლის შენი მშვენება,
რომ ღამე ხარ, წყვილია
და სიმთვრალის ჩვენება...

რომ შენ სული წამართვი
მე – სანამლაუნაგემი,
და რომ მაინც გიგალობ
ათასნაირ ჰანგებით!..

9 ნოემბერი, 1907

11.

მე დავწყნარდები ისევ შენს ფერხთით,
იდუმალ ფიქრით გულჯავრიანი.
მიმოაქვს ქარბუქს ზღურბლზე, კარებთან
ნამქერის ცეცხლი თეთრფრთებიანი.

მაგრამ სათუთი შენი სახელი
ისევ იელვებს სევდით ქარულად...
როცა ქარ-ბუქი მღერის და მღერის
დაეკოცნი მე შენს შლეიფს ფარულად...

და შენს გადამთვრალ, ბოროტ დილეგში
გულო, ტანჯულო, ღამეს ათევი
და შენი წყნარი წამნამთა ჯარით
იკეცებოდნენ თოვლის ვარდები.

თითქოს დავეცი, როცა გავრბოდი
და ვარ ქარბუქით ძალმილეული
და ჩემს წინაშე თოვლიდან იშვა
ცივი, უსულო ვარდის სხეული...

იდუმალ სევდით და ნელი სევდით
ისე ვით თოვლი დასცვივდეს ფურცელს,
თოვლის ქალწულის ნაზი სახელი
კიდევ მოსწყდება ბაგეს ფერუცვლელს...

8 ნოემბერი, 1907

მონაწილე

ვერავენ იტყვის, ვიყო უგნური
კუშტი სახით და მდაბალ თაყვანით.
ალარ მომიხმობს მე იღუმენი
თავის სენაკის კარებთან ღამით.

ნაღვლიან ძმებთან – ძმა სანიმუშო
შავ ანაფორით ვარ ალანდული,
როცა დილიდან ასე მორჩილად
მკრთალ ბალახებში ვარ გაბლანდული.

და როცა მივალ ხოლმე ხატებთან,
როგორც მკაცრი და ძმა უწყინარი,
მიემატება თაყვანს თაყვანი,
ძველ ჩვეულებათ სხივი მფინარი.

და ვინ გაიგებს ან ვინ მიხვდება,
რომ შენ მითხარი მაშინ: გაჩუმდი...
რომ, როგორც ცვილი, სული დამდნარა
სანთლის მხურვალე ალით ნაშუქი...

რომ აღარ გვინდა რაიმე ლოცვა,
როს მდინარესთან მიხვალ მდურავი,
შენი მონასტრის მიდამოს მიღმა,
შენი მონაზვნურ თავსაბურავით.

როს აყვავებულ სვიათა ტევრით
გიჟურად სახეს ჩემსას დაუვლი,
დამეკარგება დღეთ სათვალავი
მე - სილამაზის დანაშაულით.

6 ნოემბერი, 1907

* * *

მთელი ცხოვრება მას მოელოდა
და მოლოდინმა როცა დაღალა
დაშლილი თმების ბნელი კულუღი
მხრებზე ღიმილით გადაიყარა.

განა სამყარო ისე ვრცელია,
რომ შავი მზერა ველარ მოავლო!
ხომ ხალხი ამბობს, ვიყოთ მორჩილი
და მოლოდინი გვექონდეს მომავლის...

აქ რომელიღაც სალამური კი
მღერის ნაზად და ხმების კანკალით:
„შენ მოეფერე ბავშვს მოძულეებულს
და დაარნიე უცხო აკვანი“.

მეც ხომ აქა ვარ, ჩემი იღბალით,
მრისხანე ლირის მადგას ჩუგლუგი,
ასე ბოროტი და დაჩაგრული
ბაზრად ქცეული ქვეყნის დუგდუგით.

მე შენი თმების ნყვდიადის მჯერა
და ეს უმწეო სულის ფრთხიალი,
ისე ვით შენი ერთგული ძალღი,
ფეხქვეშ განგერთხა ჯაჭვის ნკრიალით.

და აი, ისევე რომ შემომხვდება
ბნელი თვალების სინათლეები,
მსურს დავიძახო შენი სახელი,
შენთან დასრულდეს ჩემი დღეები...

ეს ოცნებაა თუ ყრუ სიზმარი?
სანამლავს მოსდევს სხვა სანამლავი...
მე გიღალატებ ისე მზაკერულად,
არ მოქცეულა როგორც არავინ.

ასე თავს ვიქცევთ და ყველამ ვიცით,
არაფერია ქვეყნად ახალი,
რომ განგებისგან მოკვდავს ებოძა
დასცდეს სიტყვები გულის მსახვრალი!

და ეს ნურავის ნუ ედარდება
შენ რა მაჩუქე, ვისთან მოვედი,
მანინც ამოკვეთს საფლავის ქვაზე
ხალხი მეტსახელს ჩემსას – პოეტი.

13 იანვარი, 1908

* * *

როცა თქვენ დგებართ ჩემს გზაზე,
ასეთი სიცოცხლით სავსე, ასეთი ლამაზი,
მაგრამ ასეთი გატანჯული,
ნაღვლიანად ლაპარაკობთ ყველაფერზე,
ფიქრობთ სიკვდილზე,
არავინ გიყვართ
და არად გიღირთ საკუთარი მშვენიერება –
განა მე მინდა გული გატკინოთ?

ო, არა! მე ხომ არა ვარ მოძალადე,
არც მატყუარა, არც ქედმაღალი,
თუმც ბევრი ვიცი,
და მეტისმეტად ბევრსაც ვფიქრობ ბავშვობიდანვე

და გართული ვარ საკუთარ თავით.
მე ვარ მწერალი,
კაცი, რომელიც საგნებს თავის სახელს უბრუნებს
და ცოცხალ ყვავილს ართმევს არომატს.

რამდენიც უნდა ისაუბროთ მწუხარებაზე,
რამდენიც უნდა იმსჯელოთ დასაწყისსა და დასასრულზე
მე მაინც ვბედავ ვიფიქრო,
თქვენა ხართ მხოლოდ თხუთმეტი წლისა.
და ამიტომაც მე მინდოდა,
თქვენ გყვარებოდათ უბრალო კაცი,
ვისაც უყვარს მინა და ზეცა მეტად,
ვიდრე გართმული და გაურითმავი
მეტყველება ცასა და ხმელზე.

მერწმუნეთ, ვიქნები თქვენი მოხარული,
რადგანაც მხოლოდ შეყვარებულს
აქვს უფლება იწოდებოდეს ადამიანად.

6 თებერვალი, 1908

* * *

იგი ყინვიდან შემოვიდა
ანთლებული,
აავსო ოთახი
ჰაერისა და სუნამოს სურნელით,
წკრიალა ხმებით
და სავსებით მოსაწყენი
ქაქანით.

დაუყოვნებლივ იატაკზე გადაიტანა
მხატვრული ჟურნალის სქელი ტომი
და ახლა უცებ მე მომეჩვენა,
რომ ჩემი სახლის დიდი ოთახი
დაჰატარავდა.

სანყენი არის ეს ყველაფერი
და უცნაურიც ცოტა არ იყოს.
თანაც ისურვა,
რომ ხმამაღლა წამეკითხა მისთვის „მაკბეტი“.

„დედამინის ბუმტს“ ძლივსძლივობით როს მივალწიე,
აულელებლად მე რომელზეც ვერ ვლაპარაკობ
მე შევამჩნიე, მღელვარება მასაც მოედო
და ყურადღებით გაიხედა სარკმელის მიღმა.

იქ კი აღმოჩნდა, რომ ჭრელი კატა
ძლივს რომ მიკვრია სახლის სახურავს,
ჩასაფრებია მოკოცნავე მტრედების კრებულს.

მე გამაჯავრა ყველაზე მეტად,
რომ კოცნაობდნენ მტრედები და არა მე და ის,
და რომ ნასულა პაოლოს და ფრანჩესკას უამი.

6 თებერვალი, 1908

* * *

მახსოვს ხანგრძლივი მე ეს წვალება,
ლამე სარკმელის მიღმა გათავდა
და მოწყვეტილი მისი ხელები
დღის სინათლეში ამოთავთავდა.

მთელი ცხოვრება უქმად გალია,
იყო წუხილი, წვა და წამება.
იქ კი, ვით ლანდი, დილის ნათელი
ტაძრის გუმბათებს წითლად წაება.

და ფანჯარასთან უფრო გახშირდა
გამვლელთ ნაბიჯის ჩქარი ხმაური,
ხოლო ნაცრისფერ ტბორში მატულობს
წვიმის წვეთების აურზაური.

დილა გაგრძელდა როს უსასრულოდ,
იყო ამაო კითხვა გულისა,
რომ არ გადაწყდა არც არაფერი
ცრემლების თქემით გაზაფხულისა.

9 ივნისი, 1908

ცხარე ცრემლებით, წინანდებურად,
თავს დაგვტიროდა ჩვენ გაზაფხული,
ცეცხლი ბრწყინავდა ლელქაშებს მიღმა
და ხელდებოდა ჰუნე ზღაპრული.

ისევ გეგონე მე უღმობელი,
შენ რომ მიწოდე დიდი ხანია,
მაგრამ ლოყები რომ აგიღანდა
ეს ის მძვინვარე, ცივი ქარია...

ისევ უძალოდ, ისევ ამოდ
შენ განირიდე ცეცხლი დამწველი,
მაგრამ ვნებისგან ზეცაც იწვოდა,
თავს დამცქეროდა ურიცხვ სანთელით.

მაშინ სულერთი გახდა ყოველი,
ტუჩების კოცნა, მხრების ალერსი,
მიყრუებულ და უკუნ ქუჩებში
ცხენების ქროლვა უმხურვალესი...

ახლა შენ არ ხარ და სულერთია,
ვისი სუნთქვაა, ვისი შრიალი...
მხოლოდ არეულ ფლოქეთა თქარუნი
თითქოს შორიდან მესმის გრიალით...

ვიგონებ ასე, ჩვენ ნამიერად
რომ ვეძლეოდით ჩუმსა და ფარულს,
მომაცენი ჩვენი მოსპობით,
შენი ცვალებად გულით სიყვარულს!

ახლა ახლოა როს ვარსკვლავები,
ვიდრე ის ღამე გამშაგებული,
როცა უსაზღვროდ დაბლა დაეშვი
და შენ დაეცი დამცირებული,

როდესაც ერთი, განმარტოებით,
მე შეგაჩვენებ დღე თვითეული,
გაივლის თვალთა წინაშე შენი
აჩრდილი გვირგვინჩამოსხეული...

წყალობით, სევდით თუ საყვედურით?
თუ სიძულვილის ძალას განიცდი?
ან იქნებ გინდა მსჯავრი დამადო?
არ ვიცი: მე შენ გადამავიწყდი.

20 ნოემბერი, 1908

ასე შეუმჩნევლად მზავალს ანადგურებს წლები,
ასე დასასრულთან მიდის ყოველივე ქვეყნად,
ვაი, ვაი, რომ მოუბრუნებლად გარდასულა ჟამი,
ვაი, ვაი, რომ ჩუმი ნაბიჯით მოეშურება საყვდილი.

წარწერა ეკლესიის საათზე
Santa Maria novella (ფლორენცია)

გაგმენა

შენ დაგიმარხავს წელთა წიაღში,
რაც კი ხრწნადია და წუთიერი,
ახლა მთვლემარე ჟამის ხელებში,
რავენა, ჩვილის გამოსავს იერი.

მონებს კი რომის კარების გაველით
ალარ შემოაქვთ მოზაიკები
და გახუნდება ოქროს ვარაყი
კედლებზე გრილი ბაზილიკების.

განაზებულა ტენის ამბორით
აკლდამა, პირქუშ კამარის მსგავსი,
სად წმინდა ბერთა და დედოფალთა
საფლავებს მწვანე მოედო ხავსი.

სამარეების სდუმს დარბაზები,
ჩრდილს და სიცივეს მოუცავს ზღურბლი,
რომ არ დაინვას ლოდები გალლას
შავი თვალების მრისხანე ღრუბლით.

არ იგონებენ ომებს, წაგებას,
სისხლის კვალს, რამაც ხალხი ნაჰკიდა,
რომ არ უმღერდეს ჩაველილი წლების
ვნებას აღმდგარი მიწით პლაკიდა.

შორს დანეულა ზღვა და ზვინულთან
აღყად მომდგარა ვარდების ზოლი,
რომ ქარიშხალზე არ ოცნებობდეს
თეოდორიხი, კუბოში მწოლი.

ვენახი, ხალხი, სახლი – ყოველი
დრომ საფლავების ბნელში ჩაჰყარა,
მხოლოდ ბრინჯაო ლათინურ ენის
ფილაზე მღერის, როგორც ნალარა.

მხოლოდ რავენელ ქალიშვილების
გამჭოლი მზერა როცა იალებს,
სედა შორეთში დაკარგულ ზღვაზე
გულში უჩუმრად გაიფრთხილებს.

ღამით კი, ველებს ქედს რომ მოუხრის
და მომავლისკენ მკლავს მოიღერებს,
დანტეს აჩრდილი, არწივის სახის,
ახალ ცხოვრებას ჩემთვის იმღერებს.

მაისი-ივნისი, 1909

* * *

დადუმებულა თეოდორიხი,
ვერც დანტე სტოვებს ძილის სარეცელს.
იქ, სადაც წინათ ზღვა მღელვარებდა,
თვალს ვენახების ტალღა ეცემა,
ხოლო რავენელ ქალიშვილების
მზერით ზაფხულის ცა იკეცება.

არავის ახსოვს აქ ხმა ვნებისა,
არვინ პასუხობს ამ ჩემს ვედრებას,
ვდგავარ უმწეოდ მე შენს წინაშე,
ბედის განაჩენს რა შეედრება.
ო, გალლა, მუდამ შენდამი ვნებით
შიში მიჰყრობს და სისხლი ხელდება!

ივნისი, 1909

SPOLETO-ელი ქალიშვილი

მე შენი ტანი ეკლესიის სანთელს მაგონებს
და შენი მზერა მახვილია გულის დამჭრელი.
სანამ სინათლე წამერთმევა შენთან შეხვედრით,
დაე, ბერივით მომეხვიოს ცეცხლი დამწველი!

სიყვარულს არ გთხოვ, მოფერება შენი არ მინდა,
ტლანქი ალერსით ხომ ისედაც გული ღონდება?
მე მხოლოდ მხატვრის თვალით ეუმზერ ამ გარეშემოს,
სადაც ყვაეილებს შენი ხელით მინა შორდება!

ახლოს, სულ ახლოს დაგინახე ქარით დევნილი,
მზით დაფერფლილი... შენ, მარიამ, მიეცი ნება
თვალს – მოკრძალებით შემოგხედოს, როგორც ქერუბიმს
და გულს – ახსოედეს ამ ტკივილის გასხივოსნება!

ჩემი ლექსების აღმასები წყნარი ციმციმით
მიმოგებნევა კულულების როს სიშავეში,
გულს გადავისვრი მე უწყალო ტრფობით დაისრულს
შენი თვალების მანათობელ შუალამეში!

3 ივნისი, 1909

შენეცის

1.

ზღვაში ერთად გავედით,
მივატოვეთ ველები,
დავივიწყეთ შორეთში
სახე ახლობელების...

იალქანი ნითელი,
სიმწვანე საღამოსი!
მომინული მძივები,
დათალხული საღამოსი!

მოდის მწუხრის ნირვიდან,
გულში სისხლი გამშრალა,
თითქოს ჯვარით დაღლილი
ქრისტე უმზერს გზაშარას...

ზღვაო ადრიატიკის,
თუ ისევე მენდობი,
ბოლო სიყვარული ხარ,
და მშვიდობით, მშვიდობით!

9 მაისი, 1909

2.

ევგ. ივანოვს

ლაგუნას მხარეს ცივი ქარია
და გონდოლები მდუმარ კუბოთა
და ამ ღამეში თვალს უხარია,
სნეულს რომ ლომთა სვეტი მელოდა.

ფოლადის ხმებით რეკავს საათი
და შუალამე კოშკი კანკალებს,
და იძირება წყალში ტაატიტ
ტაძარი თავის ყვავილთ კანკელით.

სადაც ანათებს მთვარე მილევიტ,
ჩრდილში სასახლის გალერეისა,
ჩემი მოჭრილი სისხლიან თავით
გაივლის ლანდი სალომეასი.

სძინავს ყველაფერს, სახლებს და არხებს,
მხოლოდ სრიალა ნაბიჯთა ხმაზე
ღამის უკუნეთს სევდით შეარხევს
ჩემი მოჭრილი თავი ლანგარზე.

აგვისტო, 1909

3.

სასტიკ დღეების დღევა ნელდება,
ყოველ საზრუნავს გაქრობა ელის
და ღამის ხავერდს შეხლილი ქარი
ახალ ცხოვრების სიმღერას მღერის.

სხვა სამშობლოში მე გამეღვიძა
თუ ამ დაღვრემილ ქვეყანას ვუმზერ?
ან ეს ცხოვრება რომ გავიხსენო,
სიზმარი ოხვრად მედება გულზე?

ვინ გამაცოცხლებს? ეს ღვთის მსახური,
დოჟთა მემკვიდრე თუ მეზადური,
ვინ, ვინ გაიყოფს ჩემი მომავალ
დედის სარეცელს ბნელში ფათურით?

როცა ასული ვენეციისა
ნაზი კანცონით იპყრობდა სმენას,
ჰანგთა რხევაში მამა ხვალისა
იქნებ ელოდა ჩემს გამოჩენას?

ნუთუ მომავალ საუკუნეში
მე, ჩვილს, ბედისგან წილად მომელის,
რომ სულ პირველად თვალთა ქუთუთო
გამეხსნას სვეტთან მძინარ ლომების?

დედავ, რას მღერენ ეს ყრუ სიმები?
უკვე ოცნებობ იქნებ ლამპარით,
რომ მე ქარისა და ლაგუნასგან
შენი ღვთიური შალით დამფარო?

არა! რაც არის ანდა რაც იყო –
მძაფრი ოცნება, ფიქრი, ზმანება
უკუქცეული ტალღის გუგუნით
ხავერდის ბნელში მიექანება!

აგვისტო-სექტემბერი, 1909

კეჩუპია

თითქოს დამდგარა ალოობის დღე მხიარული,
ცისფერი ნამწვი ცას მოჰყვება უმბრის მთებიდან,
მაგრამ ნამოვა ნამიერად წვიმა ღვარული
და ღია სარკმელს ქარი ავსებს ქოროს ხმებითა.

იქ, ფანჯარაში, პერუჯინოს ფრესკასთან, ერთი
შავი თვალებით იცინის და მკერდი უღელავს:
ვიღაცა აწვდის გარუჯული ხელით კალათას,
მაგრამ გოგონას ვერ მოუხელავს...

ხოლო კალათზე წარწერაა თეთრი ხელების:
"...questra sera...! მონასტერი ფრანცისკელების".

ივნისი, 1909

ფლოტკენტია

1.

შენ უნდა მოკვდე, როგორც იუდა,
საუკუნეთა გაქრე უკუნში.
მე შენს სიყვარულს არ გავიხსენებ,
არ მსურს სიკვდილში რომ გცე ნუგეში.

ო, bella², შენ თავს ისე დასცინი,
როგორ გინოდო – ხარ მშვენიერი,
ნაოჭებით და კუბოს ლანდებით
შერყვნილი არის შენი იერი.

ავტომობილთა ისმის ხრიალი,
მახინჯ სახლებსაც წასვლია ფერი,
გაყიდულია შენი სახელი
ევროპიული ყვითელი მტვერით.

1. ამ სალამოს (იტალ.)

2. მზეთუნახავი. ასე ეძახიან ფლორენციას იტალიაში

მტვერში წკარუნებს ველოსიპედი
იქ, სადაც წმინდა დაინვა ბერი,
სად ლეონარდოს ენვია მწუხრი,
ბეატოს სწავდა სიზმრის ცისფერი.

ახლა ბრწყინვალე მედიჩებს აფრთხობ,
ფეხქვეშ გასთელე შენი შროშანი,
ან სამარიდან ვერ გამოგიხმობს
მტვერში მოთხერილი ვაჭართ დროშანი.

დუდუნა მესსას გაბმული კენესა,
ტაძრებში ვარდთა კვდომის სურნელი,
ყველა ეს სევდა გროვდება ერთად
გულის მომკვლელი და დამლუპველი.

მაისი-ივნისი, 1909

2.

ო, ფლორენცია, შენ ხარ ზამბახი,
და მე არ ვიცი რად მანვალეზდა
ტრფობა დამწველი და უიმედო
შენი კაშინის მტვერიან კარებთან?

გულს დამიამებს ეს მოგონება,
ფიქრი მივარდნილ და ყრუ ბინაზე,
რომ შევეფარო ძველ მცხუნვარებას
და შენს გადამქრალ სულის სინაზეს...

მაგრამ მოგველის განშორება და
შორს რომ იელვებს სხივი დილისა,
დამესიზმრება შენი ზამბახი,
როგორც დღეები სიყმანვილისა.

ივნისი, 1909

3.

უშფოთველად გამხდარა
ჩემი სულის მბურველი
კვამლისფერ ზამბახების
ნაკადების სურნელი.
მდინარეებს გასცურავს
მსუბუქიალქნიანი,
სამუდამოდ დაძირავს
სალამოთა ციალი.
რომ დადგება დაისი
მზის აღმურით მღერადი,
მე ნამილებს ზეცაში
ტალღა ზეცისფერადი.

ივნისი, 1909

4.

ამ ვარვარა ქეებისგან
ჩემი მზერა ინცება.
ზამბახების ხანძარში
გადაფრენა ინცება.

უსასოო ნალველო,
მე შენ გიცნობ ზეპირად!
იტალიის შავ ზეცას
შავად ვუმზერ ერთპირად.

ივნისი, 1909

5.

თითქოს გაიხსნა სარკმელები ცის სალამოსი
და ძველ სასახლეს პროჟექტორის მოედო შუქი.
აი, გაივლის – მოხატული შვენის სამოსი
და შავ სახეზე გადაუვლის ღიმილი მუქი.

ღვინის აღმურმა ჩემი მზერა უკვე შებურა,
ცეცხლის სიმები რომ ძარღვებში მიმოუფინოს...
„თქვენ რა გიმღეროთ ამ სალამოს, ო, სინიორა,
თქვენ რა გიმღეროთ, რომ ამაღამ მშვიდად გეძინოთ?“

ივნისი, 1909

6.

ამ ფლორენციის მოქანცულ მზეში
უკვე სიხარულს აღარ მოელი,
დუმს ეკლესიის საფეხურები
და ყვაილები ჰყვავის მონყენით.

მაინც მოხედე გრძნობას დარჩენილს
და შთაგონება შენი იხსენი,
რომ პოეზიის მსუბუქი ნავით
გასცურო მხარე კაემნისფერი.

17 მაისი, 1909

7.

ცისფერ კვამლით საღამოს
ხვატი აიმართება,
ტოსკანელ მეფეების
ველებს ღამე ადგება
და ღამურა ქუჩაში
ფარანს დაეტაკება...

აი, უკვე ველზეა
სინათლეთა კრებული,
აი, ვიტრინაშია
ქვები გაბრწყინებული.
მთამ ქალაქი დაფარა
როს ცისფერი ბინდებით,
სინიორი გაერთო
კანცონების კიდებით.

ზამბახები კვამლდება
და მსუბუქად ქაფდება
„ქრისტეს ცრემლთა“ ბოკალი...

ცეკვითა და ნადიმით,
თუ რამ იყო ნამდვილი,
ფლორენცია, შენ ღალატით მოჰკალი!

გაგაგიჟებს კანცონა
სიყვარულის წამებით
და უძილო ღამეში
სიმი განანამები

გაგლიჯე და დაირით
ქვითინის ხმა დამალე,
რომ უდაბურ ქუჩაში
დარჩე სევდის ამარა...

აგვისტო, 1909

* * *

აი, გოგონა სულ ერთი ციდა,
ჯერ რომ არ იცის თავის დახრა და განითლება,
გამოუცნობი ბნელი მზერით
მე შემომყურებს.
რომ ყოფილიყო ჩემი ნება,
მთელი ცხოვრება დავრჩებოდი სენტიანიანოში,
ჩრდილოელ სეპტიმის გამოფიტულ ლოდთან.
ქვებს შევხედავდი, მზით დაფერილს,
მზით გარუჯულ ღამაზ კისერს
და შეუხედავი ქალის ზურგს
მოცახცახე ალვის ხეებთან.

15 მაისი, 1909

Maddona Da Setignano

როცა შემომხვდი მთიანეთის ულელტეხილთან,
უეცრად იგრძნო თვალმა ანთებით
განათებული ტოსკანური კვამლის შორეთი
და დაკბილული მთების კალთები.

შენს თავსაბურავს, ყვავილებით ყვითლად მოხატულს,
ყაყაჩო ძილის ფერად სდებია.
ცასავით ვრცელი თვალთა ცქერა სანყალ მოგზაურს,
ყარიბს კვალდაკვალ დამდევნებია.

ნებას თუ მომცემ, რომ აკრძალვა აღარ მახსოვდეს,
რაც დაგვეწესა წელთა თარეშით,
რომ უინიანად ვიმეორო შენი სახელი,
მარიამ, მე ამ უცხო მხარეში?

3 ივნისი, 1909

ფიეზ(ო)ლე

წკრიალებს წალდი, და სამრეკლოდან
ჩვენსკენ მოსცურავს რეკვა ზარისა,
გამღვიძებელი ძველებურ ძალით
ოქროს დღეების და სიზმარისა...

ხომ არ ისმოდა ასე მაშინაც
ფიეზოლეში წალდის წკრიალი,
როს ფლორენციას მთიდან პირველად
მისწვდა ბეატოს თვალთა ციალი?

ივნისი, 1909

სიენა

ამონწერილი ბალახი
დამრეც მოედნის უბისა,
მთვარე რქასავით მოხრილი,
კოშკი - სანთელი უფლისა.

ოი, ცბიერო სიენა,
როგორც კაპარჭი ისართა,
ვერაგობით და ღალატით
ბედი ფარულად გიცავდა!

ვაზებითა და ხნულებით
ყოველმხრივ შემოკიდული
ტაძრებითა და კოშკებით
გააპე ზეცისკიდური!

ხატებს ხატავენ ტანჯულთა
შეყვარებული სულები,
სად ეხუჭებათ მადონებს
თვალები დათარსულები:

დე, ჩვილს აკრთობდეს გრიგალი,
მტერი ზარავდეს ზვიადი,
ცრემლიან თვალებს მოჭუტავს
დედა, მცქერალი ნყვდიადის.

7 ივნისი, 1909

სიენის ტაძარი

სიკვდილის ლანდი როს შეგაშინებს,
შენმა დღეებმა რომ ვერ იხარა,
ნადი, სიენის ტაძრის ფილებთან
და მოქანცული მზერა დახარე.

აქ მიძინების ადგილი ჰპოვე,
სადაც სიბილას ბაგეთ ლალადით
შეშლილ თვალების მღელვარ ხილვამი
აღსდგება ქრისტე, ეკლით ნადაგი.

შენ აღასრულე ამ ქვეყნის ვალი,
წელთა სიმცირე არ გეოცება.
გაშეშებულან აქ საჭრეთელით,
ვისაც მიუვა ჩვენი ლოცვები.

აი, ბიჭუნა ჩიტით და ვარდით,
კაცს პერგამენტი უპყრია ხელში,
აი, აკლდამის თავთან ყავარჯნით
მოჩანს მოხუცი, მოხრილი წელში.

დამშვიდდი, სულო, ნულარ მომიხმობ,
ნურაფერს მეტყვი, ნურც ენამები:
ხომ დაგვიდგება ბოლოს სპეტაკი
ჩვენ სიყვარულის მკაცრი ნამები.

ივნისი, 1909

თუ ხელოვნება გვანება ტვირთად,
 სამაგიეროდ, ჩვენ, პოეტები
 წარმავალ წამებს ვგრძნობთ მომეტებით!
 რა საამურად ქრება სიზანტე,
 როცა ძარღვებში სისხლი ხმაურით
 ნუთით მომღერალს ტანში დაუვლის
 და სიყვარულის ცეცხლში გადაჭრილს
 დაეფარება თვალზე ღრუბელი
 და ემუქრება დრო დამლუპველი;
 როს შამპანურის ბრწყინვა ახალი,
 ლილინითა და ნელი ჭახანით
 აციმციმდება, როგორც cinema!
 და წლების შემდეგ, უცხო მხარეში,
 დაქანცული და უცნობ ქალაქით
 ისევ გაჩნდება ქალი ტილოზე
 ფრანგულ მშვენების ხაზით ნალაქი!

იენისი, 1909

ხატება

სიყმანელიდან – ხილვა, ზმანება,
 უმბრიის ბური ალერსიანი,
 ვარდებს ყორესთან ცეცხლი ედება,
 მღერენ ზარები კეთილხმიანი.

მეტად ანცობენ ტურფა ქალები
 და უტიფარი კრთიან თვალები.
 დაუსაბამო წრეში მხოლოდ ის
 ახვევს აბრეშუმს სულგამალებით.

დატანჯულია ქალის იმედი,
 აკრთობს სიზმარი ჯერ არყოფილი.
 უცებ შეარხევს ნითელ სამოსით
 კედლის ოქრომკედს უცხო პროფილი.

ის აბრეშუმზე ისე იხრება
თავის ოქროსფერ ნამნამთა ნებით,
თითქოს განერთხა ძირს ანგელოსი
ანდა გრიგალმა გაშალა ფრთები...

და ანგელოსი ბნელსახიანი
ეტყვის: „მშვენებით ხარ ავსებული“!
ქალს ნანნაეები მხრებზე ეშლება
და აკანკალებს სიტყვა ვნებული.

მღერის, ჩურჩულებს ახლოს, სულ ახლოს,
უკვე ხმაურობს კარავი მხრებით
და ქალის მზერა, ბნელი და მღვრიე,
ახლა უღონოდ დაბლა იხრება.

ღელვას მოუცვავს: „ნუთუ მე, ნუთუ?“
სურს დაიფაროს მკერდი ხელებით,
მაგრამ ვერ დგება, სული გუბდება,
ისე შავდება ცეცხლის ველები.

რალაც უცნობი ტკივილით მაშინ
გაბრწყინდა სახე ნათლის რკალებით,
გაჩნდა გრიფონი პერუჯიული,
ხბოს დამკორტნელი ბასრი ბრჭყალებით.

მხოლოდ მხატვარი, ფარდით ფარული,
ჯვარს რომ ატარებს ტანჯულ გულისა,
იტყვის: „ვენდობით მხოლოდ განდობილს,
ძალას ზეციურ სიყვარულისა“.

მაისი-ივნისი, 1909

მიძინება

ტყის სიმწვანეში როს დაასვენეს
თეთრი სუდარით მისი სხეული,
სახეზე ტანჯვის ალმა იელვა
და დაუბრუნა ფერი ჩვეული.

არა ხმაურით, არა მრისხანედ
უკანასკნელად გული ღელდება.
არქანგელოსის თეთრი ვარდები
დამჭკნარ თითებში ცრემლით სველდება.

ოქროს ფერს იღებს შორს მწვერვალები,
გემშვიდობება ოდეს ცისკარი,
სამარეს ტოვებს ნისლიან ველზე
სამი ხელმწიფე ცრემლთა ისხარით.

მათ ნამოიყვანს, როგორც ოდესღაც,
ბედის ვარსკვლავი, სულ სხვა, გვიანი,
ხოლო მწყემსები კვლავ ძველებურად
მთიდან მოსდევენ ფარას ზრიალით.

და მარადიულ ძილის დარაჯად
ველზე დამდგარა ღამის წყვილიადი,
ოქროს ფერს იღებს შარავანდულად
მხოლოდ ვარსკვლავი და განთიადი.

ზევით კი, სადაც ციცაბო ხრამთან,
მღერის წყარო და ყვავილობს ნუში,
სარკოფაგიდან კუბოს ანგელოსს
მზერა გადააქვს შორეთის გულში.

4 ივნისი, 1909

ფრან ფილიპო ლიპის ეპიტაფია¹

აქ განვისვენებ მე, ფილიპო, მხატვარი მარად უკვდავი,
ჩემი ყალმის საოცარი სიმშვენიერე ყველას პირზე აკერია.
მე ოსტატის ხელით საღებავებში სულს ვაცოცხლებდი,
შემეძლო ღვთისმოშიშთა სულები ღმერთის ნებით
შემეცბუნებინა.

თვით ბუნებაც კი, ჩემი ქმნილებების შემხედვარე,
იძულებული გახდა თავის თანასწორ ოსტატად ვეხმე.

ამ მარმარილოს კუბოში მე ჩამასვენა ლავრენტი მედიჩიმ,
ვიდრე მინისქვეშეთში მტვრად მივიქცევი.

17 მარტი, 1914

1. ეპიტაფია შეთხზა პოლიციანომ და ლავრენტი დიდებულის ბრძანებით ამოკვეთილია მხატვრის საფლავის ფილაზე სპოლეტოს ტაძარში

თოკმეტი წლის უემღებ

(1909-1910)

ქ. მ. ს.

1.

ისევ იმგვარად წვეთავს მარილი,
ტბის ზედაპირიც კვლავ ისეთია,
ახლა, შენ წლები რომ მოგეძალა,
ეს მღელვარება ხომ ზედმეტია?

იქნებ პირველი, ახალგაზრდული,
ენება სულს ველარ გასცილებია,
თუ სამუდამოდ შენ რომ გაგნირა,
ეს იმ გარდასულ დღის ჩრდილებია?

შენ მას მოუხმე და იგი მოვა,
გაიციმციმებს ძველი პროფილი,
რომ მოგიტანოს ხმამ იდუმალმა
სიტყვა, უამისგან უარყოფილი.

ივნისი, 1909

2.

ჩაბნელებულ პარკში, სად მურყანია,
შუალამე როცა გულს უხარია,

თეთრმა გედმა ღამის ჩრდილის ამარა
თავი ფრთაში ჩამალა.

მხოლოდ ხსოვნად და ხმებად ვარ ქცეული,
ჩემთან არის შენი სული ეული.

ჩემს წინ არის შენი ძველი გზა-შარა,
ამდენი წლის წარღვნამ რომ გადაშალა.

მურყანების მგლოვიარე ჩრდილებით
და სუნამოს ტკბილ და ნაზ სურნელებით

ფერმილეულ ფოთოლთ ტბაში ციალით
შენი სული ისევ შეიშრიალებს.

მაგრამ ქარში ვნების წლების ხსენება
ბოდვა არის და მხოლოდ-ლა ჩვენება.

აქ ყველაფერს დავიწყება სწევია,
ტბორის ნისლი რასაც შემოხვევია.

ივნისი, 1909

3.

როცა მტანჯველად წამოიმართა
ჩემს წინ ახალი დრო და დღეები
და მწუხარებით თავს მავიწყებდა
ძილად მივარდნილს ჩრდილთა ტყეები,

მე რა ვიცოდი, „ქალწულთა ტყეში“
თუ გაივლიდა წარსულის ლანდი
და გაღვიძებულს მომესმებოდა
ჩრდილში ჩიტის ხმით ნამლერი დარდი;

„ვნებას ერწმუნე, ყური მიუგდე,
უხმე მთელი ხმით მას ოცნებაში,
რომ შუალამის ზარით ალებდე
კარებს, ჩაკეტილს ნეტარებაში!“

ივნისი, 1909

4.

ლურჯთვალა და ასეთი საკვირველი,
შენ იყავი ჩემი ტრფობა პირველი;

წვიმებმა რომ განბანა და გალია,
კრაზანების შხამით მომღელაღია;

სახელი რომ სევდით შემოინისლა
და ნაილო კვალი წარსულ დროისა, –

ეს ხელები, თხელი და მილეული,
ეს ბგერები, მწველი და შორეული...

და მგონია, ლურჯ თვალების მორევი
მე დამძირავს ისევ, განმეორებით.

1897-1909

5.

როს ჩამოდგება ნუთი კეთილი
და ყინვის ხაზი ჩნდება მინაზე,
თბილ ოთახებში გამოკეტილი
ოცნება ეძებს სულ სხვა სინაზეს.

აი, ის ხიდი და ნაკადული
და დანისლული ძველი ბალები,
ყორე – ვარდებში მიმოკარგული
და ლურჯი მზერა გულისნამლები.

ნაკადულები ისევ ხმიანობს,
ისევ მახვევენ თავბრუს ფიქრები,
და მახსენდება, ოქროსთმიანო,
შენი კოცნა და შენი სიტყვები...

იენისი, 1909

6.

ჩვენ საღამომ შეგვახვედრა
(გული ცოცხლობს მოგონებით),
ხეები რომ მწვანდებოდა
გაზაფხულის გვირგვინებით.

აღისფერი დაფიონით
ტბორის გასწვრივ წაიყვანა
ის ამ ვინრო ხეივანმა
სიზმრისა და ჩრდილის დარად.

ეს სინაზე, სიყმანვილე
როცა უკვე ჩაელილია,
ჩემი ლექსის სიშმაგე ხომ
შენი ლანდით ავსილია?

გულს ფარავენ ოცნებანი,
გულს აცოცხლებს მოგონება,
ტბორის თავზე ღამე ბნელი
და მანდილის სურნელება.

23 მარტი, 1910

7.

ბინდმა ნელინელ შებურა მზერა
და ვიოლინოს დაეცა ხემი
და დირიჟორმა გადაატარა
არფებზე ქარი ბოროტი ხელით.

ენება დანისლულ შენი თვალების
ლოჟის ბინდიდან მე მევლინება.
უმღერს სცენაზე ჰიმნებს ტენორი
შემლილ ზაფხულს და ვიოლინოებს...

როცა უეცრად სისხლს გამიყინავს
სუნთქვა ახლოდან გამოქროლილი,
გულზე დამადებს ხელს ნაღვლიანად
ვიღაც ბეჩავი თმადათოვლილი...

როცა არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
ის უჩინარი და უძლეველი
ამელანდება კვამლივით თვალწინ
და არფა მღერის: გაფრენა გველის.

მარტი, 1910

8.

შემორჩენია რაც კი რამ ხსოვნას
ქრება უამურ ნელთა დენაში,
მაგრამ კვამლივით ტორტმანით იწევს
ჩემი ნალველი ღამეულ ცაში.

ჩაფერფლილია სიცოცხლე უკვე,
სიზმრად თუ მოვა ის სიყვარული,
შემოხვევია თითქოსდა კოლოფს
სისხლისფერ ალად ბაბთა ჯვარული.

ჩემი სენაკის როს სიჩუმეში
კანდელის შუქზე მტანჯავს წყლულები,
მკედარ საყვარელის ლურჯ მოჩვენებას
აჩენს ოცნების საცეცხლურები.

23 მარტი, 1910

პაჭმენი (1914)

ლ. ა. დ.

1.

ვით ოკეანემ ფერი იცვალოს,
როცა ღრუბელთა ბნელი კარავი
აბრიალდება ციმციმა ალით,
ისე სიმღერის ელვა მზარავი
შეგაჟრიალებს, სუნთქვას შეგიკრავს,
სისხლს შეგიტოთოლებს ღანვებზე ვნებით
და ცრემლი გახრჩობს ბედნიერების,
უნდა გამოჩნდეს როს კარმენსიტა.

2.

ცის სიმწვანეში მოკრიალე მთვარის ნამლევი
ძილს მისცემია, არ მოისმის ქარის ხმაური,
მოდის ზაფხული, მდინარეზე ტყდება ყინული
და ძილს მოარღვევს შფოთიანი სულის ზღვაური...

მთვარეზე ნაზი, დაფიონის სხივების მსგავსი
თუ რამე იცი, გაჩუმდი და არავის უთხრა:
ბოლო სართულზე, სახურავთან, ბრწყინავს სარკმელი
და მას ანათებს არა მხოლოდ აისის სუნთქვა...

3.

ნათობს კვამლისფრად დილის დემონი,
ოქროსთმიანი და ბედნიერი,
ცის ნაკადივით მოსავს ქიტონი,
სადაფისფერი შევენის იერი.

მაგრამ ღამე რომ ლაჟვარდს შებურავს
და მის სახეზე წეება უკუნი,
ოქროს თმებს შეცვლის თმა მენამული,
ხმას – დავინყებულ ქართა გუგუნი.

4.

მოაქვს თოვლიან გაზაფხულს ღელვა,
ნიგნს მონყვეტილი ისვენებს თვალი...
გახსოვს საშინელ ნუთების ელვა,
იგი ცუნიგას ღიმილით მთვრალი,
როდესაც ხოზეს ესროდა მზერას!
დამცინავ ღიმიტს სახე ინთება,
ელავენ კბილთა მარგალიტები,
მე მაეინყდება დღეცა და ღამეც,
გულს გადაუელის სისხლი მღელვარე,
რომ თან ნაილოს ხსოვნა მამულის...
ვილაც კი მღერის: „სიცოცხლეს ბარემ
სჯობს, რომ არჩიო ეს სიყვარული!“

5.

მათ შორის, ვინაც ეტრფოდა კარმენს,
როცა მოისმის ხალხის ხმაური,
ერთი, ვით ლანდი ნაცრისფერ კედლის
ლილას – პასტიის ღამის ტავერნის,
ბრბოს მოზიმზიმეს ჩუმად ჩაუვლის
და იყურება თვალნისლიანი,
არ ელოდება იგი სიამეს
და როცა ისმის დაფის ჟღერიალი
და სამაჯურთა ხმების ნკრიალი,
სევდით იგონებს გაზაფხულის დღეს.
და ეცხადება სიზმრად ქცეული
მას მომღერალი ქალის სხეული.

6.

მწუხარე მზერა ნაცრისფერ თვალთა
და სიამაყე გასაკვირველი,
ყველგან თარეში სიმღერის ქართა –
ასე შემოგხედით მე თქვენ პირველად.
პარტერი ღამით შემობურული
და გულსაფარი, ახლოს სულ ახლოს.
მკრთალი სახე და ქერა კულული

და შიშის ზარი თქვენი დანახვის!
გულში უცნაურ ძალით იალებს
პირველი ნახვის ფარული ელდა,
როცა ნერვიულ ხელთა კრიალი
შემაშინებელ დუმილში მხევედა...
ამაყი სახის მოძრაობაში
დაუფარავი წყრომის ნიშანი
(ასე მოელის მომხდურს საფარში
პირქუში ღომის თვალთა ისარი)...
ხოლო იქ, ლამპის შუქით ბურვილი
უკვე დადუმდა სეგიდილია,
გექნებათ შიში თუ სიძულვილი,
თქვენთან არ მივა ესკამილიო.
და თქვენ ყაითანს ნულარ აილებთ,
ნულარც ზედმეტი შუქი ინთება
და იმ უბედურს ვერ მიანათებს
ელვარე კბილთა მარგალიტები...
ჩვენ ხომ ვერაფერს ვეტიყვით ვერავის,
უნდა გავჩუმდეთ, არ არის ღონე,
ხოლო თქვენ (როგორც ღამის ვარსკვლავი)
ქანცმილეული და თავმომწონე
მიხვალთ სრიალა რბილ ნაბიჯებით.
ჩემთვის ნაცნობი და დამტანჯველი
არის სიმღერა თქვენი მხრებისა,
გულს გაფრთხილებად რომ მიესაჯა,
ვით მოგონება სხვა ედემისა,
მშვენება თქვენი დიადემისა.

„უნდა გავცილდეთ ჩვენ ამ ცხოვრებას,
უნდა გავცილდეთ, ავსებულს დარდით“,
იქ დალუპულის ისმის გოდება
და სველი თოვლით თამაშობს მარტი.

7.

გაზაფხულია, ტირიფი ტირის
და სინანულით მევსება გული,
თითქოს ციმციმებს სადღაც სანთელი,
ჩემი მხურვალე ლოცვის კანდელი,
და შენზე ამბორს მიჰყვება სული.

ეს თაველია ქერის ველების
და წამლეკავი წეროს ძახილი,
რომ წნულ ლობესთან შებინდებამდე
მწველ მოლოდინის გწვავდეს სახმილი
და შენ გახსოვდეს ჩემი სახელი.

მე რა მაშინებს – ვარდების ფერი
თუ შენი ქერა თმების შრიალი?
იქნებ – მუსიკა ფარულ ლალატის
ან დატყვევებულ გულის ფრთხიალი?

8.

ჩემი შავი და უცნაურ ბედის
შენ ხარ დაკარგულ ჰიმნის ძახილი.
კარმენ, სევდაა და შეცბუნება,
რომ ძილში ჩამყვა შენი სახელი;

ვით გაზაფხულის ხმა და შრიალი,
გაუნელებელ სიზმრის ნაირი,
როგორც სიტურფის ძალა ველური
და დამტანჯველი ხმები დაირის.

ჩნდები ფიქრებში და ოცნებაში,
ვით დედოფალი ნეტარ დროების,
ვარდების ცეცხლში მდგარი ყელამდე,
შემოხვეული სიზმრის რტოებით.

გძინავს, გველივით ხარ დაგრაგნილი
და ძილში ხედავ სიზმრის თვალებით
შორეულ ზღვას და ბედნიერ ნაპირს,
ოცნებაშიც რომ ვერ ვეკარები.

და გეჩვენება დღე უსასრულო,
მხარე მშობელი და საყვარელი,
ლურჯი შორეთი, რომ დასდგომია,
როგორც სამოთხეს, სხივთა არილი.

სიჩუმე დადის იქ ფეხაკრეფით
და მხოლოდ ტევრში ბუჩქის ტოტების
გაისმის შენი ხმა საოცარი
და ცეცხლი მოაქვს ბოშური ვნების.

9.

ღიახ, ფრინველს ჰგავს ეს სიყვარული
და შენ გიგალობს გული ეული,
დამესიზმრება, ვიცი, ამაღამ
მე ცეცხლოვანი შენი სხეული;

ველური ძალა მშვენიერ ხელთა,
ისევ ისეთი თვალში ნალველი,
ფიქრი და ბოდვა ღამეთა ჩემთა,
კარმენ, ოცნების გამომსახველი.

მე შენ გიგალობ, ზეცას უძიროს
რომ ვაგრძნობინო შენი ხმის ძალი!
ღვთის მსახურივით წესს აღვასრულებ,
ვარსკვლავს რომ მისწვდეს ეს ქარიშხალი!

შენ ნამოდგები გრიგალის ტალღად,
ჩემი ლექსები როცა ინთება
და შენი სულის ნათელი, კარმენ,
მე ხელებიდან არ მომცილდება...

და ბნელი ღამის წყნარ საათებით,
როგორც უეცრად ცეცხლმა იალოს,
მანათებს შენი თეთრი კბილები
და განუყრელი თვალთა ციალი.

და მე დამძირავს ტკბილი იმედი,
რომ შენ შორეულ, უცხო მხარეში
მოგაგონდები როსმე ფარულად,
ჩემზე იფიქრებ შენ ჩემს გარეშე –

მღელვარების და ქარიშხლის გამო,
რომ იყო სევდა ლალატრეული.
იქნებ მკაცრია ეს ლაპარაკი,
ხოლო უბრალო, თეთრი შარა კი,
კარმენ, ჩანს, როგორც გზა შორეული!

10.

შენ არ იქნები არც ჩემი და არც არავისი,
მიტომ მიხმობდა მე უფსკრული ბნელით მოსავეი
სევდიან ნელთა, ჩემს ხსოვნას რომ არ მოსცილდებოდა.
მიტომ ვარ შენი მგალობელი, შენი მგოსანი!

აქ – სახეს შენსას განწირულის ბეჭედი აზის,
რაც მიუნვდომელ სილამაზეს ბედმა არგუნა,
იქ – მთელ მსოფლიოს მონყვეტილი ქვითინებს სული,
ციურ მნათობთა ჰარმონია რომ ესალბუნა.

ასეთი იყო ჩემი შიში და სიხარული,
როცა ჩემს ღელვას ვერ იტევდა დარბაზი ბნელი,
თუმც არ ვენახე, არ ვეცანი და არც ვუყვარდი,
მომსდევდა მზერა უცნაური, მზერა დამწველი.

ეს ვიცით ყველამ – როს მიფრინავ გზებით ირიბით
უცხო ვარსკვლავედს ჩაუქროლებ, ვერ ჰპოვებ ორბიტს.
კვამლის ნითელი ღრუბელია შენთვის სამყარო,
სადაც რაღაცა ინვის, მღერის, ღელავს და მოქრის.

და მის ელვაში მელანდება შენი ბავშვობა...
არ არის ლხენა, არც ლალატი, რომ ღირდეს რამედ...
ერთ მელოდიად ჟღერენ სევდა და სიხარული...
მაგრამ მიყვარხარ და მიტომ ვარ ასეთი, კარმენ...

მარტი, 1914 წელი

* * *

მათ ვგუშაგობდი, იოანეს ეკედერის მცველი,
მე კანდელების ცეცხლს ვინახავდი.

აი, გამოჩნდა, მას ეკუთვნის ჩემი ოსანა,
ჯაფის გვირგვინად ვისაც ვსახავდი.

სახე დავმალე, გაირბინეს ნლებმა ფარულად,
მას ვემსახურე, როგორც შეჭფერის.

აი, აინთო სალამური შუქით კამარა
და მან პასუხი მომცა მეფური.

როგორც მისანი, ვაელვებდი კვამლში საცეცხლურს,
მე ვინახავდი და სანთლებს ვწვავდი

და ჟამსა შინა მონანილედ ფარულ შეხვედრის
მე მარტოოდენ ჩემს თავს ვსახავდი.

8 ნოემბერი, 1902

* * *

მე გავემგზავრე თეთრ ქვეყანაში
და მივატოვე მღელვარე მხარე.
ახლა იმათი ხმა შორეული
არ შეაშფოთებს ამ არემარეს.

მე დაჟინებით მიმეორებენ,
რომ ძვირფასია იმათი ძმობა,
რომ სათნოება ქრისტიანული
თვითდაჯერებას თუ მიენდობა.

და კუბოებში მიუკარებლად
გამოკეტილა მათი კრებული
და ვიცი, არის დანაშაული
ეჭვი, მათ გულში გაელვებული.

მე შევატოვე ნაპირს ისინი,
ვით გაღმეილთა კორიანტელი
და აუმღერეველ ნეტარებაში
ანათებს ჩემი თეთრი კანდელი.

16 ნოემბერი, 1902

* * *

მე შევიმოსე ფერად ბუმბულით,
ფრთა გამოვანრთე და ველოდები,
ექვით მიმზერენ ყოველი მხრიდან,
ქრება ბინდი და მე ველოდები.

სხედან და თელემენ ფრთებდაკეცილი
გარდასულ წელთა თანამგზავრები,
ფრენა არ უნდათ, გადაივინყეს
და არ იციან რად ვემზადები.

ამ ნამძინარევ, საწყალ ფრინველებს
არ შეუძლიათ აფრენა დილით,
ველარ ამჩნევენ აისის ციმციმს,
ალარ აფხიზლებთ მხნე შეძახილი.

მაგრამ მიელავს მე თეთრი ფრთები,
ფრთები – შეკრული და დაშვებული,
დამძიმებული უმწეო სიზმრით,
ხანგრძლივი დროით ჩაძინებული.

21 ნოემბერი, 1902

* * *

ამღერილი სიზმარი, ვარდი აყვავებული,
ჟამი მიმავალი და შუქი მინავლებული.

ფანჯარა რომ გავადე, ვნახე იასამანი,
მაშინ იდგა ზაფხული, დღეს არ ჰქონდა სამანი.

გაიშალნენ ვარდები და ბნელ ლავგარდანიდან
მოზეიმე სამოსზე ლანდები გადავიდა.

ლამის სევდამ დამახრჩოს, სულს რომ შემოვლებია,
გამოვალე ფანჯარა, ხელებს თრთოლვა ხლებია.

და არ მახსოვს – საიდან სახეს ჩემსას დაბერა
და პარმალი ამოვლო გულდამწველი სიმღერით.

1902, სექტემბერი-დეკემბერი

* * *

ჩვენა ვართ ყველგან და არსადა ვართ,
ჩვენს შესახვედრად ქარი ზამთრისა
დღისით თუ ღამით ეკლესიებში
მღერის და ქრება შუქი სანთლისა.

და გვეჩვენება – ხშირად შორეთში,
სადაც გზა უხვევს, პირქუშ კედელთან,
სადაც ვიმღერეთ და გავიარეთ,
კიდევ ვილაცა რომ იმღერებდა.

მე, მოთვალთვალე ზამთრის ქარისა,
ველარ ვიგებ და შიში მეელება,
ეფითრდები, ველი, მაგრამ ვერ ვამბობ,
კიდევ ვისი ხმა დამედევნება.

ვიცი ყოველი, მაგრამ ორნი ვართ,
ახლა ვერავინ ვერ ამბობს სათქმელს,
რომ აქ მარტონი როდი მივდივართ
და რომ ვილაცა ჩააქრობს სანთელს.

5 დეკემბერი, 1902

* * *

ანდრეი ბელის

მთელ ნელს სარკმელი არ შერხეულა,
არ გაგვიგია კარის უღრიალი
და დაგვაინყდა როს ყველაფერი,
ახლა გაიღო მძიმე ჭრიალით.

წრიალებდნენ და პირჯვარს იწერდნენ,
კუბოს მისდევდნენ ვერცხლით დაფერილს,
ხოლო დედაბერს, ხელებჩაჭიდულს,
აფარფატებდა თოვლის ნამქერი.

გულგაყინული ბრბოს სახეები,
ცნობისმოყვარე ხალხის თარეში
და ბილიკები გადატკეპნილი
ირგვლივ ქათქათა თოვლის არეში.

და რომ ჩაიკრა თოვლის სანოლმა,
მოესმა კუბოს ბნელში ჩაკეტილს
როგორ ამღერდა შორად ქარბუქი
ბუკის გუგუნში ცის სიმალღეთი.

6 იანვარი, 1903

* * *

მე სამყურების ზღვაში ჩაძირულს
მეხვევა ფუტკრის გუნდი ზღაპრული,
მაგრამ ჩრდილოდან ქარმა დაბერა,
მოძებნა ჩემი გული ბალღური.

მიხმო ვაკეზე მე საბრძოლველად
და ვეომები ზეცის ბრძანებას,
მიჩვენა გზები უკაცრიელი,
უდაბურ ტყეში რომ იმალება.

მე ფერდობებზე გზას მივუყვები
და განუწყვეტელ შუქად ტალღური
წინ უცოდველი მზერით აესილი
მიმიძღვის ჩემი გული ბალღური.

დე, დაქანცავდეს თვალს უძილობა,
კორიანტელში შემონაპარი...
რაც ჩემთვის უთქვამთ ვარდებს და ფუტკრებს
არის ნამდვილი, არა ზღაპარი.

18 თებერვალი, 1903

* * *

მე გამოვთალე კომბალი მუხის,
როცა ქარბუქი ნაზად მღეროდა.
სამოსი მეცვა ტლანქი და მქისე,
ისეთი, მას რომ არ შევფეროდა.

მაგრამ ვიპოვი მე გზას ყარიბიც,
მზევ, გაყინულო, გამოდი გარეთ!
დღე ვეხეტები და საღამოთი
მივაკაკუნებ სარკმელს და კარებს...

და გამოაღებს კარებს იდუმალს
ჩემს თვალთ წინაშე თეთრი ხელებით
ასული ოქროსნაწნაიანი,
ღია სულით და ნათელ ფერებით.

თმებში მთვარე და ვარსკელაეებია...
„შენ, უფლისწულო, ჩემი საღამი“...
და გაბრწყინდება მუხის საბრალო
კომბალი, ფერად ცრემლით ნალამი.

25 მარტი, 1903

* * *

ს. სოლოვიოვს

ამოსულა ბალახი მივიწყებულ საფლავთან,
დავივინწყეთ გუშინ და ეს სიტყვებიც გათავდა...
და გარშემო მდუმარების რულია...

გარდასულთა სიკვდილით ერთიანად დამწვარო,
ნუთუ არ ხარ ცოცხალი? ნუთუ აღარ ლამპარობ?
და შენს გულში აღარც გაზაფხულია?

სულს მხოლოდ აქ მოითქვამ სამარეთა ფილებთან,
სად ოდესღაც ხალისით გული რომ იმღერებდა
პაემანზე იქნებ შენი დანახვით...

სად პირველად ცვილისფერ სახეს ჩემსას თრთოლვითა
შორეული სიცოცხლით დაუქროლე შორიდან
საფლავიდან ამონვერილ ბალახით...

1 აპრილი, 1903

* * *

მწვანე ნაპირთან, სამარეზე გალობდნენ ფსალმუნს,
ხარების დილა გათენდა როგორ.
ასაფლავებდნენ თეთრი მღვდლები ნაზი ღიმილით
ცისფერკაბიან პატარა გოგოს.

ზეციურ მამის, უფლის სისხლში განბანილია
ყველა ის, ვისაც ზენაარის ნება უვლიდა
და ადიოდა საკმეველი ჩუმად ზეცისკენ
მწვანე მიწიდან, თითქოს არა საცეცხლურიდან.

24 აპრილი, 1903

* * *

თქვენ მაშინ შავი, დახურული კაბა გემოსათ
და დადიოდით მზერადახრილი,
მხოლოდ გულმკერდზე, ანდა იქნებ სულაც ჯვარცმაზე,
ლანდად კრთებოდა ეუალის ჩრდილი.

თქვენი ხმა იყო ვერცხლისფერი და მოქანცული,
თქვენი სიტყვები – შემოსილი იდუმალებით,
მაგრამ ვილაცამ, იქნებ თქვენზე შეყვარებულმა,
ყოვლადძლიერმა დაგინისლათ ხმა და თვალები.

ვინ იყო იგი, მე არ ვიცი და ვერც გავიგებ,
მაგრამ მისი მაქვს მე შიში და გულმოდგინება,
ვეჭვობ უფალზე, ვინც სიმღერა შემაძლებინა,
მაგრამ არ ვიცი, ეს სიმღერა ვისთვის ინება.

5 მაისი, 1903

* * *

მოვკვდი, დაეცი გულგანაცხელი
და მეგობრებმა დამფარეს ფარით.
აღბათ გაივლის აქ ქარავანი,
გამთელავს მისი გამყოლის ცხენი.

ასე უძრავად ვწევარ სამი დღე,
ქვიშას ასეელებს ცრემლი ღვარული,
მაგრამ იფარავს სხეულს გახრწნისგან
სულის კუნჭული წითლად ფარული.

ვიცი, მეოთხე დღეს რომ აღვსდგები,
ამოინევა ვარეარა ფარი,
გავიმიზეზებ ქვიშით ჭრილობას,
შევალო შენი სავანის კარი.

და ცხელი ქვიშით დამწვარ მკერდიდან
და დასისხლული მოსასხამიდან
დაუსაბამო, ცხოველი ტრფობით
ცეცხლი აღდგა და ცაში ავიდა.

19 მაისი, 1903

* * *

მე ვარ მახვილი, ორლესული, ბასრი და მჭრელი,
არქანგელოსო, მე განვაგებ მის ბედისწერას.
დაფერფლილია ჯადოსნური მწვანე ქვა ფარზე
უფალის ხელით, ოდეს მკლავი მან მოიღერა.

მას მივანიჭებ მე ჩემს გრძნობას, გრძნობას უსაზღვროს,
როცა მწვევეა მარადი ძილი.
მას ქვეყანაზე დაუუტოვებ ჩემს წმინდა სანთელს,
ჩემს ხმას აქაურს და მწვანე ქვას ცნობამიხდილი.

საგუშაგოზე დავაყენებ მქუხარე ლექსებს
და მას მწვანე ქვას აუუნთებ გულში
და ქვა იქნება მისი საქმრო და მეგობარი,
მისი ერთგული, ისე როგორც მე – სიყვარულში.

25 იელისი, 1903

* * *

სიზმარო, მე შენ არ მომატყუებ,
დილის ცვარ-ნამად დაეფინები,
ანდა აღისფერ დაისის მტვერში
კაბადონს წყნარად აღეეღინები.

შემოევლება ზეცას მზის შუქი
და გაეხვევა ცეცხლში საღამო
და ათინათი სახლის კედელზე
ვარდებს დახატავს, ფერად საამოს.

და აივანზე, სადაც ინთება
ნითლად რიკული ბალუსტრადისა,
თვლემენ პაპები და ახვევიათ
სიზმარი ფრანგულ ბარიკადისა.

ვუსმენტ, მიხრწნილი ჩანან პაპები,
თითქოს ქანდაკმა ნიში დატოვა
და აგონდებათ ძველი პარიზი,
დაისმა ცეცხლი რომ დაათოვა.

რომ გამოიწვიე ავადმყოფ ხელებს,
ყმანვილებს ტკბილად დაემუქრები,
შვილიშვილს თავზე ხელს გადაუსვამ,
წარსულს ოცნებით ესაუბრები.

კარგია წითელ დაისის ალში
აივანზე რომ ჩაგეთვლიმება,
ლიანდაგიან რბილი ხალათით
ლოგინში ტკბილად ჩაგეძინება.

იტყვიან: „დროა, ჩვენ დავიღალეთ“...
და დაფიონზე დაიშლებიან,
მხოლოდ მე ვრჩები შენთან დარბაზში,
სადაც ხალიჩას შუქი სდებია.

მწველი სიზმარი, სალამოს შუქი...
ჩრდილი ხავერდის ნამნამებისა...
ოქროცურვილი ღრუბლის ბუმბულით
ცეკვა წარწარი ვარსკვლავებისა...

25 თებერვალი, 1904

პეტრე ეგ. ივანოვს

მას სძინავს, სანამ მენამული ცით
წითლდება თორი, სიზმრით ფენილი
და წყნარი სტვენით ნისლიდან გვიმზერს
ჩვენ გველეშაპი, ფლოქვით თელილი.

ჩამოდგებიან ყრუ სალამონი,
გველი სახლებზე დაიგორგლება
და წინგაშვერილ პეტრეს ხელებში
ჩირალდნის ალი როკვას მოჰყვება.

ცეცხლს ნაიკიდებს ფარნების ძაფი,
ბრწყინავს ვიტრინა და ტროტუარი
და მოედნების მკრთალ სინათლეში
რომ ჩანს – სატროფოთა წყვილი თუ არი.

ყველას წყვდიადის ბურავს ლაბადა,
მზერას დაძირავს მზერა მხმობელი.
იხვეწებოდეს მონყალეობაზე
ბნელი კუთხიდან, დე, უცოდველი!

ხოლო იქ, კლდეზე, მხიარულ მეფის
საცეცხლურებში ცეცხლი ჩნდებოდა
და სამოსელით ქალაქის ნამწვის
ქუჩის ფარანი იფარებოდა.

გამოიქეციოთ ძახილზე ყველა
გზაჯვარედინზე ქუჩად მთვარისა,
მთელი ქალაქი ხმებს აუვსია
მივიანს – კაცისა, მორთოლარს – ქალისა!

ის თავის ქალაქს კვლავაც დაიცავს,
და აენტება როს ალიონი,
იელვებს განვდილ ხელში მახვილი
დედაქალაქის წყნარი ციონით.

22 თებერვალი, 1904

ლ(ო)ცვები

1

ჩენი არგო!

ანდრეი ბელი

კოშკის შესასვლელს ვყარაულობთ
ერთგულ მონებად,
სიმაღლეს ვზომავთ და ბუკის ხმა
მოგვეგონება.

მარად ხვალეა და ყოველდღე
კოშკის ცხაურთან
ერთი ჩვენგანის მოზიემე
ხმა ახმაურდა.

სივრცე სავსეა ოხვრითა და
რწმენით ქუხილის.
მწვერვალი იწვის ანთებული
ნაზი წუხილით.

გვითითებს ვარდის ანგელოსი:
„აი, ის არის:
მარადიული, გაზაფხული,
არა მისანი“!..

ნათელ წუთებში მიწყნარდება
ქარიშხლის ხმები,
ხელებს მდუმარედ შეეკონაეთ და
ცად გაეფრინდებით.

მარტი-აპრილი, 1904

* * *

იმ დროს, თვრებიან როს ნარგიზები
და თეატრს ადგას ცეცხლი დაისის,
ბოლო კულისის ჩრდილში წუხილის
და ჩემზე ჩუმი ოხვრის ხმა ისმის...

ეგებ არლეკინს როლი არ ახსოვს,
იქნებ შავთვალა შენ ხარ ირემი?
ანდა – ნიაეი, მსუბუქად მქროლი,
შორი მინდვრების ნანაპირევი?

მე ვარ, მასხარა, მე ამოვედი
ღია ლუკიდან ბრწყინავ რამპასთან
და გაუმაძღარ, ხარბი ობობის
მსგავსად უფსკრული მიმზერს ლამპასთან.

და ნარგიზები ვიდრე თვრებიან,
მანჭვა-ულარუნით მე ვირკალები,
მაგრამ ვილაცა კულისის ბოლოს
ჩემზე ქვითინებს და ვებრალეები.

მეგობარი კი ცისფერი ნისლით
ნანაობს სიზმრის საქანელაზე
და გაეკვრება ჭრილობას ობლად
მსუბუქ თითებით ვარდის სინაზე.

26 მაისი, 1904

* * *

მე ვცხოვრობ მარტო, მდუმარებაში,
დღისით საფლავეში ფესვად ვიშლები,
მაგრამ ნისლიან ღამით ორნი ვართ,
ის წამომიყვანს ღამის ნისლები.

ჩვეულებრივად – შესასვლელ კართან,
ჩემი ხატები სადაც ციმციმებს,
შუბლს მეკეცება ხეების ჩრდილი
და ჩრდილებს მოაქვს თვალთა სიცივე.

კუთხეში თორი ვერცხლისფრად ბზინავს,
ისმის ჭრიალი შესაბრალისი,
ვისთან ვცხოვრობდი, ვისთანაც მოკვედი,
შორს დარბაზიდან მათი ხმა ისმის.

მე – მიწის ძარღვი უკანასკნელი,
მწკრივების ბოლოს ასე მოველი.
ბაგეს არ გახსნის ბნელსახიანი,
თითქოს სუყველას წასვლას მოელის.

გაისმის ხმები სამგლოვიარო,
თანაზომიერ, საზარ წუთისა,
იგი შემართავს ხელს დამძიმებულს
მსგავსად დაკიდულ ჟამის ყულფისა.

აჭრილდება მძიმე ჯავშანი?
ცარიელ კუბოს თუ მიაგენი?
თუ ხრინნიან ხმით საყვირს ჩაბერავს
ამყრალებული მისი ბაგენი?

ან იქნებ, როგორც ნამგალა მთვარეს,
მხოლოდ საბრალო მახსოვს სიზმარი,
რომ დამენახა, ყველა უმნვოს
როგორ ეღირსა დილის ცისკარი?

15 ივნისი, 1904

* * *

აი, გარშემო კუბოთა მწკრივი,
ჩვენა ვართ ორნი და სხვა – არავინ.
შენ გძინავს, დღეთა სათუთ თანამგზავს,
შუქი რომ გადგას დაუფარავი.

არ გამაღვიძო – თეთრი კუბოდან
მეძახის შენი ღიმილი მნათი.
ლოყაზე – ოქროს ფერი კულული,
და მკერდზე – ოქროს პატარა ხატი.

მე ვიზიემე ნათელი კვდომა,
როცა ვიგრძენი ცვილის ხელები,
როცა უძირო ხმელი გძირავდა
ცისფერ ბურუსში შენ გახელებით.

იძინე – არვინ ძილს არ დაგირღვევს,
ჩვენ ვართ ნაპირი უცნობ გზებისა
და განუწყვეტლივ ავდრიან ღამეს
ნათობს ნათელი დარბაზებისა.

18 ივნისი, 1904

* * *

პატარძლის კუბო ტაძრის უკუნში
თხელი ქსოვილით დაიფარება
და ყოვლად წმინდა მას ღვთისმშობელი
ნაზი ხელებით მიეფერება.

ვინ ჩანს კუბოსთან მწუხრის საათში?
მხოლოდ დედა და მზის საფარველი,
ის კი – მესამე – ღვთისგან ნაკურთხი
დღეა, თვალზე რომ ადგას ნალველი.

კუბოზე რულით მარადიულით
ძაფი გაბმულა აღსრულებისა.
ის კი მესამე არის უცნობი
მშვიდად მზირალი გუმბათებისა.

5 ნოემბერი, 1904

* * *

სულს გვიმძიმებდა ზამთრის ქარბუქი,
როს სიცივეში ძილი გვეწვია
და გაყინული მინა გუთანით
ძალა არ გვექონდა, რომ აგვეწვია!

ახლა ადრეულ ზაფხულის ნამში
ველზე ვსეირნობთ, როს საღამოა,
და მონკარუნე ცელით გადაჭრილ
ბალახებიდან ცრემლი წამოვა!

ღიაა მძიმე კარი ყურთამდე,
სახლში სურნელი ქარმა არია
და სიმღერები, ასეთი ლალი,
არ გვიმღერია დიდი ხანია!

5 ნოემბერი, 1904

ეცხოვრობ შორეულ მე სავანეში
და დღისით, როცა ცვივა ფოთლები,
გამოვალ გარეთ, დავდგები ხიდზე,
ვნახავ მდინარის ვარდებს ოცნებით.

მე თეთრი ზამთრის მოსვლას მაგონებს
სიჩუმე მაღალ სამრეკლოების...
და იგი, ვინაც ფურცლავდა ფსალმუნს,
ის მონაზონი სიკედილს მოელის.

სივრცეს, ნებიერს, ზღვარი არა აქვს,
და, თითქოს გაკრთა მეტ სიხარულით,
როცა მივიდა, წიგნი დახურა
და მის ფურცლებში ჩატოვა სული.

როგორც სანთელი, იგი დაინვა,
სახეს მოედო ღიმილის სევდა,
შეიფრთხილა სიტყვამ სარკმელში,
შემოიტანა შორეთის ელდა.

გაცურდა ორი თეთრი ყვავილი –
წყალმა წაიღო მკრთალი ხელები...
ახლა ახლოა ნათლის ასული
ამ ფოთოლცვენის ოქროს ფერებით...

მაგრამ მე ეცხოვრობ შორს სავანეში,
ბედნიერების კარდაკეტილი,
თვალს გავაყოლებ მხოლოდ ოცნებას,
დედოფალს ჩემსას, გულდანყვეტილი.

იანვარი, 1905

* * *

მე გაზიარეთ არამქვეყნიურს,
ყველაფერს ციურ ბურუსში ვჭრიდი.
ნაეში – ნაჯახით, ფიქრებში – გმირით,
მე გამოვჭედე მინასთან ხიდი.

ნაეის სკამია სისხლით წითელი
გულგაგლეჯილი ჩემი ოცნების,
მაგრამ მე ვიცი, რომ ყოველ სახლში
ახალ მშვენებით შევიმოსები.

მე ვხედავ: თქვენი ქალები ბრმაა,
ვაჟთა მზერა კი ცეცხლს ვერ დაგახლის.
უკან! უკუნში! ყრუ აკლდამაში!
თქვენ გინდათ შოლტი, არა ნაჯახი!

მაგრამ მე მალე თქვენ დაგცილდებით
და დამინახავთ მხოლოდ შორიდან,
აი, იქეთკენ – კვამლისფერ მთებში,
ცეცხლის ღრუბელში მავალს ქროლვითა!

16 აპრილი, 1905

* * *

ჭაობი ღრმა და ბნელი ფოსოა
უზარმაზარი მინის თვალისა.
იგი ტიროდა ისე ხანგრძლივად,
რომ ჩაეძირა ცრემლებში თვალი
და დაეფარა მწვანე ბალახი.
მაგრამ ძირს დახრილ ნამნამების და
ბალახების და მარცვლების გასწვრივ
გაირბენს მწვანე სხივთ ნაპერწკალი,
რომ ხელმეორედ ჩაქრეს ჭაობში.
და მაშინ სოფლად ასე მსჯელობენ
უფალმა უწყის როგორ მოსული
თმაგაჩეჩილი კუდიანები:
„ხედავთ, დაგცინით თქვენ ეს ჭაობი,
ეს თქვენ გიხმობენ ბნელი ძალები“.

ლაპარაკობენ როცა ისინი,
მოხუცთ ჯვრიანი ფარავთ დროშები,
ხანდაზმულები კი იცინიან,
ხოლო გოგონებს ნათლად ეტყობათ –
მხრებზე რომ თეთრი ფრთები ამოსდით.

ივნისი, 1905

* * *

საყდრის ქოროში ქალწული გალობს
მათზე, ვინც დარჩა უცხო მხარეში,
ვისი იმედი და ვისი ბედი
გემებს თან გაჰყვა ოკეანეში.

გალობდა იგი და გუმბათიდან
შუქი ციალით მხრებს ეცემოდა
და სიბნელიდან ყველა ხედავდა,
გოგონას თეთრი კაბაც მღეროდა.

ეჩვენებოდათ, მოვა სიამე,
ყურეში წყნარად შევლენ გემები,
რომ დაქანცულებს უცხოობაში
თავი ეგონოთ ბედნიერები.

მაგრამ იქ, მაღლა, აღსავლის კართან,
სადაც ტკბილი ხმა მერთალ სხივზე კრთება,
ბედს განდობილი ტიროდა ბავშვი,
რომ შინ ვერავინ ვერ დაბრუნდება.

აგვისტო, 1905

* * *

მე ვარ ერთგული, მე ვარ უბრალო,
დამტოვე ასე ჩემს სიჩუმეში,
მაგრამ გემები ზღვაში გადიან
და ბნელ ნაპირთან ქრება ნუგეში.

ზოგჯერ იელეებს იალქანი და
ოცნების ცეცხლი ნამეკიდება
და უსასრულო ცად მორიალე
სული იდუმალ ლელვით ინთება.

მაგრამ მე ისევ ვზივარ საჭესთან,
ხოლო შორეთი ცარიელია,
მაინც ვმღერივარ იმგვარი ლელვით,
მშობლიურ გემებს ვით მიეღიან.

არა შენს ილბალს, არამედ უცხო
გრიგალს მიანდე შენი აფრები:
მე არაერთხელ ამ სიჩუმეში
შენზე ტირილით დავიზაფრები.

აგვისტო, 1905

* * *

არ გამოცვლილა აქ არაფერი,
არც ძველი ბოდვა ალერსიანი,
შენ შეაჩერე ჩემზე ფიქრებით
ჟამის დინება ნათელმზიანი.

აი, მეც მოველ სუროს გვირგვინით
სიყმანეილისას როგორც წყაროსთან
და ის ნაპირი წყალთან, ნისლებში
მე მიღიმოდა და შემხაროდა.

და ისევ ისე ცხადად მომესმის
მე ის ძახილი ლელქაშებიდან,
და ისევ ისე მიღუულ ხელებს
სჭვრეტს აღვსებული სული გრძნებითა.

თითქოსდა ჟამმა გადაგვიყინა
და არაფერიც არ წარიტანა
და შეუცვლელად შემოინახა
ჩვენი ბავშვობის მღელვარე ნანა.

როგორც ოდესღაც, სიზმრის ხანაში,
მე დავრჩენილვარ წყნარი და მშვიდი,
ჟამი კი გეძირავს და ოქროს თაყვანს
შემოაქვს სულში მონყენის ბინდი.

10 ოქტომბერი, 1905

* * *

ევგენი ივანოვს

აი, ის – ქრისტე ბორკილით, ვარდით
გისოსებს მიღმა ჩემი ციხისა,
წყნარი ტარიგი თეთრ სამოსელით
მოდგა სარკმელთან დარად ნისლისა.

სადად მოჭედილ ლურჯი ზეციდან
სარკმელს ჩაჰყურებს მისი ხატება,
ცა მოუხატავს ბეჩავ ხელოვანს
და სახეს ზეცის სხივი ადგება.

ხოლო ნათელი და ნაღვლიანი
მას ამოჰყვება პურის თაველი,
ნაძვის ხეები გარბიან ხრამში,
ლახანას ტალღას მიაქვს მთაველი.

ხედავ ყველაფერს ახლოს და შორად
და ვერ გაიგებ, რაც დრომ წაშალა,
ველარ ჩანვდები თვალთა სილურჯეს,
ალარ გახდები სანამ გზაშარა.

სანამდე ხრამში, ვით უპოვარი,
ალარ ჩანვები გულგანათელი,
არ აგეყრება გული ხსოვნაზე,
არ გაფითრდები, როგორც თაველი.

10 ოქტომბერი, 1905

შენ გაივლი წარბშეკრული,
ძირს დახრილი წამნამებით
და ტაძართან უკუნ ბნელში
გუმბათები ოქროვდება.

შენი სახე მწუხრში მლოცველ
ლეთისმშობელის სადარია,
დაბლა დახრილ წამნამებით,
წყვდიადში რომ იკარგება.

შენ მოგყვება თმახუჭუჭა
წყნარი ბიჭი თეთრი ქუდით,
ხელი ხელში ჩაგივლია,
რომ უეცრად არ წაგექცეს.

მე პორტალის ჩრდილში ვდგევარ,
სადაც ცივი ქარი დაქრის,
დაჭიმული მზერიითა და
თვალზე ცრემლებმორეული.

მინდა უცებ გამოვიდე
და შევქაბო: „ლეთისმშობელო!
მიტხარ, შენ ჩემს შავ ქალაქში
ყრმა რილასთვის მოიყვანე?“

მაგრამ ენა ვერ დამიძრავს,
შენ ჩაივლი, შენთან ერთად
შენს ღვთაებრივ ნაფეხურებს
ლურჯი ბინდი ეფინება.

და რომ გიმზერ, მახსენდება
ძირს დახრილი წამნამები,
შენი ბიჭი თეთრი ქუდით,
შენ რომ წყნარად გილიმოდა.

ბოდვან

მე ვიცი, ჩემი ხარ ახლობელი,
მელირსოს სნეულს მე მოსვენება,
როს ჩაკონებულს ძველ დროებასთან
სიზმრული ბოდვა მომეჩვენება...

შენ გეუბნები, ჩემო ნათელო,
დაე მათრობდეს სნეულს ცრემლები!
შენ მპირდებოდი განთიადს? არა,
მე ამ სანთელთან დავიფერფლები!

მეხსიერება თუმც ისევ მიჭრის,
განა სიკვდილზე ამაოდ ებოდავ...
ჯერ კიდევ გუშინ ნაკრძალი ტყე და
ნაკრძალი მთები ჩემს თვალწინ ქროდა...

მე ვეძიებდი თოვლისფერ ქალწულს –
შენ გესმის? გჯერა? გეხვევა ძილი?
მე ძველი დროის ქალწულს ვეძებდი
და ჩემი ბუკი ჟღერდა ქუხილით.

მაგრამ ყინული თმას მითრთვილავდა,
სუნთქვა მეკვროდა და მელეოდა,
ცრემლით მივსებდა თვალებს ნამქერი
და ჩემს საყვირსაც ხმა წართმეოდა...

ახლა მისმინე, როგორც ვუსმენდი
მე ხმას გამჭოლი ქარბუქებისა,
რაც იყო მაშინ, მას ვერასოდეს
ვერ დამიბრუნებს სუნთქვა წლებისა!..

მტკიცე ნაბიჯით შენთან ავდივარ –
გითხრა ანდერძი უამგადასული!..
უკანასკნელად შენ მოგიყვები,
ვით გავალვიძო თეთრი ქალწული!

აი, მას სძინავს ღრუბლის ბურუსში
მაღალ მწვერვალზე ბნელი კლდეების
და წკრიალა ხმით უხმოვს არწივი,
ლაღად მფლანგველი თავის დღეების...

რარიგ უცხოა ბოდვა მგლოვარი,
ბოდვა ლატაკ და ტანჯულ სულისა,
შენ – ერთადერთო ჩემო სინათლევ,
გამსხივებელო ამ უკუნისა.

რარიგ მყუდროა შავი სიზმარი,
ის გაანედლებს ჩემს დაღლილ ხსოვნას,
ძველი დროების ლანდებში თუკი
შევძლებ ნაცნობი ნაპირის პოვნას...

ჩვენ იქ ვიყავით, მაგრამ წავედით
და მახსოვს გლოვის ხმა მეხლებოდა,
როგორ მიჰქონდათ ჩემი ცხედარი,
გულზე ბელტები ვით მეყრებოდა.

4 ნოემბერი, 1905

სოლვეიგ

სერგეი გოროდეცკის

*სოლვეიგო მოიზრბენს თხილამურით
იბსენი, „პერ გუნტი“*

შენ თხილამურით მოიქროლე, სოლვეიგ, ჩემთან
და შენს თვალებში გაზაფხულის ღიმილი ჩანდა.

მე მიფარავდა საცოდავი და ბნელი ქოხი,
ცეცხლი ქრებოდა და ქვებს შორის ისმოდა ოხვრა.

ბრწყინავდნენ შენი მხიარული, მწვანე თვალები
და მე ნაჯახი მოვისროლე დაუნანებლად.

უნდა დავლენო მე სიცილით ბებერი ნაძვი,
მე ველოდები დღეს გაზაფხულს, როგორც პატარძალს.

სადაც ცისფერი სახლის
ბრწყინავს თალი ახალი
ნაძვის ხეებით დაიფაროს ზეცის თავანი!

ეს ცა – შენია!
ეს ცა – ჩემია!
განა ამოდ ვარ ამაყი, ამპარტავანი!

ტყეში, როგორც სიზმარში,
ვიყავ ნაძვის ლოცვაში
და მწვანე ფერით შემეცვალა სახის იერი!

მოხველ, როგორც შუქი და
ზამთრის ძილიც მოთავდა
და ტყეს მოედო ზუზუნის ხმა ნაძვისმიერი!

ნაღდის წკარუნი თუ მოგესმა ან თუ იგრძენი
დამიზნებული შენს სახეზე მზერა გრძნეული?

მე რომ ვმღერივარ და სიმღერა არის დაკარგვა,
შენ გაზაფხულის სოლვეიგი მიტომ დაგარქვი!

და აყრიალებს ნაქებარი ნაჯახის ხმები
ზეცის ლაჟვარდში მოქანავე ხეთა წვეროებს!

შენი ხმა რეკავს, ვით სიმღერა ნაძვის ხეების,
სოლვეიგ, ამ ხმამ გაზაფხული მწვანედ შელება!

20 თებერვალი, 1906

უცნობი ქალი

სალამოობით, რესტორანებთან,
ცხელი და მქისე დგება ჰაერი,
მთვრალთა მოძახილს სუნთქვა მიმოაქვს
გაზაფხულის და გახრწნის ნაირი.

ხოლო შორს, სადაც გზა იკარგება,
აგარაკების ყრუ მონყენაში,
სად ოქროსფერად ბზინავს კრენდელი,
სიჩუმეს არღვევს ტირილი ბავშვის.

იქ, სალამოხანს, შლაგბაუმებთან,
დააცილებენ მოაშიკენი
გვერდზე მოგდებულ ქუდებით დამებს
და ოხუნჯობით გულს იოკებენ.

ტიბიდან მოისმის ნიჩბის ჭრიალი
და წყალზე წეება ქალის ძახილი,
ხოლო ზეცაში ბევრის მნახველი
მთვარის ნამგალა დისკო დახრილა.

ჩემს ჭიქაში კი ყოველ სალამოს
ჩნდება ჩემივე ლანდი მდუმარი
და ჩემთან ერთად მას გააბრუებს
სასმელი მნკლარტე და იდუმალი.

გვერდით, მეზობლად მდგარ მაგიდასთან
ძილმორეული ყვინთავს მსახური
და ყვირის ლოთი ბოცერისთვალება
„in vino veritas!“ ხმით უსახურით.

მეზმანება თუ დანიშნულ დროზე,
როცა სალამოს ხალხი გროვდება,
ის აბრეშუმის კაბის შრიალით
ნისლიან სარკმელს უახლოვდება.

როგორც ყოველთვის, ახლაც ისევე
მთვრალეებთან ჩავლა მარტო ინება
და სუნამოს და ნისლის სურნელი
კვამლიან დარბაზს მოეფინება.

შენის შრიალა ეს ძველებური,
ეს აბრეშუმის შესამოსელი,
ეს თეთრი ქუდი ყორნისფერ ფრთებით,
ხოლო ბეჭდებში – გამხდარი ხელი.

ამ უცხოობით ასე შებოჭილს
მიხმობს თავისკენ ბნელი ვუალი
და მელანდება უცხო ნაპირი
და ჯადოსნური თვალსატყუარი.

ყრუ საიდუმლო მე გადმომეცა,
თითქოს მზის ძალით ვარ ავსებული
და ჩემი გულიც და ჩემი სულიც
მნკლარტე ღვინოთი არის გზნებული.

და სირაქლემის ფრთები დახრილი
ნელა ქანაობს ჩემს ზმანებაში
და უნაპიროდ ლურჯი თვალები
ელავს შორეულ მდუმარებაში.

სული სავსეა იდუმალებით
და სხვისი ხელით არ გაიღება!
შენ მართალი ხარ, მთვრალი ურჩხულო,
რომ ღვინოშია ქეშმარიტება!

24 აპრილი, 1906

* * *

მე მას ვიცნობდი ჯერ კიდევ მაშინ,
იმ ზღაპრულ წლებში.
ტიუტჩევი

ნლები გასულან, შენ არ იცვლები,
მკაცრი, ნათელი და მშვენიერი.
მხოლოდ ჩამოშლილ თმებში ციმციმებს
გამორეული ჭაღარის ფერი.

მე კი – ვეშები ნიგნთა გროვაზე,
როგორც მოხუცი ნელში მოხრილი,
რომ ოცნებაში წყნარად მოეხაზო
შენი მშვენება ჯერ არყოფილი.

დიახ, ჩვენ უამი ვერ მოგვერია
და სული გვიდგას კვლავ ძველებური
და მოგონებას შემოერია
ნლები, ზღაპრულად გაელვებული.

ურნამ ნაილო მათი ნაცარი,
ჩვენი სული კი – ლაჟვარდს მიაპობს
და, რაც კარგია და საოცარი,
ქვეყნად გარდასულ ნლებით კიაფობს.

30 მაისი, 1906

მფარველი ანგელოსი

მიყვარხარ, როგორც ანგელოსი ჩემი მფარველი,
როცა წყვილია სევდა გვახრჩობს განუქარველი.

მიტომ, რომ ჩემი დედოფალი იყავ ნათელი,
შენ წარიტაცე უჩინარი სულის სანთელი,

რომ გვეძახოდა ღამე ბნელი და იდუმალი,
რომ ჩემი და ხარ, ხარ ასული, ხარ დედოფალი.

რომ განგებისგან მოგვესაჯა სიცოცხლე შორი,
ო, თუნდაც მიტომ, რომ დაგვერქვა ქმარი და ცოლი.

რომ სამუდამოდ შეკრული ვართ ჯაჭვით და ფიცით
და რომ ოჯახი წყევლად გვექცა, მხოლოდ ჩვენ ვიცით.

რომ შენ არ გიყვარს რაც მე მიყვარს და რასაც ვეჭრფი,
რომ მათხოვართა და უბედურთ სიმძიმის ველტვი;

რომ არ გვექონია ჩვენ თანხმობა, ცხოვრება ნელი,
არ შემიძლია, მაგრამ მინდა, რომ ვიყო მკვლელი

იმ სულმოკლეთა, რომ არ სწავდათ ცეცხლი და ალი
და დაამცირეს სული ჩემი და ხალხის ძალი;

ვისაც ციხეში მოძმე ჰყავდა გამოკეტილი,
ვინც არ იწამა ცეცხლი ჩემი – სული კეთილი;

ვისაც სურს ფულით შემომოკლოს სიცოცხლის დღენი,
რომ შეისყიდოს მორჩილება ძალღური ჩემი;

რომ მე სუსტი ვარ და დაცხრომა მესალბუნება,
რომ ჩემი მონა წინაპრების მომსდევს ბუნება;

რომ ნაზი შხამით ჩაკლულია სული მღელვარე
და ეს ხელები ვერ ასწევენ დანას ელვარეს...

მიტომ მიჩნდება სიყვარული მე უფრო მეტი,
ვგრძნობ მე შენს ძალას და გულს მიკლავს ეს მწარე ბედი.

რაც ცეცხლმა დანვა, ნაილეკა ტყვიების ელვით,
მას რომ მოგენყვიტოს, დაგვაშოროს ვერ შეძლებს ვერვინ!

მე შენთან ერთად ვათენებდი ლამეს და დილას,
დღეს შენთან ერთად ველოდები უფსკრულის ხილვას.

როგორ გვაორებს მუხანათი განგება კრული,
ვართ ჩვენ ბოროტი მონები თუ ამაყი სული!

ემორჩილები, ხარ მედგარი თუ სახემწყრალი,
რა მოსჩანს თეალნინ – ნყვდიადია თუ ცეცხლის ალი?

საით მივდივართ? ვინ ქვითინებს? ვისი ხმა არი?
ორივეს ერთად დაგედგომია უამი საზარი!

რა გველოდება – აღდგომა თუ სამარის კარი?

17 აგვისტო, 1906

სარკმელი ეზოში

მე ერთადერთი დამრჩა იმედი,
რომ სარკმელიდან ვიმზირო ქაში.
თენდება, თეთრად ელავს სამოსი
დილის გაბნეულ სხივთა ფენაში.

მე ძველებური მესმის სიტყვები
სადღაც სიღრმეში, ფსკერზე შთენილი.
შორს კი ყვითელი ბჟუტავს სანთელი
ვილაცის სარკმელს შემორჩენილი.

ჩახუტებია მშიერი კატა
ცისკრის ჩამოშლილ სხივების კონებს.
სხვა რალა დამრჩა ტირილის მეტი,
და შენზე ფიქრი გულს შემიღონებს.

შენ ახლა გძინავს, ქუჩა ნყნარია,
მე კი სევდით და ნალევლით ვკვდები,
ხოლო ვერაგი, სული მშიერი
საფეთქელს ურტყამს გაბოროტებით.

როცა ჩაივლი, არც კი შემხედავ,
მე ასე ვდგავარ სარკმელს მიკრული,
ზამთრის მზესავით გაყვითლებული,
გაფითრებული და გულმოკლული.

ოქტომბერი, 1906

* * *

ოთხ კედელს შორის მე ვარ მოკლული
მინიერ ფიქრით და საზრუნავით,
ხოლო ზეცაში ოქროდ გაშლილი
მკრთალდება მთვარის დისკო მბრუნავი.

რარიგ ტკბილია და მტკივნეული,
შენ – შორეულო ჩემო ძმობილო,
სული რომ ნეტარ ცრემლით აივსო,
ასე მორთული სამადლობელოდ.

მას შეუძლია გახდეს ისეთი
ცისფერი, როგორც შენა ხარ ცაში,
გახარებული მსუბუქი ფრთებით
სიღრმედ, სიმალლედ მიმოფენაში.

მაგრამ კედლებშიც ჩემი სიამე
შენი ლაჟვარდის ცეცხლით ინთება,
რომ მომესაჯა, ისე ვით ჯილდო,
სულის სიკვდილით გადაფითრება...

და მკრთალ ზეცაში ფარფატა კვამლი
მომღერალ სულს რომ ცისფრად მიაშლის,
შენ გიერთდება, შენ – მშობლიურო,
მკაცრის უფალის ნეტარ ნიაღში.

ოქტომბერი, 1906



სიცოცხლე, გუნდში რომ ჩაიფერფლა,
შენი კლიროსი ჩაბნელებული,
ქალნული ფარულ, მზიანი მზერით
საკურთხეველთან მინავლებული.

გულდაღეული ასულნი კართან,
სადაც ბინდი და ხმა დიადია,
და შორეული მერის ნათელი
მზერა - შუქი და თმა - წყვილია.

რული გერევა, ღმერთო, ხატებთან
კვამლში ცისფერი საცეცხლურისა
და შენს წინაშე მე ამბიონთან
მომყვა ბინდბუნდი ქუჩის ბურისა.

მე გაზაფხული მომყვა ტაძარში,
იგი ხომ ჩემთან დანინდულია,
მე საცეცხლურის ლურჯი კვამლი ვარ,
ის - ნისლიანი გაზაფხულია.

და კამარის ქვეშ სულთა მობერვით
ჩვენ ვეფინებით საკურთხეველთან.
ჩვენ ხალხის თავზე ფიალას უუვსებთ,
მშვენიერ მერის ვინც უმღერებდა.

და ქალიშვილებს ბნელ კარებიდან,
საკურთხეველის საფეხურებთან,
დაისის ალით განათებულებს
მერის თვალები შემოჰყურებდათ.

ვილაცის თმები სულშემგუბველი
სახეს სრიალით დაეფინება
და ამბიონზე ქალის გალობა
მერის სახელზე აღეველინება.

იგი უმღერის ვარდებს ხატებთან,
სადაც ბინდი და ხმა დიადია,
ქალწულს მონყალეს, შორეულს, ვისი
მზერა – შუქი და თმა – წყვდიადია.

ნოემბერი, 1906

* * *

ჩემს სოროში ვწვრივლებ,
ოხვრა არა მცილდება,
მოღუშული მქარლნე
ეზოში ატირდება

ხვედრზე თავისუფალზე,
რაც მე არ მაქვს ნახული,
რომ მინდორში ქარია,
ეზოში კი – ზაფხული.

მე კი – რაღა საქმე მაქვს?
დავიწყებამ დამფარა,
დაიღვენთა სანთელი
და კაკუნებს ქანქარა.

შემრჩა ერთი იმედი,
აი, იქეთ – სარკმელი.
ბრწყინავს მისი სამოსი,
მოვა, როგორც ნამქერი.

ვუმეორებ მეასედ
და კოპები შემკვრია,
ნაცნობებს და მეგობრებს
სისხლი ვით აუღმღვრია.

ისევ ტკბილად ვიქნებით,
წყნარად, ჩათბუნებული...
გულს გვიამებს კანდელი
კუთხეში ანთებული...

როცა მოდის, რად უნდა
საუბარი საქები?
ყუნწში რად გაუყარა
მხიარული ძაფები?

ანდა რად გადმომიგდო
სიტყვა მე მხიარული?
თავი რატომ დახარა,
მაქმანებით ფარული?

მაგრამ თუ აქ არ არის
გულს სიცივე ედება!
რა ხანია, არ ვიცი
შუქი თუ იქ ენთება...

სახე გამფითრებია,
როგორც თეთრი კედელი...
თუ მოვიდა, შემიპყრობს
შიში შეუნყვეტელი...

რალა არის საშიში
ან რა უნდა დაეკარგო,
მაგრამ მე ეს მოვუყვე?
სიტყვა როგორ დაეკარგო?

იქნებ – როცა ალერსით
ჩემი გული გინატრებს?
როცა გარეთ ქარია
და ოთახში სინათლე?

7 დეკემბერი, 1906

სხვენიზე

სხვენიზე უფრო სიმაღლით
ქვეყნად გულს რა ახარებს?
ვხედავ შორი დუქნების
მილებს და სახურავებს.

იქეთ გზა მოჭრილი მაქვს,
ან რად მინდა ყურება?
მასთან მხოლოდ ფიქრში ვარ
და კარი იხურება...

მას კი სიტყვა არ ესმის,
თუ ესმის და – ბრუედება,
წყნარია და – არ იძვრის,
თეთრია და – ყრუედება.

ქარი ძვრება ღრიჩოში,
მოჰკლებია ცას შუქი...
როგორ მიყვარს მოწყენილს
სალამური ქარბუქის!

ჩრდილოეთის ნამქერო,
ჩემი მეგობარი ხარ!
მიუტანე მარაო,
ცოლმა რომ გაიხაროს!

თეთრი კაბა აჩუქე,
შენებრ ფიფქებდაყრილი,
მიუტანე საწოლთან
ვარდი, თოვლში დახრილი!

მე მაჩუქე დარდი და
ღრუბლიანი ფიქრები,
მას მიეცი ცისკარი,
მძივი, მარგალიტები!

რომ ამგვარად შემოსილს
ჰქონდეს თოვლის სითეთრე
და კუთხიდან უმზერდეს
ჩემი სახის სიფითრე!

ტკბილად მლერი, ქარბუქო,
ალარა ხარ უხეში,
რომ ეძინოს მეგობარს
ყინულეთის კუბოში!

რომ ის ველარ წამოდგეს,
ნუ ჭრიალებ, ფიცარო...
არ შეაკრთო მეგობრის
სახე დასაფიცარი!

დეკემბერი, 1906

* * *

ო, სოლვეიგ, სოლვეიგ, გზა მზიანო,
გამაცოცხლე, გული ამიხმიანე!

ბნელ ხევებში, სად ქუხილის ხმებია,
მწვანე თვალთა ელვა მომჩვენებია.

უკუნეთში ვისი სიტყვა გაისმა,
შენი ხმა თუ ბუს მაგვარი ქალის ხმა?

ვისი არის ეს ლაბადა მფრინავი,
მთის მწვერვალზე თოვლისფერად მბზინავი?

ვიცი, მთებში ამლერდება ბუკები,
ამწვანდება მდელოების ღრუბლები.

კლდის კალთაზე სული მომათქმევიწინე!
ამ წყედიადის სარკე დამამსხვრევიწინე!

რომ ნივლით ბანჯგელიანი ტროლები
მენყერივით ძირს ჩამონყდნენ გორებით;

რომ მწვერვალზე ოქროსფერმა აისმა
სული მზით და სიხარულით ამიხსოს!

დეკემბერი, 1906

* * *

შენ გაგელვიდა დილაადრიან
და გაიხურე სახლის კარები
და დიდხანს ნისლში, ბორცვის გადაღმა,
ბრწყინაედა შუბი მიუკარები.

მე კი, ყმანვილკაცს, ჭორად მესმოდა
შენი საოცარ ძალის რონინი
და იპნეოდა ხმლის ნამსხვრევები
ომში შენს მიერ მიმოსროლილი.

ახლა არ სტოვებ სახლს ადრიანად,
ცხოვრობ მარტოკა და აღარ დაობ.
მე სიყვარულით და მშფოთვარებით
შენ შემოგყურებ თვალეში, დაო!

არ ვარ ყმანვილი მე უნინდელი,
მასნაელე ბრძოლა ყოველდღიური,
რომ ახლობელთა წრეს გაუუმხილო
შუბის გაფრენის ძალა ღვთიური!

აპრილი, 1907

* * *

შენ შორს ნახველი, მე უდაბნოში
ვარ ცხელ ქვიშაზე უხმოდ დაკრული,
მაგრამ წუთითაც მე არ დამცდება
სიტყვა სანყენი და გულნაკლული.

რაც იყო – იყო, მე როდი ვნანობ,
შენი მშვენების ისევ მდომელი:
შენ – მშობლიური ხარ გალილეა,
მე – ქრისტე მკვდრეთით აღუდგომელი.

დე, მოგეფეროს შენ სხვისი ხელი,
დე, ყურს მოესმას ჭორი ვნებული,
ისეც მარტოა ძე ადამისა
ამ უდაბნოში მიტოვებული.

30 მაისი, 1907

* * *

დაისიდან მოვიდა
ვარდით არაქაურით
ლაბადადაჩხვლეტილი.

მეძახოდა შორიდან
ზამთრის აურზაურით
ნისლებში ჩაკეტილი.

ცეცხლი ენთო ლამეში
და კოცონი ენებად
ზეცას ეგლისებოდა.

ალი კრთოდა თვალებში
და ყორნისფერ გველებად
ნანნავი ეშლებოდა.

მეხვეოდნენ გველები
და ეს ფიქრი, ზმანება
გულმა ჯვარზე აზიდა.

და თოვლის ნამქერებით
ვცოცხლობ მე შავთვალება
გველურ სილამაზითა.

8 ნოემბერი, 1907

კლემენტატი

ლიაა სევდის პანოპტიკუმი
უკვე რამდენი წელინაღია,
მთვრალეებთან ერთად მეც იქ ვიჩქარი,
სადაც დედოფლის ათინათია.

აი, წევს იგი მინის კუბოში,
არც ცოცხალია და აღარც მკვდარი,
ხალხის ბაგეს კი ჩურჩულით უვლის
ურცხვი სიტყვები, ვით ნიავექარი.

წევს ნებიერად – მივინყებული,
მიძინებული ან და მარადის,
სრიალებს გველი და იკბინება
და სანთლის მკერდზე ზანტად გადადის...

მე გაყიდული და სამარცხვინო,
ლურჯი წრეებით თვალგანყობილი
მოველ, რომ ვნახო ვარდებთან ერთად
კუბოში მწოლი სანთლის პროფილი.

აქ ყველა გიმზერს, მაგრამ დაცლილი
შენი სამარე რომც დამენახა,
მომესმებოდა ამაყი სუნთქვა
მე ზესკნელიდან, სადაც შენა ხარ;

„გუნდრუკს მიკმევთ და ყვავილებს მაყრით,
მე ხომ ოდესღაც ეგვიპტის მცველი
და დედოფალი ვიყავი, მაგრამ
ახლა ვარ მხოლოდ მტვერი და ცვილი“.

„ო, დედოფალო, მე შენი ტყვე ვარ,
მე ეგვიპტეში ვარ გაყიდული
და მონას ახლა განგების ნებით,
ჩამედგა მგოსნის და მეფის სული.“

ხედავ? რუსეთი, როგორც რომ რომი
შენი მშვენივრით რარიგ მთვრალია?
რომ კეისარი და რომ მგოსანი
ბედის წინაშე თანაბარია?".

ვიწმედები, ვუმზერ. ის აღარ მისმენს,
მაგრამ ნელინელ ირხევა მკერდი
და გამჭვირვალე ქსოვილი კრთება
და წყნარი სიტყვა სიჩუმეს ერთვის:

„მაშინ ვინვევდი ელვას და ქუხილს,
დღეს ისლა ძალმიძს მე ჩემი ძალით,
მთვრალი პოეტი რომ ავაცრემლო
და გავაციხო მთვრალი მეძავი“.

16 დეკემბერი, 1907

* * *

მეც ხომ მიყვარდა, მეც ხომ ვიგემე
თრობა გიჟური სიყვარულისა,
მარცხი და ძლევა, და ორი სიტყვა –
მტერი და მოძმე დამწვარ გულისა.

იყო მრავალი... და მე რა ვიცი?
მოგონებები, სიზმრის ლანდები,
მე მათ ვიხსენებ და მათ ოქროსფერ
სახელთა ქსელში გავიბლანდები.

იყო მრავალი... მაგრამ მე მოველ
მარტოდენ ერთი გრძნობით ზიარით,
ერთი მშვენივრით, რომელსაც უქვია
ვნების და სისხლის ორომტრიალი.

და რომ ვინვევდი მინიდან მალლა
და სრულდებოდა ჟინი ფარული,
საბედისწერო ვნების სარეცელს
ისევ მოსდევდა სხვა სიყვარული...

ისევ ის სიტყვა, ისევ ალერსი,
თრთოლვა დამღლელი ხარბი ტუჩების
და შეჩვეული მხრები... ო, არა!
გულცივ ქვეყანას ვერ გადურჩები!

მხიარულებით გულავსებული
მწვერვალებიდან თოვლიან კლდეთა
მე ჩამოვუშვებ ზვავს ხეობაში,
სადაც ტრფობა და ამბორი მსდევდა!

30 მარტი, 1908

* * *

იქ ბევრი იყო ქალი ლამაზი,
სადაც ბორცვები და ხეობები
იმოსებიან ვნებამორეულ
მოგონებათა იდუმალ ხმებით.

მისდევდნენ მტვრიან შარას ისინი,
უხმობდათ ძველი გზები სავალი
და ვედრებას და მუქარას ახლდა
ხანჯალი, ცეცხლი, შხამი მრავალი.

მათ გადასწიეს მყუდრო საფარი,
ველად გარეკეს ფარა ულვევი,
როცა მე დაღლილს მაგრად მეძინა,
შორს კი ტიროდნენ ნაკადულები.

და თვითოეული ჩემთან მოსული,
იყო მშვენიერ ტყუილის მდომი
და მანამებდა, მწვავედა და მწვავედა
ყველა მათგანი იდუმალ კედომით.

მაგრამ შეშლილი თავების ზევით
შოლტი ავნიე, შეეკრიბე ფარა
და რომ არასდროს აღარ დაებრუნდე,
ბილიკს დაეყევი დაუფარავად.

აქ სინყნარეა, დიან ღრუბლები,
ქარი ბალახში ნეება შრიალით
და იდუმალი ხრამიდან მესმის
მათი შორეულ მთებზე ნრიალი.

როცა ლაჟვარდში ზეცის ყვავილებს
ტკეპნის ფლოქეები ცხენის შავისა
თქვენ ველარ მიცნობთ – როგორც ხელმწიფე,
ვბრუნდები სუნთქვით ქარიშხალისა!

მარტი, 1908

* * *

ვლ. პიასტს

თეთრ ღამეების მკაცრი მაისი,
კარზე კაკუნი – გამოდი გარეთ!
მხრებზე გეხვევა ცისფერი ნისლი,
სდევს დამლუპველი ღიმილი თვალებს!

ქალთა შეშლილი, დამწველი მზერა,
მარად მღელვარე მკერდზე ვარდებით,
აღსდექ, დამკარი მახვილი გულზე,
იქნებ ნაილოს ქარმა დარდები!

კარგია, როცა მწვანე მდელოზე
შენც მოგედება ფერხულის ცეცხლი,
სვამ მეგობართან ხალისით ღვინოს
და გვირგვინს დაჰკრავს ფერები ვერცხლის.

აჩუქებ ვარდებს უცხო ასულებს,
გულს გაეცლება დარდი მხუთავი,
მათგან ერთს დილაადრიან შენთან
გაიყოლიებს მძიმე გუთან!

28 მაისი, 1908

ტაძარში, მწუხრში როცა კედელზე
მე წავიკითხე შენი გრაგნილი,
თითქოს მესმოდა კენესა ქოროდან,
კენესა გაბმული, ყრუ და დაღლილი.

შენი გამოცდა გულმა ინება:
ხომ მრავალია ჩემი მძებნელი,
მოუცილებელ მზერით მდევარი,
გაუნელებელ ცეცხლით მზებნელი.

აი, პასუხად მე ეს გრაგნილი
იმავე კედელზე შენთვის დაეკიდე,
მიტომ რომ მრავალ მწარე წამებას
ჩემკენ მომავალ გზაზე იმკიდი.

ვინა ვარ, დიდხანს შენ ვერ გაიგებ,
არ მოგეკაროს თუნდ ღამე ძილი,
გინდ სანთელივით ფიქრში დნებოდე
და მოგენიოს სწრაფი სიკვდილი.

ჩემთვის რა არის შენი ნალველი,
შენი გოდება მწარე დროების?
შენა ხარ მხოლოდ მღვრიე ჩვენება
ყრუ და შორეულ სამყაროების.

შეხედე, მართლა ხარ ღირსეული?
თუ ხარ სუსტი და ღვთის ნებიერი,
მხდალი მებრძოლი თუ უსახელო,
ანდა ზარმაცი მონა ცბიერი!

თუ ისევ შენი შორი ექოთი
ოხვრა – „მიყვარხარ“ – გაიციმციმებს,
ჩემი მრისხანე ცივი სიცილი
შენ მათრახივით ჩამოგიცილებს!

შემსგებელი

მე ვარ რაინდი, მე ვარ პოეტი
ჩრდილოურ სკალდის გვარის და ტომის,
შენი ქმარი კი უაილდის ტომით,
შოტლანდურ პლედით, ფერად ჟილეტით
მართლაც უგვანი არის ესთეტი.

მიტომ თუ გვიმზერს დამცინავ სახით,
რომ მეტისმეტად ეჭვიანია
და შენთან ვერვინ აუტანია?
მე კი... რად მინდა ეჭვი ვნებული,
მე დღეს შენზე ვარ შეყვარებული!

შენ კი – სიცრუით და ვერაგობით,
ვით ანაფორით, ხარ შესუდრული...
ვიცი, რომა ხარ ცოლი ერთგული,
მაგრამ სევდა თუ გულში გდებია
ან ჩუმად ვინმე თუ გყვარებია?

და ნუთუ მართლა ამ ძილისგუდამ,
რომელსაც პქვია უგვანი ქმარი,
ჩურჩულით გითხრა: „უკვე დრო არი“,
შემოგახვია შენ მწვანე პლედი
და პეტერბურგის ქარში გახვედით?

და ნუთუ მართლა მეჯლისის შემდეგ
არ ეშმაკობდი მიბნედილ მზერით,
როცა მსუბუქი სამოსი ხელით
შენს მხრებს ნამიერ შემოეცალა
და შენ იგემე ცეკვის სამსალა?

2 ივნისი, 1908

მიმოხილვის

გაჩუმდით, წყეულო სიმებო!
ა. მაიკოვი

შურიანები, ყრუ და უცხონი
ჩვენ ვემტერებით ერთურთს ფარულად.
როგორ ვიცხოვროთ, როცა არ ვიცით
გულში შუღლი რომ შემოპარულა!

რა ექნათ! თუ ყველა ასე ცდილობდა,
რომ მოენამლა სახლი თავისი
და თუ კედლები შხამმა შებურა,
ნდობა არ შეგვრჩა არც არავისი!

რა ექნათ! დავკარგეთ რწმენა, და ჭკუაც
სიცილს გადაჰყვა ხელისალებით
და მთვრალი სახით ქუჩიდან ვუცქერთ
როგორ ინგრევა ჩვენი თალები!

არ დაგვკლებია მოლაღატენი,
ფუჭი სიტყვების უხვად მფლანგველი.
რა ექნათ! ვიქნებით მაინც შორეულ
შვილებისათვის გზის გამწვანებელი!

როცა ლობესთან, სადმე ჭინჭარში,
ჩვენთა უბედურთ ძვლები დალპება,
ვინმე გვიანი ისტორიკოსი
ნიგნის საწერად წამოგუადგება...

მხოლოდ გატანჯავს და გაანამებს
უცოდველ ბავშვებს იგი, წყეული,
დაბადების და კვდომის თარიღთა
და ციტატების მტკვერში ხვეული...

სამწუხაროა ასე ცხოვრება,
თითქოსდა გქონდეს დღესასწაული,
რომ დაგეუფლოს ბოლოს დოცენტი
და კრიტიკოსის ხმა წართაული...

სამარადისო ძილით ძლეულებს
ქორფა შამბნარი გადაგეფარვოდეს!
ხმას ნულარ იღებთ, კრულო წიგნებო,
მე თქვენ არ გწერდით არც არასოდეს!

24 ივლისი, 1908

კომენტები

ამოიზარდა ჭაობებში მთელი კვარტალი,
სად უდაბური ადგილებია.
იქ პოეტები ცხოვრობენ და თითოეულ შემხვედრს
ზვიად ღიმილით ესალმებიან.

ამაოდ იდგა ნაღვლიანი ჭაობის თავზე
დღე მშვენიერი, დღე სხივოსანი:
ღვინოს სვამდა და გულმოდგინე ჯაფით იწვოდა
მისი მკვიდრი და მისი მგოსანი.

როცა დალევდნენ, ძმობის ფიცი ეკერათ პირზე,
ყბედობდნენ გესლით, ცინიკურ ნებით,
დილით კი გული ერეოდათ, შემდეგ ოთახში
წერდნენ მორჩილად და რუდუნებით.

გამოდოდნენ ჯიხურიდან, ვით ქოფაკები,
და თვალწინ ედგათ ზღვა ნახანძრალი,
იბნიდებოდნენ ოქროსფერი ნანწავთა ცქერით,
თითქოსდა ეგრძნოთ რამ ნაპერწყალი.

ასე დაშლამდე ოცნებობდნენ ოქროს დროებზე
და ერთხმად სძულდათ გამომცემელი,
ცხარე ცრემლებით ქვითინებდნენ ყვაილის ბუჩქთან,
სადაც მოუცავეს ღრუბელს ტყე-ველი.

ასე ცხოვრობდნენ პოეტები, ჩემო მკითხველო,
შენ კი, იქნება, ფიქრობდი თმენით,
ყოველდღიური და უძალო წვალებით სავესე,
ობივატელურ ტბორის მოწყენით?

არა, ძვირფასო, შენ – მკითხველო, ბრმავ კრიტიკოსო!
პოეტი მუდამ არის მდომელი
ამ ნაწნავების, ამ ღრუბლების, ოქროს დღეების,
რაც შენთვის არის მიუწვდომელი!..

იყავი ასე კმაყოფილი შენ ცოლთან ერთად,
გნამდეს უგვანი კონსტიტუცია,
მაგრამ მგოსნისთვის, ამ მსოფლიო დონის ლოთისთვის,
კონსტიტუციას რა მიუცია!

დაე, თუნდ მოვკვდე მე ლობესთან, როგორც ქოფაკი,
სასტიკ ცხოვრებამ ამრიოს მინად,
მე ასე მჯერა, რომ უფალმა თოვლად წამილო
ანდა ქარბუქი თვალში მკოცნიდა!

24 იელისი, 1908

კულიკოვოს ველზე

1.

მოდის მდინარე, დამდორილი, ზანტი ნალველით,
მოდის, მორეცხავს ნაპირს წვიმები.
სტეპში ყვითელი, მწირი თიხის ფლატეებს ზევით
დგას მოწყენილი თივის ზვინები.

რუსეთო ჩემო! სატრფოვ ჩემო! ჩვენთვის ტკივილით
ნაცნობი არის გზა შორეული!
გზა, რასაც ჰქვია – თათრულ ისრის ველური ძალით
მკერდშელენილი ჩენი სხეული;

გზა სტეპიანი, უნაპირო ნალველით სავსე,
ჩემო რუსეთო, შენი ნალველით!
თუნდაც ბურუსი ღამეული და შორეული
ვერ შემაშინებს ავად მზრახველი;

თუნდ იყოს ღამე – კოცონებით სტეპებს ავანთებთ,
სადაც სინათლის სხივზე ვქროლავდით.
სტეპების კვამლში ანათებენ წმინდა დროშები
და ყაენური ხმალთა ფოლადი...

მარადი ბრძოლა! დამშვიდება სიზმრად თუ გველის,
ამდენი სისხლი ვით ნაიშლება...
მიექანება ყრუ ღამეში სტეპის ფაშატი
და ვაციწვერა ველად იხრება...

ბოლო არა ჩანს! გამოკრთება გზა და ხრამები,
შეჩერდი, შენი ქროლვა დასრულდა!
შეშინებული ქარს მისდევენ ცაში ღრუბლები
და დაფიონი სისხლში აცურდა!

სისხლში აცურდა! და გულიდან სისხლი თქრიალებს,
გულში დარეკავს გლოვის ზმანება...
დაკარგულია სიმშვიდე და სტეპის ფაშატი
შორს დაოთხილი მიექანება!

იენისი, 1908

2.

ჩვენ შუა ღამით სტეპებიდან აღარ ვბრუნდებით,
უკან არცერთი არ ვიხედებით.
აქ ნეპრიადვას აფხიზლებდა გედის ძახილი,
ახლაც სავსეა ველი გედებით.

გზაზე აგდია ანთებული თეთრი ლოდები,
წყალს გაღმა ბილწი ურდო ირთვება.
ლეგიონების თავზე ჩვენი ნათელი დროშა
ანი არასდროს არ აზვირთდება.

და მეგობარი, თავს მიწამდე როდესაც დახრის,
მეტყვის: „ბასრია შენი მახვილი,
რომ შენ ამაოდ არ ეომო თათარს და მოკვდე
წმინდა საქმისთვის ბრძოლით დაღლილი!“

რადგანაც მამულს სჭირს იარა, მე მეომარი
არ ვარ პირველი და აღარც ბოლო.
მომიხსენებდე მკერდგაპობილს ცისკრის წირვაზე
შენ, მეგობარო და ჩემო ცოლო!

8 ივნისი, 1908

3.

მამაის ურდომ რომ დაფარა
სტეპი და ხიდი,
შენ თუ იცოდი, ბნელ ღამეში
ველად რომ ვლიდით!

იქ, დონთან, სადაც ავბედიტი
ღამე დახრილა,
შენი მისნური ხმა მესმოდა
გედის ძახილად.

მთავრის ლაშქარი ცაში აჰყავს
ღრუბელს უივილით
და შორს მიილტვის საბრძოლველად
დედის კივილი.

ღამის ფრინველი წრეს დაუვლის
შორი ნავარდით,
რუსეთს დარაჯად ეღვარება
ადგას თავადის.

არწივი დაჰყეფს თათრის ბანაკს,
უამია მწყრალი,
ნისლით მორთულა ნეპრიადვა,
ვით მთავრის ქალი.

სადაც მძინარე ნებრიადვა
ნისლით მოცულა,
ციდან ჩამოხველ ცის ნაკადით
ნათელმოსილი.

ვერცხლის ტალღებად გამობრწყინდი
ფოლადის ხმალზე
და გამიცოცხლე დამტვერილი
ჯაეშანი მხარზე.

და როცა დილით შავ ღრუბელით
ურდო გადადის,
ფარზე ჩანს შენი ხელთუქმნელი
სახე მარადის.

14 ივნისი, 1908

4.

ისევე მარადი ნალველით
ძირს ვაციწვერები დახრილა,
ისევე დანისლულ მდინარით
მომესმის მე შენი ძახილი.

გაქანდა და გაქრა ქარივით
სტეპებში უკვალოდ ფაშატი,
ველური ვნებები აშლილა
დამცხრალი მთვარის სხივთ ნიშატი.

აი, მეც მარადი ნალველით,
ვით მგელი მინავლულ მთვარეში,
არ ვიცი, მოვიქცე როგორ და
გეძებო შენ რომელ მხარეში.

მე მესმის გუგუნის კვეთების,
ბუკისებრ ზახილი თათართა,
მე ვხედავ შორიდან რუსეთზე
წყნარ და ვრცელ ნათებას ხანძართა.

ასე მძლავრ ნაღველით ძლეული
თეთრ ცხენზე ვზივარ და გაეყვივი,
შემხვდება ნყვდიადში ლამეულ
ღრუბელთა გუნდები მალლივი.

მალღდება ნათელი ფიქრები
ჩემს გულში, სევდამ რომ დაფლითა
და ცვივა ნათელი ფიქრები
დამწვარი შავბნელი ხანძრითა.

„მოგელი შენ როგორც სასნაულს,
მასწავლე სინათლის სახელი!“
იშლება ცხენების ფაფარი
და ქარში გვეძახის მახვილი...

31 იელისი, 1908

5.

*მოუცილებელ სევდის წყვდიადით
მომავალი დღე დაიბურება.
ელ. სოლოვიოვი*

კულიკოვოსთან, როგორც ოდესღაც,
ჩნდება ნისლები და ინურება
და თითქოს კუშტი ღრუბელთა გუნდით
მომავლის დღენი დაიბურება.

აქ მდუმარებას არავინ არღვევს,
ციდან ეშვება სეეტი ბურისა,
თვალი ვერ ხედავს ომის ნათებას,
ალარ მოისმის ხმა გუგუნისა.

მაგრამ მცნობია მე დასანყისი
მოელვარე და მშფოთვარე დღეთა,
როგორც გედების ხმა და ტლაშუნი,
ისე ვით უნინ, ბანაკად მტერთა.

არ უნერია გულს დამშვიდება,
განა ამოდ მოდის ღრუბელი,
მძიმეა თორი, როგორც ომის წინ,
და დრო დამდგარა სულშემგუბველი.

23 დეკემბერი, 1908

* * *

წინანდებურად მან მოისურვა,
აღანთოს სუნთქვით სიზმარეულით
გაციებული ჩემი ოთახი
და გატანჯული ჩემი სხეული.

ისე, ვით ზეცა, ჩემს წინ ჩამოდგა,
მაგრამ რომ შევხვდე არ შემიძლია,
რომ შევაშველო ხელი სნეული,
ეუთხრა, ცრემლები ვით დამიღვრია...

მე ვუყურებდი ფერმიხდილ მზერით
როგორ ნალვლობდა ჩემზე ასული,
არ გვაშორებდა უკვე ერთმანეთს
სიტყვა და წყენა დროგადასული.

წელთა სიმრავლით, დღეთა სიმრავლით
გულს გადაქანცულს სითბო ენება,
მაგრამ ტროიკით გიჟურად მქროლი
იგვიანებდა ბედნიერება!

და სასიკვდილოდ სნეული ახლა
ესუნთქავ სხვაგვარად, ვნალობ სხვაგვარად,
მარადი ღამის შიში არა მაქვს
და დაფიონის შუქმა დამფარა...

მარადისობამ თვალში ჩამხედა,
გულს აგრძნობინა ძალა შვებისა
და ლურჯ ღამეთა გრილი სისველით
ნალეკა ცეცხლი მღელვარებისა.

30 ივლისი, 1908

* * *

ისე მეცნობა, ასე მგონია
ჩემთან ილევა შენი დღეები,
მომყვება შენი ნაზი პროფილი
ქუჩა არის თუ სასახლეები.
შენთა ნაბიჯთა ხმები რეკავენ,
სადაც რომ შევალ, იქაც შენა ხარ,
შენ არ მომსდევდი ფრთხილ ნაბიჯებით
ღამე, რომ ჩემი სახე გენახა?
თვალი მოვავლო საკმარისია
ოთახს და მყისვე შემოიპარო,
ვით ზეციური და უხილავი,
მოლანდებული, როგორც სიზმარი.
მე ხშირად ვფიქრობ, კალოთა მიღმა,
სად საფლავები და ლოდებია,
შენ არ იყავი, ჩითის მანდილი
რომ გიფარავდა სახეს სევდიანს?
მოგიახლოვდი, რომ დამენახე,
მაგრამ რომ მოველ, შენ შორს ნახველი
მდინარის წყალთან გლოვის სიმღერით...
და შენი სევდა დაუნახველი
გაისმა მწუხრის ზართა წკრიალით.
მე კი ვტიროდი და მოგელოდი...
მაგრამ საღამოს ზართა ჩეროთი
ჩაქრა ნეტარი ხმების ციალი...
კიდევ ნამი და ხმა არ მოისმა,
მხოლოდ იხვევდა მანდილს მდინარე,
მაგრამ მე ვიცი, გულნაღვლიანი
სადმე რომ გნახავ სხივმომფინარეს.

1 აგვისტო, 1908

* * *

სასონარკვეთა, გულისწყრომა როცა გვცილდება,
ეშვება ძილი, ჩვენ ორივეს დაგვებინდება
მზერა პოლჟუსის სხვადასხვა მხარეს.

შენ შეიძლება მოგეხვია ჩემზე ოცნება,
ჟამი კი, როგორც ასწლებული, შორს იტყორცნება
და სიზმრებს მიაქვთ იქ არემარე.

მეც შენი სახე მელანდება ახლა სიზმრებად,
ისევ ისეთი მშვენიერი, როგორც იქნება,
სანამ ნაშლიდეს ბოროტი ღამე.

კვლავ ისეთი ხარ, შენ ოდესღაც როცა ჰყვარდი
იქ, ნისლიანი, დაკბილული მთების ხაოთი
და ცისკრის სხივებს ისროდა წამი.

აგვისტო, 1908

* * *

მიღურსმული ვარ ტრაქტირის დახლთან,
ახლაც მთვრალი ვარ და სულერთია
თუ დაკარგული ბედი ტროიკით
ვერცხლისფერ კვამლში ინყებს ხეტიალს.

მიჰქრის ტროიკით და მას დაძირავს
დროის თოვლი და ჟამის რკალები
და მხოლოდ მწუხარ სულს გადაუელის
ვერცხლის ბურუსი ცხენთა ნალების.

ღამის უკუნეთს ნაპერწკლებს ესვრის
და ნაპერწკლებით ცა ისერება,
მაგრამ ეფვანი რკალქვეშ ტიკტიკებს,
რომ მიგვატოვა ბედნიერებამ.

ბნელში ოქროსფერ აღვირ – ავშარის
ბრწყინვა, ციმციმი და ჟღერიალია...
ხოლო სული კი, სული მზებნელი
ასე უღმერთოდ გადამთვრალია...

26 ოქტომბერი, 1908

* * *

ღამე ჰგავს ღამეს და ქუჩაში, ასეა მუდამ,
არ ჩანს არავინ.

ვისთვის იყავი შენ ასეთი უცოდველი და
ამპარტავანი?

ლავგარდანიდან ნაცრისფერი ბურუსი ჟონავს,
თავადაც მინდა,
ვარ განწყობილი, ცას ვესროლო ბოროტი მზერა
და არანმინდა.

ეს ხომ იციან, ხომ იციან სიყვარულს ქვეყნად
არა აქვს ბედი.
და მერამდენედ ცივ ხელებში იელვებს ისევ
ეს პისტოლეტი!

და მერამდენედ მოცინარი და მოტირალი
მიმოდის ხალხი.
მაგრამ დღესავით ნათელია – დაბურავს ყველას
სიკვდრლი თალხი.

4 ნოემბერი, 1908

* * *

ჟამის ისარი შუალამეს უახლოვდება,
ნათელ ტალღებით შეირხევა სანთელთ კრებული,
ბნელი ტალღებით შეირხევა ფიქრი ვნებული.
გულო, ახალ ნელს მოგილოცავ! მიყვარხართ ჩუმად
მიყრუებულ ქუჩებო და ჩრდილო ღამისა.
ასე ფარულად შეგიყვარე ბნელი ასული
დამწვარ სიცოცხლის, ბინიერი სითამამისა.

4 ნოემბერი, 1908

* * *

აი, სევდით
მსტვინავ ქარის მორევი
და ჭაობზე
ცეცხლის ალი ფრთამალი,
გზაზე ლანდად
განოლილი წნორები...
შენ კი გინდა,
შემამინო სამართ!

4 ნოემბერი, 1908

* * *

ანათებ, თოვლი ვით უცოდველი,
თეთრი ხარ, როგორც შორი ტაძარი.
როგორ დამინდობს მე ეს სალამო
და გამოუეალ ღამის ნაცარი.

სული დალილა დიდი ხანია,
მე არც სულზე ვარ იმედიანი
და შენი წყნარი კომშკის კარებზე
მე ვაკაკუნებ მგზავრი გვიანი.

იმ დამლუპველი წვალების გამო
შენ გამიფანტავ მნუხარე იჭვებს,
ხელს გამომინუდი მე მოლალატეს
და გაზაფხულის სხივს მომანიჭებ.

8 ნოემბერი, 1908

* * *

უკვე ზღვის თავზე სალამოვდება,
უკვე ოცნებამ მზერა დანისლა
და ეკლიანი ლელქაშებიდან
ქარი დაბერავს შუალამისას.

იალქანებზე ცეცხლი ინთება,
ეშურებიან ზღვაში გემები.
შენ – ღამეულო, შენ – მიწიერო,
შენ კელავ ოცნებას აედევნები.

მაგრამ მშვენიერს და მატყუარას
გეცლება მწუხრის ცეცხლი დამწველი,
როცა სალამოს ბურუსი ყურეს
ფარავს ნისლების თხელ სამოსელით.

ნება მომეცი, შენს შესახვედრად
ახლა მე დაეძრა ცეცხლის ნაკადი,
ალად ავარდნილ ვნებათა გვირგვინს
რომ ტრფიალების ჩაევანნა ვარდი...

ეს დაპირება განა ცრუ არის:
შენ ისევ ჩემთან გაჩნდები ოდეს,
არ შეიძლება შეყვარებულის
სული ტკბილ სიკვდილს არ შენატროდეს.

24 ნოემბერი, 1908

* * *

განა იმიტომ ეუნოდებდი ჩემს თავს პალადინს,
განა იმიტომ მოდიოდი თვალებმზიანი,
რომ ასე მარტო გექვითინა მიმქრალ ბუხართან,
მინავლულ ცეცხლთან რომ დაგენყო როკვა გვიანი!

იქნებ გვლალატობს და გვისხლტება ბედნიერება?
ან იქნებ მართლა მოხუცი ვარ, სუსტი, სნეული?
არა! ნაცარში ნაპერწკალი ჯერ კიდევ ღვივის,
გული ხანძარში რომ აღმოჩნდეს გამოხვეული!

30 დეკემბერი, 1908

* * *

ყველა დიდება, სიმამაცე, მზერა კეთილი
მავიწყდებოდა მე მწუხარე ხმელეთის პირზე,
როს შენი სახე ამ ჩარჩოში გამოკვეთილი
ჩემს მაგიდასთან ციმციმებდა უბრალოდ სხივზე.

დადგა ჟამი და შენ ნახველი ჩემი სახლიდან,
მე გადავუგდე საყვარელი ბეჭედი ღამეს,
ახლა კი შენი სიყვარული სულ სხვას დალლიდა
და შენი სახე, მშვენიერი, გაჰყვა იმ წამებს.

გაფრინდნენ დღენი მონრიალუ წყეულ ფრთოსნებად...
ჩემი სიცოცხლე გაიტანჯა ღვინით და ვნებით...
და გაგიხსენე, როცა ვიდექ ანალოესთან
და შენ გეძახდი სიყმანვილის გარდასულ წლებით...

მე შენ გეძახდი და ცრემლებმა თვალი დაბინდა,
აღარ მომხედე, მონყალება შენი ვერ ვპოვე,
შენ, მონყენილი, შეიმოსე ლურჯი ლაბადით,
სახლიდან ნახველ, რომ გეძებნა სხვა სიმყუდროვე.

არ ვიცი, ჩემო საყვარელო, თუ სად ჩაბარდა,
რომელ საყუდარს ის ამაყი შენი სახელი.
მე მძინავს მაგრად, მესიზმრება შენი ლაბადა,
ნესტიან ღამეს შენ რომლითაც გარეთ გახველი.

რომ არ ვიფიქრო დიდებაზე მართლაც დრო არის,
ანდა რა მერგო, სიჭაბუკეც ფუჭად გავიდა,
და შენი სახე, ამ უბრალო ჩარჩოში მდგარი,
ჩემი ხელებით მოვაცილე მე ჩემს მაგიდას.

30 დეკემბერი, 1908

უემოდგომის დღე

ჩვენ ნანვერალზე ნელა მივდივართ,
ჩუმად მოგყვები ნამჯის შრიალში,
ასე მგონია, სული იცლება,
ისე ვით სოფლის ეკლესიაში.

შემოდგომის დღეს, წყნარსა და ნათელს,
მხოლოდ გაკანრავს ყვავის ჩხავილი,
უხმობს, ეძახის თანამოძმეებს,
თითქოს დედაბრის ისმის ხავილი.

დაბლა კალოზე კვამლი იშლება
და ჩვენ კალოდან ცად ვიმზირებით,
გამჭოლი მზერით კვალდაკვალ მივდექეთ,
როგორ მიფრენენ წეროთ მწკრივები.

მიფრინავს გუნდი ცაზე ირიბად
და წინამძღოლი ყივის, წკრიალებს,
რატომ წკრიალებს, რატომ და რისთვის
ან ეს ქვითინი რად გვაყრიალებს?

დაბლა გადაშლილ უანგარიშო,
უმწეო სოფლებს ვერ წვდება თვალი
და როცა ბინდი მოახლოვდება,
შორით მდებლოზე იელვებს ალი...

ო, უბედურო ჩემო ქვეყანავ,
ეს გული შენთვის არაფერია...
ო, საცოდავო, შენ – ჩემო ცოლო,
შენ მწარე ცრემლი რად მოგერია?

1 იანვარი, 1909

* * *

კარგო და საყვარელო,
აბა რა დაგვაცილებს.
ალუბლების ყვავილი
შენთან გამომაცილებს.

მწვანე ვარსკვლავთ კრიალში
მაშრიყიდან ვანათებ,
წყალყინულის ჭრიალში
ჯავშანს ვაანდამატებ.

მოთამაშე ალივით
წყალთან გამოვბრწყინდები,
ლიმილით და ტკივილით
მუდამ ერთად ვიქნებით.

ამ ყიამეთ ღამეში
ჩვენ იოლად მოვეკედებით
და ერთურთის თვალებში
სიკვდილს დაველოდებით.

1 იანვარი, 1909

* * *

სავსე ერთნაირ ხმაურით, ჭორით
და ქალაქური ამაოებით
მე ნაეალ ბნელში, ქარსა და ბუქში
გულგამოცლილი განმარტოებით.

დავწყვიტე ხსოვნის ყოველი ძაფი
და დავივიწყე, რა იყო, როდის...
ირგელივ თოვლია, ტრამეაი, სახლი,
წინ კი - ცეცხლი და უკუნი მოდის.

მაგრამ ჯადოთი ასე ენებული,
ცნობიერების ძაფდანყვეტილი,
შინ რომ დაებრუნდე დამცირებული,
მიმიღებს შენი გული კეთილი?

შენ, ვინაც იცი მიზანი შორი
და ხარ მეგზური ბნელში შუქურა,
შეძლებ, შემინდო ბოდვა, ქარბუქი,
წყვდიადი, სული რომ დაუბურავს?

ან იქნებ სჯობდეს ამ მიტევებას,
შენ გაღვიძებდეს ჩემი ზარები,
რომ სამშობლოდან უკუნ ღამეში
არ მაცილებდეს უგზო ქარები?

2 თებერვალი, 1909

* * *

შენ ოთახში მარტო ხარ
და ჩემი ხმა არ მოგდის,
ვიცი, ახლა არ გძინავს,
სხივი გმოსავს სამოთხის.

შუქი რატომ ჩააქრე,
როგორ გინდა მიყურო,
დაკარგული ნამი ვარ,
კარი არ მომიხურო.

ვიცი, ბოდვით სავსეა
სული მოუსვენარი,
მინც მოვალ მე შენთან
ძველებურად მცინარი.

ანი ნუ შეგაშინებს
სიყმანვილის ზღაპარი:
თეთრი ცხენით ქროლვა და
ლოყა ქარით ამწვარი.

შენ გაფრინდი შორეთში,
გაჰყევე ქარვის დაისებს,
დარჩი მიუსაფარი,
ვერ ეღირსე მაისებს.

ახლა სიტყვას არა ძრავ,
დავა არ გეკადრება,
გახსოვს ტრფობა პირველი
და ცისკრების ნათება?

თავი რატომ დახარე?
განა რამე მომხდარა!
ფანჯარაში ქარია
თუ სიკვდილი მომდგარა!

გახსენ კარი მითხარი,
მართლა იყავ ნეტარად?
შეხე, შენ მოგიტანე
ეს მეფური სუდარა!

მარტი, 1909

ჩვილის სიკვდილზე

როცა ბარისქვეშ საფლავთან ცივად
ჩხრიალებს ქვიშა, თოელი გვიანი,
ჩემში მწუხარე და თავდახსნილი
კიდევ ხმიანობს ადამიანი.

დე, ეს სიკვდილი ყველამ იცოდეს, –
სულში სიმღერის პანაშვიდია.
უკვე ჟონავენ ავი ლაქები,
შეურაცხყოფა ისე დიდია.

აქამდე ჩემი ხელი კეთილი
შემართულია უკვე მუქარით,
უკვე მალღდება და იბლანდება
მონამღულ სულში სევდა მწუხარი.

გულში ჩავიკლავ ყრუ ბოროტებას,
რომ დავინყებას მივცე ნალველი,
რომ ლამლამობით ჩვილის კუბოსთან
ლოცვით ვახსენო წმინდა სახელი.

მაგრამ, გგონია, გეტყვი მადლობას
და მომინდება ან მუხლის მოყრა?
არა! მე ჩვილის ნეტარ ცხედართან
მარტო მივალ და დამცდება ოხერა.

2 მარტი, 1909

ეს ყველაფერი ხომ იყო, იყო,
დასრულებულა დღეების ბრუნვა,
შენ, გარდასულო, რა დაგაბრუნებს,
როგორი ძალა, როგორი ზრუნვა?

ბროლივით წმინდა დილის საათში
მოსკოვის კრემლის მდუმარ კედელთან
სულის ხალისი პირველყოფილი
ჩემს მინას ჩემთვის გაიმეტებდა?

ანდა – აღდგომის ღამით ნევასთან,
ქარი რომ სუსხში ყინულებს ამსხვრევს,
მოხუცი ქალი, ყავარჯნიანი,
ჩემს გაშეშებულ ცხედარს შეარხევს?

იქნებ საყვარელ მინდორ-ველებზე,
როს შემოდგომა თეთრად ირთვება,
წვიმაგარეულ ნისლში ჩემს სხეულს
ძერას ბახალა დააფრინდება?

ან – რომელიღაც ოთხკედელს შორის,
უვარსკვლავო ცას როს ვეხვენები,
გარდაუვალი რკინის განგებით
დამეფინება თეთრი ზენრები?

ეგებ უმსგავსი ახალი ჟამი
გადამავინყებს მე ძველ ცხოვრებას,
რომ ვიგონებდე დოჟებს იმგვარად,
როგორც კალიტა მემახსოვრება?

არა! უკვალოდ როგორ გაქრება
ის, რაც მიყვარდა ასეთი ვნებით,
ამ უსასოო ცხოვრების თრთოლვა
ან უცნაურად ჩავლილი წლები!

* * *

მოკედება ქვეყნად ყველაფერი – დედა, ბავშვობა,
გაგყიდის ცოლი, მეგობარი მარტო დაგტოვებს.
მაგრამ ეცადე, შენ სხვაგვარი სიტკბო იგემო,
როს პოლარული წრე სიცივეს გადაგათოვებს.

ნავი აიღე და ყინულში პოლჟუსისაკენ
შორად გასცურე, დავინყებამ წყნარად დაფაროს –
როგორ უყვარდათ იქ ერთუროთი, როგორ ხოცავდნენ
და ვნებებისგან იმღერეოდა ძველი სამყარო.

ნელი სიცივით შემკრთალი და დაღლილი სული
შენ შეაჩვიე ასეთ მოლოდინს,
რომ აქ იყოს და მოინდომოს არც არაფერი,
როცა იქედან შუქი ავსებს ზეცას ბოლომდის.

7 სექტემბერი, 1909

* * *

ამ სახლებს შორის, ყვითელ დღეებში,
ჩვენ წამიერად ერთმანეთს ვხვდებით,
დამწველი მზერით შემომანათებ
და ჩიხის ბნელში უჩინარდები.

მაგრამ მდუმარე თვალთა ხანძარი
ამაოდ ფიქრობ, რომ მომედება
და ტყუილია, თითქოს ფარულად
შენს წინ ვიხრები, როგორც ვედრება.

შემლილ და ვერაგ წვეულებაზე
თუ გადაგვისვრის ღამე არჯალი,
მე ბოლოს მაინც გულს გამიფატრავს
შენი გამჭოლი მზერის ხანჯალი!

6 ოქტომბერი, 1909

* * *

ბნელი ნავსადგურიდან,
მშობლიური მიწიდან
შორეული ცურვისთვის
ხომალდები გავიდა.
თქვენც ასევე ნასულხართ
ლხენით თუ უგუნებოდ
უკანმოუბრუნებლად,
ოქროსფერო დღეებო.

ნოემბერი, 1909

კუნძულებზე

კვლავ კოლონები თოვლით ფარული,
ცეცხლი და ხიდი ელაგინისა,
შეყვარებული ქალის ძახილი,
ქვიშის ხრამუნი, ფრთონვა ცხენისა.

ორი აჩრდილი, კოცნით შერწყმული,
მარხილის ბნელში ჩაიმალება,
მაგრამ მე გული აღარ მეღევა
და აღარც ეჭვი მომეძალება.

აქვს სიტკბოება ნალველნარევი,
რომ სიყვარული თოვლივით ქრება,
და მარადიულ ერთგულებაზე
რა საჭიროა ეს დაფიცება?

არა, პირველი არ ვეფერები
და შეჩვეულო, მკაცრო ნამებო,
აღარ ვთამაშობ მე მორჩილებას
და არც ვთხოულობ მისგან სამეფოს.

ვითვლი უსიტყვოდ, მაგრამ ყოველთვის,
მე გეომეტრის გულმოდგინებით
ხიდებს, ქარის ხმას, სამლოცველოებს,
უდაბურებას ამ კუნძულების.

მე პატივსა ვცემ ძველ ჩვეულებას:
მოვენყო დათვის ფერხთსაბურავში,
შემოვეხვიო მარხილში მას და
გაექანდე ბნელში, როგორც არავეში.

მახსოვდეს ვინრო ფეხსაცმელები,
თავდავინყებულს ბენვთა ქროლვაში...
განა მეტოქის დაშნას შეხვდება
ეს ჩემი მკერდი ორთაბრძოლაში...

მას ხომ კარებთან, აღელვებული,
არ ელოდება სანთელით დედა,
არც დარაბასთან მდგარი საბრალო
ქმარი საყვედურს არ გაუბედავს...

ვით გარდასული ღამე ბრწყინავდა,
ისე მეძახის დღე ხვალინდელი,
თითქოს მეჯლისი ისევე გრძელდება
და შუქს ნამიერ წაიღებს ბნელი...

22 ნოემბერი, 1909

სამი წერტილი

2.

შავი ყორანი თოვლის ღამეში,
შავი ხავერდი შავი მხრებისა,
ნაზი სიმღერის ხმა მიბნედილი
სამხრეთის მწველი ღამეებისა.

თითქოს მე ზღვიდან მეცნო ნიშანი,
ისეთი განცდით აძგერდა გული,
როცა უძირო უამის შავეთში
გაქანდა ცხენი სუნთქვაშეკრული.

შენი სურნელი თოვლის ქარია,
რომ შეათრთოლა ჩემი ბაგენი...
ო, ვალენტინა, როგორ მომესმის
შენი ბულბულის ხმა დამდაგველი...

გულს ეს სამყარო ევინროება,
შენი ამბორით მოლანდებული,
ბოშურ სიმღერის ბნელი ჯადოთი,
როგორც კომეტა, აღმოდებული!

თებერვალი, 1910

კომისაჰუმუსკანდას სიკვდილზედ

იგი მოვიდა შუალამისას
უცხო პოლფუსზე, მკვდარ ქვეყანაში,
არა სჯეროდათ, არ მოელოდნენ
დაღლილს ქარის და თოვლის თამაშით.

არა სჯეროდათ, ყმანვილი ხმა კი
ცრემლით ტიროდა გაზაფხულებზე,
თითქოსდა ქარი სიმს აჟღერებდა
სადღაც შორეთში წასულ სულებზე.

თითქოს ზამთარი გაქრა სრულიად
და მიმოფანტა ქარმა ხმელეთი,
ერთად ატირდნენ სერაფიმები,
დაფარეს ფრთების ელვით ბნელეთი.

სიჩუმე იყო ჩვენს აკლდამაში,
პოლფუსი ვერცხლის სიცივით თრთოდა,
წავიდა ჩვენგან მშვენიერება,
გუშინ რომ ცისკრის სხივებით ქროდა.

რა ატირებდა? რატომ იბრძოდა?
ან იგი ჩვენგან რაღას ეღირსა?
არ ვიცი, მოკვდა გაზაფხულის ხმა,
ჩაქრა ვარსკვლავი ლურჯ თვალებისა.

ბრმა არის ხალხი, ღრუბელი გვახრჩობს
და სადღა ვპოვოთ დღესასწაული?
ქვა ანთებული ანათებს თეთრად,
ფეხქვეშ ბალახის ისმის ხმაური...

გეძინოს ასე – ტანჯულს დიდებით,
სიყვარულით და ცილისნამებით,
შენ მასთანა ხარ – აუხდენელი
ფუჭი ოცნების ურჩი ნამებით.

ჩვენ ამ აღაპზე როგორ მოვიქცეთ?
რითი გიშველოთ, სადღა დავეშვით?
დაე, სიკვდილით ვიგრძნოთ სიცოცხლე
გლოვის ჩირაღდნით უკუნ ღამეში.

თუნდ იყოს ცაში – ის ჩვენთანაა,
იქ, ღრუბლის მიღმა, მისი გულია,
იგი დროშაა ქარში გაშლილი,
იგი აღთქმული გაზაფხულია.

თებერვალი, 1910

ვიტლინოტა ხმეზი

ევგ. ივანოვს

მთვარე ბალახებს ამოანათებს
გმირის ნითელი ფარის ფერებით
და გახელებულ მუსიკის ტალღა
სინათლის ზღვაში შედის უღერებით.

რად ჭირვეულობს დღესასწაულის
ნუთებში ჩემი ხემი მკვივანი,
ქვეყნის ორკესტრში აფეთქებული,
ჩქარი სიმღერით სულგამყივანი?

გრძელ ბალახების გქონდეს მოთმენა,
შეიჭერ ფუჭი აისის ზღვაში

და შენი ნელი ხმა დაადევნე
ვიოლინოებს შორ ქვეყანაში.

თებერვალი, 1910

ღემონი

გულს ჩამეკონე – მე არ ვცხოვრობდი,
უცხოთა შორის ვეხეტებოდი...
ჩემო სიზმარო, ახლის მზერაში
შენი კოცნების ბოდვით ვთვრებოდი!

შენს გახელებულ მჭმუნვარებაში
სევდა არყოფილ გაზაფხულისა
ჩემში შორეულ შუქად ანთია
და სიმღერები ნელავს ზურნისა.

და შროშანების კვამლისფერ მთებში
მე მივიტანე ხმები და შუქი,
გადაქანცული ბაგე და მზერა
და დამსხვრეული ხელების ყულფი.

და გადახანძრულ მთების დაისში,
მიმოფენაში ცისფერ ფრთებისა,
შენთან, თამარზე ოცნებით მთიელს,
სევდა შემიბყრობს უძღურებისა.

და მესიზმრება, რომ შორ აულში,
სადაც მარადი მთის კალთებია,
ნაღვლიანი და ცად მოფრიალე
და უსარგებლო ეს ჩადრებია.

ტირის და ცეკვით იქ ეფინება
მტვერში მკვნესარე ზურნის ხმა მღვრია...
გაჭენდეს საქმრო – ვერ მოჭენდება,
ისე ზუსტია ჩეჩენის ტყვია.

19 აპრილი, 1910

სიზმარი

დედაჩემს

მესიზმრა: ვნეერთ ჩვენ აკლდამაში,
ზევით კი ლალი, გულის გამხსნელი
ბრუნავს უაზრო ცხოვრების ტალღა
და დღე მომდგარა უკანასკნელი.

აი, აღდგომის დილა თენდება,
ისმის საყვირის ხმები რხეული,
ჩვენ კი გულს გვანეცს ნითელი ქვეები,
გვახურავს თუჯის მავზოლეუმი.

და იგი ტოვებს კვამლიან შორეთს,
ხმლებით მოსდევენ ანგელოსები,
ის ისეთია, როგორიც გვახსოვს,
ჩვენ წიგნებიდან, იჭვით მოსილებს.

აქვეა ცოლიც, მშვიდად მწოლარე,
ამავე თალის ხურავს კამარა,
მაგრამ არა აქვს გზის არჩევანი:
დარჩენილია ღამის ამარა.

და მესმის, დედა რომ ჩამჩურჩულებს:
„შენ სიცოცხლეში ხომ გქონდა ძალა,
ხელით მოსინჯე სამარის თალი,
იქნება ლოდი გადააცალო“.

„ო, არა, დედი, მე კუბოში მწოლს
ღონე არა მაქვს, ეს არის ბოლო.
ერთად ილოცეთ, რომ ანგელოსმა
აკლდამის ლოდი გადააგოროს“.

20 ივნისი, 1910

* * *

ჩემო სიცოცხლე, შენ რუსეთო, ნუხილად გვახლავს
იმპერატორი, ერმაკი და ციხე, ციმბირი!
დრო ხომ არ დადგა, დავცილდეთ და მოვინანიოთ,
გულს თავისუფალს რას არგია ბნელში სირბილი?

შენ თუ იცოდი, ან თუ გნამდა ღმერთი ოდესმე,
რომ მოგესმინა შენი ძველი სიმღერებიდან –
ჩუდს და მერიას განუზრახავთ რა უცნაურად
გზები ფიჩხებით მოეფინათ და ბოძებითა?

მდინარეებზე ქალაქამდე აგებდი ნავებს,
მაგრამ ვერ ჰპოვე ცარგრადი და წმინდა ქვეყანა...
შენ შევარდნები და გედები სტეპში გაფანტე,
შავი წყვდიადი რომ სტეპიდან ამოგეყვანა...

შავი ზღვისათვის, თეთრი ზღვისათვის
შავი ღამე და თეთრი დღეები
გაშეშდა სახის მზერა ველური
და თათრის თვალთა სინათლეები...

წყნარი, წითელი, ვრცელი დაისი
ყოველი ღამე თავზე გადგება...
შორიდან სიზმრად რად მეჩვენები,
განა თამაშით სული ლაღდება!

19 იელისი, 1910

* * *

დღეს შენ ტროიკის მიჰქრი წკარუნით,
შენ ხარ ჰუსარი, შენ ხარ პოეტი
და თითუული გვერდით ჩავლილი
შეგხედავს შურის მიეთ-მოეთით.

გზად მიმავალი ფიქრობ, ცხოვრება
საშინელია და საძაგელი,
რომ ყოველ ღარიბ-ღატაკს ის უნდა,
როგორმე ერგოს რამ სარგებელი...

თუნდ ამ მეეტლის, ხიფთანიანის,
რომ შეენის ფრთები ფარშავანგისა,
თუნდაც პოეტის თვლიდე ოცნებად –
მომცილებელი ნუ ხარ თვალისა...

ჩაგეთვლიმება და ის თვლემამი
გულს გაგისერავს გალესილ დანით,
ან მიყრუებულ, ბნელ მოსახვევში
ბოძზე სარტყელით გაგაკრავს ღამით.

და იმ უამს, როცა გლალატობს ნება,
შორით ციმციმებს შენთვის სანთელად
ჩაბნელებული მინდვრის ბუჩქებში
მხოლოდ სანყალი ციცინათელა...

6 აგვისტო, 1910

* * *

უამი რბის, წელი, დღე და საათი,
ვერ მოვიცილე ერთი სიზმარი,
რომ დევენახვო ადამიანებს,
ბინდი გავფანტო ნათილისმარი.

ვილაც ხელს იქნევს, შუქს ემალება
(ასე პარმალთან, ზამთრის ღამეში,
ჩრდილი, უცნობის ვით სილუეტი,
ქრება თოვლიან არემარეში).

აი, მახვილი, უქმად გდებულის,
ვინ მომიდუნა მე ეს თითები?
რად მახსენდება მთვარეში, ღამით
ფარლული წერილი მარგალიტების;

ანდა სნეული, საბრალო ყინვა
და ზღვისპირეთის თოვლის ველები,
წამწამებიდან გამკრთალი ელვა
ძველი, ნაცნობი საშინელების...

ცხადი არ იყო და არც სიზმარი
და არც სიტყვები არ მომწედედნია,
მხოლოდ შორეთში რალაცა გაკრთა,
მოსწყდა წკრიალით მინას ყინვიანს...

და ისე მოკვდა, ბაგე მღეროდა,
გადაიარეს წლებმა გოდებით
(ტელეგრაფების მხოლოდ მავთული
ბნელ ცაში ჟღერდა თავგამოდებით)...

და რომ გაისმა დაუვინყარი
ხმა შორეული სივრცეთა ველით –
„აი, ეს არის ადამიანი!“,
დავარდა ხმალი, ათრთოლდა ხელი...

და აბრეშუმით მკერდშეხვეული
(რომ არ ედინა სისხლს ძარღვებიდან),
მე – მხიარული, ფარხმალდაყრილი
მას ვემსახურე მორჩილებითა.

მაგრამ ერთხელაც რომ გავიხსენე,
„არ ვარ მსახური“ – შევძახე თრთოლვით,
დე, გადავხიო ფერადი ბანდი,
გადმოსკდეს სისხლი, განითლდეს თოელი!

4 ოქტომბერი, 1910

* * *

ასე გასულა ჩემი სიცოცხლე,
ჩემი უგნური და ყრუ ცხოვრება:
დღეს ფხიზელი ვარ და რომ ვზეიმობ,
ხვალ ვტირივარ და მესიმღერება.

მაგრამ დალუპვა თუკი მომელის?
თუკი ზურგს უკან მიდგას ფარულად
ვეებერთელა, თვალუნვდომელი
ხელებით სარკე შემობურული?

თვალში მანათებს შუქი სარკისა
და საშინელ ჟამს მზერამიხდილი
შევეფარები ღამეულ უკუნს,
სად გველოდება მხოლოდ სიკვდილი...

27 სექტემბერი, 1910

* * *

ვიცი მაცდური შენი მშვენება,
შავი ხავერდი, ცეცხლის ტურჩები,
მაგრამ შენს მხრებთან მომეჩვენება
ვიღაც უცნობი გულგაყურებით.

და მრისხანებით დაიფარება
ჩემი ნარბები და ჩემი შუბლი,
შავი ეჭვები მომეპარება
უცხო მინიდან ნამოსულ ღრუბლით.

და როს მოველი ახალ წამებას,
ვიგონებ ქარს და თოვლს გაფითრებით,
შენი ხელები დამენანება,
ციმციმი შენი მარგალიტების.

18 ნოემბერი, 1910

* * *

ვიყავ სნეული, ჟანგიან სულით,
მაგრამ შეხვედრა დრომ ვერ წაშალა,
ბედით მოსჯილო, დაო, ქვეყანა
მეჩვენებოდა მხოლოდ ვარშავად.

მახსოვს, მე დღისით ვიყავ „პოეტი“,
ღამით (სიცოცხლის ლანდი შთენილი) –
შავბნელი ბოდვა შავბნელ ვისლაზე,
ცივი, სნეული და მონყენილი!

როდის იქნება ჩემი ხსოვნიდან
მექნეს უფლება, რომ ამოვშალო
შენი ნალველის მღვრიე ბუნაგი,
შენი მონყენა, ბნელო ვარშავა!

შენ მიმტკიცებდი, დაო, მარტოდენ,
შენი მღელვარე სულის განგაშით,
ქვეყანა ღმერთის სახლია, სადაც
სუფევს ყინვის და ცეცხლის თამაში.

იანვარი, 1911

* * *

დედაჩემს

როდესაც სახლში დავბრუნდი გვიან
მშფოთვარ ნადიმით გულმოლხენილი,
ხეტილობდა ბინაში ღამე,
მოეცვა კუთხე მყუდროდ შთენილი.

ყველა სახე და წყენა შეერწყა
ერთურთს ერთ სახედ, ერთი რიდებით
და ღამის ქარი სარკმელში მღერის
ძილის ჰანგების პანაშვიდებით.

მხოლოდ მცთუნებელს ჩემსას არ სძინავს,
ჩურჩულებს: „აი, შენი სავანე,
გადაივიწყე თუ რამ გწყენია
და წარსულს წმინდა ხმით უნანავე“.

6 იანვარი, 1912

* * *

მიმოდის ქარი, მიმოაქვს თოვლი
და ჩემს ხსოვნაში წამიერ ჩნდება
შორი მხარე და უცხო ნაპირი,
სადაც ყვავილი თოვლში იხრება.

შრიალებს, როგორც ხმელი ბალახი
ეს ჩემი ძველი, ნაცნობი სნება
და ბნელ ღამეში ჩემი ბილიკი
დათოვლილ უფსკრულს უახლოვდება...

მიმაქვს უამურ მოგონებათა
ტვირთი ღამეში, თოვლსა და ღრეში...
უცებ – იელვებს სახლი ველობზე
და ისმის გოგოს სიმღერა ტყეში.

6 იანვარი, 1912

* * *

ვლოცავ ყველაფერს, რაც რამ ყოფილა,
არ მიძებნია სხვაგვარი ბედი,
გულო, რამდენი ვინმე გიყვარდა
ფარული ცეცხლით მოგიზგიზეთი.

თუმცა ტანჯვამ და ბედნიერებამ
კვალი დატოვა დაუბინდველი,
მაგრამ მონყენილს ვნების გრიგალში
შემრჩა სინათლე მე უნინდელი.

შემინდე, ასე რომ გაგანვალე,
ჩვენა ვართ ორნი, ისე ვით წინათ
და რაც რომ ენით ვერ გამომითქვამს,
შენმა იერმა მე მაგრძნობინა.

იმზირებიან ფხიზლად თვალები
და გული ღელვას ველარ იოკებს,
თოვლიან ღამის ცივ უკუნეთში
როცა მივყვები მე ჩემს ბილიკებს.

15 იანვარი, 1912

კომანდოკის ნაბიჯები

ვ. ა. ზორგენფრეის

მძიმე ფარდები შესასვლელთან, ძირს დაშვებული,
ბურუსი – ღამის სარკმელთან მდგარი.
რა არის შენი საძულველი თავისუფლება,
დონ ჟუან, შენი შიშის მაგვარი?

საძინებელში სუფევს ცივი სიცარიელე,
სძინავთ მსახურებს, ღამე ბნელია.
და სანეტარო, შორეული, უცხო მხარიდან
ისევ მამლების ყვირს ელიან.

რა არის ხმები ღვთაებრივი – მოლაღატისთვის?
დათვლილი არის უკვე წამები.
გულზე ხელები ჯვარედინად უწყვია ანას,
სძინავს, ეხვევა სიზმრის რკალები...

ვისია სახე გაყინული ასე მრისხანედ,
სარკის უფსკრულში რომ იბურება?
ო, ანა, ანა, საამოა ძილი საფლავეში
და ზეციური სიზმრის ყურება?

უაზრო არის ეს ცხოვრება ძირმორღვეული,
ბებერო ბედო, მე ხმაღში გინვევ!
და საპასუხოდ, გამარჯვებულ ოცნების ხმაზე,
ბურუსში ბუკი ზრიალებს ისევ...

გადაიქროლებს, შეეფრქვევა ღამეს ცეცხლებად
ბუსავით წყნარი, შავი მოტორი.
ჩუმი და მძიმე ნაბიჯებით შემოდის სახლში
მხნე კომანდორი.

იღება კარი და სუსხიან, ჩახლეჩილი ხმით
თითქოსდა ღამის საათი რეკავს,
საათი რეკავს: „შენ სავახშმოდ მე მომიხმობდი
და აი მოველ, მზადა ხარ ნეტავ?“

სასტიკ კითხვაზე ახლა პასუხს არავინ გაგცემს,
არავინ გაგცემს, სიჩუმის გარდა.
განთიადისას ფაფუკ სანოლს შიში აიტანს,
ჩასძინებიათ მსახურებს კართან.

ამღვრეული და უცნაური დილა თენდება,
მოდის ცისკარი, როგორც ნუგეში.
შუქის ასულო! დონა ანა, ახლა სადა ხარ,
ანა! გეძახი ამ სიჩუმეში.

მხოლოდ მრისხანე დილის ნისლში საათის ჟღერა
უკანასკნელად ისევ ჩაღდება:
სიკვდილის ჟამი, დონა ანა, მოსულა შენთან,
მაგრამ სიკვდილით ისევ აღდგები.

16 თებერვალი, 1912

ვიანესლავ ივანოვს

იყო ზუზუნი ვიოლინოთა
წვეულებაზე ღვინით და სისხლით
და ბედისწერა გვიკარნახებდა
იმ ღამეს ამბობს საშინელ რისხვით.

უცხო ქვეყნიდან, შორი ქვეყნიდან
ცეცხლში შემოხველ შენ თოვლიანი,
შენ – შავთვალეა, შემლილთა წრეში
შემოიჭერი ოქროსთმიანი.

არც მოხუცი და აღარც ჭაბუკი
იდუმალ ძალთა გამსხივებელი,
კვეთდა რამდენის უდაბურ ყინულს
შენი სიცივე უდარებელი.

იყო წამები – უცნობმა ძალამ
გამაყრუებელ ვერცხლის ჟღერებით,
თვალისმომჭრელი თოვლის ფერებით,
მეტ სიხარულით გული გააპო
და მიმოშალა გზა ნეტარებით!

ამ წამს, ქარბუქი როცა გვაბრმავეებს,
ვერ გამიგია რომელ მხარეში,
ვერ გამიგია რომელ რკალებით
გამოჩნდი უცხო სიანკარეში.

და მე აქამდე რომ მოვერიდე
შენი გამჭოლი თვალების მზერას,
შეხედე, ჩვენმა სულებმა იმ დღეს
ის ერთადერთი ლექსი იმღერა.

მაგრამ ქარბუქმა გადაიარა
და გულს მოსეულ წელთა მგმობარი,
ვამბობ, ვერ ვნახე, შენში ვერ ვპოვე
წინანდებურად მე მეგობარი.

არ ვიცი, როგორც სიყმანვილეში
შენი უძირო სულის თილისმა...
ზოგჯერ თუ შეეძლებ მე შენს დუმბილში
ვიცნო, ვით უნინ, ბულბულთ დილის ხმა...

ბევრი ჯადო და ბევრი სიმღერა,
მშვენიერება ძველად მყოფელი...
საოცარია შენი სამყარო,
სადაც მეფე ხარ შენ თვითმპყრობელი!..

მე კი, მწუხარე, ხამი, ყარიბი,
დილით ცისკარის რომ ვარ მხლებელი,
ვხედავ, გაივლის გზაჯვარედინზე
შენი მეფური მატარებელი.

18 აპრილი, 1912

* * *

ნაცრისფერ კვამლში ნაპირიდან ნაპირებამდე
ეს მენამული შუქი მზადაა
უხმოს და უხმოს, გაუგონარს ჯერაც სამოთხეს,
მაგრამ სამოთხე აღარსადაა.

ზარების რეკვამ წითელ-ყვითელ, საშიშ უკუნში
რა დაგვათია,
რას გვაუწყებენ აუხდენელ რწმენით ზარები,
როცა გარშემო სულ წყვდიაღია.

და რაც რომ უფრო ეომება უფერულ უკუნს
დღემდე ამაო ხმა და წკრიალი,
რკინისებრ მძიმე მეჩვენება გაუკრთომელი
ჩემი სიზმარი თვალნისლიანი.

30 აპრილი, 1912

* * *

ისევ ძველი აფეთქება ძალთა,
აღტაცება სიყმანვილის წლების,
თუმც დაკარგე სიხარულის განცდა,
ალარ დაგრჩა წუთიც დაეჭვების!

გაიარე საშიშარი წლები,
ძველებურად გაქეზებენ ისევ,
მაგრამ მართლა თუკი გამოჩნდები,
საოცრებას დაიჯერებ მყისვე.

დაინახავ ბოლოს შენი თვალით,
რომ სიხარულს არ ჰქონია ბედი,
აუხდენელ ოცნებათა ალით
ჩაიქროლე შენ სიცოცხლის გვერდით.

რომ პირთამდე ავსილია უკვე
აღტაცებით შთაგონების თასი,
რომ დამდგარა ქვეყნად სანუკველი
არა ჩემი, დღეთა ჩვენთა დასი.

და მხოლოდღა ნაზი გაღიმებით
ზოგჯერ იქნებ მოიგონო გულით
ის ბავშვური ოცნება და წლები,
ჩვენ დავარქვით რასაც სიხარული!

* * *

არის ნუთები, როს არ გაღელვებს
საბედისწერო დღეთა ქუხილი,
ვილაცა მხარზე ხელებს შეგახებს,
ვილაც ჩაგხედავს თვალში ნუხილით.

და წამიერად წვას და წვალებას
ძირავს უფსკრულის ფსკერი ფერადი
და უფსკრულს თავზე ნელა ადგება
სიჩუმე შვიდფერ ცისარტყელათი.

რომ შეარხიოს ეს მყუდროება,
ჰანგი ჩახშული და ყმანვილური
მწარე ცხოვრების სიმებს ეხება,
ისე ვით არფას დაჭიმულ სულის.

ივლისი, 1912

* * *

ხმა ახლოვდება და სევედიანი ხმების მორჩილი
ცოცხლდება სული
და მე სიზმარში შენს სათუთ ხელებს ტუჩთან მივიკრავ
სუნთქვაშეკრული.

დამესიზმრება, რომ ვარ ბიჭუნა შეყვარებული,
შამბიცი და ხრამიცი,
ხოლო შამბნარში – შაეი ასკილი ნარეკლიანი
და ნისლი ღამის.

ეკლის ტოტების, ყვავილების და ფოთოლთ შრიალით
გულში ჩამხედავს ბებერი სახლი.
ცა გვიმზერს ისევ და ვარდისფერებს კიდით კიდემდე
შენს სარკმელს ახლის.

ეს ხმა შენია, შენი ხმის ჟღერა შეუცნობელი,
მე რომ სიცოცხლე და სევდა ვანდე.
თუნდაც სიზმარში, მე ძველებურად დავეკონები
შენი ძვირფასი ხელების ნათელს.

2 მაისი, 1912

სიკვდილის ზოგადი

2.

ლამე, ფარანი და აფთიაქი,
შუქი უაზრო და ფერმიხდილი,
იცხოვრო ქვეყნად რამდენიც გინდა,
ბოლოს ხომ მაინც მოვა სიკვდილი.

მაგრამ იწყება ისევ თავიდან
და მეორდება ეს ფორიაქი:
ლამე და ღარი, ჭავლი, ყინული,
ქუჩა, ფარანი და აფთიაქი.

10 ოქტომბერი, 1912

ზანა მღვდლის ქატი

1.

დაგვივიწყეს, ქვეყნად დავრჩით მარტონი,
წყნარად დავსხდეთ ცეცხლთან უამინდონი.

ვნახოთ, ოთახს ჩათბუნებულ კუთხიდან
ოქტომბერის ბური როგორ უვლიდა.

როგორც მაშინ, ფანჯარაში ცეცხლია,
მეგობარო, თმები როს შეგვერცხლია.

რაც კი იყო – ჭირი და ქარიშხალი,
უკან დარჩა – ნინ რა მოჩანს ახალი?

უყურებ და თითქოს გესალბუნება
რაღაც ახალ ამბის შემობრუნება.

ელოდები შენ ანგელოსს ქარიშხლის?
ყველა გაქრა, არც არავის ხმა ისმის.

კედლები და მხოლოდ ეს წიგნებია,
ჩვენი სული რასაც შენივთებია.

რას მოველი, რაღად მინდა ჩივილი,
გარდასულზე უქმი გულისტკივილი.

აი, ახლა ფიქრობ გულდამძიმებით,
რომ აკემსო ეს კრიალა მძივები,

როგორც მაშინ, გახსოვს დრო მაშინდელი...
წლები იყო როგორი უდარდელი...

მაგრამ მაშინ ახალგაზრდა იყავი
და გემოსა აბრეშუმი მბზინავი

და ხელებიც უფრო სწრაფად ელავდა...
აიღე და ახლაც ისე ფერადად,

რომ დაჩხვლიტო ეს უკუნი მწუხარე,
ნემსის ყუნწში ძაფები გაუყარე.

19 ოქტომბერი, 1913

3.

მეგობარო, ამ წყნარ სახლში
მივლის ციებ-ცხელება,
მე თუ ადგილს ვერ მიპოვნი,
მაშინ რა მეშველება!

ხმები ჟღერენ, ქრის ქარბუქი,
მყუდროება მაშინებს...
შენს მხრებთან კი უცხო მზერა
გაიელვებს მაშინვე!

შენი წყნარი მხრების მიღმა
ფრთების თრთოლვის ხმა ისმის,
ჯიქურ მიმზერს აზრაილი –
ანგელოსი ქარიშხლის.

ოქტომბერი, 1913

* * *

მე დამცინავი მესმის სიცილი
და ამბობ, თითქოს მერევა რული.
შენ ასე გინდა, რომ მაიძულო,
მე ვიმეორო ეს სიყვარული.

მე შენი ტანი გაზელს მაგონებს,
შენი სამხრეთის ხმა დამწველია,
მე შენთან მოველ ქვეყნიდან, სადაც
მარადი თოვლი და ნამქერია.

ჩემთვის უცხოა ვალსის ნელი ხმა,
ღრუბელი შენზე შემომტირალი,
შენა ხარ ჩემი სიზმარი მწველი
თოვლის მტვერიდან გამომზირალი.

გულს შემითრთოლებს შენი სახელი,
თუნდაც ვახსენო მე მოკრძალებით.
ნება მომეცი, მზერა შევაგლო
ღელვით ავსილი ხარბი თვალებით

შენს დავინყებულ სამხრეთულ ბრწყინვას,
რომ მომაგონა ამაოდ წამით
დღე გაფრენილი, დღე მშვენიერი,
ყამი მოკლული თოვლიან ღამით.

12 დეკემბერი, 1913

ო, არა, არა! ჩემს გულს ველარ მოაჯადოებს
ვერც სილამაზე, ვერც სიტყვები, ვერც პირფერობა,
შენთვის ვიქნები მე უცხო და მუდამ ახალი,
როგორც აჩრდილი, როგორც მკვდარი სხივთა ფენობა.

შენ კი ნახვალ და თეთრ სუდარას აიღებ ხელში,
მიიკრავ ტურთან, რომ ყოველი იყოს ზმანება,
სამ ღამეს თავთან ვით მედექი, როგორ მმარხავდი,
და ყველაფერი მართლაც სიზმარს დაემგვანება.

აღტაცებული ოცნებათა სიმშვენიერით
შენს ბედისწერას შენ შეჰბედავ მდურვას და კილვას,
ნახვალ და მორთავ ყვავილების უნაზეს კონით
ბორცვს სამარისას, ზმანებაში რომ გერგო ხილვა.

ჩემი აჩრდილი გადაივლის შენს თვალთ წინაშე,
როცა დადგება დღე მეცხრე და დღე მეორმოცე –
გამოუცნობი, ღამაში და ცნობამიხდილი,
სწორედ ისეთი, რომ ეძებდი... ნუ გაიოცებ!

როდესაც ნაღველს გაანელებს უწყალო ჟამი,
შენ მოინდომებ დაუბრუნდე ცხოვრებას ფრთხილად,
არა იმგვარი ლეგენდებით – სხვაგვარ სიზმრებით,
მარტივ მშვენების მოწყურებამ რომ გაგრძნობინა.

და იგი მოვა, ნაცნობი და ნალოდინევი,
რომ მოგაცილოს ზეციური სიზმრის ხელები,
შენ გაგიტაცებს გაზაფხული უკანასკნელი
სხვა ქვეყანაში წამიერი ნელსურნელებით.

მე კი მოვკვდები, ზედმეტი და მივიწყებული,
იმ დღეს, შენს გვერდით რომ იქნება სხვა მეგობარი,
როცა მას ეტყვის ეს სიცილი მარგალიტური,
რომ ყველაფერი სენი იყო დასაგმობარი.

როს დაივინყებ ჩემს სახელს და სამარეს ჩემსას,
როგორ დაყრუედა გული შენი მაშინ მიხედები,
და იმ ნუთს, როცა სხვისი ხელი მოგეფურება,
მე მომიგონებ და მომიხმობ მტანჯველ ფიქრებით.

ცნობამიხდელი გამოინედი უმნეო ხელებს,
ბედკრულო ჩემო, ყრუ ღამეში რომ მოგეშველო,
ვერ მოფრინდება, სამწუხაროდ, სიცოცხლის ხმები
არარაობის უფსკრულიდან სანუგეშებლად.

მაშინ დასწყველი ტანჯული და განამებული
ცხოვრებას, შენთვის სიყვარული რომ არ ენება,
მაგრამ იპოვი ჩემს მშფოთვარე ლექსებში პასუხს –
მათი ქარცეცხლი შენს სიცოცხლეს შეემველება!

15 დეკემბერი, 1913

ანა ახმატოვას

„საშინელია მშვენიერება“,
ასე გეტყვიან, როს ნებიერი
მხრებზე მოისხამთ ესპანურ შალს და
თმებში გიბრწყინავთ წითლად ვარდები.

„მარტივი არის მშვენიერება“,
ასე გეტყვიან, როს უხერხულად
ჭრელ შალეულში შეფუთნით ბავშვს და
წითლად ირხევა ველზე ვარდები.

მაგრამ მოისმენთ როს დაბნეული
თქვენს გასაგონად აჟღერილ სიტყვებს,
თქვენ ჩაფიქრდებით გულნაღვლიანი
და იმეორებთ ასე ფარულად:

„არ ვარ მარტივი და საშინელი,
ისე საშიში, მარტივად მოვკლა
და არც მარტივი, რომ არ ვიცოდე
ცხოვრება რარიგ საშინელია“.

16 დეკემბერი, 1913

* * *

თუ გახსენდება, მწვანე ყურეში
წყალს ჩატბორებულს როგორ ეძინა,
როს მიყოლებით შემოსულ გემთა
ხმები მიდამოს მიმოეფინა?

ოთხი ნაცრისფერ ხომალდის ცქერა
ჩვენ გვალეღვებდა მთელი საათი,
მზით გარუჯული მატროსები კი
მიმოდოდნენ დინჯ მასლაათით.

თითქოს იმატა ქვეყნად სინათლემ,
მაგრამ უეცრად უცხო მხარეში
ჩვენ დავინახეთ, რომ ოთხივენი
გაქრნენ ბნელსა და ოკეანეში.

კვლავ მოსაწყენი გახდა ტალღები,
შუქურას შუქი გაკრთა შორიდან,
როცა ნიშანი უკანასკნელი
მისცეს დაბალი სემაფორიდან.

ამ ცხოვრებაში ბავშვებს – მე და შენ,
თურმე რა ცოტა რამე გეჭირდება,
გულმა სიამე რომ გვაგრძნობინოს,
როცა ახალი სხივი ინთება.

ისიც კი კმარა, ჯიბის დანაზე
მტვერი შენიშნო შენ შორეული, –
კვლავ საოცარი გახდეს სამყარო
ფერად ნისლებში გამობეჭეული.

6 თებერვალი, 1911-1914

* * *

მე ვარ ჰამლეტი, სისხლი ცივდება
ბადეს მიწნავენ როს ცბიერებით.
გული ინახავს პირველ სიყვარულს,
ტროფობას ერთადერთს ნათლის ფერებით.

შენ, ოფელია, გაგიყოლიებს
შორეთში სუსხი თვალებდაშრეტილს,
მე კი მშობლიურ მხარეში ვკედები
პრინცი, მონამლულ დაშნით ნაჩხვლეტი.

6 თებერვალი, 1914

ხმა ქ(ო)კ(ო)ლან

როგორ დავტირით ხშირად მე და თქვენ
ამ ჩვენს საცოდავ ცხოვრებას ერთად!
ო, რომ იცოდეთ თქვენ, მეგობრებო,
სუსხი და ბინდი ხვალინდელ დღეთა!

ახლა საყვარელ ხელს ეფერები,
ეთამაშები ხუმრობით თანაც
და ტირი, როცა შეამჩნევ ტყუილს,
ანდა საფიცარ ხელებში დანას...

ვერაგობას და სიცრუეს ქვეყნად
ზღვარი არა აქვს – ხოლო სიკვდილი
შორსაა, სადაც უფრო შავდება
ბნელი სამყარო არა სიფრთხილით –
შორ პლანეტების შეშლილ ქარიშხლით!

ვნახავთ მე და თქვენ ამ საუკუნეს,
უკანასკნელს და სხვებზე საზარელს,
ციდან ნამოვა ბილნი ცოდვები,
გაქრება ღიმი გაბოროტებით
და დაგვიტოვებს არყოფნის ნაღველს...

შენ ელოდები, ბალო, გაზაფხულს,
მატყუარაა ეს გაზაფხული,
მზეს გამოიხმობ ზეცის თავანზე,
აღარ გამოვა მზე დაზაფრული
და ხმა, როდესაც ყვირილს დაიწყებ,
ბნელში ინთქმება, ვით ქვა ზღაპრული...

დარჩით ცხოვრებით თქვენ კმაყოფილი,
წყალივით წყნარი და უჩინარი!
ო, რომ იცოდეთ, ჩემო ბავშვებო,
მომავალ დღეთა სუსხი, კოშმარი!

27 თებერვალი, 1914

ჩემი მეგობრის ტხოვჩიება

6.

დღემ ძველებურად ჩაიარა –
გიჟური სინყნარით.
ირგვლივ ყველანი ლაპარაკობდნენ
ავადმყოფობაზე, ექიმებსა და წამლებზე.
ერთი სამსახურზე ჰყვებოდა,
მეორე – ქრისტეზე,
მეოთხე – გაზეთზე.
ორმა მელექსემ (პუშკინს რომ ეთაყვანებიან)
წიგნები გამოგზავნეს
მრავალრითმიანსაზომიანი.
ხელნაწერი ურიცხვი ეპიგრაფით
(ნადსონიდან და სიმბოლისტებიდან).
შემდეგ, როცა ტელეფონი რეკავდა,
შიკრიკმა კონვერტი გადასცა,
უცხო სუნამო დაპკურებული.
ვარდები დადევით მაგიდაზე –
ენერა ბარათში
და ისიც იძულებული გახდა ვარდები მაგიდაზე
დაელაგებინა...
შემდეგ – თანამოკალმე,

თვალეზამდე რომ წვერებში ჩაძირულიყო,
დიდხანს ჰყვებოდა
სამხრეთის ხორვატების ვაებაზე.
კრიტიკოსი, ფუტურისტებს რომ რისხავდა,
სიმბოლიზმით იგესლებოდა
და რეალიზმით ამთავრებდა.
სალამოს კინემატოგრაფში
დიდგვაროვანი ბარონი პალმასთან კოცნიდა
დაბალი წოდების ქალბატონს,
რათა თავის დონემდე აემალლებინა...
ყველაფერი მიდიოდა სანიმუშო წესრიგით.

მან სალამოს ღრმად დაიძინა
და გაიღვიძა სხვა ქვეყანაში.
ვერც დილის სიცივე,
ვერც მეგობრის სიტყვა,
ვერც ქალბატონის ვარდები,
ვერც ფუტურისტის მანიფესტი,
ვერც პუშკინიანელის ლექსები,
ვერც ძაღლების ყეფა,
ვერც საზიდრის გრუხუნი –
ვერაფერი, ვერაფერი
ამ ქვეყნად ვერ დააბრუნებდა...

და რას იზამ, მართალია,
თუ ძვირფასი შორი ქვეყნის
სანიმუშო წესრიგი
ზოგჯერ სიზმრებით იტვირთება
და იმ სიზმრებში ბევრი რამ გველანდება...
მაგრამ მათში არ არის ისეთი
სანიმუშო წესრიგი, როგორც ამ სამყაროში...

არა, დროულად გაიღვიძებ,
აღელვებული, შშშფოთებული
მღვრიე მოგონებებით,
იდუმალი წინათგრძნობით,

ტვინში მიმალულა შფოთიანი,
მეტისმეტად ნათელი აზრები...
და როცა მოთოკავ მათ მშფოთვარებას,
რალაციტ შეშინებული ფიქრობ,
ხომ არ სჯობია,
რომ ახალმა დღემაც
ჩაიაროს ძველებურად:
გიჟური სინყნარით?

24 მაისი, 1914

ქალი

ავგუსტ სტრინდბერგის ხსოვნას

დიახ, ვიგემე ყველა ტკივილი
და დასასრულზე მქონდა ოცნება?
არა! ხელები დაბლა დაეშვა,
ვცხოვრობ ნალველის მე საოცრებით...

სასაფლაოზე ვხეტილობდი
და იქ ვიპოვე ბორცვი პატარა.
დაე, გაიგოს უცხო სამარემ
მე ამ ცხოვრებამ როგორ მატარა!

მე საყვარელი ვარდებით მოვრთე
საფლავი, როცა მოდგა ბინდები,
მაგრამ ვილაცა გვერდით მივლიდა,
თვალში მიცქერდა გულდამშვიდებით.

და ამ უცნობი კაცის მზერაში
მე ყურადღება ვიგრძენ უჩვევი...
არა, მარტო ვარ ამ ქვეყანაზე,
ეს ვიფიქრე და გზას გავუყევი.

იქნებ აღვუძარ მე სიბრალული?
ან იქნებ სულაც მას მოენონა
ჩემი დაღლილი სახის ნალველი,
ან – მარტო იყო და მოენყინა?

არა, ასე სჯობს, თვალი დავხუჭო:
ის ტანადია და მშვენიერი,
და მე არ მინდა, რომ ჩვენს გაცნობას
ჰქონდეს დარდის და სევდის იერი...

მაგრამ ვგრძნობ, იგი მიახლოვდება,
მოდის პირდაპირ, ასე ჯიქურად
და მე მზადა ვარ, მრისხანე სიტყვით
გავცე პასუხი მას მედიდურად.

უცებ მომესმის მტანჯველი ძალით
ძლივს გასაგონად, ჩუმად ნათქვამი:
„ნურაფრის თქვენ ნუ შეგეშინდებათ,
ეს არის ჩემი ბავშვის საფლავი“.

ბოდიში ვუთხარ, თავი დავხარე
და მოვარიდე მზერა დაგული.
მან კი ვარდები გამომინოდა,
მითხრა: „თქვენ დაგრჩათ აქ თაიგული“.

„ბავშვის საფლავზე დარჩეს ვარდები
თქვენთან შეხვედრის ნიშნად, იქნება“...
მან აიჩეჩა მხრები გულგრილად,
მითხრა: „ვარდები თქვენ დაგჭირდებათ“.

ღიას, ვიგრძენი ჩემი შეცდომა,
მაგრამ გამყვება სიკვდილის დღემდე
მე ის ღიმილი, ის დამცინავი,
რომლითაც მისი თვალები მდევდა!"

აგვისტო, 1914

* * *

ის ცხოვრება ნასულა
და გულს სძინავს
დაქანცულს.
ლამე ისევ მოსულა
და ფანჯრიდან
მითვალთვალეbs ფერნასულს.

აი, კიდეც დათოვა,
თავს დამადგა
ჯადოსნური ზამთარი,
მაგრამ უამი გულსაამი
არ მოვა,
როცა გვნვაედა ხანძარი.

31 აგვისტო, 1914

* * *

არ მინდა ფიცი – შენ ბრწყინავდი ყველაზე მეტად
შენ სილამაზის იყავ მხლებელი!
ვით დღე გამქრალი ანდა როგორც ბოშათ სიმღერა
მიფრინავს ჩემი მატარებელი...

რაც კი რამ იყო საყვარელი – ახლა შორსაა,
დაკარგულია გზა მისანდობი...
რაც კი რამ იყო კურთხეული, დაუვიწყარი –
არ მობრუნდება ჩემთან... მშვიდობით!

31 აგვისტო, 1914

* * *

ამღვრეულია პეტროგრადის ზეცა წვიმებით,
ეშელონს ომში მიეჩქარება,
ოცეულს მისდევს ოცეული, ხიშტებს – ხიშტები
და ვაგონები თვალს ეფარება.

მატარებელში ათასების ჰყვავის სიცოცხლედ
ტრფობის ნუხილი, სევდა გაყრისა,
ძალა, იმედი, სიჭაბუკე... შორეულ დაისს
ფარავს ღრუბელი ფერად სისხლისა.

სხედან, მღერიან, ვარიაგებს იხსენებს ერთი,
სხვას კი ერმაკის ახსოვს სახელი,
ოხუნჯობენ და გაპყვირიან მქუხარე ვაშას
და პირჯვარს წყნარად დაინერს ხელი.

ააფრიალებს უცებ ქარი მონყვეტილ ფოთოლს
და ფარნის შუქზე გაიციმციმებს
და მესაყვირე, შემოსილი თალხი ღრუბელით,
ხალისით გვამცნობს გასვლის სიმძიმეს.

მხედრულ დიდებით ატირდება როდესაც ბუკი,
გულს რომ აავსებს განგაშის ხმებით,
ჩაახშობს ვაშას უსასრულო ხმა ჩახლეჩილი
და მოგრუხუნე მძიმე ბორბლები.

ბუფერის ბნელში მიეფარა თვალს ბოლო ლანდიც,
ჩამოდგებოდეს სანამდის დილა.
ხოლო წვიმიან ველებიდან ვაშას ძახილში
„დროა“ – მრისხანე ისმის ყიყინა.

არა, არ გექონდა არც სევდა და არც სინანული,
თუმცა აუდარი მოჰქონდათ ქარებს.
ეს გრძნობა არის ფოლადივით მტკიცე და ცხადი
და ჩვენს სანუხარს არ გაიკარებს.

სიბრალულს ახშობს ხანძარი და ქვემეხთ ქუხილი
და თქარათქური ფიცხი ცხენების,
სევდას და ნაღველს მოშხამული დაფარავს ორთქლი
გალიციური სისხლის ველების...

1 სექტემბერი, 1914

* * *

ზ. ნ. გიპიუსს

დაბადებულებს ყრუ დროებაში
არ ახსენდებათ გზა საკუთარი.
ჩვენ – შვილებს სასტიკ წლების რუსეთის –
რამ დაგვაეინყოს ძალა მხუთავი.

წლები დამწველი და დამღუპველი!
ვართ შეშლილები თუ გვაქვს იმედი?
გვადგას ომის და თავისუფლების
სისხლის ნაშუქი არამცირედი.

ჩვენ ვართ მუნჯები თუ ეს ბაგენი
ნაბათის გუგუნს უხმოდ დანებდა,
ცარიელია საბედისწეროდ
გული, ოდესღაც რომ მღელვარებდა.

ჩვენს სასიკვდილო სარეცელს თუნდაც
ყორანთა ავი ჩხავილი ახლდეს,
მას, ვინც ღირსია, ო, ღმერთო, ღმერთო,
შენი სუფევის მაღლი მიადგეს!

8 სექტემბერი, 1914

* * *

არ გამიშლია მე თეთრი დროშა,
როს მაყრუებდა ყიჟინა მტერთა,
შენ კი ღამეულ გზებით ნახველი,
მაგრამ ზვინულთან დავდექით ერთად.

გზამ ღამეულმა, საბედისწერომ,
თუმც დაგვაშორა, ისევ გვიზიდავს,
ისევ შენთან ვართ, ჩემო რუსეთო,
გამოვალნიეთ უცხო მიწიდან.

ჯვარი და საძმო სამარეთ მწკრივი,
აი, სიჩუმევე, სად იმალები!
აქ სალდათური, სევედის მომგვრელი,
სიმღერის ტალღა რბის გამალებით.

ხოლო ახლოს კი სდუმს ყოველივე
და ზმანებაში ირევა მტრები,
მხოლოდ ბეთლემის ბრწყინავს ვარსკვლავი,
ვით ჩემი ტრფობა გულანანთები.

3 დეკემბერი, 1914

* * *

ცეცხლმოდებული მოდის ღრუბელი,
ზეცის კიდური გაიცრიცება,
მე ჩემს სენაკში ვხატავ მადონას,
ვხატავ და ჩემი ფიქრი იზრდება.

აი, გამოკრთა სახე სალუქი,
აი, გაშალა ხელი ღვთიური,
აი, ანათებს თოვლის ფერებით
ორი მსუბუქი ფრთა ზეციური...

ჩემს გახამებულ ტილოზე დახტის
ცეცხლის ნითელი სხივი კონებად
და განუყრელი ფიქრი მხურვალე
უფრო მეხვევა და მეკონება...

25 დეკემბერი, 1914

სამსჯანვროს წინაშე

თვალეებს რატომ ჰხრი შენ შეცბუნებით?
მინდა შეგხედო წინანდებურად.
ჩანხარ როგორი დამცირებული,
სადაც სინათლე გამეფებულა.

მეც ის აღარ ვარ, რაც რომ ვიყავი,
მიუნდომელი, წმინდა, ბოროტი,
ახლა კეთილად და უიმედოდ
ვუმზერ მონყენილ ამ გზას ბოლომდის.

მე არა მხოლოდ არ მაქვს უფლება,
ძალაც არ შემრჩა, რომ დავდო ბრალი
შენს გზას გატანჯულს, გზას ეშმაკეულს,
რაც რომ ხვედრია მრავალი ქალის.

მაგრამ ხომ ვიცნობ ცხოვრებას შენსას
მე სხვებზე მეტად და სხვანაირად
და ვიცი ყველა მსაჯულზე უფრო
როგორ აღმოჩნდი შენ ამ ნაპირას.

იყო დრო, როცა დაგვატარებდა
ეს დამლუპველი ვნება და კდემა,
ტვირთს ვიცილებდით, რომ შეგვეძლებოდა
ერთად ფრენა და ერთად დაცემა.

შენ ოცნებობდი, თუკი დაწვაა,
დაემწვარიყავით ორივე ერთად,
რომ სასიკვდილო ჩაკონებაში
ნეტარი მხარე გვეხილა ფერთა...

ახლა რას ვიზამთ, თუ გვატყუებდა
ჩვენ ის ოცნება, ვით სხვა მრავალი
და თუ სიცოცხლე ასე უწყალოდ
მათრახს დაგვარტყამს, რისხვით მავალი.

არ მოგვწვდენია ჩქარი ცხოვრება,
ხოლო ოცნება კი გვანამებდა,
მაგრამ შენ მაინც, თუნდაც ოდესღაც,
შენ – ჩემთან ყოფნა ხომ გახარებდა?

და ეს კულული, ეს ოქროსფერი,
ხომ ძველი ცეცხლით ისევ ინთება?
ჩემო უღმერთოე და მშვენიერო,
დაუეინყარო, გთხოვ პატიებას!

11 ოქტომბერი, 1915

სკვითები

*პანმონგოლოზში! სიტყვა ველური
ჩემს სმენას როგორ ელამუნება.
ვლადიმერ სოლოვიოვი*

თქვენ ხართ უშქარი, ჩვენ – უთვლელი, აურაცხელი,
მოდით და სცადეთ ჩვენზე ძალები!
ჩვენ ვართ სკვითები! დიახ, ჩვენ ვართ აზიელები
გაუმაძლარი, ვინრო თვალებით!

ჩვენთვის საათი თქვენთვის არის საუკუნენი.
ჩვენ, როგორც მონებს მოთმენით სავსეს,
გვეჭირა ფარი მონგოლებს და ეეროპას შორის,
შუა ვედექით მოსისხლე რასებს!

საუკუნენი გუგუნებდა თქვენი სამჭედლო
და ზეავთა ქუხილს ახშობდა გრდემლი.
ახლა საზარელ ზლაპარივით თავზე დაგეცათ
ლისაბონის და მესინის ცრემლი!

თქვენ აღმოსავლეთს გაჰყურებდით ათასი წელი,
ჩვენს მარგალიტებს კრებდით, ადნობდით,
თქვენ დამცინავად დროს ელოდით, რომ მოგელირათ
ჩვენსკენ ქვემეხთა მზერა დამპყრობი!

ეს უამიც დადგა! განსაცდელი ფრთებით დაგვაცხრა,
წყენას გვიმრავლებს დღე თვითოეული
და დღე იქნება, როს უკვალოდ გაქრება თქვენი
ყველა პესტუმი ცეცხლში ხვეული!

ძველო ქვეყანავ, სანამ ჯერაც არ დაღუპულხარ,
წვალობ ტკბილ-მწარე დღეთა ალაგმვით,
შეჩერდი, როგორც ბრძენთაბრძენი ოიდიპოსი
სფინქსის წინაშე ძველი ქარაგმით!

რუსეთი – სფინქსი, მოზეიმე და ნაღვლიანი,
კუპრივით სისხლში ამოვლებული,
შენ შემოგყურებს, შემოგყურებს ხან სიძულვილის,
ხან სიყვარულის ცეცხლმოდებული!...

და ისე ძლიერ, სიყვარული ჩვენ რომ შევძელით,
არ გყვარებიანთ დიდხანს არაინ!
თქვენ დაგავინყდათ – სიყვარული რომ არის ქვეყნად
დამღუპველი და ცეცხლით მზარავი!

გვიყვარს ყოველი – ცივ რიცხვების აღმური ცხელი,
და ღვთაებრივი ხილვების ნიჭი,
ჩვენ ნათლად ვიცით – ეს გალური მახვილი აზრი
და გერმანული გენიის იჭვი...

გვახსოვს ყოველი – ჯოჯოხეთი პარიზის ქუჩის
და სიგრილენი ვენეციური,
ლიმონის ჭალის შორეული ნაზი სურნელი,
კიოლნის კვამლის სვეტი ციური...

გვიყვარს სხეული – მისი გემო და მისი ფერი,
მზუთავი სუნიც მკედარი სხეულის...
აბა რას ვიზამთ, თქვენი ჩონჩხი ჩვენს ნაზ და მძიმე
თუ თათებშია გადამსხვრეული...

ჩვენ შევეჩვიეთ – ჩავეჭიდოთ აღვირს რაგვარად,
როს ნავარდობენ ურა ცხენები,
როგორ ვუმსხვრიოთ ბედაურებს ძვლები გავისა
და დავანყნაროთ ანჩხლი მხეველები...

ჩვენთან მოგიხმობთ! საშინელი ომის ხანძრიდან
ერთურთს ემთხვეოთ მშვიდობის ხმებით!
ვიდრე დრო არის – ქარქაშშია ძველი მახვილი,
ამხანაგებო! ჩვენ გავხდეთ ძმები!

არა და – ჩვენ გვაქვს დასაკარგი არც არაფერი
და ვერაგობაც ვიცით მრავალი!
საუკუნეებს გადასწვდება წყველა გვიანი
თქვენი სწეული შთამომავალის!

ჩვენ – წამოსული უსიერი ტყეთა ტევრებით
კობტა ევროპის თვალწინ დავდგებით!
მოგიბრუნდებით, ეს იცოდეთ, ჩვენ აზიური
სახით და ყბებით!

წადით ყველანი, ურალისკენ წადით ყველანი!
გახდეს ადგილი ბრძოლის ახლისა,
სადაც გუგუნებს მანქანა და სტვენს ინტეგრალი
ველურ მონგოლთა ურდოს სახისა!

ამიერიდან თქვენი ფარი ჩვენ არ ვიქნებით
და აღარც ბრძოლას მივეძალებით,
მხოლოდ გავხედავთ სასიკედილო ომების დუღილს
ვინროდ გაჭრილი ხარბი თვალებით.

არ დავიძვრებით, თუნდ ვხედავდეთ – მრისხანე ჰუნი
გვამთა ჯიბეში ხელს აფათურებს,
წვავს ქალაქებს და ნახირს შეჰყრის ეკლესიაში
და თეთრი ძმების ხორცს ახრამუნებს!..

უკანასკნელად – გამოფხიზლდი, ძველო ქვეყანავ!
შრომის, მშვიდობის ლხინი მოსულა,
უკანასკნელად ჩვენი ძმობის ნათელ ზეიმზე
გეძახის ლირა ბარბაროსული!

30 იანვარი, 1918

ზ. გივიუსს
(„უკანასკნელი ლექსების“ მიღებისას)

ქალი, უაზროდ ამპარტავანი!
მე მესმის თქვენი ყველა ქარაგმა,
საგაზაფხულო თეთრი ცხელება
ვერც სტრიქონებმა რომ ვერ ალაგმა!

აქ ყველა სიტყვა მტრის ისარია
და ალესილი დანის პირები!
ვეამბორები მონამლულ ხანჯალს
და მონყენილი შორს ვიმზირები!

მაგრამ შორეთში ზღვა მელანდება,
სივრცის ხაზები ახალ მხარისა,
ვერ ვისმენ თქვენს ხმას სასტიკ ქოროში,
შფოთში, ზუზუნში ქარიშხალისა!

საშინელია, მაგრამ მე უნდა
ვეკვეთო ზვირთებს ქაფიან ზღვისა,
თქვენ – ნაიადამ, მწვანეთვალეზამ,
უმღეროთ კლდეებს ირლანდიისა.

ხოლო ჩვენი და ზვირთების მალლა,
კლდის თავზე, როგორც აისის ტალლა,
შრიალებს დროშა მეამბოხისა!

6 ივნისი, 1918

კუშკინის სახლს

სად კუშკინის სახელი
ბრწყინავს აკადემიად,
იქ კარგი და ნაცნობი
ხმების ნაკადებია!

ეს ყინული წკრიალებს
მოზეიმე მდინარით,
თუ გემი გემს გასძახის
შორი და უჩინარი.

ეს ხომ ძველი სფინქსია,
წყნარ ტალღაზე მბზინავი,
ბრინჯაოს მხედარია
უძრავ ცხენზე მფრინავი.

ამ იდუმალ ნევასთან
დამტანჯველი ნალველით
შავ დღეს როგორ ვხედებოდი
თეთრი ლამის სახელით...

რა ცეცხლოვან შორეთებს
გვალანდებდა მდინარე,
მაგრამ ჩვენ ხომ ვიყავით
ხვალის გამომჩინარე.

შავ ფიქრს როს გვაცილებდა
უცაბედი ცთუნება,
მომავლის თვალს გვიხელდა
ნისლის ცით მობრუნება.

ფარულ იმედს ვუმღერდით,
დანატრული შენს ველებს!
ხელი მოგვეც ავდარში,
ყრუ ბრძოლაში გვიშველე!

შენი ტკბილი ბგერები
როგორ დაქრიალებდა?
შენი სიხარული ხომ
ერთად გვაფრთიანებდა!

ეს მშობლიურ ხმების და
შუქის ნაკადებია,
სად პუშკინის სახელით
ბრწყინავს აკადემია.

ამიტომ მას დაისპი,
უკუნს როს ვეფარები,
სენატის მოედნიდან
კრძალვით ვეთაყვანები.

11 თებერვალი, 1921

ბაჯანაძე

ეძღვნება ვსევოლოდ ემილის ძე მეიერპოლდს

მოქმედი პირები:

კოლომბინა

პიერო

არლეკინი

ორივე სქესის მისტიკოსები, სერთუკებითა და

მოდური კაბებით,

შემდეგ – ნიღბებითა და სამასკარადო კოსტიუმებით.

შეყვარებულთა სამი წყვილი

მასხარა

ავტორი

ჩვეულებრივი სამკედლიანი თეატრალური ოთახი ფანჯრითა და კარით, განათებულ მაგიდას დაძაბული სახით უსხედან სერთუკებსა და მოდურ კაბებში გამოწყობილი ორივე სქესის მისტიკოსები. ცოტა მოშორებით, ფანჯარასთან ზის დაბნეული მეოცნებე, ფერმკრთალი, პირტიტველა, უნარბო თეთრბალახონიანი პიერო.

მისტიკოსები ცოტა ხანს დუმან.

პირველი მისტიკოსი

– შენ გესმის?

მეორე მისტიკოსი

– დიახ.

მესამე მისტიკოსი

– უნდა მოხდეს რალაც ამბავი.

პიერო

– ჰოი, საზარო უკუნეთო მარადიულო!

პირველი მისტიკოსი

– შენ ელოდები?

მეორე მისტიკოსი

- ველოდები.

მესამე მისტიკოსი

ხმა ახლოვდება:

- ჩვენ ფანჯარასთან ქარმა მოგვცა უკვე ნიშანი.

პიერო

- სად ხარ, ორგულო? ჩაძინებულ ქუჩების გასწვრივ განელილია გრძელი რიგი ფარანებისა და ერთმანეთის მიყოლებით ჩანან წყვილები ტრფობის სინათლით ანთებული ქალ-ვაყებისა. შენ კი სადა ხარ? უკანასკნელ წყვილების გვერდით ვყოფილიყავით ხომ შეგვეძლო დანიშნულ წრეში? მივალ სარკმელთან სევდიანი გიტარის ჟღერით, სადაც შენ ცეკვავ მეგობრების ყრუ ღრიანცელში! გავიფურადებ ნარბებსა და ულვაშს მივიკრავ, ფერმილეული მთვარის სახე შემეწინთლება. შენ თუ იგრძენი, კოლომბინა, გული ეული ამ ნაღვლიანი სიმღერებით როგორ ინთება?

პიერო ოცნებით გაერთო და გამხიარულდა, მაგრამ გვერდითა ფარდულიდან გამოძვრება შემფოთებული ავტორი.

ავტორი

- ეს რას მიედებ-მოედება? დიდად პატივცემულო საზოგადოებავ! ვჩქარობ დაგარწმუნოთ, რომ ამ აქტიორმა სასტიკად დასცინა ჩემს საავტორო უფლებებს. მოქმედება მიმდინარეობს ზამთრის პეტერბურგში, საიდან მოიტანა მას ეს ფანჯარა და გიტარა? მე ჩემი დრამა ბალაგანისათვის კი არ დამინერია... გარწმუნებთ... უეცრად თავისი მოულოდნელი განაჩენისა შერცხვა და ფარდის მიღმა უჩინარდება.

პიერო

(მას ყურადღება არ მიუქცევია ავტორისათვის, ზის და ოცნებობს)

- ო, კოლომბინა!

პირველი მისტიკოსი

– შენ გესმის?

მეორე მისტიკოსი

– დიახ.

მესამე მისტიკოსი

– გვიახლოვდება ჩვენ ქალწული შორი ქვეყნიდან.

პირველი მისტიკოსი

– მისი ნაკვთები მარმარილოა!

მეორე მისტიკოსი

– მისი თვალები უნაპიროა!

მესამე მისტიკოსი

– ოი, როგორი სინძინდე და სიქათქათეა!

პირველი მისტიკოსი

– მიახლოვდება და ნამიერ ჩაკვდება ხმები.

მეორე მისტიკოსი

– მყისვე სიჩუმე ჩამოდგება.

მესამე მისტიკოსი

– დიდი ხნით?

პირველი მისტიკოსი

– დიახ.

მეორე მისტიკოსი

– თეთრია როგორც თოვლი.

მესამე მისტიკოსი

– მხრებზე ცელი უელავს.

პირველი მისტიკოსი

– ვინ არის ეს ასული?

მეორე იხრება და პირველს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს.

მეორე მისტიკოსი

– ხომ არ გამყიდი?

პირველი მისტიკოსი

(ნრფელი შეშფოთებით)

– არასოდეს!

ავტორი ისევ შიშით თავს გამოპყოფს, მაგრამ სწრაფადვე ქრება, თითქოს ვიღაცამ ზურგიდან მოქაჩაო.

პიერო

(ისევ მეოცნებე სახით)

– ო, კოლომბინა, მოდი!

პირველი მისტიკოსი

– ჩუმად! ნაბიჯთა ხმაა!

მეორე მისტიკოსი

– მესმის შრიალი, სუნთქვა.

მესამე მისტიკოსი

– ჩვენთან ვინ არის ახლა?

პირველი მისტიკოსი

– ვინ ჩანს სარკმელში?

მეორე მისტიკოსი

– ან კარებთან?

მესამე მისტიკოსი

– არაფერი ჩანს.

პირველი მისტიკოსი

– სანთელი ასნი. იგი ჩვენთან ხომ არ მოსულა.

მეორე მისტიკოსი სანთელს აიღებს.

საიდანღაც, სრულიად მოულოდნელად, მაგიდასთან გაჩნდება უჩვეულოდ ლამაზი ქალიშვილი, უბრალო და თეთრი, მკრთალი სახისა. თეთრი სამოსელი, მშვიდი თვალების გულგრილი მზერა. მხრებზე დანნული ნანწაეები.

ქალიშვილი გაუნძრევლად დგას. აღტაცებული პიერო სათაყვანოდ მუხლებზე ეცემა. ეტყობა, რომ ცრემლები ახრჩობს. მისთვის ყველაფერი უთქმელადაც ცხადია.

შეშინებული მისტიკოსები სკამის საზურგეს მიეხალნენ. ერთი უმწეოდ ფეხს აქანავებს. მეორე უცნაურად ხელს იქნევს. მესამეს თვალები გადმოკარკელია. ცოტა ხნის შემდეგ რომ გამოერკვნენ, ხმამაღლა აჩურჩულდნენ.

- მოვიდა!
- თეთრად უელავს სამოსი!
- უნაპიროა მისი თვალები!
- ფერმკრთალი არის, ვით მარმარილო!
- მხრებზე ცელს ხედავ?
- ეს სიკედილია!

ეს ესმის პიეროს. ნელა დგება და მიდის ქალიშვილთან. ხელში აიტაცებს და შუა სცენაზე გამოჰყავს. მისი ხმა ზარივით მხიარულია და წკრიალა.

პიერო

– ბატონებო! თქვენ ცდებით! ეს კოლომბინაა! ეს ჩემი საცოლეა!

საერთო შემფოთება. ტაშისცემა. ექაჩებიან სერთუების კალთებს. კრების თავმჯდომარე აღფრთოვანებით მიდის პიეროსთან.

თავმჯდომარე

– თქვენ გაგიჟებულხართ. მთელი საღამო ჩვენ დიდ ამბავს ველოდით. მოლოდინი აგვიხდა. იგი მოვიდა ჩვენთან – ჩვენი ჩუმი მხსნელი. ჩვენ სიკედილი გვეწვია.

პიერო

(ბავშვური წკრიალა ხმით)

– ზღაპრების არ მჯერა. მე ერთი უბრალო კაცი ვარ. თქვენ ვერ მომატყუებთ. ეს ხომ კოლომბინაა, ეს ჩემი საცოლგა.

თავმჯდომარე

– ბატონებო! ჩვენი უბედური მეგობარი შიშისაგან შეიშალა. ის არასდროს დაფიქრებულა, მთელი სიცოცხლე ჩვენ რისთვის ვემზადებოდით. მას ვერ უცვნია და არც მომზადებულა, რათა უკანასკნელ საათს მშვიდად შეხვედროდა ფერნანსულ მეგობარ ასულს. დიდსულოვნად და უბრალოდ შევუნდოთ *(მიუზრუნდება პიეროს)*. ძმაო, შენი აქ დატოვება არ შეიძლება. შენ გვირეე ჩვენს უკანასკნელ საღამოს, მაგრამ გთხოვ, კიდევ ერთხელ შეხედო მას: შენ ხედავ, როგორი თეთრია მისი სამოსი, როგორი მკრთალია მისი სახე. ო, ის თეთრია, როგორც თოვლი მწვერვალზე. მის თვალებში ილანდება სარკის უსაზღვროება. ნუთუ ვერ ხედავ ცელს მხრებზე? შენ სიკვდილი ვერ გიცვინია?

პიერო

(მკრთალ სახეზე გადაუვლის დაბნეული ღიმილი)

– მე მივიღივარ. ან თქვენ ხართ მართალი და მე უბედური გიჟი ცყოფილვარ, ან თქვენ შეიშალეთ და მე ვარ მარტოხელა, უგუნური მიჯნური. ქარბუქო, ქუჩაში გამიყვანე! ჰოი, საზარო უკუნეთო მარადიულო!

კოლომბინა

(გასასვლელისკენ მისდევს პიეროს)

– მე შენ არ მიგატოვებ.

დაბნეული პიერო შეჩერდა. თავმჯდომარე მუდარით გულხელს დაიკრფეს.

თავმჯდომარე

– ნათელო ლანდო! მთელი ცხოვრება შენ მოგელოდით! არ მიგვატოვო!

გამორჩდება ტანადი ჭაბუკი არლეკინის სამოსელით. მასზე წკრიალა ხმით მღერიან დაირები.

არლეკინი

(მიდის კოლომბინასთან)

შენ გელოდები გზაჯვარედინთან
ზამთრის ნაცრისფერ მწუხრის ნაირად,
შენ გიმღეროდა ჩემი ქარბუქი,
შენთვის აულერდა მისი დაირა.

მხარზე ხელს დაადებს პიეროს. პიერო გულალმა დაეცა და უძრავად
ნევს თეთრ ბალახონში. არლეკინს მიჰყავს კოლომბინა. მან ვაჟს გაული-
მა. ყველას ნაუხდა განწყობილება და სკამებს უსიცოცხლოდ გადაეკიდ-
ნენ. სერთუკების სახელოები გაეჭიმათ და ხელის მტევენები დაეფარათ,
თითქოს ხელები არც ჰქონიათ. თავები ჩაძვრნენ საყელოებში. თითქოს-
და სკამებზე ჰკიდია ცარიელი სერთუკები. უცებ პიერო წამოხტა და გაიქ-
ცა. ფარდა ამოძრავდა. იმავე წუთს სცენაზე გამოხტება თმაგაჩეჩილი და
აღელვებულ ავტორი.

ავტორი

- მონყალეო ბატონებო და ქალბატონებო! მე ბოდიშს გიხდით,
მაგრამ ვიხსნი ჩემს ყოველგვარ პასუხისმგებლობას! მე დამცინიან!
მე დავენერე ნამდვილი პიესა, რომლის არსიც საჭიროდ მიმაჩნია
ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ: საქმე ეხება ორი ახალგაზრდა სუ-
ლის ურთიერთსიყვარულს! მათ ელობებათ მესამე პირი, მაგრამ
დაბრკოლება დაიძლევა და შეყვარებულები კანონიერი ქორწინებით
სამუდამოდ შეერთდებიან! მე არასოდეს მომირთავს ჩემი გმირები
მასხარის ტანსაცმლით! ესენი ჩემს დაუკითხავად თამაშობენ რალაც
ძველ ლეგენდას! მე არ ვცნობ არავითარ ლეგენდას, არავითარ მითს
და სხვა უხამსობებს! მითუმეტეს, სიტყვების ალეგორიულ თამაშს:
როგორ შეიძლება ქალის ნაწნავს სიკვდილის ცელი ვუნოდოთ? ეს
სახელს უტეხს ქალთა მოდგმას! მონყალეო ბატონებო...

ფარდიდან გამოყოფილი ხელი ავტორს ქეჩოში სწვდება და იგი ყვირი-
ლით ქრება კულისებში.

ფარდა სწრაფად გაიწევა.

მეჯლისი. ნიღბები ტრიალებენ ცეკვის ნელ ხმაზე, მათ შორის დასეირ-
ნობენ სხვა ნიღბები, რაინდები, ქალბატონები, მასხარები.

ნაღვლიანი პიერო ზის იმავე სკამზე შუა სცენაზე, სადაც, ჩვეულებ-
რივ, ერთმანეთს კოცნიან ვენერა და ტანპოიზერი.

ასე ვიდექი ორ ფარანს შუა
და მომესმოდა მათი ხმა შორად,
ვით ჩურჩულებდნენ ბნელ ლაბადაში,
ღამე თვალებში ვით ეამბორათ.

და წკრიალებდა ვერცხლის ქარბუქი,
ვით საქორწინო მათი ბეჭედი,
და მე ვხედავდი ღამეში ასულს
ნათელ ღიმილით მოიმედეთი.

ახ, იმ დროს, როცა მარხილში სვამდა
ჩემს შეყვარებულს ის მლელვარებით!
ვეხეტებოდი ყინვიან ნისლში
და მათ შორიდან ვუთვალთვალეზბდი.

აი, გახვია მან ის ბადეში
და აჟღერებდა თამამ დაირას,
მაგრამ უეცრად ჩემი რჩეული
პირქვე დაეცა ლერწამნაირად.

არა სწყენია მისგან რაიმე,
მაგრამ წაიქცა თოვლში ასული,
მეც ვერ შევძელი თავშეკავება,
წამსკდა სიცილი წრეგადასული.

და როს ცეკვავდნენ ყინვის ნემსები
ჩემი მუყაოს ასულის წრეში,
ის წკრიალებდა, მაღლა ხტებოდა,
მეც იქ მარხილთან ვიდექი ბნელში.

ჩვენ მიძინებულ გზაზე ვმლეროდით,
როგორ გვატყდებდა უბედურება,
ხოლო მუყაოს ასულის თავზე
ვარსკვლავი მწვანედ შეიბურება.

და არლეკინი, როგორც პიერო,
ქუჩაში ღამის უკუნს მინებდა.
ხელი მომხვია მან ისე ნაზად,
თითქოს ბუმბული მილიტინებდა!

ჩამჩურჩულებდა: „ჩემო ძმობილო,
ჩვენ ერთადა ვართ დიდი ხანია,
ვინაღვლიანოთ შენს საცოლეზე,
ის ხომ მუყაოს პატარძალია“.

ნაღვლიანი პიერო გადის. ცოტა ხნის შემდეგ იმავე სკამზე აღმოჩნდება შეყვარებულთა წყვილი. ვაჟი ცისფრად შემოსილა, ქალი – ვარდისფრად. ტანსაცმლის ფერის ნიღბები უკეთიათ. თავი ეკლესიაში ჰგონიათ და მალლა, გუმბათისაკენ იყურებიან.

ქალი

„დამემორჩილე“, ჩურჩულებ, კარგო,
მე გუმბათისკენ რომ ვიყურები.

ვაჟი

მეც ვიმზირები ზევეთკენ, სადაც
გუმბათს მოედო ბინდის ქულები.

ქალი

ძველი ხატები, მოოქროვილი,
ელავს როგორი იღუმალეებით.

ვაჟი

სიზმარი არის ჩვენი ამბავი,
შენ დაგეხუჭა წყნარად თვალები.

კოცნა

ქალი

ვილაც უბირი დგას კოლონებთან,
ციმციმებს მისი მზერა ცბიერი.
მე მეშინია შენი, ძვირფასო,
გადამაფარე ფრთები ძლიერი.

დუმილი

ვაჟი

შეხე, სანთლები რარიგ წყნარია,
როგორ ციმციმებს სხივთა ისარი.

ქალი

დიახ, ტკბილია ჩენი შეხვედრა,
მე მხოლოდ ახლა თუ შეგიცანი.

ვაჟს ეხუტება.

*პირველ წყვილს მაყურებლისგან ფარავს მასხარებისა და ნიღბების
წყნარი ცეკვა. შუა ცეკვისას შეყვარებულთა მეორე წყვილი შემოიჭრება.
წინაა ქალი შავი ნიღბითა და ხვეული წითელი ლაბადით, უკან – ტანმოქ-
ნილი ვაჟი წითელი ნიღბითა და შავი ლაბადით. სწრაფი მოძრაობა. მის-
დევეს ქალს, ხან დაეწევა, ხანაც გვერდს აუქცევს.
ლაბადების გრიგალი.*

ვაჟი

ჩამომეცალე! ნულარ დამდევე და ნუ მანვალებ!
ბნელ ბედისწერას გული ჩემი განა დანებდა!
შენ ხომ ზეიმობ შენს გამარჯვებას,
მაშ მოიხსენი ეს ნიღაბი დაუხანებლად!

ქალი

მე გამომყევი და დამენიე!
შენს საცოლევზე მე ვარ ლამაზი!
შემომეხვიე მოქნილი ხელით,
გამომიცალე ეს ბნელი თასი!

ვაჟი

ვეფიცებოდი სიყვარულს სულ სხვას!
შენ შემომხედე ცეცხლოვან მზერით,
შენ შემიყვანე ყრუ მოსახვევში,
შხამი შემასვი სიკვდილის ხელით!

ქალი

მე არ გიხმობდი, ცეცხლოვანო შენ მეგობარო!
იქნებ ეს იყო მოფრიალე ლაბადა ქარში!
თავად ისურვე, შემოჭრილიყავ
მოჯადოებულ ოცნების რკალში!

ვაჟი

მამ, შემომხედე, ჯადოსანო, მე ვიხსნი ნიღაბს!
ნახე ნაკვთები არეული და დახლართული!
ფერი მიცვალე, შემიყვანე მე უკუნეთში,
სად ორეული მეგებება თავის კანტურით!

ქალი

მე გამომყევი, ქალნული ვარ თავისუფალი,
მე გამარჯვების გზას ველოდები!
მაგრამ თუ ისევ გამოსდიე ცეცხლის ნაკვალევს,
შენ დაგიფარავს ჩემი ბოდვები!

ვაჟი

შენთან მოვდივარ ბედისნერას შეგუებული,
იყოს ლაბადა ცეცხლოვანი გამცილებელი!
თვალბედით გზაზე ვეშურებით ჩვენ სამივენი -
მე, შენ და იგი - ორეული ღამეულ ფერის!

ქრებიან ლაბადების გრიგალში. ჩანს, მათთან ერთად ბრბოდან ამოიჭრა ვიღაც მესამე, შეყვარებულის მსგავსი, მოქნილი როგორც შავი ცეცხლის ენა.

მოცეკვავეთა შორის აღმოჩნდა მესამე წყვილიც. ისინი სხედან შუა სცენაზე. შუა საუკუნეები. ფიქრებში ნასული ქალი თვალს ადევნებს ვაჟის მოძრაობას. ისიც ჩაფიქრებულია. ახურავს მუყაოს მუზარადი და იატაკზე, ქალის წინ, უზარმაზარი ხის მახვილით ხაზავს წრეს.

ვაჟი

- თქვენ იგებთ პიესას, სადაც არ ვთამაშობთ უკანასკნელ როლს?

ქალი

- როლს.

ვაჟი

თქვენ იცით, რომ ჩვენი დღევანდელი დღისათვის გააკეთეს ნიღბები საუცხოო?

ქალი

საუცხოო.

ვაჟი

- თქვენ ჩემი გჯერათ? დღეს მშვენიერი ხართ, როგორც ყოველთვის.

ქალი

ყოველთვის.

ვაჟი

- თქვენ იცით ყველაფერი, რაც იყო და რაც იქნება. თქვენ იცით რას ნიშნავს აქ დახაზული წრე?

ქალი

წრე.

ვაჟი

- როგორ მატყვევებს თქვენი სიტყვები! ჩემი სულის ამომცნობი!
რა ბევრს ეუბნება თქვენი სიტყვები ჩემს გულს!

ქალი

- გულს.

ვაჟი

- ო, მარადიულო ბედნიერებავ! მარადიულო ბედნიერებავ!

ქალი

- ბედნიერებავ.

ვაჟი

(ამოისუნთქავს შვებით და აღფრთოვანებით)

დღე ახლოვდება, გვცილდება ეს თვალბედითი ღამე.

ქალი

- ღამე.

ამ დროს ერთ მასხარას რაღაც ოინი მოაფიქრდა. მიიღბენს შეყვარებულთან და ენას გამოუყოფს. შეყვარებული მასხარას თავში ჩასცხებს ხის მძიმე ხმალს. მასხარა რამზაზე გადაიზნიქა და დაეკიდა, თავიდან შხეფებად ამოხეთქა შტოშის ნვენმა.

მასხარა

(გამკივანი ხმით)

მიშველეთ! შტოშის ნვენით ვიცლები!

იყბედა და გაქრა.

ხმაური. ალიაქოთი. მხიარული შექახილები: ჩირაღდნების ჩირაღდნების სელა ჩირაღდნებით!" გამოჩნდება ქორო ჩირაღდნებით. ნიღბები მოგროვდებიან, იცინიან, ხტუნაობენ.

სალამოს ბინდში კუპრის წვეთები
წვეთებს მისდევენ ნელი სრიალით,
და უკუნეთის ღრუბლით ფარული
ნათდება სახე თვალნისლიანი.
წვეთი - წვეთს, ცეცხლი ცეცხლს ემატება,
ჩამოდის წვიმა წმინდა და შავი,
შენ კი სადა ხარ, მანათობელო,
ბელადო, შენი ალით მბრწყინავით.

არლეკინი ქოროდან გამოდის როგორც კორიფე.

არლეკინი

ჩაძინებულ და თოვლიან ქუჩით
მე მივათრევდი სულელს წვალებით!
ჩემს თავზე ქროდა ცივი ნამქერი,
ჩანდა ქვეყანა მშფოთვარ თვალებით!
როგორ მინდოდა ჭაბუკურ მკერდით
ხარბად მესუნთქა, მეგრძნო ყოველი!
რომ გაზაფხულის უკაცურ ველზე
მე ვყოფილიყავ ლხინის მდომელი!
აქ ხომ არავის უნდა გაგება,
რომ გაზაფხული მწვერვალს ედება!
აქ სიყვარული არ შეუძლიათ
და სიზმრად სევდა ეიმედებათ!
შენ, გამარჯვება, შენ ჩემთანა ხარ,
მე შენ გიპოვე დიდი ხანია!
შენს გაზაფხულში მინდა ესუნთქავედე,
ოქროს სარკმელში ოდეს ქარია!

*ბტება ფანჯარაში. შორეთი, ფანჯრიდან რომ ჩანდა, ქალაღდზე და-
ხატული აღმოჩნდება. ქალაღდი გასკდა. არლეკინი ფეხებით გაფრინდა
ზევით, სიცარიელეში. ქალაღდის განახევეზე ჩანს მხოლოდ განათებული
ცა. ლამე იღევა, დილა აფართხალდა. ცისკრის ფონზე დგას ქარით ოღნაე
მოქანავე სიკედილი - გრძელ თეთრ სუღარაში, მკრთალი ქალური სახით*

და მხარზე ცელით. მისი ვერცხლისფერი პირი ბრწყინავს, როგორც გან-
ლუული მთვარე, დილით რომ კედება.

ყველა ერთიანად შიშმა მოიცვა. რაინდმა ხის ხმალზე წაიფორხილა.
ქალბატონებმა მთელ სცენაზე ყვავილები მიმოაბნინეს. უძრავად ჩახუტე-
ბული ნიღბები, როგორც ჯვარცმა კედელზე, ეთნოგრაფიული მუზეუმის
თოჯინებს დაემსგავსნენ. შეყვარებულმა ქალებმა სახე ჩამალეს ვაფების
ლაბადებში. ცის ფერი ნიღბის პროფილი წელა იკვეთება დილის ცაზე. მის
ფეხებთან შეშინებული, მუხლმოყრილი ვარდისფერი ნიღაბი ვაჟს ხელზე
ტურებით ეკონება.

თითქოსდა მინიდან ამოსულა პიერო, წელი ნაბიჯით გაივლის მთელ
სცენას და ხელებს გაიშვერს სიკედილისაკენ. და რამდენადაც უახლოე-
დება, იმდენად ცოცხლდება სიკედილის ნაკვთები. მკრთალ ღანვებზე
სინითლე აუთამაშდა. ვერცხლისფერი ცელი ქრება დილის მომფინარე
ნისლში. ცისკრის ფონზე, ფანჯრის ნიშთან, დგას წყნარი ღიმილითა და
მშვიდი სახით ლამაზი ქალიშვილი – კოლომბინა.

იმ დროს, როცა პიერო მიუახლოვდება და უნდა შეეხოს მის ხელებს,
მათ შორის ჩნდება მოზვიემე ავტორი.

ავტორი

დიდად პატივცემულო! საზოგადოებავე! ჩემი საქმე წაგებული რო-
დია! ჩემი უფლებები აღდგენილია! თქვენ ხედავთ, რომ წინალობა
დაიმსხვრა! ეს ვაუბატონი ფანჯარაში გადაეარდა! თქვენ ხდებით
ბედნიერი შეყრის მონმენი, რაც მოჰყვა ამ წყვილის ხანგრძლივ
განშორებას! მათ ბევრი ღონე შეალიეს დაბრკოლებათა დაძლეუას,
სამაგიეროდ ახლა სამუდამოდ შეერთდებიან.

ავტორს უნდა შეაერთოს კოლომბინასა და პიეროს ხელები, მაგრამ მო-
ულოდნელად მთელი დეკორაცია აფრიალდება და ზევით გაფრინდება.
ნიღბები გარბიან.

მხოლოდ ავტორი დახრილა პიეროს წინაშე, რომელიც უმწეოდ წევს
სცენაზე წითელღილებიან თეთრ ბალახონში.

თავისი მდგომარეობა რომ შენიშნა, ავტორი გამალებით გაიქცა.

პიერო

(წამოინევა – ლაპარაკობს საბრალო და მეოცნებე სახით)

შენ სად წახვედი, როგორ გავიგო?
ბედი ვერაგი როგორ გვაქროლებს,
რა დააძინებს ბედშავ პიეროს,
უნდა მოძებნოს თავი საცოლე.

(შეყოვნდება)

ახ, იგი იყო ნათლის ასული
და გაიყოლეს წკრიალა ხმებით,
მაგრამ მუყაო როცა წაიქცა,
წასკდა სიცილი გადამეტებით.

ჩვენ სიხარულით როგორ ვცეკვავდით,
როცა აქ იწვა ის ფერწასული,
იგი ხომ ფეხზე ვერ დადგებოდა,
იგი მუყაოს იყო ასული.

აი, მე ვდგავარ ფერმკრთალი სახით
და დამცინავი მომესმის ხმები.
რა მექნა! იგი დაეცა პირქვე,
მე – დარდით, თქვენ კი სიცილით კვდებით...

*შეფიქრიანებულმა პიერომ ჯიბიდან სტივირი ამოიღო და სიმღერა წა-
მოიწყო თავის ფერმიღეულ სახეზე, მძიმე ცხოვრებასა და თავის საცო-
ლე კოლომბინაზე.*

1906

უცნობი ქალი

პორტრეტზე გამოსატული იყო მართლაც უჩვეულო სილამაზის ქალი. მას სურათი გადაელო შავი აბრეშუმის, მეტისმეტად უბრალო და გამომწვევი ფასონის კაბაში. მუქი თმები შინაურულად შეეკრა. თვალები ჰქონდა ღრმა და ბნელი, შუბლი – ფიქრიანი, სახის გამომეტყველება – ვნებიანი და თითქოს ქედმაღლური. სახე გამხდარი უჩანდა, შეიძლება ითქვას – ფერმკრთალი.

დოსტოევსკი

– თქვენ როგორ გაიგეთ, რომ ეს მე ვიყავი? ადრე სადმე გინახივართ? კაცმა რომ თქვას, მე იგი სადღაც მინახავს.

– მე თქვენც მგონი სადღაც გნახეთ.

– სად? სად?

– მე თქვენი თვალები ზუსტად სადღაც მინახავს... ეს შეუძლებელია ეს მე ისე... მე ხომ აქ არასდროს არ ვყოფილვარ... შეიძლება სიზმარში...

დოსტოევსკი

მოქმედი პირები

უცნობი ქალი

ზეციერი

ვარსკვლავთმრიცხველი

პოეტი

სამიკიტნოსა და სასტუმროს კლიენტები

ორი მეეზოვე

პირველი ხილვა

ქუჩის სამიკიტნო. კანკალებს აცეტილენის ფარნის მკრთალი შუქი. შპალერზე უზარმაზარი დროშებით გამოსახულია სავსებით ერთნაირი გემები. ისინი ცხვირით შეჭრილან ცისფერ წყალში. კართან, რომელიც ხშირად იღება და კლიენტები შემოდიან, და სუროთი მორთულ დიდ ფანჯარასთან, დადიან ქურქიანი გამვლელები და თავსაფრიანი ქალიშვილები – სალამოს ცისფერ თოვლში.

დახლთან, რომელზეც დგას კასრი ქონდრის კაცთან ერთად და წარწერილია „ტოლზაპოკალი“, დგანან ორნი, სავსებით ერთმანეთს რომ ჰგვანან. ორივეს

უკეთია მწვანე წინსაფარი, აქორრილი თმები შუაზე აქვთ გაყოფილი. პატრონს უღვაში ძირს დაუშვია, ხოლო ძმას, მსახურს, ზევით აუპრიხავს. ფანჯარასთან მდგარ მაგიდას უზის მთვრალი მოხუცი – პირნაეარდნილი ვერლენი, მეორეს – პირნაეარდნილი პაუტმანი. რამდენიმე მთვრალი კომპანიონი.

საუბარი ერთ კომპანიაში

პირველი

– ეს ქურქი ოცდახუთ მანეთად ვიყიდე. შენ კი, საშკა, ოცდაათ მანეთზე ნაკლებად არ დაგითმობ.

მეორე

(დამაჯერებლად და წყნარად)

შენ ცრუობ!.. ნადი შენი... მე შენ...

მესამე

(უღვაშა ყვირის)

– გაჩუმდით! ნუ იგინებით! კიდევ ერთი ბოთლი, გეთაყვა.

მოირბენს მსახური. ისმის ლუდის ბუყბუყი. დუმილი. კუთხიდან ერთი კლიენტი წამოდგება და ბარბაცით მიდის დახლთან. ხელს აფათურებს პრიალა ჭურჭელზე დალაგებულ მოხარშულ კიბოებში.

პატრონი

– მოითმინეთ, ბატონო. ასე არ შეიძლება. თქვენ ყველა კიბოს ხელით არჩევთ. მერე ვინ შეჭამს.

კლიენტი ბურტყუნით მიდის.

საუბარი მეორე კომპანიაში

სემინარისტი

– უნდა გითხრა შენ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ იგი ცეკვავედა, როგორც ზეციური არსება. უბრალოდ მოვკიდებდი მას თეთრ ხელზე და, გეტყვი მე შენ, პირდაპირ ტუჩებში ვაკოცებდი...

თანამეინახე

(გამკივანად ხარხარებს)

- დახეთ, დახეთ, ჩვენმა ვასენკამ ოცნებებში შეცურა, განითლ-
და, როგორც ყაყაჩო! ვითომ სიყვარულის გამო?.. ა?..

ყველანი გამკივანად ხარხარებენ

სემინარისტი

(სავსებით წითელი)

- შენც გეტყვი, ჩემო საყვარელო მეგობარო, რაა სასაცილო. აი
მას ავიყვანდი, ურცხვ თვალებს მოვაშორებდი და იგი ჩემს წინ
იციკვებდა თეთრ თოვლში... ფრინველივით იფრენდა... ფრთები გა-
მომესხმებოდა და მასთან ერთად გავიფრენდი თეთრ თოვლზე...

ყველანი ხარხარებენ.

მეორე თანამეინახე

- შენ, ვასკა, გაფრთხილდი, პირველნათოვარზე ძალიან კი ვერ
გაფრინდები...

პირველი თანამეინახე

- შენთვის ყინვაში უკეთესია, თორემ შენს ტურფასთან ტალახ-
შიც კი გეამება...

მეორე თანამეინახე

- მეოცნებე.

სემინარისტი

(სავსებით გაოგნდა)

- ეჰ, ძვირფასო მეგობრებო, სემინარიაში რომ არ ვსწავლობდე,
გეტყოდით, რომ თქვენ ნაზი გრძნობებისა არაფერი გაგეგებათ.
მითუმეტეს - ლუდის მსმელისა...

ვერლენი

(ბურტყუნებს ხმამაღლა, თავისთვის)

- ყველას თავისი, ყველას თავისი.

*ჰაუპტმანი ნიშანს აძლევს მსახურს. შემოდინ წითური კაცი და თავ-
საფრიანი ქალიშვილი.*

ქალიშვილი
(მსახურს)

– ერთი ლუდი, მიშა *(თან სწრაფად ელაპარაკება კაცს)*. როგორც კი ქალი გავიდა, ჩემო კარგო, მაშინვე ხეთქა – სულ დაავინყდა დიასახლისისათვის მიენოდებინა. ახლა უკან მიანყდა, კომოდი გამოალო, ყველაფერი ამოყარა, ყველაფერი გადაქექა, ეგონა, მალე ვერ მობრუნდებოდა... ქალი, ჩემო ძვირფასო, ყვირის, ის კი, ჩემო ძვირფასო, პირს უკუმავს, აბა! დიასახლისმაც მოირბინა. ახლა ის აყვირდა, მეეზოვეს დაუძახა. ასეა, ჩემო ძვირფასო, მის უბანში *(სწრაფად წყვეტს)*... მოიტა ორშაურიანი.

კაცი დაღვრებით აწვდის ორშაურიანს.

ქალიშვილი

– ხომ არ გენანება?

კაცი

– დალიე, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

მდუმარედ სვამენ. შემორბის ახალგაზრდა კაცი და გახარებულნი ჰაუპტმანს მივარდება.

ახალგაზრდა კაცი

– კოსტია, მეგობარო, ის ქალი კარებთან დამელოდება...

ჰაუპტმანი

– კეთილი, უხამსობ კიდევ. მოდი, დავლიოთ.

ვერლენი

(ხმამალლა ბურტყუნებს)

– ყველას თავისი საქმე აქვს... და ყველას თავისი სანუხარი. შემოდის პოეტი. უხმობს მსახურს.

პოეტი

– გვიმასპინძლებ?

მსახური

(დაბადებით იუმორისტი)

– დიდი პატივია... ცნობილი პირისაგან...

გარბის ლუდის მოსატანად. პოეტმა უბის ნიგნაკი ამოიღო. სიჩუმე. აცეტილენი შიშინებს. ხრამუნებენ ბლითები. მსახურს პოეტისათვის მოაქვს ლუდი და მის პირდაპირ ჯდება სკამის ძგიდეზე.

პოეტი

– თქვენ მხოლოდ მომისმინეთ. იხეტილო ქუჩებში, დაიჭირო ორიოდ უცნობი სიტყვა, შემდეგ მოხვიდე აი აქ და სული გადმო-
უშალო სულ სხვა ვინმეს...

მსახური

– გაუგებარია, მაგრამ ფრიად ნატიფი...

სკამიდან ნამოხტება და გარბის კლოუნის ძახილზე. პოეტი ინერს ნიგ-
ნაკში.

ქალიშვილი

(ნაიმღერებს)

როგორ მიყვარს მე იგი,
ის კი სიყვარულისთვის...

მსახური პოეტთან ბრუნდება.

პოეტი

(სვამს)

– ხედავ მრავალი ქალის სახეს. ასობით თვალი, დიდი და ღრმა, ლურჯი, ბნელი, ნათელი. ბავშვურად ფართოდ გახელილი. გიყვარს, გსურს. არ შეიძლება კაცს არ უყვარდეს. და ისინი თქვენც უნდა გიყვარდეთ.

მსახური

– გისმენთ.

პოეტი

– და ამ მზერის ცეცხლში, თვალთა გრიგალში, უეცრად ჩნდება, თითქოს ცისფერ თოვლზე აყვავილდაო, ერთი სახე, ერთადერთი

მშვენიერი სახე უცნობი ქალისა, რომელსაც ბნელი ვუალი ფარავს. აი, ირხევა ბუმბულები შლიაპაზე... აი, გამხდარი ხელი, ხელთათმანით შეკრული, შრიალა კაბა...რომ უჭირავს, აი, ნელა..ჩაივლის იგი, ჩაივლის იგი...

ვერლენი

(ბურტყუნებს)

- ყველაფერი ჩაივლის, ყველას თავისი საზრუნავი აქვს.

სემინარისტი

(ენის ბორძიკით)

- იგი ცეკვავდა, როგორც ციური ანგელოსი. თქვენ კი, ეშმაკებო და ყაჩაღებო, მის ფრჩხილადაც არ ღირხართ. თუმცა, მოდი, დავლიოთ.

თანამეინახე

- მეოცნებეა. ამიტომაც სვამს. ჩვენც ყველანი მეოცნებენი ვართ. მაკოცე, ძმობილო.

ერთმანეთს ეხვევიან.

სემინარისტი

- ჩემსავით მას ვერავინ შეიყვარებს. და ჩვენ ამ თეთრ თოვლში ნალვლიან ცხოვრებას ერთად დავასრულებთ. ის იცეკვებს, მე არლანს დავუკრავ. და გავფრინდებით, ვერცხლისფერ მთვარეში გავფრინდებით. ეშმაკმა წაგილოთ, გეტყვით მე თქვენ, იქეთკენ თქვენს სულელურ, ბინძურ ცხვირს ნუ გაყოფთ, ძვირფასო მეგობრებო. და მაინც, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და დიდად გაფასებთ. ვისაც ერთი ბოთლიდან არ დაუღევია, იმას მეგობრობა არცა სცოდნია.

ყველანი ხარხარებენ.

თანამეინახე

- ვაი, შენ, ვასკა. ეს უკვე კარგადაა. ვაკოცოთ ერთმანეთს, ძმობილო.

ახალგაზრდა კაცი

(პაუტმანს)

- კი მოვა, მაგრამ მაგ ქალს ამ ყინვაში რამდენ ხანს ველოდოთ? მთლად გაიყინება. ნავიდეთ, ძმავო კოსტა.

ჰაუპტმანი

- მორჩი. თუ ქალს წააქეზებ, კაცისგან არაფერი დარჩება - მხოლოდ სახეში უნდა შეაფურთხო. დე, იუხამსოს, ჩვენ კიდევ დავიცადოთ.

ახალგაზრდა კაცმა დაუჯერა. ყველანი სვამენ და იბრუნებიან. ყვითელი, დაძენძილპალტოიანი კაცი, რომელიც ცალკე იჯდა, წამოდგება და სიტყვით მიმართავს პატივცემულ კამპანიას.

პალტოიანი კაცი

- ბატონებო! მაქვს მე ერთი პატარა ნივთი - ფრიად ფასეული მინიატურა (*ჯიბიდან კამეას ამოაძვრენს*). აი, ხომ კარგია: ერთ მხარეს გამოსახულია ემბლემა, მეორეზე - დედამინის ბურთზე მჯდარი ტუნიკიანი მშვენიერი ქალი. ხელში უჭირავს სკიპტრა: დამემორჩილეთო და მეტი - არაფერი!

ყველანი მონონებით იცინიან. ზოგიერთი მოდის და ათვალიერებს კამეას.

პოეტი

(გამომთვრალი)

- მარადიული ზღაპარია. ეს ისაა - მსოფლიოს გამგებელი. მას კეერთხი უპყრია და მსოფლიოზე მბრძანებლობს. ჩვენ გვხიბლავს იგი.

პალტოიანი კაცი

- მოხარული ვარ ვემსახურო რუს ინტელიგენციას. იაფად ვყიდი, თუმცა იაფად არ შემიძენია, მაგრამ, როგორც იტყვიან, მეგობრობის გულისთვის. ვხედავ, რომ მოყვარული ხართ. მაშ, მომეცით ხელი.

პოეტი აძლევს მონეტას. ართმევს კამეას და ათვალიერებს. პალტოიანი კაცი თავის ადგილს უბრუნდება. საუბარი გრძელდება მხოლოდ ორს შორის, რომლებიც ცალკე მაგიდას უსხედან.

პირველი

(იღებს იუმორისტულ ჟურნალს)

- ახლა კი მოვიდა ჩვენი მხიარულების დრო. აბა, ვანია, მისმინე (საზეიმოდ აფრიალებს ჟურნალს და კითხულობს): „მოსიყვარულე მეუღლენი. ქმარი: შენ, გენაცვალე, დღეს დედილოს შეუარე და თხოვე“

წინასწარ საძაგლად ხარხარებს.

მეორე

- დახე, ეშმაკმა წაგიღოს - კარგი რამ არის.

პირველი

(განაგრძობს კითხვას)

- „და თხოვე მას... კატენკას თოჯინა აჩუქოს“

საშინლად ხარხარებს.

პირველი

(კითხულობს)

- „ცოლი: რას ამბობ, ძვირფასო! კატენკა მალე ოცი წლის გახდება (სიცილისგან კითხვა უჭირს). მაგას უკვე თოჯინა კი არა, დროა საქმრო აჩუქო“.

გამაყრუებელი ხარხარი

მეორე

- ეს კი მაგარია!

პირველი

- მართლაც რომ მოუჭრა!

მეორე

- ეშმაკმა დალახეროს, მარჯვედ წერენ!..

და ისევ მარტოხელა კლიენტი ხელს აფათურებს ჭურჭელში. მარწუხით იღებს წითელ კიბოებს. იჭერს და აწყობს. პატრონმა იგი ისევ გააგდო.

პოეტი

(ათვალისწინებს კამეას)

- მარადიული დაბრუნება. იგი ისევ განაახლებს დედამინას. ჩვენ ხელახლა დავემორჩილებით მის მიზიდულობას. აი, იგი ატრიალებს თავის ამწვანებულ კვერთხს. აი, იგი მატრიალებს მე... და მე მასთან ვტრიალებ... ცისფერ, სალამოს თოვლში...

სემინარისტი

- ცეკვავს... ცეკვავს... მე არღანზე, ის არღანთან (*მთვრალივით მოძრაობს, თითქოს რაღაცას იჭერს*). ვერ დაგიჭირე, აი, ისევ ვერ დაგიჭირე, მაგრამ, წყეულნო, ვერც თქვენ დაიჭერთ, თუ მე ვერ მოვიხელთე...

ნელა, თანდათან დატრიალდება სამიკიტნოს კედლები. ჭერი გადაწეა, ერთი ბოლო უსასრულოდ მაღლა გაიწეა. როგორც ჩანს, გემები შპალერზე ახლოს ცურავენ, მაგრამ ვერ მოცურეს. საერთო არეულ ლაპარაკში პალტოიანი კაცი, რომელიც უკვე ვიღაცას მიტმასნია, ყვირის.

პალტოიანი კაცი

- არა-ს, მე მოყვარული ვარ! მიყვარს ცხარე ყველი, აი ასეთი, მრგვალი! (*მრგვლად შემოხაზავს*). სახელი დამავინყდა.

მისი თანამოსაუბრე

(*გაუბედავად*)

- თქვენ... გაგისინჯავთ?

პალტოიანი კაცი

- რას ჰქვია, არ გამისინჯავს? თქვენ ფიქრობთ, არა? მე რომეფორიც მიჭამია!

თანამოსაუბრე

(*ქვეშ სკამი ერყვია*)

- ისეთი ცუდი სუნი უდის... და ისე ღვივის, ღვივის...

თქვენ იცით... ლუქსემბურგული...

(*ტუჩებს აცმაცუნებს, თითებს ათამაშებს*).

პალტოიანი კაცი

(*დგება აღფრთოვანებული*)

თანამოსაუბრე

(თვალებს ახამხამებს და ეჭვობს)

- აბა, ამით ნუ გაოცდებით...

პალტოიანი კაცი

(ხმამაღლა, როგორც თოფის ზალპი)

- ვერ მოგართვი!

თანამოსაუბრე

- ეს... ეს... იცით...

პალტოიანი კაცი

(მუქარით)

- რა იცით?

თანამოსაუბრე

(დაზაფრული)

- ყველაფერი ბრუნავს, თითქოს ახლავე გადმოტრიალდებოდ. შპალერზე გემები დაცურავენ აქაფებულ ცისფერ წყალში. ერთ ნუთს თითქოს ყველაფერი აყირავდა.

ვერლენი

(ბურტყუნებს)

- ყველაფერს თავისი წესი აქვს... და დროა ყველა სახლში წავიდე...

პაუპტმანი

- ჩათლახია ეგა და დე ინანნალოს! ჩვენ კი დავლიოთ!

ქალიშვილი

(კაცს ყურში ჩამღერის)

- მშვიდობით, ჩემო სასურველო...

სემინარისტები

- თოვლი ცეკვავს. და ჩვენც ვცეკვავთ. ტირის არღანი და მეც ვტირივარ. და ჩვენც ვტირით ყველანი.

პოეტი

– ბრუნავს ცისფერი თოვლი. ნელა ეცემა. ლურჯი თვალები. სქელი ვუალი. ნელა ჩაივლის იგი. ცა იხსნება.

გამომეცხადე!

მთელმა სამიკიტნომ თითქოს სადღაც ჩაყვინთა. კედლები იშლება. საბოლოოდ გადაქცეული ჭერიდან იშზირება ზამთრის ზეცა – ცივი და ლურჯი. საღამოს ცისფერ თოვლში იხსნება –

მეორე ხილვა

– იგივე საღამო. ქუჩის დასასრული ქალაქის განაპირას. ბოლო სახლები, მოულოდნელად რომ წყდება, ნარმოაჩენენ ვრცელ სივრცეს: ბნელი, უდაბური ხიდი დიდ მდინარეზე. ხიდის ორივე მხარეს თვლებში წყნარი გემები სასიგნალო შუქით. ხიდთან გაჭიმულა უსასრულო, ისარივით სწორი ხეივანი, რომელსაც მწკრივად გასდევენ ფარნები და თეთრად შეჭირბლული ხეები. ჰაერში ფარფატებს და ვარსკვლავობს თოვლი.

ვარსკვლავთმრიცხველი

(ხიდზე)

ავსებულია ცა ვარსკვლავებით
და თვალნი ელავს მხოლოდ ორი ფრთა,
ნისლს დაუფარავს ირმის ნახტომი
თუ ვარსკვლავთ გუნდი ძირს ჩამოფრინდა.
მოგენისლება თვალები ფრთხილი,
ნეტავ ეინ არის ეს გალემილი?

ორი მეეზოვე მიათრეეს მთვრალ პოეტს.

გამმაგებული მეეზოვეები

სამიკიტნოს კლიენტია,
გაეუსნორდეთ უნდა გულით!
აბა, ვანკა, ნკიპურტი და
აბა, ვასკა, მუჯღუგუნი!

პოეტს შორს მიათრევენ

ვარსკვლავთმრიცხველი

ყველა ვარსკვლავზე თვალისმომჭრელი
ჩნდება ახალი მნათობი ცაზე,
დამდორებულა შავბნელი წყალი
და ირეკლება ვარსკვლავი წყალზე.
ცას მონყდა იგი, გაკვეთა ბინდი,
აქეთ და აქეთ, აქეთ მოფრინდი!

ცაზე რკალი ნელა შემოხაზა და დაიგრაგნა კაშკაშა, მძიმე ვარსკვლავი. ერთი ნუთის შემდეგ ხიდზე გაივლის ლამაზი ასული შავი, საოცრად ფართო თვალთა მზერით. ქალი მიაცივდება ხიდის მოაჯირს, რომელსაც ჯერაც შერჩენია ავი პრიალი. მარად ნორჩი თოვლი მხრებზე ეფინება, ეშვება ტანზე. ის ქანდაკებასავით გარინდულა ასეთივე ცისფერი, ასევე თოვლში ხეივნიდან ხიდზე ამოდის, ასეთივე ლამაზი. იგი ირხვეა, როგორც წყნარი, ლურჯი ალი.

ზეციერი

შემომხედე, გაფანტულა
ვიდრე ზამთრის ლამის ბური,
მე მაჩუქე თოვლის ქულა,
ფანტელების შარიშური.

ქალის მას მიაპყრობს მზერას.

უცნობი ქალი

თვალეები ხომ ვარსკვლავია
მომაკვდავი, დაცემული.
შენზე ნუხდა ცის ლაჟვარდში
ლურჯად მქროლი ჩემი სული.

ვაჟის ცისფერი ლაბადა მოოჭვილია თოვლის ვარსკვლავებით.

ზეციერი

შენს სილურჯეს, ყინულოვანს,
ვარსკვლავები ასევია,
ჩემს ხელებთან მოელვარე
ბასრი ხმალი ასვენია.

უცნობი ქალი

მიანებე მოელვარე
შენ ფოლადის მახვილს თავი.
ჩემს სილურჯეს, ყინულოვანს,
დასევია ზღვა ვარსკვლავი.

*ზეციერი თვლემს მკრთალ შუქზე. ლაბადის ფონზე მას შუქი ანათებს,
თითქოს ხმაღს დაყრდნობიაო.*

ზეციერი

საუკუნენი სიზმრებივით თვალს მიეფარა,
დიდხანს გელოდი მე ამ მინაზე.

უცნობი ქალი

საუკუნენი ნუთებივით თვალს მიეფარა,
მე მივცურავდი ვარსკვლავად ცაზე.

ზეციერი

შორეულ ციდან გამომკრთალ სხივად
შენ ციმციმებდი ჩემს ლაბადაზე.

უცნობი ქალი

მე ჩამყურებდი თვალებში, მაგრამ
შენ თუ გიყვარდა ზეცისკენ მზერა.

ზეციერი

არ ძალმიძს მეტად თვალთა აპყრობა,
შენ რომ დაცემულს გხედავ მინაზე.

უცნობი ქალი

რატომ არ მეტყვი მინიერ სიტყვას,
ანდა რადა ხარ ასე ცისფერი?

ზეციერი

მე ცას ვუმზერდი და ამიტომაც
მაქვს თვალები და ლაბადა ლურჯი.

უცნობი ქალი

- ვინ ხარ?

ზეციერი

- პოეტი.

უცნობი ქალი

- რაზე მღერისხარ?

ზეციერი

- მხოლოდ შენ გიმღერ.

უცნობი ქალი

- დიდხანს მელოდი?

ზეციერი

- ათასწლეული.

უცნობი ქალი

- შენ ცოცხალი ხარ?

ზეციერი

- არ ვიცი.

უცნობი ქალი

- შენ ახალგაზრდა ხარ?

ზეციერი

- მე ლამაზი ვარ.

უცნობი ქალი

ძირს დაცემული ქალი-ვარსკვლავი
შენგან მოველი მინიერ სიტყვას.

ზეციერი

მე იდუმალი სიტყვები ვიცი,
მე მოზვიმე სიტყვები ვიცი.

უცნობი ქალი

– შენ თუ გსმენია ჩემი სახელი?

ზეციერი

– არა, არც მინდა, რომ გავიგონო.

უცნობი ქალი

– თუ დაგინახავს ჩემი თვალები?

ზეციერი

– ვხედავ, ისინი ვარსკვლავებს ჰგვანან.

უცნობი ქალი

– გინახავს ჩემი ნერწყვი ტანი?

ზეციერი

– ვხედავ, რომ არის თვალისმომჭრელი.
ქალის ხმაში მინიერი ვნება ილვიძებს.

უცნობი ქალი

– შენ შეგიძლია, რომ მომეხვიო?

ზეციერი

– მე შეხებასაც ვერ გაგიბედავ.

უცნობი ქალი

– შენ შეგიძლია ბაგით შემეხო.

ზეციერის ლაბადა ირხევა და თოვლში ქრება.

უცნობი ქალი

– შენ იცი ვნება?

ზეციერი

(ჩუმად)

- ჩემი სისხლი ხომ მდუმარეა.

უცნობი ქალი

- შენ იცი ლეინო?

ზეციერი

(უფრო ნუნარად)

- ლეინოსა სჯობს ვარსკვლავთ სასმელი.

უცნობი ქალი

- შენ თუ გიყვარეარ?

ზეციერი დუმს.

უცნობი ქალი

- სისხლი მღერის ჩემს არსებაში.

სიჩუმე.

უცნობი ქალი

ავსილი არის ეს გული გესლით,

თქვენს ქალწულებზე უფრო მეტად მე ვარ ტანადი,

თქვენს ასულებზე უფრო მეტად მე ვარ ლამაზი,

თქვენს პატარძლებზე უფრო მეტად ვარ ცნებიანი.

თოვლით დაფარული ზეციერი თვლებს.

უცნობი ქალი

- რარიგ ტკბილია ყოფნა მინაზე.

ზეციერი აღარ ჩანს. დატრიალდა თოვლის ცისფერი სვეტი, თითქოს ამ ადგილზე არც არავინ ყოფილაო. სამაგიეროდ უცნობ ქალს გვერდით მიმავალი ბატონი ქვაბუნა ქუდს აუნევს.

ბატონი

თქვენ აქ ვისთან საუბრობდით,

რომ ვერავის ვერა ვხედავ.

ამ სივრცეში ნაზად უღერდა

მშვენიერი თქვენი ხმები...

უცნობი ქალი

– ის სად არის?

ბატონი

უეჭველად
თქვენ ვილაცას მოელოდით!
ის ვინ იყო, თქვენთან მდგარი
უხილავი მეგობარი?...

უცნობი ქალი

იგი იყო სილამაზე,
შემოსილი ცის ლაბადით.

ბატონი

რომანტიკა ქალის სულის!
ქუჩაში თუ შეგინიშნავთ
მამაკაცი ლურჯ ლაბადით?
სახელი თუ გაგახსენდათ?

უცნობი ქალი

– ის თავს პოეტს უწოდებდა.

ბატონი

მაგრამ მეც ხომ პოეტი ვარ?
პოეტი ვარ და რომ ვხედავ
თქვენს მომხიბლველ, ლამაზ თვალებს
შემიძლია, რომ გიმღეროთ
ეს კუპლეტი: „რა კარგი ხართ“?

უცნობი ქალი

– შენ გინდა, რომ შეგიყვარო?

ბატონი

– დიახ, თუნდაც სულ ახლავე!

უცნობი ქალი

- შეგიძლია მომეხვიო?

ბატონი

მსურს ვიცოდე, შემოხვევა
თუ რატომ არ შემიძლია.

უცნობი ქალი

- ტუჩებით რომ მომეფერო?

ბატონი

ნამო, ჩემო მშვენიერო!
„შევასრულებ შენს ბრძანებას“,
როგორც უთქვამს მოხუც შექსპირს...
შენ ხომ ხედავ, პოეზია
ჩემთვის უცხო რომ არ არის!

ბატონი

- შენ რა გქვია?

უცნობი ქალი

დამაცადე,
მოვიგონო, ვარსკვლავეთში
მე სახელი არა მქონდა...
მაგრამ ახლა, ლურჯ მინაზე
უნდა მერქვას „მარიამი“...
დამიძახე - „მარიამი“.

ბატონი

როგორც გინდა, მშვენიერო,
მხოლოდ მისთვის, რომ ღამეში
უფრო კარგად გეჩუროჩულო.

*მიჰყავს უცნობი ქალი. მათ კვალს შლის ცისფერი თოვლი. ვარსკვლავ-
თმრიცხველი ისევ ხიდზე დგას. იგი მონყენილია. ხელს გაიწვდის ცისკენ
და მზერას აღაპყრობს.*

ვარსკვლავთმრიცხველი

არ არის უფრო მშვენიერი ვარსკვლავი!
ცარიელია ლურჯი უფსკრული!
მე დაეკარგე ჩემი ასტრალური
სიმღერების რიტმი!
ამიერიდან ჩემს სმენას სჭრის
მნათობთა მოზრიალე სიმღერები!
დღეს ჩემს კოშკში
მნუხარე ხელით შევიტან
გრძელ გრაგნილებში
ცნობას უნათლესი ვარსკვლავის დაცემაზე...
და წყნარად უნდა დავარქვა მას
შორეული სახელი,
სმენას რომ ელამუნება:
„მარიამი“ – დე, ეს იყოს მისი სახელი.
ყვითელ გრაგნილებში
აღიბეჭდება
ჩემი ეული ხელით:
„დაეცა მარიამი – ვარსკვლავი,
ან ის თვლებში მე ვერ ჩამხედავს
და მარტო რჩება ვარსკვლავთმრიცხველი“!

წყნარად ტირის. პოეტი ხეივნიდან ხიღზე გადმოდის.

პოეტი

გაფიცვებთ ყველანმინდას!
თქვენს სევდას!
თქვენს საცოლეს,
თუ გყავთ საცოლე!
მითხარით, იყო თუ არა აქ
შავით მოსილი მაღალი ქალი?

ვარსკვლავთმრიცხველი

ხეპრეებო! მომწყდით თავიდან!
მე არ მინახავს ქალი მას შემდეგ,
რაც რომ დაეცა ჩემი ვარსკვლავი!

პოეტი

მე მესმის თქვენი სიმძიმილი.
მეც თქვენებრ მარტოხელა ვარ.
თქვენც, მართალია, ჩემსავით პოეტი ხართ.
შემთხვევით, ხომ არ გინახავთ
უცნობი ქალი ცისფერ თოვლში?

ვარსკვლავთმრიცხველი

არ მახსოვს. აქ ბევრი დადის
და ძალიან სანყენია,
.....თუ ვერ ვიცანი.

პოეტი

ო, ის რომ გენახათ,
თქვენს ვარსკვლავს დაივინყებდით!

ვარსკვლავთმრიცხველი

თქვენ ვარსკვლავებზე ნუ ილაპარაკებთ,
მეტისმეტად ჭკუათხელი ხართ
და მე გეტყოდით,
რიმ ჩემს პროფესიაში ცხვირს ნუ ჰყოფთ!

პოეტი

ყველა ნყენას ავიტან თქვენგან!
დამერწმუნეთ, თქვენზე არანაკლებ
დამცირებული ვარ...
ო, ერთი მთვრალი არ ვყოფილიყავი,
მის კვალს გავყვებოდი!
მაგრამ ორნი მიმათრევენ,
როცა მე იგი შევნიშნე...
შემდეგ ნამქერში დავეცი,
ისინი გინებით ნავიდნენ,
ეგონათ, რომ გადამაგდეს...
არ მახსოვს, დიდხანს თუ მეძინა...
გალვიძებულს გამახსენდა,
რომ თოვლმა დაფარა მისი ნაზი კვალი!

ვარსკვლავთმრიცხველი

შემიძლია ბუნდოვნად მოვიგონო
ეს სამწუხარო ამბავი თქვენთვის:
ნამდვილად თქვენ მიგათრევდნენ,
არც მუჯღუგუნებს გაკლებდნენ,
თქვენ ბარბაცებდით...
შემდეგ მე მახსოვს სიზმარში
როგორ გამოჩნდა ხიდზე მანდილოსანი
და მასთან მივიდა ზეციერი ბატონი...

პოეტი

– ო, არა!.. ზეციერი ბატონი...

ვარსკვლავთმრიცხველი

არ ვიცი, ისინი რას ლაპარაკობდნენ,
მე მათ აღარ ვუყურებდი.
შემდეგ, ეტყობა, ისინი ნავიდნენ...
მე ისეთი დარდი მქონდა...

პოეტი

და თოვლმა დაფარა მათი კვალი!..
მე მას ანი ვერ შევხვდები!..
ასეთი შეხვედრა შეიძლება
სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ...
ორივენი ტირიან ცისფერ თოვლში.

ვარსკვლავთმრიცხველი

ღირს ამაზე ტირილი?
ჩემი მწუხარება უფრო ღრმაა:
მე დაეკარგე ასტრალური რიტმი!

პოეტი

მე სულის რიტმი დაეკარგე.
ვფიქრობ, ეს უფრო მნიშვნელოვანია.

ვარსკვლავთმრიცხველი

მნუხარედ შევა ჩემს გრაგნილში –
„დაეცა ვარსკვლავი – მარიამი“.

პოეტი

მშვენიერი სახელია: „მარიამი“!
მე დავწერ ლექსად:
„სად ხარ, მარიამ,
ჩემთვის დაბნელდა ყველა ცისკარი“.

ვარსკვლავთმრიცხველი

თქვენი მნუხარება გაივლის!
ოლონდ თქვენ ლექსები უნდა წეროთ,
რაც შეიძლება გრძელი!
მაშინ რალაზე უნდა იტიროთ?

პოეტი

ხოლო თქვენ, ბატონო ვარსკვლავთმრიცხველო,
საკმარისია თქვენს გრაგნილებში
სტუდენტების სასარგებლოდ ჩანეროთ:
„დაეცა მარიამი – ვარსკვლავი“.

*ორივენი ნაღვლობენ ცისფერ თოვლში. ქრებიან მასში. და თოვლიც
ნაღვლობს. უკვე მოფიფქულია ხიდიც და გემებიც. თოვლმა ააშენა თეთ-
რი კედლები ხეებზე, სახლებზე, ტელეგრაფის მავთულებზე. ყველაფერი
თეთრად დაიფარა, გემების სასიგნალო შუქისა და სახლების განათებუ-
ლი ფანჯრების გარდა. თოვლიანი კედლები გამკვრივდა, ერთმანეთს და-
უახლოვდა. ნელა იხსნება –*

მესამე ხილვა

*თეთრკედლებიანი დიდი სასტუმრო ოთახი. ანათებს კაშკაშა ელექტრუ-
ლი ლამპები. წინა კარი ღიაა. დაბალი ზარი ხშირად იუნყება სტუმრების
მოსვლას. დივნები, სკამები და სავარძლები უკვე დაუკავებიათ მასპინ-
ძელსა და სტუმრებს. დიასახლისი – ხანდაზმული ქალბატონი სარგადაფ-
ლაპულს ჰგავს. წინ – კალათი ბისკვიტებით, ვაზა – ხილით და ცხელი ჩაი.
საპირისპირო მხარეს მოსულელო სახის მოხუცი იღვჭება და ხერვას.*

კობტა სმოკინგინი ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს სხვა ქალბატონებთან, ნაწილი კუთხეში გროვდება. უაზრო ლაპარაკის ბუნუნია.

სახლის პატრონი ყველას წინკარში ეგებება და თითოეულს გახევებული ხმით უყვირის: „ა-ა-ა!“ და შემდეგ რაღაც უმსგავსოს ეუბნება.

ამ წუთშიც ამითაა დაკავებული.

სახლის პატრონი

(წინკარში)

– ა-ა-ა! როგორ შეფუთნულხარ, ძამია!

სტუმრის ხმა

– უნდა მოგახსენოთ, რომ ცივა! ქურქშიც კი გავიყინე!

სტუმარი ცხვირს იხრცავს. ასე რომ, საუბარი დამთავრდა. ისმის, მასპინძელი როგორ კონფიდენციალურად ეკითხება სტუმარს:

მასპინძელი

– სად კერავენ?

სტუმარი

– შევალისთან.

კარიდან გამოჩრდილა მასპინძლის სერთუკის ზურგის კალთა.

მასპინძელი

– რამდენი მიეცით?

სტუმარი

– ათასი.

დიასახლისი, საუბარი რომ მიჩქმალოს, ყვირის:

დიასახლისი

– ძვირფასო ივან პავლოვიჩ! მოდით ჩქარა! სწორედ თქვენ გელოდით! აი არკადი რომანოვიჩი დაგვპირდა, რომ დღეს ჩვენთვის იმღერებს!

დიასახლისთან მისული არკადი რომანოვიჩი აკეთებს სხვადასხვა ჟესტს, რათა გამოხატოს, რომ ის თავის თავზე მაღალი აზრის სულაც არ არის.

დიასახლისი *წესტებით ცდილობს სანინა აღმდეგოს თქმას.*

ჟორჟი

(ახალგაზრდა)

- სავსებით უაზრობაა შენი სერპანტინი, მიშა. გუშინ როგორ ურცხვად ცეკვავდა.

მიშა

(ახალგაზრდა)

- შენ, ჟორჟ, სწორად ვერაფერს ვერ იგებ! მე მთელი არსებით შეყვარებული ვარ. ეს ისე, ჩვენთვის. გახსოვდეს, მას აქვს სავსებით კლასიკური ფიგურა - ხელები, ფეხები...

ჟორჟი

- მე იქ იმიტომ მივედი, რომ ხელოვნება მენახა. თორემ ფეხების ნახვა სხვა ადგილასაც შემეძლო.

დიასახლისი

- თქვენ მანდ რაზე დაობთ, გიორგი ნიკოლაევიჩ? ახ, სერპანტინზე? როგორი საშინელებაა, არა? ჯერ ერთი - მუსიკის ინტერპრეტაცია - ეს უკვე თავხედობაა. მე ისე გატაცებით მიყვარს მუსიკა, რომ არაფრით, არაფრით არ დაუშვებ მის შებღალავას. შემდეგ - ცეკვა კოსტუმის გარეშე - ეს... ეს მე არ ვიცი რასა ჰგავს! მე მიმყავს ჩემი ქალიშვილი.

ჟორჟი

- სავსებით გეთანხმებით. მიხაილ ივანოვიჩი კი სულ სხვა აზრისაა...

დიასახლისი

- მიხაილ ივანოვიჩ, რას ამბობთ! ჩემი აზრით, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს! მე მესმის, ახალგაზრდებს სჩვევიათ გატაცება, მაგრამ საჯარო კონცერტზე... როცა ფეხებით გამოსახავენ ბახს... მე თავად მუსიკოსი ვარ... მუსიკით ვარ გატაცებული... როგორც გნებავდეთ...

უცებ მოხუცმა, მასპინძლის პირდაპირ რომ იჯდა, ისროლა:

მობუცი

– საროსკიპო!

აგრძელებს ჩაის სმას და ბისკვიტის ლეჭვას. დიასახლისი წითლდება და მიუბრუნდება ერთ-ერთ ქალბატონს.

მიშა

– ეჰ, ჟორჟ, შენ არაფერი არ გესმის! განა ეს მუსიკის ინტერპრეტაციაა? თვით სერპანტინი მუსიკის განსახიერებაა. ის მიცურავს ხმების ტალღებზე და თითქოს თავადაც მიცურავ. ნუთუ სხეული, მისი ნაკვთები, მისი ჰარმონიული მოძრაობა თავისთავად არ მღერის? ის, ვინც ჭეშმარიტად გრძნობს მუსიკას, ამის გამო თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობს. თქვენ მუსიკას განყენებულად უყურებთ...

ჟორჟი

– მეოცნებე! დაახვია მანქანა. აშენებ რაღაც თეორიებს და არ გესმის არაფერი, ვერც ვერაფერს ხედავ. მე მუსიკაზე არც ვლაპარაკობ. ბოლოსდაბოლოს – მიმიფურთხებიან. კაი იქნებოდა ეს ყველაფერი მენახა ცალკე კაბინეტში. მაგრამ დამეთანხმებით, თუ არ გამოცხადდება აფიშაზე, რომ სერპანტინი იქნება ჩეარში გახვეული – ყველა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. რომ მცოდნოდა, იქ ჩემს საცოლეს როგორ ნავიყვანდი (დაბნეული მიშა ხელს ურევს ბისკვიტიან ქალათში). მისმინე, მოეშვი ბისკვიტებს. ხომ საზიზღარია, თუ ყველას ხელით გასინჯავ. შეხედე, როგორ გიყურებს ბიძაშვილი. ეს იმიტომ, რომ შენ დაბნეული ხარ. ეჰ, მეოცნებენი.

შერცხვენილი მიშა ბურტყუნით გაიძურნა სხვა კუთხეში.

მობუცი

(მოულოდნელად, დიასახლისს)

– ნინა! წყნარად იჯექი. შენ კაბა ზურგზე გაგხსნია.

დიასახლისი

(აენტო)

– გეყოფა, ბიძია. ყველასთან ასე არ შეიძლება! თქვენ მეტისმეტად... გულახდილი ხართ...

ცდილობს შეუმჩნეველად შეიკრას კაბა. ოთახში შემოფრთხილდება ახალგაზრდა მანდილოსანი. მას მოჰყვება უზარმაზარი ნითური ბატონი.

მანდილოსანი

- ახ, გამარჯობათ, გამარჯობათ! ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი საქმრო.

ნითური ბატონი

- ძალიან სასიამოვნოა.

მოდუშული მიდის კუთხეში.

მანდილოსანი

- გეთაყვა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ძალიან მორიდებულია. წარმოიდგინეთ, როგორი შემთხვევაა!..

აჩქარებული სვამს ჩაის და დიასახლისს რაღაც პიკანტურ ამბავს ეჩურჩულება, რაც იქედან ჩანს, რომ ორივენი დივანზე ცმუტავენ და ხითხითებენ.

მანდილოსანი

(უცებ საქმროს მიუბრუნდება)

- შენა გაქვს ჩემი ცხვირსახოცი?

საქმრო ამოაძვრენს ცხვირსახოცს.

მანდილოსანი

- შენ რა, მოინყინე?

ნითური ბატონი

(მოულოდნელად უკმეხად)

- იმლერე, ან ხმა ჩაინყვიტე!

დუმან. მღეროან. შემორბის ახალგაზრდა კაცი და მეორეს სიხარულით ეცემა. ადვილად იცნობთ, რომ ამ უკანასკნელმა წაიყვანა უცნობი ქალი.

ახალგაზრდა კაცი

- კოსტია, მეგობარო, ის ქალი კარებთან გელო...

ნახევარსიტყვაზე ენა დაებმება. ყველაფერი უჩვეულოდ უცნაური ხდებ-

ბა. თითქოს ყველამ მოულოდნელად გაიხსენა, რომ სადღაც უთქვამთ იგივე სიტყვა, იმავე თანმიმდევრობით. მიხაილ ივანოვიჩი უცნაური თვალეზით უყურებს პოეტს, რომელიც ამ წუთს შემოდის. პოეტი ოთახის კარებიდან ყველას ესალმება.

დიასახლისი

(დაძაბული მზერით)

– სწორედ თქვენ გელოდით. იმედი მაქვს, რაიმეს წაგვიკითხავთ. დღეს უჩვეულო საღამოა. ჩვენი მშვიდობიანი საუბარი არ ეწყობა.

მობუცი

(წამოისროლა)

– წამდვილად ვილაც მოკვდა. უფალს სული მიაბარა.

დიასახლისი

– ახ, ბიძაჩემო, მოეშვით! თქვენ ყველას გვაბნევთ... ბატონებო! განვაახლოთ ჩვენი საუბარი... (პოეტს). თქვენ ხომ წაგვიკითხავთ რაიმეს?

პოეტი

– სიამოვნებით... თუ ეს საჭიროა...

დიასახლისი

– ბატონებო! ყურადღება! ჩვენი მშვენიერი პოეტი წაგვიკითხავს ახალ მშვენიერ ლექსს, ვიმედოვნებ, ისევ მშვენიერ ქალბატონზე... ყველანი გაჩუმდნენ. პოეტი კედელთან დგება, წინკარის პირდაპირ და კითხულობს.

პოეტი

ელაედა სველი სახურაეები
და ფილაქანებს თოვლი გასცილდა,
როცა ტაძარში, ბნელში ნიშასთან,
თვალმარგალიტი მისი გაბრწყინდა.
ხატებთან ნაზი ვარდებით ხელში
მან ჩაიარა წყნარ ნაბიჯებით...

ნელი ზარი წინკარში. დიასახლისი ვედრებით ხელს გაიშვერს პოეტისაკენ. იგი წყვეტს კითხვას. ყველა ცნობისმოყვარედ წინკარისაკენ იყურება.

მასპინძელი

– ახლავე. ბოდიშს გიხდით.

გადის წინკარში. მაგრამ იქ „ა-ა-ა“-ს როდი ყვირის. დუმს.

მასპინძლის ხმა

– რითი შემოდლია გემსახუროთ?

ქალის ხმა რაღაცას პასუხობს. მასპინძელი ზღურბლზე გამოჩნდება.

მასპინძელი

– ნინოჩკა. ვილაც მანდილოსანია. ვერაფერი გამირკვევია. ალბათ შენთანაა. უკაცრავად, ბატონებო, უკაცრავად...

შეცბუნებული იქეთ-აქეთ იღიმება. დიასახლისი გადის წინკარში და კარს გაიხურავს. სტუმრები ჩურჩულებენ.

ახალგაზრდა კაცი

(კუთხეში)

– ეს შეუძლებელია...

მეორე

(მას ეფარება)

– მე შენ გარნმუნებ... აი სკანდალი!.. მე გავიგე მისი ხმა...

პოეტი გაუნძრევლად დგას კარების პირდაპირ. კარები იღება.

დიასახლისის შემოპყავს უცნობი ქალი.

დიასახლისი

– ბატონებო, სასიამოვნო სიურპრიზი. ჩემი მომხიბლველი ახალი ნაცნობი. იმედი მაქვს, მას სიხარულით მიიღებთ ჩვენს მეგობრულ წრეში. მარიამი... მე ხომ არ მომესმა, რა გქვიათ?

უცნობი ქალი

– მარიამი.

დიასახლისი

- მაგრამ... მამის სახელი?

უცნობი ქალი

- მარიამი. მე მარიამი მქვია.

დიასახლისი

- კარგი, გენაცვალე. მე შენ დაგარქმევ მერის. თქვენ ცოტა ექსცენტრული ხართ, არა? მაგრამ მით უფრო მხიარულად გავატარებთ დღევანდელ საღამოს ჩვენს ძვირფას სტუმრებთან. ხომ ასეა, ბატონებო!

ყველა შეცბუნებულია. უხერხული დუმილი. მასპინძელი შენიშნავს, რომ ერთ-ერთი სტუმარი წინკარში გაიპარა და მისკენ მიდის. ისმის საბოლოო ჩურჩული, სიტყვები: „ვერაა მთლად კარგად“. პოეტი უძრავად დგას.

დიასახლისი

- იქნებ ჩვენმა მშვენიერმა პოეტმა გააგრძელოს შეწყვეტილი კითხვა? ძვირფასო მერი, როცა თქვენ შემოხვედით, სწორედ მაშინ ცნობილი პოეტი ჩვენ გვიკითხავდა... ჩვენ გვიკითხავდა...

პოეტი

- მაპატიეთ. ნება მომეცით სხვა დროს ნაგიკითხოთ. უკაცრავად. უკმაყოფილებას არავინ არ გამოხატავს. პოეტი მიდის დიასახლისთან, რომელიც ცოტა ხანს ფესტებით ეხეწება, მაგრამ მალე ჩერდება. პოეტი მშვიდად ჯდება შორეულ კუთხეში. შეფიქრიანებული უყურებს უცნობ ქალს.

მოახლეს მოაქვს, რაც საჭიროა. საერთო უაზრო საუბრიდან გამოიჭრება ხარხარი, ცალკეული სიტყვები და მთელი ფრაზები:

- არა, მაინც როგორ ცეკვავდა! უყურე შენი რუსული ინტელიგენცია...

ვილაც

(განსაკუთრებით ხმამაღლა)

- თქვენ არც დაგიჭერთ! თქვენ არც დაგიჭერთ!

პოეტი ყველას მიავიწყდა. ის ნელა დგება თავისი ადგილიდან. შუბლზე ხელს გადაისვამს. რამდენიმე ნაბიჯს წინ გადადგამს. სახეზე ეტყობა, რომ წვალებით რალაცას იგონებს. ამ დროს საერთო საუბრიდან ისმის:

როკფორი", -კამაბერი". უცებ მსუქანი კაცი საშინელი ფესტიკულაციით გამოხატება ოთახის შუაგულში და ყვირის:

- ვერ მოგართვი!

პოეტი მყისვე ჩერდება. ნამიერად მოეჩვენა, რომ ყველაფერი გაახსენდა. რამდენიმე ნაბიჯს სწრაფად გადადგამს უცნობი ქალისაკენ. წინ ელობება ვიცმუნდირიანი ვარსკვლავთმრიცხველი, წინკარიდან გამოსული.

ვარსკვლავთმრიცხველი

- მაპატიეთ. მე ვიცმუნდირი მაცვია და დამაგვიანდა. პირდაპირ სხდომიდან მოვდივარ. მოხსენება წაეკითხე. ასტრონომია...

თითს მალლა აიშვერს.

მასპინძელი

(მიუახლოვდება)

- აი, ჩვენც სწორედ ახლა ვლაპარაკობდით გასტრონომიაზე. ნინოჩკა, ხომ არ გვევახშმა?

დიასახლისი

(დგება)

- ბატონებო, გთხოვთ.

ყველა მას მიჰყვება. ჩაბნელებულ ოთახში მცირე ხნით რჩებიან უცნობი ქალი, ვარსკვლავთმრიცხველი და პოეტი. პოეტი და ვარსკვლავთმრიცხველი კარებში დგანან, მზად არიან წასასვლელად: უცნობი ქალი ყოვნდება სიღრმეში, ბნელ, ნახევრადღია ფანჯრის ფარდასთან.

ვარსკვლავთმრიცხველი

- ჩვენ ისევ მოგვიხდა თქვენთან შეხვედრა. მე ძალიან მიხარია. მაგრამ პირველი შეხვედრის გარემოება დაე დარჩეს ჩვენს შორის.

პოეტი

- ამავეს გთხოვთ თქვენც.

ვარსკვლავთმრიცხველი

- მე სულ ახლახანს გავაკეთე მოხსენება ასტრონომიულ საზოგადოებაში მასზე, რისი უნებლიე მონმეც თქვენ იყავით. განსაცვიფრებელი ფაქტია: პირველი სიდიდის ვარსკვლავი...

პოეტი

- დიახ, ეს ძალიან საინტერესოა.

ვარსკვლავთმრიცხველი

(აღფრთოვანებით)

- დიახ! მე ჩემს ჩანანერებში შევიტანე ახალი პარაგრაფი: „დაეცა ვარსკვლავი მარიამი“. მეცნიერები პირველად... ახ, მაპატიეთ, რომ არაფერს გეკითხებით თქვენი ძიების შედეგებზე...

პოეტი

- ჩემი ძიება უშედეგო იყო.

მიბრუნდება ოთახის სიღრმეში. უიმედოდ იყურება. სახეზე ტანჯვა ეხატება, თვალეში – სიცარიელე და წყვილიაღი. საშინელი დაძაბულობისაგან ბანცალებს. ყველაფერი ავინყდება.

დიასახლისი

(ზღურბლზე)

- ბატონებო! მობრძანდით სუფრასთან. მე ვერ ვხედავ მერის...

მათ თითოთ ემუქრება.

- ახ, ახალგაზრდებო! თქვენ სადღაც დამალეთ ჩემი მერი?

იხედება ოთახის სიღრმეში.

- სადა ხარ, მერი? სადა ხარ, მერი?

ბნელ ფარდასთან უკვე არავინაა. ფანჯარასთან ანათებს კაშკაშა ვარსკვლავი. ეცემა ცისფერი თოვლი, ისეთივე ცისფერი, როგორც ვიცმუნდირი გამჭრალი ვარსკვლავთმრიცხველისა.

1906

გულგულთა ბალი

1.

მე ახლა ვამტვრევ კლდეების ქანებს,
ზღვა რომ მიიქცა შლამიან ფსკერზე
და ჩემს დაღლილ ვირს ანაღვლიანებს
მათი ნამსხვრევი ბანჯგვლიან ფერდზე.

ლიანდაგებთან დავყრით ნატეხებს
და როცა ისევ ზღვა მოგვინდება,
მივყავართ ბალნით შემოსილ ფეხებს
და ჩემი ვირი აყროყინდება.

ყვირის, ყროყინებს მეტ სიხარულით,
როცა მსუბუქად უკან ბრუნდება,
ხოლო გზასთან კი შემოფარული
ბალი ჩრდილებით აჩურჩულდება.

გრძელი და მაღალ ზღუდის ბოლოში
ჰყვავის ვარდები გადაბამბული
და დაუცხრომელ ბულბულთ კილოში
მღერის ფოთოლი და ნაკადული.

გაისმის ჩემი ვირის გოდება
ყოველდღიურად ბალის კარებთან,
იქ კი სიმღერით ბალს დაშორდება,
ჩუმი სიცილით ვინც მღელვარება.

და შემოსილი მშფოთვარ ჰანგითა
ვხედავ, ვირს როცა მივდენი მღურვით,
მზემოდებულ და კლდოვან ნაპირთან
როგორ ეშვება ცისფერი ბური.

2.

დღე ცეცხლოვანი ქრება უკვალოდ,
ჩირგვში მოცოცავს ღამე ნაფითრი
და გაოცდება ეირი საბრალო:
„ჩემო პატრონო, შენ რად ჩაფიქრდი?“

იქნებ მემღვრევა სიცხით გონება
ან ოცნებაში მძირავს დაისი
და დაჟინებით მომეგონება
სულ სხვა ცხოვრება – ჩემი და სხვისი...

მე საცოდავი რას ველოდები
ამ ჩაბნელებულ და ვინრო სახლში,
რომ ვიმეორებ პანგებს გოდებით
ბუღბუღის ხმებით აჟღერებ ბაღში?

აღარ მოიტანს სიცოცხლის წყევლას
ბალი კედელით შემოფარული,
მწუხრში კი თეთრი სამოსი ელავს
გისოსებიდან შემოპარული.

ყოველ საღამოს დაისის ნისლში
გავივლი მე ამ ბალის კარებთან
ის კი მომიხმობს, ქალის ხმა ისმის
როკვით, სიმღერით ვინც მღელვარება.

გამომწვევ როკვით და სიმღერებით
მინდა, რომ ვპოვო დავინწყებული,
სიყვარულს ვინყებ კელავ მჭმუნვარებით,
მიყვარს კედელი შემოვლებული.

3.

ვირი, დაღლილი, თვლემს ყურპანტურა,
კლდესთან წერაქვი გდია ნალესი,
დახეტილობს მათი პატრონი
ლამის ბნელსა თუ სიმხურვალეში.

და გზა ნაცნობი და იდუმალი,
ცარიელი და მუდამ ქვიანი
მიიყვანს ზღვასთან უცნაურ ძალით,
სადაც კედელი ჩანს ჩრდილიანი.

და არის ტანჯვა გარდაუვალი,
და ემატება საათს საათი,
და ეკლიანი ვარდი მრავალი
ციდან დაეშვა ცვართა ტაატით.

ჯილდო არის თუ სასჯელი მელის,
გზას თუ გადაეცდი, ვილამ შემინდოს?
ბულბულთ ბალის კარს დაქანცულ ხელით
დავაკაკუნო და რომ შევიდე?

გახდა წარსული უცხოდ ბურვილი
და უკვე ჯაფის ვარ მომდურავი,
გულმა კი იცის, რომ სასურველი
ბულბულთა ბალის მე ვარ სტუმარი.

4.

გული სიმართლეს იმეორებდა,
როცა გალაენის მძიმე კარები
ჩემს უნებურად გაიღებოდა,
უხილავი და მიუკარები.

გრილი გზის მიღმა, შორს შროშანებთან
ერთხმად ამღერდნენ ნაკადულები,
ტკბილი სიმღერის ხმა შრიალებდა,
ცად მიაფრენდნენ სულს ბულბულები.

ბედნიერების უცხო მხარეში
მე ამეხილა ალერსით თვალი
და სამაჯური აუღერდა მრეში,
ჩემი ოცნება ვით შესაბრალი.

დამთვრალმა ღვინით ოქრორეულით
და შეტრუსულმა ცეცხლის ალებით
გადავივინყე გზა ღორღეული
და ამხანაგის მშვიდი თვალები.

5.

იყოს მთებისგან, დე, უკარება
მაღალ კედელზე ვარდების ფენა,
მაგრამ ჩაახშოს ზღვის მქუხარება
არ შეუძლია ბულბულთა სტვენას!

განგაშის ხმას რომ გალობით ცელიდა,
მოდის ტალღების გუგუნი ხშირი
და მეჩვენება შარაგზა დიდი
და სიარულით დაღლილი ვირი...

ბური რომ დადგა სურნელოვანი,
მხურვალ ხელებით შემოხვეული,
მიმეორებდა ქალი მგლოვარი:
„რადა ხარ ასე შენ დაბნეული?“

მაგრამ ბნელს ობლად თვალს რომ მიაპყრობს
და გულს აუვსებს განცხრომა ჩქარი,
სადაც მოქცევის ტალღა კიაფობს
შორიდან ხმაურს მოიტანს ქარი.

6.

მე გამელევიდა ბინდიან დილას,
მაგრამ არ ვიცი იმ დღის სახელი,
მას კი ბავშვივით მლიმარს ეძინა,
ჩემზე ზმანების იყო მნახველი.

ვით განთიადის ბინდში ფიალა,
სახე ვნებისგან უკრთოდა ლაღად,
შორს კი ჭახანით გაისრიალა
ჩემსკენ წამოსულ მოქცევის ტალღამ.

მე გამოვალე ფანჯარა ჩემი
და მომეჩვენა, თითქოს ყვიროდა
შორი გვრგვინით და ზვირთებით ცემით
ხმა საცოდავი სანაპიროდან.

ყვიროდა ვირი გაბმით და მნარედ
და ხმა, ვით კენესა, სულში გამება,
მე წყნარად ფარდა ჩამოვაფარე,
რომ მქონებოდა ტკბილი ზმანება.

და რომ დავეშვი ძირს გალავნიდან,
თითქოს დაირღვა ყვავილთა რული,
მათი ეკლები გამყვა ბალიდან,
დაჩხვლიტა ჩემი სამოსი კრული.

7.

მეცნო ამ დილით ეს გზა პატარა
მძიმე, ძნელი და ქვით მოფენილი,
უდაბურ მხარეს რომ გამატარა,
სადაც მე დამრჩა სახლი და ვირი.

იქნებ ნისლებში ვარ დაბნეული
ან ვილაც ხუმრობს ნიშნისმოგებით?
არა, მე მახსოვს ქვები ხვეული,
მწირი ბურქი და წყალქვეშ ლოდები...

სად არის სახლი? – და მე სრიალით
სადღაც ძალაყინს წამოვადგები,
ვიგრძნობ, მძიმეა და სილიანი,
უანგმორეული, ლოდქვეშ ნაგდები.

ხელებს გაეიქნევ, როგორც მჩვევია,
(იქნებ ეს არის სიზმარი დილის?),
ფსკერზე დავლენავ კლდეს შრეებიანს
ჟანგმორეული მე ძალაყინით...

ლეგა რვაფეხა სადაც კიაფობს,
სადაც ტორტმანებს ლურჯ ნაპრალებად,
იქ კიბორჩხალა მოფორიაქე
ქვიან მეჩეჩთან ჩაიმალება.

მე გაეინიე, იგი ნაეიდა
და მარნუხები ფართოდ გაშალა,
ახლა სხვა შეხედა სამალავიდან
და ჩხუბით გაჰყენენ წყლიან გზაშარას...

ხოლო იქ, სადაც მოჩანდა სახლი
და რომ გავკვალე გზა კაუიანი,
ჩამოდის მუშა ნერაქვიანი
და სხვის სახედარს მირეკავს სახრით...

6 იანვარი, 1914 _ 14 ოქტომბერი, 1915

თოკმეტი

I

ღამე -კუპრი.
ქარი -ქუფრი,
მხოლოდ თეთრი თოვლი ელავს.
დაქრის ქარი,
შესაზარი,
ქარი, კაცს რომ გადაცელავს.

ქარი ბურდავს
თოვლის გუნდას
და გუნდაში, ყინულია,
ქუჩა სრულად
მოლიპულა,
სანყალ კაცს ვერ გაუვლია.

შენობიდან შენობამდე
ბაგირი გაბმულია,
პლაკატი გაკრულია:
„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!“

დედაბერი თავს იკლავს -
ტირის, ვერ გაუგია,
ეს ამხელა ნაჭერი
თოკზე რად გაუკრიათ?
ფეხსახვევი რამდენი
შეხვდებოდათ პატარებს -
გაძარცული, ტიტველი
ამდენი დატანტალებს...

როგორც ქათამს, დედაბერს
ნამქერი და ქარი იხვევს გათოშილს,
- ო, დედაო, მფარველო,
ბოლშევიკებს უნდათ ჩაგვდონ კუბოში!

რა მსუსხაეი ქარია!
ალარც ყინეა ჩაცხრება!
გაყინული ბურჟუა
საყელოში ჩაძვრება!

ეს ვინ არის? – გრძელთმება
მოსთქვამს ჩუმი სლუკუნით:
– დაილუპა რუსეთი!
– დაგვდგომია უკუნი!
აღბათ მნიგნობარია,
დარდმა ხელი დარია...

იქეთ გრძელკალთიანიც
ნამქერში მიქანაობს...
ახლა არ მხიარულობ,
ამხანაგო მამაო?

გახსოვს, ის როგორ იყო,
ლიპი რომ გენეოდა,
ხალხში ჯვარი ციალით
მუცელზე გერნეოდა?

დახეთ აგერ ქალბატონს,
ცრემლით კრაველს რომ აღტობს:
– ჩვენ ვტიროდით, ვტიროდით,
თქვა და – ამოტრიალდა,
ყინულზე გასრიალდა!

ვაი,რალას იძიებ,
ადე, ნამოინიე!

ქარი ნება-ნება,
ავი და თავნება,
კალთებს აფრიალებს
და გამვლელებს ცელავს,
ხევს და ატრიალებს

ახალ ნახატს
ნითელ პლაკატს:
„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას“!
მოაქვს გამეტებით
სიტყვის ნაწყვეტებიც:

...აქ, ამ შენობაში...
...ჩვენც გაემართეთ კრება...
...განვიხილეთ—
დავადგინეთ:
დროით — ათი, ღამით — ოცდახუთი...
...როგორ დააკლდება...
...დადგა ძილის ნუთი...

გვიანი საღამოა,
გარეთ ვილა გამოვა.
ეს ერთი მანანნალაც
ქარმა წააცანცარა...

ოი, შე უბედურო,
მოდირაღას დიდგულობ...

პური!
წინ რა რიალებს?
მიდი და გაიარე!

ზეცა შავად შრიალებს.

ნალელიანი ბოღმით
გული არის მთვრალი...
ხან წმინდაა იგი,
ხანაც — დაუმცხრალი...

ამხანაგო, ფხიზლად!
გქონდეს ასი თვალი!

2.

დაგელაობს ქარი, ფიფქებს ატრიალებს
და თორმეტი კაცი ქუჩას აზრიალებს.

მხრებზე შაშხანები და თასმები შავი
და გარშემო ცეცხლი, ცეცხლი შემზარავი.

კბილებში – ციგარკა,თავზე – კარტუზები,
ზურგზე უნდა ჰქონდეთ აგურის ტუზები.

სულის შეება მაშინ ეპოვეთ,
როცა ჯვარი მივატოვეთ!

ტრა-ტა-ტა!

ძმებო, ყინავს,
ქარი გმინავს!

-კატკა ვანკას დუქანში ნაჰყოლია...
- ქალს წინდაში კერენკები ჰქონია!

- ვანიუშკა თავად არის მდიდარი...
- ჩვენი იყო, ახლა სალდათი არი!

- აბა, ვანკა, ძაღლისშვილო, ბურჟუა,
გაბედე და ჩემს გულისნორს აკოცე!

გვინდა თავისუფლება,
მაგრამ ჯვარი არ გვინდა!
ვანკა კატკას, მითხარით,
ასე რად ჩააფრინდა?..

ტრა-ტა-ტა!

ირგელივ – ცეცხლის მობრიალე სვეტები,
სამხრეებზე – შაშხანების ღვედები...

რევოლუციურ ნაბიჯით იარ!
მტერი არა თვლემს და გესერის ტყვიას!

დაიკავე თოფი გულგაციებით,
დავუშინოთ ნმინდა რუსეთს ტყვიები -

მრუმე ტყიანს,
ბნელ ქოხიანს,
სქელგაეიანს!

ჯვარის გადავინწყებით!

3.

ნითელ ჯარში მაშინ
იჩქაროდნენ ბიჭები,
ნითელ გვარდიაში
თავის არდარიდებით!

ჩემო მნარე ვარამო,
სიცოცხლეო ტკბილო!
ავსტრიულო თოფო და
პალტოე დაფლეთილო!

ბურჟუების მსოფლიო
ხანძარში გაეხვევა,
ცეცხლში, სისხლში, უფალო,
მოგვეც შენი კურთხევა!

4.

თოვლი ბარდნის და მეეტლე არ დარდობს,
ჩვენი ვანკა კატკასთან დანავარდობს -
ელექტრული ფარანი
ხელნაზე ათინათობს...

გახვეულა ჯარისკაცის შინელში,
დასდებია სახეს ბრიყვის იერი,
იგრეხს, იგრეხს შავ ულვაშს
ლალი და თვინიერი...

ასეთია ვანკა მხარბეჭიანი!
ასეთია ვანკა ენაწყლიანი!
კატკას, სულელს, ეხვევა
თვალეზღიმილიანი...

კატკას თავი უკან გადაუარდნია
და კბილები მარგალიტად მზიანობს...
ეხ, კატია, კატია,
ჩემო სქელდრუნჩიანო...

5.

ყელზე, ჩემო კატია,
დაგტყობია იარა,
მკერდზეც - ხაზი პანია
დაგრჩა, არ გაგიარა!

მინდა როკვით იარო,
ოქროს ფეხებიანო!

მაქმანებით დახტოდი,
ახლაც ასე იარე,
ოფიცრებთან კახპობდი,
ახლაც იხეტიალე!

ახლაც იხეტიალე,
გული ღელავს ტიალი!

გახსოვს ის ოფიცერი,
დანას რომ ვერ გაექცა,
თუ ყველაფერს, ოხერო,
შავი ბინდი დაეცა?

აბა ეს გაიხსენე,
ჩემთან რომ მოისვენებ!

რუხი გეტრით დარბოდი,
შოკოლადებს დახარბდი,
იუნკრებთან ლალობდი,
ახლა სალდათს ჩაბარდი?

მიდი, მიდი, შეცოდე,
სულს უხდება, იცოდე!

6.

...კვლავ შესახვედრად მიჰქრის ჭენებით
ფიცხი მეეტლე სწრაფი ცხენებით...

შესდეგ! შეჩერდი! მიშველე, ანდრი!
პეტრო, ეტლს უკან შემოუვარდი!

ტრახ, ტრახ – ტარარახ!
ცაში აიჭრა თოვლის სვეტები!

ვანკასთან ერთად გარბის მეეტლე,
ჩახმახს გამოჰკარ თავგამეტებით!

ტრახ, ტრახ – ტარარახ! უნდა გაიგო
უცხო ქალს როგორ ემუსაიფო!

თუმცა, დამპალო, გარბი, მშორდები,
იცოდე, ხვალვე გაგისწორდები!

კატკა სად არის? – კატკა მკვდარია,
მის თავს გახვრეტილს ცა აფარია!

რა ვქნა, კატია, რით განუგემო,
ეგდე თოვლსა და ნამქერში, ლეშო!

გქონდეთ ნაბიჯი მტკიცე, მედგარი!
მტერი არა თვლემს დაუდეგარი!

7.

ისევ თორმეტნი მიდიან
მხარზე გადებულ შაშხანით,
მხოლოდ მკვლელს გაფითრებია
სახე, ჯავრისგან ნაშალი...

ჩქარდება ნაბიჯების ხმა,
წყნარდება გულის ნადილი.
შემოხვევია უბედურს
ყელზე კატიას მანდილი...

- რად მონყენილხარ, ძმობილო?
- რადა ხარ გაოგნებული!
- თუ შეგებრაღა, პეტრუხა,
კატია თოვლში გდებული!

- ძმებო და ამხანაგებო,
მე ხომ ამ გოგოს ვრჩეობდი
და მათრობელა, ბნელ ღამით
მხოლოდ მას მოვეხვეოდი...

გამბედავი და თამამი,
ცეცხლოვან თვალთა მკვესავი,
მარჯვენა მხართან რომ აჩნდა
ხალი მენამულ ფერსავით,
დავლუპე, შტერმა, ცხელგულზე...
მიტომ ვარ ასე მკენესავი!

- ნუ დედაკაცობ, პეტრუხა,
არღანს ნუ ქოქავ შტერულად!
- ამდენი დავიდარაბით
სული რომ სწორედ ვნებულა!
- მიდი, შენს სიფათს მიხედე!
- ეს როგორ გაბრიყვებულა!

- ახლა ისეთი დრო არის,
არაეინ აგეფარება!
დაგვიმძიმდება, ძმობილო,
ჩვენ-ჩვენი ტვირთის ტარება!

პეტრუხამაც დადინჯებით
შეანელა ნაბიჯები...

თავი ნამით ჩაქინდრული
კვლავ ასნია სიხარულით...

ეხ, ეხ თუ რამ ცოდვა იყო
ეხლა უნდა დაივიწყო!

გადარაზეთ სართულები -
მოვლენ ძარცვით გართულები!

გამოაღეთ სარდაფები-
ქეიფობენ ლატაკები!

8.

ჩემო მწარე ნალველო,
სევდავ, გულის მდაღველო!

ნახე, მეც გაეატარო
დღეები სანეტარო...

აი, ასე უხანოდ
კეფა რომ მოვიფხანო...

მზესუმზირის კნატუნით,
წყრომითა და კატუნით,

მტერი დანით დავსერო
სისხლით მიმოხატული!..

თავს უშველე, ბურჟუა,
გაქრი, როგორც ბელურა,
თორემ შენს სისხლს შემასმევს,
რომ დაგეცე მეხურად,
ჩემი გულის ტრფიალი
გოგო შაენარბიანი...

განუსვენე მონას შენსას, უფალო,
განმიქარვე სული კაეშნიანი!

9.

სიჩუმე სუფევს კოშკზე, ნევასთან,
ალარც ქალაქის ისმის ხმაური,
ალარ შეგხვდებათ პოლიციელი,
თუნდაც ასტეხოთ აურზაური!

გზაჯვარედინზე მდგარი ბურჟუა
მალავს გაყინულ ცხვირს საყელოში
და ეტმასნება ხეშემ ბალანით
ქეცმოდებული ძალლი გათოშილს.

გაოგნებული ბურჟუა ჩუმად
დგას და მშიერ ძალლს დამსგავსებია
და, ვით ქოფაკი მიუსაფარი,
ძველი ქვეყანა ასდევნებია.

10.

თავს აინყვეტს ქარბუქი,
სტვენა და გუგუნია!
ცხვირნინ კაცსაც ვერ ნახავ,
ისეთი უკუნია!

თოვლი დაბრად ტრიალებს,
სვეტად გაიციალებს...

- ღმერთო, რა ქარბუქია!
- პეტკა, ნულარ კანკალებ!
შენ როგორ დაგიფარავს
ოქროსფერი კანკელი?
მართლაც უგუნური ხარ,
ვერც განსაჯო ეგება,
ეგ ხელები კატიას
სისხლმა როგორ შეღება!

- რევოლუციურ ნაბიჯით იარ!
მტერი მომდგარა და გესერის ტყვიას!

ნინ, ნინ გასნი, მშრომელო
ხალხო დაუდგრომელო!

11.

იჩქარიან უღმერთოდ
თორმეტნივე - შორს,
მზად არიან, არ სწუხან,
ქარია თუ თოვს...

შაშხანები ფოლადის
დასაცხრილად მტრის...
მიყრუებულ ჩიხებში,
სად ქარბუქი ქრის...
ბუმბულების ნამქერში
ვერ ჰყოფ ჩექმის ცხვირს...

ნითელფრთება
დროშა კრთება

ნაბიჯების
მწყობრი ხმებით.

მტერი ელით
ულმობელი,

როს ნამქერის
თეთრი მტვერი

უვსებს თვალებს
უძინარებს.

ნინ, ნინ გასნი, მშრომელო
ხალხო დაუდგრომელო!

12.

...შორს იჩქარიან მძლე ნაბიჯებით...
– კიდევ ვინა ხარ მათთან? გამოდი!
ეს ხომ ქარია, წითელი დროშით
ნინ რომ მძვინვარებს ბნელ საღამოთი...

ნინ ნამქერია სულის მყინველი,
– კიდევ ნამქერში ვინ ხარ – გამოდი!..
მხოლოდ საწყალი, ფეხმოტეხილი
ძალლი ძაგძაგებს ცივ საღამოთი...

– მომწყდი თავიდან, შე ქეციანო,
თორემ აგაგო ხიშტზე იქნება!
და როგორც ძალლი მუნმორეული,
ქვეყანა წვება და იზნიქება.

...მშიერ მგელივით კბილს აკრაჭუნებს
და მიძუნძულებს კუდმოკეცილი
ძალლი დამზრალი და უთვისტომო...
– ეი, ვინ მოჩანს მანდ, ვით ნერტილი?

– გახედე ერთი, იქ წითელ დროშას
ვინ აფრიალებს, ვინ არის იგი?
– იქ ვილა დადის ჩქარი ნაბიჯით,
ვის მალავს ბნელი სახლების რიგი?

-ეს სულერთია, მაინც მოგნახავ,
ცოცხლად ჩამბარდე უკეთესია!
- ეე, ამხანაგო, დროზე გამოდი,
თორემ ტყვიები ნამოგესია!

ტრახ-ტრახ-ტრახ! მხოლოდ შორეულ ექოს
იმეორებენ სახლის კედლები...
მხოლოდ ქარბუქი ხარხარებს გაბმით
და თოვლს ასკდება გაორკეცებით.

ტრახ-ტრახ-ტრახ!
ტრახ-ტრახ-ტრახ...

...ასე მიდიან ქარში გრიალით,
უკან ქოფაკი რჩება მშიერი,
ნინ კი - დასისხლულ დროშის ფრიალით,
ქარიშხალსა და ქარში შთენილი,
ტყვიების დელგმას გადარჩენილი,
ქარის თარეშში რბილ ნაბიჯებით,
მარგალიტური თოვლის სანთლებად,
თოვლის ვარდების თეთრ საყელოთი
ნინ - ქრისტე ღმერთი მიემართება.

იანვარი, 1918

მთავრების კომენტარები

ალექსანდრ ბლოკის პოეზია (და არა შემოქმედება) სამი ნიგნისაგან შედგება. ყოველი მათგანი ციკლებად იყოფა. პოეტის სიცოცხლეში სამტომეული ანუ „ტრილოგია“, „რომანი ლექსად“ როგორც მათ ავტორი უწოდებდა, რამდენიმეჯერ გამოიცა.

პირველი ნიგნი (1898-1904) სამ ციკლს აერთიანებს – „in te lucem“ (სინათლემდე) (1898-1900), „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“ (1901-1902), „გზაგასაყარი“ (1902-1904).

მეორე ნიგნის (1904-1908) ციკლებია – „მინის ბუშტები“ (1904-1905), „ღამეული ია“ (პოემა, 1906), „სხვადასხვა ლექსები“ (1904-1908), „ქალაქი“ (1904-1908), „თოვლის ნიღაბი“ (1907), „ფაინა“ (1906-1908), „თავისუფალი აზრები“ (1907).

მესამე ნიგნის (1907-1916) შინაარსი ასეთია – „საშინელი სამყარო“ (1909-1916), „სამაგიერო“ (1908-1916), „იაშბები“ (1907-1914), „იტალიური ლექსები“ (1909), „სხვადასხვა ლექსები“ (1908-1916), „არფები და ვიოლინოები“ (1908-1916), „ქარმენი“ (1914), „ბულბულთა ბალი“ (პოემა, 1915), „სამშობლო“ (1907-1916), „რაზე მღერის ქარი“ (1913).

სამტომეულში არ შესულა პოემები – „თორმეტნი“ და „სამაგიერო“, ლექსები „სკვიტები“ და „პუშკინის სახლს“, რომლებიც ბოლო ნლებში დაინერა.

ციკლებს ქართველი მკითხველისათვის არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მათ ერთიანობას ყოველთვის არც რუსი გამომცემლები იცავენ. მაგ., თხზულებათა ექვსტომეულში, რომელიც პოეტის დაბადების ას წლისთავე გამოიცა მ. დუდინის, ალ. სურკოვის და ვლ. ორლოვის რედაქციით, დაცულია ქრონოლოგია და არა ციკლური თანმიმდევრობა. ამიტომაც ცალკე ციკლებად გამოვეყავი მხოლოდ ის ლექსები, რომელთაც აქვთ სპეციფიკური თემატიკა და ლირიკული პოემის მსგავსი კომპოზიცია (მაგ., „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“, „თოვლის ნიღაბი“, „ქარმენი“).

ალ. ბლოკის პოეზიის თარგმნის სპეციფიკას ქმნის ძველი რუსული და რელიგიური ლექსიკა, სიმბოლისტური ესთეტიკა, ლექსის მკაცრი სიუჟეტი და კომპოზიცია. დედნისადმი მორჩილება ნიშნავს პოეტური თარგმანის უარყოფას, რადგან აქ მეცნიერული სიზუსტე დაუშვებელია. თუ თარგმანი კარგად აულერდა, მაგრამ დედანს საგრძნობლად დასცილდა – ეს იქნება ვარიაცია, მოცემული თემის ხელახალი გააზრება. ამიტომ – ბლოკის ლექსის დასაცავად და მისი ქართული ვარიანტის შესაქმნელად მე დაევუშვი ერთი კომპრომისი – ძირითადად უარი ვთქვი ჯვარედინ რითმებზე (რასაც ბლოკი ასე ერთგულად მისდევდა).

მხოლოდ რამდენიმე ლექსი და პოემა „ბულბულთა ბალი“ ეთარგმნე ჯვარედინი რითმებით. მე ვფიქრობ, მცირეოდენი გამოწაკლისის გარდა, ჯვარედინი რითმების შენარჩუნება ყოველთვის ნამგებიანია – ხან სიზუსტის, ხანაც მხატვრული თვალსაზრისით. ამიტომ კორექტირება აუცილებელია. შდრ. – ურთიმოდ თარგმნილი შექსპირის ტრაგედიები (ივანე მაჩაბელი) და დანტეს „ლუთაებრივი კომედია“ (კონსტანტინე გამსახურდია).

მაგრამ ბლოკის თარგმნას აადვილებს ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურაში არსებობს გალაკტიონ ტაბიძისა და ცისფერყანწილების დიდი სიმბოლისტური პოეზია. სიმბოლიზმის პოეტიკა და ესთეტიკა გაითავისეს და გააქართულეს ჩვენმა პოეტებმა, შექმნეს ნაციონალური ექვივალენტი. ამიტომ ბლოკის სათარგმნელად აუცილებელია ამ ტრადიციისაკენ მიბრუნება.

ნიგნის სახელწოდება – „რჩეული“ პირობითია, რადგან მასში არ შედის ალ. ბლოკის არაერთი ჩინებული ლექსი, ზოგიერთი დრამა, პოემა „სამაგიერო“, ესსეები. მაგრამ რაც ეთარგმნე, არის დიდი რუსი პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

„ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“ (1901-1902)

ამ ციკლის შთაგონებაა ლეზოვ მენდელეევა (1881-1939), დიდი რუსი მეცნიერის დიმიტრი მენდელეევის ქალიშვილი. ლექსები იწერებოდა 1901-1902 წლებში. მათი საუკეთესო კომენტარია შეყვარებული ავტორის ბარათები ლეზობასადმი. ბოლო ლექსი დაიწერა 1902 წლის 8 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ლეზობა დათანხმდა პოეტს ცოლად გაჰყოლოდა.

ბლოკმა და მენდელეევამ ჯვარი დაიწერეს 1903 წლის 17 აგვისტოს სოფელ ტარაკანოვოს ეკლესიაში.

ციკლს ესთეტიკურ საფუძვლად უდევს ის ტრადიცია, რომლის სანყისია რენესანსი, ტრუბადურებისა და მინეზინგერების, დანტესა და პეტრარკას პოეზია, რაინდის სიყვარული ქალბატონისადმი. მაგრამ ბეატრიჩე და ლაურა ცოცხალი აღარ იყვნენ, როცა დანტე და პეტრარკა მათ სიყვარულს უგალობდნენ, ხოლო ლეზობა ჯერ კიდევ არ იყო დედოფალი და ქალბატონი. ასე რომ რეალური ქალი გრძნობის ალით მისტიფიცირდა, არამინიერ არსებად წარმოისახა.

მაგრამ მოხდა პარადოქსი: ერთ უცნაურ მოხუც ქალს, მისტიკოს და ჟურნალისტ ანა შმიდტს, მოეჩვენა, რომ ეს ლექსები მასზე იყო დანერილი და საქმის გასარკვევად პოეტს შახმატოვოში ჩააკითხა (Вл. Орлов, Гаманон, Л., 1980 გვ. 185-186).

ბლოკმა ლეზოვ მენდელეევაზე შემდეგაც მრავალი ლექსი დაწერა. გან-

სხვაეებით „მშვენიერი ქალბატონისაგან“, ისინი მთლიანად ავტობიოგრაფიულია, დრამატული და არა დითირამბულ-მისტიკური. ამ ციკლში რენესანსულ ტრადიციას ერთვის რომანტიკული მგრძნობელობა, რაც პოეტის წარმოსახვაში გაამძაფრა ვლადიმერ სოლოვიოვის (1853-1900) სიტყვამ, მისმა მსოფლიო სულისა და მარადქალურობის იდეამ (1901 წელს, აღდგომა დღეს, დედამ ბლოკს აჩუქა სოლოვიოვის ლექსების ნიგნი, რამაც ძირეულად შეცვალა ახალგაზრდა პოეტის მსოფლგანცდა).

ამ ციკლის შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულებანი. თუ ერთნი მას აიგივებენ ბლოკის სიღიადესთან, მეორენი ზედმეტად ამცირებენ და მხოლოდ მისი პოეზიის საწყისად მიიჩნევენ. თავად ავტორი ხშირად მსჯელობდა მასზე და ყოველთვის – სიყვარულით. ხოლო 1916 წელს უბის ნიგნაკში ჩაინერა: „საუკეთესოდ რჩება ლექსები მშვენიერ ქალბატონზე. დრო მათ ვერ უნდა შეეხოს, რაც უნდა სუსტი ვიყო მე, როგორც მხატვარი“ (Записные книжки, М., 1965, გვ. 309).

საინტერესოა, რომ ციკლში მთავარი ადგილი უკავია არა მშვენიერ ქალბატონს, არამედ – პოეტის მონოლოგებს (Л. Долгополов, Александр Блок. Л., 1980, გვ. 19-50).

ციკლის სახელწოდება ეკუთვნის ვალერი ბრეჟსოვს, რომელსაც ერთხანს თავის მასწავლებლად თვლიდა ალექსანდრ ბლოკი.

„როს ბინდუნდში ფანჯარას“. არლეკინი, ისევე როგორც პიერო და კოლომბინა, იტალიური ხალხური ნიღბების კომედიის პერსონაჟებია, სადაც არლეკინი და პიერო მეგობრობენ, ხოლო კოლომბინა არის პიეროს ცოლი და არლეკინის საყვარელი. ამ ბალაგანის გმირები ხშირად ჩნდებიან ბლოკის პოეზიაში (შდრ. – ტიციან ტაბიძე), ჰამლეტისა და ოფელიას პარალელურად, რითაც სინამდვილე ხელოვნების პრიზმაში აღიქმება როგორც ტრაგიკულად, ისე ირონიულად.

„თოვლის ნიღაბი“ (1907)

„თოვლის ნიღაბის“ ადრესატი და შთამაგონებელია ვ. კომისარევესკაას თეატრის მსახიობი ნატალია ვოლოხოვა (1878-1966). ციკლი რამდენიმე დღეში დაინერა და მალევე გამოიცა.

პოეტი იმ ხანებში გატაცებული იყო ფრიდრიხ ნიცშეს ნიგნით – „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“. განსაკუთრებით ხიბლავდა მუსიკალურ-სტიქიური, ირაციონალური კონცეფცია, დროის მარადიული წრებრუნვა. ალ. ბლოკი მინებდა ახალი, ძლიერი სიყვარულის სტიქიას და იგი ამ ნიგნის თვალთახედვით გადაიტანა. პოეზიაში.

ნატალია ვოლოხოვა – მაღალი, შავგერემანი, შავთვალა ქალი, სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კარგი მსახიობი ყოფილა, კარგადაც კითხულობდა ლექსებს. პოეტი ხშირად მონანილებოდა კომისარევესკაიას დასის მიერ მონყობილ საღამოებში. დადიოდა სპექტაკლებზე. ამ თეატრის სცენაზე ვსევოლოდ მეიერჰოლდმა 1906 წლის დეკემბერში დადგა ალ. ბლოკის ლირიკული დრამა „ბალაგანი“, რომელშიც თამაშობდა ვოლოხოვა.

პრემიერის შემდეგ გაიმართა „ქალაღდის მეჯლისი“: ქალები მოვიდნენ გოფრირებული ფერადი ქალაღდის სამოსელით, მამაკაცები – ნახევარნიღბით. მსახიობების გარდა საღამოს ესწრებოდნენ მეიერჰოლდები, ბლოკები, მიხეილ კუზმინი, სერგეი გოროდეციკი, გიორგი ჩულკოვი. ნატალიას ეცვა გრძელი, შლეიფიანი, იისფერი კაბა. თავზე დიადემა ედგა. ქალმა სთხოვა პოეტს, მისთვის ლექსები დაეწერა, რათა სცენაზე წაეკითხა.

ასე დაიწყო მათი რომანი, რასაც ღრმად მოხუცი ვოლოხოვა უარყოფდა. რაც შეეხება ლექსებს – მსახიობი აღფრთოვანდა, მაგრამ სცენაზე არასოდეს წაუკითხავს, თუმცა ბლოკი აძალებდა.

„ფაინა“ (1906-1908)

„ფაინა“ „თოვლის ნიღაბის“ გაგრძელებაა, შთამაგონებელი და მიმართვის ობიექტი – ისევ ნატალია ვოლოხოვა, რომელსაც პოეტი ფაინას ეძახდა.

ბლოკი ისე გაიტაცა ამ ქალმა, რომ ერთხანს ლეზბასთან გაყრასაც აპირებდა. ლეზბა ისევ მეგობრობდა ნატალიასთან, მაგრამ ეს უფრო მეტოქეობის გაგრძელება იყო.

გაზაფხულზე ვოლოხოვა კომისარევესკაიას დასთან ერთად საგასტროლოდ გაემგზავრა. პეტერბურგში შემოდგომაზე მობრუნდა. მანამდე კი ბლოკი მეუღლეს უმტკიცებდა, რომ იგი ისევე საჭირო იყო მისთვის, როგორც ნატალია. აქ ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენოთ: ლეზბამ აღარ მოისურვა რომანტიკული მეგზურობა, ძალდატანება და რამდენიმე დღეში, რაც ბლოკი და ვოლოხოვა დაახლოვდნენ, რომანი გააბა პოეტ გიორგი ჩულკოვთან, რომელიც მათ ოჯახთან მეგობრობდა. ქალი, რომელიც გენიალური ანდრეი ბელის გიჟურ სიყვარულს არ აჰყვია, იოლად დანებდა უნიჭო ჩულკოვის მსუბუქ გატაცებას. ეს მოხდა 20 იანვარს, რა დღესაც გარდაიცვალა დიმიტრი მენდელეევი!..

ნოემბერში მეიერჰოლდმა დასი საგასტროლოდ კავკასიაში წაიყვანა. დასს გაჰყვია ლეზბაც, რომელსაც, როგორც იქნა, აქტიურობაზე ოცნება აუსრულდა. მალე გართულდა პოეტის ურთიერთობა ნატალიასთან. ქალი, რომელიც პოეტს დაბადების დღეზე ყვავილებს უგზავნიდა, არ უშეებდა ლოტოს სა-

თამაშოდ, არ აძლევდა სმის ნებას (როგორც ანდრეი ბელი იგონებს, მეტის-მეტად მბრძანებლურად ექცეოდა), აღფრთოვანებას ეერ მაღაუდა „თოვლის ნილაბით“ და ამ ციკლის დანერას გმირობას უწოდებდა, მოულოდნელად მოსკოვში წავიდა და პოეტი მიატოვა. გულშემოყრილი ბლოკი უგრძნობლად დათვრა და მეორე დღესვე მოსკოვში გაჩნდა (იხ. ლექსი „მე ეს ხანგრძლივი მახსოვს ნვალება“). მაგრამ თოვლის ქაღალღს უკვე სხვა გზა აერჩია: იგი პროვინციაში გადავიდა, გათხოვდა და ბლოკის პოეზია აღარ აინტერესებდა. მხოლოდ ერთხელ, თორმეტი წლის შემდეგ, ისინი ნუთიერად შეხვდნენ ერთ-მანეთს...

„გამოჩნდა და გადაჩრდილა“, მე – მაცბუნებდა, მე მახარებდა“ – ამ ლექსე-ბით შემოდის ბლოკის პოეზიაში ნატალია ვოლოხოვას ლანდი.

„როცა თქვენ დგახართ ჩემს გზაზე“ – ეძღვნება გიმნაზისტ ელიზავეტა პი-ლენკოს (1891-1945), ბლოკის მზურვალე თაყვანისმცემელს, რომელიც პო-ეზიაში ცნობილია კუზმინა-კარაეავეას გვართ. რევოლუციის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა, მონაზუნად აღიკვეცა, დაიღუპა გერმანელთა საჰაერო-ბილეში.

„თოვლის ქაღალღი“ – უცნობი ქალი, რომელიც შემოდის პეტერბურგის ნისლეულში, არის შორეული ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა (ძვ. წ. 69-30). ბოლო სტროფი აღუზიანა კლეოპატრასა და იულიუს კეისრის სიყვარულზე.

ციკლის ბოლო ლექსი *„ცხარე ცრემლებით წინანდებურად“* გამოთხოვებაა ვოლოხოვასთან: „არ ვიცი! მე შენ გადამავეინყდი!“

ამის შემდეგ ბლოკს ამ ქალზე არაფერი დაუნერია.

„იტალიური ლექსები“ (1909)

1909 წლის გაზაფხულზე აღ. და ლ. ბლოკებმა რამდენიმე თვე დაჰყვეს იტალიაში. პოეტს უნდოდა მტანჯველი ზამთრის შემდეგ გულს სიხალისე ეგ-რძნო, მეუღლეც ნორმალურ მდგომარეობას დაბრუნებოდა (როგორც ვიცით, ლეობამ თებერვალში იმშობიარა, ეყოლა ვაჟი, რომელიც რვა დღისა გარ-დაიცვალა). იტალია შემოქმედთათვის მარადიული შთაგონება იყო, თავისი ისტორიით, ბუნებითა და ხელოვნებით. მან ალაგზნო ბლოკის ფანტაზიაც. ამ ციკლის შემდეგ ბლოკის ტალანტი სკეპტიკოსებმაც აღიარეს.

იტალიურ შთაბეჭდილებებს გადმოგვეცემს ესეე „ხელოვნების გაელვება“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. პირად ჰარათებშიც ხშირად მსჯელობდა ამ მოგზაურობაზე (ცნობისათვის: ბლოკს დანერილი აქვს 2500-ზე მეტი პირადი ბარათი). დედას სისტემატურად უგზავნიდა წერილებს, აღუწერდა ვენეციას და ფლორენციას, პერუჯიას და რავენას. თავის შთაბეჭდილებებს

ვალერი ბრიუსოვსაც აცნობდა. დღიურებშიც იტალიაზე მსჯელობდა. ამავე თემის გაგრძელებაა ესე „გორკი მესინის შესახებ“.

საერთოდ რუსი მოდერნისტები ხშირად ესესებოდნენ უცხოეთს, ავრცობდნენ გეოგრაფიულ და ისტორიულ სიერცეს, მხატვრულ თვალთახედვას. ასე დაინერა ბლოკის „იტალიური ლექსები“, მიხეილ კუზმინის „ალექსანდრიული სიმღერები“, ვალერი ბრიუსოვის ლექსები ასარგადონსა და ქალდეაზე, ეგვიპტესა და ელადაზე, ნიკოლაი გუმილიოვის აფრიკული ლექსები, სერგეი ესენინის „სპარსული მოტივები“...

„იტალიური ლექსებისათვის“ თავად პოეტმა დაწერა კომენტარები, რომელთაც ვთავაზობ მკითხველს:

„რავენა“. მინისქვეშეთში, წმ. აპოლინარის ტაძრის საკურთხეველის ქვეშ და თეოდორის დიდის როტონდაში, იატაკის ფილები მინაში ჩავიდა და ნყლით დაიფარა. ამიტომ დაბლა მდგარ მარმარილოს სარკოფაგებს მოედო ნაზი ვარდისფერ-ლილისფერი და მწვანე ხავსი. რავენასა და მის შემოგარენში განისვენებენ თეოდორისი, დანტე და ის, ვინც გალლად იწოდება მეოთხე სტროფში და პლაკიდად - მეხუთეში. მე მოვახდინე გალლა პლაციდიას სახელის გრეციზება, რომლის სახე ზოგიერთ მხატვართან ბერძენსა ჰგავს. დე, მაპატიოს არქეოლოგმა ჩემი პირადი აზრი V საუკუნის ცნობილ დედოფალზე, რომელიც იყო რომაელ იმპერატორთა (პონორო, კონსტანცი და ვალენტიან III) და, მეუღლე და დედა, ვესტგუთების ბელადის (ატაულფი) ქვრივი. ბედისწერამ ეს ვნებიანი და ძალაუფლების მოყვარული ქალი ბარბაროსის სამარცხვინო ეტილიდან გადასტყორცნა დასაველეთ რომის იმპერიის ტახტზე, რომლის გული იყო იმჟამინდელი ბრწყინვალე რავენა. გალლა ხან ნაზი ქალწულის, ხან მკაცრი და სასტიკი სახით არაერთხელ წარმოუდგენიათ მხატვრებს. მათ შორის - რუსებსაც.

რავენას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე Glasse ავგუსტუსის დროს იყო რომის მთავარი ყურე - portus Glasis, მაგრამ ადრიატიკამ კარგა ხანია დატოვა ეს სანაპირო და ოდესღაც ხმაურიანი ყურე დღეს შედგება რამდენიმე სახლისა და რამდენიმე, ნახევრად ცარიელი ბაზილიკისაგან, სადაც განისვენებს წმინდა მონამის აპოლინარის ნემტი Sanguis martyris - semen figei tuah, Ravenna¹.

„Maria la Spoleto“ („Spoleto-ელი ქალიშვილი“). „მე მხოლოდ მხატვრის თვალთ ვუმზერ ამ გარეშემოს“. აღორძინების მხატვრებს უყვარდათ თავიანთი თავი გამოესახათ ტილოებზე, როგორც მონმე ან მონანილე. ერთნი ავხორცულად ფარდიდან უთვალთვალებდნენ, როგორც ბერები მობანავე

1. მონამის სისხლი შენი რწმენის თესლია, რავენა (ლათ.).

სუსანას, სხვანი მხოლოდ გულგრილი მონანილენი არიან. ასეა პინტურიკოს ფრესკაზე (სიენის ტაძრის ენეი სილვის ბიბლიოთეკა) – მხატვრები რაფაელი, ანდრეა დელ სარტო, ჯიოვანი და უდინე და თვით ავტორი ეკლესიაში დგანან სანთლებით. როგორც ჩანს, მესამის მონანილეობა აუცილებელია და აქვს რაღაც საიდუმლო მოქმედების ხასიათი. ასე ორვიეტის ტაძრის ახალი კაპელის ფრესკაზე, რომელზეც გამოსახულია ანტიქრისტეს ჩამოგდება, ავტორმა ლუკა სინიორელიმ გამოხატა თავისი თავი და ჯიოვანი ანჟელიკო, როგორც დიდი მოვლენის მონმენი. ორივე მხატვარი მშვიდად დგას, შავი სამოსელით, ხელებდაკრეფილი, ანგელოსის პოზას რომ მოგვაგონებენ (ამავე კაპელის სხვა ფრესკაზე), რომლებიც ასევე მშვიდად უყურებენ ზეციდან ცოდვილებს, განწირულთა ჯოჯობეთის მარადი ტანჯვისათვის. ხოლო მათ წინაშე ლელავს შიშველ სხეულთა და დაჭიმულ კუნთთა მთელი ზღვა.

ამ ლექსში, ისევე როგორც „ხარებაში“, მე მინდოდა წარმომედგინა მესამე ტიპის მხატვარი: მშვიდი მჭვრეტელი და აუცილებელი მონმე.

„Madonna da Setignano“. Setignano – ადგილი ფლორენციის მიდამოებში. ეს ლექსი შთამაგონა ლურჯთვალა მადონას ბიუსტმა, რომელსაც მოსავს ყვითელი, ყვავილებიანი მანდილი და მოთავსებულია მთიანეთში.

„ვენეცია“. „იკონოსტასი“ მე ეუნოდე მსოფლიოში ერთადერთ წმ. მარკოზის ტაძრის ფასადს. შავი ფოჩიანი შალი – ვენეციელ ქალთა კოსტუმის აქამდე უცვლელი კუთვნილება.

„ფლორენცია“ (მეხუთე). ლექსი დაწერილია იტალიური ქუჩის სიმღერის მოტივზე.

„სიენის ტაძარი“. ტაძრის მარმარილოს იატაკი დაფარულია გამოსახულე-ბებით (ე. წ. „graffiti“), მათ შორისაა სხვადასხვა ასაკის ადამიანები და ცხრა სიბილა, რომელთაგან ერთს (კუმისას) თმები მხრებამდე ჩამოშლია. მისი სახე ტრაგიკულ ნიღაბს მოგვაგონებს. მთელი ფიგურა არის სწრაფვა. ეს ისაა, რომელიც წინასწარმეტყველებს: „Et mortis fatum finiet. trium dierum sonno suscerto tunc a mortuis regressus in lucem veniet primum resurrectionis initium ostendehs“!

„ხარება“. გრიფონი – უძველესი დროიდან პერუჯიის სიმბოლო, რაზეც მეტყველებენ სეავთა გამოსახულებანი მეზობელი ეტრუსკული ქალაქის ვოლუმნიების სამარზე. ეს ლექსი ასევე შთამაგონა ჯიანიკოლა მანის სეავმა. ჯიანიკოლა რამდენიმე ფრესკის ავტორია Colegio del Cambio (პერუჯია). მის „ხარებას“ და ახალი აღთქმის სხვა ფრესკებს აწერია: ite procul moneo,

1. სიკვდილის განგებასაც აქვს საზღვარი. შეპყრობილი სამღლიანი ძილით, შემდეგ მეკვდრით აღმდგარი, იგი ქვეყანას მოველნა, როგორც აღდგომის პირველი მაგალითი (ლათ).

sacer est locus iste profani.' თითქოსდა ამ უკადოთი შეზღუდული მხატვარი, გაუნდობელის პიროვნული მოიხილეთ, მაყურებლის მწვანელობაზე დაეჭვებული, თავს ნებას აძლევს ინტიმურობით (დემონიზმის მარადიული თანამგზავრი) გამოხატოს ყოფითი სცენები: აბანავებენ ახლად დაბადებულ იოანე ნათლისმცემელს, აქვეა სალომეას ისტორია, და ბოლოს – მზეთუნახავს აიძულებს, წიგნს მოსცილდეს ბნელსახიანი მახარობელი – წითლად მოსილი, თავხედურად აღერსიანი მისალმებით. დემონები ჰკარნახობენ „ყინულსა და გედს“ მას, ვინც მოიფიქრა "Annunziazione" და „გავრილიადა“, ავტორს ლექსისა „მრავალ სურათთა შორის“.

„მიძინება“. ლექსი შთაგონებულია სპოლეტოს ტაძრის (უმბრია) საკურთხევის ფილიპო ლიპის ფრესკით“.

„არწვები და ვიოლინოები“

ციკლი „თორმეტი წლის შემდეგ“ (1909-1910)

ციკლი ეძღვნება უკრაინელ ქსენია სადოვსკაიას (1860-1925), პოეტის პირველ სატრფოს. ბლოკმა იგი გაიცნო 1897 წელს გერმანიის საკურორტო ქალაქ ბად-ნაუჰაიმში. რომანი რამდენიმე წელიწადი გაგრძელდა. შემდეგ მათ ერთმანეთი არ უნახავთ. ბლოკი ბად-ნაუჰაიმში ისევ აღმოჩნდა 1909 წელს. სწორედ მაშინ ყური მოჰკრა ჭორს, რომ სადოვსკაია თითქოს გარდაიცვალა. ეს ფაქტი იქცა ამ ლექსების შთაგონებად, პირველი სიყვარულის გახსენებად.

პოეტმა ქსენია სადოვსკაიას მიუძღვნა, გარდა ამ ციკლისა, არაერთი ლექსი, როგორც ადრე, ისე შემდეგ (იხ. ამ წიგნის წინასიტყვა – „ტრაგიკული ტენორი“).

„კარმენი“ (1914)

ალ. ბლოკს ლექსების ეს ციკლი შთააგონა პეტერბურგის მუსიკალური თეატრის მსახიობმა ლეუბოვ ანდრეევა-დელმასმა (1879-1969), რომელიც კარმენის როლს ასრულებდა ბიზეს ოპერაში. ამის შემდეგ დელმასმა მრავალი როლი ითამაშა, მაგრამ მსგავსი წარმატება არ ჰქონია. ბლოკმა ამ როლით შეიყვარა კარმენად ქცეული დელმასი. ლეუბოვ ბლოკი მოგონებებში წერს, რომ პოეტმა მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლო ოცნებაში გაეერთინებინა მინიერი და ზეციური, ღვთაებრივი და სხეულებრივი. მაგრამ ეს სიყვარულიც მალე განელდა.

1. გარწმუნებთ: ნადით აქედან, გაუნდობლებო. ეს წმიდათაწმიდა ადგილია (ლათ.)

დელმასის სახე აირეკლა პოემაში „ბულბულთა ბაღი“, დრამაში „ვარდი და ჯვარი“, სხვა ლირიკულ ლექსებში.

საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ თითქოს ბლოკი უარყოფდა ესთეტიზმს, მოდერნიზმს, დეკადენტურ ინდივიდუალიზმს. მაგრამ თავად პოეტი სხვაგვარად ფიქრობდა. იგი თავს ყოველთვის სიმბოლისტად თვლიდა, სიმბოლიზმს უწოდებდა „ახალ რუსულ ალორძინებას“, მიიჩნევდა მხატვრის სინონიმად, დროის სულისკვეთების გამომხატველად და, რაც ყველაზე საინტერესოა, ასე წერდა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც (А. Максимов, Поэзия и проза Ал. Блока, Л., 1981, გვ. 432).

ალ. ბლოკის პოეზია წარმოდგენილია რელიგიური მოტივების, სიყვარულის მისტიკისა და სიკვდილის ესთეტიკის გარეშე.

სხვადასხვა ციკლებიდან

„მათ ვგუშავობდი იოანეს ეკედერის მცველი“ – 1902 წლის 7 ნოემბერს ლუბოვ მენდელეევა პოეტს ცოლობაზე დათანხმდა. ლექსში ეს ფაქტია გამოხატული და ამ ლექსით იწყება ახალი ციკლი – „გზავასაყარი“.

„მე ვავემგზავრე თეთრ ქვეყანაში“ – ვარაუდობენ, რომ პოეტი გულისხმობდა რელიგიურ-ფილოსოფიური ჟურნალის „Новый путь“-ის თანამშრომლებს, რომელთა ლიდერები იყვნენ დიმიტრი მერეჟუკოვსკი და ზინაიდა გიპიუსი.

„მთელ წელს სარკმელი არ შერხებულა“ – ეძღვნება ანდრეი ბელის (1880-1934), რომელმაც პირველმა, 1901 წელს, მისთვის და საზოგადოებისთვის სრულიად უცნობ ბლოკს უწოდა თანამედროვეობის საუკეთესო პოეტი. ისინი ხან მეგობრობდნენ, ხანაც – მტრობდნენ ერთმანეთს. ინიციატორი ყოველთვის ბელი იყო. იგი, როგორც სიმბოლიზმის თეორეტიკოსი და მისტიკოსი, ბლოკს სხვადასხვა ბრალდებებს უყენებდა, რასაც პოეზიის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მათ ურთიერთობას განსაკუთრებული დრამატიზმი შესძინა ბელის გახელგებულმა სიყვარულმა ლოუბასადმი, რასაც ქალის თანაგრძნობა არ მოჰყოლია.

როგორც იგონებს ანდრეი ბელის ცოლისდა, ბელი თითქმის ყოველთვის ბლოკზე ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ცხარედ და სიყვარულით. სტატიებსა და მემუარებშიც ხშირად იხსენიებდა. აზრი ეცვლებოდა, მაგრამ ბლოკი მისთვის ყოველთვის იყო თანამედროვე რუსული პოეზიის ცენტრი. ხან ბაირონსა და „რუს ფაუსტს“ უწოდებდა, ზოგჯერ კი მემამულე შენშინად ეჩვენებოდა!

თავად ბლოკი ბელის „ვერცხლის ბეჭედსა“ და „პეტერბურგს“ გენიალურად მიიჩნევდა.

„ამოსულა ბალახი“ – სერგეი სოლოვიოვი (1885-1942), რომელსაც ეს ლექსი ეძღვნება, იყო პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, დიდი რუსი ისტორიკოსის სერგეი სოლოვიოვის შვილიშვილი, ფილოსოფოს ვლადიმერ სოლოვიოვის ძმისშვილი, ალექსანდრ ბლოკის ახლო ნათესავი.

„პეტრე“ – პეტრე პირველი. ეს ლექსი, ისევე როგორც ბლოკის სხვა მრავალი ნაწარმოები, ეძღვნება ლიტერატორ ევგენი ივანოვს (1879-1942), პოეტის უახლოეს მეგობარს.

„სოლვეიგი“ – სოლვეიგი პენდრიკ იბსენის პერსონაჟი ქალის სახელია და ნორვეგიულად ნიშნავს „მზის გზას“.

„უცნობი ქალი“ – ამ ლექსის თემის გაერცობაა ლირიკული დრამა „უცნობი ქალი“. კორნეი ჩუკოვსკის ცნობით, ბლოკს ეს ლექსი პირველად წაუკითხავს ვიჩესლავ ივანოვის „კოშკში“. განთიადისას, როცა მსმენელთა დაჟინებული თხოვნით პოეტმა მეოთხედ წაიკითხა ეს ბალადა, სწორედ მაშინ თავრიდის ბალიდან მოისმა ბულბულის გალობა!..

უცნობი ქალი უნდა იყოს მთვრალი პოეტის ზმანებაში კომეტასავით გაელეებული შორეული კლეოპატრა (მდრ. – „თოვლის ქალწული“).

„მფარველი ანგელოსი“ – მიმართულია ლ. ბლოკისადმი ქორწინების მესამე წლისთავზე.

„ოთხ კედელშორის მე ვარ მოკლული“, „სარკმელი ეზოში“, „ჭემს სოროში ვწარიალებ“, „სხვენზე“ – 1906 წლის 2 სექტემბერს ალ. და ლ. ბლოკებმა დატოვეს გრენადერების პოლკის ყაზარმის მდიდრული, მსახურებით უზრუნველყოფილი ბინა და პატარა, სამოთახიან საცხოვრებელში გადავიდნენ, რომელიც მეხუთე სართულზე იყო მოთავსებული. ფანჯრიდან მოჩანდა ღრმა და ვიწრო ქა. ეზოში ხშირად შემოდინდნენ მეარღნეები და ქუჩის მომღერლები. მიუხედავად ლიუბას მცდელობისა, ბლოკს გაუძნელდა ახალ, ღარიბულ გარემოსთან შეგუება და იგი ამეტყველდა „პატარა ადამიანის“, ცხოვრებაში ხელმოცარული კაცის სახელით.

რვა თვის შემდეგ ბლოკები გადავიდნენ ახალ ბინაში, სადაც დარჩნენ 1910 წლის აპრილამდე.

„შენ შორს ნახველი, მე უდაბნოში“ – მიმართულია ლიუბა ბლოკისადმი, რომელიც იმჟამად შახმატოვოში იმყოფებოდა (ლ. ბლოკის შესახებ იხ. В. Веригина, Памяти Любови Дмитриевны Менделеевой Блок, ж. "Звезда", 1980, №10).

„კლეოპატრა“ – ბლოკი ხშირად დადიოდა პეტერბურგში გახსნილ პანოპტიკუმში (სანთლის ფიგურების მუზეუმი), სადაც წარმოდგენილი იყო ევკლიპტის

დედოფალ კლეოპატრას ფიგურა. იგი ისე ყოფილა მონყობილი, რომ თითქოს სუნთქავდა. კლეოპატრას საყვარელი იყო იულიუს კეისარი, რომლისგანაც ვაჟი შეეძინა. გადმოცემით, დედოფალმა გველს დააგესლეინა თავი, როცა ახალი საყვარელი ანტონიუსი საბოლოოდ დამარცხდა და ოქტავიანე ალექსანდრიაში შევიდა.

კლეოპატრას ლანდი და გველის გესლი ხშირად მეორდება ბლოკის პოეზიაში („უცნობი ქალი“, „ნახველ, გელოდნენ გიაცინტები“, „თოვლის ქალწული“, „თოვლის ლეინო“ და სხვ.).

როგორც ჩანს, შმაგი კარმენიც პოეტისათვის იყო სახეცვლილი კლეოპატრა, ხოლო დელმასი – მკვდრეთით აღმდგარი ეგვიპტის მეუფე. კლეოპატრას სახეში ჰპოვა პოეტმა ის მარადქალური, რაც უნდოდა პქონოდა და რაც თავს მოახვია მენდელეევის ასულს (მდრ. – „იტალიური ლექსების“ გალლა პლაკიდა).

„თეთრ ღამეების მკაცრი მაისი“ – ეძღვნება ვლადიმერ პიასტს (პესტოვსკის), პოეტსა და მთარგმნელს (1886-1940), რომელიც თანამშრომლობდა სიმბოლისტურ პრესაში.

„კულიკოვოს ველზე“ – ბრძოლა გაიმართა 1380 წლის 8 სექტემბერს ოქროს ურდოს ყაენ მამაის ჯარსა და მოსკოვის დიდმთავარ დიმიტრის ღამქარს შორის, რომელიც რუსების გამარჯვებით დამთავრდა.

ბლოკი ამ ფაქტს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც განმეორებადს (მდრ. – „სკეითები“).

„სასონარკვეთა, გულისწყრომა როცა გეცილდება“, „ყველა დიდება, სიმამაცე, მზერა კეთილი“ – მიმართულია ლ. ბლოკისადმი.

„ჩვილის სიკვდილზე“ – დაინერა ლეუბა ბლოკის ვაჟის, რვა დღის დიმიტრის გარდაცვალების გამო, რომელიც ალექსანდრ ბლოკმა თავის შვილად მიიღო.

„კომისარჟევსკაიას სიკვდილზედ“ – ვერა კომისარჟევსკაია (1864-1910), დიდი რუსი მსახიობი, რომელიც არა მხოლოდ უყვარდათ, გაღმერთებულნიც კი პყავდათ. მას ბლოკიც დიდ პატივს სცემდა. პოეტმა მსახიობი მაშინ გაიცნო, როცა მის თეატრში დაიდგა „ბალაგანი“. ბლოკი ნერილითაც გამოეხმაურა კომისარჟევსკაიას ნაადრევ სიკვდილს – იგი იმსხვერპლა შავმა ჭირმა.

„სამი ნერილი. 2. შავი ყორანი თოვლის ღამეში“ – ლექსის ადრესატია ვალენტინა შჩეგოლევა (1878-1931), მსახიობი, რომლითაც ბლოკი წლების მანძილზე იყო გატაცებული.

„დემონი“ – ალ. ბლოკის განმარტებით, ეს ლექსი დაწერილია მიხეილ ვრუ-

ბელის (1856-1910) გარდაცვალების გამო, რომელსაც ეკუთვნის ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციები.

პოეტი ვრუბელს გენიალურ მხატვრად მიიჩნევდა.

„ჩემო სიცოცხლე, შენ – რუსეთო“ – ჩუდი და მერია – ჩრდილოეთ რუსეთში მოსახლე ტომები. ცარგრადი – კონსტანტინეპოლი.

„უამი რბის, წელი, დღე და საათი“ – ბოლო სტროფი რიპარდ ვაგნერის „ტრისტან და იზოლდას“ ალუზიაა: მომაკედავი ტრისტანი ჭრილობებიდან სახვევს მოიგლეჯს. ბლოკს ძლიერ უყვარდა გენიალური გერმანელი კომპოზიტორი. იგი თავის სახლს შახმატოვოში მითიურ ვალჰალას უწოდებდა, როგორც ეს არის ვაგნერის „რაინის ოქროში“.

„ვიცი მაცდური შენი მშვენება“ – ლექსი ე. შჩეგოლევასადმი.

„ვიყავ სწული“ – ეძღვნება პოეტის ნახევარდას, ანგელინა ბლოკს (1892-1918).

„კომანდორის ნაბიჯები“ – ვარიაცია დონ-ჟუანის თემაზე, სადაც დონა ანა აგრძელებს ელ. სოლოვიოვის მარადქალურისა და ალ. ბლოკის „მშვენიერი ქალბატონის“ ანუ დედოფლის ესთეტიკურ იდეას.

სიტყვა „მოტორი“ თურმე თავად ავტორსაც არ მოსწონდა.

ვილჰელმ ზორგენფრეი (1881-1938), პოეტი და მთარგმნელი, ბლოკის მეგობარი.

„ვიარესლავ ივანოვს“ – ბლოკი ვიარესლავ ივანოვთან (1966-1949) დაახლოებული იყო 1906-1907 და 1909-1910 წლებში. შემდეგ მასზე გული აუცრუდა. ბლოკს ხიბლავდა ივანოვის ერუდიცია, პოეტური ტალანტი, ანტიკური იდეალები (იგი ავტორია ნიგნისა – „Дионис и прадиионисийство“).

ივანოვის გავლენითაც უნდა აიხსნას, რომ პოეტი გაიტაცა ფრიდრიხ ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობამ“ (А. Зверев, Стихия и культура, „Вопр. Лит.“, 1980, №10), მაგრამ თანდათან მიუღებლად მიიჩნია უფროსი კოლეგის სიმბოლისტურ-დიონისური ორთოდოქსალობა, ჭარბი თეორეტიზება, აბსტრაქტული აზროვნება.

ვ. ივანოვი „თოვლის ნიღაბში“ ხედავდა ავტორის დიონისურ, დემონურ, ღრმად ოკულტურ განცდებს, რაც სევდითა და მუსიკით გამოვლინდა.

„მე დამცინავი მესმის სიცილი“ – ვ. შჩეგოლევასადმი.

„ხმა ახლოვდება“, „რაზე მღერის ქარი“, „ო, არა, არა ჩემს გულს ველარ მოაჯადოებს“ – ლ. ბლოკისადმი.

„მე ვარ ჰამლეტი“ – 1898 წლის 1 აგვისტოს დიმიტრი მენდელეევის სახლში, ბობლოვოში, ხელმეორედ გაცნობილმა ლაუბამ და საშამ შეასრულეს

ოფელიასა და ჰამლეტის როლები, რაც სიმბოლურ და ტრაგიკულ ფაქტად გაპყვა მათ ცხოვრებას.

„თუ გახსენდება, მწვანე ყურეში“ – ლიუბა ბლოკისადმი. ეს ლექსიც კონკრეტულ ფაქტზეა დანერგილი: 1911 წელს აბერერაკში, ბრეტონის სანაპიროზე, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, მოულოდნელად შევიდნენ ფრანგული სამხედრო გემები, რაც პოეტმა ომის მოახლოების ნიშნად აღიქვა.

„ქალი“ – სკანდინავიელ მწერალთაგან ბლოკს განსაკუთრებით ხიბლავდა იბსენი და სტრინდბერგი. საერთოდ კი თანამედროვე ევროპულ მწერლებს სკეპტიკურად უყურებდა, არ მოსწონდა გეორგე, რილკე, შნიცლერი, ვედეკინდი...

„არ მინდა ფიცი“, „ის ცხოვრება წასულა“ – დელმასისადმი.

„ამღვრეულია პეტროგრაფის ზეცა წვიმებით“ – წინააღმდეგ პოეტმა ფრონტზე გააცილა მამინაცვალი – გენერალი ფრანც კუბლიცკი-პიოტუხი (1860-1920).

„დაბადებულებს ყრუ დროებაში“ – ეძღვნება ზინაიდა გიპიუსს, დიმიტრი მერეჟკოვსკის მეუღლეს.

„სამსჯავროს წინაშე“ – ამ ლექსის დანერვის დროს ლიუბა მონყალების დად მუშაობდა სამხედრო ლაზარეთში, გალიციამში.

„სკვიტები“ – ეპიგრაფი აღებულია ვლადიმერ სოლოვიოვის ლექსიდან – „პანმონგოლიზმი“ (ქართულად თარგმნა გივი ალხაზიშვილმა). სკვიტები ძველირანული მოდგმის ხალხები იყვნენ, მოსახლეობდნენ შავიზღვისპირეთის სტეპებში. გენეტიკურად მათ საერთო არაფერი აქვთ სლავებთან, რუსულ ტომებთან. მაგრამ ერთი პერიოდი სკვიტებს რუსების წინაპრად მიიჩნევდნენ (მაგ., ანდრეი ბელი, ვალერი ბრუსოვი). ბიზანტიელებიც სკვიტებს რუსებთან აიგივებდნენ. პოეტიც ამ თვალსაზრისით მიმართავს ამ ტერმინს.

ბოლშევიზმის ბრძოლა და მუქარა ბურჟუაზიული დასავლეთისადმი ლექსში გააზრებულია როგორც რასობრივი ბრძოლა, წარმოდგენილი სოლოვიოვის თვალთახედვით: მისი აზრით, მონღოლურ ურდოებს შეიძლება დაეგზირით ცოდვებით დამძიმებული დასავლეთი, რათა ახალ ძალას განენმინდა და აელორძინებინა ბებერი სამყარო. ამ ბრძოლაში რუსეთს უნდა ეხსნა ქრისტიანული მსოფლიო, სიყვარულის, სიკეთისა და სიმართლის ჰარმონიით მოერიგებინა დასავლეთი და აღმოსავლეთი.

აღ. ბლოკის ოცნებაა, ეს მოხდეს უომრად, სისხლის დაუღვრელად, ურთიერთსიყვარულის გამოცხადებით, არადა – ბოლშევიკური ციკლონი ემზადება ამოკალიბსური წარღვნის მოსავლენად – მსოფლიო რევოლუციის სახელით.

„სკეითები“ დაინერა 1918 წლის 30 იანვარს, ორი დღის შემდეგ, რაც დაასრულა „თორმეტნი“.

„**ფ. გიჟის**“ – პასუხი ზინაიდა გიპიუსის ანტისაბჭოთა ლექსების წიგნზე – „უკანასკნელი ლექსები“, რომელიც ავტორმა გამოუგზავნა ბლოკს 1918 წლის მაისში, სანამ რუსეთს დატოვებდა.

„**ბალაგანი**“ – ალექსანდრ ბლოკის პირველი სიმბოლისტური დრამა, დაინერა 1906 წლის იანვარში, გიორგი ჩულკოვის (1879-1939) ინიციატივით, რომელმაც პოეტს ურჩია, გაეშალა ლექსი „ბალაგანის“ სიუჟეტი.

„ბალაგანი“ პირველად დაიდგა პეტერბურგის ვერა კომისარჟევსკაიას მიერ განახლებულ თეატრში, ესევოლოდ მეიერჰოლდის თაოსნობით.

პრემიერა გაიმართა 1906 წლის 30 დეკემბერს. მეიერჰოლდი იყო რეჟისორი და პიეროს როლის შემსრულებელი. მუსიკა ეკუთვნოდა პოეტსა და კომპოზიტორს მიხეილ კუზმინს.

ნატალია ვოლოხოვა, პოეტის სატროფო, თამაშობდა შეყვარებულთა შესამეწყვილში და ვაჟის ბოლო სიტყვას იმეორებდა.

ალ. ბლოკს მოსწონდა სპექტაკლი და ზოგჯერ იდეალურსაც უწოდებდა. ხოლო მეიერჰოლდი მას გადამწყვეტად სთვლიდა თავის რეჟისორულ გზაზე. როგორც პიესამ, ისე სპექტაკლმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია: ვალერი ბრეუსოვი სწერდა პ. პერცოვს, რომ „ბალაგანის“ დაწერის შემდეგ ბლოკი შევიდა თანამედროვე რუსი პოეტების შვიდეულში (ბრეუსოვი, სოლოგუბი, გიპიუსი, ბალმონტი, ივანოვი, ბელი). ბლოკი მაშინ 25 წლისა იყო.

მაგრამ პოეტის მეგობრებმა ვერ აღიქვეს „ბალაგანი“ და გულცივიად შეხედნენ (ს. გოროდეცკი, ა. ბელი, ვ. ივანოვი, ელ. პიასტი...), რადგან მასში დაინახეს „მშვენიერი ქალბატონის“ იდეის ლალატი, ჭარბი გროტესკი და ირონია.

ზოგმა სპექტაკლი ვიქტორ პიუგოს „ერნანის“ პირველ სკანდალურ ნარმოდგენას შეადარა. შემდეგაც მას თან სდევდა სტვენა და ოვაცია.

„**ბალაგანი**“ პოეტის სიცოცხლეში ბევრჯერ დაიდგა, მეტწილად – პროვინციულ თეატრებში, გარდაცვალების შემდეგ – საზღვარგარეთაც.

საინტერესოა ზმა „КОСА“-ს გათამაშება, რაც ერთდროულად ნიშნავს ცელსა და ნანნავს. ერთნი ამბობენ – „მხრებზე ცელს ხედავ? ეს სიკვდილია“, მეორენი – „როგორ შეიძლება ქალის ნანნავს სიკვდილის ცელი უწოდოთ?“

ეს ერთი სიტყვა პოეტის ნარმოსახვაში აერთიანებს სიკვდილისა და სიცოცხლის სიმბოლიკებს, რაც ქალს უკავშირდება. მაგრამ ამ ნიუანსის ასევე ზმური გადმოტანა შეუძლებელია.

„**უცნობი ქალი**“ – ალ. ბლოკის კიდევ ერთი სიმბოლისტური დრამაა. დაინერა 1906 წლის ნოემბერში. იგი არის პოეტის გენიალური ლექსის „უცნობი

ქალის" მოტივების გაშლა და გავრცობა. ემიგრაციები აღებულია ფ. დოს-ტოვესკის რომანიდან „იდიოტი“. დრამა ცენზურამ აკრძალა და მისი დადგმა ვერ შეძლო მეიერჰოლდმა.

პოეტის სიცოცხლეში იგი სულ რამდენჯერმე წარმოადგინეს.

ასე რომ, არ მოჰყოლია ისეთი ხმაური, როგორც „ბალაგანი“.

აი, როგორ განმარტავდა თავის პირველ სამ დრამას („ბალაგანი“, „მეფე მოედანზე“ და „უცნობი ქალი“) ალ. ბლოკი 1907 წელს:

„სამივე დრამა ერთმანეთს უკავშირდება ერთიანი მისწრაფებით. კარიკატურულად ხელმოცარული პიერო „ბალაგანი“, ზნეობრივად სუსტი პოეტი „მეფე მოედანზე“-ში და სხვა პოეტი, მეოცნებე, მთერალი და მიზანდაკარგული „უცნობ ქალში“ არის სხვადასხვა მხარე ერთი ადამიანის სულია. ასევე ერთნაირი მისწრაფება აქვთ სამივეს. ისინი ცხოვრებაში ეძებენ მშვენიერებას, თავისუფლებას, სინათლეს, რათა მათ სუსტ მხრებს ჩამოსცილდეს ლირიკული დაეჭვებისა და წინააღმდეგობათა მძიმე ტვირთი, რათა გაქრეს აბეზარი, მოჩვენებითი ორეულები. სამივესათვის მშვენიერი ცხოვრება არის მარადქალურის განსახიერება. ერთისათვის კოლომბინა ნათლის ასულია, რაც მხოლოდ პიეროს აუადმოყოფურმა და სულელურმა წარმოსახვამ აქცია „მუყაოს საცოლედ“; მეორისათვის – ხუროთმოძღვრის ასული მზეთუნახავია, რომელიც თავს ეელება ბიბლიურ ოცნებას და პოეტთან ერთად იღუპება; მესამისათვის არის უცნობი ქალი ვარსკვლავი, რომელიც ციდან ჩამოვარდა, რომელმაც ხორცი შეისხა მხოლოდ იმიტომ, რომ ისევე გაქრეს და დატოვოს გამოსულელებული პოეტი და ვარსკვლავთმრიცხველი“ (Собр. соч. в шести томах, т. 3, Л., 1981, стр. 384).

სხვაგან ავტორი შენიშნავს, რომ „უცნობი ქალი“ მისთვის არის *მზეთუნახავი თოჯინა, ლურჯი აჩრდილი, მინიერი სასწაული*, რომ უცნობი ქალი სრულიადაც არ არის *უბრალო მანდილოსანი შავი კაბითა და შლუაპაზე სორაქლების ფრთებით*. ეს არის სხვადასხვა სამყაროთა ჯოჯოხეთური შენაძნობი, მეტნილად – ლურჯისა და ლილისფერისა. *მე რომ ჯრუბელის საშუალებანი მქონოდა, შევექმნედი დემონს*“ (ტ. IV, 1982, გვ. 145).

უცნობი ქალი პოეტისათვის არის ქალად მოვლენილი დემონი, კლეოპატრას მსგავსი მარადი სული, რომელიც ჩნდება სიზმარსა და თრობის ფაშს.

ამ დრამაში გამოხატულია სიმბოლისტ ალ. ბლოკის მისტიკურ-პოეტური კონცეფცია, რაც დღევანდელი მკითხველისათვის ნაკლებად საინტერესოა.

„ბულბულთა ბალი“ – 1912 წელს ბლოკი მეუღლესთან ერთად ისვენებდა სამხრეთ საფრანგეთში, ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე.

აქ, კლდოვან ნაპირას, პოეტი ხშირად ხვდებოდა წერაქვიან მუშას, რომელსაც ვირი დაჰყავდა.

არსებობს ცნობა, რომ ცალკე ნიგნად გამოცემული პოემა ბლოკმა აჩუქა ლუბოვ დელმასს ნარწერიტ - *„მას, ვინც მღერის ბულბულთა ბაღში“*.

ამის გამო ფიქრობენ, რომ პოემის პერსონაჟი - მაცთური ქალი, უნდა იყოს დელმასი.

„თორმეტნი“ ალექსანდრ ბლოკის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია. პოემა სწრაფად დაინერა - ძირითადი ნაწილი სულ ორ დღეში, 1918 წლის 27 და 28 იანვარს. მაგრამ პოეტი მასზე სამ კვირას ფიქრობდა. წერდა ისე გატაცებით, როგორც „თოვლის ნიღაბსა“ და „ქარმენს“.

29 იანვარს, პოემის დასრულების შემდეგ, ბლოკს უბის ნიგნაკში ჩაუწერია: *„დღეს მე გენიოსი ვარ“*... მეორე დღეს კი კიდევ ერთი შედეგური შექმნა - „სკვითები“, რომელიც, შეიძლება ითქვას, „თორმეტნის“ ეპილოგია.

თანამედროვეებმა და შემდეგ ბოლშევიკებმაც „თორმეტნი“ რევოლუციის პიზნად აღიქვეს, ხოლო ძველი ინტელიგენცია შეაძრწუნა ამ პოემის პათოსმა (მაგ.: მერეჟკოვსკი, გიბიუსი, სოლოგუბი...). მხოლოდ ზოგი არ მიიწინედა ამ ნაწარმოებს რევოლუციის დითირამბად. მაგ.: ვალერი ბრეჟსოვი (*„Двенадцать“*, *конечно, антиреволюционная по духу*“...)... ზოგიც სატირად თვლიდა, ან პოეტს გაორებას საყვედურებდა (მაგ. ვლ. მაიაკოვსკი);

მართლაც - პოემაში ერთიანდება ორი კონტრასტული სიმბოლიკა: პირველი არის ბალავანურ-ყოფითი, - მეძავი და მუნიანი ძაღლი, გროტესკი და სატირა, ბურჟუა და ლატაკები, რაც გადმოცემულია პეტრუხას, ვანკას და კატიას სატრფიალო სამკუთხედით. საფუძველია არლეკინის, პიეროსა და კოლომბინას სიუჟეტი, რაც ბლოკს ყოველთვის აინტერესებდა. ამ მოდელის მიხედვით თავის ცხოვრებასაც ხსნიდა თუ აგებდა, პარალელურად ფილოსოფიურ-მისტიკური ჰამლეტისა და ოფელიასი, ჰეროიკულ-დრამატული კეისრისა და კლეოპატრასი.

მეორეა ამოკალიპსი - საყოველთაო ნგრევა და რბევა, ქარბუქი და ხანძარი, ჰეროიკა და რომანტიკა, სისხლი და დროსტარება, რევოლუციური სისასტიკე და პირადი ანგარიშსწორება, რელიგიური რწმენის მსხვრევა, იესო ქრისტე, „ვარშავიანკის“ მომღერალი 12 მეომარი 12 მოციქულის ანალოგიით (პოემაც 12 თავისაგან შედგება), რომელთა შორის არის საყვარლის მკვლეელი პეტრუხა.

რევოლუციის სახელით ამ ნითელგვარდიელ მკვლელთა და მძარცველთა დუჟინს, ყოფილ კატორღელებს, ნამქერსა და უკუნეთში წინ მიუძღვის იესო ქრისტე, სისხლიანი დროშით და ვარდების თეთრი საყელოთი.

ამიტომ, ეს სურათი აღიქმება როგორც მეორედ მოსვლა, განკითხვის დღე, რომლის შემდეგ იწყება ახალი, ცეცხლითა და ქარბუქით განწმენდილი ცხოვრება. ამ იდეის გაგრძელებაა „სკვითები“ - ბარბაროსული ძალის ტრიუმფი.

უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც დღეს ანტიკომუნურად მივიჩნევთ, სწორედ მას განადიდებდნენ ბოლშევიკები. როგორც შენიშნავს ბორის პასტერნაკი „ექიმ ჟივაგოში“, ბარბაროსობა პროლეტარული სიმტიციისა და რევოლუციური ინსტინქტის თვისებად მიაჩნდათ.

ამიტომ ეგონათ „თორმეტნი“ რევოლუციური პოემა, თუმცა ეჭვს მაინც ინვეედა ნითელგვარდიელთა კატორღული დამლა – *„აგურის ტუზები“* – და მათ წინ მავალი ქრისტე.

აპოკალიპსური ხილვის საფუძველი იყო ისიც, რომ იმ დღეებში ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რომელშიც ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ალექსანდრე ნეველის ლავრა დაარბიეს. პასუხად კი რუსეთის ახლად არჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა დასწყევლა საბჭოთა ხელისუფლება. გავრცელდა ჭორიც, რომ ბოლშევიკებმა დახოცეს კადეტების და ესერების ლიდერები, ხოლო გერმანელები პეტროგრადს მოადგნენ.

14 იანვარს, როცა ბლოკი იწყებდა პოემას, ამბობდა: *„მთელი სხეულით, მთელი გულით, მთელი შეგნებით – უსმინეთ რევოლუციას“*. მაშინ იგი მხარს უჭერდა ესერებს, რომელთაც ეკუთვნოდა ლოზუნგი: *„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!“* მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის კაპიტულანტური ზავის გამო ესერების შეიდივე სახალხო კომისარმა დატოვა ლენინის მთავრობა. გადადგა ტროცკიც. დაიწყო სამოქალაქო ომი. ხელოვანის მიერ არაცნობიერად სწორად იქნა წარმოსახული სისხლიანი ყამი, რომლის გააზრების შემდეგ, 1919 წლის 29 ოქტომბერს, მწარე სინანულით წერდა:

„ახლა ეს მშობლიური ადგილები (იგულისხმება შახმატოვო, ს. ს.), სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გაეტარე, აღარაა. იქნებ მხოლოდ ბებერი ცაცხეებიღა შრიალებენ, თუ მათაც არ გააძრეს ტყავი. და რომ იქ უწესრიგობაა, რომ ყველგან არეულობაა, რომ მოახლოვდა კატასტროფა, რომ სასწაული ცხვირწინაა – კარგა ხანია ვიცოდი“...

„თორმეტნის“ სწორი გაგება შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ ალექსანდრ ბლოკის მთელი შემოქმედება, აზროვნების სპეციფიკა (და არა მხოლოდ ცალკეული ფრაზები).

ამ მხრივ ეს პოემა მართლაც სინთეზური ნაწარმოებია.

„თორმეტნი“ პოეტის სიცოცხლეში მრავალჯერ დაიბეჭდა როგორც დედაქალაქში, ისე პროვინციულ ცენტრებში. ითარგმნა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და სხვა ენებზე.

ქართულადაც რამდენიმეჯერ არის თარგმნილი.

1994 წელი, დეკემბერი

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

სოსო სიგუა

სოსო სიგუა სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოვიდა.

ჰორიზონტზე მაშინ გამოჩნდა, როცა კრიტიკოსს ლიტერატურული პროცესების „წარმმართველის“ მანტია აღარ ემოსა.

ჩამთავრებული იყო ბესო ჟღენტის ეპოქა, ანუ ის დრო, როცა კრიტიკოსის მძაფრი გამოსვლა განაჩენი გახლდათ და გაკრიტიკებული მწერლის ბედით არც მეტი, არც ნაკლები, ჩეკა ინტერესდებოდა.

საბჭოთა კრიტიკის მძვინვარების დროს არ არსებობდა მხატვრულ ნაწარმოებზე „უწყინარი აზრის“ გამოთქმის ცნება.

საორჭოფო ფრაზები „მე ასე ვფიქრობ“, „იქნებ ვცდებოდე“, „ხომ არ აჯობებდა...“ მოდაში არ იყო.

შეფასების კატეგორიულობას განგამის ზარის დარისხების ძალა ჰქონდა. „იგი ჩვენი კაცი არ არის“, „ხალხის მტრებთან წილნაყარია“, – ხშირად ნაანყდობდით ხელისუფლებასთან ჩახუტებული, ოფიციალური კრიტიკოსების ნააზრევში.

სამოციანი წლებიდან დრო შეიცვალა და ლიტერატურის კრიტიკოსს, შემფასებლის ფუნქციასთან ერთად, ესთეტიკური მრჩევლის როლიც დაეკისრა.

და სწორედ მაშინ, როცა გურამ ასათიანმა ლიბო დაუდო ნაწარმოების მრავალმხრივი და არა სწორხაზოვანი (იდეური! რ. მ.) შეფასების ტრადიციას, სალიტერატურო კრიტიკაში გამოჩნდა ერთი სათვალისიანი, სიმპათიური, ხმელ-ხმელი, ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მკითხველის ყურადღება მიიპყრო გულწრფელობით, ღრმა განსწავლულობითა და მწერლისადმი თანადგომის სურვილით.

სოსო სიგუა ავტორს მალლიდან როდი დასცქეროდა. არც იმას ცდილობდა, თავისი ნააზრევი ლიტერატურული მომსახურების სფერომდე დაეყვანა. პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობდით, რომ თქვენ გელაპარაკებოდით კოლეგა-ლიტერატორი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დახმარება სურდა, რათა ნაწარმოები უფრო სრულყოფილი გამხდარიყო და ამავე დროს ორი ამოცანის გა-

დანყეეტას ცდილობდა: პირველ რიგში, მკითხველს განუმარტავდა, რა ღირსება-ნაკლოვანებები გააჩნდა ავტორის ქმნილებას, რა იყო მწერლის ჩანაფიქრში მთავარი და არსებითი და მეორეც, ლიტერატურული არბიტრის შეუმცდარი ალლოთი ზუსტ ადგილს უძებნიდა სარეცენზიო ნაწარმოებს ლიტერატურის ისტორიის დიდ წიგნში.

ამ სურვილმა ბევრს ნაატეხინა ფეხი.

არაერთ კრიტიკოსს შეეცყო, რომ იგი ტენდენციური იყო, აშკარად ცრუობდა და თან გემოვნებაც ლალატობდა.

„ოსპის წვენზე“ გაყიდული კრიტიკოსები თანდათანობით ჩამოშორდნენ ლიტერატურას.

ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს სჯულმდებლად და გონიერ თანამდგომად რამდენიმე კრიტიკოსი შერჩა და მათ შორის უნიჭიერესი, შეუბღალავი სახელისა და ნაწარმოების შინაგანი პულსაციის უტყუარი მწერალ-შემტყობარი სოსო სიგუა გახლავთ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი დღეს უპირველესი კრიტიკოსია.

სოსო სიგუას მიერ ნაწარმოებზე თუნდაც რადიკალურად კრიტიკული აზრის გამოთქმასაც კი ავტორები ღირსების საქმედ მიიჩნევენ.

მათ იციან, რომ სოსო სიგუას პირით ჭეშმარიტება ლალადებს.

იგი არაფერს წერს ჩასაფრებულის პოზიციიდან.

მისთვის მთავარია ჭეშმარიტება და ჭეშმარიტების სახელით იგი თუნდაც მწარე შეძახილსაც არ ერიდება.

„არ ერიდება“ შემთხვევით არ ნამომცდენია.

სოსო სიგუა თავის განსჯაში უშიშარიც გახლავთ.

ასჯერ გაზომავს და ერთხელ გაჭრის, მაგრამ გაჭრის იქ, სადაც გასაჭრელია.

მთელი ორმოცი წლის მანძილზე სოსო სიგუა ფხიზელ გუშაგად, კეთილ მკითხველ-განმჩხრეკლად ედგა გვერდით მწერალს.

მის თვალს ამ ხნის მანძილზე არ გამოჰპარვია, რაც კი ღირებულნი შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში.

მერე და მერე სოსო სიგუა მწერლობაში დადებითი ტენდენციების შემმჩნევ და თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენების შემფასებლად ჩამოყალიბდა.

მან ჩათვალა, რომ კალამზე მოძალადე და განდიდების მანიით შეპყრობილ გრაფომანებს მაინც ვერაფერს შეაგნებინებდა და კრიტიკული მზერა ნიჭიერთა შემოქმედებისკენ მიმართა.

სოსო სიგუას სტილი ორი ტენდენციის ბედნიერი სინთეზია: პირ-

ველი გახლავთ ესეისტურ-პროზაული მანერა წერისა, როდესაც კრიტიკული ნააზრევი სულმოუთქმელად იკითხება და მეორე – მსოფლიო ლიტერატურის ღრმა ცოდნაზე დამყარებული შედარებითი ანალიზი. ამ უკანასკნელი მეთოდის მომარჯვების დროს სოსო სიგუა თავს არასოდეს გახვევს ნაკითხობით მიღწეულ უპირატესობას.

ცოცხალი ლიტერატურული პროცესების შესწავლის მხარდამხარ სოსო სიგუას ლიტერატურის მეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის ურთულესი ფილოლოგიური სამუშაოს შესრულებაც მოუხდა.

უნდა გარკვეულიყო, რა ემოციურ-ტრადიციული კავშირი არსებობდა სამწერლო თაობებს შორის. იყო თუ არა ქართული ლიტერატურა ერთიანი ლიტერატურული სხეული, რა საერთო და განმასხვავებელი არსებობდა ძველ, ახალ და უახლეს მწერლობას შორის.

ჩაუჯდა არქივს ფილოლოგიის ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი სოსო სიგუა.

ჩაუჯდა და უმოკლეს დროში დაადგა თავი იმ საქმეს, რისთვისაც არაერთი მოკირკიტე მეცნიერი „ამოდ დაშვრა“; სწორედ იმიტომ, რომ ზოგიერთ ჩვენს მუყაით და ენერგიულ კოლეგას მასშტაბური ხედვის, ფაქტების მეცნიერული კლასიფიკაციის, განზოგადების უნარი არ აღმოაჩნდა.

ამ თვისებების გარეშე კი ლიტერატურის ისტორია არ იწერება.

სოსო სიგუამ ერთიმეორის მიყოლებით გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო გამოკვლევები ოციათი წლების ლიტერატურულ სკოლებზე, მოდერნიზტულ მიმდინარეობებზე, სიმბოლიზმზე, ავანგარდიზმზე...

რაც მთავარია, ამ წიგნებში სოსო სიგუა ცდილობს დაინახოს, როგორ უწყობდა ფეხს მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულების ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს. ხომ არ იყო ქართული ლიტერატურა ეგზოტიკურ-პროვინციული ლიტერატურული კუნძული.

როცა ოციათი წლების ლიტერატურული პანორამა ლიტერატურის ისტორიკოსის მახვილი თვალით დაინტერესებულ მკითხველთათვის საცნაურჰყო, სოსო სიგუა შეუდგა მეოცე საუკუნის უპირველესი რომანისტიკის, თავისი შემოქმედების მრავალნახნაგოვნებით, მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ბუნებით და უანრული თვალსაზრისით პრობლემური იერსახის მქონე მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

ათ წელზე მეტი მოანდომა კონსტანტინე გამსახურდიას მრავალსახოვანი ნააზრევის ლაბირინთებში მეცნიერულის ლამპრით სვლას

და ქართველი მკითხველის თაროზე დადო „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორზე დაწერილი ოთხი სქელტანიანი ტომი.

ან და მარადის კონსტანტინე გამსახურდია უნიჭიერესი მკვლევრის თვალით და გონებით შეფასებულია დიალაც რომ მაღალპროფესიული და მაღალკვალიფიციური განხილვით.

კრიტიკოს-მეცნიერის მხრიდან მსგავსი თანადგომა არც ერთ ქართველ მწერალს (თვით რუსთაველსაც კი) არ ღირსებია.

კონსტანტინე გამსახურდია – მხატვრული სიტყვის ოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია – ფილოსოფოსი, კონსტანტინე გამსახურდია – ქართული ენის დიდი რეფორმატორი, კონსტანტინე გამსახურდია – ერის ქომაგი და გულმხურვალე მამულიშვილი... სოსო სიგუას ოთხტომეულში წარმოდგენილია მთელი თავისი დიდებულებით.

ამ რომან-მონოგრაფიის სტილიც კი ისეთივეა, როგორც მწერალსა და რაინდს, კონსტანტინე გამსახურდიას ეკადრება.

სოსო სიგუა წერს ისე ლაღად და ხატოვნად, შედარებების და კალამბურების მომარჯვებით და, რაც მთავარია, ადრესატისადმი განუზომელი სიყვარულით, რომ ოთხტომეული მართლაც რომ მაღალხარისხოვანი პროზის სიამოვნებით იკითხება.

ეს წიგნი ყოველთვის იქნება ძვირფასი მაგალითი სოსო სიგუას კვალზე მოსულ ფილოლოგ-მეცნიერთათვის, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ელაპარაკო ჭეშმარიტ მწერალს, როგორი უნდა იყოს ბრძენი შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის.

ყველაზე ხელხვაიან მწერლებსაც კი აქვთ ერთი ან ორი ისეთი ნაწარმოები, რომლებშიც მათი ტალანტი და შემოქმედებითი ენერგია შედარებით სრულად გამჟღავნდა.

მე ვფიქრობ „მარტილი და ალაშქარი. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება“ ჯერჯერობით სოსო სიგუას მთავარი წიგნია. ყოველ შემთხვევაში, სოსო სიგუას ხსენებისას მკითხველს „დავით აღმაშენებლის“ ავტორზე შექმნილი დიდებული მეცნიერული ეპოპეა წარმოუდგება.

ამ მასშტაბური ნაშრომის შექმნიდან ათწლეულები გავიდა.

ლიტერატურულ პროცესში კრიტიკოსის ადგილმაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოვალეობამაც გარკვეული სახეცვლილება განიცადა.

დღეს კრიტიკოსი ძველებურად ვეღარ ახდენს გავლენას სამწერლო ცხოვრებაზე და რაკილა იგი თანდათანობით ლიტერატურისთვის უკან მიდევნებულ ლამპრად იქცა, მწერალიც ძველებური გულისყურით აღარ ელოდება კრიტიკოსის მსჯავრს მის ნააზრევზე.

...და სოსო სიგუას მაძიებელი გონება ფილოლოგიურ-ესთეტიკური მეცნიერების შედარებით ახალ დარგზე – კულტუროლოგიაზე დაკონცენტრირდა.

უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებითაც გამართლდა ცნობილი ქართული ანდაზა – „ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს“.

სოსო სიგუამ რეკორდულად მოკლე დროში შექმნა და გამოსცა „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამი ტომი და ამით საფუძველი ჩაუყარა, ლიბო გაუმაგრა ქართულ კულტუროლოგიურ მეცნიერებას.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“ დანერლია მსოფლიო კულტუროლოგიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და, რაც უაღრესად ნიშანდობლივია, ეყრდნობა ქართულ მასალას.

აქვე არ გამომრჩეს, სოსო სიგუას ლიტერატურული მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე – იგი მალალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი, ჭეშმარიტად პროფესიონალი მთარგმნელია. ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც ალექსანდრ ბლოკის პოეზიაც იკმარება.

სოსო სიგუას პორტრეტი სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ მის აქტიურ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ საქმიანობას. „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, რადიოსა და ტელევიზიის ლიტერატურული სამმართველოს უფროსი, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის დამაარსებელი, საქართველოს პარლამენტის წევრი, „მწერლის გაზეთის“ რედაქტორი, არაერთი ასპირანტის და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, სტუდენტებისათვის საყვარელი, ტკბილმოუბარი პროფესორი... ასეთია სოსო სიგუას ნამსახურობის არასრული ჩამონათვალი.

სოსო სიგუა მალე სამოცდახუთისა გახდება.

მოგეხსენებათ, შემოქმედისთვის ეს საშუალო ასაკია.

ამ ხნის განმავლობაში სოსო სიგუას ჯილდოთა ნუსხამ იზარდა და იზარდა: იგი გახლავთ საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, გერონტი ქიქოძის და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი.

ასე რომ, სოსო სიგუას სახით ქართულ მწერლობას სახელოვანი მწერალი და კრიტიკის კლასიკოსი ჰყავს, ხოლო ვრს ჭეშმარიტი პატრიოტი, გულმხურვალე მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე.

2013

შინაარსი
ძართული მოდერნიზმი

მოდერნიზმი, როგორც განახლება3

ნიგნი პირველი

სცილასა და ძარიგდას შორის

1. XX საუკუნის დასაწყისი.....9

თავისუფლების იდეალი9

ინტელექტუალური პოტენციალი12

პირველი რევოლუციის კრაზი.....12

პატრიარქალური მამის მკვლელობა14

რეალიზმის აღსასრული15

კომმარული ჟამი და „წმინდა ხელოვნება“18

2. განახლების წინამორბედეგი19

თავისუფლების პროგრამა20

ლიტერატურის ევოლუციის პრინციპი23

იმპრესიონისტის თვალთ26

ეთნო-ნატურალიზმი28

პირქუში ბეითალი.....30

ზეციური საქართველოს მსახური.....34

პოეტი ტუსალი38

რღვევის მხატვარი43

იმპრესიონისტული მსოფლჭყრეტა48

ოცნების კოცნის პოეზია50

3. მოდერნიზმის იდეოლოგები55

ესსე – შთაბეჭდილებათა ფიქსატორი.....55

მზის ქურუმი.....56

სისხლისფერი მიხაკი60

ფანტომებით მეოცნებე64

ესთეტიზმი და სამშობლოს ბედისწერა67

ომი და ლიტერატურა69

4. ქუთაისი- ძართული მოდერნიზმის აკჷანი.....71

თბილისი – ჰიბრიდული ქალაქი71

ფეერიული ქუთაისი73

„ოქროს ვერძი“.....74

სიმბოლიზმი თუ ფუტურიზმი?76

გალაკტიონი - სიმბოლიზმის ანი და პოე	78
„ცისფერყანწელთა“ ორდენი	80
თბილისი - „გილიოტინა და ეშაფოტი“	86
5. შორაპული შუაშუკაბი	88
„ხშირად ვიგონებ ვერლენს“	88
სიმბოლიზმის მთვარე	91
მზის მგოსანი კონსტანტინ ბალმონტი	96
ნიცმე საქართველოში	97
მალარმე ქუთაისში	99
ეროვნული ძირები	100
6. მოდერნისტების პრესა	103
„ცისფერყანწელთა“ გამოცემები	105
„ცისფერი ყანწები“	105
„ლიგეია“	108
„მეოცნებე ნიამორები“	109
„შვილდოსანი“	110
„ბახტრიონი“	111
„ლაშარი“	112
„ბარრიკადი“	112
„რუბიკონი“	113
იოსებ გრიშაშვილის „ლეილა“	114
კაკაბაძეების „შვიდი მნათობი“	115
კონსტანტინე გამსახურდია - რედაქტორი	117
„პრომეთე“	117
„ილიონი“	118
„ცისფერყანწელთა“ მიმდევრები	120
„აისი“	120
„თოლაბულისის სარტყელი“	120
„კრონოსის სარკე“	120
ალექსანდრე აბაშელის „ხომალდი“	121
გალაკტიონ ტაბიძე - რედაქტორი	122
ჟურნალი „ლომისი“	122
„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“	123
მოდერნისტები მწერალთა კავშირის პრესაში	124
გაზეთი „ლომისი“	124

პოეზია „კავკასიონისა“ და „ახალი კავკასიონის“ ფურცლებზე.....	125
„პოეზიის დღე“.....	137
„მნათობი“.....	137
კონფლიქტი მოდერნისტების ბანაკში.....	138
წიგნების გალერეა.....	144
7. კატასტროფის შემდეგ	145
ჯგუფები და მწერლობა.....	145
თავისუფლების იდეა.....	147
ცდუნება: დადა.....	148
ექსპრესიონისტული ტალღა.....	149
დრამა და თეატრი.....	152
„დაბრუნება მინასთან“.....	153
დისტანციის პათოსი.....	153
პოეზიიდან პროზისაკენ.....	154
ხელისუფლების დიქტატი: მოდერნიზმის აკრძალვა.....	156
8. მოდერნისტების ტრაგიკული ბედი	157
სინამდვილის პირისპირ.....	157
„საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა“.....	161
„მე მოვეკედები, როგორც პოეტს შეჰფერის“.....	164
დამარცხებული ზელადი.....	169
„მე – თანამგზავრი მკვდარი ფოთლების“.....	175
როგორ დახვრიტეს ტიცვიან ტაბიძე.....	177
პირველი წიგნის დასასრული. ოდისევსის მსგავსად.....	186
წიგნი მეორე.	
მოდერნისტული სიტყვის კალიდოსკოპი	
1. სტილური პოლიფონია და მოდერნისტი ხელოვანი	189
სიტყვა – მედიუმი.....	189
მოდერნისტი ხელოვანი.....	189
პოლიფონიური ორკესტრი.....	192
მშვენიერების კულტი.....	195
2. ახალი მითოსი	197
მითოსთხზვის პრინციპი.....	197
ლიტერატურული მითოსი.....	199
ხელოვნება – მითოსთხვა.....	201
3. ქრისტიანული და წარმართული მოტივები	202

„დედაო ლეთისავ“.....	204
ქრისტე მაცხოვარი	206
აპოკალიპსი	208
ქრისტეს მხედარი ნმ. გიორგი	212
დიონისოს მითი და საქართველო.....	214
ესთეტიზმი: წარმართული და ქრისტიანული	216
გველისა და სისხლის კულტი	218
წარმართი მორღუები	220
„ბარბაროსული სისხლის შრიალი“	221
ქრისტიანულ და წარმართულ სახეთა სინთეზი	224
ღმერთების სიკედილი	225
4. მარტოობის გმირები	230
„მარტოობის ორდენის კავალერი“	231
კონსტანტინე სავარსამიძე	233
ბონდო ჭილაძე.....	234
თეიმურაზ ხევისთავი	235
„უკანასკნელი რაკეტები“	237
ანტითეზა - არჩიბალდ მეკეში (მაყაშვილი)	238
აგრესია - სიცოცხლის უნარი.....	239
5. სიკვდილისა და ტანჯვის ესთეტიკა	240
სიკედილის აპოლოგია	240
სიმახინჯის კულტი	245
მელანქოლია და დეპრესია	247
„თვითმკვლელობის იავნანური“	251
ცნობიერების რღვევა	254
6. სიყვარული და სექსის მისტიკა	258
„ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“.....	258
სექსი და ფსიქიკა	261
მამა-შვილის კონფლიქტი	266
ინცესტი და მამისმკვლელობა	268
ამორძალი და მენადა	269
7. რასის პრობლემა და ქართული ნაციონალიზმი	271
ქართული მესიანიზმი	272
ძირების ძიება	273
ძირებისაგან მონყვეტის ტრაგედია	276
პატრიარქალობის ნაკრძალი	278

ქალი - სამშობლო მინა.....	280
მესიის მოლოდინი და სტალინის მითოლოგება	283
8. ენისქმნადობა და სიმბოლური აზროვნება	285
სპეციფიკური ენობრივი მოდელი.....	285
სიმბოლური მეტყველება	289
სიმბოლურ სახეთა სისტემა	290
ნიუანსების გამა.....	291
9. ლექსის ახალი მოდელი	292
სტროფი რუსთველური	292
მეტრული პოლიფონია	293
რიტმა - დემონი და ფეტიში	295
რიტმი და მელოდიკა	296
ასოციაციური სიუჟეტი.....	298
საგნის ტროპული სახეცელა	300
10. ლირიკის ელიზიუმი	301
ღამე და მთვარე	301
ქარი - სევედიანი, თოვლი - აღმაცერი	303
ბალი - ფანტაზმა	304
ყორანი და გედი.....	305
„ზეცათა ლაქვარდი“	307
ლურჯა ცხენები.....	309
„ქალაქის ქალა“.....	310
ოთახი და სარკე.....	311
მასკარადი	313
დარიანის ნიღბით	315
ტრაგედიის გმირი	316
ლირიკის თვითმკვლევლობა	318
დასასრული. როგორც ქურუმი და ზმარაპი	319

ალექსანდრ ბლოკი რჩეული

სოსო სიგუა – ტრაგიკული ტენორი	323
ციკლიდან „ლექსები მშვენიერ ძალბატონზე“ (1901-1902)	
„შენ გეძახოდა უცხო ქვეყანა“	339
„ისევ შორსა ხარ წინანდებურად“	339
„შენ გვიან გახველ, მე კი გელოდი“	340
„მე ჯერ ეკვდერში ვარ დამალული“	340
„შორეთში გაკრთა სალამოს ალი“	341
„აქ ვილა ტირის?“	341
„გაზაფხულია, მესმის ზარის ხმა“	342
„შენ განახულობდი დაისის ალში“	342
„შენ ნისლებმა გადაგმალეს“	343
„მე მონასტერში დავხეტიალობ“	344
„ლაპარაკობდნენ ისინი წყნარად“	345
„მე შენ დაგმარხე და სევდიანი“	346
„როს ბინდბუნდში ფანჯარას“	347
„შენ, შენ მოგძახი სხვა სამყაროდან“	347
„სიკვდილს მოელის აღელვებული“	347
ეკლეზიასტე	348
„მიტოვებული და ყრუ კედლები“	349
„მე ჩაბნელებულ ტაძარში შევალ“	350
„მათ ნაცრისფერი ხურავთ ღრუბელი“	350
„მე მეშინია შენთან შეხვედრის“	351
ციკლიდან – „თოვლის ნიდაგი“ (1907)	
თოვლის ღვინო	352
მეორე ნათლობა	352
უკანასკნელი გზა	353
განგაში	354
დივანის კუთხეში	355
ჩრდილები კედელზე	355
თოვლში	357
ისინი კითხულობენ ლექსებს	358
განწირული	358
გული, ქარბუქს გადაცემული	359

ციკლიდან – „ზანა“ (1906-1906)

„გამოჩნდა და გადაჩრდილა“	360
„მე მაცბუნებდა, მე მახარებდა“	361
„ნახველ, გელოდნენ გიაცინტები“	361
„მე გავაშენე ჩემი სამოთხე“	362
შემოდგომის სიყვარული	363
1. „როცა ფოთლებში მზისგან დამწვარი“	
2. „აი, ქარით მოკლული, დამსხვრეული“	
3. „რომ აგარიდო სუსხი და ქარი“	
„იმ ცარიელ და ნათელ ღამეში“	365
თოვლის ქალწული	366
ფიცისდება ცეცხლით და წყედიადით	368
1. „უნაპიროა ეს გაზაფხული“	
3. „კარებთან შევხვდი მე უკარებს“	
4. „მე მივაშურე ტანჯვიდან ტანჯვას“	
5. „მე მინდა გითხრა, რომ ამერია“	
6. „ის ხომ არ არის, დაუსრულებელ“	
7. „როს ქარბუქი ქუჩებს ბლანდავს“	
8. „რაა წითელი დაისი ჩემთვის“	
9. „ეხ, გარმონო, გარმონო“	
11. „მე დაეწყნარდები ისევ შენს ფერხთით“	
მონაზონი	378
„მთელი ცხოვრება მას მოელოდა“	379
„როცა თქვენ დგებართ ჩემს გზაზე“	380
„იგი ყინვიდან შემოვიდა“	381
„მახსოვს ხანგრძლივი მე ეს წვალება“	382
„ცხარე ცრემლებით, წინანდებურად“	383
„იტალიური ლექსები“ (1909)	
რავენა	385
„დადუმებულა თეოდორიხი“	386
spoleto-ელი ქალიშვილი	387
ვენეცია	387
1. „ზღვაში ერთად გავედით“	
2. „ლაგუნას მხარეს ცივი ქარია“	
3. „სასტიკ დღეების ღელვა ნელდება“	
პერუჯია	390

ფლორენცია	390
1. „შენ უნდა მოკვდე, როგორც იუდა“	
2. „ო, ფლორენცია, შენ ხარ ზამბახი“	
3. „უშფოთველად გამხდარა“	
4. „ამ ვარვარა ქეებისგან“	
5. „თითქოს გაიხსნა სარკმელები“	
6. „ამ ფლორენციის მოქანცულ მზეში“	
7. „ცისფერ კვამლით საღამოს“	
„აი, გოგონა სულ ერთი ციდა“	394
madonna da setignano	394
ფიეზოლე	395
სიენა	395
სიენის ტაძარი	396
„თუ ხელოვნება გვანება ტვირთად“	397
ხარება	397
მიძინება	399
ფრა ფილიპო ლიპის ეპიტაფია	400
ციკლიდან – „არწივი და ვიოლინოები“	
„თორმეტი წლის შემდეგ“	401
1. „ისევ იმგვარად ნეეთავს მარილი“	
2. „ჩაბნელებულ პარკში, სად მურყანია“	
3. „როცა მტანჯველად წამოიმართა“	
4. „ლურჯთვალა და ასეთი საკვირველი“	
5. „როს ჩამოდგება წუთი კეთილი“	
6. „ჩვენ საღამომ შეგვახვედრა“	
7. „ბინდმა ნელინელ შებურა მზერა“	
8. „შემორჩენია რაც კი რამ ხსოვნას“	
„პარმენი“ (1914)	
1. „ვით ოკეანემ ფერი იცვალოს“	406
2. „ცის სიმწვანეში მოკრიალე მთვარის ნამღვეი“	406
3. „ნათობს კვამლისფრად დილის დემონი“	406
4. „მოაქვს თოვლიან გაზაფხულს ღელვა“	407
5. „მათ შორის, ვინაც ეტრფოდა კარმენს“	407
6. „მწუხარე მზერა ნაცრისფერ თვალთა“	407
7. „გაზაფხულია, ტირიფი ტირის“	409
8. „ჩემი შავი და უცნაურ ბედის“	409

9. „ღიას, ფრინველს ჰგავს ეს სიყვარული“	410
10. „შენ არ იქნები არც ჩემი და არც არავისი“	411
სხვადასხვა ციკლებიდან	
„მათ ვგუშაგობდი, იოანეს ეკედერის მცველი“	412
„მე გავემგზავრე თეთრ ქვეყანაში“	412
„მე შევიმოსე ფერად ბუმბულით“	413
„ამლერილი სიზმარი“	413
„ჩვენა ვართ ყველგან და არსადა ვართ“	414
„მთელს ნელს სარკმელი არ შერხეულა“	415
„მე სამყურების ზღვაში ჩაძირულს“	415
„მე გამოვთალე კომბალი მუხის“	416
„ამოსულა ბალახი“	417
„მწვანე ნაპირთან, სამარეზე“	417
„თქვენ მაშინ შავი, დახურული“	417
„მოუკედი, დავეცი გულგანაცხელი“	418
„მე ვარ მახვილი, ორლესული“	419
„სიზმარო, მე შენ არ მომატყუებ“	419
პეტრე	420
ლოცვები. 1. „კოშკის შესასვლელს ვყარაულობთ“	421
„იმ დროს, თერებიან როს ნარგიზები“	422
„მე ეცხოვრობ მარტო, მდუმარებაში“	423
„აი, გარშემო კუბოთა მწკრივი“	424
„პატარძლის კუბო ტაძრის უკუნში“	425
„სულს გვიმძიმებდა ზამთრის ქარბუქი“	425
„ეცხოვრობ შორეულ მე სავანეში“	426
„მე გაზიარეთ არამქვეყნიურს“	427
„ჭაობი ღრმა და ბნელი ფოსოა“	427
„საყდრის ქოროში ქალწული გალობს“	428
„მე ვარ ერთგული, მე ვარ უბრალო“	428
„არ გამოცვლილა აქ არაფერი“	428
„აი, ის, ქრისტე ბორკილით, ვარდით“	430
„შენ გაივლი ნარბშეკრული“	431
ბოდვა	432
სოლვეიგ	433
უცნობი ქალი	435
„ნლები გასულან, შენ არ იცვლები“	437

მფარველი ანგელოსი	437
სარკმელი ეზოში	439
„ოთხ კედელს შორის მე ვარ მოკლული“	440
„სიცოცხლე, გუნდში რომ ჩაიფერულა“	441
„ჩემს სოროში ვწრიალებ“	442
სხვენზე	444
„ო, სოლვეიგ, სოლვეიგ, გზამზიანო“	445
„შენ გაგელვიდა დილაადრიან“	446
„შენ შორს ნახველი, მე უდაბნოში“	446
„დაისიდან მოვიდა“	447
კლეოპატრა	448
„მეც ხომ მიყვარდა, მეც ხომ ვიგემე“	449
„იქ ბევრი იყო ქალი ლამაზი“	451
„თეთრ ღამეების მკაცრი მაისი“	452
„ტაძარში, მწუხრში, როცა კედელზე“	453
შემხვედრი	454
მეგობრებს	455
პოეტები	456
კულიკოვოს ველზე	461
1. „მოდის მდინარე, დამდორილი“	
2. „ჩვენ შუალამით სტეპებიდან“	
3. „მამაის ურდომ რომ დაფარა“	
4. „ისევე მარადი ნაღველით“	
5. „კულიკოვოსთან, როგორც ოდესღაც“	
„წინანდებურად მან მოისურვა“	461
„ისე მეცნობი, ასე მგონია“	462
„სასონარკვეთა, გულისწყრომა“	462
„მილურსმული ვარ ტრაქტირის დახლთან“	463
„ღამე ჰგავს ღამეს და ქუჩაში“	464
„ჟამის ისარი შუალამეს უახლოვდება“	464
„აი, სევდით“	465
„ანათებ, თოვლი ვით უცოდველი“	465
„უკვე ზღვის თავზე საღამოვდება“	465
„განა იმიტომ ვუნოდებდი“	466
„ყველა დიდება, სიმამაცე“	466
შემოდგომის დღე	467

„კარგო და საყვარელო“	468
„საესე ერთნაირ ხმაურით, ჭორით“	469
„შენ ოთახში მარტო ხარ“	470
ჩვილის სიკედილზე	471
„ეს ყველაფერი ხომ იყო, იყო“	472
„მოკვდება ქვეყნად ყველაფერი“	473
„ამ სახლებს შორის, ყვითელ დღეებში“	473
„ბნელი ნავსადგურიდან“	474
კუნძულებზე	474
სამი წერილი 2. „შავი ყორანი თოვლის ღამეში“	475
კომისარჟევსკაიას სიკედილზედ	476
ვიოლინოთა ხმები	477
დემონი	478
სიზმარი	479
„ჩემო სიცოცხლე, შენ რუსეთო“	480
„დღეს შენ ტროიკის მიჰქრი წკარუნით“	480
„უამი რბის, ნელი, დღე და საათი“	481
„ასე გასულა ჩემი სიცოცხლე“	482
„ვიცი მაცდური შენი მშვენება“	483
„ვაყავ სნეული, ჟანგიან სულით“	483
„როდესაც სახლში დაებრუნდი გვიან“	484
„მიმოდის ქარი, მიმოაქვს თოვლი“	484
„ელოცავ ყველაფერს, რაც რამ ყოფილა“	485
კომანდორის ნაბიჯები	485
ვიაჩესლავ ივანოვს	487
„ნაცრისფერ კვამლში ნაპირიდან“	488
„ისევ ძველი აფეთქება ძალთა“	489
„არის ნუთები, როს არ გაღლეებს“	490
„ხმა ახლოვდება და სევდიანი“	490
სიკედილის როკვა. 2. „ღამე, ფარანი“	491
რაზე მღერის ქარი	491
1. „დაგვივინყეს, ქვეყნად დავრჩით მარტონი“	
2. „მეგობარო, ამ წყნარ სახლში“	
„მე დამცინავი მესმის სიცილი“	493
„ო, არა, არა! ჩემს გულს ველარ მოაჯადოებს“	494
ანა ახმატოვას	495

„თუ გახსენდება, მწვანე ყურეში“	496
„მე ვარ ჰამლეტი, სისხლი ცივდება“	497
ხმა ქოროდან	497
ჩემი მეგობრის ცხოვრება. 6. „დღემ ძველებურად“	498
ქალი	498
„ის ცხოვრება წასულა“	502
„არ მინდა ფიცი, შენ ბრწყინაედი“	502
„ამღერეულია პეტროგრადის ზეცა წვიმებით“	502
„დაბადებულებს ყრუ დროებაში“	504
„არ გამიძლია მე თეთრი დროშა“	504
„ცეცხლმოდებული მოდის ღრუბელი“	505
სამსჯავროს წინაშე	505
სკეიტები	507
ზ. გიპიუსს	510
კუშკინის სახლს	510
ბალაგანი (დრამატული პოემა)	519
უცნობი ქალი (დრამატული პოემა)	529
ბულბულთა ბაღი (პოემა)	560
თორმეტნი (პოემა)	566
მთარგმნელის კომენტარები	579
რევაზ მიშველაძე – სოსო სიგუა.....	597